არისტოტელე



მეტაფიზიკა

ΑΡΙΣΤΟΤΕΛΟΥΣ

ΤΑ ΜΕΤΑ ΤΑ ΦΥΣΙΚΑ



1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

არისტოტელე

მეტაფიზიკა



თარგმანი ბერძნულიდან
კომენტარები და წინასიტყვაობა თამარ კუკავასი
რედაქტორი პროფესორი პ. ბერიძე

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1964

1 (არისტოტელე)
ა 808

არისტოტელეს ფილოსოფია, საერთოდ, და მისი მეტაფიზიკა, კერძოდ, წარმოადგენს მთელი ბერძნული ფილოსოფიის შეჯამებას, კვინტესენციას. არისტოტელე გენიოსისათვის ჩვეული ძლიერებით ითვისებს წინამორბედთა მთელ მემკვიდრეობას, კრიტიკულად გადაამუშავებს და შემდგომ ავითარებს მას. ამავე თხზულებაში არისტოტელე იცავს და წინ სწევს დემოკრიტეს იმ მატერიალისტურ ტენდენციებს, რომელსაც უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი. „მეტაფიზიკაში" შესულია მთელი ის ფილოსოფიური პრობლემატიკა, რომელიც დააყენა არისტოტელეს თანამედროვე და წინამორბედმა აზროვნების განვითარებამ. მრავალი პრობლემის არისტოტელესეულ გადაწყვეტას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამიტომაც ეს წიგნი იდეოლოგიის ფრონტის მრავალი მუშაკის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. „მეტაფიზიკა" თარგმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ერის ენაზე. ქართულ ენაზე „მეტაფიზიკის" თარგმანის არარსებობა უდიდესი ხარვეზია. ეს გამოცემა ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს.

აღნიშნული თარგმანი შესრულებულია ძველი ბერძნული ენიდან და დაზუსტების მიზნით შედარებულია რუსულ (კუბიცკი) და გერმანულ (გოლკე) თარგმანებთან. კომენტარებში მოცემულია ამ თარგმანების ზოგიერთ ადგილთა კრიტიკული ანალიზი, იქვე განმარტებულია „მეტაფიზიკის" ძნელად გასაგები ადგილები და მოცემულია ზოგიერთი ადგილის ჩვენი, ახლებური გაგება, განსხვავებული სხვა მთარგმნელთაგან და ფილოსოფიის მკვლევართაგან.

თარგმანს წინ უძღვის შესავალი წერილი, რომელიც შეიცავს არისტოტელეს ფილოსოფიის ზოგად მიმოხილვას და შეფასებას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან.

წინასიტყვაობა

არისტოტელე ძველი ბერძნული ფილოსოფიის მწვერვალი და უდიდესი წარმომადგენელი იყო. არ დარჩენილა იმდროინდელი მეცნიერების არც ერთი დარგი, რომელსაც იგი არ შეხებოდეს და თავისი სიტყვა არ ეთქვას. თავის ნაშრომებში მან თავი მოუყარა მანამდე დაგროვილ მთელ ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცოდნას, კრიტიკულად გადაამუშავა და წინ წასწია ის. დღესაც აოცებს მკითხველს აზროვნების ის მაღალი კულტურა, რომელიც იგრძნობა არისტოტელეს ფილოსოფიაში. არისტოტელესათვის დამახასიათებელია წამოყენებულ პრობლემათა სერიოზულობა, მათი განხილვის უჩვეულო სიღრმე და ამომწურაობა. მართალია, იგი ზოგჯერ პრობლემათა დაყენებით კმაყოფილდება, მაგრამ ამით არა ნაკლებ სწევს წინ აზროვნების განვითარებას, მიუთითებს რა იმ მიმართულებაზე, საითაც საჭირო იყო კვლევა-ძიების წარმართვა. მკითხველს აოცებს არისტოტელეს ენის ლაკონიურობა, რაც დამახასიათებელი იყო მთელი ძველი ბერძნული ფილოსოფიისათვის. საერთოდ, არისტოტელეს ყოველი ფრაზა ღრმა აზრის შემცველია, მისთვის უცხოა ზედმეტსიტყვაობა.

არისტოტელე მრავალი საკითხის განხილვაში თანამედროვეობის დონეზე დგას. ამიტომაცაა, რომ არისტოტელეს ფილოსოფიას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამით აიხსნება ის ცოცხალი ინტერესი, რომელსაც იჩენდნენ ყოველთვის და უკანასკნელ ხანებშიც კი არისტოტელეს ფილოსოფიისადმი, როგორც ჩვენთან, ისე დასავლეთში. მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე იქმნება უამრავი თარგმანები და გამოკვლევები, მიძღვნილი არისტოტელეს ფილოსოფიისადმი.

არისტოტელეს ფილოსოფიას და მის მნიშვნელობას კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში მაღალ შეფასებას

აძლევდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. მარქსმა მას „უდიდესი მოაზროვნე“ უწოდა, ენგელსმა კი „ძველი დროის ყველაზე უფრო უნივერსალური თავი“. ლენინი არისტოტელეს ფილოსოფიას აფასებდა, როგორც მერყევს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის[1]. ლენინის აზრით, არისტოტელე ასევე მერყეობდა დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის. ეხებოდა რა არისტოტელეს პოზიციას „პირველი მამოძრავებელის“ საკითხში, აღნიშნავდა, რომ „((რა თქმა უნდა ,ეს იდეალიზმია, მაგრამ იგი უფრო ობიექტურია და უფრო **დაშორებული, უფრო ზოგადი,** ვიდრე პლატონის იდეალიზმი, ამიტომაც ნატურფილოსოფიაში უფრო ხშირად=მატერიალიზმს))“[2]. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა არისტოტელეს ბრძოლას პლატონის ფილოსოფიური იდეალიზმის წინააღმდეგ. კერძოდ, მის ბრძოლას პლატონის იდეებზე მოძღვრების წინააღმდეგ. ლენინი წერდა: „როცა **ერთი** იდეალისტი **მეორე** იდეალისტის იდეალიზმის საფუძვლებს აკრიტიკებს, ამით მუდამ მოგებული რჩება **მატერიალიზმი.** შეად. არისტოტელე versus პლატონი etc, ჰეგელი versus კანტი etc[3]“.

არისტოტელე ცხოვრობდა 384 — 322 წწ. ძველი წელთაღრიცხვით. ის წარმოშობით ქალაქ სტაგეირადან იყო. მამამისი მაკედონიის მეფის ამინტა II-ის კარის ექიმი ყოფილა. 17 წლის არისტოტელე დაემოწაფა ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსს პლატონს, რომელსაც უსმენდა ის, დაახლოებით 20 წლის განმავლობაში. მაგრამ შემდეგში არისტოტელესა და პლატონის მსოფლმხედველობათა შორის სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა, არისტოტელემ დაიწყო თავისი მასწავლებლის მოძღვრების კრიტიკა და იძულებული იყო დაეტოვებია აკადემია. 343 წელს იგი მიწვეულ იქნა მაკედონიის სამეფო კარზე ალექსანდრე მაკედონელის აღსაზრდელად. 335 წელს კი ათენში ჩამოაყალიბა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ლიკეი, ანუ პერიპატეტული სკოლა (სიტყვიდან „პერიპატო“, რაც სეირნობას ნიშნავს, რადგან არისტოტელეს ჩვევად ჰქონდა მსმენელთათვის ლექციების გადაცემა სეირნობის დროს). ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ არისტოტელეს დევნა დაუწყეს როგორც მისმა, ისე ალექსანდრე მაკედონელის მოწინააღმდეგეებმა. ის იძულებული იყო გაქცეულიყო, რის შემდეგ ჩქარა გარდაიცვალა.

არისტოტელეს თხზულებებიდან აღსანიშნავია „მეტაფიზიკა“,

---

[1] ვ. ი. ლენინი. ფილოსოფიური რვეულები, თხზ., ტ. 38, 1963 წ., გვ. 291.
[2] იქვე, გვ. 287.
[3] იქვე, გვ. 287 — 288.

„სულის შესახებ“, „ფიზიკა“, „კატეგორიები“, „ტოპიკა“, „ანალიტიკა“ და სხვა. ფილოსოფიური შეხედულებანი არისტოტელეს, ძირითადად, გადმოცემული აქვს „მეტაფიზიკაში“, აგრეთვე ნაწარმოებში „სულის შესახებ“. არისტოტელეს მსოფლმხედველობა უაღრესად ფართოა და ყოვლისმომცველი. ის ეხება მისი დროის თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან პრობლემას, გარდა ამისა, არისტოტელე აჯამებს მის წინამორბედთა მიერ მიღებულ შედეგებს და იძლევა მათ კრიტიკას. არისტოტელეს მსოფლმხედველობის რამდენადმე მაინც სრული დახასიათება ასეთ პატარა წერილში, ცხადია, შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რამოდენიმე პრობლემით, რომელიც დააყენა, თუ გადაწყვიტა არისტოტელემ, რათა მკითხველს ზოგადი წარმოდგენა მაინც შევუქმნათ არისტოტელეს მსოფლმხედველობის შესახებ.

არისტოტელეს ფილოსოფია, საერთოდ, და მისი შემეცნების თეორია, კერძოდ, უაღრესად მჭიდრო კავშირშია წინამორბედთა ფილოსოფიურ სისტემებთან. არისტოტელე, უმეტეს შემთხვევაში, იმავე პრობლემებს ეხებოდა, რასაც მისი წინამორბედნი და ზოგჯერ მათგან მიღებული მემკვიდრეობის განვითარებასა და გაღრმავებას, ზოგჯერ მხოლოდ სისტემატიზაციას წარმოადგენდა. ყოველივე ეს კი მოითხოვდა არისტოტელეს მხრივ ამ მემკვიდრეობის არა ბრმად მიღებას, არამედ კრიტიკულ გადასინჯვას.

ასეთი კრიტიკული პოზიცია უჭირავს არისტოტელეს პითაგორელების მიმართ. ამ შემთხვევაში მათ მსოფლმხედველობათა შეხების წერტილს უსაზღვროების ანუ უსასრულობის საკითხი წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, პითაგორელებისათვის საწყისი უსასრულო ანუ უსაზღვრო იყო. პითაგორელები ამ საწყისის რეალური არსებობის მომხრენი იყვნენ. არისტოტელე პითაგორელებს სწორედ ამ პუნქტში დაესხა თავს, უარყო რა უსაზღვროების რეალური არსებობა, არისტოტელეს აზრით, უსაზღვროება არ წარმოადგენს ისეთსავე რეალურად არსებულს, როგორიცაა, მაგალითად, სახლი ან ადამიანი. **ექვემდებარება რა ის განუწყვეტელი ქმნადობის პროცესს, ყოველთვის განსხვავებული გვეჩვენება**[1].

ასხვავებდა რა მთელს უსასრულოსაგან, როგორც არამთელისაგან, აღნიშნავდა, რომ მთელს დაუსრულებლისაგან განსხვავებით, არ შეიძლება რაიმე მიემატოს ან დააკლდეს[2].

---

[1] არისტოტელე, ფიზიკა, 206 ვ.
[2] იქვე, 207 ა.

არისტოტელე შემდეგი არგუმენტებით უარყოფდა უსასრულობას:

1. შეუძლებელია უსასრულობა დავაშოროთ გრძნობად საგნებს; 2. ის ვერ გამოდგება საგანთა საწყისად, რადგან საწყისი განუყოფელია და არა უსაზღვრო და, მაშასადამე, უსაზღვროდ დაყოფადი; 3. ამავე მიზეზით, ე. ი. დაყოფადობის გამო, ის ვერც ელემენტი იქნება; 4. მას არ შეიძლება რეალური არსებობა ჰქონდეს, რადგან ის ისევე, როგორც ყოველი მისი ნაწილი, უსაზღვროდ დაყოფადია[1].

ამავე მიზეზით, არისტოტელე უარყოფდა საწყისობას რიცხვისა, რომელიც უმცირესის მხრივ სასრულოვანია, მაგრამ დაუსრულებელია მიმატების თვალსაზრისით. არისტოტელეს ყოველი დაუსრულებელი შეუცნობად მიაჩნდა[2], რაც მისთვის კიდევ ,ერთ დამატებით არგუმენტს წარმოადგენდა დაუსრულებელის რეალური არსებობის უარსაყოფად.

ყოველივე აქედან კი უფრო ზოგადი ხასიათის დასკვნა გამომდინარეობს: არისტოტელეს შეცნობადად მიაჩნდა საგნები, რომლებსაც რეალური ანუ ობიექტური არსებობა გააჩნდათ, წინააღმდეგ პოტენციალური, ʼარარეალური არსებობის მქონე საგნებისა, რაშიც ის უსაზღვრო მოვლენებს გულისხმობდა.

არისტოტელე დაუპირისპირდა ჰერაკლიტესა და სოფისტებს შემეცნების საკითხებში. არისტოტელე მათ აერთიანებდა და აკრიტიკებდა იმიტომ, რომ ისინი უარყოფდნენ ყოველივე მყარს, როგორც ობიექტურ სინამდვილეში, ისე აზროვნებაში, რითაც სპობდნენ ურთიერთგაგებას და, მაშასადამე, აზროვნებას. არისტოტელეს იმდენად აბსურდულად მიაჩნდა ყოველივე ეს, რომ ზედმეტად თვლიდა მათ წინააღმდეგ კამათსაც კი[3].

არისტოტელეს შეუძლებლად მიაჩნდა ერთსა და იმავე მოვლენაზე ერთსა და იმავე ვითარებაში ერთმანეთისადმი დაპირისპირებული აზრების გამოთქმა, რომელნიც ჭეშმარიტნი იქნებოდნენ[4]. ამიტომაც ებრძოდა პროტოგორას დებულებასაც იმის შესახებ, რომ ადამიანი არის საგნების საზომი და თუ ერთი და იგივე საგანი ზოგს მწარედ ეჩვენება, ზოგს ტკბილად, არისტოტელეს აზრით, ეს იმას

---

[1] არისტოტელე, ფიზიკა, 204 в.

[2] იქვე, 207 a.

[3] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1063 в.

[4] იქვე, 1011 в.

ნიშნავს, რომ ერთი მათგანი სწორს ამბობს და მეორე არა. და რომ ამიტომ ერთი მათგანი ჯანმრთელია, მეორე კი არა[1].

შემდეგ, არისტოტელე აღნიშნავდა იმასაც, რომ რაოდენ ძალიან არ უნდა იცვლებოდნენ შეგრძნებები, მათი არსება უცვლელია, სახელდობრ, ტკბილი ყოველთვის ტკბილია და მწარე ყოველთვის მწარე და ა. შ. და ასეთად დარჩება მომავალშიც[2].

არისტოტელემ იცოდა, რომ პროტაგორას ზემომოტანილ დებულებას მივყავდით ყოველივეს ჭეშმარიტად ან მცდარად აღიარებამდე, რაც აბსურდი იყო[3].

ყოველივე ამის სათავე, ე. ი. სათავე შეცდომისა, მისი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ყოველივეს მოძრავად აცხადებდნენ. არისტოტელე ებრძოდა როგორც ამას, ისევე მის საპირისპირო მტკიცებას, ყოველივეს უძრაობის შესახებ. ყოველივეს უძრავად გამოცხადება არისტოტელეს მიაჩნდა აზრის სისუსტედ, და არა მხოლოდ ფიზიკის, არამედ ყოველგვარი მეცნიერების უარყოფად.

ამრიგად, არისტოტელე, უარყოფდა რა როგორც ყოველივეს მოძრავად, ისევე უძრავად გამოცხადებას, მიდიოდა სამყაროში ერთიმეორის გვერდით, როგორც მოძრაობის, ისე უძრაობის დაშვებამდე და, მაშასადამე, როგორც მცდარი, ისე ჭეშმარიტი დებულებების არსებობის აღიარებამდე, რაც თავისებური კორექტივი, თუ განვითარება იყო სოფისტების მსოფლმხედველობისა.

მაგრამ არისტოტელე არ დაკმაყოფილებულა მთელ კოსმოსში ერთიმეორის გვერდით მოძრაობა-უძრაობის დაშვებით. მან ეს ორი მხარე თვით საგნებში აღმოაჩინა. არისტოტელე, წინააღმდეგ სოფისტებისა, ფიქრობდა, რომ არ არსებობს საგნის აბსოლუტური ცვალებადობა, სანამ ეს საგანი არსებობს და რომ ცვალებადი საგანი, ახალი თვისებების მიღებასთან ერთად, ინარჩუნებს ძველი თვისებების ნაწილს[4]. ამიტომაც თუ ერთსა და იმავე საგანზე არსებობს საწინააღმდეგო აზრი, რაც მისი ცვალებადობით არის გამოწვეული, ის საგნის სხვადასხვა მხარეს უნდა ეხებოდეს. უმეტეს შემთხვევაში, ერთი მათგანი საგნის წარმავალი მხარეების შესახებ უნდა იყოს გამოთქმული, მეორე კი მომავლისა. ასე რომ, საბოლოო ჯამში, ერთსა და იმავე ვითარებაში ერთსა და იმავე

---

[1] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1062 в.

[2] იქვე, 1010 в.

[3] იქვე, 1007 в.

[4] იქვე, 1010 a.

საგანზე ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრი არასოდეს არ გამოითქმის[1].

მართალია, არისტოტელე წინააღმდეგი იყო აბსოლუტური უძრაობის ან მოძრაობის დაშვებისა და მაშასადამე, მსჯელობის აბსოლუტური ჭეშმარიტების, ან მცდარობის დაშვებისაც, მაგრამ შემეცნების ობიექტი მისთვის მაინც მყარი იყო, თუმცა ისეთი მყარი, რომელიც ცვალებადში არსებობდა[2]. ცვალებადში მყარის ძიების ტენდენცია კი არისტოტელემ სოკრატესა და პლატონისაგან მემკვიდრეობით მიიღო, რითაც ის სოფისტებს დაუპირისპირდა. ამ ტენდენციამ მიიყვანა ის ფორმისა და შემდეგ კატეგორიების აღმოჩენამდე. მყარი ცვალებადში და ცვალებადის გვერდით — ასეთია არისტოტელეს შემეცნების ობიექტი, ასეთია მესამე კორექტივი, შეტანილი მის მიერ სოფისტიკაში.

პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიათა და აქედან გამომდინარე, მათი შემეცნების თეორიათა ურთიერთობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია თვით არისტოტელეს მსოფლმხედველობის არსის დადგენისათვის.

არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფიათა ურთიერთობის შესახებ ფილოსოფიის ისტორიკოსთა შორის, ძირითადში, ერთი საერთო აზრი არსებობს, რაც შემდეგზე დაიყვანება — არისტოტელე, მართალია, კრიტიკულ დამოკიდებულებაშია პლატონის ფილოსოფიასთან, მაგრამ ამავე დროს ბევრ რამეს სესხულობს იქიდან და ამიტომ დიდად არის დავალებული მისგან.

ღრმადაც რომ არ ჩავიხედოთ არისტოტელეს ფილოსოფიაში, მხოლოდ ის ფაქტი, რომ არისტოტელე 20 თუ 17 წლის განმავლობაში იყო პლატონის მოწაფე, ყურადღებას ითხოვს არისტოტელეს ფილოსოფიის მკვლევართაგან. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეს ასეთ ხანგრძლივ ყოფნას აკადემიაში გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მთელ მის ფილოსოფიურ მოღვაწეობაზე, რაც ცხადია, მასწავლებლის მიმართ მარტო კრიტიკულ დამოკიდებულებაში ვერ გამოვლინდებოდა. არისტოტელეს მიერ პლატონის ფილოსოფიასთან მიმართების შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა „მეტაფიზიკა“, სადაც არისტოტელე თავს უყრის პლატონის იდეებზე მოძღვრების წინააღმდეგ მიმართულ არგუმენტებს.

1. არისტოტელეს ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით პლატონმა საგნებისაგან დაცილებული იდეების დაშვებით საგნების რიცხვი

[1] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1010 b.

[2] იქვე, 1037 a.

გააორმაგა. 2. თუ იდეები საგანთა არსებაა, შეუძლებელია, ფიქრობს არისტოტელე, რომ მათ „იქ“ სხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდეთ, ვიდრე „აქ“. 3. თუ საგნები იდეებს ეზიარება, ან უერთდება, იდეებსა და საგნებს შორის უნდა იყოს რაღაც „მესამე“, საერთო იდეებსა და საგნებს შორის, შემდეგ კიდევ რაღაც მეოთხე, საერთო მესამე იდეასა და საგნებს შორის და ა. შ. მაშასადამე, პროცესი დაუსრულებელი იქნება. 4. იდეებს, რომლებიც საგნებში არ იმყოფებიან, საგნებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. 5. იდეებისაგან საგნები არ მიიღება არც ერთი იმ გზით, რომელზეც პლატონი ლაპარაკობს, რადგან საგნები შეიძლება წარმოიშვნენ და მოისპონ იდეებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. გარეშე იმისა, არსებობენ თუ არა იდეები. 6. იდეებსაც უნდა ჰქონდეთ თავისი იდეა და ამრიგად, ერთი და იგივე იდეა იქნება, როგორც ნიმუში, ისევე ასლი, რაც დაუშვებელი იყო პლატონის მოძღვრების მიხედვით. 7. არ შეიძლება, რომ არსება არსებობდეს იმისაგან ცალკე, რის არსებასაც ის წარმოადგენს. 8. იდეების არსებობისდა მიუხედავად, საგნები მაინც არ წარმოიშვებიან, თუ არ არსებობს მოძრაობის მიზეზი. 9. საგანთა არსება არ შეიძლება რიცხვი იყოს, რადგან ამ შემთხვევაში საგანიც რიცხვი უნდა ყოფილიყო. 10. თუ საწყისი რიცხვი არაამქვეყნიურია, მაშინ საგნებიც ასეთნი უნდა ყოფილიყვნენ. 11. თუ საგნები წარმოადგენენ დამოკიდებულებას რიცხვებს შორის, მაშინ მათ საფუძვლად უნდა ჰქონდეთ რაღაც სხვა, რომლის ურთიერთობასაც ისინი გამოხატავენ. 12. საგანთა საწყისები ვერ იქნებიან ვერც რიცხვის შემადგენელი ერთეულები, რადგან მათ თვისებები არა აქვთ და საგანთა სიმრავლეს ვერ წარმოშობს ვერც მათი შეერთება და ვერც დაშორება. 13. არისტოტელეს აზრით, პლატონმა ვერ გადაწყვიტა ვერც მოძრაობის საკითხი, რადგან მასთან იდეები უძრავი იყვნენ და ამიტომ გადაუწყვეტელი რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან ჩნდებოდა მოძრაობა. 14. პლატონმა და მისმა მიმდევრებმა ვერც საგანთა ერთიანობის საფუძველი მონახეს, რადგან ზოგადის გამოყოფით კონკრეტულისაგან ვერ დაადგინეს ყოველივეს ერთიანობა, არამედ მიიღეს რაღაც დამოუკიდებელი, რომელიც საგანთა ერთიანობას ვერ გვიხსნის. 15. არისტოტელეს შეუძლებლად მიაჩნდა ყველა საგანთა საწყისი ელემენტების შეცნობა, რადგან ამ ელემენტების შეცნობამდე ადამიანს არაფერი არ უნდა სცოდნოდა. 16. თუ ყველა საგანი შედგება ერთი და იმავე ელემენტებისაგან, მაშინ საგნები უნდა გვცოდნოდა აღქმამდე, რაც შეუძლებელია. 17. რადგან ყოველ საგანს მრავალი მხარე აქვს, აუცილებელია, რომ თვითეულ მათგანს რამოდენიმე იდეა ჰქონდეს, მაგრამ

ეს შეუძლებელია იდეების საგნებისაგან დამოუკიდებელი არსებობის გამო. 18. თუ ერთი და იგივე იდეა გამოხატავს როგორც ორფეხიანობას, ისევე მრავალფეხიანობას, მაშინ ერთსა და იმავე იდეაში საწინააღმდეგო თვისებები ყოფილა გაერთიანებული, რაც არისტოტელეს დაუშვებლად მიაჩნია. 19. პლატონს აუხსნელი დარჩა იდეების წარმოშობის გზა. 20. თუ იდეა საერთოა ბევრი საგნისათვის, ის მათში ვერ იარსებებს. 21. მარადიული საწყისები არ შეიძლება არსებობდნენ, რადგან აუხსნელი რჩება, თუ როგორ არიან ისინი ერთდროულად როგორც წარმავალი, ისევე წარუვალი საგნების საწყისები. 22. საწყისად არც გეომეტრიული სხეულები გამოდგებიან, რადგან ისინი დამოუკიდებელნი არ არიან, არამედ წარმოადგენენ დამოუკიდებელის რაღაც საზღვარს. 23. საგნები იდეებისაგან არ წარმოიშობიან არც ერთი იმ გზით, რაზეც იდეების არსებობის მომხრენი უთითებენ. რადგან, თუ იდეები საგანთა არსებებია, მათ ძირითადში ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ, როგორც საგნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იდეებსა და საგნებს მხოლოდ სახელი ექნებათ საერთო. 24. როდესაც იდეების არსებობის მომხრენი იდეებს უშვებენ საგანთა დამოკიდებულების აღსანიშნავად, ამით ისინი საგანთა დამოკიდებულებას საგნებზე წინარე არსებობას მიაწერენ, რომელთა დამოკიდებულებასაც ისინი წარმოადგენენ. ეს კი დაუშვებელია არისტოტელეს თვალსაზრისით. 25. თუ იდეები ერთეული საგნებია, მათი განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა.

არისტოტელეს იდეებზე მოძღვრების კრიტიკა მოცემული აქვს „ფიზიკაშიც", სადაც აღნიშნავს, რომ საგნებს მათი მათემატიკური ან გეომეტრიული მხარე შეიძლება ჩამოსცილდეს მხოლოდ გონებით, აბსტრაქციის გზით და არა ფაქტიურად. როგორც თვით არისტოტელეც აღნიშნავს, ამ კრიტიკის მიზანი იყო იმის გამორკვევა, არსებობს თუ არა რაიმე სხვა არსი შეგრძნებადი მოვლენების გვერდით.

ამ არგუმენტთა საფუძველზე კი არისტოტელე ასკვნიდა, რომ იდეები იმ ფორმით, როგორც ამას იდეათა მომხრენი უშვებენ, არ შეიძლება არსებობდნენ[1]. და რომ ამიტომ ისინი უარყოფილი უნდა იქნან.

როგორც ვხედავთ, არისტოტელე პლატონის მოძღვრებას იდეების საგანთაგან გამოცალკევების გამო აკრიტიკებდა. სწორედ ამიტომ არ გამოდგებიან ისინი საგანთა არსებობის, წარმოშობის,

[1] არისტოტელე. მეტაფიზიკა, 1039 в.

მოძრაობის და სხვა დანარჩენი მხარეების, თუ თვისებების ასახსნელად, ფიქრობდა ის. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არისტოტელეს კრიტიკა გაპირობებული იყო არა მარტო მეტაფიზიკურონტოლოგიური, არამედ გნოსეოლოგიური ინტერესებითაც. არისტოტელესთვის იდეები არ გამოდგებოდნენ არა მხოლოდ საგანთა არსებობის ასახსნელად, არამედ მათ შესაცნობადაც. გარდა ამისა, ისინი თვით ხდებოდნენ შეუცნობელნი, მიღმური არსებობის გამო. ამ სიძნელეებიდან მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი იყო— იდეების თვით საგნებში შეტანის ანუ ზოგადის კონკრეტულშივე მოთავსებისა და არისტოტელემაც სწორედ ამ მიმართულებით განავითარა სოკრატე-პლატონისაგან დაწყებული ძიება. მან პლატონისაგან მიღმა გატანილი ზოგადი ისევ მიწაზე აღმოაჩინა, რითაც კაცობრიობა გამოიყვანა პლატონის ფილოსოფიით შექმნილი ჩიხიდან და შემდგომი წინსვლისა და განვითარების პერსპექტივები გადაუშალა.

მაგრამ შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ არისტოტელე ამ შემთხვევაში თანმიმდევარი იყო? რომ მისთვის ზოგადი, როგორც შემეცნების საგანი ყველგან ობიექტური, მატერიალური იყო? შორს რომ არ წავიდეთ, „მეტაფიზიკაშივე", სადაც ასეთი პრინციპული კრიტიკაა იდეებისა, გვხვდება ადგილები, რომლებიც მოწმობენ არისტოტელეს მიერ იდეებისმაგვარ რეალობის დაშვებას. რომ არა ვთქვათ რა ფორმაზე, რომელიც შემდეგში პლატონის იდეების როლს თამაშობდა, არისტოტელეს უძრავი მამოძრავებელიც სხვა არა იყო რა, თუ არა რაღაც სუროგატი პლატონის იდეებისა, მისი უმაღლესი იდეისა მაინც[1]. არისტოტელე მეორეგან უფრო გარკვევით მიუთითებს, რომ ესაა რეალობა, რომელსაც არა აქვს მატერია, რომ იგი ყოველივეს ამოძრავებს ისე, რომ თვით არ მოძრაობს[2].

საგნების და მათი თვისებების ფორმებიც მხოლოდ პლატონის იდეების სახეცვლილებანი იყვნენ. არისტოტელეს ფორმა ისევე უპირისპირდებოდა უსაზღვრო მატერიას, როგორც პლატონის იდეები. როგორც პლატონთან, არისტოტელესთანაც მატერია იყო ქაოტური, უსაზღვრო, სახის არმქონე, სადაც წესრიგი და გარკვეულობა ფორმას შექონდა. ასე დაიკავა მასთან მატერიამ პლატონის „სხვის" ადგილი, ხოლო ფორმებმა — იდეებისა. ამას გარდა, არისტოტელესათვის სახეები და გვარები ისევე მარადიულნი იყვნენ, როგორც პლატონის იდეები.

[1] არისტოტელე. მეტაფიზიკა, 1073 a.
[2] იქვე. 1074 a.

რით იყო გამოწვეული არისტოტელეს ეს კომპრომისი პლატონიზმის წინაშე? — ეს იყო შედეგი მისი ცდისა — დაეძებნა შემეცნებისათვის, როგორც უმაღლესი ფსიქიური უნარისათვის, შესატყვისი ობიექტი.

ასეთ ობიექტად კი, მისი აზრით, არ გამოდგებოდა კონკრეტული, მატერიალური საგანი, რადგან, როგორც ის აღნიშნავდა, მეცნიერება არ სწავლობდა კონკრეტულ ადამიანს — სოკრატეს, არამედ ადამიანობას საერთოდ. ე. ი. ზოგადს. ასე ჩამოყალიბდა არისტოტელესთან შემეცნების ზოგადი, არამატერიალური, მარადიული ობიექტი. მაგრამ ეს ნიშნები ჰქონდა პლატონის იდეასაც. ყოველ შემთხვევაში, პლატონი მას ამ ნიშნებს სიტყვით მაინც მიაწერდა, თუ არა საქმით. და აი, პლატონისაგან განსხვავებით, არისტოტელემ მათ მატერიალური საგნებისაგან დამოუკიდებელი არსებობა წაართვა და ისევ მატერიალურსავე საგნებში მოათავსა: რითაც ის, თითქმის, გამოეხმაურა სოკრატეს. მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ უკან დაბრუნება სოკრატესკენ, არამედ ეს იყო ამავე დროს მისგან დაშორებაც, რადგან არისტოტელე აქ არ შეჩერებულა. ასე დადგენილმა შემეცნების ობიექტმა მიიყვანა ის ცნობილ მოძღვრებამდე კატეგორიების შესახებ, საერთოდ, ლოგიკის მეცნიერებამდე, რაც შემდეგ, როგორც ფილოსოფიის, ისევე მეცნიერებათა განვითარების ქვაკუთხედად იქცა.

არისტოტელეს თხზულებებში არის როგორც ისეთი ადგილები, რომლებიც მას ინდუქციის მომხრედ წარმოგვიდგენდნენ, ისე ისეთიც, რაც მას დედუქციის მომხრედ გვიხასიათებენ. კერძოდ, „ფიზიკაში“ არისტოტელე აღნიშნავს, რომ ჯერ ზოგადი ცოდნა უნდა დავალაგოთ საგანზე და შემდეგ შევეხოთ უკვე საგნისათვის დამახასიათებელ ცალკეულ მხარეებსო[1]. მისი აზრით, საჭიროა კვლევა მიემართებოდეს ზოგადიდან კერძოობითისაკენ[2]. ანიჭებდა რა დედუქციას უპირატესობას ინდუქციასთან შედარებით, მოითხოვდა ჯერ სილოგიზმისა და შემდეგ დასაბუთების განხილვას, იმ მოსაზრებით, რომ პირველი მეორესთან შედარებით უფრო ზოგადია[3].

ყოველივე ეს კი გამომდინარეობდა იქიდან, რომ არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდა ზოგადის ცოდნას, კონკრეტულთან შედარებით. მისი აზრით, მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს ყოვლად

1 არისტოტელე. ფიზიკა, 189 ვ.
2 იქვე, 184 ა.
3 არისტოტელე. ანალიტიკა, I, 25 ვ.

მომცველი ცოდნა, ვინც ზოგადი იცის[1]. ცოდნა ზოგადისა იმიტომ არის სხვა სახის ცოდნაზე უფრო ღირებული, არისტოტელეს აზრით, რომ ის დამოუკიდებელია და მიზანს თავის თავში ატარებს, იმიტომ მხოლოდ ის არსებობს თავის თავისთვის და არა სხვისთვის[2]. ყველაზე უფრო სრულყოფილი ცოდნა მაშინ შეიძლება გვქონდეს, როდესაც საგნის არსება ვიცით და არა მაშინ, როდესაც საგნის ამა თუ იმ მხარეს ვწვდებით მხოლოდ[3], რაც აგრეთვე, აშკარად, ზოგადი ცოდნისათვის უპირატესობის მინიჭებას ნიშნავდა კონკრეტულის წინაშე. არისტოტელეს აზრით, იმათ, ვინც კონკრეტული, ფაქტობრივი მდგომარეობა იციან, ნაკლებ ღირებული ცოდნა გააჩნიათ, ვიდრე იმათ, რომლებმაც იციან მიზეზები[4]. იგულისხმება რატომ? — რადგან მეორეთ უფრო ზოგადი ცოდნა აქვთ პირველებთან შედარებით[5]. მართალია, არისტოტელე დროული არსებობის მიხედვით, პირველადად თვლის კონკრეტულ, ერთეულ საგანს, სადაც ფორმა და მატერია ერთად გვხვდება, მაგრამ ცნების მიხედვით კი მისთვის არსება, ზოგადია პირველი[6].

თუ დავეყრდნობით მხოლოდ ამ მასალებს, შეიძლებოდა მივსულიყავით დასკვნამდე, რომ არისტოტელე მხოლოდ დედუქციის მომხრეა. მაგრამ არსებობენ მასალები, რომლებიც იძლევიან საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობასაც. თუმცა ასეთი მასალები შედარებით მჭლედ არის მოცემული არისტოტელეს თხზულებებში. მაგალითად, „ნიკომახეს ეთიკაში“ არისტოტელე ხაზს უსვამს, რომ საჭიროა განსხვავებულ იქნას როგორც ის მეთოდი, რომელიც პრინციპებიდან მოედინება, ისევე ის, რომელიც მიდის პრინციპებისაკენ[7], რაც ფაქტიურად, როგორც ინდუქციის, ისე დედუქციის გამოყენების მოთხოვნას გულისხმობდა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ცდის“ არისტოტელესეული განსაზღვრება. „ცდა“ მისთვის ერთსა და იმავე საგანზე მოგონებათა რიგს წარმოადგენს[8]. ცოდნა კი მაშინ წარმოიქმნება, როდესაც გროვდება მრავალი ცდა, გამოცდილება და ამის საფუძველზე მიიღება ზოგადი წარმოდგენა საგნებზე[9]. მაშასადამე,

1 არისტოტელე. მეტაფიზიკა, 982 ა.
2 იქვე, 982 ვ.
3 იქვე, 1028 ვ.
4 იქვე, 981 ა.
5 იქვე.
6 არისტოტელე. ცხოველთა ნაწილების შესახებ, 646 ა.
7 არისტოტელე. ეთიკა, წ. I, § 2.
8 არისტოტელე. მეტაფიზიკა, 980 ვ.
9 იქვე, 981 ა.

აღქმიდან მოგონებისაკენ, მოგონებიდან ცდისაკენ, ხოლო ცდიდან ცოდნისაკენ. ასეთია არისტოტელეს მიერ მიღებული ინდუქციური გზა ზემოხსენებული დედუქციურის გვერდით, ზოგადიდან, არსებიდან და მიზეზებიდან რომ იწყებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ არ იქნებოდა სწორი არისტოტელე მხოლოდ დედუქციური მეთოდის მომხრედ გამოგვეცხადებინა, რადგან არისტოტელე იყენებდა და იცავდა როგორც ინდუქციას, ისევე დედუქციას.

დასასრულ, უნდა შევეხოთ არისტოტელეს მეთოდის ცალკეულ, უფრო კონკრეტულ მხარეებს. კერძოდ, არისტოტელე არა ერთხელ იმეორებს აზრს იმის შესახებ, რომ კვლევა უნდა მიემართებოდეს ჩვენთვის მეტად ცნობილი მოვლენებიდან თუ დებულებებიდან ბუნებრივად უფრო ცნობილი მოვლენებისა თუ დებულებებისაკენ. სხვაგან არისტოტელე აღნიშნავდა, რომ კვლევა უნდა დაწყებულიყო ნაკლებ ცნობილი და ადვილად მისაწვდომი ობიექტიდან.

არისტოტელეს შემეცნების თეორიის მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს შემეცნების ობიექტის საკითხს არისტოტელესთან. არც ამ საკითხზეა გარკვეული და საბოლოოდ დადგენილი აზრი მკვლევართა შორის. ასე რომ, ეს საკითხიც პრობლემატურ საკითხთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

თუ როგორია თვით არისტოტელეს პოზიცია ამ საკითხში, უნდა გადაწყდეს კონკრეტული მასალების საფუძველზე არისტოტელეს თხზულებებიდან. როგორია ეს მასალები?

ერთი მხრივ, არისტოტელე აღნიშნავს, რომ შემეცნების ობიექტი წინ უსწრებს შემეცნებას, რომ უმეტეს შემთხვევაში ცოდნა მაშინ გვაქვს, როდესაც ცოდნის ობიექტებს ცოდნის წინარე არსებობა გააჩნიათ. არაა შემთხვევა, რომ ცოდნა და ცოდნის ობიექტები ერთდროულად ჩნდებოდნენ; რომ ცოდნის ობიექტის არარსებობა სპობს ცოდნას, მაშინ როდესაც არა გვაქვს შებრუნებული მდგომარეობა, რომ არცოდნა ცოდნის ობიექტსა სპობდეს, რადგან თუ არა გვაქვს ცოდნა, შესაძლებელია არსებობდნენ თვით ობიექტები. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს არისტოტელე აღქმისა და აღქმის ობიექტის შესახებ, აღქმის ობიექტი არსებობს აღქმამდე და აღქმის არარსებობა ან შეწყვეტა არ სპობს აღქმის ობიექტს. „ფიზიკაში" არისტოტელე ავითარებს აზრს, რომ ჩვენი წარმოდგენის შინაარსი დამოკიდებულია მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტისაგან.

შემეცნების ობიექტს არისტოტელე განსაზღვრავს, როგორც

არსებას, არსება კი სხვებზე არაა დამოკიდებული, არამედ მათგან დამოუკიდებელია და ყოველივე სხვა მასზეა დამოკიდებული. არისტოტელე იმასაც კი აღნიშნავს, რომ ზოგადი ერთეულ საგანზეა დამოკიდებული.

უფრო ღრმად ზოგადისა და ერთეულის ურთიერთობის საკითხი არისტოტელეს ნაკვლევი აქვს თხზულებაში „სულის შესახებ", სადაც ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ გრძნობადი საგნების გარდა, დამოუკიდებლად არაფერი არ არსებობს. აზრის საგანს კი არისტოტელე შიფრავს, როგორც აბსტრაქციას, ზოგადს[1]. ამიტომაც აღნიშნავდა ის, რომ ვისაც შეგრძნებები არა აქვს, მან არც არაფერი იცის[2].

არისტოტელე დამოუკიდებელ არსებობას მხოლოდ ერთეულ საგანს ანიჭებს. რაც შეეხება ზოგადს, ის ყოველთვის სხვაზე ითქმის, გამოხატავს რა ყოველთვის „ასეთ"-ს ან „ისეთ"-ს და არასოდეს „იმას" ან „ამას", რაც მას სხვისაგან დამოკიდებულსა ხდის. არისტოტელე ამავე მოტივით უპირატესობას აძლევს ერთეულ საგანს საწყისთან, ელემენტთან და მიზეზთან შედარებით[3]. სინამდვილე პირველ ადგილზე იმყოფება, როგორც ლოგიკური ფორმულირების მიხედვით, აღნიშნავს არისტოტელე, ისევე არსებობის თვალსაზრისითაც[4]. მეორეგან არისტოტელე დასძენს, რომ ის პირველია დროშიც[5]. და ყოველთვის ფორმისა და მატერიის ერთიანობას წარმოადგენს. ასეთია შემეცნების ობიექტი არისტოტელესთვის; ერთი მხრივ, რაც სინამდვილეში შეგრძნებების ობიექტს ნიშნავს.

მეორე მხრივ, არისტოტელე აღნიშნავს ამ ობიექტის ნაკლოვან მხარეებს, რაც მას შემეცნების უფრო უნაკლო ობიექტის ძიებას უკარნახებს, როგორც პლატონს. ერთეული საგნის ეს ნაკლოვანი მხარე, ძირითადში იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიშობა და ისპობა, რაც მატერიასთან მისი კავშირით არის გაპირობებული. ზოგადი კი, როგორც მატერიისაგან დაცილებული, მარადიულია. მართალია, ზოგადიც შეიძლება არსებობდეს, ან არ არსებობდეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის არ წარმოიშობა და არ ისპობა. რაც ერთეული საგნისათვის აუცილებელია და გარდუვალი[6].

1 არისტოტელე, სულის შესახებ, 3, VIII, 5, 3.
2 იქვე, 3, VIII, 5, 3.
3 არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1040 в.
4 იქვე, 1049 в.
5 იქვე.
6 იქვე, 1039 в.

სწორედ ესაა საგანი მეცნიერებისა. მეცნიერება, რომელიც ყოველგვარ ცოდნაზე მაღლა დგას, მოითხოვს ობიექტს, რომელიც ყოველი სხვა სახის ცოდნაზე უკეთესი იქნება[1]. მეორეგან არისტოტელე ამ ობიექტს ყველაზე უფრო ძვირფასსა და ღვთაებრივს უწოდებს[2]. მაგრამ არისტოტელე ამაზე არ ჩერდება, მიდის უფრო შორს, როცა აღნიშნავს, რომ აზროვნების ეს ობიექტი მისთვის გარეშე კი არაა, არამედ მასშივეა მოცემული, რომ აზროვნება და აზროვნების ობიექტი, საბოლოო ჯამში, ერთი და იგივეა, რომ აზროვნება მოიაზრებს არა რაღაც გარეშეს, არამედ თავისსავე თავს[3]. ყოველივე ამას კი არისტოტელე იმით ხსნის, რომ აზრს აქვს ობიექტად ისეთი რამ, რაც არაა დაკავშირებული მატერიასთან[4] და ამრიგად, აზროვნება აზრის მოაზრებად იქცევა მასთან[5].

ასე გაჩნდა არისტოტელესთან შემეცნების ორი ობიექტი: ერთი მხრივ, სხეულებრივი, მატერიალური, ერთეული, მატერიალური თვისებების: განფენილობის, ადგილმდებარეობის ქმნადობა-წარმავლობის და სხვათა მქონე. მეორე მხრივ, ზოგადი, დროისა და სივრცის გარეშე მყოფი, უცვლელი და გარდუვალი. აქედან პირველი შეგრძნებების საგნად იქცა, მეორე კი ჭეშმარიტი შემეცნებისა და მაშასადამე, მეცნიერების. პირველია მატერიალური, მეორე კი იდეალური. პირველი ობიექტები ხან არსებობენ და ხან არა და ამიტომ ხან იძლევიან ცოდნას და ხან კი არა. მეცნიერების ობიექტი — ზოგადი კი, რომელიც არსებობს მუდმივად, წარმოადგენს ცოდნის წყაროს და ურყევ ცოდნასაც გვაძლევს. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთეულს აქვს წარმოშობა-ქმნადობის უნართან ერთად დამოუკიდებელი არსებობის უნარიც, ორივე შემეცნების ობიექტია, ოღონდ წარმავალი საგნები დაბალ საფეხურზე, ზოგადი კი — მაღალ საფეხურზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არისტოტელე ყველა მეცნიერებათაგან ასხვავებდა ფილოსოფიის ობიექტს. ასეთად კი საგანთა საწყისებისა და მიზეზების კვლევა მიაჩნდა[6]. ამიტომ ის მეცნიერებას მიზეზთა შესახებ, ანუ ფილოსოფიას, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მეცნიერებად თვლიდა.

---

[1] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1072 в.
[2] იქვე, 1074 в.
[3] იქვე, 1072 в.
[4] იქვე, 1075 а.
[5] იქვე, 1074 в.
[6] იქვე, 982 в.

მოტანილი მასალების საფუძველზე არ შეიძლება იმის თქმა, თუ რომელს მისცა არისტოტელემ უპირატესობა თავის შემეცნების თეორიაში — ერთეულსა თუ ზოგადს. ის მათ სხვადასხვა თვალსაზრისით იხილავდა და სხვადასხვა თვალსაზრისითვე აძლევდა უპირატესობას.

სხვა საკითხებთან შედარებით, საკითხი შეგრძნებების შესახებ არისტოტელეს უფრო დეტალურად აქვს დამუშავებული. ამ საკითხის ზოგიერთი მხარე მას გადაწყვეტილიც აქვს, ზოგიერთის შესახებ კი მხოლოდ პრობლემა აქვს დაყენებული.

არისტოტელე როგორც აზროვნებაში, ისევე შეგრძნებებში ასხვავებდა მათ არსებობას შესაძლებლობაში და სინამდვილეში. პოტენციალურად არსებული შეგრძნება კი განხორციელებისათვის საჭიროებს პირობებს. არისტოტელე შეგრძნებას ადარებდა იმ საწყის მასალას, რომლის ასაალებლადაც რაღაც ზემოქმედება იყო საჭირო. უკვე განხორციელებული შეგრძნება გრძნობის სხვადასხვა ფორმაში ვლინდება და ის შეგრძნება კი აღარაა, არამედ გრძნობაა.

შეგრძნება, ფიქრობდა არისტოტელე, იღებს საგანთა ფორმას და არა მატერიას, როგორც სანთელი, რომელიც აღბეჭდავს საგანთა მხოლოდ გარეგან გამოსახულებას, მატერიის გარეშე. შეგრძნებათა ადგილსამყოფელად კი მას გული მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ის ამას გარკვევით ამბობდა გემოვნებისა და შეხების შეგრძნების შესახებ, რომ შეგრძნება და მთელი ფსიქიკა დაკავშირებულია სისხლთან. ყველაზე უფრო ძლიერი შეგრძნების უნარი აქვთ იმ ცხოველებს, რომლებსაც უფრო სუფთა და თხელი სისხლი აქვთ. ასეთი ცხოველების ფსიქიკაც სხვებთან შედარებით, უფრო მეტად არის რაფინირებული[1]. არისტოტელეს აზრით, სუფთა სისხლის მქონეთ მეტი შემოქმედებითი უნარი აქვთ, ხოლო თხელი და ცივი სისხლის მქონეთ კი მეტი აზროვნების უნარი[2].

არისტოტელესთან გვხვდება ისეთი ადგილებიც, სადაც გატარებულია საწინააღმდეგო აზრი, რომ ადამიანები შეგრძნებებს აღიქვამენ არა სისხლით, არამედ ხორცით ან რაღაც მისდაგვარით. თვით სისხლს კი შეგრძნების უნარი არ გააჩნია. ეს უნარი არა აქვს არც ქონს. და მთელი სხეული რომ ქცეულიყო ან სისხლად ან ქონად, მას არ ექნებოდა უნარი შეგრძნებისა[3].

როგორ შევათანხმოთ ყოველივე ეს ზემოთქმულთან? არისტოტელეს ამის შესახებ არა აქვს არავითარი მითითება. საფიქრე-

---

[1] არისტოტელე. ცხოველთა ნაწილების შესახებ, 650 в
[2] იქვე, 647 а.
[3] იქვე, 651 в.

ზელია, რომ არისტოტელე სისხლს თვლიდა აუცილებლად შეგრძნებების მიღებისათვის, მაგრამ მხოლოდ ის არ მიაჩნდა ამისათვის საკმარისად.

არისტოტელემ იცოდა, რომ ყოველი შეგრძნების ორგანოს აქვს თავისი აღქმის ობიექტი. კერძოდ, მხედველობის ობიექტად ასახელებდა ფერს, სმენისას ბგერას და ა. შ. მაგრამ ამავე დროს ფიქრობდა, რომ არსებობენ ისეთი თვისებებიც, რომელიც საერთოა რამოდენიმე შეგრძნების ორგანოსათვის, ასეთთა შორის ასახელებდა მოძრაობას, უძრაობას, რიცხვს, ფიგურას, სიდიდეს და ა. შ.

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ აღქმული და აღქმა ერთდროულად არ არსებობენ, და რომ აღსაქმელი წინ უსწრებდა აღქმას. ამრიგად, არისტოტელე ყოველგვარი ეჭვის გარეშე აყენებდა იმას, რომ აღქმის გამომწვევი აგენტები გარედან მოქმედებენ. ავითარებდა რა ამ აზრს, აღნიშნავდა, რომ თვისობრივი ცვალებადობა არის შედეგი გრძნობად-აღქმადი საგნების ზემოქმედებისა[1]. არისტოტელეს სიამოვნება-უსიამოვნების შეგრძნებებიც გარეობიექტების ზემოქმედებიდან გამოჰყავდა[2]. ამ აგენტებს არისტოტელე ახასიათებდა როგორც მოძრავთ და ცვალებადთ[3], ამ მხრივ, არისტოტელე შეგრძნებების ობიექტებს გონებისას უპირისპირებდა, რომელიც მას უცვლელად მიაჩნდა.

მაგრამ არისტოტელეს არ გამორჩენია მხედველობიდან სუბიექტ-ობიექტის მჭიდრო კავშირი, ის, რომ შეგრძნებები დამოკიდებულია არა მარტო ობიექტზე, არამედ სუბიექტზე და მის მდგომარეობაზე და ამიტომ შეგრძნებებს სუბიექტ-ობიექტის კავშირის ვითარებაში იხილავდა[4]. რომ შეგრძნებების შესაძლებლობიდან სინამდვილეში გადასვლისას არსებობს არა მარტო ის, რასაც წარმოვიდგენთ, ე. ი. წარმოდგენის შინაარსი, არამედ მისგან დამოუკიდებელი ობიექტიც, ამას გარდა, დრო, როდესაც მას წარმოვიდგენთ, აგრეთვე შეგრძნებები და მათი მდგომარეობა, ერთი სიტყვით, პირობები, რომლებშიც შეგრძნებები ხორციელდება[5].

არისტოტელეს აზრით, ჭეშმარიტება არაა თვით საგნებში, არამედ მსჯელობაში საგნების შესახებ, რადგან მსჯელობისას რაღაცას რაღაცას ვაწერთ, ან არ ვაწერთ. მსჯელობა კი შეიძლება იყოს, რო-

---

[1] არისტოტელე, ფიზიკა, 245 ვ.
[2] იქვე, 247 ა.
[3] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1609 ვ.
[4] იქვე, 248 ა.
[5] იქვე, 1011 ა.

[illegible] ჭეშმარიტი, ისე მცდარი[1]. ამრიგად, ჭეშმარიტება ან შეცდო- [illegible] არისტოტელე [illegible] აღნიშნავდა, [illegible] შეგრძნებებს უნდა ვენდოთ, რომ ისინი არასოდეს არ სცდებიან, [illegible] შეცდომა აზროვნებაშია[2]. არისტოტელე ამიტომაც წინააღმდეგი [illegible] აზროვნებისა და შეგრძნებების გაიგივებისა, რადგან შეგრძნე- [illegible] აზრით, ახასიათებს ყველას, აზროვნება კი არა[3]. რადგან [illegible] ებს საქმე აქვთ ცალკეულ, კონკრეტულ საგნებთან, ისინი [illegible] ლება სცდებოდნენ შეცდომა მხოლოდ შეკავშირებაშია[4]. [illegible] ტელე ასხვავებდა შეგრძნებებს წარმოდგენებისა და შეხე- [illegible] ბისაგან და ფიქრობდა, რომ შეგრძნებები ყოველთვის ჭეშ- [illegible] არიან. წარმოდგენები და შეხედულებები კი მხოლოდ ზოგ- [illegible] შეგრძნებებისათვის ასეთი ნდობის გამოცხადება მას შემდეგ, [illegible] ტონმა სრულიად უარყო ისინი, პროგრესულ ნაბიჯს წარმო-

[illegible] ვდა, რომ ჭეშმარიტი ცოდნა გვაქვს მაშინ, [illegible] იმას ვთვლით, რაც სინამდვილეში [illegible] ებულია და პირიქით, დაშორებულად იმას ვთვლით, რაც [illegible] ეშიც ასეა. სიცრუე კი ამ მხრივ უპირისპირდება ჭეშმა-

[illegible] არისტოტელე ავითარებდა რა ამ აზრს, აღნიშნავდა, [illegible] ეშმარიტება ჭეშმარიტად არსებულთან უნდა იყოს თანხმობა- [illegible] ეს კი გამოყოფს მას არაჭეშმარიტებისაგან[6].

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ შეცდომები შეიძლება იყოს [illegible] რაც. მაგრამ ამას არისტოტელე მიაწერდა არა თვით [illegible] ბს, არამედ იმას, რაც შეგრძნებებს ახლავს თან და [illegible] ხვევით სდევს მას[7]. არისტოტელეს შეცდომის უფრო [illegible] ი განსაზღვრებაც მოეპოვება. შეცდომა, მისი აზრით, [illegible] იტების უარყოფაა[8]. შეცდომა წინააღმდეგ ჭეშმარიტე- [illegible] ქრობს არისტოტელე, აკავშირებს ისეთ მხარეთ, რომლებიც [illegible] ეში არ არიან დაკავშირებულნი, ანდა პირიქით, აშორებს

---

[1] არისტოტელე, სულის შესახებ, r 7, VI.
[2] [illegible]
[3] [illegible] VI, 10, 2
[4] [illegible] 1027 ვ
[5] [illegible] ეთიკა, 1, § 8.
[6] [illegible] ტელე, სულის შესახებ, r 20, 12.
[7] [illegible] ტელე, მეტაფიზიკა, 1012 ვ.

ისეთ მხარეთ, რომელთა დაშორება აგრეთვე არ შეიძლება[1]. მეორე მხრივ, არისტოტელეს მტკიცებით, ჭეშმარიტებაში დაუშვებელია წინააღმდეგობა და რომ ის თავის თავთან უნდა იყოს შეთანხმებული[2], რაც თანხმობაში იყო მის მიერ არაერთგზის გამოთქმულ დებულებასთან იმის შესახებ, რომ ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულება ერთდროულად, ერთს ვითარებაში ჭეშმარიტი არ შეიძლება იყოს.

ყოველივე ეს არა მხოლოდ ჭეშმარიტებისა და შეცდომის არსის განსაზღვრებაა, არამედ ჭეშმარიტების კრიტერიუმის განსაზღვრებაც არის. ყოველივე აქედან ცხადი ხდება, რომ არისტოტელესთვის ჭეშმარიტება ჩვენი აზრის სინამდვილესთან შეთანხმებაში მდგომარეობს, შეცდომა კი სინამდვილიდან დაცილებაში.

არისტოტელეს ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ის მაღლა აყენებს ჭეშმარიტებას პლატონზე, თუმცა მისთვის ორივე ძვირფასია, თავისებური გამოყენებაა ამ კერძო შემთხვევისათვის მისი დებულებისა ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ. თუ მისთვის ჭეშმარიტება, საერთოდ, არის აზრის სინამდვილესთან შეთანხმება, ამ შემთხვევაში მისი კრიტიკა პლატონის მოძღვრებისა, დამოუკიდებელია პლატონთან მისი ურთიერთობისაგან და გაპირობებულია პლატონის შრომებით მხოლოდ, რომლებიც მის ასეთ კრიტიკას იმსახურებენ.

ჭეშმარიტების შესახებ არისტოტელეს შეხედულებების ცალკეული კონკრეტული საკითხებიდან აღსანიშნავია ის, რომ არისტოტელე ამტკიცებდა აბსოლუტური ჭეშმარიტების შედარებითიდან მიღების შესაძლებლობას. ცალკეული პიროვნებანი, წერდა არისტოტელე, ან არაფერს ან ძალიან მცირეს უმატებენ საბოლოო ჭეშმარიტებას, მაგრამ როდესაც ყოველივე ეს გროვდება ერთად, მიიღება საკმაოდ დიდი ჭეშმარიტება, დიდი ცოდნა[3].

თუ გავითვალისწინებდით მხოლოდ იმას, რაც ზემოთ იყო თქმული, შეიძლება გვეფიქრა, რომ არისტოტელემ ჭეშმარიტება და მისი კრიტერიუმი ემპირისტულად გადაწყვიტა. მაგრამ ყოველივე ამის პარალელურად არისტოტელეს თხზულებანი საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამომუშავების საშუალებას იძლევიან. კერძოდ, „მეტაფიზიკაში“ ვხვდებით ადგილებს, რომელთა მიხედვით არისტოტელესათვის ჭეშმარიტი ცოდნა არ შეიძლება ემყარ-

[1] არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1051
[2] არისტოტელე. ანალიტიკა, 1, 32, 46, 40 — 47
[3] არისტოტელე. მეტაფიზიკა, 993 в.

[illegible]უდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაში მყოფ არსთ, ე. ი. [illegible]ლ ემპირიულ საგნებს, არამედ უცვლელსა და მარა[illegible] [illegible] არისტოტელე [illegible] საგნებად მიიჩნევს [illegible] [illegible]

[illegible] ჭეშმარიტების [illegible] მხოლოდ ემპი[illegible]

[illegible]ონის თავისებური გავლენა იყო.

[illegible] შეგრძნებები, როგორც ცოდნის და ჭეშმარიტების წყ[illegible] [illegible]ორც უკვე აღვნიშნეთ, არისტოტელე ამბობდა, რომ მსჯ[illegible] [illegible] იმის შესახებ, რომ რაიმე უძრავია. შე-[illegible] გარეშე [illegible] [illegible]ებელი იქნებოდა და მიმართული იქნებოდა არა მხოლოდ [illegible]ს, არამედ ყოველგვარი შემეცნების წინააღმდეგ[3].

[illegible]ამე, არც ჭეშმარიტების საკითხში ადგას არისტოტელე [illegible]ემპირიზმის ან მხოლოდ რაციონალიზმის გზას, არამედ და ორივეს და საკითხის გადაწყვეტა ორივეს შერწყმაში [illegible].

[illegible] [illegible]ი იყოს. არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ დაყენებულ პრობ-[illegible] განხილვასაც კი მრავალი წიგნი დასჭირდებოდა. ამიტომაც

[illegible]ტოტელე. მეტაფიზიკა, 1063 а.
[illegible] 1051 в
[illegible]ტოტელე, ფიზიკა, Q 253 а.

ცხადია, შესავალ წერილში შეუძლებელია არისტოტელეს ფილოსოფიის და „მეტაფიზიკაში“ დაყენებულ პრობლემათა ამომწურავი დალაგება. მით უმეტეს, რომ კომენტარებში, რომელიც ერთვის თარგმანს, მოცემულია, როგორც ძნელად გასაგებ ადგილთა განმარტება, ისე არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ცალკეულ თავთა მოკლე შინაარსებიც.

საჭიროდ მიგვაჩნია რამოდენიმე შენიშვნის გაკეთება ჩვენი თარგმანის შესახებ: თარგმანის პროცესში ჩვენ მოგვიხდა ზოგიერთი სიძნელის გადალახვა, რაც უპირველესად ყოვლისა, თვით არისტოტელეს ენის სპეციფიკაში მდგომარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არისტოტელეს ლაპიდარული სტილი, რაც „მეტაფიზიკის“ ცალკეული ადგილების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და აიძულებს მთარგმნელთ იყვნენ არა მარტო მთარგმნელნი, არამედ კომენტატორნიც. მკითხველი ნახავს, რომ ჩვენი კომენტარები, სხვა თარგმანების კომენტარებთან შედარებით, უფრო ძუნწია, რადგან შევეცადეთ, რომ არისტოტელეს ტექსტის მრავალი ადგილი თვით თარგმანშივე განგვემარტა, რათა მკითხველი ნაკლებ დაგვექანცა სქოლიოებში განუწყვეტელი ჩახედვით. ჩვენი თარგმანი, სხვა თარგმანთა კრიტიკული გადასინჯვაცაა, არისტოტელეს ტექსტის უკეთ გაგებისა და დაზუსტების მიზნით. კერძოდ, მკითხველი მასში ნახავს ცნობილი რუსი მთარგმნელის კუბიცკის და გერმანელი მთარგმნელის გოლკეს თარგმანებისადმი გაკეთებულ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნას.

მიზანი, რაც თარგმნის პროცესში გვამოძრავებდა, ერთი იყო: რაც შეიძლება ზუსტად გადმოგვეცა არისტოტელეს ღრმა ჩანაფიქრი და მისი სტილის საოცარი ლაპიდარობა. სხვათა შორის, ეს ყველაზე მეტად ქართველ მთარგმნელებს მოეთხოვებათ, რადგან აშკარად იგრძნობა ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე უფრო ადვილად შეიძლება ბერძნული ენის მთელი ნიუანსების გადმოცემა, ვიდრე ზოგიერთ სხვა ენაზე.

ჩვენი თარგმანი, როგორც პირველი ცდა ამ ურთულესი ნაშრომის გადმოქართულებისა, არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ რაოდენ დიდი ხარვეზებიც არ უნდა ახლდეს მას, ის, უდავოდ, სასარგებლო იქნება ბერძნული ფილოსოფიის ათვისებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წიგნი პირველი

თავი პირველი

[illegible]ენებით ყველა ადამიანი შემეცნებისაკენ ისწრაფვის. ამას
მოწმობს სიყვარული შეგრძნებებისადმი. ადამიანები ეტანებიან
შეგრძნებებს და განსაკუთრებით მხედველობითს შეგრძნებას, მათ- 980a
გან გამომდინარე სარგებლობისაგან დამოუკიდებლად. სხვა შეგრ-
ძნებებთან შედარებით მხედველობას ვაძლევთ უპირატესობას არა
მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე მოვიმოქმედოთ, არამედ მაშინაც,
როდესაც არაფრის გაკეთებას არ ვაპირებთ. ამის მიზეზი კი ის
არის, რომ ის სხვა შეგრძნებებზე უფრო მეტ ცოდნას გვაძლევს
და საგანთა მრავალ თვისებას ცხადყოფს[1].

ცხოველებს აქვთ ბუნებრივად თანდაყოლილი შეგრძნების
უნარი, საიდანაც ზოგს უჩნდება მეხსიერება, ზოგს კი არა. ამიტომ 980b
პირველნი უფრო მეტად გონიერნი და ცოდნის უკეთ შემთვისე-
ბელნი არიან, ვიდრე მეხსიერების უნარის არამქონენი. გონიერ
არსებათ, რომელთაც სმენის შეგრძნება არა აქვთ, არც შესწავლის
უნარი აქვთ. მაგალითად, ფუტკრებს და სხვა ამდაგვართ, თუკი
[illegible]ობენ, ხოლო ცოდნის ათვისების უნარი იმათ აქვთ,
[illegible]კ მეხსიერების გარდა სმენის უნარიც აქვთ.

[illegible]ელა სხვა ცხოველი ფანტაზიებითა და მოგონებებით ცხოვ-
[illegible] გამოცდილებას კი მცირედ ზიარებულა. ადამიანთა მოდგმა[2]
კი იყენებს, როგორც დახელოვნებას[3], ისე განსჯას. ადამიანებს
გამოცდილება მეხსიერებიდან ექმნებათ, რადგან ერთსა და იმავე
[illegible]აზე[4] მრავალ მოგონებას ერთი ცდის ძალა აქვს. როგორც
[illegible] თითქმის ეტოლება ცოდნასა და დახელოვნებას. ცოდნას 981a
[illegible]ოვნებას კი ადამიანები ცდის მეოხებით აღწევენ და
[illegible]რც პოლოსი[5] ამბობს, გამოცდილებამ დახელოვნება შექმნა,
[illegible]ელობამ კი შემთხვევა.

[illegible]ნება მაშინ წარმოიშვება, როდესაც ცდიდან მიღებულ
[illegible]ვალ მითითებათაგან მსგავს მოვლენათა შესახებ ერთი ზოგადი

შეხედულება გამოგვიმუშავდება. მაგალითად, თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ამა და ამ დაავადებისას კალიასს[6], სოკრატეს და ასევე სხვას მრავალს ამა და ამ საშუალებამ უშველა, გამოცდილებაა, ხოლო თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ იგი შველის ყველა ამდაგვარ ავადმყოფობას, იქნება ეს ანთება, ღვიძლის დაავადება თუ ციებ-ცხელება, — დახელოვნებაა. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, როგორც ჩანს, გამოცდილება დახელოვნებისაგან არაფრით არ განსხვავდება, პირიქით, გამოცდილნი უფრო მეტ წარმატებებსაც კი აღწევენ ხოლმე, ვიდრე გამოუცდელი თეორეტიკოსები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გამოცდილება ერთეული ფაქტების ცოდნაა, დახელოვნება კი ზოგადისა. ყოველი მოქმედება და წარმოშობა კი ერთეულს ეხება. მაგალითად, ექიმი კურნავს არა ადამიანს[7], ან თუ კურნავს, კურნავს შემთხვევით, არამედ კალიასს, ან სოკრატეს, ან სხვა ვინმეს, რომელიც ამავე დროს ადამიანიც არის. ამიტომ თუ ვინმეს აქვს რაიმე ცოდნა გამოცდილების გარეშე და იცის ზოგადი, მაგრამ ამ ზოგადში შემავალი ინდივიდები კი არ იცის, ის მკურნალობის დროს ხშირად შეცდება, რადგან განსაკურნავია ინდივიდი.

მაგრამ ჩვენი აზრით, ცოდნა და გაგების უნარი უფრო მეტად დახელოვნებულს აქვს, ვიდრე გამოცდილს, და დახელოვნებულთ, როგორც უფრო ბრძენთ, გამოცდილებზე მაღლა ვაყენებთ, რადგან ცოდნა ყველაზე მეტად სიბრძნეს ახლავს თან. ეს კი იმიტომ, რომ პირველთ მიზეზები იციან, მეორეებმა კი არა. [illegible] გამოცდილთ იციან „რა?“, მაგრამ „რატომ?“ არ იციან. დახელოვნებულებმა კი იციან „რატომ?“ და მიზეზი. ამიტომ მშენებლობის ხელმძღვანელთ
981b ხელოსნებთან შედარებით ყოველთვის უფრო პატივსაცემად და ბრძნად ვთვლით, რადგან მათ იციან რა მიზეზები იმისა, რაც კეთდება, უფრო მეტად მცოდნენი არიან. ხელოსნები კი, როგორც ზოგიერთი უსულო არსებები, მოქმედებენ, მაგრამ ისე, რომ არ იციან რას აკეთებენ, მაგალითად, როგორც ცეცხლი, რომელიც სწვავს. უსულო საგნები მოქმედებენ თავისი ბუნებისა და შესატყვისად ხელოსნები კი — ჩვეულებით. ამრიგად, სიბრძნეს პრაქტიკა კი არ იძლევა, არამედ განსჯა და მიზეზების ცოდნა.

საერთოდ მცოდნის არმცოდნისაგან [illegible] ნიშანია სწავლების უნარი. დახელოვნებასაც გამოცდილებასთან შედარებით მეტ ცოდნად ვთვლით. რადგან პირველით შესაძლებელია ცოდნის გადაცემა, მეორეთი კი არა.

გარდა ამისა, არც ერთი შეგრძნება არ მიგვაჩნია სიბრძნედ, რადგან ისინი თუმცა ინდივიდუალური მოვლენების შემეცნებას

...ს საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ არას გვეუბნებიან ...იზეზებზე. მაგალითად, კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომაა ...ცხელი? არამედ გვეუბნებიან მხოლოდ იმას, რომ ცეცხ... ცხელია.

მართლაც, აღმომჩენმა პირველი ნებისმიერი ხელოვნებისა, ...ც სცილდებოდა საერთო შეგრძნებების ფარგლებს, ადა...ის გაკვირვება გამოიწვია, არა მარტო იმიტომ, რომ მის რო... აღმოჩენას სარგებლობა მოჰქონდა, არამედ როგორც ... და სხვებისაგან განსხვავებულმა. აღმოჩენილ ხელოვნე... წილი აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ...ება, ნაწილი კი დროსტარებას დროსტარებისათვის გან... ლი ხელოვნებანი, პირველთან შედარებით უფრო დიდ ...ბრძნედ მიგვაჩნია. რადგან ის ცოდნა, რომელსაც ისინი შეიცა... ...ებლობას არ ემსახურება[8]. როდესაც ყველა ამდაგვარი ...ება შეიქმნა, უპირველეს ად ყოვლისა, ისეთ ქვეყნებში[9], სა... ...ამიანებს თავისუფალი დრო ჰქონდათ, აღმოჩენილ იქნა მეცნიერებანიც, რომელნიც არც სიამოვნებასა და არც ...ბელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას არ ემსახურე... ამიტომაც მათემატიკური მეცნიერებანი ყველაზე ადრე ჩამოყალიბდა, სადაც ქურუმთა წოდებას ყველაზე მე... ...უფალი დრო ჰქონდა.

...ში“[10] ჩვენ უკვე ნათქვამი გვქონდა, თუ რა განსხვავებაა ...ასა და სხვა ანალოგიურ დარგებს შორის. მაგრამ მიზე... ...ისა, რის გამოც ჩვენ აქ მათ შესახებ ვმაჯელობთ, არის ის, რომ ...დებული სიბრძნე, ყველას აზრით, პირველ მიზეზებსა და ...ეხება.

...გად, როგორც თავდაპირველად იყო ნათქვამი, ჩანს, რომ ...ილი ნებისმიერი შეგრძნების მქონეზე უფრო ბრძენია, 982a
...ებული — გამოცდილზე, მშენებლობის ხელმძღვანელი — ... თეორეტიკოსი — პრაქტიკოსზე.

...დ, ცხადია, რომ სიბრძნე რაღაც საწყისებისა და მიზეზების

თავი მეორე

...გან მეცნიერებას ვეძებთ, ამიტომ, ისიც უნდა განვიხი... ...რომელი საწყისებისა და მიზეზების ცოდნას წარმოად... ...ნე, რაც იმისათვის უფრო ჩქარა გახდება ნათელი, ...ყენებს ჩვენს მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ბრძე...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძენია უპირველესად ყოვლისა, ის, ვინც იცის ყველაფერი, რამდენადაც ეს მისთვის მისაწვდომია, ისე რომ, არ იცის მასში შემავალი ერთეულები. შემდეგ, ბრძენია ის, ვინც იცის ძნელად მისაწვდომი რამ, ე. ი. რის შეცნობა ადამიანებისათვის ადვილი არაა (მაგალითად, შეგრძნება ყველასათვის საერთოა, რადგან ადვილია, მაგრამ ის არავითარი სიბრძნე არაა). შემდეგ, ყველაზე ბრძენია ის, რომელსაც ყოველივეს მიზეზების შესახებ უზუსტესი ცოდნა[1] გააჩნია და ყველაზე უკეთ შეუძლია მათი სწავლება. მეცნიერებათა შორის კი ის მეცნიერება, რომელსაც უპირატესობას აძლევენ მისივე გულისათვის და შემეცნების მიზნით უფრო მეტად წარმოადგენს სიბრძნეს, ვიდრე ის, რომელსაც უპირატესობას აძლევენ მისგან გამომდინარე სარგებლობის გამო[2]. ასევე ხელმძღვანელი მეცნიერება უფრო მეტად არის სიბრძნე, ვიდრე დაქვემდებარებული, რადგან ბრძენს კი არ უნდა უბრძანებდნენ, არამედ ის უნდა მბრძანებლობდეს, და ბრძენი კი არ უნდა მორჩილებდეს სხვებს, არამედ მას უნდა მორჩილებდნენ მასზე ნაკლებ ბრძენნი.

ასეთი და ამდენგვარი შეხედულება გვაქვს ჩვენ სიბრძნისა და ბრძენთა შესახებ, რომელთაგან ყველაფრის ცოდნა სხვებზე უფრო მეტად აუცილებლად ზოგადის მცოდნეს გააჩნია, რადგან მან ასე თუ ისე იცის ყველა სუბსტრატი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებისათვის ყველაზე უფრო ძნელია უზოგადესის შეცნობა[3], რადგან ის ყველაზე უფრო მეტადაა დაშორებული შეგრძნებებიდან. ხოლო უზუსტესია ცოდნა უპირველეს გვართა შესახებ, რადგან ცოდნა, რომელიც ნაკლები ნიშნების შემცველ გვარს ეხება, უფრო ზუსტია იმასთან შედარებით, რომელსაც დამატებითი ნიშნები აინტერესებს, როგორც არითმეტიკა გეომეტრიასთან შედარებით. ასევე უფრო მეტი ცოდნის მოცემა შეუძლია მეცნიერებას, რომელიც მიზეზებს სწავლობს, რადგან, საერთოდ, ასწავლიან ისინი, რომლებიც ცალკეულ საგანთა მიზეზებზე მსჯელობენ. ცოდნა და
982b შეცნობა იმ მეცნიერებათა თვითმიზანია, რომლებსაც ყველაზე მეტად შეცნობადი ობიექტი აქვთ, რადგან, ვისთვისაც თვით ცოდნის შეძენაა მიზანი, პირველ რიგში ირჩევს ყველაზე უკეთეს ცოდნას. ასეთი კი არის ცოდნა ყველაზე მეტად შეცნობადი ობიექტის შესახებ ყველაზე მეტად შეცნობადი კი პირველი გვარები და მიზეზებია, რადგან მათი მეშვეობით და მათგან შეიცნობა ყველა დანარჩენი და არა პირიქით. მეცნიერებათა შორის უმაღლესი, და დაქვემდებარებულ მეცნიერებათა ყველაზე უკეთ წარმმართველია ის, რომელ-

მაც იცის, თუ რა მიზნით ხდება ყოველივე. ეს კი თვითეული საგნის სიკეთეა და საერთოდ, საუკეთესოა მთელს ბუნებაში.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, საძიებელი მეცნიერების ლი ხვდა იმავე მეცნიერებას, რომელიც პირველ საწყისებსა და ზებს სწავლობს. ხოლო სიკეთეცა და მიზანიც ერთ-ერთი მი- ია

რომ ეს მეცნიერება არ არის პრაქტიკული ხასიათის, ამას ცხადყოფს იმათი მოძღვრება, რომლებმაც პირველად დაიწყეს ფილოსოფოსობა. ადამიანები კი, როგორც თავდაპირველად, ისე ახლაც ირვების შედეგად იწყებენ ფილოსოფოსობას. დასაწყისში მათ რვებდათ უშუალო დაბრკოლებები. შემდეგ თანდათანობით შორს მიდიოდნენ და უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს დნენ. მაგალითად, პრობლემას მთვარეზე, მზეზე, ვარსკვლავებზე მიმდინარე პროცესებისა და ყოველივეს წარმოშობის მიზე- ების. ხოლო ვინც გრძნობდა სიძნელეებს და უკვირდა, იმან ისიც იცოდა, რაც არ იცოდა. ამიტომაც, ვისაც მითები უყვარდა, ასე თუ ისე ფილოსოფოსიც იყო, რადგან მითები საკვირველი მოვლენებიდან წარმოიშობა. ამრიგად, ფილოსოფოსობა დაიწყეს უცოდინარობის თავიდან აცილების გამო და ცხადია, რომ ცოდნას ეტანებოდნენ შემეცნების და არა რაიმე სარგებლობის მიზნით ამას ადასტურებენ ფაქტები. ჩემის აზრით, როცა მოპოვებული იყო ყოველივე აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, თვით ცხოვრების შემსუბუქებისა და დროსტარებისათვის, მაშინ იწყებოდა ასეთი ცოდნის ძიება. ცხადია, რომ მას არ ეძებდნენ რაიმე სხვა სარგებლობის მიზნით. როგორც თავისუ- ვუწოდებთ იმ ადამიანს, რომელიც არსებობს თავის თავისთვის და არა სხვისთვის, ასევე ცოდნათა შორის ერთადერთ თავისუფალ ცოდნად ვთვლით მხოლოდ იმას, რომელიც არსებობს თავისთვის. ამიტომაც ითვლება მისი მოპოვება არაადამიანურ საქმედ ადამიანები კი მეტწილად მონური ბუნებისანი არიან. და რც სიმონიდე ამბობს: „მხოლოდ ღმერთს აქვს ეს უპირატე- ადამიანი ღირსიც კი არაა იმისა, რომ ეძებდეს თავის ცოდნას. თუ პოეტები მართალს ამბობენ, და ღვთაებაც
ნია, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ ყველაზე უკეთესნი 983a
ზე უბედურნი არიან. მაგრამ ღვთაება არ შეიძლება შურ- , და როგორც ანდაზა ამბობს: „პოეტები[4] ხშირად ცრუო- ც სხვა რაიმე უნდა მივიჩნიოთ ღვთაებაზე უფრო მეტად ემის ღირსად, რადგან ყველაზე ღვთაებრივი ყველაზე ტივსაცემია. ასეთი კი ორი მოსაზრების გამო ერთი რამ

არის: რაც ყველაზე უფრო მეტად ღვთაებას [illegible], [illegible] კი არის ღვთაებრივი მეცნიერება და მეორე, რომელ[illegible] ღვთაებრივი ობიექტი [illegible] ორივე ეს თვალსაზრისი ამ ცოდნას [illegible] ჩვენი აზრით ღმერთია ყოველივეს მიზეზი [illegible] ამიტომ [illegible] მეცნიერება ან მხოლოდ ღმერთს, ან [illegible] უფრო მეტად ღმერთს შეიძლება ჰქონდეს [illegible] [illegible]

[illegible]

როგორც აქ ზემოთ ნათქვამი, [illegible] [illegible] ვებს, როგორც [illegible] ტისავე გვერდებთან

ამრიგად, აქ მსჯელობა ეხებოდა იმას, თუ როგორია [illegible] მეცნიერების ბუნება და მიზანი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მთელი ჩვენი კვლევა-ძიების მიმართულება

თავი მესამე

შევიცნობთ მიზეზებს. განსაზღვრულ დროში კი იმის განხილვა,
რასაც წევრთა განუსაზღვრელი რაოდენობა შეიძლება მიემატოს,
შეუძლებელია.

თავი მესამე

ლექციის გაგების ხარისხი დამოკიდებულია მსმენელთა ჩვეუ-
ლებებზე, რადგან მსჯელობაში ის მოგვწონს, რასაც მიჩვეულნი
ვართ, ყველაფერი სხვა კი შეუჩვევლობის გამო გვეჩვენება არა 995ა
ასეთად, არამედ გაუგებრად და უცხოდ. და ჩვენთვის ისაა გასა-
გები, რასაც მივეჩვიეთ. თუ რა ძალა აქვს ჩვეულებას, ეს კარგად
ჩანს კანონებში, სადაც მითიური და ბავშვური მხარე, ჩვეულების
გამო, ბევრად ჭარბობს მათს ცოდნას. ზოგს არაფერი არ ეამის
ორატორისა, თუ ის ისე არ მსჯელობს, როგორც მათემატიკოსი,
ზოგი მაგალითების მოტანას მოითხოვს ორატორისაგან, ზოგი კი
პოეტთა აზრების დამოწმებას. ზოგს ყველაფერში სიზუსტე მოს-
წონს, ზოგი კი უფრთხის სიზუსტეს, ან იმიტომ რომ ჰგონია, რომ
ფაქტთა გაერთიანებას ველარ შესძლებს, ანდა ის უმნიშვნელოდ

მიაჩნია. მართლაც, სიზუსტეს ახასიათებს რაღაც ისეთი, რასაც ხელშეკრულებების დადებისას და მონების მსჯელობაში ვხვდებით. მაგრამ, საჭიროა შევისწავლოთ, რამდენად მისაღებია თვითეული ამ მეთოდთაგანი, რადგან უაზრობაა ერთდროულად როგორც მეცნიერული, ისე მეთოდიკური ხასიათის კვლევის წარმოება. მაგრამ არც თვითეული ზემოხსენებული მეთოდის გამოყენებაა ადვილი. მაგალითად, მათემატიკური სიზუსტის მოთხოვნა შეიძლება არა ყველგან, არამედ მხოლოდ არამატერიალურ საგნებში. მაშასადამე, ეს მეთოდი გამოუსადეგია ბუნების მიმართ, რადგან ბუნება მთლიანად მატერიალურია. ამრიგად, პირველ რიგში საკვლევია, თუ რაა ბუნება. მაშინ ცხადი გახდება, თუ რას სწავლობს ბუნებისმეტყველება და ერთი, თუ მრავალი მეცნიერება უნდა სწავლობდეს საწყისებსა და მიზეზებს.

წიგნი მესამე

თავი პირველი

უპირველესად ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, თუ პირველ რიგში რა უნდა იკვლიოს საძიებელმა მეცნიერებამ. ეს ის საკითხებია, რაც ზოგიერთმა სხვაგვარად გაიგო, ან რაც შემთხვევით გამორჩა. ვისაც სიძნელეების გადაჭრა სურს, მისთვის მიზანშეწონილია მათი კარგად გათვალისწინება. რადგან წინამორბედი საკითხების გადაჭრა მომდევნოთა ამოხსნაც არის. მაგრამ ამოხსნა შეუძლებელია საკვანძო საკითხების გათვალისწინების გარეშე, რასაც ჩვენი აზროვნებითი ძიება ნათელყოფს ფაქტებზე. დაბრკოლებაში მყოფი დაახლოებით იმას განიცდის, რასაც შებორკილი ადამიანი, რადგან ორივე შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელია. მაშასადამე, საჭიროა წინასწარ მთელი სიძნელეების გათვალისწინება, როგორც ამ 995b
მიზნით, ისე იმიტომაც, რომ მკვლევარმა, რომელმაც თავიდანვე არ გაითვალისწინა სიძნელეები, ჰგავს ადამიანს, რომელმაც არ იცის, საით წავიდეს. გარდა ამისა, ის ვერ იპოვის იმას, რასაც ეძებს და თუ იპოვის, ვერ მიხვდება, რადგან ასეთი ადამიანისათვის მიზანი ნათელი არაა. ის ნათელია იმისათვის, ვინც სიძნელეები წინასწარ გაითვალისწინა. ამას გარდა, დასკვნის გაკეთება ყველაზე უკეთესად იმას შეუძლია, ვინც როგორც ბრალმდებელმა, ყველა მოწინააღმდეგე მხარეს მოუსმინა.

პირველი საკითხი, რომელსაც ჩვენ უკვე შევეხეთ შესავალში, შემდეგია: მიზეზებს ერთი მეცნიერება სწავლობს, თუ მრავალი? აგრეთვე ამ მეცნიერებამ მხოლოდ არსთა პირველი საწყისები უნდა განიხილოს, თუ ყოველივეს მტკიცების საფუძვლებიც? მაგალითად, დასაშვებია ერთდროულად ერთი და იგივეს მტკიცებაცა და უარყოფაც, თუ არა? და ასევე ყველა სხვა ამდაგვარი საკითხები.

თუ არსებობს მეცნიერება სუბსტანციის შესახებ, საჭიროა

გაირკვეს ასეთი მეცნიერება ერთია თუ მრავალი? თუ ბევრია, მონათესავენი არიან, თუ ზოგი მათგანი სიბრძნეს განეკუთვნება და ზოგი კი სხვა რამეს?

გადაუდებელ კვლევას მოითხოვს აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ მხოლოდ შეგრძნებადი სუბსტანციები არსებობს, თუ ამათ გარდა, სხვაც და ერთგვარნი არიან ისინი, თუ მრავალგვარნი? როგორც იდეების თეორიის მომხრენი უშვებდნენ იდეებს და მათემატიკურ რიცხვებს, იდეებსა და შეგრძნებად საგნებს შორის. ყველაფერი ეს მოითხოვს მოფიქრებას, როგორც ვთქვით და აგრეთვე ის, შემეცნება ეხება მხოლოდ სუბსტანციებს, თუ მათ შემთხვევით ნიშნებსაც[1]. ამას გარდა, რა სწავლობს ერთსა და იგივეს და სხვას, მსგავსსა და განსხვავებულს, დაპირისპირებულს, წინამორბედსა და მომდევნოს და ყოველივე სხვა ამდაგვარს, რომელთა გარკვევასაც ცდილობენ დიალექტიკოსები მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ დებულებებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, უნდა გაირკვეს არა მხოლოდ თავისთავად არსთა შემთხვევით ნიშანთა არსი, არამედ მათ შორის არსებული წინააღმდეგობაც. აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რაა წარმოადგენენ საწყისები და ელემენტები, გვარებს თუ იმ ნაწილებს, რაზეც ყოველი საგანი დაიშლება? თუ ეს გვარებია, არიან ისინი უკანასკნელნი, რაც ერთეულ საგნებზე ითქმის, თუ პირველნი? მაგალითად, რომელია უფრო მეტად საწყისი და ინდივიდუალურ საგნებზე უფრო მეტად არსებული, ცხოველი თუ ადამიანი?

განსაკუთრებით უნდა შესწავლილ და დამუშავებულ იქნას საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა მატერიის გარდა, სხვა თავისთავადი მიზეზი და დამოუკიდებლად არსებობს ის, თუ არა? რიცხობრივად ერთია ის, თუ მრავალი? არსებობს თუ არა მთელის გარდა სხვა რაიმე (მთელში მე ვგულისხმობ მატერიის ნებისმიერ განსაზღვრებას), თუ ზოგჯერ არსებობს და ზოგჯერ არა და არსებულის როგორი სახეა ის?

996ა შემდეგ, ლოგიკური და მატერიალური საწყისები რიცხობრივად არიან განსაზღვრული, თუ თვისობრივად? როგორია მოკვდავ და უკვდავ საგანთა საწყისები? ერთი და იგივეა, თუ სხვადასხვა? ე. ი. ყველას უკვდავი საწყისი აქვს, თუ მოკვდავთ მოკვდავი?[2]

შემდეგ, ყველაზე ძნელი და დიდად საეჭვოა საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ერთი და არსი? არის ის არსებულთა არსება, როგორც პითაგორელები და პლატონი ამბობდნენ, თუ რაღაც სხვა სუბსტრატი, როგორც ემპედოკლე ასახელებდა მეგობრობას, სხვები კი ზოგი ცეცხლს, ზოგი წყალსა და ჰაერს? საკვლევია აგრეთვე, თუ როგორი საწყისებია ისინი: ზოგადი თუ ისეთი, როგორც ინდივიდუალური საგნები და არსებობენ ისინი შესაძლებლობაში, თუ სინამდვილეში? შემდეგ იმყოფებიან ისინი მოძრაობაში, თუ სხვა რამენაირად არსებობენ? ამ საკითხსაც დიდი დავის გამოწვევა შეუძლია. ამას გარდა, რიცხვები, ხაზები, ფორმები და წერტილები წარმოადგენენ რაღაც სუბსტანციას, თუ არა? თუ სუბსტანციას წარმოადგენენ, დაშორებული არიან ისინი გრძნობადი მოვლენებისაგან, თუ მათშივე არსებობენ? ყველა ამ საკითხში არა მხოლოდ ძნელია ჭეშმარიტების მიკვლევა, არამედ ადვილი არაა ყველა მათგანის ხეირიანად სიტყვით გადმოცემაც კი

თავი მეორე

როგორც თავდაპირველად ვთქვით, უპირველესად ყოვლისა, დასადგენია ყველა სახის მიზეზებს ერთი, თუ რამოდენიმე მეცნიერება სწავლობს. ერთი მეცნიერება როგორ შეისწავლიდა იმ საწყისებს, რომლებიც ერთმანეთს არ უპირისპირდებიან და არც მრავალი არსის საწყისები არიან? მაგალითად, როგორ შეიძლება, რომ უძრავ საგნებს მოძრაობის საწყისი ან სიკეთის ბუნება ჰქონდეთ, თუ ყოველივე, რაც არსებობს, თავისთავად სიკეთეა და ამ ბუნების გამო იმ მიზეზსა და მიზანს წარმოადგენს, რომლისთვისაც იქმნება და არსებობს სხვა. მიზანი ანუ ის, რისთვისაც არსებობს სხვა, არის მიზანი რაღაც მოქმედების, ხოლო ყოველგვარი მოქმედება მოძრაობის შედეგად არსებობს. ასე რომ, უძრავ საგნებს არ შეიძლება ასეთივე საწყისი ჰქონდეთ და არც თავისთავად სიკეთეა შეიძლება წარმოადგენდნენ. ამ მიზეზის საშუალებით არც მათემატიკაში მტკიცდება რამე და არც სხვა რამე უკეთესი ან უარესი მტკიცება არსებობს. არც ვინმე ოდესმე ახსენებს რაიმე ამგვარს. რადგან მათემატიკაში არავინ არ მსჯელობს სიკეთესა და ბოროტებაზე ამიტომ ზოგიერთ სოფისტს, მაგალითად, არისტიპეს, სძულთ 996ბ
ის[2]. ყველა სხვა მეცნიერებაში და ხელობაშიც კი, როგორიცაა დურგლობა და მეწაღეობა, მსჯელობა ყოველთვის ეხება იმას, თუ რაა უკეთესი და უარესი მაგრამ თუ მიზეზების შესახებ არსებობს მრავალი მეცნიერება და თვითეული მათგანი სხვადასხვა საწყისს ეხება, რომელი ამათგანია ის მეცნიერება, რომელსაც ვეძებთ? ან იმ ობიექტს, რომელსაც ვიკვლევთ, რომელი შეისწავლის ყველაზე უფრო მეტად? შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე საგანს მიზეზთა ყველა სახე ახასიათებდეს, როგორც მაგალითად,

სახლის მამოძრავებელია მშენებლობა და მშენებელი, მიზანია შენობა, მატერია მიწა და ქვა, ფორმაა სახლის ცნება. სიბრძნის ჩვენს მიერ ზემომოტანილი განსაზღვრება უდგება ყველა მეცნიერებას. ის მეცნიერება კი, რომელიც უმთავრესი და წარმმართველია, რომლისადმი წინააღმდეგობის გაწევა ისევე არ შეუძლიათ სხვა მეცნიერებებს როგორც მონებს, ის მეცნიერება, რომელიც ერთსა და იმავე დროს სწავლობს როგორც მიზანს და სიკეთეს, ე. ი. იმას, რისთვისაც არსებობს ყოველივე სხვა, ასევე პირველ მიზეზებსა და ყველაზე მეტად შეცნობად ობიექტებს, არის მეცნიერება არსების შესახებ.

ერთსა და იმავე საგანს მრავალნი სწავლობენ, მაგრამ ამათგან ყველაზე უფრო მცოდნეს ვუწოდებთ იმას, ვინც იცის, თუ რას წარმოადგენს, ან რას არ წარმოადგენს საგანი. შესაძლებელია საგანი ერთმა მეორეზე უკეთ იცოდეს. მაგრამ ყველაზე უკეთ იცის იმან, ვინც იცის არსება და არა იმან. ვინც იცის საგნის რაოდენობრივი ან თვისობრივი მხარე, მოქმედება, ან ვნება. ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც, მაშინაც კი, სადაც მტკიცება შეიძლება, ჩვენი აზრით, მაშინ ვიცით საგანი. როდესაც ვიცით, თუ რას წარმოადგენს ის. მაგალითად, რას ნიშნავს კვადრატის აგება? ეს ნიშნავს საშუალო პროპორციულის დაძებნას. ასევე სხვა შემთხვევებშიც. წარმოშობა, მოქმედება და ცვალებადობა მაშინ ვიცით, როდესაც ვიცით მოძრაობის საწყისი, რომელიც განსხვავდება მიზნისაგან და ეწინააღმდეგება მას. ასე რომ, საფიქრებელია. რომ თვითეულ ამ მიზეზს სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს.

საძიებელია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ. რომ ერთი და იგივე, თუ რამოდენიმე მეცნიერების ობიექტია მტკიცებათა საფუძვლები. საფუძვლებს იმ ზოგად შეხედულებებს ვუწოდებთ, საიდანაც მტკიცდება ყოველივე. დებულებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ყოველივეს ან მტკიცება, ან უარყოფა, რომ ერთსა და იმავე დროს ყოფნა და არყოფნა შეუძლებელია და სხვა ამგვარს სწავლობს იგივე მეცნიერება, რომელიც სწავლობს სუბსტანციებს, თუ სხვა? თუ იგივე, რა უნდა ვუწოდოთ იმ მეცნიერებას, რომელსაც ახლა ვიკვლევთ? არ იქნებოდა გონივრული, ის რომ ერთი და იგივედ ჩაგვეთვალა. მაგალითად, რატომ უნდა იყოს ეს საფუძვლები უფრო მეტად გეომეტრიის ან სხვა ნებისმიერი მეცნიერების დაკვირვების საგანი? როგორიც არ უნდა იყოს ეს საფუძვლები, შეუძლებელია, რომ ის ყველა მეცნიერების ობიექტი იყოს. არც სუბსტანციის შემსწავლელი და არც სხვა მეცნიერება შეიძლება
997a იყოს ეს. ან როგორ უნდა იყოს შესაძლებელი მათი შემეცნება? თუ

რას წარმოადგენს თვითეული ეს საწყისი, ჩვენ ეს ახლა ვიცით. მათ, როგორც ცნობილთ, სხვა მეცნიერებანიც იყენებენ. თუ ისინი მტკიცებას ექვემდებარებიან, მათ ექნებათ რაღაც სხვა საფუძვლებიც და მაშინ პირველნი თვისებები იქნებოდნენ, ესენი კი აქსიომები. რადგან შეუძლებელია ყველაფრის მტკიცების არსებობა, არამედ აუცილებელია, რომ მტკიცება იწყებოდეს სადღაც, რაღაცას ეხებოდეს და რაღაც მიზანი ჰქონდეს.

ამრიგად, ყოველივეს, რაც მტკიცდება, რაღაც ერთი გვარი აქვს, რადგან ყოველ მტკიცებაში მეცნიერება აქსიომებს ემყარება.

მაგრამ თუ მტკიცებათა საფუძვლების და არსებათა მეცნიერება სხვადასხვაა, მაშინ რომელი ამათგანია უმთავრესი და პირველი? აქსიომები ყველაზე მეტად ზოგადნი და ყველაფრის საწყისები არიან. და თუ არა ფილოსოფოსმა, სხვამ ვინ უნდა გაარკვიოს მათ შესახებ ჭეშმარიტება და სიცრუე?

საერთოდ, ყველა არსებას ერთი მეცნიერება სწავლობს, თუ მრავალი? თუ ერთი არა, მაშინ რომელ არსებას სწავლობს ის მეცნიერება, რომელსაც ვიკვლევთ? მაგრამ ყველა არსებისათვის ერთი მეცნიერების დაშვება არ იქნებოდა გონივრული. ამ შემთხვევაში ყველა შემთხვევითი ნიშნის შესახებაც ერთი მტკიცებითი ხასიათის მეცნიერება იარსებებდა, თუ ყველა მტკიცებითი მეცნიერება რომელიმე სუბსტრატის შემთხვევით ნიშნებსაც ზოგად დებულებებზე დაყრდნობით იკვლევს. ამრიგად, ერთი გვარის ნიშნებს უნდა სწავლობდეს ერთი მეცნიერება იმავე დებულებებზე[3] დაყრდნობით და საგანსა და მის შემადგენელ ნაწილებს უნდა სწავლობდეს ან იგივე, ან სხვა მეცნიერება, ასე რომ, ამ საგნის შემთხვევით ნიშნებსაც ან იგივე მეცნიერებანი განიხილავენ, ანდა ამათგან ერთ-ერთი.

შემდეგ. ერთი მეცნიერება სწავლობს მხოლოდ სუბსტანციებს, თუ სწავლობს მათ შემთხვევით ნიშნებსაც? მე მხედველობაში მაქვს ის, რომ თუ სხეული, ხაზი და სიბრტყე რაღაც სუბსტანციებს წარმოადგენენ, ერთი და იგივე თუ სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს როგორც ამათ, ისე თვითეული ამ გვარის შემთხვევით ნიშნებს, რომელთა შესახებ მტკიცებებს მათემატიკურ მეცნიერებებში ვხვდებით? თუ ერთი და იგივე მეცნიერება სწავლობს, მაშინ მეცნიერება სუბსტანციის შესახებ რაღაც მტკიცებითი მეცნიერებაც იქნება მაგრამ არა მგონია, რომ არსების მტკიცება შეიძლებოდეს. მაგრამ თუ მათ სხვადასხვა მეცნიერება ეხება, რომელი სწავლობს არსების შემთხვევით ნიშნებს? ამის ახსნა უაღრესად ძნელია

შემდეგ, მხოლოდ შეგრძნებადი სუბსტანციები არსებობენ, თუ
მათ გარდა რაღაც სხვაც? აგრეთვე სუბსტანციათა ერთი, თუ მრა-
997B ვალი გვარი არსებობს, როგორც ამტკიცებენ ისინი, რომლებიც
უშვებენ იდეებსა და შუალედს, რაც, მათი აზრით, მათემატიკის
შესწავლის ობიექტია თუ რას ნიშნავს ის, რომ იდეები არიან მიზე-
ზები და თავისთავადი სუბსტანციები, ამის შესახებ უკვე ნათქვამია
ზემოთ

ამ მრავალ სიძნელეთა შორის არა ნაკლებ საკვირველია მტკიცება იმის შესახებ, რომ ცის ქვეშ არსებულთა გარდა, არსებობენ რაღაც სხვა მოვლენები, რომლებიც იგივე შეგრძნებადი საგნები არიან, იმ განსხვავებით, რომ ერთნი მარადიულნი არიან, მეორენი კი წარმავალნი. ისინი იმის მეტს არაფერს არ ამბობენ, რომ უშვებენ თავისთავად ადამიანს, ცხენსა და ჯანმრთელობას. დაახლოებით ისე, როგორც ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსებობენ ღმერთები, რომლებიც ადამიანებისმაგვარნი არიანო. ესენიც არაფერს არ აკეთებენ იმის გარდა, რომ ადამიანს ამარადიულებენ. ასევე იდეების მომხრენიც მხოლოდ გრძნობად საგნებს ამარადიულებენ.

მრავალ სიძნელეებს წააწყდება ისიც, ვინც იდეებისა და გრძნობადი საგნების გარდა, რაღაც შუალედ მოვლენებს დაუშვებს. ცხადია, რომ როგორც თავისთავადსა და გრძნობად ხაზებს შორის არსებობენ რაღაც სხვა ხაზები, ასევე უნდა არსებობდეს ყოველ სხვა გვარშიც[4]. თუ ყოველივე ამას მხოლოდ ასტრონომია ეხება, მაშ. გრძნობადი ცის გარდა უნდა არსებობდეს რაღაც ცა, აგრეთვე მზე, მთვარე და სხვა ამგვარი ციური სხეულები. როგორ დავიჯეროთ ეს? უაზრობაა რომ ის უძრავი ყოფილიყო, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ მოძრავი ყოფილიყო. ასევეა იმ საგნებში, რომლებსაც ოპტიკა იკვლევს და მათემატიკური მოძღვრება ჰარმონიის შესახებ. ამავე მიზეზით შეუძლებელია, რომ ეს მოვლენები გრძნობადი საგნებისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. თუ შეგრძნებადნი და შეგრძნებები არსებობენ შუაში, მაშინ თავისთავად და მოკვდავ ცხოველს შორის რაღაც ცხოველები იქნებოდნენ.

სიძნელეს წარმოადგენს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ არსებულის რომელ სფეროს უნდა იკვლევდნენ ეს მეცნიერებანი? თუ გეომეტრია ნიადაგმცოდნეობისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ პირველის ობიექტია არაგრძნობადი. მეორისა კი გრძნობადი, მაშინ ცხადია, რომ მედიცინის გვერდით უნდა ყოფილიყო რაღაც სხვა მეცნიერება, თავისთავად მედიცინასა და ჩვენს მედიცინას შორის და ასევე ყველა სხვა შემთხვევებშიც. მაგრამ რამდე-

ნად დასაშვებია ეს? რადგან ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო
რაღაც ჯანმრთელი არსებები შეგრძნებადთა და თავისთავად ჯან-
მრთელთა შორის. ამავე დროს არც ისაა ჭეშმარიტი, რომ თითქოს
ნიადაგმცოდნეობა იყოს მეცნიერება გრძნობადი და წარმავალი
სიდიდეების შესახებ, რადგან ის მათ მოსპობისთანავე მოისპობო-
და. არც ასტრონომია უნდა სწავლობდეს გრძნობად სიდიდეებს 998a
და ციურ სხეულებს. არც შეგრძნებადი ხაზებია ისეთი, რომლის შესახებ გეომეტრი მსჯელობს, რადგან გრძნობად საგნებში არაფერია ზუსტად სწორხაზოვანი ან მრგვალი. რადგან წრე ეხება სწორ ხაზს არა წერტილში, არამედ ისე, როგორც ამას პროტაგორა ამტკიცებდა, როდესაც გეომეტრებს ებრძოდა. არც ცის მოძრაობა და ბრუნვა ჰგავს იმ საგანს, რაზეც ასტრონომია მსჯელობს. და არც მნათობებზე მიმდინარე პროცესებს აქვთ ასეთი ბუნება.

არიან ისეთი მოაზროვნენიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იდეებსა და გრძნობად საგნებს შორის არსებობს რაღაც," რომელიც გრძნობადი საგნებისაგან კი არ არის დაშორებული, არამედ თვით მათშივეა. მაგრამ ყველა იმ შედეგების დაწვრილებით განხილვა, რაც აქედან გამომდინარეობს, შორს წაგვიყვანდა. საკმარისია იმის გათვალისწინებაც, რომ მხოლოდ ეს კი არაა არაგონივრული, არამედ ცხადია, იდეების გრძნობად საგნებში არსებობაც. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეობს ორი შედეგი: ერთსა და იმავე ადგილას აუცილებლად ორი სხეული იქნება და გრძნობად საგნებში მოთავსებული, უძრავი აღარ იქნება. საერთოდ კი, რა მიზანი აქვს გრძნობად საგნებში მის მოთავსებას?

აქ მოტანილი მოძღვრებიდან გამომდინარეობს ისეთი შეუსაბამობა, რომ არსებული ცის გარდა უნდა არსებობდეს კიდევ სხვა რაღაც ცა, მაგრამ არა მისგან დამოუკიდებელი, არამედ იმავე ადგილზე, რაც კიდევ უფრო მეტად შეუძლებელია[5].

თავი მესამე

დიდ სიძნელეს წარმოადგენს აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჭეშმარიტებას მივწვდეთ და რა უნდა ჩავთვალოთ ელემენტებად და საწყისებად, გვარი, თუ ის პირველსაწყისები, რისგანაც თვითეული მოვლენა შედგება. მაგალითად, ჩვენი აზრით, მარცვლის[1] საწყისები და ელემენტებია მისი კონკრეტული შემადგენელი ნაწილები და არა მარცვალი ზოგადად. ასევე მსჯელობის ელემენტებსაც ვუწოდებთ დასაბუთებისა შემადგენელ ნაწილებს, რაც ყველა დანარჩენი, ან უმრავლესი დასაბუთე-

ბათა ნაწილებიცაა. როგორც იმათ, რომლებიც სხეულთა ერთ საწყის ელემენტს ასახელებდნენ, ისე იმათ, რომლებიც ასახელებდნენ ბევრს, ასეთ საწყისებად მიაჩნდათ ის, რისგანაც წარმოიშვება, თუ შედგება საგანი. მაგალითად, ემპედოკლე არსებულის ელემენტებად ასახელებდა ცეცხლს, წყალს და იმას, რაც მათ მოსდევს შედეგად
998ბ მაგრამ ის მათ არსებულის გვარებად არ თვლიდა. ამას გარდა, როდესაც ვინმე სხვა საგნის ბუნების, მაგალითად, საწოლის შეცნობას მოისურვებს, მაშინ შესძლებს ამას, როცა ეცოდინება, თუ რა ნაწილებისაგან არის ის შემდგარი და როგორ არიან ისინი განლაგებულნი.

ამ მოსაზრებათა მიხედვით, გვარები არ არიან არსებულთა საწყისები. მაგრამ თუ ყოველივეს განსაზღვრებების საშუალებით შევიცნობთ, ხოლო განსაზღვრებების საფუძვლები კი გვარეობითი ცნებებია, აუცილებელია, რომ გვარეობითი ცნებები განსაზღვრულ საგანთა საწყისებიც იყვნენ. რადგან როცა შესაცნობია არსებული საგნები, ჯერ ის სახეები უნდა შევიცნოთ, რომლითაც ამ საგნებს აღვნიშნავთ. სახეების საწყისები კი გვარებია. როგორც ჩანს, არიან მოაზროვნენი, რომლებიც არსებულის საწყისებად გვარის მნიშვნელობით იყენებენ ხან „ერთს", ანუ არსებულს, ხან „დიდსა და მცირეს". მაგრამ შეუძლებელია ორივე შემთხვევაში საწყისთან გვქონდეს საქმე, რადგან სუბსტანციის არსებას ერთი ცნება გამოხატავს, განსაზღვრება გვარის მიხედვით და შემადგენელი ნაწილების მიხედვით კი სხვაა.

გარდა ამისა, თუნდაც გვარები, მართლაც, საწყისები იყვნენ, რომელია საწყისი, ის, რომელიც პირველია გვართა შორის[2] თუ რომელიც უკანასკნელად[3] ითქმის საგანზე?[4] მაგრამ ესეც სადაოა, რადგან, თუ ყოველთვის, უპირველესად ყოვლისა, საწყისია ზოგადი, მაშინ საწყისი უზოგადესი გვარი უნდა იყოს, რადგან ის ყოველივეს შესახებ ითქმის ამ შემთხვევაში არსებულის იმდენი საწყისი იქნება, რამდენიც პირველი გვარია. ასე რომ, არსებული და ერთი საწყისიც იქნება და სუბსტანციაც, რადგან ისინი სხვებზე უფრო მეტად ეხებიან ყველა არსებულს. მაგრამ არსებულთა გვარს არ წარმოადგენს არც „ერთი" და არც „ერთი" და „არსებული", ერთად აღებული. რადგან აუცილებელია თვითეულ გვარს თავისი სახეობითი სხვაობა ჰქონდეს და ამავე დროს ერთი გვარის სახესხვაობა არ შეიძლება თავის სახესხვაობაზე იხმარებოდეს და ან გვარი არსებობდეს სახეების გარეშე. ასე რომ, თუ გვარი ან „ერთია", ან „არსებული", მაშინ არცერთი სახესხვაობა არ იქნება „არსებული" ან „ერთი". მაგრამ თუ ისინი გვარები არ არიან, არც

საწყისები იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ საწყისები იგივე გვარები არიან.

ასევე შუალობითი ცნებები სახესხვაობასთან ერთად კონკრეტულ საგნებამდე გვარები იქნებიან აქედან ნაწილი სწორია, ნაწილი კი არა. გარდა ამისა, სახესხვაობანი უფრო მეტად უნდა იყვნენ საწყისები, ვიდრე გვარები, მაგრამ თუ გვარებიც საწყისები არიან, მაშინ, როგორც ვთქვით, საწყისთა რაოდენობა უსაზღვრო იქნება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ვინმე ყველაზე უზოგადეს გვარს ჩათვლიდა საწყისად.

შემდეგ, თუ ყველაზე უფრო მეტად ერთია საწყისი, რომელიც განუყოფელია, მაშინ ყოველივე განუყოფელი იქნებოდა ან რაოდენობის, ან თვისობრიობის მიხედვით. პირველ რიგში კი 999ა
თვისობრივად გვარი კი სახეებად იყოფა ამიტომ ყველაზე უფრო მეტად „ერთი" იქნებოდა უკანასკნელი გვარეობითი ცნება, რადგან „ადამიანი" აღარ წარმოადგენს გვარს რომელიმე ადამიანისათვის. ამას გარდა, სადაც არის წინამორბედი და მომდევნო, იქ არ შეიძლება ამათ გარდა რაიმე არსებობდეს მაგალითად, თუ რიცხვებში ორიანია პირველი მათ აღარ ექნებათ რაიმე სხვა რიცხვი, დამოუკიდებელი რიცხვთა სახეებისაგან ასევე არც რაიმე ფორმა იქნებოდა სხვადასხვა კონკრეტული ფორმების გვერდით და თუ ამ შემთხვევებისათვის არ არსებობს სახეებისაგან დამოუკიდებელი გვარი, მით უმეტეს არ იარსებებს ის სხვა შემთხვევებისათვის რადგან, როგორც ჩანს, უფრო მეტად ზემოხსენებულ მოვლენებს უნდა ჰქონდეს ასეთი გვარი ინდივიდუალურ საგნებში კი წინამორბედი და მომდევნო არ არის. გარდა ამისა, სადაც ერთი უკეთესია და მეორე უარესი, იქ ყოველთვის უკეთესია წინამორბედი. ასე რომ, არც ამათ ექნებათ გვარები.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ რაც საგანზე პირველად ითქმის[5], ის უფრო მეტად არის საწყისი, ვიდრე გვარეობითი ცნებები მაგრამ არც იმის თქმაა ადვილი თუ როგორ უნდა ჩავთვალოთ ესენი საწყისებად. რადგან საწყისი და მიზეზი უნდა არსებობდეს იმ საგანთა გვერდით და იმათგან დამოუკიდებლად, რომელთა საწყისიც ის არის მაგრამ სხვა რა მიზეზით უნდა უშვებდნენ ისინი რაიმეს კონკრეტული საგნებისაგან დამოუკიდებელს, თუ არა იმიტომ, რომ ის ზოგადად ითქმის ყოველივეზე. მაგრამ თუ ამ მიზეზით, მაშინ ყველაზე უფრო მეტად ზოგადი უნდა ყოფილიყო საგანთა საწყისი ასე რომ, საწყისები ყველაზე მეტად უზოგადესი[7] გვარები იქნებოდნენ.

ამათ მოსდევს ყველაზე უფრო ძნელი და ყველაზე უფრო აუცი-ლებლად განსახილველი საკითხი, რაზეც ახლახანს შევჩერდით თუ [illegible] არსებობს ერთეული საგნებისაგან დამოუკიდებელი არაფერი, ერთეული საგნები კი უსაზღვროდ ბევრი არიან, როგორ შევიცნობ-დით ამ განუსაზღვრელი რაოდენობის საგნებს? ჩვენ კი ყოველ-[illegible] შევიცნობთ რაღაც ერთი და იგივეთი, რაც ზოგადობა აქ-[illegible]თებს, მაგრამ თუ აუცილებელია ერთეული საგნებისგან რაღაც დამოუკიდებელის არსებობა, მაშინ აუცილებელია, რომ ეს იყოს ერთეული საგნებისაგან დამოუკიდებელი პირველი ან უკანასკნე-ლი გვარი. მაგრამ რომ ეს შეუძლებელია, [illegible]

შემდეგ, თუ ერთეული საგნებისგან [illegible]დებელი, რომლი-სგან მატერიამ მიიღო განსაზღვრება და მასზე უფრო მეტად [illegible]

999ბ ბობს რაღაც, როგორ არსებობს: ე. ი. ყველასათვის არსებობს, თუ ზოგისთვის არსებობს და ზოგისთვის კი არა, თუ არ არსებობს არც ერთისათვის? მაგრამ თუ კონკრეტული საგნების გარდა არა-ფერი [illegible], მაშინ ყველაფერი შეგრძნებადი იქნებოდა და არავითარი აზრობრივი, არც არავითარი ცოდნა არ იარსებებდა, თუ ვინმე შეგრძნებებს ცოდნად არ ჩათვლიდა გარდა ამისა. არა-რაფერი არ იქნებოდა მარადიული და უძრავი. რადგან ყოველი შეგრძნებადი მოძრაობს და [illegible]. მაგრამ თუ მარადიული არა-ფერია, არც წარმოშობა იქნებოდა შესაძლებელი. აუცილებელია კი, არსებობდეს ის, რაც წარმოიშობა და ისიც, რისგანაც ის წარმო-იშობა. ეს უკანასკნელი კი წარმოუქმნელი უნდა იყოს, თუ წარმო-შობის პროცესი წყდება და არარსებულისაგან კი წარმოშობა შეუძლებელია. შემდეგ, თუ წარმოშობა და მოძრაობა არსებობს, აუცილებელია არსებობდეს [illegible], რადგან არცერთი მოძრა-ობა [illegible] აქვს. და არ წარმოიშობა ის, რასაც წარმოშობა არ ძალუძს. წარ-[illegible] უნდა არსებობდეს შემდეგ, თუ მატერია არსებობს, [illegible] ლი, [illegible] არსებობს [illegible]. მაგრამ თუ [illegible] შეუძლებელია, მაშინ აუცილებელია, რომ მთელის[2] გარდა, არსე-ბობდეს რაღაც ფორმა და სახე.

მაგრამ თუ ამას დავუშვებთ, მაშინ ძნელი გადასაწყვეტი იქნება ის, თუ რომელი საგნებისთვის უნდა დავუშვათ ის და რომელთათ-ვის არა. რომ ეს შეუძლებელია ყველა საგნისათვის, ცხადია, რად-გან, მაგალითად, ჩვენ ვერ დავუშვებთ რაღაც სახლს კონკრეტუ-ლი სახლების გვერდით. გარდა ამისა, ყველას, მაგალითად, ადა-მიანებს ერთი არსება ექნებოდათ. ეს კი შეუძლებელია, რადგან ყველა ისინი, რომლებსაც ერთი არსება აქვთ, ერთნიც არიან, მაგრამ ისიც უაზრობაა, თუ არსებები ბევრი და განსხვავებულია. მაშინ როგორ იქცევა მატერია ერთდროულად თვითეულ ამ საგნად და მთელი კი როგორაა ორივე?[3]

ამას გარდა, საწყისების შესახებ სადავოა შემდეგი: თუ საწყი-სები სახით ერთნი არიან, მაშინ არაფერი არ იქნებოდა არც რი-ცხვით ერთი, არც თავისთავადი ერთი და არც არსებული. მაშინ როგორღა იქნებოდა შესაძლებელი შემეცნება, თუ არ იქნებოდა რაიმე ყველასათვის საერთო?[4]

მაგრამ თუ საწყისები რიცხობრივად ერთნი არიან, მაშინ თვი-თეული მათგანი რიცხვით ერთია და სხვადასხვა გრძნობად მოვლე-ნას სხვადასხვა საწყისი არ ექნებათ. როგორც ერთი და იგივე სახის მარცვალთ სახით ერთი, მაგრამ რიცხვით სხვადასხვა საწყისები აქვთ. მაგრამ თუ ეს ასე არაა და არსთა საწყისები რიცხვით ერთნი არიან, მაშინ საწყისებს გარდა სხვა არაფერი არ იარსებებდა, რადგან არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, ვიტყოდით ჩვენ რიცხობრივად ერთს, თუ „ერთეულ საგანს". სწორედ ამ აზრით 1000ა

ვამბობთ ჩვენ, რომ ერთეული საგანი რიცხობრივად ერთია, ზოგადი კი მასზე ითქმის. თუ ბგერათა ელემენტები რიცხვით გან-საზღვრულია, აუცილებელია ასოთა რაოდენობა იმდენი იყოს, რამდენიც ელემენტია და არა ორი ან მეტი.

რაა მოკვდავ და უკვდავ მოვლენათა საწყისი — ერთი და იგივე, თუ სხვადასხვა, ესეც არანაკლებად ძნელად გადასაწყვეტი კითხვაა. რაც როგორც თანამედროვე, ისე წინამორბედმა მოაზროვნეებმა უპასუხოდ დატოვეს. თუ ერთი და იგივეა, როგორ არიან ერთნი მოკვდავნი, მეორენი უკვდავნი და რაა ამის მიზეზი?

ჰესიოდეს მიმდევრები და ყველა თეოლოგი ზრუნავდა მხო-ლოდ იმაზე, რაც მათთვის სარწმუნო იყო, ჩვენზე კი ნაკლებ ფიქრობდნენ. მათ საწყისად ღმერთი აქციეს და ყოველივე მისგან აწარმოვეს. ისინი ამბობდნენ, რომ იმათ, რომლებმაც არ იგემეს ამბროსია და ნექტარი[5], მოკვდავნი შეიქმნენ. ცხადია, ისინი ამ სიტყვებს ხმარობდნენ, როგორც მათთვის ცნობილს. მაგრამ ამ მიზეზების შესახებ მსჯელობით ისინი ჩვენი წარმოდგენის სფეროს გასცილდნენ. თუ ღმერთები ამბროსიას და ნექტარს სიამოვნებისა-

თვის იყენებდნენ, მაშინ ეს სასმელები არაფრის საწყისები არ იქნებიან და თუ იყენებენ არსებობისათვის, როგორღა იქნებიან უკვდავნი ისინი, რომლებიც საკვებს საჭიროებენ. მაგრამ არ ღირს იმათი შეხედულებების სერიოზული კვლევა, რომლებიც თავის აზრებს მითიურ ფორმაში ხვევენ[6].

იმათგან კი, რომლებიც მტკიცებას იყენებენ, უნდა შევეცადოთ გავიგოთ, თუ რატომაა, რომ ერთი და იმავე მიზეზისაგან წარმოშობილი, ზოგი არსებული მარადიული ბუნებისაა, ზოგი კი წარმავალია. თუ ისინი არც მიზეზებს ასახელებენ და არც გონივრულია ამის თქმა, ცხადია, რომ არ შეიძლება ამათ[7] ერთი და იგივე საწყისები და მიზეზები ჰქონდეთ.

ემპედოკლესაც კი, რომლის თანმიმდევრობის იმედი ყველაზე მეტად შეიძლება გვქონოდა, იგივე დაემართა. მან დაუშვა მოვლენათა წარმავლობის რაღაც თავდაპირველი მიზეზი, მტრობა და ფიქრობდა, რომ ამასაც შეუძლია, ერთის გარდა, ყველაფრის წარმოშობა. მისი აზრით, ღმერთის გარდა, ყველაფერი მისგან არის წარმოშობილი. ემპედოკლე ამბობდა: „ყოველივე მისგანაა რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. მისგან წარმოიშობიან ხეებიც, ქალებიცა და მამაკაცებიც, ცხოველებიც, ფრინველებიც, ზღვის მკვიდრი — თევზები და უკვდავი ღმერთებიც". რაც უამისოდაც
1000в ცხადია, რადგან როგორც ის ამბობს, მტრობა რომ არ ყოფილიყო საგნებში, ყოველივე ერთი იქნებოდა და როდესაც ყოველივე ერთი იყო, მაშინ შური განაპირას იდგა. ამიტომაც აქედან გამომდინარეობს, რომ ღმერთი, რომელიც ყველაზე ბედნიერია, ყველაზე ნაკლებ გონიერია იმის გამო, რომ ყოველივეს ვერ შეიცნობს, იმას ხომ შური არა აქვს. შემეცნება კი მსგავსის მსგავსით შეცნობის გზით ხორციელდება. ის ამბობს: „მიწით მიწას ვხედავთ, წყლით წყალს, ეთერით — ღვთაებრივ ეთერს, ცეცხლით — გამანადგურებელ ცეცხლს, სიყვარულით — სიყვარულს, მტრობით კი საშინელ მტრობას". საიდანაც აშკარად გამომდინარეობს შემდეგი: რომ მასთან შური არსებობაზე არა ნაკლებ განადგურების მიზეზია. იგივე როგორც მეგობრობა მხოლოდ არსებობის მიზეზი არაა, რადგან ამას აერთიანებს რა მოვლენების ერთ ნაწილს, დანარჩენს ღუპავს. ამას გარდა, ცვალებადობის მიზეზიც სხვა არას ნიშნავს, იმის გარდა, რომ ეს ბუნებრივია: „მაგრამ როდესაც ძლიერი მტრობა თავის ნაწილებით გაიზარდა, გარკვეული დროის შემდეგ პატივისცემა მოიპოვა, რაც მას ცვალებადობაში მტკიცე ფიცმა განუსაზღვრა". ამრიგად, ემპედოკლე ცვალებადობის აუცილებლობას ამტკიცებს

მაგრამ ამ აუცილებლობის არავითარ მიზეზს არ ნათელყოფს. ამისდა მიუხედავად, ის თანმიმდევარია, როდესაც ელემენტებს გარდა, ყველა არსებულ საგანს წარმავლად აცხადებს და არა ზოგს წარმავლად და ზოგს წარუვლად. ის სიძნელე კი, რომელიც ახლახანს აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, თუ რატომ არიან ერთნი ასეთნი, მეორენი კი არა[8], თუ ყველა ისინი ერთი და იგივე საწყისებიდან არიან წარმოშობილი.

რომ საწყისები მათ ერთი და იგივე არ შეიძლება ჰქონდეთ, ამაზე უკვე ვთქვით. თუ საწყისები განსხვავებულია, მაშინ სიძნელეს წარმოადგენს კითხვა იმის შესახებ, წარმავალნი არიან ისინი, თუ წარუვალნი? თუ წარმავალნი არიან, ცხადია, ისინიც რაღაციაგან უნდა იყვნენ შედგენილნი, რადგან ყველაფერი იშლება იმ ელემენტებად, რისგანაც შედგება. ამრიგად, გამოდის, რომ საწყისებს სხვა საწყისები უსწრებენ წინ, ეს კი შეუძლებელია, ამ მწკრივის როგორც დაუსრულებლობის, ისე დასრულებულობის შემთხვევაში.

შემდეგ, როგორ არიან საგნები წარმავალნი, თუ საწყისებიც წარმავალი აქვთ? მაგრამ თუ საწყისები მარადიული არიან, რატომ წარმოიშვებიან ამ უკვდავ საწყისთა ერთი ნაწილისაგან მოკვდავი, მეორე ნაწილისაგან კი — უკვდავი საგნები. ეს უაზრობა კი არაა, არამედ ან შეუძლებელია, ან დიდ ახსნა-განმარტებას საჭიროებს. ამათ გარდა, სხვა საწყისების დაძებნას არავინ არ ცდილა, არამედ ყველაფრის საწყისად ყველა მათ ასახელებდა. ანდა პირველი 100 a სიძნელის შეხვედრისთანავე ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს რაღაც უმნიშვნელო ყოფილიყო.

განსახილველად ყველაზე უფრო ძნელი და ჭეშმარიტების შემეცნებისათვის ყველაზე უფრო აუცილებელია გადაწყვეტა საკითხისა იმის შესახებ, რომ არსებული და ერთი არიან თუ არა საგანთა არსება, და თვითეული მათგანი არ არიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი, ერთ შემთხვევაში ერთი, მეორე შემთხვევაში არსებული, თუ საჭიროა ვიკვლიოთ, თუ რას წარმოადგენს არსი და ერთი, როგორც სხვადასხვა ბუნების მქონე სუბსტრატი? ზოგს ისეთი და ზოგს კი ასეთი შეხედულება აქვს მათს ბუნებაზე

პლატონი და პითაგორელები ამბობენ, რომ არსი და ერთი არის არა სხვადასხვა, არამედ ერთი და იგივე ბუნებისა, თითქოს ერთსა და იმავე სუბსტანციას წარმოადგენდეს. ბუნებისმეტყველებმა კი, მაგალითად, ემპედოკლემ, რომ უფრო ნათელი გახადონ ეს, განმარტეს, თუ რას წარმოადგენს ერთი. როგორც ჩანს, „ერთი" ემპედოკ-

ლეს მეგობრობად მიაჩნია, რადგან ის მას ყოველივეს გაერთიანების მიზეზად თვლის. სხვები კი ერთად და არსად ზოგი ცეცხლს თვლის, ზოგი ჰაერს, რისგანაც შედგება და წარმოიშვა, მათი სიტყვით, ყოველი არსებული. ასევე ისინიც, რომლებიც მრავალ საწყის ელემენტს უშვებენ, ამბობენ, რომ ერთი და არსი აუცილებლად იმდენია, რამდენიც საწყისი. გამოდის, რომ თუ ვინმე ერთსა და არსს არ ჩათვლიდა სუბსტანციად, მაშინ არც სხვა რამ ზოგადი იარსებებდა, რადგან ისინი ყველაზე უფრო ზოგადნი არიან და თუ არ არსებობს რაიმე ერთი და არსი თავისთავად, ძნელი იქნებოდა ერთეული საგნების გარდა სხვა რაიმეს არსებობა. გარდა ამისა, თუ ერთი არაა სუბსტანცია, მაშინ ცხადია, არც რიცხვი იქნებოდა საგნებისაგან დამოუკიდებელი რაღაც ბუნება, რადგან რიცხვი ერთეულებისაგან შედგება, ერთეული კი რაღაც ერთია. მაგრამ თუ არსებობს რაღაც თავისთავადი ერთი და არსებული, აუცილებელია, რომ რიცხვთა არსება სწორედ „ერთი“ და „არსებული“ იყოს, რადგან სხვა ზოგადი აღარ იქნება ამათ გარდა.

მაგრამ თუ არსებობს რაღაც თავისთავადი ერთი და არსებული, ძნელი გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არსებობს
1001b ამათ გარდა რაღაც სხვა. ვგულისხმობ იმას, თუ როგორ არსებობს ერთზე მეტი საგანი, რადგან არსებულისაგან განსხვავებული სხვა რამ არ უნდა არსებობდეს, რაც გამომდინარეობს პარმენიდეს მოძღვრებიდან, რომ ყოველი არსებული აუცილებლად ერთია და ესაა არსი. მაგრამ ორივე შემთხვევაში გვაქვს სიძნელე, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ერთი არაა სუბსტანცია, ისევე მაშინ, თუ არსებობს თავის თავადი ერთი, რადგან შეუძლებელია, რომ რიცხვი სუბსტანცია იყოს. თუ რატომ არაა ეს სუბსტანცია, ამის შესახებ უკვე ვთქვით. მაგრამ თუ ის არსებობს, მაშინ იგივე სიძნელეები გვექნება არსებულის მიმართ. მაგალითად, თავისთავადი ერთის გარდა რისგან შეიძლება წარმოიშვას სხვა ერთიანი? ამ შემთხვევაში აუცილებელია არაერთის არსებობა. ყოველი არსებული კი არის ან ერთი, ან ბევრი, რომელთა თვითეული შემადგენელი ნაწილი ერთიანია

შემდეგ, თუ თავის თავადი ერთი განუყოფელია, მაშინ ზენონის აქსიომის მიხედვით, ის არც იარსებებდა, რადგან არც მომატება და არც დაკლება არ გაადიდებდა ან დაამცირებდა მას. ის არ შეიძლება რაიმე არსებული იყოს, რადგან, როგორც ის ამბობს, არსებულს სიდიდე უნდა ჰქონდეს და თუ სიდიდე ექნება, სხეულებრივიც იქნება. ასეთი კი ჭეშმარიტად არსებობს. ყოველივე დანარჩენი კი მომატების შედეგად ზრდის მას ან არა. პირველის

მაგალითია სიბრტყე და ხაზი, მეორისა - წერტილი და ერთიანი მაგრამ რადგან ის ასე უხეშად მსჯელობს, ამიტომ საჭირო ხდება რაღაც განუყოფელის დაშვება. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შეიძლებოდა როგორღაც პასუხის გაცემა, რომ მისი მომატება საგანს კი არ გაადიდებდა, არამედ რიცხობრივად გაზრდიდა.

მართლაც, როგორ წარმოიშვება სიდიდე ასეთი ერთისაგან ან ასეთი მრავალი ერთიანისაგან? ეს იგივე იქნებოდა, რომ ხაზი წერტილებისაგან წარმოშობილიყო. მაგრამ თუ ვინმე გაიზიარებს ამ თვალსაზრისს, მიიღებს იმავე შედეგს, რასაც ამტკიცებს ზოგი, რომ რიცხვს ვიღებთ თავისთავადი ერთისაგან და სხვისაგან ანუ არაერთისაგან. მიუხედავად ამისა, საკვლევია ის, თუ რატომ და როგორ ვიღებთ ერთ შემთხვევაში რიცხვს, მეორე შემთხვევაში კი სიდიდეს ისე, თითქოს არაერთი იყოს, როგორც განსხვავებული, ისე ერთი და იმავე ბუნებისაა

ამრიგად, არაა ნათელი, თუ სიდიდე როგორ წარმოიშობა ერთისა და სხვისაგან, ან რიცხვისა და სხვისაგან.

თავი მეხუთე

ამას მოსდევს საკითხი იმის შესახებ, რომ რიცხვები, სხეულები, სიბრტყეები და წერტილები არიან რაღაც სუბსტანციები თუ არა? თუ არ არიან, მაშინ ხელიდან გვისხლტება შესაძლებლობა იმ საკითხის გადაწყვეტისა, თუ რაა არსებული და რა არის არსებული საგნების არსება? თვისება, მოძრაობა, მიმართება, მდებარეობა და აზრები არ წარმოადგენენ რაღაც სუბსტანციას, რადგან ყველა ისინი ითქმიან რაღაც სუბსტრატის შესახებ და თვითონ კი არასოდეს არ არიან რაიმე კონკრეტული საგანი მაგრამ საფიქრებელია, რომ სუბსტანციას ყველაზე უფრო მეტად უნდა წარმოადგენდეს წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი, რომელთაგანაც არიან შემდგარი რთული სხეულები. მათი თვისებები კი სითბო, სიცივე და სხვა 1002a
ამგვარი არაა სუბსტანცია. მხოლოდ სხეული, რომელიც ყოველივე ამას განიცდის, რჩება როგორც რაღაც არსებული და სუბსტანცია; მაგრამ სხეული ნაკლებ არის სუბსტანცია, ვიდრე სიბრტყე, სიბრტყე ნაკლებ, ვიდრე ხაზი, ხაზი ნაკლებ, ვიდრე ერთი და წერტილი. რადგან ისინი სხეულს განსაზღვრავენ და როგორც ჩანს, შეუძლიათ უსხეულოდ არსებობა. სხეულს კი უმათოდ არსებობა არ შეუძლია. ამიტომაც წინამორბედი მოაზროვნეების უმრავლესობა სუბს-

ტანციად და არსად თვლიდნენ სხეულს, ყოველივე სხვას კი მის თვისებებად. ამრიგად, მათ სხეულთა საწყისები ყოველივე არსებულის საწყისებად მიაჩნდათ, ხოლო მოგვიანო და ამათზე ბრძენი მოაზროვნენი საწყისებად თვლიდნენ რიცხვებს. მაშინ აღარ იქნება არავითარი სუბსტანცია და არსებული, რადგან მათი შემთხვევითი თვისებები არ იმსახურებენ ამ სახელს. მაგრამ თუ მივიღებთ, რომ სუბსტანციას სხეულზე უფრო მეტად სიგრძე და წერტილი წარმოადგენს, და იმას კი აღარ ვაქცევთ ყურადღებას, თუ როგორი სხეულები არიან ისინი, რადგან შეუძლებელია, რომ ისინი შეგრძნებადი სხეულები იყვნენ, მაშინ აღარ იარსებებს არავითარი სუბსტანცია. როგორც ჩანს, ყველა ისინი სხეულია დანაყოფებს უფრო წარმოადგენენ, ერთი სიბრტყით, მეორე სიღრმით, მესამე სიგრძით. გარდა ამისა, სხეულში შეიძლება მოთავსდეს ნებისმიერი ფორმა. ამრიგად, თუ ქვაში არაა ჰერმესი[1], არც კუბის ნახევარი იქნება კუბში, როგორც რაღაც განსაზღვრული სიდიდე და არც სიბრტყე[2]. და თუ მასში ნებისმიერი ფორმაა, მაშინ მასში კუბის ნახევარის გამომხატველი ფორმაც იქნება იგივე შეიძლება ითქვას ხაზის, წერტილისა და ერთის შესახებ

ამრიგად, თუ ყველაზე მეტად სხეულია სუბსტანცია, მაშინ ამაზე უფრო მეტად ესენი[3] იქნებიან. მაგრამ თუ ესენი არ არიან სუბსტანცია და არც რაიმეს არსებას წარმოადგენენ, ამ შემთხვევაში ჩვენ ხელიდან გვისხლტება, თუ რაა არსებული და საგანთა არსება. გარდა ზემოთქმულისა, ამ თეორიიდან[4] წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ მრავალი შეუსაბამო შედეგი გამომდინარეობს. საფიქრებელია, რომ თუ სუბსტანცია წინათ არ არსებობდა, ახლა კი არსებობს, ან ადრე იყო და შემდეგში კი აღარ იქნება, ეს ხდება წარმოშობისა და დაღუპვის გამო. წერტილები, ხაზები და სიბრ-
1002b ტყეები კი თუმცა ხან არსებობენ და ხან კი არა, მაგრამ მათი არც წარმოშობა და არც მოსპობა არ შეიძლება. სხეულები ხან უკავშირდებიან და ხან შორდებიან ერთმანეთს, ამავე დროს შეკავშირებისას ერთი ხდებიან, დაშორებისას კი — ორი. ამრიგად, შეკავშირებისას აღარ არსებობენ, არამედ მოისპნენ, ხოლო დაშორებისას არსებობენ არა ისე, როგორც წინათ, რადგან განუყოფელი წერტილი ორად ვერ გაიყოფება. მაგრამ თუ წარმოიშობიან და ისპობიან, რაიმესაგან უნდა წარმოიშვნენ. დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა დროში „ახლას“ მიმართ, არც ის წარმოიშობა და ისპობა, მაგრამ არ წარმოადგენს რა რაიმე სუბსტანციას, ისე მოჩანს რომ თითქოს ყოველთვის სხვა იყოს. ცხადია, რომ იგივე

მდგომარეობაა წერტილებსა, ხაზებსა და სიბრტყეებში. მათზე იგივე შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისინი ერთნაირად ან საზღვრებია, ან დანაყოფები.

თავი მეექვსე

საერთოდ, შეიძლება ვინმემ დასვას კითხვა იმის შესახებ, რომ რატომ უნდა ვეძიოთ შეგრძნებადი საგნებისა და შუალედი საგნების გარდა, სხვა რამ, როგორც მაგალითად, იდეა[1]. შეიძლება იმიტომ, რომ მათემატიკური რიცხვები და აქ არსებული საგნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ არა იმით, რომ ისინი ერთი სახისანი მრავალნი არიან. ასე რომ, მათ განსაზღვრული რაოდენობის საწყისები არ ექნებათ, როგორც ჩვენი[2] ასოების საწყისები სახით არიან განსაზღვრული და არა რიცხვით. თუ არ მივიღებთ მხედველობაში გარკვეული მარცვლის ან გარკვეული ბგერის საწყისებს, რომელთა საწყისები რიცხობრივადაც განსაზღვრული არიან. ასევეა შუალედ სფეროშიც, სადაც ერთი და იმავე სახის მოვლენები განუსაზღვრელად ბევრნი არიან.

ამრიგად, თუ შეგრძნებადი საგნებისა და მათემატიკური რიცხვების გარდა სხვა რამ არ არსებობს, მაგალითად, იდეები, რასაც ზოგიერთი ამბობს, მაშინ გვექნება არა რიცხვით, არამედ სახით ერთი საწყისი. და ასევე არსებულ საგანთა საწყისებიც რიცხვით კი არ იქნებიან განსაზღვრული, არამედ სახით. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, მაშინ აუცილებელია იდეების დაშვებაც, თუმცა ისინი გარკვევით არ ამბობენ ამას, მაგრამ ის, რაც მათ სურთ თქვან, აუცილებლად შემდეგია: თვითეული იდეა რაღაც სუბსტანციაა, თანაც არა შემთხვევითი. მაგრამ თუ დავუშვებთ იდეებს, როგორც ერთს რიცხვით და არა სახით, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს ის დაბრკოლებები, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ

ამას უკავშირდება კითხვა იმის შესახებ, საწყისები შესაძლებ-
ლობაში არსებობენ, თუ როგორღაც სხვაგვარად, მაშინ საწყისებ- 1003a
ზე უფრო ადრე სხვა რაღაც იარსებებს. მაგალითად, ეს მიზეზები თავდაპირველად შესაძლებლობაში არსებობენ, თუმცა აუცილებელი არაა ყოველნაირი შესაძლებლობის არსებობა. თუ ელემენტები შესაძლებლობაში არსებობენ, შეიძლება მოხდეს ის, რომ არც ერთი მათგანი არ გადავიდეს რეალურ არსებობაში. შესაძ-

ლებლობაში კი ისიც არსებობს, რაც ჯერ არ არსებობა. ხოლო წარმოიშვება ის, რაც არ არსებობს, მაგრამ ის, რაც შეუძლებელია, არასოდეს არ წარმოიშვება[3].

საწყისების შესახებ გადასაწყვეტია ეს საკითხი და აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, ზოგადნი არიან ისინი, თუ როგორც ვთქვით, კონკრეტულნი? თუ ისინი ზოგადნი არიან, სუბსტანციები არ იქნებიან, რადგან არც ერთი ზოგადი არ ნიშნავს საგანს, არამედ თვისებას. სუბსტანცია კი კონკრეტული საგანია. თუ ზოგადი რაიმე კონკრეტული საგანია, მაშინ სოკრატე რამდენიმე ცოცხალი არსება იქნება, თვით სოკრატე, ადამიანი და ცხოველი, რადგან თვითეული ამათგანი გამოხატავს რაღაც საგანსა და ერთს.

ამრიგად, თუ საწყისები ზოგადნი არიან, აქედან ასეთი შედეგები გამომდინარეობს. მაგრამ თუ არ არიან ზოგადნი, არამედ კონკრეტულ საგნებს წარმოადგენენ, მაშინ შეუცნობელნი იქნებოდნენ, რადგან ყოველგვარი ცოდნის ობიექტი ზოგადია[4]. ასე რომ, თუ საწყისების ცოდნა საჭიროა, ამ შემთხვევაში საწყისებზე წინ უნდა ყოფილიყო სხვა საწყისები ზოგადი ხასიათისა.

წიგნი მეოთხე

თავი პირველი

არსებობს რაღაც მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც არსებულს და იმას, რაც მას თავისთავად ახასიათებს. ის არაა არც ერთი კერძო მეცნიერებათაგანი, რადგან არც ერთი მათგანი არ სწავლობს ზოგადად არსებულს, როგორც არსებულს, არამედ გამოჰყოფს მის რომელიმე ნაწილს და იკვლევს მის შემთხვევით ნიშნება, როგორც, მაგალითად, მათემატიკური მეცნიერებანი. რადგან საწყისებსა და უკანასკნელ მიზეზებს ვეძებთ, ცხადია, რომ ისინი რაღაც თავისთავად ბუნებას უნდა წარმოადგენდნენ ამრიგად, ვინც არსებულთა ელემენტებს ეძებს, ის აუცილებლად ისეთ საწყისებს ეძებს, რაც არა შემთხვევით, არამედ ჭეშმარიტად არსებული საგნების ელემენტებია. ასევე ვეძებთ ჩვენც არსებულის, როგორც არსებულის, პირველ მიზეზებს.

თავი მეორე

არსებულს მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის ყოველთვის
ერთსა და იმავე ბუნებას ნიშნავს და არა ჰომონიმებს, როგორც
მაგალითად, ყოველი მსჯელობა ჯანმრთელობაზე ეხება ჯანმრთე-
ლობას თავისთავად: ან ჯანმრთელობის დაცვას, ან მის აღდგენას,
ან მის გამოვლენასა და ადამიანის გამოჯანმრთელების უნარს. ასეთ- 1003a
სავე მიმართებაშია მსჯელობა მკურნალობის შესახებ მკურნალობის ხელოვნებასთან. ერთ შემთხვევაში ის ეხება მკურნალობის ხელოვნებას, როგორც ასეთს, მეორე შემთხვევაში მისდამი მიდრეკილებას, მესამე შემთხვევაში ამ ხელოვნების შედეგებს. ასევე ყველა სხვა ამგვარ შემთხვევაში.

არსებულზე მრავალი მნიშვნელობით შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ ყოველთვის ერთი საწყისი გვაქვს მხედველობაში. ის შეიძლება ნიშნავდეს სუბსტანციას, მის მდგომარეობას, მისკენ მისასვლელს, მის მოსპობას, მის რაიმე ნაკლს, თვით სუბსტანციის შემქმნელს და წარმომშობს, მასთან დამოკიდებულებაში მყოფს, სუბსტანციის რაიმე თვისებას ან თვით სუბსტანციის უარყოფას. ასევე არარსებულის შესახებ ვამბობთ, რომ ის არსებობს, როგორც არარსებული. ისე როგორც ყოველივე, რაც ჯანმრთელობას შეეხება, ერთი მეცნიერების საგანია, ასევეა ყველა სხვა შემთხვევაშიაც. რადგან ერთი მეცნიერების შესწავლის ობიექტია არა მხოლოდ თავისთავად ერთი, არამედ ისიც, რაც ამ ერთის ბუნებას ეხება და ყოველივე ზემოთქმულიც ხომ როგორღაც ერთს ეხებოდა. ცხადია, რომ არსებული როგორც არსებული, ერთი მეცნიერების საგანია. მეცნიერება კი ყოველთვის პირველს ეხება, უმთავრესად იმას, საიდანაც გამომდინარეობს ყოველივე სხვა და რომელზედაც ითქმიან ისინი. და თუ ეს სუბსტანციაა, მაშინ ფილოსოფოსმა უნდა იცოდეს სუბსტანციათა საწყისები და მიზეზები.

ერთი გვარის ყველა მოვლენას ეხება ერთი შეგრძნების ორგანო და ერთი მეცნიერება, მაგალითად გრამატიკა ერთია, მაგრამ ყველა ბგერას სწავლობს. ამიტომაც არსებულის, როგორც არსებულის სახეებს ერთი მეცნიერება უნდა სწავლობდეს, არსებულის სახეებს კი ამ მეცნიერების სახეები. არსებული და ერთი ერთი და იმავე ბუნებისაა არიან. რადგან ერთიმეორეს მისდევენ, როგორც საწყისი და მიზეზი და არა როგორც მხოლოდ ერთი და იმავე სახელწოდების მქონენი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ჩვენ მათ ასეთად არ ჩავთვლით პირიქით, ეს ჩვენთვის უფრო მეტად ხელსაყრელია. რადგან სულ ერთია, ვიტყვით ჩვენ „ერთ ადამიანს" და „ადამიანს", თუ „არსებულ ადამიანს" და „ადამიანს". ასევე „ერთი ადამიანის" გაორმაგებული გამოთქმა „ერთი არსებული ადამიანი" სხვას არაა ნიშნავს, თუ არა იმასვე ცხადია, იგივე უნდა ითქვას არსებულის წარმოშობისა და დაღუპვის შემთხვევაში და „ერთის" მიმართაც. ამრიგად, ცხადია, ასეთ შემთხვევებში სიტყვა „არსებულის" მიმატება მნიშვნელობას არ სცვლის და „ერთი", „არსებულის" გარდა, სხვა არა არის რა. ასევე თვითეული სუბსტანცია შემთხვევით არაა არც „ერთი" და არც „არსებული". ასე რომ, რამდენი გვარიცა აქვს ერთს, იმდენივე არსებულს. არსებულის გვარებს კი მაგალითად, იგივეობას, მსგავსებას და სხვა ამდაგვარს ერთი მეცნიერება სწავლობს, თითქმის ყველა სახის წინააღმდეგობაც იმავე საწყისებზე დაიყვანება - ეს მე 1004a
დადგენილი მაქვს ჩემს „წინააღმდეგობათა მიმოხილვაში" და ფილოსოფიასაც იმდენივე ნაწილები აქვს, რამდენიც სუბსტანციებია. ასე რომ, მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ რაღაც პირველი და მომდევნო. რადგან არსებული და ერთი იყოფიან გვარებად, ამიტომ არსებობენ მათი შესატყვისი მეცნიერებანიც. ფილოსოფიაზე იგივე ითქმია, რაც მათემატიკაზე. მათემატიკასაც აქვს ნაწილები: პირველი, მეორე და ასე შემდეგ.

რადგან ერთი და იგივე მეცნიერება სწავლობს მოპირდაპირე მოვლენებს, ერთს კი სიმრავლე უპირისპირდება, ამიტომ როგორც უარყოფას, ისე ნაკლს ერთი მეცნიერება ეხება, რადგან ორივე შემთხვევაში განსახილველია ერთი, რომელსაც ეხება უარყოფაცა და ნაკლიც. ჩვენ ან მარტივად ვამბობთ, რომ არ არსებობს ის, ან რომელიმე გვარის მიხედვით, სადაც ერთს ახასიათებს რაიმე სახესხვაობა. ეს მას უარყოფასთან ერთად აქვს. არქონება ხომ უარყოფაა. ხოლო თვისების დაკარგვისას კი რჩება რაღაც სუბსტრატი — ბუნება, რომელზეც ვამბობთ, რომ თვისება დაკარგა. ერთს კი ბევრი რამ უპირისპირდება. ამრიგად, ზემოთქმულის საწინააღმდეგო ცნებებიც: სხვა, არამსგავსი, არატოლი და ყოველივე სხვა, რაც ან ამავე საწყისებს, ან ერთსა და მრავალს ეხება, არის ზემოდასახელებული მეცნიერების საგანი. იგულისხმება აგრეთვე დაპირისპირება დაპირისპირება კი რაღაც განსხვავებაა განსხვავება კი სხვად ყოფნას ნიშნავს. ამრიგად, როდესაც ვამბობთ, რომ ერთს მრავალი მნიშვნელობა აქვს, ის მრავალნაირადაც გამოითქმის, მაგრამ ყველაფერს ამას ერთი მეცნიერება სწავლობს. ის მაშინ კი არ არის მრავალი მეცნიერების ობიექტი, როდესაც მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, არამედ მაშინ, როდესაც მსჯელობა არ ეხება „ერთს" ან „ერთზე" არ დაიყვანება. მაგრამ რადგანაც ყოველივე პირველზე დაიყვანება, მაგალითად, რაც ერთზე ითქმის, დაიყვანება პირველ ერთზე, ამიტომ იგივე უნდა ვთქვათ ერთსა და იმავეზე, სხვაზე და საწინააღმდეგოზე. ამრიგად, განვიხილავთ რა, თუ რამდენი მნიშვნელობა აქვს თვითეულ ამათგანს, უნდა განვსაზღვროთ, თუ რა დამოკიდებულებაშია ერთი თვითეულ ამ კატეგორიასთან და რა მნიშვნელობით იხმარებიან ისინი მასზე. ისინი გამოხატავენ ან მის ქონებას, ან მოქმედებას, ასევე სხვა შემთხვევაშიც.

ცხადია, როგორც ეს უკვე ნათქვამი იყო „პრობლემებში", რომ როგორც ამას, ისევე სუბსტანციებსაც ერთი მეცნიერება სწავლობს. ეს განხილულია „პრობლემებში". ყოველივე ამის შესწავ-

1004b ლის უნარი უნდა ჰქონდეს ფილოსოფოსს. მაგრამ თუ ეს ფილოსოფოსის საქმე არაა, მაშინ ვინ უნდა იკვლიოს, რომ „მჯდარი სოკრატე“ და „სოკრატე“ ერთი და იგივეა, თუ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული? ან ის, თუ რაა დაპირისპირება და რამდენი მნიშვნელობა აქვს მას? ასევე ყველა სხვა ამდაგვარი მოვლენები. თუ ყველა ისინი არიან თვისებები თავისთავად ერთისა და არსებულისა, როგორც ასეთის და არა რამდენადაც ის ან რიცხვებია, ან ხაზებია, ან ცეცხლი, ცხადია, რომ ზემოთქმულ მეცნიერებას ეხება როგორც არსების, ისე მისი თვისებების შესწავლა. ისინი, ვინც ამას იკვლევდნენ, იმაში კი არ ცდებოდნენ, რომ ისინი მათ არ იკვლევდნენ, როგორც ფილოსოფოსნი, არამედ იმაში, რომ პირველ სუბსტანციას არ აქცევდნენ ყურადღებას, მაშინ როდესაც რიცხვს, როგორც რიცხვს, აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები: სიკენტე სილუწე, ფარდობითობა, ტოლობა-მეტნაკლებობა. ეს თვისებები ახასიათებთ რიცხვებს, როგორც თავისთავად, ისე ერთმანეთთან მიმართებაში ასევე სხეულს, როგორც უძრავს, ისე მოძრავს, როგორც უწონადს, ისე წონის მქონეს სხვა თავისებურებებიც აქვს. არსებულსაც, როგორც არსებულს, აქვს რაღაც თავისებურებები და სწორედ ესაა ის, რისი შესახებაც უნდა დაადგინოს ჭეშმარიტება ფილოსოფოსმა. ამას ამტკიცებს ის, რომ როგორც დიალექტიკოსები, ისე სოფისტები ფილოსოფოსის ნიღაბს ატარებენ, მაგრამ სოფისტიკა მხოლოდ მოჩვენებითი სიბრძნეა, დიალექტიკოსები კი ყველაფერზე მსჯელობენ, ყველაფრისათვის კი საერთოა არსებობა და მასზე მიტომ მსჯელობენ, რომ ეს ფილოსოფიისათვის სპეციფიკური ობიექტია. დიალექტიკა და სოფისტიკა იმავე სფეროს ეხებიან, რასაც ფილოსოფია, მაგრამ ფილოსოფია განსხვავდება დიალექტიკისაგან კვლევის მეთოდით, სოფისტიკისაგან ცხოვრების პრინციპების შერჩევით. დიალექტიკა ცდებს აკეთებს იმ ობიექტებზე, რასაც ფილოსოფია შეიცნობს, სოფისტიკა კი მოჩვენებითი და არა ნამდვილი მეცნიერებაა.

შემდეგ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ წყვილთა ერთ-ერთი მხარეა „ნაკლი“, მაგრამ ყველა ისინი დაიყვანებიან არსებულსა და არარსებულზე, ერთსა და მრავალზე, მაგალითად, უძრაობა ერთზე, მოძრაობა — მრავალზე. ყველა დაახლოებით ერთი აზრისაა იმის შესახებ, რომ არსებული და არსება ყოველთვის დაპირისპირებულ ელემენტთაგან შესდგება. ყოველ შემთხვევაში, ყველა აღიარებს ასეთ დაპირისპირებულ საწყისებს: ზოგი — კენტსა და ლუწს, ზოგი — თბილსა და ცივს, ზოგი — საზღ-

ვარსა და უსაზღვროს, ზოგი — მეგობრობასა და მტრობას. ყველა
სხვა საწყისებიც, როგორც ჩანს, ერთსა და მრავალზე დაიყვანე- 1005a
ბიან მე მხედველობაში მაქვს ჩემს მიერ მიკვლეული დაყვანა. ის საწყისებიც, რომლებიც სხვებმა დაუშვეს, მთლიანად ამ გვარში ექცევა. აქედან ცხადია, რომ არსებულს, როგორც არსებულს, ერთი მეცნიერება სწავლობს, რადგან ყველაფერი არის ან წინააღმდეგობა, ან წინააღმდეგობისაგან შესდგება. წინააღმდეგობის საწყისები კი ერთი და სიმრავლეა, რაც ერთი მეცნიერების ობიექტია, სულ ერთია, აქვს მას ერთი მნიშვნელობა, თუ არა, რასაც სინამდვილეშიც აქვს ადგილი. მაგრამ თუ ერთს მრავალი მნიშვნელობა აქვს, ყოველივე, თვით ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებიც კი ითქმის მასზე, როგორც პირველზე. ამიტომ, თუ არ არსებობს ზოგადი და ერთი, მოცემული საგნებში ან მათგან დამოუკიდებლად, მაშინაც ზოგი რამ მაინც ერთს ეხება, ზოგი კი მისგან გამომდინარეობს. ამიტომაც გეომეტრი არ იკვლევს იმას, თუ რა არის დაპირისპირება, დასრულებული ერთი არსებული, იგივეობრივი და განსხვავებული და თუ განიხილავს, განიხილავს პირობითად.

ამრიგად, ერთი მეცნიერების საქმეა არსებულის, როგორც არსებულის და მისი, როგორც არსებულის, თვისებების შესწავლა ისიც ცხადია, რომ ის არა მხოლოდ სუბსტანციებს სწავლობს, არამედ მის თვისებებსაც, როგორც ზემოთქმულთ, ისე წინამორბედთა და მომდევნოთ, გვარებსა და სახეებს, მთელსა და ნაწილებს და ყოველივე სხვა ამდაგვარს.

თავი მესამე

ახლა უნდა შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, რომ ერთი და იგივეა, თუ სხვადასხვა მეცნიერების საგანია ე. წ. მათემატიკური აქსიომები და მათემატიკური ხასიათის მოვლენები. ცხადია, რომ მათი განხილვა არის ერთი მეცნიერების საგანი, კერძოდ, იმ მეცნიერებისა, რომელიც ფილოსოფოსს ეკუთვნის და სწორედ ამის განხილვაა საჭირო. ეს აქსიომები ახასიათებს ყველა სახის სუბსტანციას და არა სხვებისაგან დამოუკიდებლად არსებულ რაღაც განსაკუთრებულ გვარს. ყველა იყენებს მათ, რადგან ისინი ახასიათებენ არსებულს, როგორც არსებულს. ყოველი გვარი კი არსებულია, და იყენებენ მათ იმდენად, რამდენადაც ეს საკმარისია

მათთვის იმ გვარის ფარგლებში, სადაც მტკიცებას მიმართავენ. ამრიგად, ცხადია, რომ რადგან არსებობა ყველას ახასიათებს. ამიტომ ის ყველასათვის საერთო უნდა იყოს და ამიტომ ვინც სწავლობს არსებულს, როგორც არსებულს, მან ეს აქსიომებიც უნდა შეისწავლოს. ამიტომაც არც ერთი სპეციალური მეცნიერების წარმომადგენელი, ვერც გეომეტრი, ვერც მათემატიკოსი, გარდა ზოგიერთი ფიზიკოსისა, ვერ ბედავს იმის თქმას, ჭეშმარიტნი არიან თუ არა ისინი და ეს სრულიად მართებულია რადგან მათ ეგონათ რომ დაკვირვებას აწარმოებდნენ მთელი ბუნებისა და არსებულზე.
1005в მაგრამ არსებობს ფიზიკაზე მაღლა მდგომი რაღაც მეცნიერება (რადგან ბუნება არსებულის ერთ-ერთი სახეა), ზოგადი და პირველი სუბსტანციის შემსწავლელი, რომელიც აქსიომებსაც იკვლევს. ფიზიკა კი, თუმცა რაღაც იბრძნვის, მაგრამ არა პირველი [illegible] კი, რომლებიც ცდილობდნენ დაედგინათ თუ როგორ ვიღებთ ჭეშმარიტებას, არ ითვალისწინებენ „ანალიტიკებს" საჭიროა კი რომ მათ ხელი მოჰკიდონ ამას „ანალიტიკების" წინასწარი შესწავლის შემდეგ და არ აწარმოებდნენ კვლევას მხოლოდ მის შესწავლი[illegible] ხებ განსაზღვრით რომ ფილოსოფოსის საქმეა, როგორც ყოველგვარი [illegible] სუბსტანციის ბუნების შესწავლა, ისე სილოგიზმის საფუძვლების კვლევა ეს ცხადია. რადგან ყველაზე უკეთ მცოდნეს შეეფერება [illegible] ბის კვლევა [illegible] რის, როგორც ყველა გვარის, ისე არსებულის, როგორც არსებულის, ყველაზე მყარი საწყისების კვლევა ასეთი კი ფილოსოფოსია [illegible] ყოველგვარ [illegible] საწყისი [illegible] ისინი, რომელთა [illegible] შეცდომა შეუძლებელია ისინი ყველაზე უკეთ შეცნობადნი (რადგან ყველა სცდება იმაში, რასაც ვერ შეიცნობს) და [illegible] რომ ამ საწყისების ცოდნა აუცილებელია [illegible] ვისაც ნებისმიერი არსებულის შეცნობა სურს. [illegible] მაგრამ თუ რის ცოდნაა საჭირო მისთვის, ვინც რამეს სწავლობს, ეს მას თავიდანვე უნდა ჰქონდეს. აუცილებლად გარკვეულ რომ [illegible] ყველაფრის საწყისი ყველაზე უფრო მეტად მყარია. [illegible] მაგრამ თუ რას წარმოადგენს ის, ამის შესახებ ახლა ვიმსჯელებთ.

ერთი და იგივე ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მიმართებაში ერთსა და იმავე საგანს არ შეიძლება ახასიათებდეს და არც ახასიათებდეს [illegible] რა განსაზღვრებებიც უნდა დამატებოდა [illegible] დებულება ლოგიკური სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით. წინასწარ უკვე დავუმატეთ. [illegible] ყველაზე [illegible] საფუძველი. რადგან ზემოთმოტანილი განსაზღვრება მას უდგება [illegible] რომელი საგანიც არ უნდა ავიღოთ, შეუძლებელია რომ ის არსე-

ბობდეს და არც არსებობდეს, როგორც ზოგიერთის აზრით, [illegible] შეუძლებელია. რომ [illegible]
[illegible] თავისთავად ყველა სხვა აქსიომების საფუძველია.

[illegible]

არსებობენ ისეთი მოაზროვნენიც, რომლებიც როგორც [illegible] არის და არც არის და სჯერათ 1006a
[illegible]
[illegible] ყველა ასეთ შემთხვევაში უნდა [illegible] რომ მოწინააღმდეგემ თქვას რაიმეზე, რომ ის არსებობს, ან არ

არსებობს (ეს თავიდანვე იმის მიღება იქნებოდა, რასაც დასაბუთება სჭირდება), არამედ იმის მოთხოვნით, რომ ის როგორც თავისთვის, ისე სხვისთვის რაღაც გარკვეულზე მსჯელობდეს. ეს კი აუცილებელია, თუ მას რაიმეს თქმა სურს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერც თავისთვის და ვერც სხვისთვის ვერაფერს გარკვევით ვერ იტყვის. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მტკიცებაც, რადგან მას რაღაც განსაზღვრული ექნებოდა მხედველობაში. მიზეზი ამისა ის კი არაა, ვინც ამტკიცებს, არამედ მოწინააღმდეგე, რომელიც იმ დებულებას იყენებს, რომელსაც უარყოფს. გარდა ამისა, ვინც ამას უშვებს, იმასაც უშვებს, რომ არსებობს რაღაც ჭეშმარიტება დასაბუთების გარეშე. მაგალითად, დებულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ყოველივე ასე იყოს და არც იყოს[4]

უპირველესად ყოვლისა, ცხადია, ჭეშმარიტია ის, რომ გამოთქმა „არსებობს“ ან „არ არსებობს“ რაღაცას ნიშნავს და არ შეიძლება, რომ ყოველივე ასე იყოს და არც იყოს. შემდეგ, თუ „ადამიანს“ ერთი მნიშვნელობა აქვს, ის შესაძლებელია, „ორფეხა ცხოველს“ ნიშნავდეს. ერთ მნიშვნელობაში შემდეგს ვგულისხმობ: თუ ის ნიშნავს „ადამიანს“, როგორც ადამიანს, ამ შემთხვევაში ეს „ადამიანად ყოფნა“ იქნება. მდგომარეობას არ სცვლის ის, თუ მას ბევრი მნიშვნელობა აღმოაჩნდება, მთავარია, რომ ამ მნიშვნე-
1006ბ ლობათა რიცხვი განსაზღვრული იყოს, რადგან ყოველ მნიშვნელობას განსხვავებულ სახელს დავარქმევდით. მე იმის თქმა მინდა, რომ თუ ვინმე ამბობს, რომ „ადამიანს“ აქვს არა ერთი, არამედ მრავალი მნიშვნელობა, რომელთაგან ერთი „ორფეხა ცხოველია“ და ამის გარდა, კიდევ სხვა მრავალი მნიშვნელობები, ოღონდ რიცხვით განსაზღვრული, მაშინ საჭირო იქნებოდა თვითეული მნიშვნელობისათვის ცალკე სახელწოდების გამონახვა. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, არამედ დაგვეშვა, რომ ცნებებს განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ, ცხადია, რომ ურთიერთგაგება შეუძლებელი იქნებოდა. რადგან ერთი მნიშვნელობის არქონება არც ერთი მნიშვნელობის არქონებას ნიშნავს. ხოლო თუ სიტყვებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ისპობა ერთმანეთის და კიდევ მეტი, თავის თავის ჭეშმარიტი გაგების შესაძლებლობაც კი, რადგან აზროვნება შეუძლებელია რაღაც იგივეობრივის მოაზრების გარეშე. და თუ ეს ასეა, მაშინ ყოველ ცალკე აღებულ საგანს ცალკე სახელიც უნდა დაერქვას.

ამრიგად, როგორც თავიდანვე ვთქვით, თუ სიტყვას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ეს მნიშვნელობა ერთია და შეუძლებელია, რომ „ადამიანის არსებობა“ „ადამიანის არარსებობას“ ნიშნავდეს, თუ „ადამიანი“ არა მხოლოდ ერთთან მიმართებას გამოხატავს, არამედ ერთ აზრსაც. მაგრამ ერთი არაა იგივე, რაც ერთთან მიმართებაში ყოფნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც „განათლებულს“, ისე „თეთრს“ და „ადამიანს“ ერთი და იგივე მნიშვნელობა ექნებოდათ. და მაშინ ყველაფერი ერთი იქნებოდა, როგორც სინონიმები. არსებობა და არარსებობა, ერთი და იგივე არაა, არამედ ისინი მხოლოდ ომონიმები შეიძლება იყვნენ. მაგალითად, იმისთვის, რასაც ჩვენ „ადამიანს“ ვუწოდებთ, სხვებს შეიძლება „არაადამიანი“ ეწოდებინათ. მაგრამ სადაო ეს კი არაა, რომ ერთსა და იმავე მოვლენას შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ერთი და იგივე სახელი ადამიანისა, არამედ საგანი თვითონ. მაგრამ თუ „ადამიანს“ [illegible] მნიშვნელობა არა აქვთ, ცხადია, სხვადასხვა არ იქნებოდა „ადამიანად ყოფნა“ და „ადამიანად არ-ყოფნა“. ასე რომ, „ადამიანად ყოფნა“ იგივე იქნებოდა, რაც „არყოფნა ადამიანად“, რადგან ობიექტი ერთი იქნებოდა. ერთად [illegible] თუ ცნება ერთია. თუ ეს ერთი და იგივეა, მაშინ ერთი და იგივე მნიშვნელობა ექნებოდათ [illegible] „ადამიანად ყოფნას“ და „არყოფნას ადამიანად“. მაგრამ ჩვენ [illegible] თუ გამოთქმა „ის ადამიანია“ ჭეშმარიტია, აუცილებელია „ის“ „ორფეხა ცხოველიც იყოს“. რადგან ეს „ადამიანის“ მნიშვნელობაში შედის. მაგრამ თუ ეს აუცილებელია, შეუძლებელია, რომ ადამიანი ამავე დროს „ორფეხა ცხოველიც“ არ იყოს. რადგან „აუცილებლად ყოფნა“ „ადამიანად არყოფნის“ შეუძლებლობას ნიშნავს. ამრიგად, შეუძლებელია, რომ ერთდროულად ჭეშმარიტი 1007ა
იყოს იმის თქმა, რომ ერთი და იგივე „არის ადამიანი“ და „არც არის ადამიანი“. იგივე უნდა ითქვას „ადამიანად არყოფნაზე“. რადგან „ადამიანად ყოფნა“ და „არყოფნა ადამიანად“ სხვადასხვა აზრს გამოხატავენ ისევე, როგორც სხვადასხვაა „თეთრად ყოფნა“ და „ადამიანად ყოფნა“, ოღონდ პირველ შემთხვევაში საგნები ერთიმეორეს უფრო მეტად უპირისპირდებიან ისე, რომ სხვადასხვას ნიშნავენ. მაგრამ თუ „თეთრი“ და „ადამიანი“ ერთსა და იმავე აზრს ატარებს, მაშინ იგივე შეიძლება ვთქვათ, რაც ადრევე იყო ნათქვამი, რომ ყოველივე ერთი იქნებოდა და არა მარტო [illegible]პირისპირებული. და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ იმავე შედეგს ვღებულობდით, რაც უკვე ვთქვით, თუ მოწინააღმდეგე მხოლოდ

იმაზე პასუხობს, რასაც ეკითხებიან. მაგრამ თუ ის პასუხს კიდევ სხვა რამეს უმატებს, ის შეკითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა და არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ერთი და იგივე იყოს, როგორც „ადამიანი“, ისე „თეთრი“ და სხვა ათასი რამ. მაგრამ მიუხედავად ამისა, კითხვაზე „რომელია სწორი, რომ ის ადამიანია, თუ არა?“ ვპასუხობთ რაღაც ერთს და არ ვუმატებთ, რომ ის თეთრიცაა და დიდიც, რადგან შეუძლებელიცაა დაუსრულებელი რაოდენობის შემთხვევითი ნიშნების ჩამოთვლა, არამედ საჭიროა ან ყველა ნიშნის ჩამოთვლა, ან არც ერთისა. ასევე ერთი და იგივე თუნდა ათასჯერაც იყოს და არ იყოს ადამიანი, მოპასუხე კითხვაზე იმის შესახებ, არის ეს ადამიანი? — არ უმატებს, რომ ის ამავე დროს ადამიანი არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა ჩამოთვალოს ყველა სხვა შემთხვევითი ნიშანი, რაც აქვს, თუ არა აქვს ადამიანს. და თუ ის ასე არ მოიქცევა, შეუძლებელს გახდის საუბარს.

საერთოდ, ვინც ასე მსჯელობს, სპობს, როგორც სუბსტანციას, ისე მის არსებას. რადგან ყველაფერს თვისებად აცხადებს და უარყოფს თვით „ადამიანად ყოფნას“ ან „ცხოველად ყოფნას“[5]. მაგრამ თუ არსებობს რაიმე, რაც „ადამიანად ყოფნას“ ნიშნავს, მაშინ ის არ იქნება იმავე მნიშვნელობისა, რაც „არაადამიანად ყოფნა“, ანდა „არყოფნა ადამიანად“, რადგან ესენი პირველის უარყოფაა. ამრიგად, ამ გამოთქმას ერთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და რაიმეს არსებას უნდა გამოხატავდეს. არსება კი იმას ნიშნავს, რომ ის არ შეიძლება სხვა რამ იყოს. მაგრამ თუ ერთი და იგივეა, როგორც „ადამიანად ყოფნა“, ისე „არაადამიანად ყოფნა“, „არყოფნა ადამიანად“ და სხვა, მაშინ აუცილებელია ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს ცნებას, არამედ შემთხვევით ნიშნებს. არსება და შემთხვევითი ნიშნები შემდეგნაირად განსხვავდებიან: „თეთრი“ არის „ადამიანის“ შემთხვევითი ნიშანი, რადგან „ადამიანი“ თეთრია მხოლოდ თავისი ნიშნით და არა თავისი არსებით. მაგრამ, თუ ყოველივეზე ვილაპარაკეთ, როგორც შემთხვევითზე, მაშინ თავისთავად პირველი არაფერი არ იქნება, რომელზეც ითქმის ყველაფერი. შემთხვევითი ნიშანი ხომ ყოველთვის რაღაც სუბსტრატზე ითქმის. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ავლა
1007 უსასრულობაში, რაც შეუძლებელია, რადგან ორზე მეტი შემთხვევითი ნიშანი არ უკავშირდება ერთმანეთს. შემთხვევითი ნიშანი არ შეიძლება შემთხვევითის შემთხვევით ნიშანი იყოს, თუ ორივე რაღაც მესამის შემთხვევითი ნიშნები არ არიან. მაგალითად, „გა-

ნათლებული თეთრიც“ „თეთრია“, „თეთრი“ კი „განათლებული“, რადგან ორივე „ადამიანის“ შემთხვევითი ნიშნებია. „სოკრატე განათლებულია“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ორივე ეს რაღაც სხვის შემთხვევითი ნიშანი იყოს. შემთხვევითი ნიშნები არ შეიძლებ[illegible] ვიხმაროთ, როგორც [illegible] „სოკრატეს სითეთრის“ შესახებ, მაგრამ შეუძლებელია უსაზღვროთ ზევით სვლა ისე, რომ „სოკრატეს სითეთრეს“ სხვა შემთხვევითი ნიშანი აღმოაჩნდეს. რადგან ყველა ამათგან რაღაც ერთიანი არ [illegible] და არ „თეთრს“ შეიძლება რაიმე სხვა შემთხვევითი ნიშანი ჰქონდეს. მაგალითად, „განათლებული“ ეს უკანასკნელი [illegible] შეიძლება იყოს უფრო მეტად იმის შემთხვევითი ნიშანი, ან [illegible] ამავე დროს [illegible] რომ ზოგჯერ ასეთი ხასიათის შემთხვევითი ნიშნები გვაქვს, ზოგჯერ კი ისეთი, როგორც „სოკრატე განათლებულია“. თუ ეს ასეა, შემთხვევითი ნიშანი შემთხვევითი ნიშნის შემთხვევითი ნიშანი ვერ იქნება და მაშასადამე, როგორც ვთქვით, არ შეიძლება ყოველივეზე მსჯელობა როგორც შემთხვევითზე, არამედ, უნდა არსებობდეს რაღაც, რაც არსებას ნიშნავს. და თუ ეს ასეა, მაშინ დამტკიცდა, რომ შეუძლებელია ერთდროულად ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებათა გამოთქმა.

გარდა ამისა, თუ ერთი და იგივე მოვლენის შესახებ ერთსა და იმავე მიმართებაში ყველა საწინააღმდეგო მსჯელობა ჭეშმარიტია, ცხადია, რომ მაშინ ყველაფერი ერთი იქნებოდა: ტრიერაც[6], კედელიც და ადამიანიც ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ყოველივეზე ყველაფრის მტკიცებაც და უარყოფაც, რაც აუცილებელია პროტაგორას მოძღვრების მიმდევართა აზრით. თუ საწინააღმდეგო მსჯელობები ჭეშმარიტია, მაშინ მისთვის, ვისაც ჰგონია, რომ ადამიანი არ არის ტრიერა, ცხადია რომ ის არის და არც არის ტრიერა. მაშინ შედეგად მივიღებთ იმას, რასაც ანაქსაგორა ასწავლიდა, რომ ყველა საგანი ერთია. ასე რომ, ჭეშმარიტად არაფერი აღარ იარსებებდა

როგორც ჩანს, [illegible] ზღვრელს უნდა გულისხმობდნენ ისინი, [illegible] ფიქრობენ, რომ არსებულზე მსჯელობენ, რადგან შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში არსებული განუსაზღვრელი. მათი აზრით, ყველაფრის შესახებ შეიძლება ყველაფრის მტკიცება და უარყოფა მაგრამ შეუსაბამობაა, რომ რასაც უარვყოფთ საგნის შესახებ, ის არსებობდეს და რასაც მივაწერთ, ის არ არსებობდეს. მე მხედველობაში

მაქვს ის, რომ თუ ჭეშმარიტია ადამიანზე ვთქვათ, რომ „არაა ადა-
მიანი“, [illegible] რომ [illegible] შეიძლებოდა გვეთქვა რომ [illegible]
ან „არ არის ტრიერი“ და თუ მის მიმართ შესაძლებელი მტკიცება, [illegible]
[illegible]
[illegible] უარყოფა [illegible] იქნება [illegible]
1008a [illegible] და თუ მისი უარყოფა შეუძლებელი [illegible]
[illegible] იქნება ტრიერის უარყოფაც და თუ [illegible]
შეუძლებელი იქნებოდა მტკიცება.

[illegible] თვლის [illegible]
[illegible] ან მხოლოდ უარყოფას, რადგან, თუ ჭეშმარიტია, რომ [illegible]
და იგივე „არაა“ და „არც არის ადამიანი“. [illegible]
[illegible]
[illegible] უარყოფა [illegible]
ლებით ერთს, მაშინ ერთს ერთი უარყოფა დაუპირისპირდება.

[illegible] ყოველივეს შესახებ შეიძლება [illegible]
[illegible] და „[illegible] თეთრია“, [illegible]
[illegible] მტკიცებისა და უარყოფის, [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] მტკიცება, [illegible] უარყოფა [illegible]
[illegible] მტკიცება, ის შეიძლება უარყოფილ იქნას [illegible]
[illegible] სადაც მტკიცება, იქ ყველგან [illegible]
[illegible] მაშინ არ იარსებებდა რაიმე [illegible]
[illegible]
[illegible] გასაგები იქნებოდა [illegible]
[illegible] რომლებიც შესაძლებლად თვლიან [illegible]
[illegible] ჭეშმარიტებას [illegible]
[illegible] „თეთრია“ და „არცაა თეთრი“ [illegible]
[illegible] მაგრამ თუ ჭეშმარიტებაა [illegible]
[illegible] მტკიცებას და უარყოფას მაშინ [illegible]
[illegible] რაიმე იარსებებდა [illegible]
[illegible] როგორ [illegible]
[illegible] ყველ ერთი იქნებოდა, [illegible]
[illegible] წინააღმდეგობა [illegible] იქნებოდა [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible] დებულებათა ერთი მათგანში გამოთქმა დასაშვებია,
აქედან გამომდინარეობს ის, რაც ითქვა, რომ ყველანი ან ჭეშმარი-
ტი [illegible] ან [illegible] მცდარნი [illegible]
[illegible] შეცდომად უნდა გამოეცხადებინა ამავე დროს. ცხადია, რომ
[illegible] ადამიანთან არაფრის შესახებ არ შეიძლებოდა კამათი, რადგან
[illegible] ვერაფერს ვერ იტყოდა[8], ვერც იმას, რომ ეს ასეა და ვერც იმას,
[illegible] ამ ორის, არამედ იტყოდა, რომ ასეცაა და [illegible]
[illegible] დროს ორთავეს უარყოფდა, რომ ეს არც [illegible] და არც [illegible]
[illegible] წინააღმდეგ შემთხვევაში ის რაღაც განსაზღვრულს [illegible]
[illegible] გარდა, [illegible] უარყოფა [illegible]
[illegible] მტკიცება [illegible] 1008в
[illegible] ჭეშმარიტი ვერ იქნება,
[illegible] რომელ [illegible] განუ-
ყენეთ.

[illegible] მხოლოდ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] ჭეშმარი-
[illegible] და არც იქნებოდა ჭეშმარიტ [illegible] მაგრამ თუ [illegible]
[illegible] სცდებიან და ჭეშმარიტება [illegible]
[illegible] და ვერც იტყვიან ორივეზე, რომ [illegible]
[illegible] ერთდროულად ამბობენ [illegible]
[illegible] არაფერს არ ამტკიცებენ [illegible]
[illegible] რომ იქნებოდა [illegible]
[illegible]
[illegible] ყოფილა, [illegible]
[illegible] მიმდევარი [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] რომ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] და შემდეგ [illegible] მათ მაგრამ [illegible]

მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი ერთი და იგივე იქნებოდა, ადამიანიც და არაადამიანიც. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, არავინ არაა ისეთი, რომელიც ერთს უფრთხოდეს და მეორეს არა. ასე რომ, როგორც ჩანს, ყველას ერთი მარტივი შეხედულება აქვს, თუ ყველაფერზე არა, უკეთესსა და უარესზე მაინც. და თუ ეს არის არა მათი ცოდნა, არამედ წარმოდგენა, მით უფრო მეტად საჭიროა ფიქრი ჭეშმარიტებაზე, როგორც ავადმყოფი, უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს ჯანმრთელობაზე, ვიდრე ჯანმრთელი. ასევე წარმოდგენის მქონე არაა ისეთავე დამოკიდებულებაში ჭეშმარიტებასთან, როგორც მცოდნე ამას გარდა, დაე ყველაფერი იყოს და არც იყოს ასე, მაგრამ არსებულის ბუნებას მეტ-ნაკლებობა ახასიათებს, რადგან არ შეიძლება ერთნაირად ვუწოდოთ ლუწი ორსა და სამს. ასევე ერთნაირად არ სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ოთხი არის ხუთი, და ვისაც ის ათასი ჰგონია. და თუ ერთნაირად არ სცდებიან, ცხადია, რომ ერთი ნაკლებ სცდება და უფრო მეტ ჭეშმარიტებას ამბობს თუ არსებობს
1009ა ჭეშმარიტებასთან უფრო მეტად ახლო მყოფი საგნები, მაშინ უნდა იყოს რაიმე ჭეშმარიტიც, რომელთან ახლო მყოფი უფრო მეტად ჭეშმარიტი იქნება. და თუ ის არ არსებობს, მაგრამ არსებობს რაღაც უფრო მეტად ურყევი და უფრო მეტად ჭეშმარიტი, მაშინ განვთავისუფლდებოდით იმ უკიდურესი მოძღვრებიდან, რომელიც ხელს უშლის აზროვნებას რაიმეს დადგენაში.

თავი მეხუთე

ამავე შეხედულებიდან[1] გამომდინარეობს აგრეთვე პროტაგორას მოძღვრება და აუცილებელია, რომ ან ორივე მიღებულ იქნას, ან არც ერთი მათგანი. თუ ჭეშმარიტია ყველა შეხედულება და მოვლენა, აუცილებელია, რომ ყველაფერი ერთსა და იმავე დროს იყოს, როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი. რადგან ბევრს ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება აქვს, რომელთაგან ერთი მხარე ფიქრობს, რომ სცდება მეორე, რომელიც მის შეხედულებას არ იზიარებს. ასე რომ, აუცილებელია, ერთი და იგივე იყოს და არც იყოს და თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებელია, რომ ყველა შეხედულება ჭეშმარიტი იყოს, რადგან ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება აქვთ იმათ, რომელთაგან ერთნი სცდებიან და მეორენი კი ჭეშმარიტებას ამბობენ. და თუ სინამდვილეშიც ასეა, მაშინ ყველას ჭეშმარიტება უთქვამს. რომ ორივე თვალსაზრისი ერთი და

იმავე შეხედულებიდან გამომდინარეობს, ეს ცხადია, მაგრამ ყველას მიმართ მიდგომის მეთოდი ერთი და იგივე არ შეიძლება იყოს, რადგან ზოგს დარწმუნება სჭირდება, ზოგს იძულება[2]. უცოდინრობა იმათი, რომლებიც კვლევა-ძიებამ მიიყვანა აქამდე, ადვილი სამკურნალოა, რადგან აქ საქმე ეხება მათს მოძღვრებას და არა მხოლოდ სიტყვიერ მსჯელობას. იმათი მამხილებელი საშუალება კი, რომლებიც ლაპარაკობენ ლაპარაკის გულისათვის, არის სიტყვიერი ურთიერთობა და ცნებების დაზუსტება. მკვლევარებს შეხედულება საწინააღმდეგო აზრთა და საგანთა ერთდროული არსებობის შესახებ გაუჩნდათ შეგრძნებებიდან, სადაც საწინააღმდეგო შეხედულებანი და დაპირისპირებანი ერთდროულად არსებობენ და ერთი და იმავედან წარმოიშობიან. არარსებული არ შეიძლება წარმოიშვას. მაშინ საგანს წინასწარ უნდა ეარსება ორივე სახით, როგორც ამტკიცებს კიდეც ანაქსაგორა, რომ ყოველივე ყოველივეში იყო შერეული. და როგორც ასწავლის დემოკრიტე: ცარიელიცა და სავსეც, რომელთაც სამყაროს ნებისმიერ ადგილებში ვხვდებით, ერთნაირად არსებობენ, ეს უკანასკნელი, როგორც არსებული და პირველი როგორც არარსებული.

ამ შეხედულებების მომხრეთ უნდა ვუპასუხოთ, რომ ისინი ნაწილობრივ სწორად მსჯელობენ, ნაწილობრივ კი სცდებიან, რადგან არსებულზე ორი აზრით შეიძლება მსჯელობა: ერთი მხრივ, მისი წარმოშობა როგორღაც შესაძლებელია არარსებულიდან, მეორე მხრივ, ეს შეუძლებელია. ერთი და იგივე არის არსებულიცა და არარსებულიც, ოღონდ არა ერთსა და იმავე მიმართებაში. შესაძლებლობაში ერთი და იგივე შეიძლება დაპირისპირებულ მოვლენებს წარმოადგენდეს, სინამდვილეში კი არა. გარდა ამისა, საჭიროა მათ დაუშვან არსებულთა რაღაც არსება, რომელსაც არ ექნება სრულებით არც მოძრაობის, არც დაღუპვის და არც წარმოშობის თვისება[3].

ასევე ზოგს შეხედულება მოვლენების[4] ჭეშმარიტების შესახებ 1009ბ
შეგრძნებადი საგნებიდან გამოუმუშავდათ. მათი აზრით, ჭეშმარიტება ვერ დადგინდება შეგრძნებათა სიმრავლეზე ან სიმცირეზე დაყრდნობით[5], რადგან ერთი და იგივე ზოგს ტკბილად ეჩვენება, ზოგს კი მწარედ. ამიტომ ყველა რომ ავად გამხდარიყო ან ჭკუაზე შეშლილიყო და ორი-სამი კაციღა დარჩენილიყო ჯანმრთელი და ჭკუამყოფელი, მაშინ ამათ ჩათვლიდნენ ავადმყოფებად და გიჟებად და არა სხვებს. ამას გარდა, მრავალ სხვა ცხოველსა და ჩვენ ერთი და იგივე საწინააღმდეგოდ ეჩვენება. და ერთსა და იმავე ადამიანსაც ერთი და იგივე საგანი შეგრძნებებში ერთნაირად არ

ეჩვენება. რომელი მათგანია მცდარი ან ჭეშმარიტი, არაა ნათელი. იმიტომ, რომ ერთი მათგანი უფრო მეტად ჭეშმარიტი არაა, ვიდრე მეორე, არამედ ორივე ერთნაირად ჭეშმარიტნი არიან. ამიტომ ამბობდა დემოკრიტე, რომ ჭეშმარიტი არაფერია, ან ჩვენთვის დაფარულიაო[6]. გამომდინარენი, ერთი მხრივ, აზრისა და შეგრძნებების იგივეობიდან და მეორე მხრივ, ორივეს ცვალებადობასთან იგივეობის დებულებიდან, ამტკიცებდნენ, რომ რაც შეგრძნებებში გვევლინება, აუცილებლად ჭეშმარიტიაო[7]. გადმოცემის მიხედვით, ემპედოკლე, დემოკრიტე და სხვები, ამ შეხედულებას იზიარებდნენ. კერძოდ, ემპედოკლეს უმტკიცებია, რომ ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის ცვალებადობა აზროვნების ცვალებადობის მომასწავებელიაო, რადგან „ფიზიკური მდგომარეობის შეცვლასთან ერთად ძლიერდება მისი აზროვნების უნარიო“. მეორე ადგილას კი ამბობს, რომ „რამდენადაც იცვლება ადამიანის ბუნება, იმდენად იცვლება მისი აზროვნებაც“. ასევე აცხადებს პარმენიდეც: „როგორ ნაერთსაც წარმოადგენს ადამიანის სხეულის მოქნილი ნაწილები, ისეთივეა მისი აზროვნებაც. აზროვნების ორგანოს და სხეულის ნაწილების ბუნება ყველგან და ყველასათვის იგივეობრივია და რაც ჭარბობს, ის არის აზრი“.

ანაქსაგორას შეხედულების მიხედვით, რომელიც მისმა რომელიღაც მიმდევრებმა შემოგვინახეს, ადამიანებისათვის საგნები ისეთია, როგორც აღიქვამენ როგორც ამბობენ, ჩანს, რომ ამ აზრისა იყო ჰომეროსიც, როდესაც ჰექტორის შესახებ ამბობდა, რომ „მან დარტყმისაგან გონება დაკარგა და იწვა შეცვლილი აზრებით“. გულისხმობს რა, რომ ჭკუას გადასულნიც აზროვნებენ, ოღონდ არა ისე, როგორც ჭკუათამყოფელნი. ცხადია, რომ თუ ორივე აზროვნებაა, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს ასეთი, აქედან უაღრესად ცუდი შედეგები გამომდინარეობს, რომ ყველაზე უკეთ ჭეშმარიტების განჭვრეტა იმათ შეუძლიათ, რომლებიც ყველაზე მეტად ეძებენ მას და ყველაზე უფრო უყვართ ის. თუ მათ ასეთი შეხედულებები აქვთ და ასე მსჯელობენ ჭეშმარიტებაზე, მაშინ რატომ არ კარგავენ ფილოსოფიისადმი რწმენას ისინი, ვინც ფილოსოფიაში მუშაობას აპირებენ, რადგან ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების ძებნა წყლის ნაყვა იქნებოდა[8].

ასეთი შეხედულებები გამოიწვია იმან, რომ იკვლევდნენ რა
1010a ჭეშმარიტებას არსებულის შესახებ, არსებულად მხოლოდ შეგრძნებები მიაჩნდათ, შეგრძნებებს კი უაღრესად განუსაზღვრელი ბუნება აქვთ და ისე არსებობენ, როგორც ჩვენ ვთქვით. ეს მოაზროვნენი გონივრულად მსჯელობენ, მაგრამ მათი მსჯელობა არაა ჭეშმარიტი[9]. თუმცა ასეთი მსჯელობა უფრო შესაფერია, ვიდრე ქსენოფანეს წინააღმდეგ მიმართული მსჯელობა ეპიხარმესი. შემდეგ, ხედავდნენ რა, რომ მთელი ბუნება მოძრაობაშია და რომ ცვალებად მოვლენებში არაფერია ჭეშმარიტი, დაასკვნეს, რომ ყოველმხრივ ცვალებადის მიგნება შეუძლებელიაო. ასეთი წარმოდგენიდან გამომდინარეობდა უკვე გამოთქმულ შეხედულებათა შორის ყველაზე უკიდურესი შეხედულება ჰერაკლიტეს მიმდევრებისა, და კრატილოსისა, რომელიც გადაჭრით არაფერს არ ამბობდა, არამედ მხოლოდ თითს ამოძრავებდა და ჰკიცხავდა ჰერაკლიტეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ჩავლაო. თვითონ კი ფიქრობდა, რომ ეს შეუძლებელია ერთხელაც კი. ამ მოძღვრების მიმდევრების აზრით, ცვალებადი საგანი, სანამ ის ცვალებადობაშია, არ არსებობს. მაგრამ ეს სადავოა, რადგან საგანი, რომელიც რაიმე თვისებას კარგავს, აქედან რაღაც ნაწილს ინარჩუნებს და იქიდანაც, რასაც იძენს, ნაწილი აუცილებლად უნდა ჰქონდეს წინასწარ. საერთოდ, როდესაც რაიმე ისპობა, მისი რაღაც ნაწილი რჩება და როდესაც რაიმე იბადება, აუცილებლად არსებობს წინასწარ ის, რისგანაც და რის საშუალებითაც წარმოიშობა. თუმცა ეს პროცესი არ შეიძლება უსასრულო იყოს

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და შევეხოთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით რაოდენობრივი ცვალებადობა იგივე არაა, რაც თვისობრივი, რომ რაოდენობის მიხედვით უცვლელი არაფერი არ არის, ამიტომ ყველაფერს ფორმით შევიცნობთ. ამ შეხედულების მომხრენი გაკიცხვის ღირსნი არიან, რადგან ისინი აწარმოებენ დაკვირვებას შეგრძნებადი მოვლენების მცირე რაოდენობაზე და მათი ანალოგიით მსჯელობენ მთელ სამყაროზე მხოლოდ ჩვენს გარშემო არსებული შეგრძნებადი სამყარო განუწყვეტლივ ისპობა და იშობა, რაც მთელი კოსმოსის უმცირესი ნაწილია. ასე რომ, უფრო სამართლიანი იქნებოდა ამათი[10] საშუალებით ისინი[11] გაგვემართლებინა, ვიდრე მათი საშუალებით ესენი დაგვედანაშაულებინა.

შემდეგ, ცხადია, რომ ჩვენ მათ მიმართ უნდა მოვიქცეთ ისე, გორც ადრევე ვთქვით, საჭიროა დავუმტკიცოთ მათ და დავარწმუნოთ იმაში, რომ არსებობს რაღაც უძრავი ბუნება იმათი სიტყვებიდანაც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ერთი და იგივე საგანი ერთსა და იმავე მიმართებაში არსებობს და არც არსებობს, გამომდინარეობს, რომ ყველაფერი არ იმყოფება უფრო მეტად უძრავ

მდგომარეობაში, ვიდრე მოძრავში. და არ არსებობა რა ის, რაშიც ცვალებადობა ხდება, ამიტომაც ყველას ყველა თვისება ახასიათებს.

1010в ხოლო, რაც შეეხება იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველა შეგრძნება ჭეშმარიტი არაა, უნდა ითქვას: პირველი, ყოველი ინდივიდუალური შეგრძნება მცდარი არ არის და მეორე, ფანტაზია და შეგრძნება იგივე არაა. შემდეგ, გაკვირვებას იწვევს დავა იმის შესახებ, რომ სიდიდე და ფერი ისეთია, როგორც შორიდან ჩანს, თუ როგორც ახლო მანძილიდან? როგორც ჯანმრთელებს ეჩვენებათ, თუ როგორც ავადმყოფებს? სიმძიმე ისეთია, როგორც სუსტებს ეჩვენებათ, თუ როგორც ძლიერებს? და ჭეშმარიტება ისეთია, როგორც მძინარეთ ეჩვენებათ, თუ როგორც ფხიზელთ? რომ ისინი ამ საკითხებზე არ ფიქრობენ, ეს ცხადია, რადგან არც ერთი ლიბიაში მყოფი, რომელსაც დაესიზმრა, რომ ათენში იმყოფება, არ წასულა ოდეონში“[12]. როგორც პლატონი ამბობს, ერთნაირი ძალა არა აქვს ექიმისა და უვიცის შეხედულებას იმის შესახებ, გამოჯანმრთელდება, თუ არა ეს ადამიანი. ისევე, როგორც ერთნაირი ძალა არა აქვს ახვისა და საკუთარ შეგრძნებებს და შეგრძნებებს, რომლებიც მიღებული არიან სპეციალურად ამ ობიექტისათვის განკუთვნილი გრძნობის ორგანოთი, ან ამ ორგანოს მონათესავით. ფერებისათვის განკუთვნილია მხედველობის ორგანო და არა გემოვნებისა, გემოვნებისათვის გემოვნების ორგანო და არა მხედველობისა. ამათგან არც ერთი შეგრძნება არ გვიჩვენებს ერთსა და იმავე საგანს ერთსა და იმავე დროს ასეთად და არც ასეთად. არც სხვადასხვა დროს არის საღავო საგნის თვისება, არამედ ის, რასაც ეს თვისება თან სდევს. მაგალითად, ღვინო შეიძლება მოგვეჩვენოს ხან ტკბილად, ხან კი არა, იმის გამო, რომ ან თვით ღვინო შეიცვალა ან იმიტომ, რომ შეიცვალა შემგრძნები სხეული. მაგრამ თვით სიტკბოება, სანამ არსებობს, არ იცვლება, არამედ ისეთივე რჩება, როგორიც არის და ასეთივე იქნება მომავალშიც. მის შესახებ შეგრძნებაც ყოველთვის ჭეშმარიტია. მაგრამ ყოველივე ამას ეწინააღმდეგება ის მოძღვრება, რომელიც უარყოფს ურყევ არსებას და ყოველგვარ აუცილებლობას. აუცილებლობა კი არ შეიძლება სხვადასხვანაირად არსებობდეს, რადგან რაც აუცილებლად არსებობა, ის არ შეიძლება ასეთი იყოს და არც იყოს ასეთი[13].

საერთოდ, თუ მხოლოდ შეგრძნებადი საგნები იქნებოდნენ და არ იარსებებდა არავითარი სულიერი არსება, მაშინ არც შეგრძნებას ექნებოდა ადგილი მაშინ ჭეშმარიტი იქნებოდა აზრი იმის შესახებ, რომ არ იქნებოდა არც შეგრძნებადი საგნები და არც შეგრძნებები, რადგან შეგრძნებები შემგრძნების მდგომარეობას წარმოადგე-

[illegible] მაგრამ არ შეიძლება, რომ არ იყოს [illegible] ლიც შეგრძნებებს იწვევს და რომ მას შეგრძნებები არ ჰქონდეს, [illegible]დგან შეგრძნება თავის თავის შეგრძნება კი არაა, არამედ შეგრძნებების გარდა არსებობს რაღაც სხვა, რაც აუცილებლად წინ უსწ-
[illegible] შეგრძნებებს[14]. ისევე, როგორც მამოძრავებელი თავისი ბუნებით წინ უსწრებს მოძრავს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთიმეო- 1011a
რეზე დამოკიდებულნი არიან.

თავი მეექვსე

სიძნელეებს აწყდებიან, როგორც ის მოაზროვნენი, რომლებსაც სწამთ ყოველივე ეს, ისე ისინი, რომლებიც მხოლოდ გამოსთქვამენ ამ [illegible] ვინმე [illegible] შე[illegible] თუ [illegible] ყოველ ვის [illegible] სწორი განსჯის უნარი. ეს ჰგავს კითხვას იმის შესახებ, გვძინავს, ჩვენ [illegible], თუ ვფხიზლობთ, [illegible] ყველა ამ [illegible] ერთნაირი ძალა აქვთ. ამ შეხედულების მომხრენი ეძებენ საწყისს და ის მიაჩნიათ დასაბუთებად. მაგრამ რომ ისინი არ არიან დარწმუნებული ამაში, ეს საქმიდან ჩანს. როგორც [illegible] ამ მოაზროვნეთა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეძებენ იმ საფუძველს, რასაც საფუძველი არა აქვს. რადგან დასაბუთების საფუძველი არ შეიძლება დასაბუთდეს. მათი დარწმუნება ამაში ადვილია, რადგან ამის გაგება ძნელი არ [illegible], რომლებიც [illegible] მხოლოდ მსჯელობაში ეძებენ, ეძებენ შეუძლებელს: დასაშვებად მიაჩნიათ რა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებების გამოთქმა, თვითაც გამოთქვამდნენ მათ. მაგრამ თუ ყოველივე მიმართება არაა, არამედ არის ზოგი რამ თავისთავადიც, მაშინ ყველა მოვლენა ჭეშმარიტი არ იქნება მოვლენა კი ყოველთვის ვიღაცას ევლინება. ამრიგად, ვინც ამბობს, რომ ყველა მოვლენა ჭეშმარიტია, ყოველ არსებულ საგანს მიმართებად აქცევს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმათაც, რომლებიც მსჯელობაში იძულებას ეძებენ და ამავე დროს საჭიროდ თვლიან დაიცვან დებულება იმის შესახებ, რომ არსებობს არა მოვლენა საერთოდ, არამედ მოვლენა, რომელიც გარკვეულ დროს, გარკვეული სახით და გარკვეულ პირობებში ვიღაცას ევლინება. თუ ისინი იცავენ ამ შეხედულებას, მაგრამ არა ამგვარად, მაშინ ისინი წინააღმდეგობაში მოექცევიან თავისსავე თავთან. ერთი და იგივე საგანი შესაძლებელია ადამიანმა მხედველობით თაფლად ჩათვალოს, გემოვნე-

ბით კი არა. ხოლო ვისაც განსხვავებული მხედველობის მქონე თვალები აქვს, საგანი სხვადასხვა თვალში სხვადასხვანაირად მოეჩვენება. ზემოდასახელებული მიზეზის გამო მათ ყველა მოვლენები ჭეშმარიტად მიაჩნიათ და ამიტომ ყველა შეხედულება — ერთნაირად მცდარად და ჭეშმარიტად. მაგრამ არც ყველას და არც ერთსა და იმავეს ყოველთვის ერთი და იგივე არ ეჩვენება, არამედ ხშირად ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ხშირად საწინააღმდეგოდაც კი ეჩვენებათ. მაგალითად, შეხების შეგრძნებას ორი გადაჯვარედინებული თითით საგანი ორად ეჩვენება, მხედველობას კი ერთად. ასე რომ, ჭეშმარიტი იქნება დებულება იმის შესახებ, რომ შეუძლებელია საგანი ერთი და იმავე შეგრძნებით ერთსა და იმავე პირო-
1011b ბებაა და დროში ერთსა და იმავედ ეჩვენოს ადამიანს. ამიტომაც ასევე აუცილებელია უთხრათ იმათ, რომლებსაც ალაპარაკებთ არა სიძნელეების დაძლევის, არამედ ლაპარაკისავე მიზანი, რომ ეს დებულება მხოლოდ მათთვის არის ჭეშმარიტი და არა საერთოდ. და როგორც ზევითაც იყო თქმული, მათთვის აუცილებელია ყოველივეს მიმართებით ქცევა და შეხედულებებ[illegible] შეგრძნებებზე დაყვანა. ასე რომ, მათი აზრით, არაფერი არც წარმოიშობა, [illegible], თუ ის ვინმემ წინასწარ არ წარმოიდგინა. მაგრამ თუ რაიმე წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას, მაშინ ცხადია, რომ ყველაფერი შეხედულებაზე არ ყოფილა დამოკიდებული. თუ არსებობს რაიმე ერთი, ის დამოკიდებულებაშია ერთთანვე, ანდა ერთთა განსაზღვრულ რიცხვთან. და თუ ერთი და იგივეა „ნახევარი“ და „ტოლი“, ის ორმაგის ტოლი ყოველ შემთხვევაში არ იქნება. თუ აღმქმელისათვის „ადამიანი“ და „წარმოდგენის ობიექტი“ ერთი და იგივეა, მაშინ მისთვის „ადამიანი“ იქნება არა ის, რომელიც წარმოიდგენს, არამედ „რომელსაც წარმოიდგენენ“. და თუ ყოველივე დამოკიდებულია აღმქმელისაგან, მაშინ აღმქმელი უსაზღვრო სახის საგნებთან იქნება მიმართებაში.

აი, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას იმ ყველაზე უფრო ურყევი დებულების შესახებ, რომ არ შეიძლება ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი მტკიცება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს, აგრეთვე აქედან გამომდინარე შედეგებისა და იმის შესახებ, თუ რატომ ამტკიცებენ ზოგნი ამას. თუ შეუძლებელია, ერთი და იმავეს შესახებ ერთდროულად გამოთქმული საწინააღმდეგო შეხედულებები ჭეშმარიტი იყოს, ცხადია, რომ ერთსა და იმავე ვითარებაში არ შეიძლება ორი დაპირისპირებული თვისება ახასიათებდეს [illegible] დაპირისპირებების ერთ-ერთი მეორე ნაკლია, რომელიც არსებულზე არა ნაკლებ არსებობს, რადგანაც [illegible]

ხოლო „ნაკლი“ რაღაც განსაზღვრული გვარის უარყოფაა: თუ შეუძლებელია ერთდროულად მტკიცებაცა და უარყოფაც ჭეშმარიტი იყოს, შეუძლებელია აგრეთვე ერთდროულად საწინააღმდეგო მოვლენების არსებობაც. ამიტომ ან ორივე განსაზღვრულ პირობებში უნდა არსებობდნენ, ან ერთ-ერთი მათგანი განსაზღვრულ პირობებში, მეორე კი — განუსაზღვრელში.

თავი მეშვიდე

ორ მოპირდაპირე მსჯელობას შორის შეუძლებელია რაიმე საშუალოს არსებობა, არამედ თვითეულ მათგანზე ცალკე აუცილებლად რამე ან მტკიცდება, ან უარიყოფა. ეს თავიდანვე ნათელი გახდება ჭეშმარიტებისა და სიცრუის ცნების განსაზღვრებისას. თქმა იმისა, რომ არსებული არ არსებობს და არარსებული კი არსებობს, სიცრუეა. ხოლო რომ არსებული არსებობა და არარსებული კი არ არსებობს — ჭეშმარიტია. ასე რომ, ვინც ამბობს, რომ რაიმე არსებობს ან არ არსებობს, ან ჭეშმარიტებას ამბობს, ან სცდება. მაგრამ არც არსებულზე შეიძლება ითქვას, რომ ის არ არსებობს და არ არსებობს და არც არარსებულზე. ამას გარდა, მოპირისპირე მსჯელობებს შორის ან არის რაღაც შუა, როგორც ნაცრისფერი შავსა და თეთრს შორის, ანდა არაფერი, როგორც ადამიანსა და ცხენს შორის. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ცვალებადობა არ იქნებოდა, რადგან ცვლილება ხდება არაკეთილიდან კეთილისკენ, ანდა პირიქით. ჩვენ კი ყოველთვის ვამჩნევთ, რომ ცვლილება მოპირისპირე მხარეებს შორის ისე არ შეიძლება იყოს, თუ არა შუალედი საფეხურების გავლით. თუ დავუშვებთ შუალედ საფეხურებს, ამ შემთხვევაში ცვლილება მოხდებოდა თეთრიდან და არა არათეთრიდან, რაც არსად არ შეინიშნება. შემდეგ, ყოველივე ის, 1012a
რასაც აზროვნება მოიაზრებს ან განსჯის, ის ან ამტკიცებს, ან უარყოფს, როგორც ჭეშმარიტების, ისე შეცდომის შემთხვევაში. რაც ნათელი გახდა ზემომოტანილი განსაზღვრებიდან: როდესაც ის ასე აკავშირებს, სულ ერთია, ამტკიცებს თუ უარყოფს, ამბობს ჭეშმარიტებას, თუ არა და სცდება.

გარდა ამისა, ყველა დაპირისპირებულს შორის უნდა არსებობდეს შუა საფეხური, თუ მსჯელობა არ წარმოებს მსჯელობისავე გულისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი ვერ იტყოდა ჭეშმარიტებას და ვერც არაჭეშმარიტებას. ამრიგად, არსებულსა და არარსებულს შორის კიდევ იარსებებდა რაღაც, როგორც წარ-

მოშობადაა და დაღუპვადს შორის — რაღაც ცვალ[illegible] ლეგ, სადაც უარყოფა საწინააღმდეგო მოვლენას იწვევს, შუალედი საფეხური აქაც იარსებებდა, როგორც რიცხვებში უნდა არსებობდეს რიცხვი, რომელიც არც კენტია და არც არაკენტი. მაგრამ ეს შეუძლებელია, რაც ნათელია ცნებათა განსაზღვრებიდან ამ შემთხვევაში პროცესი განუსაზღვრელი იქნებოდა და არსებულის რიცხვი გაიზრდებოდა არა მხოლოდ ერთ ნახევარჯერ, არამედ მეტჯერაც.

შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა უარყოფა, როგორც მტკიცებისა, ისე უარყოფის. ესეც ხომ რაღაც არსებული იქნებოდა, რადგან მას რაღაც სხვა არაება ექნებოდა შემდეგ, როდესაც მოპაუხე უარყოფს თეთრის არსებობას, ის სხვას არაფერს არ უარყოფს, გარდა არსებობისა, რადგან უარყოფა არსებობას გულისხმობს. ზოგი ამ, და ზოგი სხვა პარადოქსებამდე მივიდნენ ერთი და იმავე გზით. ისინი, როდესაც ვერ სწყვეტდნენ სადაო საკითხებს, თავს ანებებდნენ მას და ჭეშმარიტად მიიჩნევდნენ იმას, რასაც სილოგიზმით იღებდნენ. ზოგი ამ მიზეზით მსჯელობდა, ზოგი კი იმიტომ, რომ ყოველივეს დასაბუთებას ეძებდა. ყველა ამ წამოწყებათა წინააღმდეგ ცნებათა განსაზღვრებით უნდა დავიწყოთ განსაზღვრება კი მიიღება აუცილებლად აღნიშვნით. ის სიტყვებში გამოხატული ცნებაა. როგორც ჩანს, ჰერაკლიტეს დებულება იმის შესახებ, რომ ყოველივე არსებობს და არც არსებობს, ყველაფერს ჭეშმარიტებად აქცევდა. ანაქსაგორასი კი, რომელიც უშვებდა საწინააღმდეგო მსჯელობათა შორის რაღაც შუალედს, ყოველივეს შეცდომად აქცევდა, რადგან მისი აზრით, როდესაც ყოველივე შერეული იყო, ნარევი არ წარმოადგენდა არც სიკეთეს, არც არასიკეთეს ასე რომ, ვერავინ ვერ იტყოდა ჭეშმარიტებას.

თავი მერვე

დავადგინეთ რა ეს, ცხადი გახდა, რომ შეუძლებელია, როგორც ერთ ცალკეულ შემთხვევაში, ისე საერთოდ, სწორი იყოს ზოგიერთის შეხედულება იმის შესახებ, რომ არაფერი არაა ჭეშმარიტი (მათი აზრით, არაფერი არ უშლის ხელს, ყველგან ისეთი მდგომარეობა იყოს, როგორც კვადრატის გვერდებისა და დიაგონალის თანაფარდობითობის შემთხვევაში), ან შეხედულება იმის შესახებ, რომ ყოველივე ჭეშმარიტია, ეს შეხედულებები უახლოვდება ჰერაკლიტეს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ყოველივე ჭეშმარიტი-
1012в ცაა და მცდარიც. ის თვითეულ ამ დებულებას ცალ-ცალკეც ამტკიცებდა. ასე რომ, თუ პირველი შეუძლებელია, მაშინ მეორეც შეუძლებელი იქნებოდა გარდა ამისა. საწინააღმდეგო დებულებები არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტიც იყვნენ და მცდარიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემომოტანილი შეხედულებებიდან გამომდინარეობს, რომ თითქოს ეს შესაძლებელია ყველა ამ შეხედულებების მომხრეებს უნდა მოვთხოვოთ, რაც ზემოთაც უკვე აღვნიშნეთ, რომ არ შეიძლება რაიმე არაებობდეს და არც არსებობდეს, არამედ ყოველთვის რაღაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამიტომ მსჯელობა უნდა დავიწყოთ იმის განსაზღვრით, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტება და შეცდომა. თუ ჭეშმარიტება სხვა არაა არის რა, გარდა შეცდომის უარყოფისა, შეუძლებელია ყოველივე შეცდომა იყოს და აუცილებელია დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთი მხარის ჭეშმარიტება. გარდა ამისა, თუ აუცილებელია ყოველივეს მტკიცება ან უარყოფა, არ შეიძლება ორივე მხარე შეცდომა იყოს. რადგან წინააღმდეგობის მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა ყოველთვის მცდარი.

ყველა ამგვარი შეხედულებებიდან გამომდინარეობს ერთი შედეგი: ისინი თავის თავს უარყოფენ. რადგან ის, ვინც ყოველივეს ჭეშმარიტებას ამტკიცებს, ჭეშმარიტად აცხადებს ამის საწინააღმდეგო დებულებასაც. ასე რომ, ამავე დროს თავისი დებულების არაჭეშმარიტებასაც ამტკიცებს. რადგან საწინააღმდეგო დებულება მის დებულებას არ ამართლებს. ხოლო ვინც ყოველივეს შეცდომად აცხადებს და ამტკიცებს როგორც საკუთარი დებულების არაჭეშმარიტებას, ისე იმ შეხედულებათა, რომლებიც მხოლოდ საწინააღმდეგო დებულების არაჭეშმარიტებას და საკუთარის ჭეშმარიტებას ამტკიცებენ მას დაუსრულებლად ბევრი ჭეშმარიტი და მცდარი დებულებების დაშვება დასჭირდება, რადგან ჭეშმარიტია ჭეშმარიტი დებულების შესახებ ნათქვამი, რომ ის ჭეშმარიტია, რაც უსასრულობაში მიდის.

ცხადია, აგრეთვე, რომ ჭეშმარიტებას არ ამბობენ არც ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყოველივე უძრავია და არც ისინი, რომლებიც ყოველივეს მოძრავად აცხადებენ. თუ ყოველივე უძრავ მდგომარეობაშია, ყოველთვის ერთი და იგივე იქნება ჭეშმარიტიცა და მცდარიც. მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც იცვლება, რადგან მოლაპარაკე ოდესღაც არ იყო და არც მომავალში იქნება. და თუ ყოველივე მოძრაობს, ჭეშმარიტი არაფერი არ იქნება, არამედ ყველაფერი შეცდომა იქნება მაგრამ დამტკიცდა, რომ ეს შეუძლებელია ამას გარდა, აუცილებელია, რომ არსებული იცვლებოდეს.

ცვალებადობა კი წარმოებს რაიმედან რაიმეში და არ შეიძლება, რომ ოდესმე ყველაფერი ან მხოლოდ უძრავი იყოს ან მხოლოდ მოძრავი და არც მუდმივია რაიმე, რადგან არსებობს რაღაც, რაც მოძრავს მუდმივად ამოძრავებს და თვით კი, როგორც პირველი მამოძრავებელი, უძრავია.

წიგნი მეხუთე

თავი პირველი

საწყისის პირველი მნიშვნელობაა საგნის თავდაპირველი მოძრა-
ობია საწყისი. მაგალითად, საიდანაც იწყება საგნის სიგრძე და მი-
მართულება, იქვეა მისი საწყისიც. მოწინააღმდეგე მხრივ მოძრა-
ობისას საწყისი მეორე მხარეს იქნება. საწყისის მეორე მნიშვნე- 1013a
ლობაა, საიდანაც ესა თუ ის საქმე უკეთესად კეთდება. მაგალითად,
შემეცნების დროს საწყისია არა ის, საიდანაც შესწავლა იწყება,
არამედ ის, საიდანაც ადვილია შესწავლა. მესამე შემთხვევაში სა-
წყისად ითვლება ის, საიდანაც იქმნება საგანი. მაგალითად, ვეშისა-
თვის ასეთია ფუძე, სახლებისათვის—ქვაკუთხედი, ცხოველებში, ზო-
გის აზრით, ესაა გული, ზოგის აზრით კი — ტვინი, დანარჩენნი
სხვადასხვა საწყისებს ასახელებენ. საწყისის მეოთხე მნიშვნელობა,
ის, საიდანაც წარმოიშობა ის, რაც არ არსებობდა და საიდანაც
იწყება ბუნებრივი მოძრაობა და ცვალებადობა. მაგალითად, ბავ-
შვებისათვის საწყისია მამა და დედა და ბრძოლაში — ჩხუბი საწყი-
სის მეხუთე მნიშვნელობაა ის წინასწარი მიმართულება, რომელიც
ეძლევა მოძრავ და ცვალებად საგანს, მაგალითად, რა აზრითაც
ლაპარაკობენ, როგორც დამწყებზე, ქალაქის ხელმძღვანელზე,
მმართველზე და ტირანზე, აგრეთვე ხელოვნებაზე და მათ შორის
ყველაზე მეტად მშენებლობაზე. საწყისის მეექვსე მნიშვნელობაა
ის, საიდანაც იწყება საგნის შემეცნება. მაგალითად, დასაბუთების სა-
წყისია წანამძღვრები.

დაახლოებით, ამდენივე მნიშვნელობა აქვთ მიზეზებს, რადგან ყველა მიზეზი საწყისია. ყველა საწყისისათვის, უპირველესად ყოვლისა, საერთოა ის, რომ მათგან ან არსებობს, ან წარმოიშვება, ან შეიცნობა საგანი ამათგან ზოგი თვით საგანშივე არსებობს, ზოგი—მის გარეთ. მაშასადამე, საწყისია ბუნებაც, ელემენტიც, განსჯაც, გადაწყვეტილებაც, სუბსტანციაც და მიზანიც. ბევრ შემთხვევაში შემეცნებისა და მოძრაობის საწყისია სიკეთე და მშვენიერება.

თავი მეორე

მიზეზის პირველი მნიშვნელობაა ის მასალა, საიდანაც მზადდება ესა თუ ის საგანი მაგალითად, სპილენძი ქანდაკების მიზეზია, ვერცხლი — თასისა და სხვა. მიზეზის მეორე მნიშვნელობაა სახე და ნიმუში, რაც საგნის არსების ცნება და საგნის გვარია. მაგალითად, ოქტავაში ორიანის მიმართება ერთთან და რიცხვი, საერთოდ, აგრეთვე ცნების შემადგენელი ნაწილები. მისი შემდეგი მნიშვნელობაა ცვალებადობის ან უძრაობის პირველი საწყისი. როგორც, მაგალითად, მიზეზია რჩევის მიმცემი, ან ბავშვისათვის მამა, საერთოდ, მოქმედი შექმნილის მიზეზია და ის, ვინც ცვლის ცვალებადისა. მისი მეოთხე მნიშვნელობაა მიზანი, ე. ი. რისთვისაც მოქმედება წარმოებს. მაგალითად, სეირნობის მიზეზი ჯანმრთელობაა და კითხვაზე, თუ რატომ სეირნობს ადამიანი, ვპასუხობთ: რათა გაჯანმრთელდეს. ჩვენი აზრით, მოპასუხე ამ შემთხვევაში მიზეზს ასახელებს. ხოლო ყოველივე ის, რაც მიზნისაკენ მიმავალ
1013в თუ შუა გზაზეა, — სიგამხდრე, სისუფთავე, წამლები და საექიმო იარაღები, — მიზნის გულისთვის არსებობს. ისინი ერთიმეორისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ერთნი არსებობენ, როგორც იარაღები, მეორენი კი, როგორც მოქმედნი. მიზეზს, დაახლოებით, ამდენი მნიშვნელობა აქვს. და ხშირად ხდება ხოლმე, რომ დასახელებულ მიზეზებიდან რამოდენიმე ერთი და იმავე საგნის არაშემთხვევით მიზეზს წარმოადგენს. მაგალითად, ქანდაკების მიზეზია, როგორც სკულპტურა, ისე სპილენძი, რომლებიც სხვადასხვა საგნის მიზეზები კი არ არიან, არამედ ქანდაკებისა. თუმცა ისინი ქანდაკებასთან ერთნაირ მიმართებაში არ არიან, არამედ ერთი მიზეზია, როგორც მატერია, მეორე — როგორც მოძრაობის საწყისი. არსებობენ აგრეთვე ერთიმეორის მიზეზებიც როგორც, მაგალითად, შრომა ჯანმრთელობის მიზეზია და ეს უკანასკნელი კი შრომისა. მაგრამ ისინი ერთნაირი მიზეზები კი არ არიან, არამედ ერთი მათგანი მიზანია და მეორე კი — მოძრაობის საწყისი.

გარდა ამისა, ერთი და იგივე შეიძლება საწინააღმდეგო მოვლენების მიზეზიც იყოს. მაგალითად, საგნის არსებობა მიზეზია რაიმე გარკვეული მოვლენისა, მისი არარსებობა კი ამის საწინააღმდეგოსი. მაგალითად, მესაჭის არყოფნა შეიძლება იყოს გემის გადატრიალების მიზეზი, ხოლო მისვლა კი — ხსნისა. ორივე კი, როგორც ყოფნა, ისე მისი არყოფნა მამოძრავებელი მიზეზებია.

ყველა ზემოხსენებული მიზეზი ოთხ ჯგუფად იყოფა. მიზეზია, როგორც მარცვლის შემადგენელი ბგერები და საგანთა მასალა,

ასევე ცეცხლი, მიწა და ყველა სხვა ამდაგვარი სხეული, მთელის ნაწილებიც და დასკვნის წანამძღვარებიც. მაგრამ აქედან ზოგი სუბსტრატია, მაგალითად ნაწილები, ზოგი კი — არსება, როგორც მთელი, შედგენილი საგანი და ფორმა. მიზეზია თესლიც, ექიმიც, მრჩეველიც და საერთოდ, მოქმედი, და ყველაფერი ის, რაც მოძრაობის, ან უძრაობის საწყისია. ზოგი მიზეზია, როგორც ყველა დანარჩენის მიზანი და სიკეთე. რისკენაც ისწრაფვიან საგნები, მათთვის უკეთესი და მათი მიზანი უნდა იყოს. მნიშვნელობა არა აქვს ვუწოდებთ მას ნამდვილ, თუ მოჩვენებით სიკეთეს.

მიზეზები, ამგვარად, აი ეს არის. რაოდენობით მიზეზები მრავალნი არიან, მაგრამ მნიშვნელოვანი მათში ძალიან ცოტაა. მართლაც, მიზეზებს მრავალი მნიშვნელობა აქვთ და თვით ერთი სახის მიზეზებშიაც ერთი მიზეზი მეორის წინამორბედი, ან მომდევნოა. მაგალითად, ჯანმრთელობას წინ უსწრებს ექიმი და ჯანმრთელობის საქმის მცოდნე, ოქტავას — ორმაგი და რიცხვი. საერთოდ, ზოგადი ყოველთვის წინ უსწრებს კონკრეტულ საგანს[2]. გარდა ამისა, მიზეზს შეიძლება ჰქონდეს შემთხვევითის და მისი გვარის მნიშვნელობაც. მაგალითად, ქანდაკებისათვის, ერთი მხრივ, მიზეზია პოლი-
კლეტი, მეორე მხრივ, — მოქანდაკე, რადგან მოქანდაკისათვის 1014a
პოლიკლეტად ყოფნა შემთხვევითია. ასევე შეიძლება, რომ ზოგადი შემთხვევითის მიზეზი იყოს, მაგალითად, ადამიანი, ან უფრო ზოგადად, ცხოველი მიზეზია ქანდაკებისა, რადგან პოლიკლეტი ადამიანია, ადამიანი კი — ცხოველი. შემთხვევითი მიზეზებიდან ზოგი ერთმანეთთან უფრო მეტად დაშორებულია, ზოგი კი — ნაკლებ. მაგალითად, ქანდაკების მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო პოლიკლეტი ან ადამიანი, არამედ თეთრიცა და მცოდნეც.

ყველა არსებით და შემთხვევით მიზეზებზე[3] შეიძლება მსჯელობა შესაძლებლობის და ნამდვილის თვალსაზრისით. მაგალითად, სახლის მშენებლობის თვით მიზეზია საერთოდ, მშენებელი ანდა ის მშენებელი, რომელიც სახლს აშენებს ზემოთქმულის მიხედვით. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რის მიზეზებსაც მიზეზები წარმოადგენენ. მაგალითად, მიზეზი შეიძლება იყოს მიზეზი, როგორც ამ კონკრეტული ქანდაკებისა, ისე საერთოდ, ქანდაკებისა, ანდა გამოსახულებისა. ასევე არსებობს მიზეზი ამ სპილენძისა ან სპილენძისა საერთოდ, ანდა მატერიისა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს შემთხვევით მიზეზებშიც. ერთმანეთთან კავშირში იხმარება, როგორც ეს, ისე ის ცნებები[4]. მაგალითად, მიზეზია არა პოლიკლეტი ან მოქანდაკე ცალ-ცალკე, არამედ მოქანდაკე პოლიკლეტი.

ყველა ეს მიზეზები, ერთად აღებული რიცხვით ექვსია, მაგრამ თვითეული იხმარება ორი მნიშვნელობით: კონკრეტული საგნისა და გვარისა, შემთხვევითი ნიშნისა ან შემთხვევითი ნიშნის გვარის, მათი ერთმანეთთან შეკავშირების ან დაშორების აზრით, მაგრამ ყოველივე ეს, ან სინამდვილეში არსებობს, ან შესაძლებლობაში. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული საგანი და მათი მიზეზები სინამდვილეში ერთდროულად არსებობენ და არც არსებობენ, მაგალითად, მკურნალი და განსაკურნავი, მშენებელი და ასაშენებელი. შესაძლებლობაში კი ეს ყოველთვის ასე არ არის, რადგან სახლი და მშენებელი ერთდროულად არ იღუპებიან.

თავი მესამე

ელემენტი ეწოდება საგნის პირველ შემადგენელ ნაწილს, რომელიც სხვა სახის ელემენტებად აღარ დაიშლება. მაგალითად, ბგერის ელემენტებია ის, რისგანაც ბგერა შედგება და რაზეც ის საბოლოოდ დაიშლება. ეს უკანასკნელი კი სხვა სახის ბგერებად აღარ იშლება. მაგრამ თუ დაიშლება, დაიშლება იმავე სახის ნაწილებად. მაგალითად, წყლის ნაწილები ისევ წყალია და არა მარცვლები. იგივე უნდა ითქვას სხეულის ელემენტებზე, რაზედაც ჩერდება საბოლოოდ დაშლის პროცესი. ეს ელემენტები კი აღარ დაიყვანებიან სხვა სახის ელემენტებზე. ასეთები, ერთია, თუ ბევრი, ელემენტები ეწოდებათ. ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ ნახაზებისა და დასაბუთების ელემენტების შესახებ. პირველი დასაბუთებანი, რომლებიც მრავალ სხვა დასაბუთებათა შემადგენლობაშიც შედიან, დასაბუთებათა ელემენტებად იწოდებიან. ასეთია
1014в პირველი სილოგიზმები, შემდგარნი სამი ტერმინისაგან. აქედან ერთ-ერთი შუა ტერმინია. გადატანითი მნიშვნელობით ელემენტს უწოდებენ იმას, რაც არსებობს, როგორც ერთი და პატარა, მაგრამ როგორც გამოსადეგი მრავალისათვის. ამიტომაც პატარას, მარტივსა და დაუშლელსაც ელემენტი ეწოდება, საიდანაც წარმოიშვა შეხედულება, რომ ელემენტი არის ყველაზე უფრო ზოგადი, ერთი და მარტივი, შემავალი მრავალის, ყველას ან უმეტესობის შემადგენლობაში. ზოგი კი ერთსა და წერტილს თვლის საწყისად. რადგან ე. წ. გვარები ზოგადნი და დაუშლელნი არიან და მათი განსაზღვრება კი არ არსებობს. ზოგი კი ამტკიცებს, რომ გვარები ელემენტებია და უფრო მეტად, ვიდრე ნიშანი, რადგან გვარი უფრო მეტად

ზოგადია[2]. მართლაც, სადაც სახეობითი ნიშანია, იქ გვარიც იქნება. მაგრამ სადაც გვარია, იქ ყველგან არაა სახეობითი ნიშანი.

ამრიგად, ყველა ამ თვალსაზრისისათვის საერთოა ის, რომ ელემენტად არის მიჩნეული ცალკე აღებული საგნის პირველი შემადგენელი ნაწილი.

თავი მეოთხე

ბუნება, ერთი მხრივ, ეწოდება იმას, რაც წარმოშობის პროცესშია, მაგალითად, როდესაც ვინმე გრძლად ამბობს V-ს. მეორე მხრივ, ის პირველი შემადგენელი ელემენტია, რისგანაც წარმოიშობა წარმოშობადი. გარდა ამისა, ბუნება ეწოდება იმას, საიდანაც იწყება მოძრაობა ბუნებაში არსებულ იმ კონკრეტულ საგანთა, რომლებსაც მოძრაობა ახასიათებთ.

წარმოშობა[1] ეწოდება სხვის ზემოქმედებით ზრდას შეხებით, შერწყმით ან მიმატებით, როგორც ამას ადგილი აქვს ჩანასახში. შერწყმა განსხვავდება შეხებისაგან, რადგან იქ, სადაც შეხება გვაქვს, სხვა არაფერი არ არსებობს აუცილებლობით, გარდა შეხებისა. ხოლო შერწყმულთა შორის არსებობს ორივე მხარისათვის რაღაც საერთო, რაც შეხების შედეგად იძლევა შერწყმას და უწყვეტობას ოაოდენობის და არა თვისებრიობის თვალსაზრისით.

შემდეგ, „ბუნება“ ეწოდება იმას, რისგანაც, როგორც პირველი ელემენტისაგან, რომელსაც თავისი თავის მოწესრიგებისა და შეცვლის საკუთარი უნარი არა აქვს ან არსებობს, ან წარმოიშობა რაიმე ბუნებრივი საგანი. მაგალითად, ქანდაკებისა და სპილენძის ჭურჭლისათვის ბუნებაა სპილენძი, ხოლო ხის ჭურჭლისათვის ხე. ასევეა სხვა შემთხვევებშიც. მისგან არის წარმოშობილი ყოველი კონკრეტული საგანი, რომელიც ინარჩუნებს ამ პირველად მატერიას.

ასევე ელემენტებს ბუნებრივად არსებულ საგანთა ბუნება ეწოდებათ. ზოგი ასეთად ცეცხლს ასახელებს, ზოგი მიწას, ზოგი ჰაერს, ზოგი წყალს და ზოგიც სხვა რაღაც ამდაგვარს[2]. ოღონდ ზოგი ასეთად ელემენტების ნაწილს თვლის, ზოგი კი ყველას. გარდა ამისა, სხვა მნიშვნელობით „ბუნება“ ეწოდება ბუნებრივად არსებულ საგანთა არსებას, როგორც ამტკიცებენ ის მოაზროვნენი, რომელთა აზრით ბუნება არის პირველი სინთეზი.

მაგალითად, ემპედოკლე ამბობდა, რომ არსებული საგნების „ბუნება სხვა არაფერია, თუ არა შერევა და უკვე შორეულთა და- 1015а

შორება. ამას უწოდებენ ადამიანები ბუნებას". ამიტომაც იმ საგნებზე, რომლებიც ბუნებრივად არსებობენ ან იშვებიან, არ ვამბობთ, რომ „ბუნება აქვთ", თუ არა აქვთ სახე და ფორმა, თუნდაც უკვე არსებობდეს ის მატერია, რისგანაც უკვე წარმოიშვნენ ან არსებობენ ბუნებრივი საგნები. მაგალითად, ცხოველები და მათი ნაწილები ორივე ამათგან შედგებიან[3].

ბუნებას წარმოადგენს აგრეთვე პირველი მატერია. ამასაც ორი მნიშვნელობა აქვს: ან როგორც პირველი ამ საგნისათვის, ანდა როგორც პირველი საერთოდ. მაგალითად, სპილენძისაგან დამზადებული საგნებისათვის თვითონ სპილენძია პირველი, საერთოდ კი წყალი, თუ ყოველივე დნობადი წყლად იქცევა. ბუნებაა აგრეთვე ფორმა და არსება, რაც წარმოშობის მიზანია. გადატანითი მნიშვნელობით, საერთოდ, ყოველგვარ სუბსტანციას ბუნება ეწოდება, რადგან ბუნებაც რაღაც სუბსტანციაა. ზემოთქმულის მიხედვით, ბუნება უპირველესად და უმთავრესად, არის იმ საგანთა არსება, რომლებსაც როგორც ასეთთ, მოძრაობის საწყისი თავის თავში აქვთ. ხოლო მატერიას ბუნება ეწოდება, რადგან შეუძლია მიიღოს მოძრაობა, რომლისგანაც არსებობს, როგორც წარმოშობა, ისე ზრდა. მოძრაობის საწყისი კი ბუნებრივ საგნებში ერთი და იგივეა, არსებული ან შესაძლებლობაში, ან რეალურად.

თავი მეხუთე

„აუცილებელი" ეწოდება იმას, რომლის გარეშე როგორც დამხმარე მიზეზის გარეშე, შეუძლებელია ცხოვრება (მაგალითად, ცხოველისათვის აუცილებელია სუნთქვა და კვება, რადგან ამის გარეშე ის ვერ იარსებებს), სიკეთის არსებობა და წარმოშობა, ბოროტების უკუგდება და უარყოფა (მაგალითად, წამლის დალევა აუცილებელია იმისათვის, რათა არ ვიავადმყოფოთ, ხოლო ეგინაში[1] გაცურვა აუცილებელია ფულის მისაღებად). აუცილებელი ნიშნავს, აგრეთვე იძულებას და ძალას, რაც მისწრაფებისა და განზრახვის სისრულეში მოყვანის დამაბრკოლებელია და ხელის შემშლელი ამიტომ აუცილებლობაა იძულებაც ეწოდება და უსიამოვნებაც (როგორც ევენოსი[2] ამბობს: „ყოველი აუცილებელი საგანი ჩვენთვის უსიამოვნოა"). აუცილებლობა რაღაც იძულებაა. და როგორც ამბობდა სოფოკლე: „აუცილებლობა მაიძულებს მე ვაკეთო ეს"[3]. ჩანს, რომ აუცილებლობა რაღაც გარდუვალია, რადგან

[illegible] წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების და [illegible]ონების მიხედვით მოქმედებას. შემდეგ, იმაზე, რასაც სხვანაირად [illegible] შეუძლებელია, ვამბობთ, რომ აუცილებლად ასე უნდა იყოს. აუცილებლობის ამ მნიშვნელობების მიხედვით შე[illegible], დავადგინოთ, თუ როგორ უნდა ვუწოდოთ აუცილებელი ყოველივე დანარჩენს

„აუცილებლობა" ისეთი მოქმედება ან ვნებაა, რომელიც იძულების გამო არ შეესატყვისება ჩვენს მისწრაფებას. აუცილებელია 1015b
ის, რის გამოც სხვაგვარად არსებობა შეუძლებელია. იგივე ითქმის ცხოვრებისა და სიკეთის გამომწვევ დამხმარე მიზეზებზე. პირველ შემთხვევაში შეუძლებელია ცხოვრება და არსებობა რაიმეს გარეშე, მეორე შემთხვევაში — სიკეთის მიღწევა ეს კი აუცილებლობაა [illegible] რომლის აუცილებელი მიზეზი შემდეგ, დასაბუთებაც აუცილებლობას განეკუთვნება, რადგან თუ დასაბუთება მარტივია შეუძლებელია მისგან სხვა შედეგის მიღება. ამის მიზეზი კი წანამძღვარებია, რომელთაგან სხვა სილოგიზმი არ მიიღება. მოვლენების ნაწილს აუცილებლობის სხვა მიზეზი აქვთ, ნაწილს კი არავითარი, არამედ თვითონ არიან სხვათა აუცილებლობის მიზეზნი. ასე რომ, პირველი და მთავარი აუცილებლობაა მარტივი მოვლენა, რომელიც არ შეიძლება მრავალნაირი იყოს, ე. ი. ხან ისეთი და ხან კი ისეთი, რადგან ამ შემთხვევაში ის უკვე მრავალი იქნებოდა.

ამრიგად, თუ არსებობს რაღაც მარადიული და უძრავი, მაში არაფერია იძულებითი ან ბუნების საწინააღმდეგო[4].

თავი მეექვსე

ერთი არის როგორც შემთხვევითი, ისე თავის თავადი შემთხვევითის მაგალითია „კორისკოსი" და „განათლებული", აგრეთვე „განათლებული კორისკოსი", რადგან ერთი და იგივეა, ვიტყვით ჩვენ „კორისკოსს", თუ „განათლებულსა" და „სამართლიანს" და „განათლებულ კორისკოსს" და „სამართლიან კორისკოსს" აქ ყოველივე ერთია შემთხვევით, „სამართლიანი" და „განსწავლული" შემთხვევით აღნიშნავენ ერთ სუბსტანციას, ხოლო „განათლებული" „განათლებული კორისკოსის" შემთხვევითი ნიშანია აგრეთვე „განათლებული კორისკოსი" და „კორისკოსი" ერთია, რადგან პირველი გამოთქმის ერთ-ერთი ნაწილი მეორეს შემთხვევითი ნიშანია, სახელდობრ, „განათლებული" „კორისკოსისა" აგრეთვე „განათლებული კორისკოსი" და „სამართლიანი კორისკოსი" ერთია, რად-

გან ორივე გამოთქმის ერთი ნაწილი ერთი და იმავეს შემთხვევით ნიშანს წარმოადგენს. ასევეა მაშინაც, როცა გვარს ან ზოგად [illegible]ბას შემთხვევით ვუწოდებთ საერთო სახელს. მაგალითად, როცა „ადამიანს“ ვაიგივებთ „განათლებულ ადამიანთან“ ან იმიტომ, რომ „ადამიანს“, როგორც ერთი არსებისა მქონეს, ახასიათებს „განათლებულიც“, ანდა იმიტომ, რომ ორივენი რაღაც სხვის, მაგალითად, „კორისკოსის“ შემთხვევითი ნიშნებია მაგრამ ორივე მათგანი ერთნაირად არ ახასიათებს მას, არამედ ერთი მათგანი როგორც გვარი ან არსებაში შემავალი, მეორე კი როგორც არსების მდგომარეობა ან თვისება.

შემთხვევით ერთს ამდენი მნიშვნელობა აქვს. თავისთავად
1016a ერთი კი ეწოდება იმას, რაც უწყვეტია. როგორც, მაგალითად, თასმით შეკრული გროვა და წებოთი შეკრული ხის ნაჭრები. აგრეთვე ხაზს, თუნდაც მოღუნულს, მაგრამ უწყვეტს, ერთი ეწოდება, მაგალითად, ჩვენი სხეულის თვითეულ ნაწილს, როგორიცაა ფეხი და ხელი ამათგან ბუნებრივად უწყვეტნი უფრო მეტად წარმოადგენენ ერთს, ვიდრე ხელოვნურად უწყვეტნი. უწყვეტი ეწოდება აგრეთვე იმას, რომლებსაც ახასიათებთ თავისთავად ერთი სახის და არა მრავალფეროვანი მოძრაობა. ხოლო ერთს მოძრაობას ვუწოდებთ, რომელიც დაუნაწევრებელია, სახელდობრ დაუნაწევრებელია დროში. თავისთავად უწყვეტია ის, რაც ერთია არა შეხების გამო. მაგალითად, ერთმანეთის გვერდით დაწყობილ ხის ნაჭრებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი ერთნი არიან: ერთი ხე, ერთი სხეული, ანდა სხვა რაიმე უწყვეტი. საერთოდ უწყვეტი ერთი ეწოდებათ იმ საგნებსაც, რომლებიც მოხრილი არიან. უფრო მეტად კი იმათ, რომლებიც არ არიან მოხრილი, როგორც მუხლი ან თეძოს ნაწილი, რადგან მთელი თეძო შეიძლება ყოველთვის ერთნაირად არ მოძრაობდეს. სწორი ხაზი კი მოღუნულზე უფრო მეტადაა ერთი ხოლო მოღუნულსა და კუთხოვანს ვუწოდებთ როგორც ერთს, ისე არაერთს, რადგან მისი მოძრაობა შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ერთდროულად, ისე არაერთდროულად. სწორის მოძრაობა ყოველთვის ერთდროულად ხდება და მას არა აქვს სიდიდის მქონე უძრავი და მოძრავი ნაწილები, როგორც მოღუნულ საგნებს.

შემდეგ, სუბსტრატის სხვა მნიშვნელობაა ისეთი რამ, რომელსაც არა აქვს განსხვავებული სახეები. განსხვავების არმქონეა ის სახე, რომელიც დაუნაწევრებელია შეგრძნებებისათვის, ხოლო სუბსტრატია ის, რაც ან პირველია ან უკანასკნელი მიზნის თვალსაზრისით. ღვინოსაც და წყალსაც ერთს ვუწოდებთ, როგორც

სახით დაუნაწევრებელს. აგრეთვე ყველა სითხეს ერთი ეწოდება, როგორიცაა ზეთი, ღვინო, და ყოველივე დნობადი, რადგან ყველა ამათ საბოლოო სუბსტრატი ერთი და იგივე აქვთ. ყოველივე ეს ან წყალია ან ჰაერი. ერთი ეწოდებათ იმათაც, რომლებსაც ერთი გვარი აქვთ და განსხვავდებიან დაპირისპირებული ნიშნებით. ყველა ესენიც იწოდებიან ერთად, რადგან გვარი ერთი აქვთ, რაც ამ განსხვავებათა სუბსტრატია. მაგალითად, ცხენი, ადამიანი, ძაღლი არიან რაღაც ერთი, რადგან ყველა ესენი არიან ცხოველები და როგორღაც ერთმანეთს ენათესავებიან, როგორც ერთი მატერიის მქონენი. ყველა ამათ ამ აზრით ეწოდებათ „ერთი“.

ხან კი „ერთი“ ეწოდება ზოგად გვარს, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ სახეებზე მაღლა მდგომს. მაგალითად, თანასწორგვერდებიანი და თანასწორფერდებიანი სამკუთხედები ერთი და იმავე ფორმისანი არიან, რადგან ორივე სამკუთხედია, თუმცა ისინი იგივეობრივნი არ არიან. შემდეგ „ერთი“ ეწოდება ცნებას, რომელიც როგორც არსების გამომხატველი, განუყოფელია, არსების გამომხატველ სხვა ცნებებთან შედარებით, თუმცა თავისთავად ყოველი ცნება დანაწევრებადია. ასევე ზრდადი და წარმავალი საგნებიც ერთნი არიან, რადგან ერთია მათი გამომხატველი ცნება, როგორც მაგალითად, სიბრტყეების გვარეობითი ცნება. საერთოდ კი აზრი, რომელიც არსებას მოიაზრებს, დაუნაწევრებელია და 1016b
მისი დაყოფა არ შეიძლება არც დროში, არც სივრცეში, არც მსჯელობაში. განსაკუთრებით კი ერთნი ისინი არიან, რომლებიც სუბსტანციას გამოხატავენ. საერთოდ ის, რაც არ დაიყოფა, იმდენად, რამდენადაც არ დაიყოფა, „ერთია“. მაგალითად, ადამიანი, როგორც ადამიანი, არ დაიყოფება, ამდენად ის ერთია. ის ერთია აგრეთვე, როგორც ცხოველი და როგორც სიდიდე. მეტწილად კი, ერთი ეწოდება საგანს, რომელიც როგორც ერთი, ან მოქმედებს ან განიცდის, ან რაიმე მიმართებაშია სხვა ერთთან. ზემომოტანილი მსჯელობის მიხედვით კი ერთია ის, რომელიც ერთია ან როგორც სუბსტანცია, ან უწყვეტობის გამო, ან ფორმით, ან ცნებით.

მრავლად კი იმას ვთვლით, რაც ან უწყვეტი არაა, ან, რომელსაც ერთი სახე, ან ცნება არა აქვს. შემდეგ, ერთს ვუწოდებთ იმათ, რომლებსაც უწყვეტი სიდიდე აქვთ. და არ ვუწოდებთ მაშინ, თუ არ წარმოადგენს რაიმე მთელს. ეს კი იმ შემთხვევაში, თუ მას ერთი სახე არა აქვს. მაგალითად, ერთს არ ვუწოდებთ ფეხსაცმელის ნაწილებს, თუ მათ ნებისმიერი განლაგება აქვთ და არ ქმნიან უწყვეტ მთელს. ისინი მთელი მაშინ იქნებოდნენ, რომ თავისი

განლაგებით ფეხსაცმელი შეექმნათ და რაღაც ერთი სახე ჰქონოდათ ამიტომაც წრე სხვა ხაზებთან შედარებით უფრო მეტად არის ერთი, რადგან მთელია და დასრულებული.

რაიმეს ერთ საწყისად ყოფნა კი რიცხვად ყოფნას ნიშნავს. რადგან საწყისია პირველი ზომა. ხოლო ყველა გვარში პირველი საზომი ისაა, რომლითაც პირველად შევიცნობთ რაიმეს. ამრიგად, ერთი არის თვითეული საგნის შემეცნების დასაწყისი. მაგრამ ის ყველა გვარში ერთი და იგივე არ არის. რადგან ის ერთგან დიეზია, მეორეგან ხმოვანი და მესამეგან თანხმოვანი. სიმძიმისათვის ის სხვაა, მოძრაობისათვის კი სხვა. მაგრამ ერთი ყველგან განუყოფელია ან რაოდენობით, ან სახით. როგორც რაოდენობით, ისე ყოველმხრივ დაუნაწევრებელს და ადგილმდებარეობის არმქონეს ერთი ეწოდება. ყოველმხრივ დაუნაწევრებელს და გარკვეული ადგილმდებარეობის მქონეს კი ეწოდება წერტილი. ერთი მხრივ, დაყოფადია ხაზი, ორმხრივ - სიბრტყე, ყველა მიმართულებით, და მაშასადამე, სამმხრივ — სხეული. და პირიქით, ორმხრივ დაყოფადია სიბრტყე, ერთი მხრივ — ხაზი. სრულიად დაუყოფელია წერტილი და ერთი. ამათგან მდებარეობის არმქონეა ერთი, ხოლო მდებარეობის მქონე — წერტილი

შემდეგ, ზოგი რიცხვითაა ერთი, ზოგი სახით, ზოგი გვარით,
ზოგი ანალოგიით რიცხვით ერთნი არიან მატერიით ერთნი, სახით
ერთნი ცნებით ერთნი არიან, გვარით ერთნი ფორმით და კატეგო-
რიით ერთნი. ანალოგიით ერთნი კი ისინი არიან, რომლებ-
საც ისეთივე მიმართება აქვთ, როგორც სხვებს მომდევნო ყო-
ველთვის წინამორბედს მოსდევს მაგალითად, ის, რაც რიცხვითაა
ერთი, სახითაც ერთია, მაგრამ ის, რაც სახითაა ერთი, ყოველთვის
1017a არაა რიცხვით ერთი. ყველა, რაც სახით ერთია, გვარითაც ერთია,
მაგრამ რაც გვარით ერთია, ყველა არაა სახით ერთი, არამედ ანა-
ლოგიით. ხოლო რაც მიმართებით ერთია, ყველა არაა გვარით
ერთი.

ცხადია, რომ მრავლის შესახებ ერთის საწინააღმდეგო აზრით შეიძლება ლაპარაკი. პირველი: ის არაა უწყვეტი. მეორე: მას როგორც უმაღლესი, ისე უმდაბლესი სახის მატერია დანაწევრებადი აქვს მესამე: არსების გამომხატველი ცნება მრავალი მნიშვნელობის მქონე.

თავი მეშვიდე

არსებული ეწოდება, ერთი მხრივ, შემთხვევითს, მეორე მხრივ, თავისთავადს. შემთხვევითია. მაგალითად, ნათქვამი, რომ „სამარ-

თლიანი განათლებულია“, „ადამიანი განათლებულია“ და „განათლებული ადამიანია“. დაახლოებით, ასევე ვამბობთ ჩვენ „განათლებული სახლის მშენებელი“, რადგან სახლის მშენებელი შემთხვევითაა განათლებული და განათლებული კი სახლის მშენებელი. „ეს არის ის“ ნიშნავს იმას, რომ ეს იმის შემთხვევითი ნიშანია. ასევეა ზემომოტანილ შემთხვევაშიაც, როდესაც „ადამიანზე“ ვამბობთ, რომ „განათლებულია“, ხოლო „განათლებულზე“, რომ „ადამიანია“, ანდა რომ „თეთრი განათლებულია“, ან „განათლებული თეთრია“, რაც ნიშნავს ან იმას, რომ ორივე ერთისა და იმავეს შემთხვევითი ნიშანია, ანდა არსებულისა. „განათლებული ადამიანია“ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს განათლება ახასიათებს. ამავე აზრით ვამბობთ „არათეთრი არსებობს“, რადგან არსებობს ის, რასაც ეს თვისება ახასიათებს.

ერთი მხრივ, შემთხვევით არსებობას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: ან ორივე ახასიათებს ერთსა და იმავეს, ან ერთ-ერთი მათგანი ასე ან ისე არსებულს მიეწერება, ან არსებობს ის, რასაც ეს თვისება მიეწერება.

თავისთავად არსებულს კი იმდენი მნიშვნელობა აქვს, კატეგორიის რამდენ ფორმაშიც იხმარება ის. რადგან რამდენ მნიშვნელობასაც ვაძლევთ მას, იმდენივე მნიშვნელობით არსებობს ის. კატეგორია კი გამოხატავს ან არსებას, ან თვისებას, ან რაოდენობას, ან მიმართებას, ან მოქმედებას, ან ვნებას, ან ადგილს, ანდა დროს. თვითეული მათგანი არსებობას ნიშნავს. რადგან არავითარი განსხვავება არაა, ვიტყვით „ადამიანი ჯანმრთელია“, თუ „ადამიანი ჯანმრთელდება“, „ადამიანი მოსიარულეა და მჭრელი“, თუ „ადამიანი დადის და ჭრის“. ასევე სხვა შემთხვევებშიაც.

შემდეგ, არსებობა ნიშნავს იმას, რომ არსებული ჭეშმარიტია, ხოლო არარსებობა არა ჭეშმარიტებას, არამედ მცდარობას. ასევეა მტკიცებისა და უარყოფის შემთხვევაში. მაგალითად, „სოკრატე განათლებულია“ ჭეშმარიტია, ჭეშმარიტია აგრეთვე ისიც, რომ „სოკრატე არ არის თეთრი“, ხოლო დებულება იმის შესახებ, რომ „დიაგონალი არ არის თანაზომადი“, მცდარია.

გარდა ამისა, არსებობა ზემოთქმულის მიხედვით ზოგჯერ
შესაძლებლობას ნიშნავს, ზოგჯერ სინამდვილეს. მაგალითად, 1017в
„მხედველს“ ვუწოდებთ, როგორც ხედვის უნარის მქონეს, ისე
სინამდვილეში მხედველს. „მცოდნეს“ ვუწოდებთ, როგორც
იმას, ვისაც შეუძლია ცოდნის გამოყენება, ისე იმას, ვინც იყენებს
კიდეც სინამდვილეში. „მშვიდს“, როგორც იმას, ვინც მშვი-
დადაა, ისე იმას, ვისაც შეუძლია მშვიდად იყოს. ასევე სუბსტან-

ციების მიმართაც. ჩვენ როგორც ჰერმესზე ვამბობთ, რომ ქვაშია, ასევე ხაზის ნახევარზე. ხოლო პურს ვუწოდებთ ჯერ მოუსვლელ პურსაც. თუ როდის გვაქვს შესაძლებლობასთან საქმე და როდის არა, ამას სხვაგან განვსაზღვრავთ.

თავი მერვე

არსება ეწოდება მარტივ სხეულებს, მაგალითად, მიწას, ცეცხლს, წყალსა და სხვა ამდაგვარს, საერთოდ, სხეულებს და მისგან წარმოშობილ ცხოველებს, სულებს და მის ნაწილებს. ყველა ამათ ეწოდებათ არსება, რადგან ისინი სხვა რაიმეს შესახებ კი არ ითქმიან, არამედ მათ შესახებ ითქმის ყოველივე სხვა. არსების მეორე მნიშვნელობაა არსებობის მიზეზი იმ საგნებისა, რომლებიც სხვაზე არ ითქმიან როგორიცაა ცხოველის სული. შემდეგ ის იმ სხეულების ნაწილია, რომლებსაც ის განსაზღვრავს, რომელთა არსებას გამოხატავს და რომლის მოსპობით ისპობა მთელი, მაგალითად, სიბრტყის მოსპობით, ამბობს ზოგიერთი, ისპობა სხეული და ხაზის მოსპობით — სიბრტყე. ზოგიერთის აზრით, რიცხვიც რაღაც ამდაგვარია, რომლის მოსპობა სპობს ყოველივეს და რომელიც ყოველივეს განსაზღვრავს.

გარდა ამისა, არსებაა ის, რაც „ამად“ ან „იმად“ ყოფნის გამოხატვაა, რომლის ცნება განსაზღვრებაა და რაც თვითეული საგნის არსებაა. ამრიგად, არსებას ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი, უკანასკნელი სუბსტრატი, რაც სხვაზე არასოდეს არ ითქმის. მეორე, კონკრეტული და დამოუკიდებელი არსება, რაც ყოველი კონკრეტული საგნის ფორმა და სახეა

თავი მეცხრე

„იგივეობრივი“ ეწოდებათ, ერთი მხრივ, შემთხვევით მოვლენებს, მაგალითად, „თეთრს“ და „განათლებულს“, რადგან ისინი ერთი და იმავეს შემთხვევითი ნიშნებია. შემთხვევითი ნიშანია „ადამიანიცა“ და „განათლებულიც“, რადგან ისინი ერთმანეთის შემთხვევითი ნიშნები არიან. ხოლო „განათლებული ადამიანია“ იმიტომ, რომ „განათლება“ „ადამიანს“ შემთხვევით ახასიათებს. ამათგან ერთი მეორეს ახასიათებს და, პირიქით. მაგალითად, „განათლებულ ადამიანზე“ შეიძლება ითქვას, როგორც „განათლებული“, ისე „ადამიანი“ და თვითეულ ამათგანზე „განათლებული ადამიანი“. მაგრამ ყოველივე ამის განზოგადება არ შეიძლება, რადგან არ იქნებოდა ჭეშმარიტი იმის თქმა, რომ „ყველა ადამიანი“ და „განათლე-

ბული“ ერთი და იგივეა. რადგან ზოგადი თავისთავად არსებობს, 1018a
შემთხვევითი კი არა, არამედ ითქმის ცალკეულ კონკრეტულ საგანზე. ჩვენი აზრით, „სოკრატე“ და „სოკრატე არის განათლებული“ ერთი და იგივეა, მაგრამ „სოკრატე“ და „ყველა“ არაა ერთი და იგივე. რადგან სოკრატე არ ნიშნავს „ყველა ადამიანს“.

ამრიგად, ესაა „იგივეობრივის“ პირველი მნიშვნელობა. მისი მეორე მნიშვნელობა იგივეა, რაც „ერთის“, რადგან იგივე ეწოდება იმასაც, რასაც მატერია ან რიცხვით ან სახით ერთი აქვს იგივეობრივია ისიც, რასაც ერთი აქვს არსება. ასე რომ, იგივეობა არის რაღაც ერთობა ან სიმრავლეთა, ან იმათი, რომლებსაც, როგორც სიმრავლეს, ისე ვიყენებთ. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ის თავის თავთან იგივეობრივია, ამ შემთხვევაში მასში ორს ვგულისხმობთ.

„სხვა“ ისეთ საგნებს ეწოდება, რომლებსაც ან სახე, ან მატერია, ან არსების გამომხატველი ცნება ბევრი აქვთ. საერთოდ კი „სხვა“ „იგივეა“ საწინააღმდეგო ცნებაა

„განსხვავებული“ ეწოდება საგნებს, რომლებიც არიან რა იგივე, ამავე დროს განსხვავდებიან არა მხოლოდ რიცხვით, არამედ აგრეთვე ან სახით, ან გვარით, ან მიმართებით; ამას გარდა, როგორც ისინი, რომლებიც გვარით სხვა ან დაპირისპირებული არიან, აგრეთვე ისინი, რომლებიც არსებაში რაღაც სხვაობას შეიცავენ.

„მსგავსი“ ეწოდება იმათ, რომლებმაც ან ყოველმხრივ, ან მეტწილად ერთი და იგივე განიცადეს, ვიდრე სხვა და რომლებსაც ერთი და იგივე თვისება აქვთ. აგრეთვე იმ დაპირისპირებულთ, რომლებიც შესაძლებელია იცვლებოდნენ, მაგრამ რომლებსაც თვისებების უმრავლესობა, ან ძირითადი თვისებები მსგავსი აქვთ. „მსგავსს“ განსხვავებული უპირისპირდება.

თავი მეათე

დაპირისპირებული ეწოდება უარყოფას, წინააღმდეგობას[1], მიმართებას, ნაკლს, ქონებას და იმას, თუ საიდან და საითკენ მიემართება საბოლოოდ წარმოშობა და მოსპობა აგრეთვე იმათ, რომლებიც არ შეიძლება ერთდროულად რაიმეში იყვნენ. დაპირისპირებული არიან, როგორც თავისთავადი მოვლენები, ისე ის ნაწილებიც, რომელთაგანაც ისინი შედგებიან. ამიტომაც ნაცრისფერი და თეთრი არ შეიძლება ერთდროულად ერთისა და იმავეს თვისება იყოს და ცხადია, რომ დაპირისპირებული იქნებიან მათი შემადგენელი ფერებიც[2].

„მოწინააღმდეგე“ ეწოდება სხვადასხვა გვარის მოვლენებს, რომლებიც არ შეიძლება ერთსა და იმავეს ახასიათებდნენ. აგრეთვე ერთი გვარის ფარგლებში ყველაზე მეტად განსხვავებულს, ერთი და იმავე სუბსტრატის ყველაზე მეტად განსხვავებულ თვისებებს, ყველაზე უფრო განსხვავებულთ ერთი და იმავე უნარის ფარგლებში და ან საერთოდ[3], ან გვარით და ან სახით ყველაზე მეტად განსხვავებულთ. ყოველივე დანარჩენს მოწინააღმდეგე ეწოდება ან იმიტომ, რომ ახასიათებს დასახელებული წინააღმდეგობანი, ან იმიტომ, რომ მათი მიღების უნარი აქვს, ან ასეთი მოქმედება და განცდა შეუძლია, ან სინამდვილეში მოქმედებს და განიცდის, ჰკარგავს ან ითვისებს, აქვს ან არა აქვს ისინი.

რადგან ერთსა და არსებულს მრავალი მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველივე სხვაც, რაც მასზე ითქმის, დაექვემდებარება იგივეობის, განსხვავების, დაპირისპირებისა და ყველა დანარჩენ კატეგორიებს.

სახით განსხვავებული ეწოდება ერთი და იმავე გვარის საგნებს, მაგრამ არა ერთიმეორისადმი დაქვემდებარებულთ, არამედ რომლებიც, მართალია, ერთი და იმავე გვარის ფარგლებში არიან,
1018ბ მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ერთიმეორეს არსებით უპირისპირდებიან.

„მოწინააღმდეგე“ ეწოდებათ აგრეთვე ერთმანეთისაგან სახით განსხვავებულთ ან ყველას, ან გვარში პირველთ, აგრეთვე განსხვავებული ცნების მქონე, უკანასკნელ სახეებს გვარში. მაგალითად, ადამიანი და ცხენი, რომლებიც გვარის განუყოფელი შემადგენელი ნაწილები არიან და ცნებებიც განსხვავებული აქვთ. აგრეთვე იმათ, რომლებიც განსხვავებას შეიცავენ ერთი და იმავე არსების ფარგლებში. ერთი და იმავე სახის მქონეთა შესახებ კი ამის საწინააღმდეგო აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ.

თავი მეთერთმეტე

„წინამორბედსა“ და „მომდევნოზე“ ლაპარაკობენ იმ აზრით, რომ თვითეულ გვარში არის რაღაც პირველი და საწყისი, რაც რაღაც განსაზღვრულ საწყისთან უფრო ახლოა ან მარტივად, ან თავისი ბუნებით, ან მიმართებით, ან ადგილით, ან ვინმეს თვალსაზრისით. მაგალითად, ადგილის მიხედვით ასეთია თავისი ბუნებით, ან შემთხვევით რაიმე გარკვეულ ადგილთან ახლო მყოფი, როგორიცაა, შუა, კიდე, ან ნებისმიერი ადგილი, „მომდევნო“ დაშორებულიცაა, ყველაზე მეტად დაშორებული ის, ამ მომენტი-

დან, მაგალითად, უკვე მომხდარი ფაქტიდან, როგორც მიდიური[1] ომს წინ უსწრებს ტროას ომი, რადგან უფრო მეტადაა დაშორებული ამ მომენტიდან.

„პირველი“ ეწოდება აგრეთვე იმას, რაც ამ მომენტთან უფრო ახლოა. მაგალითად, ნემეური[2] თამაშობანი წინ უსწრებენ პითიურს[3], რადგან უფრო ახლო არიან იმ მომენტთან, რომელსაც ვხმარობთ საწყისისა და პირველის მნიშვნელობით. მოძრაობაში ის, რაც პირველ მამოძრავებელთან უფრო ახლოა, ადრეც არის. მაგალითად, ბიჭი ახლოა მამაკაცთან, რომელიც ბიჭისათვის რაღაც თავისთავადი პირველი საწყისია.

შესაძლებლობისდა მიხედვით ის, რაც უფრო ძლიერია, პირველიცაა და მეტი უნარის მქონეც, და მის განზრახვას აუცილებლად ემორჩილება მეორე, მომდევნო მხარე. ასე რომ, თუ ის არ ამოძრავებს, არც ეს მოძრაობს და თუ ამოძრავებს, ესეც მოძრაობს. განზრახვა კი საწყისია.

თანმიმდევრობის თვალსაზრისით წინამორბედი მაშინ გვაქვს, როდესაც საგნები რაღაც გარკვეულისადმი რაიმე წესრიგით არიან განლაგებული. მაგალითად, გუნდში მეორე ადგილზე მყოფი მესამე ადგილზე მყოფზე წინაა. საკრავში უკანასკნელის წინამორბედი სიმი უკანასკნელზე წინაა. პირველ შემთხვევაში საწყისია გუნდის ხელმძღვანელი, მეორე შემთხვევაში — საშუალო სიმი.

„პირველის“ შესახებ ამდენი აზრით შეიძლება ლაპარაკი. სხვაგვარად კი ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც შემეცნებისათვის პირველია, ის პირველია სუბსტანციალურადაც. აზროვნებისათვის პირველი სხვაა, და შეგრძნებებისათვის სხვა. რადგან აზროვნებისათვის პირველი ზოგადია, შეგრძნებებისათვის პირველი კი — ინდივიდუალური. აზროვნებაში შემთხვევითი ნიშანი წინ უსწრებს მთელს, მაგალითად, „განათლებული“ „განათლებულ ადამიანს“ და მთელი გამოთქმა არ არსებობს ნაწილის გარეშე. თუმცა „განათლებულიც“ ვერ იარსებებდა, თუ არ იქნებოდა განათლებული ვინმე.

შემდეგ „წინამორბედი“ ეწოდება წინამორბედი საგნების თვისებას. მაგალითად, სისწორე წინ უსწრებს სიბრტყეს, რადგან პირველი თავისთავად ხაზის თვისებაა, მეორე კი სივრცისა. ზოგს ამ 1019ა
აზრით ეწოდება „წინამორბედი“ და „მომდევნო“, ზოგს კი ბუნებისა და არსების მიხედვით. ეს უკანასკნელნი არ შეიძლება არსებობდნენ პირველთა გარეშე და პირველნი კი ამათ გარეშე. ამ განსხვავებას იყენებდა პლატონიც.

„არსებობასაც“ მრავალი მნიშვნელობა აქვს. მისი პირველი მნიშვნელობაა სუბსტრატი და სუბსტანცია. შემდეგ, შესაძლებელი

და რეალური. აქედან პირველი შესაძლებლობაშია პირველი, მეორე კი სინამდვილეში. მაგალითად, შესაძლებლობაში ნახევარი და ნაწილი წინ უსწრებს მთელს, მატერია სუბსტანციას. სინამდვილეში კი მოსდევს მას, რადგან სინამდვილეში ისინი დაშლის შემდეგ არსებობენ.

ყოველივე ზემოთქმული „წინამორბედისა“ და „მომდევნოს“ შესახებ შეიძლება ასე შევაჯამოთ: ზოგი მოვლენა წარმოშობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს სხვისაგან დამოუკიდებელი, მაგალითად, მთელი არსებობდეს ნაწილის გარეშე, ზოგი კი მოსპობის თვალსაზრისით. მაგალითად, ნაწილი შეიძლება იყოს მთელის გარეშე. ასევე ყველა სხვა შემთხვევაშიც.

თავი მეთორმეტე

უნარი ეწოდება მოძრაობის ან ცვალებადობის საწყისს, რომელიც ან სხვაში არსებობს, ან სხვაა[1]. მაგალითად, მშენებლობა არის უნარი, მაგრამ იგი არ არსებობს იმ სახლში, რომელიც შენდება. მედიცინა კი ისეთი უნარია, რომელიც არსებობს იმაში, რომელსაც კურნავენ, მაგრამ არა როგორც განსაკურნავი. საერთოდ, ცვალებადობის ან მოძრაობის საწყისი არის ძალა, რომელიც არსებობს სხვაში, ან წარმოადგენს სხვას.

მეორე მნიშვნელობის მიხედვით, ის სხვისაგან განიცდის ზემოქმედებას ან სხვაა. იმ საგანზე, რომელიც რაიმეს ზემოქმედებით რაღაცას განიცდის, ამ განცდის უნარის მქონეს ვუწოდებთ როგორც მაშინ, როდესაც მას ნებისმიერი განცდა აქვს, ისე მაშინ, როცა აქვს არა ყოველგვარი განცდის უნარი, არამედ მხოლოდ უკეთესისა.

შემდეგ, უნარი არის რაიმე საქმის კარგად, ან წინასწარი გადაწყვეტილებით შესრულების შესაძლებლობა, რადგან იმათ, რომლებიც დადიან ან ლაპარაკობენ ცუდად, ან არა წინასწარი გადაწყვეტილებით, ვერ ვუწოდებთ მეტყველების, ან სიარულის უნარის მქონეთ. ასევეა განცდის შემთხვევაშიც.

შემდეგ, უნარის მქონე ეწოდებათ იმათაც, რომლებიც საერთოდ, უგრძნობი ან უცვლელნი არიან, ანდა ძნელად იხრებიან ცუდისაკენ რადგან გატეხვა, ხახუნი, გალუნვა და საერთოდ, განადგურება ხდება არა უნარის, არამედ უუნარობისა და რაღაც ნაკლის გამო ყოველივე ამას არ განიცდის ის, რაც ან სუსტად განიცდის მას, ან მშვიდად განიცდის უნარის, შესაძლებლობის და რაღაც მდგომარეობის გამო.

ამრიგად, უნარზე ამდენი მნიშვნელობით შეიძლება ლაპარაკი. უნარის მქონე, ერთი მხრივ, ნიშნავს უძრაობის ან ცვალებადობის საწყისს (მოძრაობის შეჩერების უნარიც რაღაც საწყისია), რომე- 1019в
ლიც ან სხვაშია, ან თვითონაა სხვა მეორე მხრივ, ის რაიმე სხვაა, რასაც მის მიმართ იგივე უნარი აქვს შემდეგ, უკეთესისა და უარესისაკენ ნებისმიერი ცვალებადობის უნარი. ისიც კი, რაც იღუპება, დაღუპვის უნარის მქონეა, რადგან არ დაიღუპებოდა, ამის უნარი რომ არ ჰქონოდა. ამჟამად კი მას აქვს ამ განცდის რაღაც განწყობა, მიზეზი და საწყისი, რადგან ის ხან ჩანს ამ უნარის მქონედ, ხან კი არა. თუ ნაკლიც როგორღაც თვისების ქონებაა, მაშინ ყველაფერი რაღაც ქონება იქნებოდა. ასე რომ, უნარია რაღაც თვისებისა და საწყისის ქონება. უნარის მქონე ნიშნავს ნაკლსაც, თუ შესაძლებელია ნაკლის ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჰომონიმი იქნება[2]. უნარია ისიც, როდესაც სხვას არ ძალუძს იყოს რაიმეს საწყისი ან დამღუპველი. ყველაფერი ეს ეხება იმ შემთხვევებს, სადაც მხოლოდ წარმოშობა ხდება ან არ ხდება, ან ხდება კარგად. ეს უნარი არსებობს უსულო საგნებშიც, მაგალითად, მუსიკალურ ინსტრუმენტებში: ზოგ ლირაზე ვამბობთ, რომ მას ბგერის გამოცემის უნარი აქვს, ზოგს კი არა. ზოგს აქვს არაჰარმონიული ჟღერადობა. უუნარობა კი ეწოდება უნარის ან საწყისის არქონებას საერთოდ, ან იქ და მაშინ, როდესაც მისი ქონება ბუნებრივია. რადგან ჩვენ ერთნაირად არ ვუწოდებთ დაბადების უნარის არმქონეს ბავშვს, მამაკაცს და საჭურისს შემდეგ, ყოველ უნარს უუნარობა უპირისპირდება ეს ითქმის, როგორც საერთოდ მოძრაობის, ისე კარგად მოძრაობის უნარის მქონეზე.

„უუნარო“ ეწოდება, ერთი მხრივ, ასეთს უუნარობას, მეორე მხრივ, მას შესაძლებელისა და შეუძლებელის მნიშვნელობა აქვს შეუძლებელია ის, რომლის საწინააღმდეგო აუცილებლად ჭეშმარიტია. მაგალითად, დიაგონალის თანაფარდობითობა გვერდებთან შეუძლებელია, როგორც სიცრუე, რომლის საწინააღმდეგო არა მხოლოდ ჭეშმარიტია, არამედ აუცილებელიც. კერძოდ, აუცილებელია ის არათანაფარდობითი იყოს. ხოლო ფარდობითობა არა მარტო შეცდომაა, არამედ აუცილებელი შეცდომაა. ამას უპირისპირდება იაეთი შესაძლებელი, რომლის მოპირისპირე არაა აუცილებლად შეცდომა. მაგალითად, ადამიანს შეუძლია ჯდომა, რადგან არაა აუცილებელი შეცდომა იყოს მსჯელობა, „ის არ ზის“.

როგორც უკვე ვთქვით, შესაძლებელი, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად შეცდომა არაა ან ჭეშმარიტია, ან შესაძლებელია ის ჭეშმარიტიც იყოს. გადატანითი მნიშვნელობით

ის არის გეომეტრიული შესაძლებლობა. შესაძლებლის ყველა ამ
მნიშვნელობას საერთო არაფერი არა აქვს ძალასთან. შეუძლებლო-
1020a ბის ყველა ზემოთქმული მნიშვნელობა გულისხმობს საწყისს სხვა-
ში, ან თვით ცვალებადის სხვად ყოფნას. ყოველივე სხვას უნარის
მქონე ეწოდება ზოგჯერ იმიტომ, რომ რაღაც ასეთი უნარი აქვს ან
არა აქვს. ზოგს კი იმიტომ, რომ აქვს ის გარკვეული სახით. იგივე
ითქმის უუნარობაზე.

ამრიგად, უნარის მთავარი განსაზღვრება ცვალებადობის საწყისი სხვაში ყოფნა, ან ცვალებადის სხვად ყოფნა.

თავი მეცამეტე

რაოდენობა ეწოდება დაყოფადს ისეთ ნაწილებზე, რომელთაგან თვითეული თავისი ბუნებით რაღაც გარკვეული ერთია. სიმრავლე არის რაღაც დათვლადი რაოდენობა, სიდიდე ის, რაც გაიზომება. მეორე მხრივ, სიმრავლეა ის, რაც დაიშლება არაუწყვეტ ნაწილებად, ხოლო სიდიდე — უწყვეტად. ერთი მიმართულებით უწყვეტი სიდიდე არის სიგრძე, ორი მიმართულებით — სიბრტყე, სამი მიმართულებით — სიღრმე. აქედან განსაზღვრული სიმრავლე რიცხვია, განსაზღვრული სიგრძე — ხაზი, განსაზღვრული სიბრტყე — ზედაპირი, განსაზღვრული სიღრმე — სხეული. ამას გარდა, ზოგ მათგანს ეწოდება რაოდენობა თავისთავად, ზოგს კი შემთხვევით. მაგალითად, ხაზი არის რაღაც რაოდენობა თავისთავად, „განათლებული“ კი შემთხვევით. ამათგან ზოგი თავისთავადია არსებით. მაგალითად, ხაზი არის რაღაც რაოდენობა, რადგან მისი არსების გამომხატველ ცნებას რაღაც რაოდენობა ახასიათებს. ზოგი წარმოადგენს ამ არსების მდგომარეობას ან თვისებას. მაგალითად, ბევრი და ცოტა, გრძელი და მოკლე, ბრტყელი და ვიწრო, ღრმა და არა ღრმა, მძიმე და მსუბუქი და სხვა ამგვარი. აგრეთვე დიდი და პატარა, მეტი და ნაკლები, როგორც თავისთავად, ისე ერთიმეორის მიმართ თავისთავადი რაოდენობის მდგომარეობანი არიან. მაგრამ ეს ტერმინები სხვა საგნებზედაც გადაიტანებიან. როგორც უკვე ვთქვით, რაოდენობა ზოგი შემთხვევით ეწოდება, როგორც, მაგალითად, „განათლებულიც“ და „თეთრიც“ რაღაც რაოდენობაა იმისა, რის თვისებაც ისინი არიან. ზოგი კი რაოდენობაა მოძრაობისა და დროის თვალსაზრისით. ესენიც რაღაც რაოდენობასა და დაუნაწევრებელს წარმოადგენენ, რადგან დაუნაწევრებელია ის, რომლის

თვისებაც ესენი არიან. მე ვგულისხმობ არა მოძრავ საგანს, არამედ მანძილს, რომელიც მან განვლო. მაგრამ რადგან მანძილი რაოდენობაა, ამიტომ რაოდენობაა მოძრაობაც და რადგან მოძრაობა რაოდენობაა, ამიტომ რაოდენობაა დროც

თავი მეთოთხმეტე

თვისება, ერთი მხრივ, სუბსტანციის სახესხვაობას ეწოდება.
მაგალითად, ადამიანის, როგორც ცხოველის თვისებაა ორფეხიანობა, ცხენისა — ოთხფეხიანობა, წრისა — უკუთხო ფორმა, რაც სუბს-
ტანციის თვისობრივ სხვაობას წარმოადგენს. ამრიგად თვისება ერთი 1020b
მხრივ, სუბსტანციის სახესხვაობას ნიშნავს, მეორე მხრივ კი,
უცვლელ და მათემატიკურ მოვლენებს, როგორც რიცხვებიც რაღაც თვისებებია, მაგრამ არა მხოლოდ ერთი მიმართულებით დანაწევრებადნი, არამედ ისეთნი, რომელთა მიბაძვაა სიბრტყეები და სხეულები. ამათგან პირველნი დანაწევრებადნი არიან ორი მიმართულებით, მეორენი კი — სამი. და საერთოდ, ყველაფერი, რაც კი მათ ახასიათებთ, გარდა რაოდენობისა, მოცემულია მათ არსებაში. არსება კი თვითეულს ერთი აქვს. მაგალითად, ექვსს აქვს არა ორი ან სამი, არამედ ერთი არსება, რადგან ექვსი ერთხელ არის ექვსი. მოძრავი საგნების თვისებებია სითბო — სიცივე, სითეთრე — სიშავე, სიმძიმე — სიმსუბუქე და სხვა ამდაგვარი, რომელთა ცვალებადობის შესატყვისად იცვლებიან სხეულები, აგრეთვე ქეთილშობილებისა და სიმდაბლის და საერთოდ, ბოროტებისა და სიკეთის შესატყვისად.

თვისობრიობის შესახებ, დაახლოებით, ორგვარი აზრით შეიძლება მსჯელობა. აქედან ერთი უმთავრესია: პირველ ყოვლისა, თვისობრიობა არის არსების სახესხვაობა, რაც რიცხვებში გამოხატული თვისობრიობის განსაზღვრებაა, რადგან ისიც რაღაც სახესხვაობაა ან უძრავ, ან მოძრავ არსებათა, ოღონდ არა იმდენად, რამდენადაც ისინი მოძრავნი არიან. მეორე მხრივ, ის მოძრავ საგანთა თვისობრიობაა, რაც მათ მოძრაობაში მდგომარეობს ასევე თვით მოძრაობის სახესხვაობებშიც სიკეთე და ბოროტებაც თვისებათა რაღაც საზომია, რადგან ავლენენ მოძრაობის და მოქმედების თვისებებს, რომლის მიხედვით მოძრავი საგანი კარგს ან ავს აკეთებს, ან განიცდის. ის, რასაც შეუძლია ასე მოქმედება, კარგია, რასაც ისე — ცუდი ბოროტება და სიკეთე უფრო მეტად სულიერ არსებათა თვისებებზე მიგვითითებენ და ამათგან ყველაზე მეტად იმათზე, რომლებიც წინასწარი განზრახვით მოქმედებენ.

თავი მეთხუთმეტე

მიმართება ეწოდება, ერთი მხრივ, ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც ორმაგისა ნახევრისადმი, სამმაგისა მისივე მესამედისადმი, მრავალკეცისა ნაწილებისადმი და ჭარბისა იმისადმი, რასაც ჭარბობს.

მეორე მხრივ, მიმართება ეწოდება ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც არსებობს გამათბობელსა და თბობადს, მჭრელსა და ჭრადს და საერთოდ, მოქმედსა და განმცდელს შორის. მესამე მხრივ, გასაზომსა და საზომს, შეცნობადსა და ცოდნას, შეგრძნებადსა და შეგრძნებას შორის. პირველი სახის დამოკიდებულება ეხება რიცხვთა ზოგად ან კონკრეტულ მიმართებას, აგრეთვე რიცხვთა ერთმანეთთან, ან ერთთან მიმართებას. როგორც ორმაგი წარმოადგენს განსაზღვრულ რიცხვს ერთთან მიმართებაში, ხოლო
1021a მრავალკეცი ერთკეცთან, მაგრამ არა განსაზღვრულ „ამ“ ან „იმ“ ერთთან. ერთნახევარი ორმესამედთან ისეთ მიმართებაშია როგორც რიცხვი გარკვეულ რიცხვთან, ხოლო მთელი გაყოფილი ერთზე განუსაზღვრელ დამოკიდებულებაშია ერთთან როგორც მრავალკეცი ერთკეცისადმი და ჭარბი იმისადმი, რასაც ჭარბობს, საერთოდ, განუსაზღვრელ რიცხობრივ დამოკიდებულებაშია, რადგან რიცხვი ფარდობითია და არაფარდობითის რიცხვი არ უდგება, ხოლო ჭარბი, რასაც ჭარბობს, ერთი იმდენია და კიდევ მეტი, რაც განუსაზღვრელია, ე. ი. ნებისმიერი, როგორც მისი ტოლი, ისე არა.

აი, ყოველივე ის, რაც შეიძლება ითქვას რიცხობრივ მიმართებათა და რიცხვთა თვისებების შესახებ.

რაც შეეხება „თანაბარს“, „მსგავსს“, „იგივეობრივს“, ისინი სხვადასხვაგვარად იხმარებიან. „ერთი“ ეწოდება ყოველივე იმათ, რომლებსაც არსება ერთი აქვთ. „მსგავსნი“ — რომლებსაც ერთი აქვთ თვისება და „თანასწორი“, რომლებსაც რიცხვი აქვთ ერთ. ერთი კი რიცხვთა საწყისი და საზომია, ასე რომ, ყოველივე ეს ეხება სხვადასხვაგვარ რიცხობრივ დამოკიდებულებას.

„მოქმედი და განმცდელი“, ერთი მხრივ, მოქმედისა და განმცდელის შესაძლებლობანი არიან და, მეორე მხრივ, შესაძლებლობის რეალობა, როგორიცაა თბობადის მიმართება გამათბობელისადმი, ე. ი. იმისადმი, რომელსაც გათბობის უნარი აქვს და პირიქით გამათბობლისა თბობადისადმი და მჭრელისა ჭრადისადმი. როგორც სინამდვილეში მოქმედთადმი რიცხობრივი მიმართებანი არ არიან რეალური მიმართებანი, და თუ როგორ არსებობენ, ამის

შესახებ ჩვენ ვთქვით სხვა ადგილას. რიცხვებს მოძრაობის თვალსაზრისით რეალური არსებობა არ ახასიათებთ. მიმართებაზე შეიძლება მსჯელობა უნარისა და დროის მიხედვით, მაგალითად, შემოქმედისა ქმნილისადმი და კვეთების უნარის მქონისა იმისადმი, რაც შეიძლება გაკვეთილ იქნას. ასევე მამას ეწოდება ბავშვისა მამა. პირველი შემოქმედია, მეორე კი რაღაც განმცდელი. ზოგჯერ უნარი ეწოდება ნაკლს. მაგალითად, იმას, რაც შეუძლებელია და რაც უხილავია.

მიმართება რიცხვისა და უნარის მიხედვით ისეთი მიმართებაა, რაც თავისი არსებით ითქმის სხვაზე და არა სხვა მასზე. გაზომვადი, შეცნობადი, გააზრებადიც სხვასთან მიმართებაში არიან, იმიტომ, რომ სხვა მათთან მიმართებაშია. გააზრებადი ნიშნავს იმას, რომ აზროვნება მისკენაა მიმართული, მაგრამ იმის გამო რომ აზროვნება მისკენაა მიმართული, ის აზრი არაა, რადგან ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ორჯერ იქნებოდა თქმული[1]. ასევე ხედვა არის არა ხედვა არა ხედვისა (თუმცა ამის თქმა ჭეშმარიტი იქნე- 1021b
ბოდა), არამედ ფერისა, ან სხვა ამდაგვარისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ორჯერ იქნებოდა თქმული, რომ ხედვა არის ხედვა ხედვისა[2]. მიმართებაში თავისთავად ზოგჯერ ეს იგულისხმება. ზოგჯერ კი ისინი, რომელთა გვარი ასეთ მიმართებაშია. მაგალითად, მედიცინა მიმართებაა იმიტომ, რომ მისი გვარი — მეცნიერება არის რაღაცასთან მიმართება. ამას გარდა, ზოგი იმიტომ არის მიმართება, რომ რის თვისებაც ისაა, ის მიმართებაა, მაგალითად, თანასწორობა არის რაღაცის თანასწორობა. მსგავსება არის რაღაცის მსგავსება.

ზოგჯერ არსებობს შემთხვევითი მიმართება. მაგალითად, ადამიანი არის მიმართება, რადგან მას შეიძლება ჰქონდეს „ორმაგის“ შემთხვევითი ნიშანი, რაც მიმართებაა. ანდა „თეთრი“ იმ შემთხვევაში თუ მას აქვს ორმაგობისა და სითეთრის შემთხვევითი ნიშანი.

თავი მეთექვსმეტე

„დასრულებული“ ეწოდება, პირველი, იმას, რომლის გარეთ არაფერი არ იმყოფება, მისი ერთი ნაწილიც კი. მაგალითად, დრო სრულია, რომლის გარეშე არ არსებობს რაიმე, რაც ამ დროის ნაწილი იქნებოდა. სიკეთე და კეთილდღეობა სრულყოფილია, როდესაც ამ გვარში მასზე უკეთესი არ მოიძებნება. როგორც, მაგალითად, სრულყოფილია ის ექიმი და ფლეიტისტი, რომელთაც ამ სპეციალობის ცოდნაში არაფერი არ აკლიათ.

გადატანითი მნიშვნელობით ასევე შეიძლება მსჯელობა ბოროტებაზე, მაგალითად, სრულყოფილ ენატანისა და სრულყოფილ ქურდზე, მათ ვუწოდებთ „კარგს", ვგულისხმობთ რა „დასრულებულ ქურდსა" და „დასრულებულ" ენატანიას. სათნოებაც რაღაც სრულყოფილებაა. ამრიგად, ყოველი მოვლენა მაშინაა დასრულებული და მაშინ აქვს დასრულებული არსება, როდესაც ამ ბუნებას მისი გვარის ფარგლებში არ აკლია არც ერთი ნაწილი.

შემდეგ, „დასრულებული" ეწოდება იმას, რასაც აქვს დასასრული და ამავე დროს კარგი დასასრული რადგან დასრულებულია ის, რასაც ბოლო აქვს, ხოლო ბოლო კი რაღაც საზღვარისმაგვარია. გადატანითი მნიშვნელობით ცუდსაც ვუწოდებთ დასრულებულს, მაგალითად, საბოლოო მოსპობას და საბოლოო სიკვდილს, როდესაც საგანს მოსპობას, ან ბოროტებას არაფერი არ აკლია, არამედ საზღვარს მიაღწია. ასევე სიკვდილი გადატანით მნიშვნელობით დასასრულს ეწოდება, რადგან ორივე საზღვარს წარმოადგენს. დასასრულია აგრეთვე საბოლოო მიზანი.

აი, ამდენი მნიშვნელობით შეიძლება ლაპარაკი დასრულებულზე. თავისთავად დასრულებული ეწოდება იმას, რომელსაც არაფერი
1022a არ აკლია, ან რომლის უკეთესი არ არსებობს, ანდა რომლის გარეშე არაფერი არ არსებობს. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს თვითეული გვარის ფარგლებში უკეთესის არ არსებობას, მის გარეთ არაფრის არ არსებობას. ზემოთქმულის მიხედვით, ყოველივე სხვა აგრეთვე „დასრულებული" ეწოდება ან იმიტომ, რომ ასე მოქმედებს, ან ასეთი რამ აქვს, ან შეჰფერის ეს, ანდა როგორღაც უდგება მას „დასრულებულის" შესახებ ზემოთქმული.

თავი მეჩვიდმეტე

„საზღვარი" არის თვითეული საგნის კიდე, რომლის გარდა სხვა რამ პირველი არ არსებობს, რომელიც ყველაზე პირველი იქნებოდა ის არის სიდიდის ფორმა ან საერთოდ, სიდიდე და ყოველი საგნის დასასრული, რომლისკენაც არის მიმართული მოძრაობა და მოქმედება და არა ის, საიდანაც იწყება მოძრაობა ხანდახან მას ორივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ის, საიდანაც იწყება მოძრაობა, ისე ის, საითკენაც მიემართება. ის მიზანსაც ნიშნავს ის არის აგრეთვე თვითეული საგნის არსება, ე. ი. ის, რასაც საგანი წარმოადგენს. რადგან ის არის შემეცნების საზღვარი და თუ ის შემეცნების საზღვარია, საგანთა საზღვარიც იქნება. ასე რომ, ცხადია, რამდენი მნიშვნელობითაც ლაპარაკობენ საწყისზე, იმდენი და კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობით საზღვარზე, რადგან ყველა საწყისი რაღაც საზღვარია, მაგრამ ყველა საზღვარი საწყისი არაა.

თავი მეთვრამეტე

გამოთქმას „რაიმეს შესატყვისად" მრავალი მნიშვნელობა აქვს. მისი პირველი მნიშვნელობაა კონკრეტული საგნის ფორმა და არსება. მაგალითად, „სიკეთის შესატყვისად" თვით სიკეთესაც ნიშნავს. შემდეგ, ის, რაშიც ბუნებრივად პირველად წარმოიშვება რამე, მაგალითად, ფერი ზედაპირზე. როგორც უკვე ვთქვით, „რაიმეს შესატყვისის" პირველი მნიშვნელობაა ფორმა. მეორე — თვითეული საგნის მატერია და პირველი სუბსტრატი საერთოდ. „რაიმეს შესაბამისად" იმდენივე მნიშვნელობით იხმარება, რამდენითაც იხმარება მიზეზი. „რის შესაბამისად" იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც „რა მიზეზით მოვიდა". აგრეთვე „რის შესაბამისად წარმოება მცდარი მსჯელობა", ანდა „მსჯელობა საერთოდ" იგივეა, რაც „მცდარი მსჯელობის მიზეზი" და „მიზეზი მსჯელობისა საერთოდ". გარდა ამისა, „რაიმეს შესაბამისად" ნიშნავს აგრეთვე მდგომარეობას, ე. ი. იმას, თუ რის მიმართ დგას ან მოძრაობს საგანი. ყოველივე ეს კი ნიშნავს ადგილსა და მდებარეობას.

„თავისთავადსაც" აუცილებლად ასევე მრავალი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, „თავისთავად" ნიშნავს საგნის არსებას. მაგალითად, „კალიას" ნიშნავს „კალიას თავისთავად" და კალიას არსებას. შემდეგ, ყოველივე ის, რაც შედის საგნის არსებაში, მაგალითად, „კალიას თავისთავად" ცხოველია, რადგან კალიას ცნებაში ცხოველიც შედის. კალიას ხომ რაღაც ცხოველია. ამას გარდა, რაც იმყოფება პირველ არსებაში, ან მის ნაწილებში. მაგალითად, ზედაპირი თავისთავად არის თეთრი და ადამიანი თავისთავად ცოცხალი. რადგან სული არის ადამიანის რაღაც ნაწილი, რომელშიაც მოცემულია სიცოცხლე, უპირველესად ყოვლისა.

შემდეგ, ის, რასაც სხვა მიზეზი არა აქვს. მაგალითად, ადამიანს ბევრი მიზეზი აქვს: ცხოველი, ორფეხი. მაგრამ ადამიანი ყველა ამ შემთხვევაში მაინც ადამიანად რჩება. შემდეგ, ის, რაც მხოლოდ ამ საგანს ახასიათებს, როგორც თავისთავადს და სხვებისაგან დამოუკიდებელს.

თავი მეცხრამეტე

1022b „განლაგება“ იმ საგანს აქვს, რომლის ნაწილები მოწესრიგებული არიან ან უნარის, ანდა სახის მიხედვით. როგორც ტერმინიც ცხადყოფს, განლაგება რაღაც მდგომარეობაა.

თავი მეოცე

„ქონების“ პირველი მნიშვნელობაა მქონებლის რაიმე დამოკიდებულება ქონებისადმი, რაიმე მოქმედების ან მოძრაობის სახით. მაგალითად, როდესაც ერთი აკეთებს, მეორე კი კეთდება, მათ შუა შემოქმედება იმყოფება. ასევე ტანისამოსის პატრონსა და კუთვნილ ტანისამოსს შორის იმყოფება ქონება. აქედან ცხადია, რომ ქონების ქონება არ შეიძლება. ქონება რომ ქონების ქონება ყოფილიყო, პროცესი უსასრულოდ გაგრძელდებოდა.

სხვანაირად, ქონება მდგომარეობას ეწოდება, რომლით გამო საგანი კარგ ან ცუდ განწყობაშია ან თავის თავის, ან სხვის მიმართ. მაგალითად, ჯანმრთელობაც რაღაც ქონებაა, რადგან ის არის გარკვეული განწყობა. გარდა ამისა, ქონება ეწოდება ასეთი განწყობის ნაწილსაც. მაშასადამე, ნაწილთა სიკარგეც რაღაც ქონებაა.

თავი ოცდამეერთე

„განცდის“ ერთი მნიშვნელობაა თვისება, რომელიც იცვლება. მაგალითად, თეთრი და შავი, ტკბილი და მწარე, მძიმე და მსუბუქი და სხვა ამდაგვარი. მისი შემდეგი მნიშვნელობაა ყოველივე ამის რეალური არსებობა და ცვალებადობა. შემდეგ, უფრო მეტად განცდა ეწოდება მავნე ცვლილებებსა და მოძრაობებს, განსაკუთრებით კი ზიანს, აგრეთვე დიდ უბედურებას და უსიამოვნებას.

თავი ოცდამეორე

„ნაკლის“ ერთი მნიშვნელობაა არქონება იმისა, რის ქონებაც, საერთოდ, ბუნებრივია, ოღონდ არა მარტო ამ კონკრეტული საგნისათვის, მაგალითად, მცენარეებისათვის თვალების არქონება. მეორე, როდესაც საგანს არა აქვს ის, რაც ან მას, ან მის გვარს ბუნებრივად ახასიათებს. მაგალითად, სულ სხვადასხვანაირია ადამიანისა და

თხუნელას სიბრმავე. მეორე შემთხვევაში მთელი გვარია მოკლებული მხედველობას, პირველ შემთხვევაში, ერთი ადამიანი. აგრეთვე ის, რაც ბუნებრივად ახასიათებს რამეს და არა აქვს მაშინ, როდესაც უნდა ჰქონდეს. სიბრმავე რაღაც ნაკლია, მაგრამ ბრმა ყველა ასაკში კი არაა ბრმა, არამედ იმ შემთხვევაში, თუ არა აქვს მხედველობა მაშინ, როდესაც ბუნებრივად უნდა ჰქონდეს. აგრეთვე, როდესაც არა აქვს იმ ადგილას, ან იმის მიმართ, ან იმასთან შედარებით, ან იმგვარად, როგორც უნდა ჰქონდეს. შემდეგ, „ნაკლი“ ეწოდება რაიმესათვის რაიმეს იძულებით წართმევას და რამდენი მნიშვნელობაც აქვს „არა“ ნაწილაკით დაწყებულ უარყოფას, იმდენივე მნიშვნელობით შეიძლება ვილაპარაკოთ საგანთა ნაკლზე მაგალითად, არათანასწორია ის, რასაც არა აქვს თანასწორობა, უხილავია ის, რასაც ან საერთოდ არა აქვს ფერი, ანდა უმნიშვნელო შეფერილობა აქვს. ასევე უფეხოა როგორც ის, რომელსაც საერთოდ არა აქვს ფეხები, ისე ის, რომელსაც სუსტი ფეხები აქვს. აგრეთვე როცა რაიმე პატარაა. მაგალითად, 1023a
ხილს უკურკო მაშინ ეწოდება, როდესაც პატარა კურკა აქვს. გარდა ამისა, რაც ადვილი არაა, ანდა კარგად ვერ კეთდება. მაგალითად, დაუყოფელია არა მარტო ის, რაც არ დაიჭრება, არამედ ისიც, რის დაჭრა ან ადვილი არაა, ანდა კარგად ვერ დაიჭრება. ნაკლია აგრეთვე თვისების სრულიად არქონება, რადგან ბრმა ეწოდება არა ცალთვალას, არამედ ორივე თვალით უსინათლოს. მაგრამ ყველაფერი კარგი ან ცუდი, სამართლიანი და უსამართლო კი არაა, არამედ არსებობს შუალედიც.

თავი ოცდამესამე

„ქონებას“ მრავალი მნიშვნელობა აქვს. პირველი, როცა რაიმე იქცევა მისი ბუნების ან მისწრაფების შესაბამისად. ამ აზრით ვამბობთ, რომ ადამიანს ციებ-ცხელება აქვს. ხოლო ტირანებზე შესახებ, რომ ისინი ქალაქის მფლობელები არიან და ჩამცმელები ტანისამოსისა. მისი შემდეგი მნიშვნელობაა რაიმეს რაიმეში არსებობა. მაგალითად, სპილენძს აქვს ქანდაკების ფორმა და ავადმყოფობას — სხეულია.

შემდეგ, გარემომცველის და გარემოცულის მნიშვნელობით. „გარემოცული“ იმის შესახებ ვამბობთ, რომელიც იმაში იმყოფება, რაც მას გარემოიცავს. მაგალითად, ვამბობთ, ჭურჭელში სითხეა, ქალაქში ადამიანები, ნავში მეზღვაურები. ამავე აზრით ვამბობთ მთელზე, რომ ნაწილები აქვს.

ქონებას ვუწოდებთ იმ შემთხვევასაც, როდესაც რაიმე რაიმეს ხელს უშლის მოქმედებაში, ან მოძრაობაში მისი მისწრაფების მიხედვით, როგორც, მაგალითად, სვეტები მათზე დაყრდნობილ სიმძიმეს. აგრეთვე როგორც პოეტები ამბობენ, რომ ატლანტს უჭირავს დედამიწა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დედამიწას დაეჯახებოდა, რასაც ზოგიერთი ბუნებისმეტყველიც ამტკიცებს. ამავე მნიშვნელობით გამაერთიანებელი ეწოდება იმას, რასაც აქვს გასაერთიანებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითეული ნაწილი საკუთარი მიდრეკილებით გამოცალკევდებოდა. ასევე „ქონების“ ანალოგიით ვხმარობთ გამოთქმას „რამე არსებობს რამეში“.

თავი ოცდამეოთხე

„რაიმესაგან“ — ნიშნავს მატერიისაგან წარმოებულს. აქაც ორი გაგება შეიძლება არსებობდეს: როგორც შემადგენელი პირველი გვარია, ანდა უკანასკნელი სახე. „რაიმესაგან“ შეიძლება ვიხმაროთ იმ აზრითაც, როგორც ყოველი დნობადი წყლისაგან შედგება, ან როგორც ქანდაკება შედგება სპილენძისაგან. მისი შემდეგი მნიშვნელობაა პირველი მამოძრავებელი საწყისიდან წარმოშობილი. მაგალითად, რისგან წარმოდგება ბრძოლა? უთანხმოებისაგან, რომელიც ბრძოლის მიზეზია. ზოგჯერ ის ნიშნავს მატერიისა და ფორმისაგან შედგენილი მთელის ნაწილებს. მაგალითად, სტრიქონი, ამოღებული „ილიადიდან“, ან ქვები - სახლიდან. მიზანი არის ფორმა და დასრულებული კი ისაა, რასაც ბოლო აქვს.

შემდეგი გაგებით ის ნიშნავს ნაწილებისაგან შემდგარ გვარს, მაგალითად, ადამიანს შემდგარს ორფეხობისაგან და მარცვალს — ასოებისაგან. აქ სულ სხვა დამოკიდებულებაა, ვიდრე ქანდაკებასა და სპილენძს შორის, რომლისაგანაც ქანდაკებაა დამზადებული,
1023в რადგან სუბსტანცია შედგება გრძნობადი მატერიისაგან, ხოლო გვარი გვარისათვის დამახასიათებელი მატერიისაგან.

ზოგჯერ ამ გაგებით იხმარება ეს გამოთქმა, ზოგჯერ კი იმ გაგებით, რომ ერთ-ერთი ამათგანი საგანს ნაწილობრივ ახასიათებს. როგორც ბავშვი არის დედის და მამისაგან წარმოშობილი, მცენარე მიწისაგან, უფრო სწორად მისი ნაწილებისაგან.

ზოგჯერ კი მასში დროული თანმიმდევრობაა ნაგულისხმევი. მაგალითად, ამბობენ დღისაგან ღამეა და წყნარი ამინდისაგან ქარიშხალიო, რადგან ერთი მეორის შემდეგაა. ამას ვამბობთ იმათ შესახებ, რომლებსაც ერთიმეორეში გადასვლა შეუძლიათ, რო-

გორც ახლახან მოტანილ მაგალითებში, ზოგჯერ კი მხოლოდ თანმიმდევრობაა ნაგულისხმევი როგორც შემოდგომის დასაწყისიდან შესაძლებელია ნაოსნობა, რაც შემოდგომის დასაწყისს მოსდევს და დიონისეს[1] დღესასწაულიდან კი თარგილიონი[2], რადგან ის დიონისეს დღესასწაულს მოსდევს.

თავი ოცდამეხუთე

„ნაწილი“ ერთი გაგებით ეწოდება იმას, რაზედაც ნებისმიერი სიდიდე იყოფა რადგან სიდიდისაგან ჩამოშორებული ნაწილიც სიდიდეა, ამიტომ მას ამ სიდიდის ნაწილი ეწოდება, როგორც ორს სამის ნაწილი, ზოგჯერ კი ნაწილი ეწოდება საზომს. ამიტომაც პირველ შემთხვევაში ორი სამის ნაწილია, მეორე შემთხვევაში — არა. გარდა ამისა, რაზედაც დაიშლება ფორმა, სიდიდისაგან დამოუკიდებლად იმასაც ნაწილი ეწოდება. ამიტომ ამბობენ, სახე არის გვარის ნაწილიო. გარდა ამისა, რადაც დაიშლება, ან რისგანაც შედგება მთელი, ან სახე, ან სახის შემცველი. მაგალითად, სპილენძის სფეროსათვის, ან სპილენძის კუბისათვის სპილენძი ნაწილია. ის მატერიაა, რომელშიაც მოცემულია ფორმა. ნაწილია კუთხეც. აგრეთვე ის, რაც ცნების შემადგენლობაშია და რაც თვითეულ ნაწილს ცხადყოფს, ისიც მთელის ნაწილია. ამიტომაც გვარი არის ფორმა და ნაწილი. სხვანაირად კი სახე არის გვარის ნაწილი.

თავი ოცდამეექვსე

„მთელი“ ეწოდება იმას, რასაც არაფერი არ აკლია იმისაგან, რაც მთელის ბუნებას შეადგენს. და გარემომცველიც გარემოცულთან ერთად რაღაც მთელია, რაც ორი აზრით იხმარება: ან იმ აზრით, როგორც თვითეული საგანი წარმოადგენს ერთს, ან იმ აზრით, რომ მისგან ერთი წარმოიშობა. ზოგადი და საერთოდ, ის, რასაც არსებული მთელი ეწოდება, ზოგადია ან იმიტომ, რომ მრავალს მოიცავს, რომელზეც ის ითქმის და რომელთაგან თვითეული ერთს წარმოადგენს. როგორც, მაგალითად, ცხოველია ადამიანიც, ცხენიც და ღმერთიც. ხან კი მთელი ეწოდება უწყვეტს და განსაზღვრულს, როდესაც ის, მრავალისაგან შემდგარი რაღაც ერთია, რომლებიც, უმეტესად, შესაძლებლობაში არსებობენ, ზოგჯერ კი რეალურად. მათ შორის უფრო მეტად ასეთია ბუნებრივი, ვიდრე ხელოვნური საგნები. ერთის შესახებ ვთქვით, რომ ის, როგორც მთლიანობა, რაღაც ერთიანობაცაა. ისევე, როგორც რაოდენობა, 1024a
რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა და კიდე. რომლებიც თუ მდება-

რეობით არ განსხვავდებიან, ყველა ეწოდებათ და თუ განსხვავდებიან, მაშინ მთელი. ხოლო თუ ორივეთი განსხვავდებიან, მაშინ იქნება, როგორც მთელი, ისე ყველა. ამას კი იმ საგნებში ვხვდებით, რომელთა ბუნება ცვალებადობაში იგივე რჩება. ფორმა კი ეცვლებათ. როგორც ცვილი და ტანისამოსი. ამიტომ მათ როგორც „მთელი“, ისე „ყველა“ ეწოდებათ. წყალზე, სითხეებზე და რიცხვზე ითქმის „მთელი“, ხოლო გამოთქმა „ყველა რიცხვი“, „ყველა წყალი“ იხმარება არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. „ყველა“ იმათზე ითქმის, სადაც ამ გამოთქმას იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც „ერთის მიმართ“. „ყველანი“ კი იხმარება ერთმანეთისაგან განცალკევებულ საგნებზე. „მთელი“ რომელიმე ერთი რიცხვია, „ყველა“ კი მასში შემავალი ერთიანები.

თავი ოცდამეშვიდე

„არამთელი“ ეწოდება არა ნებისმიერ სიდიდეს, არამედ დაყოფადსა და მთელს მაგალითად, ორიანი არ იქნება „არამთელი“, თუ მას ნებისმიერ ერთიანს ჩამოვაცილებთ, რადგან მოტეხილი არასოდეს არაა დარჩენილი ნაწილის ტოლი და არც სხვა ნებისმიერი რიცხვი, რადგან არამთელმა საჭიროა არსება იგივე შეინარჩუნოს. ფიალა მთელიც რომ არ იყოს, მაინც ფიალაა რიცხვი კი იგივე აღარ იქნება. გარდა ამისა, რასაც თანაბარი ნაწილები არა აქვს, არც იგაა ასეთი. მაგალითად, რიცხვია ისიც, რომელსაც არათანაბარი ნაწილები აქვს, ორი, სამი და სხვა. საერთოდ, ის, რომლის ნაწილები არ ჰქმნიან განსხვავებას განლაგებაში, არც არამთელი იქნება, არამედ მთელი. მაგალითად, წყალი ან ცეცხლი. თუ ნაწილებს არსების შესაბამისი განლაგება აქვთ და უწყვეტიც არიან, არც იქ იქნება არამთელი. მაგალითად, ჰარმონიას აქვს ნაწილების განსხვავებული განლაგება, მაგრამ არამთელი მაინც არაა. ამას გარდა, არც მთელი საგნები ხდებიან არამთელი ნებისმიერი ნაწილების დაკარგვის შედეგად, არსების ძირითადი, ანდა ნებისმიერი ნაწილების დაკარგვის შემთხვევაშიაც კი. მაგალითად, თუ ჯამი გახვრეტილია, არამთელი მაინც არაა, ის იმ შემთხვევაშია არამთელი, თუ მოტეხილი აქვს რომელიმე ნაპირი, ან სახელური ასევე ადამიანიც ხეიბარი არაა, თუ დაზიანებული აქვს ან სხეული, ან ელენთა, არამედ თუ აკლია რომელიმე კიდური და ისიც არა ყველა, არამედ ის კიდური, რომელიც აღარ წამოეზრდება. ამიტომაც მელოტნი ხეიბარნი არ არიან.

თავი ოცდამერვე

გვარი მაშინ გვაქვს, როდესაც ერთი და იმავე სახის საგნების უწყვეტი წარმოშობა ხდება. მაგალითად გამოთქმა „სანამ ადამიანთა გვარი არსებობს“, ნიშნავს: „სანამ მათი წარმოშობა უწყვეტია“. მისი შემდეგი მნიშვნელობაა პირველი მამოძრავებელიდან წარმოშობილი. ამ გაგებით ვამბობთ „ელინთა გვარი“ ან „იონელთა გვარი“, რომ ერთნი თავდაპირველად ელინისაგან არიან წარმოშობილი, მეორენი კი იონისაგან და რომ ისინი უფრო წარმომშობელისაგან არსებობენ, ვიდრე მატერიისაგან. იმასაც ამბობენ, რომ გვარი ქალისაგან არისო, მაგალითად, პირრასაგან. აგრეთვე იმ გაგებით, რომ სიბრტყე ბრტყელი საგნების გვარია და სხეული სხეულებისა, რადგან თვითეული ფორმა ან გარკვეული სიბრტყეა, ან გარკვეული სხეული. ეს კი განსხვავებათა სუბსტრატია 1024b
მისი შემდეგი მნიშვნელობაა: მსჯელობის პირველი შემადგენელი ნაწილი, საგნის არსების გამომხატველი გვარი, რომლისა სახეობები თვისებები ეწოდება.

გვარს ამდენი მნიშვნელობა აქვს: პირველი, ერთი და იმავე სახის საგანთა უწყვეტი წარმოშობა, მეორე, პირველი მამოძრავებლის მსგავსი, მესამე, მატერია, რადგან იქ, სადაც არის განსხვავება და თვისება, იქ არის სუბსტრატიც, რასაც ჩვენ მატერიას ვუწოდებთ.

„სხვაგვარისა“ კი ეწოდებათ იმ საგნებს, რომლებსაც პირველი სუბსტრატი სხვადასხვა აქვთ, რომლებიც არ დაიყვანებიან ერთიმეორეზე და არც ორივე მესამეზე. მაგალითად, ფორმა და მატერია სხვადასხვა გვარისანი არიან. აგრეთვე ისინიც, რომლებიც ეკუთვნიან არსებულ კატეგორიათა სხვადასხვა ფორმას, რომელთაგან ნაწილი გამოხატავს არსებას, ნაწილი თვისებას, ნაწილი კი იმას, რაც უკვე თქმული იყო თავდაპირველად. არც ესენი დაიყვანებიან ერთიმეორეზე, არც რაღაც ერთზე.

თავი ოცდამეცხრე

„მცდარი“ ერთ შემთხვევაში ეწოდება ყალბ მსჯელობას: ან იმ აზრით, რომ ეს ასე არაა სინამდვილეში, ან რომ სინამდვილე ასეთი არ შეიძლება იყოს. მაგალითად, ორი მსჯელობიდან „დიაგონალი თანაზომიერია“, ანდა „შენ ზიხარ“ პირველი მუდამ შეცდომაა, მეორე კი ხანდახან, ე. ი. მაშინ, როდესაც სინამდვილეში ეს ასე არაა. ზოგჯერ კი შეცდომა ეწოდება არსებულს, რომელიც გვგო-

ნია, რომ სინამდვილეში ასეთი არაა, ანდა საერთოდ, არ არსებობს. მაგალითად, ჩრდილი და სიზმარი, რომლებიც, მართალია, არსებობენ, მაგრამ არა ისე, როგორც გვეჩვენებიან. მცდარი მსჯელობა იწმარება იმ აზრით, რომ ან მისი ობიექტი არ არსებობს, ანდა მისგან შექმნილი წარმოდგენის ობიექტი არ არსებობს. ამრიგად, შემცდარი აზრია ის, რაც ეხება არარსებულს, ამიტომაც ყოველი მცდარი აზრი ეხება სხვა საგანს, ვიდრე ჭეშმარიტი. მაგალითად, ჭეშმარიტი დებულება წრის შესახებ სამკუთხედებისათვის შეცდომაა. აზრი ერთი საგნის შესახებ შესაძლებელია ერთი იყოს, თუ ის საგნის არსებას გამოხატავს. მაგრამ შეიძლება ბევრიც იყოს, რადგან როგორღაც ერთია საგანი და განმცდელი საგანი. მაგალითად, „სოკრატე" და „განათლებული სოკრატე". ხოლო შემცდარი აზრი, საერთოდ, არაფრის აზრი არაა. ამიტომაც სცდებოდა ანტისთენე, რომელიც ფიქრობდა, რომ საგანს საკუთარი სახელების გარდა, რაც ყოველ საგანს ერთი აქვს, სხვა არაფერი არ შეესატყვისება, იქიდან კი გამომდინარეობდა, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს და მაშასადამე არც შეცდომა არსებობს. მაგრამ ყოველი საგანი შეიძლება ვუწოდოთ არა მხოლოდ თავისი სახელით, არამედ სხვისითაც, რაც შეიძლება ხან სრულიად მცდარი, ხან კი ჭეშმარიტი იყოს. მაგალითად, რვა არის
1025a ორმაგი, რადგან ორმაგის ცნება მასაც უდგება. ამრიგად, ზოგჯერ შეცდომას ეს აზრი აქვს.

ცრუ ადამიანი კი ისაა, ვინც ადვილად იჯერებს და ირჩევს ასეთ მსჯელობებს, მაგრამ არა რაიმე სხვა მიზნით, არამედ თვით მათი გულისთვის და ვინც სხვებსაც აჩვევს ასეთ მსჯელობებს.

საგნებს კი „ცრუს" მაშინ ვუწოდებთ, როდესაც ცრუ წარმოდგენებს იწვევენ. ამის გამო მსჯელობა „ჰიპიუსში" იმის შესახებ, რომ ერთი და იგივეა ცრუ და მართალი, მცდარია, რადგან ცრუდ ცხადდება სიცრუის თქმის შემძლე, რომელიც მცოდნე და გონიერია. ამას გარდა, უპირატესობა ეძლევა თავისი ნებით ბოროტს. ეს შეცდომა კი გამომდინარეობს სილოგიზმიდან, რომ განზრახ კოჭლი სჯობს უნებურად კოჭლს. ნაგულისხმევია, რომ კოჭლობა არის მიბაძვა. მაგრამ თავისი ნებით კოჭლი ისევე ცუდია, როგორც ზნეობრივ სფეროში თავისი ნებით ბოროტი.

თავი ოცდაათი

ჭეშმარიტებას ამბობენ ისინი, რომლებიც შემთხვევითს უწოდებენ თვისებას, რომელიც ახასიათებს რაიმეს, მაგრამ არც აუცილებლად და არც უმეტეს შემთხვევაში მაგალითად, თუ ვინმე მცენარის დარგვისას მიწის გათხრის დროს განძს იპოვის, ორმოს მთხრელისათვის განძის პოვნა შემთხვევითია, რადგან ერთი მეორისაგან არც აუცილებლობით გამომდინარეობს, არც მოსდევს მას და არც ხშირად მომხდარა, რომ მცენარის დარგვისას განძი ეპოვნოთ. თუ ვინმე განათლებული ამავე დროს თეთრიცაა, ამას ჩვენ შემთხვევითს ვუწოდებთ, რადგან ეს არც აუცილებელია და არც ხშირი. ასე რომ, შემთხვევითია საგნები ან თვისებები, რომლებიც ახასიათებენ ზოგიერთ საგნებს გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს, მაგრამ არა აუცილებლად არც აუცილებლად ახლა, ან ამ ადგილას. შემთხვევით თვისებას აქვს არა განსაზღვრული, არამედ შემთხვევითი მიზეზი, რომელიც განუსაზღვრელია. მაგალითად, ვინმე ეგინაში შეიძლება შემთხვევით ჩამოვიდეს, ე. ი. არა იმიტომ, რომ მიზნად ჰქონდა დასახული აქ ჩამოსვლა, არამედ იძულებული იყო ან მკაცრი ზამთრით, ანდა ყაჩაღებმა დაატყვევეს. ამრიგად, ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ თვით ფაქტი კი არაა შემთხვევითი, არამედ მისი გამომწვევი მიზეზი. რადგან სიცივეა სახელდობრ იმის მიზეზი, რომ ადამიანი ჩავიდა იქ, სადაც არ სურდა, ეგინაში.

„შემთხვევითს" სხვა მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ის თვისება, რომელიც ახასიათებს საგანს თავისთავად, მაგრამ არ შედის მის არსებაში, როგორც სამკუთხედისათვის ორი სწორი კუთხის ქონება. ეს თვისებები შეიძლება იყვნენ მარადიული, მაგრამ ზემოდასახელებული კი არასოდეს. ამის შესახებ სხვაგან გვაქვს მსჯელობა.

წიგნი მეექვსე

თავი პირველი

1025a საგანთა საწყისებისა და მიზეზების კვლევა ცხადია, წარმოებს იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობენ. როგორც ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე მათემატიკურ მოვლენებსაც რაღაც საწყისები, ელემენტები და მიზეზები აქვთ. საერთოდ, ყოველი ცოდნა ან დაკავშირებულია აზროვნებასთან, ან ეზიარება უზუსტესაა და უმარტივეს აზროვნებას საწყისებისა და მიზეზების შესახებ. ყველა ისინი იფარგლებიან რაღაც არსებულითა და გვარით და მას იკვლევენ, მაგრამ იკვლევენ არა მარტივად არსებულს, როგორც არსებულს, და მის არსებაა, არამედ იმას, რაც მისგან გამომდინარეობს, ამას ისინი ცხადყოფენ ნაწილობრივ შეგრძნებებით, ნაწილობრივ კი ჰიპოთეზის საშუალებით. ასევე ნაწილობრივ ურყევად, ნაწილობრივ კი მერყევად ამტკიცებენ ისინი იმას, რაც გვარს თავისთავად ახასიათებს

აქედან ცხადია, რომ ასეთი გზით არ მტკიცდება არც სუბსტანცია და არც მისი არსება, არამედ მისი გამოკვლევის რაღაც სხვა გზა უნდა არსებობდეს. ასევე არაფერს ამბობენ ისინი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ის გვარი, რომელსაც ისინი იკვლევენ. რადგან ერთი და იგივე მეცნიერება იკვლევს საგნის არსებასაც და არსებობასაც

რადგან ბუნებისმეტყველებაც აღმოჩნდა მეცნიერებად არსებულის იმ გვარის შესახებ, რომელსაც როგორც მოძრაობის, ისე უძრაობის საწყისი თავის თავში აქვს, ამიტომ ცხადია, რომ ის არ უნდა იყოს არც პრაქტიკული, არც შემოქმედებითი მეცნიერება, რადგან შექმნილი საგნების საწყისი შემოქმედშია ან გონების, ან ცოდნის, ან უნარის სახით, ხოლო გაკეთებულ საგნებში გამკეთებელია საწყისი მისი წინასწარი გადაწყვეტილების სახით, რადგან შერჩეული და გაკეთებული ერთი და იგივეა. ასე რომ, თუ ყოველგვარი განსჯა არის ან პრაქტიკული, ან შემოქმედებითი, ან თეორიული, ამიტომ ბუნებისმეტყველება რაღაც თეორიული მეცნიერებაა. მაგრამ ისეთი მოვლენების შესახებ, რომელსაც მოძრაობის უნარი აქვს და უმეტეს შემთხვევაში ცნებებში გამოხატული იმ არსების შესახებ, რომელიც ერთია მრავლისათვის, მაგრამ რომელიც დამოუკიდებელი არაა.

საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა არის არსება და რა არის ცნება. რადგან ამის გარეშე კვლევა უაზროა. განსაზღვრულ არსებათაგან ზოგი ისეთია, როგორც პაჭუა ცხვირი, ზოგი კი, როგორც ცხვირის ჩაზნექილობა. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ პაჭუა ცხვირი მატერიითაა გამოხატული (პაჭუა ცხვირი ხომ იგივე ჩაზნექილი ცხვირია), ცხვირჩაზნექილობა კი შეგრძნებადი მატერიის გარეშეა. თუ ყოველი ბუნებრივი საგანი ისეთია, როგორც პაჭუა ცხვირი, მაგალითად, ცხვირი, თვალი, სახე, სხეული, ჩონჩხი, მთელი ცხოველი, ფოთოლი, ფესვი, ქერქი და მთელი მცენარე, არც ერთი მათგანი არ შეიძლება არსებობდეს მოძრაობის გარეშე, რადგან თვითეულ მათგანს აქვს მატერია, მაშინ ცხადია, თუ როგორ უნდა ვიკვლიოთ და განვსაზღვროთ ბუნებრივი საგნების არსება და რატომ შეადგენს ზოგჯერ ბუნებისმეტყველის შესწავლის საგანს სული, რომელიც არ არსებობს მატერიის გარეშე. აქედან ცხადია, რომ ბუნებისმეტყველება თეორიული მეცნიერებაა მათემატიკაც თეორიული მეცნიერებაა. ის არაა ცხადი, არსებობს თუ არა უძრავი და დამოუკიდებელი მოვლენები, მაგრამ რომ მათემატიკურ მეცნიერებათა ზოგიერთი დარგები განიხილავენ უძრავ და დამოუკიდებელ ობიექტებს, ეს კი ცხადია. თუ არსებობს რაიმე მარადიული და უძრავი მოვლენა, ნათელია, ის თეორიული მეცნიერების კვლევის საგანი იქნება, მაგრამ არა ბუნებისმეტყველებისა, რადგან მისი შესასწავლი ობიექტი მოძრავია, არც მათემატიკისა, არამედ იმისა, რომელიც ორივეს წინ უსწრებს

ბუნებისმეტყველება იკვლევს დამოუკიდებელ, მაგრამ არა უძრავ საგნებს. ზოგიერთი მათემატიკური მეცნიერების ობიექტი უძრავია, მაგრამ არა დამოუკიდებელი და მატერიასთან დაკავშირებული. პირველი მეცნიერება კი ეხება დამოუკიდებელ და უძრავ საგნებს

აუცილებელია ყველა მიზეზი მარადიული იყოს და მით უმეტეს ესენი. რადგან ესენი არიან მიზეზები იმ ღვთაებრივი მოვლენებისა, რომლებიც ჩვენთვის ხილვადი არიან.

ამრიგად, სამი თეორიული მეცნიერება არსებობს: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და თეოლოგია. ცხადია, რომ თუ სადმე

არსებობს ღვთიებრივი ხასიათის მოვლენა, ის ამ უკანასკნელი მეცნიერების ობიექტი იქნება, რადგან ყველაზე საპატიო მეცნიერება ყველაზე საპატიო საგანს უნდა სწავლობდეს. თეორიული ხასიათის დისციპლინებს სხვა დისციპლინებთან შედარებით უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, თეოლოგიას კი სხვა თეორიულ მეცნიერებებთან შედარებით.

გადაუწყვეტელია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ პირველი ფილოსოფია არის ზოგადი მეცნიერება, თუ მას ობიექტად აქვს რომელიმე გვარი ან ბუნება, რადგან მათემატიკურ მეცნიერებებსაც ერთი მეთოდი არა აქვთ, არამედ გეომეტრია და ასტრონომია [illegible] სახის მოვლენებს, ხოლო ზოგადი მეცნიერება კი ყველა მოვლენებს სწავლობს.

თუ ბუნებრივი სუბსტანციის გარდა სხვა სუბსტანცია არ არსებობს, მაშინ ბუნებისმეტყველება პირველი მეცნიერება იქნებოდა. მაგრამ თუ არსებობს რაღაც უძრავი სუბსტანცია, მაშინ ის იქნება პირველი და იარსებებს პირველი ფილოსოფიაც, და ის იქნება პირველი ზოგადობის თვალსაზრისით. მისი საქმე იქნება აგრეთვე არსებულის, როგორც ასეთის, მისი არსების და მისი როგორც [illegible] თვისებების კვლევა.

თავი მეორე

არსებულს, როგორც ასეთს, მრავალი მნიშვნელობა აქვს. მათგან ერთი მნიშვნელობაა შემთხვევითი, მეორე [illegible] ჭეშმარიტი მნიშვნელობით არსებული, როგორც [illegible] გარდა [illegible] არსებობს კატეგორიის ფორმები, მაგალითად, არსება, თვისება, რაოდენობა, [illegible]
10. ა [illegible] ყველაფერი [illegible] შესაძლებლობისა და რეალობის სახით. რადგან არსებულს [illegible] მნიშვნელობით შეიძლება ვილაპარაკოთ, ამიტომ [illegible] რიგში უნდა ვილაპარაკოთ მასზე, როგორც შემთხვევით ნიშანზე, რომლის შესახებ არ არსებობს არავითარი ცოდნა. ამას შემდეგი [illegible] ადასტურებს: მას არ იკვლევს არც ერთი მეცნიერება, [illegible] პრაქტიკული, არც შემოქმედებითი და არც თეორიული. [illegible] ქმნის იმას, რაც სახლთან ერთად შემთხვევით წარმოიშობა, [illegible] უკანასკნელი [illegible] ახლა რომელ [illegible] ზოგი თვის [illegible] ზოგისთვის [illegible] მაგრამ არც ერთი [illegible] არსებობის სხვა [illegible] შემთხვევითი [illegible] ში [illegible].

ასევე არც გეომეტრია განიხილავს ფორმების ასეთსავე შემთხვევით ნიშნებს და არც იმას, სხვადასხვაა თუ არა სამკუთხედი საერთოდ და ის სამკუთხედი, რომლის შინაგან კუთხეთა ჯამი ორ სწორ კუთხედს უდრის, რაც სრულიად კანონიერია, რადგან შემთხვევითი [illegible] არის მხოლოდ რაღაც სიტყვა. ამიტომაც სწორი იყო პლატონი, როდესაც სოფისტიკის ობიექტად [illegible] ყველა [illegible] [illegible] არსებობს [illegible]

[illegible]

თუ როგორია მისი ბუნება და რა მიზეზი იწვევს მას? ნათელი გახდება, თუ რატომ არ არსებობს მეცნიერება მის [illegible]

ამრიგად, არსებობენ საგნები, რომლებიც ყოველთვის ასე არიან, [illegible]

ს. რომელიაც [illegible]

[illegible] მედებითი უნარია, რაც არც არავითარი ხელოვნებაა და არც განსაზ-

ღვრული უნარი. ზოგი კი შემთხვევით არსებობს და შემთხვევით ხდება და მიზეზიც შემთხვევითი აქვს. ამრიგად, რადგან ყველაფერი არაა არც აუცილებელი, არც მუდმივად არსებული და არც მუდმივი წარმოშობის პროცესში მყოფი, არამედ უმეტესად არსებული, ამიტომ აუცილებელია შემთხვევითი არსებობაც. მაგალითად, არც მუდამ და არც უმეტეს შემთხვევაში თეთრი ადამიანი არაა „განათლებული". რამდენადაც ხდება, ამიტომაც ეს კავშირი შემთხვევითია წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე აუცილებელი იქნებოდა.

ამრიგად, შემთხვევითის მიზეზი არის მატერია, რომელსაც შეუძლია იყოს არა მარტო უმეტეს შემთხვევაში, არამედ სხვანაირადაც, [illegible], შემთხვევით. კვლევა კი უნდა დავიწყოთ კითხვიდან იმის შესახებ, რომ მართლაც არაფერი არ არსებობს მუდმივად და უმეტესად არსებულის გარდა, თუ ეს შეუძლებელია და მას გარდა, არის რაღაც, რაც არსებობს ისე, როგორც მოხდება და რაც შემთხვევითია? გარდა ამისა, არსებობს მხოლოდ ის, რაც მეტწილად არსებობს, მარადიული კი არაფერია, თუ არსებობენ აგრეთვე მარადიული მოვლენებიც? ამას ქვემოთ გავარკვევთ.

მაგრამ რომ შემთხვევითის შესახებ არ არსებობს მეცნიერება, ეს ახლავე ცხადია. რადგან ყოველი ცოდნა არის ცოდნა ან მარადიულისა, ან მეტწილად არსებულისა. სხვანაირად როგორ იქნებოდა შესაძლებელი სწავლა ან სწავლება? რადგან განსაზღვრება შეიძლება ან მარადიულის, ან უმეტეს შემთხვევაში არსებულის, როგორც, მაგალითად, კვებ-ცხელებით დაავადებულისათვის უმეტეს შემთხვევაში სასარგებლოა თაფლ-ხაპი. არაა საჭირო დავუმატოთ, რომ ის არ შველის. მაგალითად თვის დასაწყისში ის კი, რაც ხდება თვის დასაწყისში, შეიძლება ხშირად მეორდებოდეს და შეიძლება მეტწილად. შემთხვევითი კი ასეთი არაა.

ამრიგად, აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ რაა შემთხვევითი, რა მიზეზები იწვევენ მას და რომ არ არსებობს მეცნიერება, რომელიც მას შეისწავლიდა.

თავი მესამე

ცხადია, რომ არსებობენ წარმოშობადი და მოსპობადი საწყისები და მიზეზები, გარეშე წარმოშობისა და მოსპობისა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ყველაფერი აუცილებელი იქნებოდა, თუ ყველაფერს, რაც წარმოიშობა და ისპობა, აუცილებლად შემთხვევითი მიზეზი არა აქვს. მოხდება ეს თუ არა? — მოხდება მაშინ, თუ მოხდება მეორე, წინააღმდეგ შემთხვევაში არა. ეს უკანასკნელი კი მოხდება მაშინ, თუ მოხდება მესამე და ამრიგად, ცხადია, რომ თუ დროის განუწყვეტლივ გამოვაკლებთ განსაზღვრულ ნაწილებს, მივადგებით „ახლას". მაგალითად, სახლიდან გასული ადამიანი 1027b
შეიძლება მოკვდეს ან ძალმომრეობის, ან ავადმყოფობის გამო. სახლიდან კი მაშინ გამოვა, როცა მოსწყურდება, მოსწყურდება მაშინ, თუ მოხდება სხვა რამ და ასე მივადგებით ან ახლა არსებულს, ან უკვე მომხდარს, მაგალითად, წყურვილის მომენტს, რაც მოხდება მაშინ, თუ რაიმე ცხარე ჭამა. ესეც შეიძლება მოხდეს და შეიძლება არა. მაშასადამე, შეიძლება ადამიანი მოკვდეს და შეიძლება არა. უკვე მომხდარ ფაქტზე ასე უნდა ვიმსჯელოთ ის ხომ რაიმეში არსებობს. მხედველობაში მაქვს უკვე მომხდარი. მომავალში მოსალოდნელიც აუცილებლობით ხდება. მაგალითად, აუცილებელია ცოცხალი არსებების სიკვდილი, რადგან მათში უკვე არსებობს რაღაც სიცოცხლის საწინააღმდეგო მოვლენა მაგრამ სანამ არ განხორციელდება სიკვდილი, არ ვიცით, მოხდება ეს ავადმყოფობის თუ იძულებით. შედეგად კი ცხადია, რომ რაიმე არსებულს წინ უსწრებს ისეთი საწყისი, რომელსაც სხვა არაფერი არ უსწრებს წინ ის წარმოადგენს ნებისმიერი მოვლენის მიზეზს, თვით მას კი არსებობის სხვა მიზეზი არა აქვს

თავი მეოთხე

შემთხვევითს თავი უნდა დავანებოთ, რადგან ის საკმაოდ განვსაზღვრეთ ხოლო რაც შეეხება ჭეშმარიტად არსებულს და არარსებულს, როგორც სიცრუეს, ისინი არსებობენ სინთეზისა და დაშლის [illegible], ერთად მთელი, წინააღმდეგობის მხარეების დაყოფ[illegible] შედეგად, რადგან ჭეშმარიტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შეერთებულს ვადასტურებთ და უარვყოფთ დაშორებულს, და დაშლილს სიცრუე კი მის საწინააღმდეგოა. სულ სხვა საქმეა, თუ როგორ ხორციელდება აზროვნება „ერთად" თუ „ცალ-ცალკე". გამოთქმებში „ერთად" და „ცალ-ცალკე" დროში თანმიმდევრობას კი არ ვგულისხმობთ, არამედ რაიმე ერთად გახდომას. რაც შეეხება ჭეშმარიტებას და სიცრუეს, ის საგნებში კი არაა იმ აზრით, რომ კარგი ჭეშმარიტი იყოს, ცუდი კი ცრუ, არამედ აზროვნებაში. ხოლო საგანი და მისი არსება აზროვნებაშიც არ არსებობს

თუ როგორ უნდა ვიკვლიოთ ასეთი არსებული და არარსებული, ამას შემდეგ შევეხებით მაგრამ შეკავშირება და დაშორება წარმოებს აზროვნებაში და არა საგნებში. ასე არსებული განსხვავდება რეალურისაგან, რადგან აზროვნება აკავშირებს და აშორებს ან არსებას, ან თვისებას, ან რაოდენობას და სხვა რამეს. შემთხვევითს და ჭეშმარიტად არსებულს კი თავი უნდა დავანებოთ, რადგან პირველის მიზეზი განუსაზღვრელია, მეორისა კი ჩვენი აზროვნების რაღაც მდგომარეობაა ორივე არსებულის სახეებს წარმოადგენენ, მაგრამ არაა ცხადი, თუ არსებულის რომელ ბუნებას განეკუთვნებიან ისინი. ამიტომ ჩვენ ეს საკითხი უნდა მივატოვოთ და გამოვიკვლიოთ არსებულის, როგორც არსებულის მიზეზები და საწყისები.

წიგნი მეშვიდე

თავი პირველი

არსებულს მრავალი მნიშვნელობა აქვს, როგორც აღვნიშნეთ
ადრე, როდესაც ამ მნიშვნელობებს ვიხილავდით. არსებული ნიშ- 1028a
ნავს საგანს, მის არსებას, თვისებას, რაოდენობას და სხვა ამგვარ კატეგორიას. არსებულის ამ მნიშვნელობებიდან ცხადია, რომ პირველი არის არსი, რაც საგანია[1]. რადგან კითხვაზე, როგორია ეს საგანი, ვპასუხობთ, რომ ის კარგია ან ცუდი და არ ვამბობთ, რომ ის არის სამი წყრთის[2] სიგრძის ან ადამიანია. ხოლო როდესაც ამ საგნის არსებას ვსაზღვრავთ, არ ვამბობთ, რომ ის თეთრია ან თბილი, ან სამი წყრთის სიგრძისა, არამედ ვამბობთ, რომ ის ადამიანია, ან ღმერთი ყოველივე სხვა არსებული ეწოდება, ან როგორც არსებულის რაოდენობას, ან თვისებას, ან მდგომარეობას და სხვა ამდაგვარს.

გასარკვევია, თუ არსებულია რომელ სახეს განეკუთვნება სიარული, ჯანმრთელობა, ჯდომა და ყველა სხვა ამდაგვარი. არც ერთი მათგანი არ არსებობს არც თავისთავად და არც სუბსტანციისაგან დამოუკიდებლად, არამედ არსებობს ის, რაც დადის ან ზის, ან ჯანმრთელია. ჯდომა და არსებობა კი მიეკუთვნება საგანს, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მეტად არსებობს და, რომელიც მათი რაღაც განსაზღვრული სუბსტრატია, ესაა სწორედ სუბსტანცია[3] და დამოუკიდებლად არსებული საგანი ეს ცხადი ხდება იმ კატეგორიებიდან, რომელიც მას ეხება, რადგან „კარგი“ და „მჯდომარე“ არ შეიძლება ხმარებულ იქნას მის გარეშე. აქედან ცხადია, რომ თვითეული მათგანი სუბსტანციის საშუალებით არსებობს. ასე რომ, სუბსტანციაა პირველად არსებული, არსებული საერთოდ და არა რამენაირად არსებული[4]

არსებობას მრავალი მნიშვნელობა აქვს მაგალითად, ის ყვე-

ლაზე პირველია როგორც ცნების, ისე შემეცნების და დროის თვალსაზრისით. სხვა კატეგორიათა შორის მის გარდა, არც ერთი არაა დამოუკიდებელი, ის პირველია ცნების მიხედვითაც, რადგა-
1028a ნაც ყოველი ცნება აუცილებლად შეიცავს არსების ცნებასაც ყოველი მოვლენა მაშინ ვიცით კარგად, როდესაც ვიცით მისი არსება, მაგალითად, ადამიანის ან ცეცხლის არსება, ვიდრე მაშინ, როდესაც ვიცით მისი თვისება, რაოდენობა და მდგომარეობა და თვითეული ამათგანიც მაშინ ვიცით კარგად, როდესაც ვიცით, თუ რაა თვით რაოდენობა, ან თვისობრიობა. როგორც უწინ, ახლაც და ყოველთვის საკვლევია და სადავო, თუ რაა არსებული, ე. ი. სუბსტანცია. ზოგი ამბობს, რომ ის ერთია. ზოგი კი ერთზე მეტიაო. პირველთათვის ის განსაზღვრულია, მეორეთათვის კი განუსაზღვრელი. ამიტომაც ჩვენც ასევე, მეტწილად და უპირველესად ყოვლისა, როგორც ვთქვით, მხოლოდ არსებულის არსებას ვიკვლევთ.

თავი მეორე

როგორც ჩანს, ყველაზე უფრო სხეულებრივი სუბსტანციის არსებობაა ნათელი. თუმცა ცხადია, რომ ცხოველებიც, მცენარეებიც და მათი ნაწილებიც სუბსტანციები არიან. ასევე ბუნებრივი სხეულებიც: ცეცხლი, წყალი, მიწა და ყოველი სხვა ამდაგვარი და მათი ნაწილები; აგრეთვე ისიც, რაც მათი ნაწილებისაგან, თუ მთლიანად მათგან წარმოიშვა: ცა და მისი ნაწილები, ვარსკვლავები, მთვარე და მზე. ოღონდ გასარკვევია, მხოლოდ ისინი არიან სუბსტანციები, თუ სხვაც, თუ ზოგიერთი მათგანი და სხვებიც, თუ არც ერთი ამათგანი და ზოგიერთი სხვა. ზოგი ამტკიცებს, რომ სხეულის საზღვრები, მაგალითად, სიბრტყე, ხაზი, წერტილი და ერთი სუბსტანციები არიან და უფრო მეტად, ვიდრე სხეული და სივრცე. გარდა ამისა, ზოგიერთი ფიქრობს, რომ შეგრძნებადის გარდა სხვა არაფერი არ არსებობს. ზოგიერთის აზრით, არსებობს ბევრი რამ, და არსებობს უფრო მეტად, ვიდრე შეგრძნებადი მოვლენები, მაგალითად, მარადიული საგნები.

პლატონი უშვებდა ორი სახის სუბსტანციას: იდეებსა და რიცხვებს, მესამედ კი შეგრძნებად სხეულებსა თვლიდა.

სპევზიპე კი, ერთიდან დაწყებული, უშვებდა მრავალ სუბსტანციას და ყოველი სუბსტანციის საწყისს. სხვა საწყისს იღებდა რიცხვებისათვის, ცალკე სიდიდეებისათვის და შემდეგ, სულისათვის, რითაც აფართოებდა სუბსტანციის ფარგლებს.

ზოგიერთი ამბობს, რომ იდეებსა და რიცხვებს ერთი და იგივე ბუნება აქვთ. მათ შემდეგ არსებობენ ხაზები და სიბრტყეები, ციური და შეგრძნებადი სხეულების ჩათვლით.

კვლევა მოითხოვს თუ რაა აქ სწორი ან არასწორი, ან რა სუბსტანციები არსებობენ, არსებობენ თუ არა შეგრძნებადის გარდა სხვა სუბსტანციები და როგორ არსებობენ ისინი, რომელია დამოუკიდებელი სუბსტანცია, რატომ და როგორ არსებობს ის, თუ არაფერი არ არსებობს შეგრძნებადის გარდა? ყოველივე ეს გამოსარკვევია და პირველ რიგში კი დადგენას მოითხოვს კითხვა იმის შესახებ, თუ რაა სუბსტანციის არსება?

თავი მესამე

სუბსტანციაზე ვლაპარაკობთ თუ მრავალი არა, ოთხი ძირითადი მნიშვნელობით მაინც. სუბსტანციას, როგორც ჩანს, ნიშნავს კონკრეტულ საგანს, ზოგადი, გვარი და მეოთხე, ყველა ამათ სუბ-
სტრატი. სუბსტრატი კი არის ის, რაზედაც ითქმის სხვა, თვითონ 1029a
კი სხვაზე არასოდეს არ ითქმის. ამიტომაც პირველ რიგში ეს უნდა განისაზღვროს, ყველაზე უფრო მეტად სუბსტანცია უნდა იყოს პირველი სუბსტრატი. პირველი მნიშვნელობით სუბსტრატად შეიძლება მიჩნეულ იქნას მატერია, მეორე მნიშვნელობით — ფორმა და მესამით — მათგან წარმოებული[1].

მატერიაში მე ვგულისხმობ, მაგალითად, სპილენძს, ფორმაში იდეას, რომელიც ქანდაკებაშია გამოხატული მათგან კი წარმოსდგება მთლიანი, ამ შემთხვევაში ქანდაკება. მიტომ, თუ ფორმა წინ უსწრებს მატერიას და მასზე უფრო მეტად არსებობს, მაშინ ამავე მსჯელობით ის ორივესაგან წარმოებულზეც ადრე იქნება

ამრიგად, ჩვენ ზოგადად ვთქვით, თუ რას წარმოადგენს სუბსტანცია: რომ ის არ ითქმის სხვა სუბსტრატზე, არამედ სხვა ითქმის მასზე. მაგრამ მხოლოდ ეს მსჯელობა არაა საკმარისი, რადგან საკითხი არ ხდება ნათელი. გარდა ამისა მატერია სუბსტანციად იქცევა. მაგრამ, თუ მატერია სუბსტანცია არაა, გადაუწყვეტელი რჩება, თუ რაა სუბსტანცია. ვართმევთ რა ყოველივე სხვას, არ ჩანს, თუ რა დარჩა სუბსტანციად; ყოველივე სხვა ხომ სხეულის მდგომარეობა, თვისებები და უნარია. რაც შეეხება სიგრძეს, სიბრტყეს და სიღრმეს, ისინი სხეულის რაღაც რაოდენობრივი მხარე არიან და არა სუბსტანცია. სუბსტანცია რაოდენობა არაა, რადგან რასაც რაოდენობა ახასიათებს, როგორც პირველს, ისაა სწორედ სუბსტანცია;

თუ ჩამოვაცილებთ სიგრძეს, სიბრტყეს, სიღრმეს, ვნახავთ, რომ არაფერი აღარ დაგვრჩება, იმის გარდა, რასაც ესენი განსაზღვრავენ. ამ თვალსაზრისით განხილვისას აუცილებლად მხოლოდ მატერია და მოაჩანს სუბსტანციად.

მატერიაში თავისთავად მე ვგულისხმობ არა საგანს, არა რაოდენობას და არც სხვა რაიმეს, რომლითაც არსებული განისაზღვრება, არამედ იმას, რის შესახებაც ითქმის თვითეული ამათგანი და რომელსაც სხვაგვარი არსებობა აქვს, ვიდრე ყველა ამ კატეგორიას. ყოველივე სხვა ითქმის სუბსტანციაზე, სუბსტანცია კი მატერიაზე. ასე რომ, უკანასკნელი თავისთავადი არაა არც კონკრეტული საგანი, არც რაოდენობა და არც სხვა რაიმე, არც ამათი უარყოფა, რადგან ისინიც შემთხვევითნი არიან. ამ მოსაზრებებიდან კი გამომდინარეობს, რომ სუბსტანცია არის მატერია; მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან როგორც ჩანს, დამოუკიდებელი და გარკვეული სახით ყველაზე მეტად სუბსტანცია არსებობს. ამიტომაც ფორმა [illegible] ვიდრე მატერია, ხოლო ორივესაგან წარმოშობილი კი არი[illegible] კრეტული საგანი მხედველობაში მაქვს ფორმიანი და მატ[illegible] წარმოებული საგანი, მაგრამ ამის განხილვა გვერდზე უნდა ავდოთ, რადგან ის მათ შემდეგაა, და ნათელიცაა. ასე თუ ისე ნათელია მატერიაც. საკვლევია მესამე, რაც ყველაზე მეტად რთულია.

საყოველთაო აღიარებით სუბსტანციები რაღაც შეგრძნებადნი არიან. ასე რომ, სუბსტანციები, უპირველესად ყოვლისა, მათ შორის არიან საძიებელნი.

1029b მიზანშეწონილია კვლევა მოემართებოდეს უფრო მეტად ცნობილისაკენ. რადგან ცოდნა ყველასთვის ასე ვიღებთ: ბუნებრივად ნაკლებ ცნობილიდან მეტად ცნობილისაკენ მსვლელობით. მაგრამ როგორც პრაქტიკაში ძნელი საქმეა იმისაგან, რაც ერთისათვის არის სიკეთე, იმის მიღება, რაც საერთო და საყოველთაო სიკეთეა, ასევე ძნელია ერთისათვის ცნობილიდან ბუნებრივად ცნობილისა და ყველასათვის ცნობილისკენ ძიების წარმართვა. მაგრამ ხშირად თვითონ ისაა ნაკლებად გასაგები, ან უმნიშვნელო, ანდა სრულიად არაარსებული, რაც გასაგებია ინდივიდუმისათვის და რაც გასაგებია პირველ რიგში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ მეთოდით, რომელზეც უკვე გვქონდა ნათქვამი, უნდა ვცადოთ თავისთავად ნაკლებად ცნობილიდან საყოველთაოდ ცნობილზე გადასვლა.

რადგანაც დასაწყისში განვასხვავეთ, თუ რამდენი მნიშვნელობა აქვს სუბსტანციას და ამათგან ერთ-ერთი საგნის არსება აღმოჩნდა[1], ამიტომ ახლა ამის განხილვას უნდა შევუდგეთ.

უპირველესად ყოვლისა, მის შესახებ ზოგი რამ შეიძლება ვთქვათ ლოგიკური გზით. მაგალითად, რომ თვითეული საგნის არსება არის ის, რასაც ეს საგანი თავისთავად წარმოადგენს. მაგალითად, შენი არსება არაა ის, რომ შენ განათლებული ხარ. თუმცა ეს თვისება შენია, მაგრამ შენ თავისთავად განათლებული არა ხარ. მაგრამ არც ესაა ყველაფერი. ასევე არც თეთრია სიბრტყის არსება, რადგან სიბრტყედ ყოფნა თეთრად ყოფნას არ ნიშნავს. არსება არაა არც ის, რაც ორივესაგან არის შემდგარი, სიბრტყისა და თეთრი ფერისაგან, სადაც დამატებით არის მოცემული თვითონ საგანი. მხოლოდ ის განსაზღვრება იქნება საგნის არსება, რომელშიაც არ იქნება მოცემული საგანი, მაგრამ საგანზე კი იქნება თქმული, მაგალითად, თუ თეთრი ზედაპირის არსება იგივეა, რაც გლუვი ზედაპირისა, მაშინ სიგლუვის და სითეთრის არსება ერთი და იგივე ყოფილა. რთული შედგენილობის საგნებს სხვა კატეგორიებიც უდგებათ. რადგან თვითეულ კატეგორიას, როგორც რაოდენობას, ისე დროს, ადგილსა და მოძრაობას აქვს რაღაც სუბსტრატი, ამიტომ საკვლევია, აქვს თუ არა თვითეულ მათგანს არსების ცნება, როგორც „თეთრ ადამიანს“, და რას ნიშნავს „თეთრ ადამიანად“ ყოფნა? სიტყვა ხომ საგნის სამოსია. რას ნიშნავს „სამოსის არსება“, მაგრამ არც ისაა თავისთავადი.

„არათავისთავადი“ ორი მნიშვნელობით ითქმის: ერთი მათგანი შეკავშირების შედეგია, მეორე კი არა. ერთი ცნების მეორესთან დაკავშირება კი განსაზღვრებაა. მაგალითად, ვინც თეთრის არსებას საზღვრავს, ის ადგენს თეთრი ადამიანის ცნებას. მეორე შემთხვევაში კი იგივეს სხვა ემატება. მაგალითად, როდესაც „ტანსაცმელი“ „თეთრს“ ემატება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ტანისამოსს განსაზღვრავს როგორც თეთრს. რა თქმა უნდა, „თეთრი ადამიანი“ „თეთრია“, მაგრამ მისი არსება „თეთრად ყოფნა“ არაა. ტანსაცმე- 1030a
ლის არსება კონკრეტულს ნიშნავს, თუ ზოგადს? როდესაც ერთი მეორის შესახებ ითქმის პირველი არსება აღარ იქნება, მაგალითად, „თეთრი ადამიანი“ არაა კონკრეტული საგანი, რადგან კონკრეტული არსებობა მხოლოდ სუბსტანციებს აქვთ. ასე რომ, არსება იმ საგნებს აქვთ, რომელთა ცნება განსაზღვრებაა, ხოლო განსაზღვრება ყველგან კი არა გვაქვს, სადაც სიტყვას ცნებასთან იგივეობრივი

შინაარსი აქვს, რადგან მაშინ ყველა ცნება განსაზღვრება იქნებოდა. სიტყვა რომ ნებისმიერ ცნებას გადმოსცემდეს, მაშინ „ილიადაც“ განსაზღვრება იქნებოდა. განსაზღვრება გვაქვს იქ, სადაც სიტყვა რაღაც პირველადს გადმოსცემს. პირველადი კი ისინი არიან, რომლებიც ერთიმეორეზე არ ითქმიან. ამრიგად, არსება სხვა არა არის რა, თუ არა სახეთა გვარი, რომელიც, როგორც ჩანს, არც თავის თანამოზიარეს შესახებ ითქმის და არც თვისებაა და არც შემთხვევითი ნიშანი. რა თქმა უნდა, შინაარსი აქვს ყველა სიტყვას, რომელიც რამე კონკრეტულ საგანს აღნიშნავს და რაც უფრო მარტივია ცნება, მით უფრო ზუსტია ის[2], მაგრამ ის რაც განსაზღვრება იქნება და არც არსება. ან არადა განსაზღვრებას ისევე, როგორც არსებას, მრავალი მნიშვნელობა ექნება. მართლაცდა, არსება ერთ შემთხვევაში ნიშნავს სუბსტანციას და კონკრეტულ საგანს, სხვა შემთხვევაში კი — ყოველგვარ კატეგორიას: რაოდენობას, თვისებას და სხვა ამდაგვარს. ისევე, როგორც არსებობა ყოველივეს ახასიათებს, თუმცა არაერთნაირად, არამედ ზოგს, როგორც პირველადი, და ზოგს კი, როგორც — წარმოებული. ასევე „რაიმედ ყოფნა“ ზოგჯერ მარტივ სუბსტანციას გამოხატავს, ზოგჯერ კი როგორღაც სხვა მოვლენასაც. მაგალითად, შესაძლებელია, თვისობრიობის არსების კვლევაც, როგორც თვით თვისობრიობისა, მაგრამ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ისე, როგორც ზოგიერთი ლოგიკური გზით ამტკიცებს არსებულის, როგორც არარსებულის არსებობას, ასევე თვისობრიობის არსებობის შემთხვევაშიც.

საჭიროა იმის გარკვევაც, თუ როგორ უნდა ვიმსჯელოთ არსებობის სხვა სახეებზე[3], მაგრამ არა უფრო მეტად, ვიდრე მდგომარეობაზე. ამრიგად, ამჟამად ზემოთქმულის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ არსება, უპირველესად ყოვლისა, და პირდაპირი მნიშვნელობით სუბსტანციას ახასიათებს, შემდეგ აგრეთვე სხვებსაც, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ გადატანით, როგორც არსება თვისებისა და რაოდენობისა. ყოველივე ესენი კი უნდა იყვნენ ან ჰომონიმები[4], ან თვისების მიმატების და დაკლების შედეგი[5] როგორც შეუცნობელიც შეცნობადია, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ მათ არც ჰომონიმებს ვუწოდებთ და არც რამეს ამდაგვარს, არამედ ისე,
1030b როგორც მედიცინაში ყოველივე ერთსა და იმავე მიზნისაკენაა მიმართული, თუმცა არც იგივეობრივია მასთან და არც ჰომონიმია. მაგალითად, განსაკურნავი სხეული, მედიცინა და საექიმო იარაღები არც ჰომონიმები არიან და არც ერთი და იგივე, არამედ ერთსა და იმავესადმი არიან მიმართული და არავითარი მნიშვნელობა არა

აქვს იმას, თუ რას დავარქმევთ მას. ის კი ცხადია, რომ პირველი და მარტივი განსაზღვრება და არსებობა სუბსტანციებს აქვთ. მაგრამ ასეთივე განსაზღვრება შეიძლება სხვასაც ჰქონდეს, თუმცა არაპირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ არაა აუცილებელი, რომ თუ არსს დავადგენთ, ცნება, რომელიც მას გამოხატავს, მისივე განსაზღვრება იყოს, არამედ მას ნებისმიერი შინაარსი შეიძლება ჰქონდეს. ეს კი შეიძლება მაშინ, თუ სიტყვა გამოხატავს რაღაც ერთს, მაგრამ არა უწყვეტელობის გამო, როგორც „ილიადა“, ან გროვა, არამედ იმავე მნიშვნელობით, რაც ერთს გააჩნია. ერთზე კი ლაპარაკობენ ისე, როგორც არსებულზე. არსებული კი ხან საგანს ნიშნავს, ხან რაოდენობას, ხან თვისებას. მაშასადამე, „თეთრი ადამიანი“ ცნებაც იქნება და განსაზღვრებაც, ე. ი. ის არის როგორც „თეთრის“, ისე საგნის განსაზღვრება

თავი მეხუთე

სიძნელეს ისიც ჰქმნის, რომ ზოგიერთი განსაზღვრებას არ თვლის ცნებათა შეკავშირების შედეგად. მაშინ როგორი უნდა ყოფილიყო არა მარტივი, არამედ რთული ცნების განსაზღვრება, რომელიც აუცილებლად ცნებათა მიმატებით ხდება ცხადი. მე ვგულისხმობ, მაგალითად, ცხვირსა და ჩაზნექილობას ცხვირზე, აგრეთვე ცხვირის პაჭუობას, რაც ორი ცნების შეკავშირების ანუ ერთის მეორეში არსებობის შედეგია არც ჩაზნექილობა და არც პაჭუობა არ არიან ცხვირის შემთხვევითი თვისება, არამედ ისინი ახასიათებენ ცხვირს თავისთავად, არა იმ აზრით, როგორც თეთრია ადამიანიცა და კალიასიც, ე. ი. რომ ადამიანს შემთხვევით ახასიათებს თეთრ კალიასად ყოფნა, არამედ ისე, როგორც მამაკაცი არის ცხოველი და თანასწორი არის რიცხვი. ასეთივეა ყოველივე სხვაც, რაც თავისთავად არსებობს. ესენი კი არიან ცნება, ან სახელი იმ საგნებისა, რომელთა თვისებასაც ისინი გამოხატავენ და რომლებიც ცალკე გაუგებარი იქნებოდნენ. მაგალითად, თეთრი შეიძლება არსებობდეს ადამიანის გარეშეც, მაგრამ ქალი ცხოველის გარეშე წარმოუდგენელია. ასე რომ, ამათ ან არავითარი არსება და განსაზღვრება არა აქვთ, ან თუ აქვთ, სულ სხვანაირი, ვიდრე ის, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკებთ.

ამ საკითხს სხვა სიძნელეც ახლავს თან, რადგან თუ პაჭუა და ჩაზნექილი ცხვირი ერთი და იგივეა, მაშინ ერთი და იგივე იქნება პაჭუობა და ჩაზნექილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში,

რატომ უნდა იყოს შეუძლებელი ვილაპარაკოთ პაჭუობაზე, გარეშე
იმ საგნისა, რომლის თვისებასაც ის წარმოადგენს. პაჭუობა ხომ ცხვი-
რის ჩაზნექილობაა. ამიტომაც „პაჭუობის“ თქმა ცხვირზე ან
შეუძლებელი უნდა იყოს, ანდა ერთი და იგივე ორჯერ უნდა
ითქვას: „ცხვირი“, „პაჭუა ცხვირი“, რადგან ცხვირია, როგორც პა-
ჭუა ცხვირი, ისე ჩაზნექილი ცხვირი. ამიტომ უაზრობაა ასეთი მოვ-
ლენების არსებაზე ლაპარაკი, თუ არა და მოგვიხდებოდა დაუსრუ-
ლებლად ყველა. რადგან ცხვირისათვის უნდა დაგვემატებინა, რო-
1031a გორც პაჭუა, ისე კიდევ სხვა რაღაც. აქედან ცხადია, რომ გან-
საზღვრება მხოლოდ არსებასა აქვს მაგრამ თუ განსაზღვრება აქვთ
სხვა კატეგორიებსაც, ის აუცილებლად ცნების დამატებით მიიღება.
მაგალითად, თვისობრიობის ან სიკენტის განსაზღვრება. ეს უკა-
ნასკნელი კი არ არსებობს რიცხვის გარეშე, როგორც ცხოველი
ქალის გარეშე. ცნების მიმატება კი გულისხმობს ერთი და იგივეს
ორჯერ თქმას, როგორც ამ შემთხვევაში. თუ ეს ჭეშმარიტია, მაშინ
არც შეკავშირებულ ცნებებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრებები, რო-
გორც „კენტ რიცხვს“. მაგრამ აქ შეუმჩნეველი დარჩა ის, რომ
ცნებები ზუსტად არ არის ნახმარი. თუ ამათი განსაზღვრებებიც
არსებობენ, მაშინ ისინი ან სხვა გზით არიან მიღებული, ან როგორც
ითქვა, განსაზღვრებასა და არსებას მრავალი მნიშვნელობა აქვს

ამრიგად, ზოგიერთ შემთხვევაში არაფერი არა აქვს განსაზღვ-
რება და არსება, გარდა სუბსტანციისა, ზოგჯერ კი სხვებსაც
აქვთ ის.

ამრიგად, ცხადია, რომ განსაზღვრება არის არსების ცნება და
ან მხოლოდ სუბსტანციაა აქვს, ანდა მას აქვს, უპირველესად ყოვ-
ლისა, ან უმეტესად, ან პირდაპირი მნიშვნელობით.

თავი მეექვსე

კვლევა-ძიებას მოითხოვს აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ
საგანი და მისი არსება ერთი და იგივეა, თუ სხვადასხვა, რაც
ხელს შეუწყობს სუბსტანციის კვლევასაც, რადგან ცალკე აღებული
საგანი, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს განსხვავებული თავისი არსე-
ბისაგან, რაც იგივე სუბსტანციაა. მაგრამ შემთხვევითი თვისებები
და მათი არსება კი სხვადასხვა უნდა იყოს. მაგალითად, „თეთრი
ადამიანი“ და თეთრი ადამიანის არსება სხვადასხვაა. თუ ეს ერთი
და იგივეა, მაშინ ერთი და იგივე იქნებოდა „ადამიანის“ და „თეთრი

ადამიანის“ არსება, რადგან ერთი და იგივე ყოფილა „ადამიანი“ და
„თეთრი ადამიანი“, როგორცა ვთქვით. ასე რომ, ერთი და იგივე
იქნება „თეთრ ადამიანად“ და „ადამიანად“ ყოფნა. ანდა არაა აუცი-
ლებელი, რომ შემთხვევითი თვისებები და არსება ერთი და იგივე
იყოს, რადგან კიდური წევრები იგივეობრივი არ არიან, ანდა
ეს, ე. ი. კიდური წევრების იგივეობა შესაძლებელია შემთხვევით.
მაგალითად, „თეთრისა“ და „განათებულისა“, მაგრამ როგორც ჩანს,
ეს სინამდვილეში ასე არ უნდა იყოს[1].

თავისთავად საგნებში კი იგივეობა[2] აუცილებელია, როგორც
მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ რაღაც სუბსტანციები,
რომელთა გარდა, სხვა სუბსტანციები, ან ბუნებით უპირატესნი
არ არსებობენ, როგორც ზოგიერთი ამბობს იდეის შესახებ მაგ-
რამ თუ სხვადასხვაა სიკეთე და მისი არსება, ცხოველი და მისი არსე-
ბა, არსებული და მისი არსება, მაშინ იარსებებდნენ სხვა სუბსტან-
ციები, ბუნებები და იდეები რომლებიც უფრო პირველადნი იქნე- 1031b
ბოდნენ, ვიდრე ზემოთქმულნი თუ საგნის არსება სუბსტანციაა და
ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებულნი არიან, მაშინ ერთითა შე-
მეცნება შეუძლებელი იქნება, მეორენი კი არ იარსებებენ (დამოუ-
კიდებლობაში კი მე იმას ვგულისხმობ, რომ არც თავისთავად სიკე-
თეა არსება კეთილი საგნისა და არც ეს საგანია იგივეობრივი
„კეთილად ყოფნასთან“)[3], რადგან თვითეული საგანი მაშინ ვიცით,
როდესაც ვიცით მისი არსება ასევეა როგორც სიკეთის, ისე სხვა
შემთხვევებშიაც. ასე რომ, თუ სიკეთის არსება არაა სიკეთე, მაშინ
არც არსებულის არსება ყოფილა არსებული და არც ერთისა ერთი.
ასევე ყოველივე სხვაც არსებაა, ანდა არცერთი მათგანი. ასე რომ,
თუ არსებულის არსება არაა სუბსტანცია, მაშინ არც სხვათა
არსება იქნება ასეთი. გარდა ამისა, რასაც სიკეთის არსება არ ახა-
სიათებს, ის არც სიკეთეა. აუცილებელი კია, რომ სიკეთე და სიკე-
თის არსება ერთი იყოს, მშვენიერება და მშვენიერების არსებაც
ერთი, საერთოდ, ყველა ისინი, რომლებიც სხვაზე არ ითქმიან, არა-
მედ თავისთავადნი და პირველადნი არიან. არსებობენ თუ არა
იდეები, საგანთა არსებობა სრულიად საკმარისია, უფრო მეტადაც
კი, ვიდრე იდეისა[4]. ამავე დროს ნათელია, რომ თუ იდეები ისეთია,
როგორც ზოგი ამტკიცებს, მაშინ საგანი სუბსტანცია არ იქნებოდა,
მაგრამ ეს სუბსტანციები აუცილებლად უნდა არსებობდნენ, თუმ-
ცა არა როგორც სუბსტრატის, არამედ როგორც ზიარების შედეგნი.

ამ მსჯელობიდან კი გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივეა
კონკრეტული საგანი და მისი არსება[5] და ამავე დროს არა შემთხვე-
ვით. აგრეთვე ის, რომ თვითეული საგნის შემეცნება ნიშნავს ამ საგ-

ნის არსების შემეცნებასაც. ასე რომ, ამ ორი მხარის იგივეობა აუცილებელია აბსტრაქციის გზითაც. ხოლო შემთხვევითად [illegible] „განათლებულისა" და „თეთრის" შესახებ, რომლებსაც ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ისინი და საგნის არსება ერთი და იგივეა. ის, რის შემთხვევითი თვისებაა თეთრი და თეთრი, ზოგჯერ ერთი და იგივეა, ზოგჯერ კი არა. მაგალითად „ადამიანის" და „თეთრი ადამიანის" არსება ერთი და იგივე არაა, თუმცა თვისობრივად ეს ერთი და იგივეა

უაზრობა იქნებოდა აგრეთვე, რომ ვინმეს ყოველი არსებისათვის ცალკე სახელი მიეცა. რადგან მაშინ კონკრეტული საგნის გარდა, იარსებებდა სხვა რაღაც. მაგალითად, ცხენის არსებობისათვის საჭირო იქნებოდა სხვა ცხენის არსებობა. მაგრამ რა გვიშლის ხელს, რომ ამჟამადაც კი დავუშვათ არსებათა დამოუკიდებელი არსებობა, თუ არსება სუბსტანციაა, მაგრამ როგორც ზემოთქმულიდანაც ჩანს, მხოლოდ [illegible] სუბსტანცია კი არაა ერთი,
2a არამედ მათ ცნებაც ერთი აქვთ[6]. რადგან შემთხვევით არაა ერთი და იგივე ერთი და ერთის არსება. გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა რომ ყოფილიყვნენ, ეს უსასრულობაში წაგვიყვანდა[7], რადგან ამ შემთხვევაში ერთის არსება სხვადასხვა იქნებოდა, ასე რომ ამის შესახებ იგივე უნდა გავიმეოროთ.

რომ პირველადი და თავისთავად არსებული საგნები და მათი არსებები ერთი და იგივეა, ცხადია. ამ დებულების წინააღმდეგ მიმართული სოფისტური ფანდები იმავე მეთოდით შეიძლება იქნას ახსნილი, როგორც კითხვა იმის შესახებ, რომ ერთი და იგივეა, თუ არა „სოკრატე" და „სოკრატეს არსება" და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ არის კითხვა დასმული, ან პასუხი გაცემული

ამრიგად, თუ როგორაა არსება და საგანი ერთი და იგივე და როგორ არა, ამის შესახებ უკვე ვთქვით

თავი მეშვიდე

იმათგან, რაც წარმოიშვება, ნაწილი წარმოიშვება ბუნებრივად, ნაწილი ხელოვნურად, ნაწილი კი თავისთავად[1]. მაგრამ ყველა ისინი რაიმეს ზემოქმედებით რაიმესაგან წარმოიშვებიან და რაიმედ იქცევიან. „რაიმე" ყველა კატეგორიაში იხმარება, როგორც არსების, ისე თვისების, რაოდენობისა და ადგილის კატეგორიაში. ბუნებრივ წარმოშობას კი ვუწოდებთ, როცა რაიმე ბუნებრივად წარმოიშობა. ის, რისგანაც ხდება წარმოშობა, მატერიაა, რის საშუ-

ალებითაც — ბუნებრივი საგნებია და რაც წარმოიშვება არის ან ადამიანი ან მცენარე, ან სხვა რაიმე ამგვარი ყველაფერ იმას, რასაც ჩვეულებრივ უფრო მეტად ვთვლით სუბსტანციად, იქნება ის ბუნებრივად თუ ხელოვნურად წარმოშობილი, მატერია აქვს. მაგრამ თვითეული მათგანი შეიძლება არსებობდეს და არც არსებობდეს. ამის მიზეზი კი არის თვითეულ მათგანში არსებული მატერია. საერთოდ, საიდანაც და რის მიხედვითაც წარმოიშვებიან საგნები, ბუნებაა, რადგან ყოველ წარმოშობილს ბუნება აქვს, მაგალითად, მცენარეს, ცხოველს. რის ზემოქმედებითაც ხდება წარმოშობა, ისიც ბუნებაა, რაც სახით იგივეა, რაც წარმოშობილი. მაგალითად, ადამიანი ბადებს ადამიანს.

ასე ხდება ბუნებრივი წარმოშობა. სხვაგვარად წარმოშობა შემოქმედებაა. ყველა შემოქმედი კი ან ხელოვნების შედეგია, [illegible] ამათგან ზოგი შეიძლება წარმოშობილი იყოს თავისთავად, ზოგი კი შემთხვევით, დაახლოებით ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ბუნებრივ საგნებში. აქაც ზოგი [illegible] რომ
იმავე [illegible] შესახებ ჩვენ შემდეგ ვიმსჯელებთ 1032b
ხელოვნებიდან კი [illegible] წარმოიშვება ის, რომელთა ფორმა სულშია. [illegible] მე ვუწოდებ [illegible] საგნის არსებას და პირველ სუბსტანციას. [illegible] მოვლენებსაც კი რომ გარკვეულ ერთი და იგივე ფორმა აქვთ [illegible] არსება უპირისპირდება [illegible] როგორც ჯანმრთელობა ავადმყოფობას. რადგან [illegible] ავადმყოფობაა, ხოლო ჯანმრთელობა არის ექიმის სულში არსებული ცნება და ცოდნა.

ჯანმრთელობის ცნება შემდეგ [illegible] წარმოიქმნება. თუ ჯანმრთელობა არის ეს, მის მისაღწევად კი საჭიროა [illegible] მაშინ საჭიროა [illegible] ექიმი [illegible] დაწ[illegible] ადამიანის [illegible] წარმოიშვება [illegible] ჯანმრთელობისაგან ჯანმრთელობა, [illegible] ჯანმრთე[illegible] ფორმა. მშენებლობა კი სახლისა [illegible] კი მე არსებას ვუწოდებ.

წარმოშობის და მოძრაობის პროცესთაგან ნაწილს აზროვნება ეწოდება, ნაწილს — შემოქმედება. აზროვნება წარმოიშვება საწყისისა და ფორმისაგან, შემოქმედება კი აზროვნების დასასრულს იწყება. ასევე წარმოიშვება მათ შორის მყოფი თვითეული მოვლე-

ნაც მე ვგულისხმობ იმას, რომ როდესაც ვინმე გამოჯანმრთელება სურს, მან უნდა დაიცვას ზომიერება³ მაგრამ რას ნიშნავს ზომიერების დაცვა? ამას და ამას [illegible] კი მაშინ განხორციელდება, როდესაც განხორციელდება გათბობა. ეს რაღაა? ესაა ეს და ეს, ის შესაძლებლობაშია მოცემული და თვით ადამიანზეა დამოკიდებული. მედიკინით გამოწვეული გამოჯანმრთელების შემოქმედი და მისკენ მიმართული მოძრაობის საწყისი არის სულში არსებული ფორმა. მაგრამ თუ გაჯანმრთელება ხორციელდება თავისთავად, საწყისი იქ იქნება, საიდანაც იწყებს მოქმედებას ის, ვინც მედიკინით [illegible] ისევე, როგორც მკურნალობის საწყისი გათბობაა. რასაც დაზელვა იწვევს სხეულში არსებული სითბო [illegible] ჯანმრთელობის ნაწილი, ან მას შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის ნაწილი, უშუალოდ ან მრავალი შუალედი საფეხურების გავლით [illegible] ჯანმრთელობის [illegible] ნაწილია, როგორც სახლისათვის ქვები და სხვა საგნებისათვის სხვა ნაწილები. [illegible] რომ, როგორც ვთქვით, შეუძლებელია რაიმე წარმოიშვას, [illegible] რომ წინასწარ რაიმე არ [illegible] არსებობდეს [illegible] ყველა შემთხვევაში [illegible] რომ რაღაც ნაწილი წინასწარ არსებობს აუცილებელია; ეს ცხადია, მაგა-
1033a ლითად მატერიის ნაწილი, რომელიც არსებობს საგნებში და გარდაიქმნება ამ საგნად.

[illegible] ცნებაშიც. ჩვენ ორგვარად ამას ვამბობთ, რომ [illegible] [illegible] [illegible] სპილენძის ბირთვი [illegible] [illegible].

[illegible] როგორც მატერიისაგან [illegible] წარმოიშობა, ზოგიერთს კი არ ვასახელებთ, არამედ ვასახელებთ წარმოებულ სახელით მაგალითად, ქანდაკებას ვუწოდებთ არა „ქვას", არამედ „ქვისას", ხოლო გამოჯანმრთელებულ ადამიანზე არ ითქმის ის, საიდანაც ის გამოჯანმრთელდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჯანმრთელობა წარმოიშობა რაღაც თვისების დაკარგვისა და სუბსტრატისაგან, რომელსაც მატერიას ვუწოდებთ მაგალითად, ჯანმრთელი შეიძლება იყოს როგორც საერთოდ ადამიანი, ისე ავადმყოფი მაგრამ ჩვენ ვამბობთ რომ ჯანმრთელობა უფრო მეტად მიიღება ნაკლისაგან, [illegible] ავადმყოფობისაგან, ვიდრე ადამიანისაგან. ამიტომაც „ავადმყოფი" ჯანმრთელს კი არ ეწოდება, არამედ ადამიანს, რომელზეც [illegible] მაგრამ იქ, სადაც არ ჩანს ნაკლი ან [illegible] როგორც მაგალითად სპილენძში [illegible] ფორმა ანდა [illegible] [illegible] სათიქრებელია. რომ ამ თვან

ისევე ხდება წარმოშობა, როგორც იქ ავადმყოფისაგან ჯანმრთელისა. ამიტომაც როგორც იქ არაა დასახელებული, რისგან არის ჯანმრთელი წარმოშობილი, აქ ეწოდება ქანდაკება „ხე", არამედ „ხისა", ასევე „სპილენძის ქანდაკება" და არა „სპილენძი", „ქვისა" და არა „ქვა" და სახლზეც ვამბობთ „შენებული აგურისაგან" და არა „აგური" და „ქვები" მართლაც, თუ კარგად დავუკვირდებით, არ შეიძლება მარტივად ვთქვათ, „სახლი აგურისაგან წარმოიშვა" და „ქანდაკება ხისგან", რადგან ის, რისგანაც წარმოშობა ხდება, იცვლება და იგივე არ რჩება, ამიტომაც საჭიროა ასე მსჯელობა.

თავი მერვე

წარმოშობადი წარმოიშობა რაიმეს ზემოქმედებით (ამაში მე წარმოშობის საწყისს ვგულისხმობ), რაიმესაგან (ეს კი არის არა ნაკლი, არამედ მატერია, ხოლო თუ რას ვგულისხმობთ ამაში, ეს უკვე განვსაზღვრეთ) იქცევა რაიმედ (ეს კი არის ან ბირთვი, ან წრე, ან სხვა ნებისმიერი მოვლენა). სუბსტრატი ისევე არ ქმნის სპილენძს, როგორც ბირთვს¹ და შემთხვევითია ის, რომ სფერო, რაღაც სუბსტრატი აკეთებს. სპილენძისაგან რაიმე გარკვეული საგნის კეთება ნიშნავს ზოგადი სუბსტრატისაგან ამ საგნის კეთებას. მე იმას ვამბობ რომ სპილენძის დამრგვალება ნიშნავს არა წრის, ან სფეროს კეთებას, არამედ რაღაც სხვას, სახელდობრ, ერთი ფორმის მეორედ ქცევას. რადგან თუ ვაკეთებთ რაიმეს, ვაკეთებთ რაღაც სხვისაგან. რომელიც მისი სუბსტრატია მაგალითად, სპილენძის 1033b
ბირთვს ვაკეთებთ იმისაგან, რაც სპილენძია და ვაკეთებთ იმას, რაც სფეროა მაგრამ თუ ვაკეთებთ სფეროსაც ცხადია, იმასაც ასევე ვაკეთებთ, მაშინ კეთების პროცესი დაუსრულებელი იქნება. ცხადია, რომ ფორმა, რომელსაც სხვანაირად შეიძლება ვუწოდოთ შეგრძნებებში მოცემული გამოსახულება არ წარმოიშობა საერთოდ მისი ქმნადობა არ შეიძლება და არც კონკრეტული საგანია. ეს უკანასკნელი წარმოიშობა სხვაში ან ხელოვნურად, ან ბუნებრივად, ან რაღაც ძალით. სპილენძის სფერო კი კეთდება ის კეთდება სპილენძისა და ბირთვისაგან. მატერიას ვძლევთ ფორმას და ვიღებთ სპილენძის სფეროს. თუ სფეროს არსებაც წარმოიშობა, ისიც რაიმესაგან უნდა წარმოიშვას.

მაშასადამე, საჭიროა, რომ წარმოშობადი ყოველთვის დაყოფადი იყოს სახელდობრ, ერთი მხრივ, უნდა გვქონდეს ეს, მეორე მხრივ, კი ის. პირველში ვგულისხმობ მატერიას, მეორეში ფორმას. თუ სფერო არის ცენტრიდან თანაბრად დაცილებული

ფორმა უნდა ვუწოდოთ [illegible] რაც [illegible] იქმნება. [illegible] მასში არსებობს და წარმოშობილი მთელი, ე. ი. სპილენძის სფერო. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ არსებად გაგებული ფორმა არ წარმოიშობა, ხოლო მათგან შემდგარი მთელი კი წარმოიშობა, და ყოველ წარმოქმნილში მოცემულია მატერია, [illegible] ერთი საგანია, მეორე კი მეორე[2].

არსებობს თუ არა რომელიმე სფერო [illegible] აგურების გარეშე? [illegible] მაშინ არავითარი კონკრეტული [illegible]. არამედ [illegible] მხოლოდ ფორმა, რომელიც კონკრეტული კი არაა. [illegible] აწარმოებს და ბადებს რაიმესაგან რაიმეს. წარმოშობილი კი არის ფორმის მქონე კონკრეტული საგანი, რომელიც შეიძლება კალიასი ან სოკრატე იყოს, ან რომელიმე კონკრეტული „სპილენძის სფერო", ან „ადამიანი" და „ცხოველი", როგორც „სპილენძის სფერო". საერთოდ ამრიგად, ცხადია, რომ იდეა მიზეზები, როგორც ზოგიერთნი უწოდებენ იდეებს, თუ კონკრეტული საგნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, არ გამოდგებიან წარმოშობისა და არსებობისათვის. ამიტომაც საგანთა არსებები თავისთავად[4] არ უნდა არსებობდნენ ზოგჯერ [illegible] ნათელია, რომ წარმომშობი ისეთივეა, როგორც წარმოშობილი, თუმცა მასთან ერთია არა რიცხობრივად, არამედ სახეობრივად. მაგალითად, ბუნებრივ საგნებში ადამიანი ადამიანს ბადებს, თუ რაიმე არაბუნებრივი არ მოხდა, როცა ცხენი ბადებს ჯორს. თუმცა ესეც იმათ მსგავსად ხდება:
ის, რაც საერთოა ცხენს და ვირს შორის, რომლის დასახელე-
1034a ბა ძნელია, არის უახლესი გვარი, მასში ორივე მხარე თანაბრადაა
მოცემული, და სწორედ ესაა ჯორცხენა.

ამრიგად, არაა საჭირო არავითარი იდეის, როგორც ნიმუშის, დადგენა. ის უფრო მეტად მათში უნდა ვეძიოთ[5], რადგან იდეები უფრო მეტად საგანთა არსებები არიან. მიზეზად კი საკმარისია მატერიაში არსებული წარმომშობი ფორმა. მთელი საგანი, რომ ეს არის გარკვეული ფორმა, მოცემული გარკვეულ სხეულსა და ძვლებში, მაგალითად კალიასი და სოკრატე, რომლებიც განსხვავდებიან მატერიით, ფორმით ერთი და იგივე არიან, რადგან ფორმა განუყოფელია.

თავი მეცხრე

გადასაწყვეტია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ ზოგი საგანი რატომ წარმოიშვება როგორც ხელოვნურად, ისე თავისთავად, მაგალითად, ჯანმრთელობა, ზოგი კი არა, მაგალითად, სახლი. ამის მიზეზი ისაა, რომ იქ, სადაც მატერია იწყებს წარმოქმნის პროცესს მაშინ, როდესაც ხელოვნური მოქმედებაა და წარმოშობა უკვე აქვს ადგილი და სადაც უკვე მოცემულია საგნის რაღაც ნაწილი, იქ მატერია მოძრაობს როგორც თავისთავად, ისე არა. მას ხან შეუძლია გარკვეული მოძრაობის წარმოება და ხან არა. მრავალ საგანს შეუძლია თვითონ იმოძრაოს, თუმცა არანებისმიერი ფორმით, როგორიცაა მაგალითად, ცეკვა. ის საგნებს რომლებსაც ისეთივე მატერია აქვთ, როგორიც ქვებს, არ შეუძლიათ სხვაგვარად იმოძრაონ, თუ არა სხვების ზეგავლენით. ასევეა ცეცხლიც. ამიტომ ზოგიერთ საგანს არ შეუძლია არსებობა ხელოვნური ზემოქმედების გარეშე, ზოგს კი შეუძლია. მათ ამოძრავებენ ისინი, რომლებსაც არ გააჩნიათ ხელოვნება, ანდა მათი ნაწილების ზემოქმედებით.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ყველაფერი როგორღაც წარმოსდგება იმავე სახელწოდების მქონე საგნებიდან, როგორც ეს ხდება ბუნებაში, ან მათი ნაწილებიდან, მაგალითად სახლი წარმოსდგება სახლიდან, გონების ზემოქმედების შედეგად, აქ ხელოვნება იგივე ფორმაა, ან წარმოსდგება სახლის ნაწილისაგან, ან იმისაგან, რაც შეიცავს ნაწილს, თუ არ ხდება შემთხვევითი წარმოშობა, რადგან შემოქმედების პირველი მიზეზი წარმომშობადი საგნისავე ნაწილია. მაგალითად, მოძრაობით წარმოქმნილმა სითბომ წარმოშვა სხეულში არსებული სითბო, ეს კი არის ან ჯანმრთელობა, ან მისი ნაწილი, ანდა მას მოსდევს შედეგად ჯანმრთელობის რაიმე ნაწილი, ან თვით ჯანმრთელობა. ამიტომაც ამბობენ, რომ ჯანმრთელობას წარმოშობს ის, რასაც შედეგად მოსდევს, ან ახასიათებს სითბო.

ამრიგად, როგორც სილოგიზმებში, ისე ყველგან საწყისი არის
არსება. არსება იქ სილოგიზმის საფუძველია, აქ კი წარმოშობისა. 1034b
ასევეა ბუნებრივ საგნებში. აქ თესლი ისე მოქმედებს, როგორც ხელოვნურ საგნებში. მას ფორმა შესაძლებლობაში აქვს და იმასაც, რისგანაც თესლია, როგორღაც იგივე სახელი აქვს, რაც თესლს, რადგან არაა საჭირო ყველგან ისეთი დამოკიდებულება ვეძიოთ, როგორც ადამიანის ადამიანისაგან და ქალის კაცისაგან წარმოშობა [illegible] შემთხვევაში. თითქოს არანორმალური წარმოშობა არ ხდებოდეს. რომ დარღვევაც ხდება, ამიტომაა, რომ ჯორცხენა ჯორცხენას ვერ ბადებს.

თავისით წარმოშობილი ისევე წარმოიშობა, როგორც ის საგნები, რომელთა შემადგენელ მატერიას შეუძლია თავისით იმოძრაოს ისეთივე მოძრაობით, როგორც თესლი მოძრაობს, ხოლო სადაც ეს

ასე არაა, იმათ არ შეუძლიათ სხვაგვარად წარმოშვან. თუ სხვისგან.

ჩვენი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფორმა არ წარმოიშობა, ეხება არა მხოლოდ სუბსტანციას, არამედ ყველა პირველად [illegible] [illegible], როგორიცაა რაოდენობა თვისობრიობა და [illegible] [illegible] წარმოიშობა სპილენძის ბირთვი და არა ბირთვი [illegible] [illegible] ისევე სპილენძის წარმოშობის შემთხვევაში. რადგან აქაც [illegible] [illegible] ფორმა და მატერია წინდაწინ არსებობ[illegible] [illegible] არსებით. თვისები, რაოდენობის და სხვა კატეგორი-ებშიც რადგან თვისება კი არ წარმოიშობა, არამედ გარკვეულ-თვისების მქონე [illegible] არამედ გარკვეული სიდიდის ხე ან ცხოველი [illegible] შეიძლება არსების თავისებურებაც გავიგოთ, რომლისთვისაც [illegible] სხვა სუბსტანციის, წარმოშობი [illegible] წინასწარი არსებობა. მაგალითად, თუ ცხოველი წარმოიშობა, ცხოველი უნდა არსებობდეს წინასწარ, ხოლო რაოდენობა და თვისობრიობა რეალურად კი არ უნდა არსე-ბობდნენ, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაში

თავი მეათე

რადგან ცნება განსაზღვრებაა, ხოლო ყოველ ცნებას კი ნაწილები აქვს, ამიტომ როგორ მიმართებაშიცაა ცნება საგანთან, ისეთსავე მიმართებაშია ცნების ნაწილი საგნის ნაწილთან. გა-სარკვევია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ მთელის ცნება შეიცავს თუ არა ნაწილთა ცნებას? როგორც ჩანს, ზოგან შეიცავს, ზოგან კი არა. მაგალითად, წრის ცნება არ შეიცავს ნაწილთა ცნებას, მარცვლისა კი [illegible] იმისა, რომ წრე ისევე იყოფა ნაწილებად, როგორც მარცვალი — ელემენტებად.

გარდა ამისა, თუ ნაწილები წინ უსწრებენ მთელს და მახ-ვილი კუთხე სწორი კუთხის ნაწილია ისევე, როგორც თითი ცხო-ველისა, მაშინ მახვილი კუთხე სწორ კუთხეზე ადრე იქნება, თი-თი — ადამიანზე. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთელი უსწრებს წინ ნა-წილებს, რადგან ნაწილებს ცნება მთელისაგან აქვთ და დროში პირველი ისაა, რაც სხვებისაგან დამოუკიდებელია.

„ნაწილზე" მრავალი აზრით შეიძლება ლაპარაკი, რომელთაგან ერთ-ერთი მისი მნიშვნელობაა რაოდენობის საზომი. მაგრამ ამას ჯერ თავი უნდა დავანებოთ და ვიკვლიოთ ის, თუ რა ნაწილებისაგან შედგება არსება. თუ ეს ნაწილებია ფორმა, მატერია და მათგან წარ-

მოშობილი რაღაც, არსება კი არის მატერიაც, ფორმაც და ორივესა- 1035a
გან წარმომდგარი რაღაც, მაშინ მატერია, ერთი მხრივ, რაღაცის ნა-წილი იქნება, მეორე მხრივ, კი არა, არამედ მხოლოდ ის, რისგანაც წარმოდგება ფორმის ცნება. როგორც, მაგალითად, სხეული არაა ცხვირჩაზნექილობის ნაწილი, არამედ სხეული თვითონაა მატერია, რაშიც ჩაღრმავება არსებობს, მაგრამ პაჭუობის ნაწილი კი არის, ასევე სპილენძი მთელი ქანდაკების ნაწილია და არა ქანდაკების ფორმისა. ყოველი საგანი, რამდენადაც მას ფორმა აქვს, შეიძლება ამ ფორმით იქნას დასახელებული, მატერიით კი არასოდეს[1] ამი-ტომაც წრის ცნებაში არ შედის ნაწილთა ცნება, ხოლო მარცვალი კი შეიცავს თავისი ელემენტების ცნებას. რადგან ცნების ნაწილები ფორმის ნაწილებია და არა მატერიისა. წრის ნაწილები კი მატე-რიალური ნაწილებია, რომლისაგანაც წრე შედგება. მიუხედავად ამისა, ისინი უფრო უახლოვდებიან ფორმას, ვიდრე სპილენძი, რომელსაც ამრგვალებენ, მაგრამ ზოგჯერ მარცვლის ყველა ნაწი-ლები არ შედის მარცვლის ცნებაში, მაგალითად, ცვილზე ამოჭ-რილი ან ჰაერში წარმოთქმული. გარდა ამისა, ისინი მარცვლის ისეთივე ნაწილები არიან, როგორიცაა შეგრძნებადი მატერია. ხაზი შუა შუა დაყოფით ისპობა ისევე, როგორც ადამიანი ჩონ-ჩხად, ძარღვებად და კუნთებად დაყოფით. ამიტომაც ისინი მის-გან ისე შედგებიან, თითქოს მისი არსების და არა მატერიის ნაწილები ყოფილიყვნენ. მაგრამ ისინი არიან მთელი საგნის ნაწი-ლები და არა ფორმისა და ცნებისა. ამიტომაც ისინი არ შედიან ამ საგნების ცნების შემადგენლობაში. თუმცა ზოგიერთი ცნება შეიცავს ამგვარი ნაწილების ცნებას, ზოგი კი არა, იმ შემთხვევა-ში თუ ცნება შედგენილი არაა[2]. ამიტომაც ზოგიერთი საგნები შედგებიან მათგან, როგორც საწყისებიდან, რომლებადაც იშლე-ბიან საგნები, ზოგნი კი არა. ისინი, რომლებიც შედგებიან ფორმისა და მატერიისაგან, როგორც პაჭუა ცხვირი და სპილენძის ბირთვი, ისინი იშლებიან ამ ნაწილებად და მატერიაც მათი ნაწილია. ხოლო ის მოვლენები, რომლებიც არ შეიცავენ მატერიას, არამედ უმატე-რიონი არიან და რომელთა ცნება მხოლოდ ფორმას გამოხატავს, ისინი ან სრულებით არ ისპობიან, ანდა ისპობიან, მაგრამ არა ასე. ამრიგად, მათ ისეთი საწყისები და ნაწილები აქვთ, რომლებიც არც ფორმის ნაწილებია და არც ფორმის საწყისები. ამიტომაც თიხის ქანდაკება თიხად იშლება, სფერო სპილენძად, კალიასი — ხორ-ცად და ძვლებად, წრე — თავის ნაწილებად, რომელნიც მატერი-
ასთან არიან დაკავშირებული. როგორც ზოგადი წრე, ისე კონკრე- 1035b
ტული წრეები ერთი სახელით აღინიშნება, რადგან თვითეულ მათგანს ცალკე სახელი არ აქვს.

ყოველივე ზემოთქმული სწორია, მაგრამ უფრო ნათელი გახდება ხელმეორედ გადმოცემისას. ცნების ნაწილები, რაზედაც იშლება ცნება, ან ყველა, ან ზოგი წინ უსწრებს ცნებას. სწორი კუთხის ცნება კი არ დაიყვანება მახვილი კუთხის ცნებაზე, პირიქით, მახვილი კუთხის ცნება — სწორზე. ვინაიდან მახვილი კუთხე სწორზე მცირეა, ამიტომ მახვილი კუთხის განსაზღვრებაში ვიყენებთ სწორი კუთხის ცნებას. ასევე წრესა და ნახევარწრეში ნახევარწრეს საზღვრავს მთელი წრე და თითს — მთელი სხეული, რადგან თითი ადამიანის გარკვეული ნაწილია. ამრიგად, მატერიალური ნაწილები, ანუ ის, რაზედაც როგორც მატერიაზე, დაიშლება საგანი, მოსდევს მთელის ცნებას, ხოლო ცნების ნაწილები და ცნებით გამოხატული არსების ნაწილები, ან ყველა, ან ზოგი, ცნებაზე ადრე არსებობენ. რადგან ცხოველთა სული, რაც სულიერთა არსებაა, არის ცნებაში გამოხატული სუბსტანცია, გარკვეული სხეულის ფორმა და არსება (ყოველი ნაწილი, თუ ის კარგად განისაზღვრა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მოქმედების გარეშე, ეს უკანასკნელი კი არ არსებობს შეგრძნების გარეშე), ამიტომ მისი ყველა ან ზოგიერთი ნაწილი წინ უსწრებს მთელ ცხოველს. ასევეა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. სხეული და მისი ნაწილები კი ამ არსებას მოსდევს და დაიშლება მასზე, როგორც მატერიაზე, მაგრამ იშლება არა არსება არამედ მთელი საგანი[3]. ეს ნაწილები კი ხან უსწრებენ მთელს, ხან კი არა და არც მთელისაგან დამოუკიდებელი არსებობა შეუძლიათ. მაგალითად, თითს, რომელიც მთელ ცხოველთან არის დაკავშირებული, მკვდრებში მხოლოდ თითის სახელი აქვს. ზოგი ნაწილები კი უმთავრეს ნაწილებთან ერთად არსებობენ. ეს ის ნაწილებია, რომლებშიაც მოცემულია ცნება და არსება, მაგალითად, გული და თავის ტვინი. ამავე დროს მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომელი იქნება, ადამიანი, ცხენი თუ სხვა რაიმე. ზოგადი კი არაა სუბსტანცია, არამედ მთელი შემდგარი ამა და ამ ფორმისა და ამა და ამ მატერიისაგან, როგორც ზოგადისაგან. ყოველი კონკრეტული მოვლენა კი, მაგალითად, სოკრატე, არის უკანასკნელი მატერიის თვალსაზრისით. ასევეა ყველა სხვა შემთხვევებში.

ნაწილები აქვს ფორმასაც. ფორმაში კი მე ვგულისხმობ არსებას და მთელსაც, რომელიც შედგება ფორმისა და მატერიისაგან
და თვით მატერიასაც. მაგრამ ცნების ნაწილები მხოლოდ ფორმის
ნაწილებია. ცნება კი ზოგადია. წრის არსება და წრე, სულის არსება
1036a და სული ერთი და იგივეა, რაც შეეხება მთელს, მაგალითად, კონკრეტულ წრეს, იქნება ის შეგრძნებადი, თუ გააზრებადი (გააზრე-

ბადში მე ვგულისხმობ მათემატიკურ მოვლენებს, შეგრძნებადში კი სპილენძისას ან ხისას), განსაზღვრება არა აქვს, არამედ შეიცნობა აზროვნებით, ან შეგრძნებით, მაგრამ დაცილებულნი რეალობას, გაურკვეველია, იარსებებენ კვლავ, თუ აღარ, რადგან ისინი ყოველთვის გამოითქმიან და შეიცნობიან ზოგადი ცნებით. მატერია[4] თავისთავად კი შეუცნობელია. მატერია ან შეგრძნებადია, ან აზრით მისაწვდომი. შეგრძნებადია, მაგალითად, სპილენძი ან ხე და საერთოდ, მოძრავი მატერია, ხოლო აზროვნებით მისაწვდომია შეგრძნებად საგნებში არსებული, მაგრამ არა შეგრძნებადი, როგორიცაა მათემატიკური მოვლენები. ამრიგად, თუ რა მდგომარეობაა მთელსა და ნაწილებში, წინამორბედსა და მომდევნოში, უკვე ითქვა.

ხოლო კითხვაზე, თუ რაა წინ, სწორი კუთხე, წრე, ცხოველი, თუ ის ნაწილები, რაზედაც ისინი იშლებიან და რისგანაც შედგებიან, აუცილებელია ვუპასუხოთ, რომ ამის დადგენა ადვილი არაა. მაგრამ თუ სული არის ცხოველი, ან სულიერი არსება, და საგანი კი იგივეა, რაც მისი არსება, მაგალითად, წრე და წრის არსება, სწორი კუთხე და სწორი კუთხის არსება, მაშინ რა რის შემდეგაა? ცნებაში გამოხატული კუთხე მოსდევს კონკრეტულ კუთხეს. ესაა როგორც მატერიალური, სპილენძის კუთხე, ისე დახაზული რომელიმე კონკრეტული კუთხე, ხოლო უმატერიო სწორი კუთხე მოსდევს ცნებაში გამოხატული კუთხის ნაწილებს და უსწრებს კონკრეტული კუთხის ნაწილებს. მაგრამ ამის მარტივად გადმოცემა შეუძლებელია თუ სული იგივე არაა, რაც ცხოველი, აქაც თანმიმდევრობის საკითხი ასეც შეიძლება გადაიჭრას და ისეც, როგორც ვთქვით.

თავი მეთერთმეტე

გასარკვევია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია ფორმის ნაწილები და რომელი მთელისა,[1] რადგან სანამ ეს კითხვა ნათელი არაა, არ შეიძლება კონკრეტული საგნების განსაზღვრებაც. განსაზღვრება კი აქვს ზოგადსა და ფორმებს. მანამ, სანამ ნათელი არაა, თუ რომელია მატერიის ნაწილები და რომელი არა, მანამ არც საგნის ცნებაა ნათელი. ცხადია, არსება იმ მოვლენებისა, რომლებიც სხვადასხვა სახის მატერიაში არსებობენ, როგორც
წრე სპილენძში, ქვაში ან ხეში, არასოდეს არაა არც სპილენძი, არც
ქვა, რადგან შორდებიან მას[2]. არაფერი არ უშლის ხელს, რომ ანა-
ლოგიური მდგომარეობა იყოს იქაც, სადაც მატერია არ სცილდება 1036b
ფორმას, მაგალითად, ყველა წრე რომ სპილენძისა ყოფილიყო,

სპილენძი მაინც არასოდეს არ იქნებოდა არსება. თუმცა აზროვნებიათვის ძნელი იქნებოდა მისი დაშორება მატერიისაგან, მაგალითად, ადამიანის ფორმა ყოველთვის ხორცში, ძვლებში და სხვა ამგვარ ნაწილებში ვლინდება, ამიტომ სულ ერთია, იქნებიან ისინი ფორმისა და ცნების ნაწილები, თუ მატერიისა. ამ ფორმას არ შეუძლია სხვა მატერიაში წარმოშობა იმის გამო, რომ ის ამ მატერიას ვერ სცილდება. რადგან ეს შეუძლებელია, მაგრამ არაა ცხადი, როდის, ამიტომ ზოგიერთს[3] შეუსაბამობად მიაჩნია წრისა და სამკუთხედის ხაზებითა და უწყვეტელობით განსაზღვრა. და რომ ამიტომ ყოველივე ამაზე და ამდაგვარზე ისევე უნდა გვემსჯელა, როგორც ადამიანის სხეულსა და ძვლებზე და ქანდაკებაში სპილენძსა და ქვაზე დაჰყავდათ რა ყოველივე რიცხვებზე, ხაზია ცნებად ორიანს თვლიდნენ იდეების მომხრეთაგან ზოგნი უშვებდნენ ხაზს თავისთავად, როგორც ორს, ზოგი კი — ხაზის იდეას ზოგის აზრით, კი იდეა და ის, რის იდეაც ის არის, ერთი და იგივეაო. მაგალითად, ორიანი და მისი იდეა მაგრამ ხაზების მიმართ ამას უარყოფდნენ აქედან გამომდინარეობდა, რომ ერთი იყო იდეა ბევრისა, რომელთაგან ის განსხვავდებოდა, რაც შედეგად მიიღეს პითაგორელებმაც და გამოდიოდა, რომ იდეა ყოველივეს ერთად აქცევდა. თუმცა თვით იდეა სხვა არ ხდებოდა, მაგრამ ყოველივე კი ერთად იქცეოდა.

ამრიგად, უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ განსაზღვრებების საკითხში რა დაბრკოლებებია და რა მიზეზითაა ეს გამოწვეული. ამიტომ უსარგებლოა ყოველივეს ამაზე[4] დაყვანა და მატერიის ჩამოცილება. რადგან ზოგი ამ მატერიაში ასეთია და იმ მატერიაში ისეთი. შედარება ცხოველთან, რომელსაც უმცროსი სოკრატე მიმართავდა, სწორი[5] არაა, რადგან გვაშორებს ჭეშმარიტებას და გვაკეთებინებს დასკვნას, თითქოს შესაძლებელი იყოს ადამიანის არსებობა ნაწილების გარეშე, როგორც სფეროსი სპილენძის გარეშე. მათი ერთმანეთთან შედარება კი არაა სწორი, რადგან ცხოველი რაღაც შეგრძნებადია და მისი განსაზღვრება მოძრაობისა და მაშასადამე, გარკვეული ნაწილების გარეშე, შეუძლებელია მაგალითად, ადამიანის ნაწილია არა ზოგადად ხელი, არამედ ის ხელი, რომელსაც მოქმედების შესრულება შეუძლია და ამრიგად, ცოცხალია. მკვდარი ხელი არც ნაწილია.

მათემატიკურ ობიექტებზე კი უნდა ითქვას, თუ რატომ არ არიან აქ ცნებები ცნებათა ნაწილები, როგორც ნახევარი წრე წრის ნაწილია იქნებ იმიტომ, რომ ისინი შეგრძნებადნი არ არიან თუ ამას მნიშვნელობა არა აქვს? რადგან მატერია აქვთ ზოგიერთ არაგრძნო-
1037a ბად საგნებსაც და ყოველივე ის მატერიაა, რაც არაა არსება და

ფორმა თავისთავად, არამედ რაიმე კონკრეტული საგანი. მაგალითად, ზოგად წრეს კი არა აქვს ნაწილები, არამედ კონკრეტულ წრეებს, როგორც ზემოთაცა ვთქვით, რადგან მატერია ხან შეგრძნებადია, ხან კი გააზრებადი.

ცხადია ისიც, რომ სული არის პირველი სუბსტანცია, სხეული მატერიაა, ადამიანი ანუ ცხოველი კი — ორივესაგან შემდგარი მთელი. სოკრატე და კორისკოსი კი, თუ სოკრატეს სულიც სოკრატეა, ორი მნიშვნელობის მატარებელია (ერთ შემთხვევაში იგულისხმება სული, მეორეში — მთელი), თუ ნაგულისხმევია მარტივად ეს კონკრეტული სული და ეს კონკრეტული სხეული, როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ შემთხვევაში? არსებობს თუ არა მატერიის გარდა სხვა რაღაც ასეთი სუბსტანცია და საჭიროა თუ არა ძიება რაღაც სხვა სუბსტანციისა, როგორიცაა რიცხვი, ანდა სხვა ამდაგვარი[6], ამას შემდეგ შევეხებით. ამ მიზნით ვცდილობთ აგრეთვე დავადგინოთ შეგრძნებადი საგნების არსებები. შეგრძნებადი სუბსტანციების კვლევა არის როგორღაც ბუნებისმეტყველებისა და მეორე ფილოსოფიის საქმე. რადგან ბუნებისმეტყველმა არა მარტო მატერია უნდა შეისწავლოს, არამედ ცნებაც, ეს უკანასკნელი უფრო მეტადაც კი.

რაც შეეხება განსაზღვრებებს, თუ როგორაა მისი ნაწილები მთელის ნაწილები და თუ რატომ არის განსაზღვრება ერთი მთელი (ის კი ცხადია, რომ აქ ერთი საგანია, მაგრამ როგორღაა ერთი საგანი ის, რომელსაც ნაწილები აქვს), ამას შემდეგ გავარკვევთ.

თუ რა არის არსება და როგორ არის ის დამოუკიდებელი, ყოველივე ამაზე ზოგადად უკვე ითქვა, აგრეთვე იმაზე, რატომ ხდება, რომ ზოგი არსების ნაწილი შედის განსასაზღვრავ ცნებაში, როგორც ნაწილი, ზოგი კი არა. ეს იმიტომ, რომ სუბსტანციის ცნებაში არაა მოცემული მატერიის ნაწილები. ესენი კი არიან არა არსების ნაწილები, არამედ მთელისა, რომელსაც ხან აქვს ცნება, ხან კი არა. იმას, რაც მატერიასთანაა დაკავშირებული, განსაზღვრება არა აქვს ის განუსაზღვრელია, მაგრამ როგორც დაკავშირებულს პირველ არსებასთან, აქვს. მაგალითად, ადამიანის ცნება არის სულის ცნება არსება ხომ ეს არის სხვა რამეში არსებული ფორმა, რომლისგან მატერიასთან კავშირში მიიღება მთელი ანუ ე. წ. სუბსტანცია. როგორც მაგალითად, ჩაღრმავება. ამ უკანასკნელისგან და ცხვირისაგან წარმოსდგება პაჭუა ცხვირი და მაშასადამე პაჭუობაც ამ შემთხვევაში ცხვირი ორჯერ არის ნახმარი, ხოლო მთლიან სუბსტანციებში, მაგალითად, პაჭუა ცხვირში, ანდა კალიასში, მოცემულია მატერიაც. არსება და კონკრეტული საგანი ზოგჯერ ერთი

და იგივეა, როგორც პირველად სუბსტანციებში, მაგალითად, გა-
1037b ლუნულობა და გალუნულობის არსება (თუ აქ პირველად არსებასთან გვაქვს საქმე). პირველად არსებებში მე ვგულიახმობ იმას, რაც ახვის შესახებ არ ითქმის და არც ახვაში არსებობს, როგორც სუბატანციაში, და არა იმას, რომელიც არსებობს, როგორც მატერია ან მატერიასთან კავშირში, და რაც ერთი და იგივე არაა, შემთხვევითაც კი, როგორც მაგალითად, „სოკრატე“ და „განათლებული“, რომელნიც შემთხვევით არიან იგივეობრივნი

თავი მეთორმეტე

ამჟამად კი, უპირველესად ყოვლისა, უნდა შევეხოთ საკითხს განსაზღვრების შესახებ, რაზეც ანალიტიკებში არაფერი არ იყო თქმული; ხოლო ის საკითხი, რომელიც იქ იყო განხილული, გამოდგება სუბსტანციებზე მსჯელობებისასაც. მე ვგულისხმობ კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ არის ერთი ის, რომლის ცნებაზე ვამბობთ, განსაზღვრებააო. მაგალითად, ადამიანზე ვამბობთ, რომ ის ორფეხა ცხოველია — ეს ხომ მისი ცნებაა, ამიტომაა ის ერთი და არა მრავალი: „ცხოველი“ და „ორფეხი“. მაგრამ როდესაც ვამბობთ „ადამიანი“ და „თეთრი“, მაშინ კი ბევრი ცნება გვაქვს, რადგან ერთი ნიშანი მეორეში არ არსებობს. ერთი გვექნებოდა მაშინ, თუ ერთი ნიშანი იარსებებდა მეორეში და სუბსტრატს რაიმე განცდა ექნებოდა, მაგალითად, „ადამიანს“, მაშინ მივიღებდით ერთ ცნებას „თეთრი ადამიანისა“. ზემომოტანილ შემთხვევაში ერთი მეორეს არ ეზიარება. გვარი, როგორც ჩანს, არ ეზიარება სახესხვაობებს, რადგან მაშინ ერთი და იგივე ერთსა და იმავე დროს აწინააღმდეგო მოვლენებს ეზიარებოდა. სახესხვაობანი კი ის წინააღმდეგობებია, რაზედაც იშლება გვარი მაგრამ თუ გვარი ეზიარება მათ და სახესხვაობები ბევრია, მაგალითად, „ხმელეთზე მცხოვრები“, „ორფეხი“, „უფრთო“ და სხვა, მაშინ რატომღა არის ყველაფერი ეს ერთი და არა მრავალი? ყოველ შემთხვევაში, არა იმიტომ რომ მათი გვარი მიეწერებათ, რადგან ამ შემთხვევაში ყველაფერი ერთი გახდებოდა აქ ისეთი ერთიანობა უნდა იყოს, როგორც განსაზღვრებაში, რადგან განსაზღვრება რაღაც ერთი აზრია, რომელიც ერთ არსებას გამოხატავს. ასე რომ, რადგან არსება ნიშნავს ერთ კონკრეტულ საგანს, ამიტომ ცნებაც ერთი უნდა ჰქონდეს, როგორცა ვთქვით

უპირველესად ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ განსაზღვრებების დაყოფის აკითხი. განსაზღვრებაში, რაც ზემოთ უკვე ვთქვით, სხვა

არა არის რა მოცემული, გარდა გვარისა, და სახესხვაობისა. ყოველივე ახვას კი ვიღებთ პირველი გვარის დაკავშირებით სახესხვაობებთან. მაგალითად, პირველი გვარია „ცხოველი“, ამას მოსდევს „ორფეხა ცხოველი“ და შემდეგ კი „ორფეხა უფრთო ცხოველი“. ასევეა მრავალი აახესხვაობების არსებობის შემთხვევაში. აერთოდ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იქნება მსჯელობა ბევრ, თუ მცირე სახესხვაობებზე, თუ მცირესა და ორზე. ამ ორიდან პირველი გვარია, მეორე კი სახესხვაობა. მაგალითად, ცნებაში „ორფეხა 1038a
ცხოველი“, „ცხოველი“ გვარია, „ორფეხა“ კი სახეა. გვარი სახეთაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, და თუ არსებობს, არაებობა როგორც მატერია (მაგალითად, ბგერა არის როგორც გვარი, იაე მატერია განახვავებას კი ჰქმნის მისი სახეები და ელემენტები), მაშინ ცხადია, რომ განსაზღვრება სახესხვაობებიდან მიღებული აზრი იქნება აჰიროა გამოვყოთ სახესხვაობებიაა ახესხვაობებიც. მაგალითად, „ცხოველის“ სახესხვაობა იქნება „ფეხების მქონე“. შემდეგ, — „ფეხების მქონე ცხოველისათვის“ განსხვავებას უნდა ჰქმნიდეს „ფეხების ქონების“ სხვადასხვა სახე. ასე რომ, არ შეიძლება ითქვას, რომ „ფეხოსანი“ ერთ შემთხვევაში „ფრთოაანია“, მეორე შემთხვევაში კი „არაფრთოსანი“. მაგრამ თუ სწორად ვიმსჯელებ (ეს შეცდომა სისუსტის ნიშანია), მაშინ „თითებდაუყოფელს“ გამოვყოფთ „თითებდაყოფილისაგან“, რადგან ესენი ფეხების სახესხვაობები არიან, და „დაყოფილთითებიანი“ „ფეხიანობის“ რაღაც სახეა. ასე შეიძლება მსვლელობა იქამდე, სანამ არ მივაღწევთ დაუყოფელს, და მაშინ ფეხთა იმდენი სახეობა იქნება, რამდენიც სახესხვაობაა. და ფეხიანი ცხოველების სახეთა რიცხვი გაუტოლდება ფეხთა ახვაობას. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ უკანასკნელი განსხვავება იქნება საგნის არსება და განსაზღვრება, თუ განაზღვრებებში ერთი და იგივე ხშირად არ უნდა გავიმეოროთ. ეს ხომ ფუჭი შრომა იქნებოდა. მაგრამ ეს მაინც ხდება ხოლმე, რადგან, როდესაც ვამბობთ „ორფეხა ცხოველი“, ახვას არას ვამბობთ თუ არა „ფეხოაან ცხოველს“ და „ორი ფეხია მქონეა“. თუ ამასაც ჩვეულებრივად დავყოფთ, მაშინ მოგვიხდებოდა ერთი და იგივეს მრავალჯერ თქმა, იმდენჯერ, რამდენიც სახესხვაობაა. თუ სახესხვაობა არსებობს, მაშინ უკანასკნელი სახე და არსება ერთი იქნებოდა. მაგრამ თუ დაყოფა წარმოებს შემთხვევითი ნიშნების მიხედვით, მაგალითად, თუ გავყოფდით „ფეხოსანს“ „თეთრსა“ და „შავზე“, მაშინ იმდენი სხვაობა იქნება, რამდენი დანაყოფიცაა. ამრიგად, ცხადია, რომ განსაზღვრებაც სახესხვაობებისაგან წარმომდგარი აზრია, სახელდობრ, უკანასკნელი სახესხვაობებისა-

1049a შესაძლებლობაში და როდის არა. რადგან ის ყოველთვის არ არსებობს. მაგალითად, მიწა არის თუ არა ადამიანი შესაძლებლობაში, თუ მაშინ არის ასეთი, როდესაც თესლი წარმოიშობა? და მაშინაც ყოველთვის არა. როგორც ყოველივე ჯანმრთელდება არა მედიცინით ან შემთხვევით, არამედ გამოჯანმრთელების უნარით და ესაა სწორედ ჯანმრთელი შესაძლებლობაში. განსაზღვრება იმისა, რაც აზროვნების მეშვეობით შესაძლებლობიდან სინამდვილედ იქცევა, მაშინ გვაქვს, როდესაც ეს ვინმეს სურს და არც გარედან უშლის ხელს არაფერი. ხოლო „ჯანმრთელდება“ მაშინ ვამბობთ, როდესაც თვით ობიექტში არაფერი არ უშლის ამას ხელს. ასევე სახლი შესაძლებლობაში მაშინ არსებობს, თუ არც თვით მასში და არც მატერიაში არაფერი არ უშლის ხელს სახლის წარმოშობას და არც რაიმეს დამატება ან გამოკლება, ან შეცვლა არაა საჭირო ამისათვის[1] ასევეა სხვა შემთხვევებშიც, როგორც იქ, რომლებსაც წარმოშობის საწყისი გარეთა აქვთ, ისე იქ, რომლებსაც ის თავის თავში აქვთ[2], და რომლებსაც გარედან ხელს არაფერი არ უშლის, რომ თავის თავიდან წარმოიშვნენ. მაგალითად, თესლი ჯერ მცენარის შესაძლებლობა არაა, რადგან ის ამისთვის სხვაგან უნდა მოხვდეს და შეიცვალოს. როდესაც ის მასში არსებული საწყისით ასეთი გახდება, ის უკვე შესაძლებლობაშია. პირველს კი სხვა საწყისი სჭირდება. როგორც მიწა არაა ქანდაკება შესაძლებლობაში, არამედ გარდაქმნილი სპილენძად იქცევა ამის შესაძლებლობად.

ჩანს, რომ რაზედაც ჩვენ ვსაუბრობდით, არის არა ეს და ეს კონკრეტული საგანი, არამედ მიღებული ამა და ამისაგან. მაგალითად, ყუთი ხე კი არაა, არამედ ხისაა. არც ხეა მიწა, არამედ მიწისა. ასევე პირიქით, მიწაც თუ ასეთია, არის არა სხვა, არამედ სხვისგან ყოველთვის ისაა შესაძლებლობაში, რაც მომდევნოა. მაგალითად, ყუთი არის არა მიწის, არც მიწა, არამედ ხისა, რადგან ხეა ყუთი შესაძლებლობაში და ყუთის მატერიაც. ზოგადი ხე ესაა ზოგადი ყუთის მატერია და კონკრეტული - კონკრეტული ყუთისა. მაგრამ თუ არსებობს რაიმე პირველი, რომელზეც არ ითქმის, რომ სხვისგან წარმოებულია, ის იქნება პირველი მატერია. მაგალითად, მიწა ჰაეროვანაა, ჰაერი კი არის არა ცეცხლი არამედ ცეცხლისაგან[3] აქ ცეცხლია პირველი მატერია და არა რაიმე კონკრეტული საგანი. კონკრეტული საგანი და სუბსტრატი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონკრეტულ საგნად ყოფნა-არყოფნით[4]. მაგალითად, თვისებების სუბსტანციაა ადამიანი, სხეული და სული. ხოლო თვისებებია „განათლებული“ და „თეთრი“. ამიტომაც ვამბობთ, რომ განათლების საგანში მოხვედრით მივიღებთ არა „განათლებას“, არამედ „განათლებულს“ და არა „სითეთრეს“, არამედ „თეთრ

ადამიანს“, არა „მოძრაობასა“ და „სიარულს“, არამედ „მოძრავს“
და „მოსიარულეს“, როგორც მათგან წარმოებულს. ასეთ შემთხვ-
ევაში კიდური წევრი არის სუბსტანცია[3]. ხოლო რაც არსებობს არა
ასე, არამედ როგორც ფორმა ან როგორც რაიმე სხვა კატეგორია, იქ
კიდური წევრი მატერიაა და მატერიალური სუბსტანცია და სწორედ
1049в აქედან გამომდინარეობს, რომ „რაიმესი“ ეწოდება საგანს მატერი-
ისა და თვისების მიხედვით. თუმცა ორივე განუსაზღვრელია.
ამრიგად, უკვე ვიმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რას ეწოდება
შესაძლებლობაში არსებული და რას არა

თავი მერვე

განვსაზღვრეთ რა, თუ რამდენი მნიშვნელობით იხმარება „ადრე“,
ცხადი გახდა, რომ შესაძლებლობაზე წინ სინამდვილე დგას მე
ვგულისხმობ არა შესაძლებლობას, რომელიც გარკვეული ცვალება-
დობის საწყისია სხვაში ან რამდენადაც თვითონაა სხვა, არამედ,
საერთოდ, ყველა მოძრაობისა და უძრაობის საწყისს ბუნებაც თა-
ვისსავე გვარშია მოძრაობის საწყისი[1], ე. ი. ისიც მოძრაობის საწ-
ყისია, მაგრამ არა სხვაში, არამედ რამდენადაც თვითონ არის ეს
სხვა საგანი[2] ყოველივე ამას როგორც ლოგიკურად, ისე რეალურად
წინ უსწრებს სინამდვილე, დროის თვალსაზრისით კი ეს ხან ასეა,
ხან კი არა. რომ ლოგიკურად ის ადრეა, ცხადია
უპირველესად ყოვლისა, განხორციელების უნარის მქონეა ის,
რაც ადრე შესაძლებლობაში არსებობს. მაგალითად, სახლის მშენე-
ბელს ვუწოდებთ იმას, ვისაც შენებლობა შეუძლია, მხედველს
იმას ვისაც ხედვა შეუძლია, ხილვადს იმას, რისი დანახვაც შეიძლე-
ბა ასევე უნდა ვიმსჯელოთ სხვა შემთხვევებშიაც ასე რომ,
აუცილებელია, რომ შემეცნების ცნება წინ უსწრებდეს შე-
მეცნების პროცესს.
დროის მიხედვით „წინ“ შემდეგს ნიშნავს: რეალობა წინ უსწ-
რებს იმავე სახის შესაძლებლობას, მაგრამ არა რიცხობრივად მე
მხედველობაში მაქვს შემდეგი. ამ და ამ რეალურად არსებულ ადა-
მიანს ხორბალს და მხედველს დროში წინ უსწრებს მატერია, თეს-
ლი და მხედველობის უნარის მქონე, რაც შესაძლებლობაში არის
ადამიანი, ხორბალი და მხედველი და არა რეალურად ამათ წინ
უსწრებენ სხვა რეალურად არსებული საგნები რომლისგანაც,
ეს ნი წარმოიშვნენ[3] რადგან რეალურად არსებული შესაძლებლო-
ბაში არსებულიდანაა ყოველთვის წარმოშობილი რეალუ-

-რად არსებულისავე ზემოქმედებით. მაგალითად, ადამიანი წარმო-
იშობა ადამიანისაგან, განათლებული განათლებულისაგან, მაგრამ
მუდამ რაიმე პირველი მამოძრავებლის ზემოქმედებით. მამოძრავე-
ბელი კი რეალურად არსებობს. წიგნში „არსების შესახებ“ ნათქ-
ვამია, რომ ყოველი ქმნადი წარმოიშობა რაიმესაგან და რაიმეს
ზემოქმედებით, რომელიც ამავე სახისაა ამიტომაც ჩანს, რომ
შეუძლებელია მშენებლად ყოფნა ისე, თუ არაფერი გაქვს
აშენებული და გიტარის დამკვრელად ყოფნა ისე, რომ არაფერი
არ გქონდეს დაკრული. ვინც გიტარაზე დაკვრას სწავლობს, სწავ-
ლობს დაკვრის პროცესში. ასევეა სხვა შემთხვევებშიც. აქედან
წარმოსდგა სოფისტური დებულება, რომ ვისაც ცოდნა არა აქვს,
აკეთებს იმას, რის გაკეთებაც მხოლოდ ცოდნით შეიძლება, რადგან
ვინც სწავლობს, იმას ცოდნა არა აქვს. მაგრამ ნაწილი იმისა, რაც
იქმნება, უკვე უნდა არსებობდეს და საერთოდ, მოძრავის რაღაც 1050a
ნაწილი წინასწარ უნდა მოძრაობდეს[4] ეს ცხადი გახდა თხზულები-
დან „მოძრაობის შესახებ“ მაშასადამე, ვინც სწავლობს, აუცილებ-
ლად უნდა ჰქონდეს ცოდნის გარკვეული მარაგი. აქედან ცხადია
რომ რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას, როგორც წარმოშო-
ბის, ისე დროის თვალსაზრისით და სუბსტანციის თვალსაზრი-
სითაც, რადგან, რაც წარმოშობის მიხედვით მომდევნოა, სახისა და
არსების მიხედვით წინამორბედია. მაგალითად, მამაკაცი ბავშვზე
ადრე არსებობს და ადამიანი თესლზე, რადგან პირველთ უკვე
აქვთ ფორმა, მეორეებს კი არა. ყოველი ქმნადი კი მოძრაობს
საწყისისა და მიზნისკენ. საწყისი მიზანია, მიზანი კი არის ის, რის
გამოც წარმოშობა ხდება. მიზანი არის ის რეალობა, რის გამოც
ვუშვებთ შესაძლებლობას რადგან ცხოველი ხედავს არა იმიტომ
რომ მხედველობა აქვს, არამედ მხედველობა აქვს იმიტომ, რომ
დაინახოს. ასევე იმიტომ ფლობს ადამიანი მშენებლობის ხელოვნე-
ბას, რომ აშენოს და შემეცნების უნარს, რათა შეიცნოს. შემეცნება
იმიტომ კი არ სწარმოებს, რომ შემეცნების უნარი გვქონდეს. ამას
მხოლოდ ვარჯიშობის დროს აქვს ადგილი, როდესაც შემეცნება
სწარმოებს მისი არაპირდაპირი, სპეციალური მნიშვნელობით, რად-
გან უშუალოდ ამ დროს შემეცნება საჭირო არაა.
გარდა ამისა, მატერია შესაძლებლობაში იმიტომ არსებობს, რომ
ისწრაფვის ფორმისკენ და როდესაც განხორციელდება, უკვე
ფორმაშია მოცემული. ასევეა სხვა შემთხვევებშიც, სადაც მიზანი
არის მოძრაობა. ამიტომაცაა, რომ როდესაც მასწავლებლები
გვიჩვენებენ ადამიანებს მოქმედებაში, ფიქრობენ, რომ მიზანს მიაღ-
წიეს. ასევეა ბუნებაშიც. ეს რომ ასე არ იყოს, ისეთივე მდგომარეობა

გვექნებოდა, როგორც პავსონის ჰერმესთან. როგორც ეს ქანდაკებ[illegible] ჯერ გაურკვეველია ცოდნაც, ვარევანია. თუ [illegible] მ[illegible] [illegible], მოქმედება კი [illegible], ამიტომაც მოქმედების [illegible] „[illegible]დან" მოდის და განხორციელებისაკენაა მიმართული.

ზოგჯერ უკანასკნელი ეტაპი გამოყენებაა. მაგალითად, მხედველობისათვის ესაა ხედვა და [illegible] [illegible] ვერ[illegible] [illegible] [illegible]. მაგალითად, მშენებლობის ხელოვნების მეშვეობით. მშენებლობის პროცესში იქმნება სახლი. მიუხედავად ამისა, მიზანი არსებობს იქაც და აქაც და ეს [illegible] [illegible], ვიდრე შესაძლებლობა მშენებლობა. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] საგუი წარმოშობა ხდება, რეალობა მოცემულია შემოქმედში. მაგალითად, მშენებლობა — შენობაში, ქსოვა — ქსოვილში, ასევე სხვა შემთხვევებშიც. საერთოდ, მოძრაობა არსებობს მოძრავში, ხოლო იმათ, რომლებიც არ იწვევენ რაიმე სხვა შედეგს, გარდა მოქმედებისა, იქ მოქმედება მოქმედშივე არსებობს. მაგალითად, მხედველობა —
1050ა მხედველში, ცოდნა — მცოდნეში, სიცოცხლე და მაშასადამე ბედნიერება — სულში, რაც სიცოცხლის თავისებური გამოვლენაა. ამრიგად, ცხადია, რომ არსება და ფორმა რეალობაა.

ამ მტკიცებიდან ცხადი ხდება, რომ არსებობის თვალსაზრისითაც შესაძლებლობას რეალობა უსწრებს წინ, დროის თვალსაზრისით კი ერთი რეალობა — მეორეს, ასეა პირველ და მარადიულ მამოძრავებლამდე. მაგრამ უფრო არსებითადაც, რადგან მარადიული [illegible] [illegible] და შესაძლებლობაში კი არავითარი მარადიული არ არსებობს. ეს შემდეგნაირად მტკიცდება: ყოველგვარი შესაძლებლობა დაპირისპირებულთა წარმოშობის შესაძლებლობას ნიშნავს. ის, რასაც არსებობა არ შეუძლია, არც რაიმეს შეიძლება ახასიათებდეს. მაგრამ ყველა შესაძლებლობა კი არ განხორციელდება, არამედ ზოგი შესაძლებელი ხორციელდება და ზოგი არა. ამრიგად, ერთსა და იმავე შესაძლებელს შეუძლია როგორც არსებობა, ისე არარსებობა, ხოლო რასაც შეუძლია არარსებობა, შეიძლება არ არსებობდეს. ის კი, რაც შეიძლება არ არსებობდეს, მოკვდავია ან საერთოდ, ან იმ მხრივ, რა მხრივაც ის არსებობს: ადგილის, დროის, რაოდენობის, თვისების ან საერთოდ, არსების თვალსაზრისით. ასე რომ, იმათგან, რომლებიც, საერთოდ, უკვდავნი არიან, არც ერთი არ არსებობს შესაძლებლობაში საერთოდ, არამედ კონკრეტული მიმართების მიხედვით, ან თვისების, ან ადგილის მიხედვით. მათს არარსებო-

[illegible]

არსება არის მატერია და შესაძლებლობა და არა რეალობა.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] შეუძლიათ იმოძრაონ. როგორც ასე, ისე სხვაგვარად. უგუნურთ ეს არ ეხებათ. რადგან მათი მოძრაობა წინააღმდეგობრივი არაა. და [illegible] ეარსება მცოდნეს, ვიდრე თვით ცოდნას და მოძრავს უფრო
51ა მეტად, ვიდრე თვით მოძრაობას, რადგან ისინი რეალობანია, ესენი კი მხოლოდ იმათი შესაძლებლობა.

რომ რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას და ყოველგვარ ცვალებად საწყისს, ეს ცხადია

თავი მეცხრე

[illegible] წვეთება [illegible], ის ერთი და [illegible] [illegible] ყოფნა [illegible] [illegible] ერთდროულად არსებობს, მაგრამ წინააღმდეგობის ერთდ[illegible]

ულად რეალური არსებობა შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია საწინააღმდეგო უნართა ერთდროულად არსებობა, მაგალითად, ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის. ამრიგად, აუცილებელია, რომ წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარე სიკეთე იყოს, ხოლო ორივე ერთნაირად შეიძლება იყოს შესაძლებლობა, ან არც ერთი მათგანი. მაშასადამე, აქ რეალობა უკეთესია, ხოლო ბოროტების დასრულება და რეალობა აუცილებლად უარესია, ვიდრე მისი შესაძლებლობა. წინააღმდეგობის ორივე მხარე ერთნაირად არის შესაძლებლობაში. აქედან ცხადია, რომ ბოროტება საგნებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს და ის ბუნებით შესაძლებელს მოსდევს შედეგად. თავიდანვე არსებულ, მარადიულ საგნებში არ არსებობს არც ბოროტება, არც შეცდომა და არც წარმავალი, რადგან წარმავლობა ბოროტების ერთ-ერთი სახეა. გეომეტრიულ სიდიდეებსაც განხორციელებისას ვპოულობთ. სახელდობრ, ვპოულობთ დაყოფის საშუალებით. დანაყოფები რომ გვქონდეს, ეს ცხადი გახდებოდა. ამჟამად კი ისინი შესაძლებლობაში გვაქვს მოცემული. რატომ ჰქმნის სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორ სწორ კუთხეს? იმიტომ, რომ ერთ წერტილთან მდგარი მოსაზღვრე კუთხეების ჯამი ყოველთვის ორ სწორ კუთხეს უდრის. თუ ერთ-ერთი გვერდიდან გავავლებთ პარალელურ ხაზს, დამკვირვებლისათვის უმალ ნათელი გახდება, თუ რატომ არის ეს ასე. ნახევარსფეროში ჩახაზული კუთხე რატომაა სწორი? რადგან, თუ სამი გვერდი თანასწორი გვაქვს, აქედან ორი ჰქმნის ფუძეს, მესამე კი ცენტრიდან გაყვანილი სწორი კუთხეა. ვინც ეს იცის, მისთვის ეს ნახვისას უმალ ცხადი გახდება. ასე რომ, ის, რაც არსებობს შესაძლებლობის სახით, ნათელი ხდება განხორციელებისას. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აზროვნება არის მოქმედება ასევე ჩნდება რეალობიდან შესაძლებლობა და ამიტომაც შეიცნობენ ისინი, რომლებიც მოქმედებენ. წარმოშობის თვალსაზრისით კი, მათემატიკური რეალობა უფრო გვიან არსებობს.

თავი მეათე

არსებულსა და არარსებულზე მსჯელობას ვაწარმოებთ ან კატეგორიათა ფორმების, ან თვით მათი და მათი მოპირდაპირე მხარეთა შესაძლებლობისა და სინამდვილის თვალსაზრისით და რაც მთავარია, მსჯელობა მათზე შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, ან ცრუ. ეს უკანასკნელი კი საგნების დაკავშირება და დაშორებაა. ასე რომ,
1051b ის, ვინც დაშორებულს დაშორებულად აცხადებს, და დაკავშირებულს
დაკავშირებულად, ჭეშმარიტებას ამბობს და სცდება, ვინც

წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან. ახლა უნდა გავარკვიოთ ის, თუ როდის არის მსჯელობა ჭეშმარიტი ან მცდარი. შენ იმიტომ კი არა ხარ თეთრი, რომ ჩვენი თვალსაზრისი შენზე, როგორც თეთრზე, ჭეშმარიტია, არამედ იმიტომ, რომ შენ თვითონ ხარ თეთრი. სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ ჭეშმარიტებას[1]. ზოგი რამ ყოველთვის შეკავშირებულია და შეუძლებელია მისი დაშლა, ზოგი ყოველთვის დაშლილია და შეუძლებელია მისი შეკავშირება, ზოგი კი ასეც არის და ისეც. ამ შემთხვევაში არსებობა ნიშნავს კავშირსა და ერთიანობას, ხოლო არარსებობა არა კავშირს, არამედ სიმრავლედ ყოფნას. უკანასკნელ შემთხვევაში[2] ერთი და იგივე აზრი და შეხედულება შესაძლებელია იყოს როგორც ცრუ, ისე ჭეშმარიტი. ასე რომ, აქ შესაძლებელია ხან შეცდომის და ხან ჭეშმარიტების თქმა. ხოლო იმ საგნების შესახებ, რომლებიც სხვადასხვაგვარად არ არსებობენ, არ შეიძლება ერთი და იგივე აზრი ხან ჭეშმარიტი და ხან მცდარი იყოს, არამედ ერთი მსჯელობა აქ ყოველთვის ჭეშმარიტია, მეორე კი ყოველთვის მცდარი.

რა არის არსებობა ან არარსებობა, ან ჭეშმარიტება და სიცრუე მარტივ საგნებში? ისინი არ არიან შეკავშირებულნი, რომ არსებობდნენ შეკავშირებისას და არ არსებობდნენ დაშლისას, როგორიცაა თეთრი ხე, ან დიაგონალის არათანაფარდობითობა. ჭეშმარიტებას და სიცრუეს მათთან ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს და როგორც ჭეშმარიტება არაა აქ იგივე, ასევე არსებაც. აქ ჭეშმარიტებას და სიცრუეს მაშინ ვიღებთ, როდესაც შევეხებით ან გამოვთქვამთ აზრს საგნების შესახებ რადგან დადასტურება და თქმა ერთი და იგივე არაა. და საგნები არ გვეცოდინება, თუ არ შევეხეთ მათ. რადგან არსებულის მიმართ შეცდომა შეუძლებელია ან შეიძლება, მაგრამ შემთხვევით. ასევე შეუძლებელია შეცდომა მარტივ არსებათა მიმართ. ყველა ისინი არსებობენ სინამდვილეში და არა შესაძლებლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი წარმოიშვებოდნენ და მოისპობოდნენ. ასე არსებული არც წარმოიშობა და არც მოისპობა, რადგან ის რაიმესაგან უნდა წარმოიშვას. იმათ მიმართ, რომლებიც რაიმე კონკრეტულს წარმოადგენენ და სინამდვილეში არსებობენ, შეცდომა შეუძლებელია, არამედ შეიძლება მათი მოაზრება ან არა. ჩვენ ვიკვლევთ მათ არსებობას, და არა იმას, თუ როგორი არიან ისინი. რაც შეეხება არსებობას, როგორც ჭეშმარიტებას და არარსებობას, როგორც სიცრუეს, ჭეშმარიტება მაშინ გვაქვს, თუ გვაქვს ერთი და კავშირი და შეცდომა, თუ ეს კავშირი არაა. ერთი, როგორც არსებული ასე არსებობს, თუ არა
და ის არ არსებობს, საერთოდ. ჭეშმარიტება კი არის ამის მოაზრება 1052a

შეცდომა არის არა სიცრუე, არამედ უცოდინარობა, რომელიც არ ჰგავს სიბრმავეს, რადგან სიბრმავე აზროვნების უნარის არქონებას ჰგავს. ცხადია, შეცდომა შეუძლებელია უძრავი საგნების მიმართაც, თუ მათ ვინმე არ აღიქვამს, როგორც უძრავთ. ყოველ დროში მაგალითად თუ სამკუთხედს მოვიაზრებთ, როგორც უცვლელს, მისი კუთხეების ჯამი არ შეიძლება ხან მოგვეჩვენოს ორი სწორი კუთხის ტოლად, ხან კი არა, რადგან ის ამ შემთხვევაში ცვალებადი იქნებოდა, არამედ ის შეიძლება მოვიაზროთ ხან არსებულად, ხან არა. მაგალითად, რომელიღაც პირველი ლუწი რიცხვი ან არ არსებობს, ან ზოგან არსებობს და ზოგან კი არა. არც რიცხობრივად ერთზე[3] შეიძლება ამის თქმა, რომ ის ხან ასეთია, ხან კი არა, არამედ მუდამ ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფის მიმართ, როგორც ასეთზე, შეიძლება ხან შეცდომის, ხან ჭეშმარიტების თქმა

წიგნი მეათე

თავი პირველი

„ერთის“ მნიშვნელობის შესახებ უკვე ვთქვით ზემოთ, სადაც ამ საკითხზე ვმსჯელობდით. თავისთავადი და არაშემთხვევითი ერთის მნიშვნელობათაგან ძირითადია ოთხი. მისი პირველი მნიშვნელობაა უწყვეტობა არა შეხებით ან რაიმეთი შეკავშირებით, არამედ მარტივად, ან, უმეტესად, მისივე ბუნებით. ამათგან ყველაზე მეტად ერთი და პირველია ის, რასაც დაუშლელი და უმთავრესად, მარტივი მოძრაობა აქვს. შემდეგ ასეთია და უფრო მეტადაც კი, მთელი და რაიმე ფორმისა და სახის მქონე. განსაკუთრებით კი ის, რომელიც ასეთია არა იძულებით, მაგალითად, წებოთი, თასმებით ან ლურსმნებით დაკავშირების გამო, არამედ ბუნებრივად, და იმის გამო, რომ თავის თავშივე აქვს უწყვეტობის მიზეზი. ასეთია ადგილისა და დროის მიხედვით ერთი და დაუშლელი მოძრაობა.

ამრიგად, ცხადია, რომ პირველ ყოვლისა, სიდიდით ერთი ის იქნება, რასაც ბუნებრივად აქვს პირველი საწყისი თავდაპირველი მოძრაობისა, როგორიცაა სივრცეში გადაადგილება წრიული მოძრაობის სახით. ზოგი ასეა ერთი, უწყვეტი და მთელი, ზოგს კი ცნება აქვს ასეთი. ასეთები არიან ისინი, რომელთა შესახებ ერთი აზრი გვაქვს და რომლებიც უწყვეტნი არიან. უწყვეტი კი შეიძლება იყოს ან რიცხვით, ან სახით. რიცხვით უწყვეტია თვითეული კონკრეტული საგანი, სახით — შემეცნებისა და ცოდნისათვის დაუშლელი. ამრიგად, სუბსტანციათა ერთიანობის მიზეზი, უპირველესად ყოვლისა, ერთია.

მაშასადამე, ერთს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: ბუნებით უწყვეტი მთელი, კონკრეტული საგანი და ზოგადი. თვითეული ამათგანი კი ერთია ან მოძრაობით, ან აზროვნებით, ან ცნებით დაუშ- 1052ა
ლელობის გამო. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამავე გაგებით ვერ ვიმსჯელებთ ერთის თვისებებსა, არსებასა და ცნებაზე ერთს ზემოაღნიშნული მნიშვნელობა აქვს და თვითეული მათგანი

ნიშნავს ერთის რომელიმე ამ სახით არსებობას. ერთის არსება ან რომელიმე ამათგანია, ან სხვა რამე, რომელიც სახელწოდებით უფრო მეტად უახლოვდება ერთს, ხოლო შესაძლებლობით — ელემენტსა და მიზეზს, თუ საგნების განსაზღვრებისას საჭიროა მათი ცნების დადგენაც, მაგალითად, ცეცხლი არის და არც არის ელემენტი. აგრეთვე ცეცხლი თავისთავად განუსაზღვრელიცაა და სხვა ამგვარიც, რადგან ერთი და იგივე არაა ცეცხლად და ელემენტად ყოფნა, არამედ როგორც საგანი და ბუნება, ის ელემენტია, მაგრამ სიტყვა „ერთი“ მის შემთხვევით თვისებებს ნიშნავს, რაც ახასიათებს მას, როგორც პირველად არსებულს. იგივე ითქმის მიზეზის, ერთისა და ყველა სხვა ამგვარის შესახებ. ამრიგად, ერთად ყოფნა არის დაუნაწევრებლად ყოფნა, ისევე როგორც კონკრეტულ საგნად ყოფნა, რომელიც დამოუკიდებელია ან ადგილის, ან ფორმის, ან განსჯის თვალსაზრისით, რომელიც დაუნაწევრებელი მთელია და თვითეული გვარისა და უფრო მეტად რაოდენობის საზომია. მისი მნიშვნელობა აქედან სხვა სფეროებზეც ვრცელდება.

ზომა კი არის ის, რითაც რაოდენობას შევიცნობთ, ხოლო რაოდენობის, როგორც რაოდენობის, შეცნობა შეიძლება ერთით და რიცხვით ყოველგვარ რიცხვსაც ერთით შევიცნობთ და ის პირველი საზომი, რომლითაც რაოდენობა შეიცნობა, არის ერთი. მაშასადამე, რიცხვის, როგორც რიცხვის, საწყისია ერთი. ამიტომ სხვაგანაც საზომია ის, რასაც პირველად შევიცნობთ. ამრიგად, ყველაფრია, როგორც სიგრძის, ისე სიგანის, სიღრმის, სიმძიმის და სისწრაფის საზომი არის ერთი. სიმძიმე და სისწრაფე დაპირისპირებულ მოვლენებსაც საერთო აქვთ, თვითეულ მათგანს კი ორი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მძიმე ეწოდება, როგორც ნებისმიერი სიმძიმის მქონე საგანს, ისე დიდი სიმძიმის მქონეს. ასევე სწრაფია, როგორც ნებისმიერად, ისე უაღრესად სწრაფად მოძრავი საგანი. რადგან როგორც სისწრაფე აქვს ნელ საგანს, ისე სიმძიმე — მსუბუქს ყველა ამათი საზომი და საწყისი არის რაღაც ერთი და დაუნაწევრებელი. ასევე ხაზებში ვსარგებლობთ ფუტით[1], როგორც განუყოფელით. ამრიგად, ყველგან საზომად აღებულია რაღაც ერთი და დაუნაწევრებელი, რაც მარტივია ან თვისებებით, ან რაოდენობით და რომელსაც, როგორც ჩანს, ვერც გამოვაკლებთ რაიმეს და ვერც მივუმატებთ. ისაა ზუსტი საზომი. საზომთა შორის
1053a ყველაზე ზუსტია რიცხვი. საერთოდ, ყველგან საზომად გამოყენებულია ყოველმხრივ დაუნაწევრებელი ერთი, რომელიც სხვა სფეროებშიაც ნიმუშადაა აღებული. სტადიიდან[2] და ტალანტიდან[3] და საერთოდ, მსხვილი ერთეულებიდან და მოზრდილი სიდიდეებიდან

უფრო ადვილად და შეუმჩნევლად შეიძლება მიმატებაც და გამოკლებაც, ვიდრე მცირედან. ამიტომ იმას, რომლის მიმართ შეგრძნებით შეუძლებელია ამის გაკეთება[4], ყველანი თვლიან როგორც სისველის, ისე სიმშრალის, სიმძიმის და სიდიდის საზომად. ჩვენ კი ჩვენ თავს მაშინ ვთვლით რაოდენობის მცოდნედ, როდესაც ამ საზომით შევიცნობთ მას. მოძრაობასაც მარტივი და უსწრაფესი მოძრაობით შევიცნობთ. იმას ხომ უმცირესი დრო სჭირდება. ამიტომაც ასტრონომიაში ასევე ერთია საწყისი და საზომი. რადგან საზომად ვიღებთ ცის თანაბარ და უსწრაფეს მოძრაობას, რომლის მიხედვით ვმსჯელობთ ყოველივე სხვაზე. ასევე მუსიკაში უმცირესი ინტერვალია დიეზი[5], ენაში — საწყისი ბგერა. ამგვარად ყოველივე ეს რაღაც ერთია, მაგრამ არა რაღაც ზოგადი მნიშვნელობით, არამედ როგორც ზემოთ ვთქვით[6]. მაგრამ საზომი ყოველთვის არაა რიცხვით ერთი, არამედ ზოგჯერ მეტია, როგორც დიეზებისათვის ასეთია ორი არა სმენის, არამედ ცნების მიხედვით და ამიტომ ბგერებშიც საზომი ერთზე მეტია. კვადრატის დიაგონალი, გვერდები და ყოველგვარი სიდიდე, საერთოდ, ორით იზომება. მაგრამ ყოველივეს საზომი მაინც ერთია, საიდანაც შევიცნობთ, თუ რისგან შედგება არსება, იქნება ეს რაოდენობრივი, თუ სახეობრივი თვალსაზრისით ერთი დაუყოფელია, რადგან პირველი ყველგან დაუყოფელია. მაგრამ ყოველივე ერთნაირად არაა დაუყოფელი, მაგალითად, ფუტი და ერთი, არამედ ერთი მთლიანად დაუყოფელია, მეორე კი — შეგრძნებებისათვის, როგორც უკვე ვთქვით. ასევეა დაყოფადი ყოველი უწყვეტი.

საზომი ყოველთვის იმავე გვარისაა, რომლის საზომიც ისაა: სიდიდეებისთვის ის სიდიდეა, სიგრძეებისთვის — სიგრძე, სიბრტყეებისთვის — სიბრტყე, ბგერისათვის — ბგერა, სიმძიმეებისათვის — სიმძიმე, ერთეულებისათვის — ერთი. ეს ასე უნდა გავიგოთ და არა ისე, რომ რიცხვი რიცხვების საზომად გამოვაცხადოთ. ასე უნდა მოვქცეულიყავით იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა. მაგრამ აქ ანალოგიური მდგომარეობა კი არაა, არამედ ისეთი, რომ ერთეულების საზომად თვლიდნენ ერთეულებს და არა ერთს, რიცხვი კი ერთეულების სიმრავლეა. ცოდნას და შეგრძნებასაც საგნების საზომად იმიტომ ვთვლით, რომ მათი საშუალებით რაღაცას შევიცნობთ, თუმცა თვითონ მეტად იზომებიან, ვიდრე სხვას ზომავენ. აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ჩვენ სხვისი გაზომვისას გვეგო ჩვენი სიმაღლეც, როდესაც ეს საზომი[7] ამდენზე და ამდენზე მოგვწვდა. პროტაგორას აზრით კი, ადამიანია ყველაფრის საზომი, იქნება ეს შემმეცნებელი, თუ შემგრძნები 105

ადამიანი, რადგან ადამიანს ხან შეგრძნება აქვს, ხან კი ცოდნა, რასაც ჩვენ სუბსტანციათა საზომად ვთვლით. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს არ გვეუბნებიან

ამრიგად, ერთი, თუ განვსაზღვრავთ მას, ცხადია, არის რაღაც საზომი, უმთავრესად რაოდენობისა, შემდეგ კი თვისობრიობისაც. ცხადია, რომ ის დაუყოფელია, პირველ რიგში, რაოდენობის მიხედვით, შემდეგ თვისობრიობის მიხედვით, ამიტომაც ერთი დაუყოფელია ან საერთოდ, ან რამდენადაც ის ერთია

თავი მეორე

უნდა ვიკვლიოთ თუ რას წარმოადგენს არსება და ბუნება, როგორც ვიკვლევდით წიგნში „პრობლემების შესახებ“ საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის ერთი და რა უნდა დავადგინოთ მის შესახებ. არსებობს თუ არა თავისთავადი ერთი, როგორც რაღაც სუბსტანცია. როგორც ამბობდნენ ჯერ პითაგორელები და შემდეგ პლატონი, თუ მას რაღაც სხვა სუბსტრატი აქვს? როგორ უნდა ვიმსჯელოთ მის შესახებ ბუნებისმეტყველებზე უფრო გასაგებად, რომელთაგან ერთნი ამტკიცებენ, რომ ერთი არის რაღაც მეგობრობაო, მეორენი — ჰაერიო, მესამენი კი ასეთად განუსაზღვრელს აცხადებდნენ. თუ ზოგადი არ შეიძლება იყოს რაიმე სუბსტანცია, როგორც ეს აღვნიშნეთ სუბსტანციისა და არსებულის შესახებ მსჯელობისას, და არც ამ სუბსტანციას შეუძლია იარსებოს, როგორც ერთმა სიმრავლისაგან დამოუკიდებლად, რადგან ის ზოგადია? თუ ზოგადი მხოლოდ კატეგორიაა, არც „ერთი“ უნდა იყოს ასეთი. რადგან „არსებული“ და „ერთი“ ყოველივეზე ზოგადად ითქმის, ასე რომ, თუ გვარები არ არიან რაღაც სხვებისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციები, არც ერთიანი შეიძლება იყოს გვარი იმავე მიზეზების გამო, რომლითაც საერთი არ შეიძლება იყოს არც არსებული და არც სუბსტანცია ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს აუცილებლად ყველა სხვა შემთხვევაშიც რამდენი მნიშვნელობაც აქვს „არსებულს“, იმდენივე — „ერთს“, ასე რომ, როგორც თვისობრიობას, ასევე რაოდენობას აქვს რაღაც ერთი და ბუნება. ცხადია, რომ საერთოდ, საძიებელია, თუ რა არის ერთი ისევე, როგორც არსებული და არაა საკმარისი თქმა იმისა, რომ მისი ბუნება ასეთივეა. ფერებში ერთი არის ერთი რომელიმე ფერი, მაგალითად, თეთრი, ყოველი სხვა ფერი მისგან და შავი ფერისაგან უნდა იყოს წარმოშობილი. შავი არის თეთრი ფერის დაკლება. როგორც სიბნელე არის სინათლის

[illegible] ; ასე რომ, თუ ფერები არსებულია, მაშინ არსებული იქნება რაღაც რიცხვი, თუმცა როგორც რაღაცის რიცხვი. ცხადია, რომ ფერებიც და ერთიანიც რაღაც ერთია, როგორც, მაგალითად, [illegible] თუ არსებული არის მელოდია, მაშინ ის რაღაც [illegible] რიცხვი. თუმცა [illegible] არსება [illegible] მაშინ ერთიც იქნებოდა რაღაც, რომლის [illegible] რაიმე დიეზი. [illegible] ბგერებიც, [illegible] 1054a
[illegible] ელემენტები, რაღაც რიცხვს წარმოადგენენ. მაშინ [illegible] [illegible]გერა იქნებოდა და თუ ეს სწორხაზოვანი ფიგურებია [illegible] მაშინ ერთი სამკუთხედი იქნებოდა ასევე [illegible] უნდა ვიმსჯელოთ სხვა გვარებზეც როგორც [illegible] [illegible] მიმართებებსაც აქვთ რიცხვი [illegible] ერთი, მაგრამ [illegible] ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს სუბსტანციებშიც, რადგან ეს ასეა ყველგან.

ცხადია, რომ ერთი ყოველ გვარში რაღაც ბუნებაა [illegible] ბუნება როგორც ფერებში [illegible] რომ ერთი [illegible] რომ ერთნაირ [illegible] რომ არ [illegible] არსებული. და „ერთი“ [illegible] როგორც არსება [illegible] ამავეს. რაც „ერთად ყოფნა“ [illegible] ტულ საგნად“ ყოფნა.

თავი მესამე

ერთი [illegible] დასამლელი კი ერთი. დაპირისპირება ოთხგვარია. [illegible] შეიძლება [illegible] რაც იყოს, სადაც არაა არც დაპირისპირება და არც მიმართება. [illegible] ნათელი ხდება აგრეთვე [illegible] ერთის მნიშვნელობაც ანუ დაყოფილიდან ნათელი ხდება დაუყოფელი, აგრეთვე [illegible], თუ [illegible] შეგრძნებადი უფრო მეტად სიმრავლე და დაყოფადი, ვიდრე დაუყოფადი. სიმრავლე

თავისი ცნებით დაუყოფელზე წინ დგას შეგრძნების თვალსაზრისით. ერთი, როგორც ეს მოვხაზეთ მსჯელობაში წინააღმდეგობის შესახებ, იგივეობრივია, მსგავსი და ტოლი. სიმრავლე კი სხვაა, განსხვავებული და არატოლი.

„იგივეობრივსაც“ მრავალი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ მასზე ვლაპარაკობთ რიცხობრივი თვალსაზრისით, ზოგჯერ კი, როგორც რიცხვობრივი, ისე ცნების თვალსაზრისით. მაგალითად,
1054в შენ შენს თავთან იგივეობრივი ხარ ფორმითაც და მატერიითაც, ზოგჯერ იმ აზრით, რომ პირველადი სუბსტანციის ცნება ერთია, როგორც ტოლი სიგრძის ხაზები ცნებით იგივე არიან და როგორც ტოლი არიან ტოლფერდა ოთხკუთხედები, რომელთა ტოლობა ერთობაში გადადის.

„მსგავსება“ გვაქვს მაშინ, თუ საგნებს სახე ერთი აქვთ, მაგრამ მარტივად ერთნი არ არიან და არც საფუძველში მყოფი მატერიით განუსხვავებელნი. როგორც დიდი ოთხკუთხედი მსგავსია პატარა ოთხკუთხედისა და როგორც მსგავსნი არიან არათანაბარი სწორი ხაზები. პირველნი მსგავსნი არიან უშუალოდ, ესენი კი არაუშუალოდ. ერთი და იმავე სახის ფარგლებში შეიძლება გვქონდეს მეტნაკლებობა ისე, რომ არ გვქონდეს თავისთავად მეტი ან ნაკლები. მაგრამ თუ მოვლენები თვისებებითაც და სახითაც ერთნი არიან, მაგალითად, მეტად თეთრი ან ნაკლებად თეთრი, მაშინ ვამბობთ, რომ ისინი მსგავსნი არიან, რადგან სახით ერთნი არიან. აგრეთვე მაშინ, როდესაც საგნები უფრო მსგავსნი არიან, ვიდრე განსხვავებულნი ან საერთოდ, ან იმ თვისებების მიხედვით, რომელიც ჩვენთვისაა მისაწვდომი, მაგალითად, ვერცხლზე ვამბობთ, რომ თუთიის მსგავსია, რადგან თეთრია, ოქროს კი ვამსგავსებთ ცეცხლს, რადგან მოყვითალო-მოწითალო ფერისაა.

„სხვა“ და „განსხვავებულსაც“ მრავალი მნიშვნელობა აქვთ. პირველი: „სხვას“ უპირისპირდება „იგივე“ და მოვლენები ან მთლიანად „სხვა“, ან მთლიანად „ერთი და იგივე“ არიან. მეორე, როდესაც მოვლენებს არც ცნება და არც მატერია არა აქვთ ერთი და იგივე, ამიტომაც შენ სხვა ხარ და შენი მეზობელი სხვაა. მესამე: როგორც ამას ადგილი აქვს მათემატიკაში.

ამრიგად, „იგივე“ და „სხვა“ ყოველთვის იხმარება იმათ მიმართ, რაც ან ერთია, ან არსებული. „იგივე“ არ იხმარება არარსებულის მიმართ, არამედ მხოლოდ არსებულის მიმართ. არაიგივე კი იხმარება არარსებულის მიმართაც. ასე უპირისპირდება ერთმანეთს „სხვა“ და „იგივე“. „განსხვავება“ კი სულ სხვაა, ვიდრე „სხვად ყოფნა“,

რადგან „სხვად ყოფნისას“ არაა აუცილებელი რაიმეთი „სხვად ყოფნა“.

ყოველი არსებული ან სხვაა, ან იგივე. ხოლო რაიმესაგან განსხვავება ნიშნავს რაიმეთი განსხვავებას. ამ შემთხვევაში აუცილებელია იგივეობრივი იყოს ის, რითაც მოვლენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს იგივეობრივი კი არის ან გვარი ან სახე, რადგან ყოველი განსხვავება არის ან გვარეობრივი, ან სახეობრივი. განსხვავება გვარით მაშინ გვაქვს, როდესაც საგნებს არა აქვთ საერთო არც მატერია და არც ერთმანეთში გადადიან, მაგალითად, ისინი, რომლებიც სხვა კატეგორიას ეკუთვნიან, ხოლო სახით განსხვავებულნი ერთი და იმავე გვარისა არიან. გვარი არის არსებითი იგივეობა, არსებული ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგნებში. დაპირისპირებულნი კი განსხვავებულნი არიან და დაპირისპირებაც რაღაც განსხვავებაა. რომ ჩვენ ეს სწორად დავადგინეთ, ნათელი ხდება ინდუქციით, რადგან ყველა განსხვავებულში იგივეობრივიც ჩანს, არიან რა ისინი არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ სხვა გვარისაც, თუმცა შედიან ერთი კატეგორიის ფარგლებში ასე რომ, ერთი და იგივე გვარში შედიან გვარით იგივეობრივნი, 1055a
სხვა ადგილას კი განვსაზღვრეთ, თუ რომელი საგნებია გვარით განსხვავებული ან იგივეობრივი.

თავი მეოთხე

რადგან ერთმანეთისაგან განსხვავებულნი მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან, ამიტომ მათ შორის შეიძლება არსებობდეს მაქსიმალური განსხვავებაც, რასაც მე წინააღმდეგობას ვუწოდებ. რომ უნდა არსებობდეს ასეთი განსხვავება, ამას ინდუქცია ცხადყოფს. საგნებს, რომლებიც ერთმანეთისაგან გვარით განსხვავდებიან, ერთმანეთში გადასასვლელი გზა არ აქვთ. ერთმანეთისაგან დიდად არიან დაშორებული და მათი შედარება კი შეუძლებელია. სახით განსხვავებულნი კი წარმოიშობიან უკიდურესად დაპირისპირებული საწყისებიდან, რომელთა შორის მანძილიც დიდია, ასე რომ, ისინიც დაპირისპირებულთ განეკუთვნებიან. გვარში უდიდესი სხვაობა არის დასრულებული სხვაობა, უდიდესია ის სხვაობა, რომლის უმეტესი არ არსებობს და დასრულებულია ის, რომლის გარეშე რაიმეს დაშვება შეუძლებელია. დასასრული აქვს დასრულებულ განსხვავებას, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში. დასრულებულად იწოდება ის, რასაც დასასრული აქვს, ხოლო დასასრულს იქით არაფერია, რადგან ისაა საზღვარი და მოიცავს

ყოველივეს მაშასადამე, დასასრულს იქით აღარაფერია და სრულს არც რაიმე ესაჭიროება. აქედან ცხადია, რომ დაპირისპირება არის დასრულებული განსხვავება.

„დაპირისპირებული“ მრავალი მნიშვნელობით იხმარება და იმდენი დასრულებული წინააღმდეგობა არსებობს, რამდენი წინააღმდეგობაც შეიძლება არსებობდეს, საერთოდ, მოვლენებში. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ ერთს არ შეიძლება ბევრი რამ უპირისპირდებოდეს, არც კიდურზე უფრო მეტად კიდური რაიმე შეიძლება იყოს და არც მანძილს ორზე მეტი კიდე შეიძლება ჰქონდეს. საერთოდ, წინააღმდეგობა, როგორც განსხვავება, არსებული ორ მოვლენას შორის, დასრულებული განსხვავებაა. აუცილებელია, რომ დაპირისპირებულთა სხვა განსაზღვრებანიც ჭეშმარიტნი იყვნენ. ყველაზე მეტი განსხვავების შემცველია დასრულებული განსხვავება, რადგან როგორც გვარობრივი, ისევე სახეობრივი განსხვავების იქით არ არსებობს სხვა სხვაობა. დამტკიცდა, რომ ერთი გვარის ფარგლებს გარეთ არ არსებობს სხვაობა, რადგან ეს უდიდესი სხვაობაა. თვით გვარში კი ყველაზე დიდი განსხვავება არსებობს დაპირისპირებულთა შორის. მათ შორის უდიდესი განსხვავება დასრულებული განსხვავებაა. ერთი და იმავე სუბსტრატის საფუძველზე უკიდურესი განსხვავება ანუ წინააღმდეგობა წარმოიშობა, რადგან დაპირისპირებულთ ერთი და იგივე მატერია აქვთ უდიდესი სხვაობა არსებობს ერთი უნარის ფარგლებშიც. ერთი გვარის ფარგლებში დასრულებული განსხვავება უდიდესი განსხვავებაა, რასაც ერთი მეცნიერება სწავლობს. დაპირისპირებია პირველი სახე ქონება და ნაკლი, მაგრამ არა ყოველგვარი ნაკლი, რადგან ნაკლს მრავალი მნიშვნელობა აქვს, არამედ ის, რომელიც დასრულებულია. ყველა სახის დაპირისპირებანი კი მასზე დაიყვანება ან იმიტომ, რომ მათ ეს თვისებები აქვთ, ან აწარმოებენ მათ, ან შეუძლიათ აწარმოონ, ან მიტომ, რომ იღებენ და კარგავენ ან ამ, ან სხვა წინააღმდეგობებს. ესენი კი არიან შემდეგი: დაპირისპირება, ნაკლი, წინააღმდეგობა და მიმართება. ამათგან პირველი დაპირისპირებაა.
1055a დაპირისპირებულ წევრთა შორის არაფერი არ იმყოფება, აქედან კი ცხადია, რომ უარყოფა და დაპირისპირება ერთი და იგივე არაა. ნაკლიც რაღაც უარყოფაა, რადგან ან სრულიად არ შეუძლია რაიმეს ქონება, ან ის, რაც უნდა ჰქონოდა ბუნებრივად საგანს, არა აქვს, რადგან ან მთლიანად დაკარგა ის, ან რაიმე მიმართებაში. ესეც მრავალი აზრით იხმარება, როგორც ეს ჩვენ სხვაგან გავარჩიეთ. ასე რომ, არქონებაც რაღაც უარყოფაა, დაკავშირებული ან განსაზღვრების შეუძლებლობასთან ან სუბსტრატთან. მაშასადამე, დაპი-

რისპირებულთა შუა არაფერი არ იმყოფება. ნაკლში კი არის რაღაც ასეთი, რადგან ყოველივე ან ტოლია ან არატოლი. მაგრამ ტოლი ან არატოლი არსებობს არა ყველგან, არამედ მხოლოდ საერთო სუბსტრატის პირობებში.

თუ მატერიალური საგნების წარმოშობა მოწინააღმდეგე მხარე-ებიდან ხდება, ისინი წარმოიშობიან ან სახიდან, ან სახის ქონებიდან. ანდა სახეთა და ფორმათა არ ქონებიდან ამგვარად, ცხადია, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა „ნაკლია“, მაგრამ ყოველი ნაკლი არაა წინააღმდეგობა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ „ნაკლს“ მრავალი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგენი კი ისინი არიან, რომლებიც ცვლილების კიდურ წერტილებს წარმოადგენენ. ეს კი ცხადია ცდით. ყოველგვარი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობის მეორე მხარის არქონება, მაგრამ ის ყველგან ერთნაირი არაა. უტოლობა ტოლობის ნაკლია, განსხვავება — მსგავსების, ბოროტება — სიკეთის. აქ ისეთივე განსხვავებაა, როგორც უკვე ვთქვით. ერთ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ მოვლენა, რომელსაც რაღაც აკლია, მეორე შემთხვევაში არა აქვს როდისმე [illegible] გარკვეულ ასაკში, ან უმთავრესად, ან მთლიანად. ამიტომაც ერთ შემთხვევაში არსებობს შუალედი საფეხურები. მაგალითად, არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც არც კეთილია, არც ბოროტი. ზოგჯერ კი ასეთი შუალედი არ არსებობს [illegible] ან ლუწი იყოს ან კენტი ამას გარდა. ერთ შემთხვევაში [illegible] სუბსტრატი, სხვა შემთხვევებში კი არა. ასე რომ, ცხადია, წინააღმდეგობია ერთ-ერთი სახე არის ნაკლი. საკმარისია გვქონდეს წინააღმდეგობის პირველი გვარი, როგორიცაა ერთი და მრავალი, რომ ყოველივე სხვა მასზე დავიყვანოთ.

თავი მეხუთე

რადგან წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს უპირისპირდება, [illegible], თუ როგორ უპირისპირდება ერთი მრავალს და ტოლი — დიდსა და მცირეს. დაპირისპირებულთა მიმართ ჩვენ [illegible] ვსვამთ კითხვას: რა არის ეს? თეთრი თუ შავი? ან თეთრი თუ [illegible]? მაგრამ ზემოთ [illegible] ჰიპოთეზიდან ამოსულნი არა ვკითხულობთ: ადამიანია თუ თეთრი, ან ვინ შემოვიდა, კლეონი თუ სოკრატე? ამის კვლევა არაა აუცილებელი არც ერთ [illegible] გამომდინარეობს, რომ დაპირისპირებულნი არ შეიძლება ერთდროულად არსებობდნენ, [illegible] ამ შემთხვევაშიც იმის დასამტკიცებლად, რაც თავდაპირველად

1056a ვთქვი. სასაცილო იქნებოდა წინააღმდეგობის ერთდროულად არსე-
ბობა. ეს რომ დაგვეშვა, კვლავ მივიღებდით ანტითეზას, ერთია ის
თუ მრავალი? ე. ი. ორივე მოვიდა, თუ ერთ-ერთი მათგანი? რად-
გან დაპირისპირებულ წყვილში პასუხი ყოველთვის ერთ-ერთ
მხარეს გულისხმობს და ჩვენც ვკითხულობთ: რომელია ის, დიდი,
მცირე, თუ ტოლი? ან როგორ უპირისპირდება ტოლი მათ? ის არ
უპირისპირდება წინააღმდეგობის არც ერთ-ერთ მხარეს და არც
ორივეს ერთად. ანდა რატომ უნდა უპირისპირდებოდეს ის უფრო
მეტად დიდს, ვიდრე მცირეს? ამას გარდა, თუ არატოლს უპირის-
პირდება ტოლი, მაშინ ის ბევრისადმი იქნება დაპირისპირებული, და
არა ერთისადმი. თუ არატოლი ერთსა და იმავე დროს ორივეს
ნიშნავს, ის ორივესადმი იქნება დაპირისპირებული. ეს დაბრკოლება
იმათ ეხმარება, რომლებიც ორს არატოლად თვლიან. მაგრამ აქე-
დან გამომდინარეობს, რომ ერთი უპირისპირდება ორს, რაც შეუძ-
ლებელია. ამას გარდა, ტოლი აღმოჩნდება დიდსა და მცირეს
შორის დაპირისპირება კი არაფრის შუა არაა და ამის შესაძლებ-
ლობა არც მისი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რადგან დაბო-
ლოვებული არ არის რაიმეს შუა მოთავსებული. პირიქით, ის
მეტწილად თვითონ შეიცავს რაღაც შუალედს. მაშინ როგორი
დაპირისპირებაა ის, როგორც უარყოფა, თუ როგორც ნაკლი?
მაგრამ ის ვერ იქნება რომელიმე ამათგანი, რადგან რატომ უნდა
იყოს ის უფრო მეტად დიდის მოპირისპირე, ვიდრე მცირესი? და
თუ ორივე შემთხვევაში ეს უარყოფა ნაკლს ნიშნავს, მაშინ კითხვა
„რომელი“ ისმის ორივეს მიმართ და არა ერთ-ერთი მხარის მიმართ,
როგორც, მაგალითად, რომელია ის, დიდი თუ ტოლი? ან რომელია
ის, ტოლი თუ მცირე? ამრიგად, კითხვას ყოველთვის სამი წევრი
აქვს და არაა აუცილებელი, რომ ის ნაკლს ნიშნავდეს, რადგან ტოლი
ყოველთვის არაა ის, რაც არაა დიდი ან მცირე, არამედ ის, რაც
თავისი ბუნებით ასეთი უნდა იყოს.

ტოლია ის, რომელიც არც მეტია, არც ნაკლები, მაგრამ რომე-
ლიც შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები. ის უპირისპირდება კიდევაც
ორივეს, როგორც ნაკლი და უარყოფა და ამიტომაც მათ შუა
მდებარეობს. ორივე მხარეს უპირისპირდება ის, რაც არც კეთილია,
არც ბოროტი და რომელსაც სახელი არა აქვს, თვითეული მათგანი
მრავალი მნიშვნელობით იხმარება და არა აქვს ერთი რომელიმე
სუბსტრატი, არამედ ისეთია, რომელიც არც თეთრია, და არც შავი
არც ამას აქვს ერთი სახელი, არამედ ესაა რაღაც გარკვეული ფერი,
სადაც უარყოფას ნაკლის აზრი აქვს. ამ შემთხვევაში საგანი
აუცილებლად უნდა იყოს ან ნაცრისფერი, ან ყვითელი, ან რაიმე
სხვა ამდაგვარი. ასე რომ, სწორი არ არის იმათი კრიტიკა, რომლე-
ბიც ამბობენ, რომ ყოველივეზე შეიძლება ერთნაირად ვიმსჯელოთ
და რომ ფეხსაცმელსა და ხელს შუა არის რაღაც, რაც არაა არც
ფეხსაცმელი და არც ხელი, თუ კეთილსა და ბოროტს შუა არის
რაღაც შუალედი, მაგრამ ეს შედეგი არაა აუცილებელი, რადგან
მოპირისპირე მხარეებს თუ რაღაც შუალედი და მანძილი აქვთ,
ერთდროულად უარიყოფიან ზოგჯერ კი მათ შორის არ არის განსხ-
ვავება, რადგან ის დაპირისპირებანი, რომლებიც ერთდროულად 1056в
უარიყოფიან, სხვადასხვა გვარებს ეკუთვნიან, ასე რომ, ერთი და
იგივე სუბსტრატი არა აქვთ.

თავი მეექვსე

ანალოგიური დაბრკოლებები ახლავს თან ერთისა და მრავალის
საკითხს. თუ მრავალი უშუალოდ უპირისპირდება ერთს, აქედან
ზოგიერთი შეუსაბამობა გამომდინარეობს: ამ შემთხვევაში ერთი
მცირე გახდება, რადგან მრავალი მცირეს უპირისპირდება. გარდა
ამისა, ორი ბევრი იქნება, რადგან ორმაგი მრავალკეცია და ორიდან
გამომდინარეობს. ასე რომ, ერთი მცირე იქნება, რადგან რის მი-
მართ უნდა იყოს ორი ბევრი, თუ არა ერთისა და მცირეს მიმართ?
რადგან ერთზე უფრო მცირე რაიმე არ არსებობს გარდა ამისა, თუ
არსებობს სიგრძით გრძელი და მოკლე, სიდიდითაც უნდა იყოს
მრავალი და მცირე და ის, რაც მეტია, მრავალიც იქნება და რაც
მრავალია, ის მეტიცაა. თუ მნიშვნელობა არა აქვს ადვილად გან-
საზღვრებად უწყვეტს, მცირეც რაღაც სიმრავლე იქნება. ასე რომ,
ერთიც რაღაც სიმრავლე იქნება, თუმცა პატარა. ეს კი აუცილებე-
ლია, თუ ორი მრავალია ასევე მრავალ საგანზე ვამბობთ, რომ ის
მეტია, მაგრამ უნდა განვასხვავოთ ამათგან წყლის შემთხვევა,
რომელიც შეიძლება მეტი იყოს, მაგრამ არა მრავალი.

დაყოფადზე შემდეგი აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ: ერთი
მხრივ, თუ სიმრავლეს სიჭარბის ხასიათი აქვს ან საერთოდ, ან
რაიმეს მიმართ. ასევე მცირეც სიმრავლეა, მაგრამ ნაკლებობის
თვალსაზრისით, ხოლო რიცხვი მხოლოდ ერთს უპირისპირდება
ერთაა და სიმრავლეს იმავე მნიშვნელობით ვხმარობთ, როგორც
ამბობენ „ერთი“ და „ერთები“ ან „თეთრი“ და „თეთრი საგნები“,
ან „გამოზომილი“ საზომისა და „გაზომვადის“ მიმართ. ასევე ამბო-
ბენ მრავალკეცზე, რადგან ყოველი რიცხვი, როგორც ერთი, ისე
სიმრავლე, ერთით იზომება და უპირისპირდება ერთს და არა მცი-
რეს სიმრავლეა ორიანიც, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც სიმ-
რავლე ჭარბია რაიმეს მიმართ, და არა უბრალოდ, არამედ პირვე-
ლადი სიმრავლის მნიშვნელობით. საერთოდ, ორიანი მცირეა,

რადგან როგორც პირველ სიმრავლეს, მას ნაკლი ახასიათებს. ამი-
ტომაც ანაქსაგორამ არასწორად დაიხია უკან, როდესაც თქვა, რომ
ყველა საგანი ერთნაირად განუსაზღვრელიაო, როგორც სიმრავ-
ლით, ისე სიპატარავით. მაგრამ „სიპატარავის“ მაგივრად „სიმცირე“
უნდა ეთქვა, რადგან ისინი სიპატარავით განუსაზღვრელნი არ
არიან, ხოლო „მცირე“ იწყება არა ერთით, როგორც ზოგიერთი
ამბობს, არამედ ორით.

ერთი და მრავალი ისე უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც
რიცხვებში საზომი და გასაზომი და ამ შემთხვევაშიაც ისე, რო-
გორც რაიმე კონკრეტული რაიმე კონკრეტულს და არა როგორც
რაიმე თავისთავადი რაიმე კონკრეტულს. სხვაგან ჩვენ განვსაზღვ-
რეთ, რომ მიმართება ორი მნიშვნელობით იხმარება: ერთი მხრივ,
როგორც დაპირისპირება, მეორე მხრივ, მაგალითად, როგორც მი-
1057a მართება ცოდნისა შეცნობადისადმი, ე. ი. როგორც რაიმე სხვის
მიმართება ცოდნასთან. ერთი მცირეა რაიმესთან შედარებით, მა-
გალითად, ორთან შედარებით, ამას წინ არა უდგას რა, მაგრამ ის
იმიტომ არაა მცირე, რომ პატარაა, ხოლო სიმრავლე კი რიცხვისა-
თვის რაღაც გვარია. რიცხვი, როგორც სიმრავლე, ერთით იზომება
და როგორღაც უპირისპირდება ერთსაც და რიცხვსაც, მაგრამ არა
როგორც მოპირისპირე, არამედ როგორც ითქვა, მიმართების სახით.
რადგან ერთი ზომაა, მეორე გასაზომი, ამდენად ისინი ერთმანეთს
უპირისპირდებიან; მაგრამ ყოველივე, რაც ერთია, რიცხვი არაა,
მაგალითად, რაიმე განუყოფელი. ასევე ე. წ. ცოდნა შეცნობადის
მიმართ არ იმყოფება ანალოგიურ დამოკიდებულებაში. შეიძლება
გვეფიქრა, რომ ცოდნა არის საზომი, შეცნობადი კი გასაზომი,
საიდანაც გამომდინარეობს, რომ ყოველგვარი ცოდნა შეცნობადია,
მაგრამ ყოველი შეცნობადი ცოდნა არაა, თუმცა ცოდნა შეც-
ნობადით როგორღაც იზომება. რაც შეეხება „სიმრავლეს“, ის არ
უპირისპირდება „მცირეს“ (ამ უკანასკნელს უპირისპირდება „ბევ-
რი“, როგორც „მეტს“ „ნაკლები“) და არც საერთოდ ერთს, არამედ,
როგორცაა ვთქვით, ერთი მხრივ, როგორც დაყოფადი განუყოფელს,
მეორე მხრივ კი, როგორც მიმართება, მაგალითად, ცოდნა და შეც-
ნობადი, და თუ საქმე გვაქვს რიცხვთან, მაშინ საზომი ერთი იქნება.

თავი მეშვიდე

რადგან მოწინააღმდეგე მხარეებს შორის შესაძლებელია რაღაც
შუალედის არსებობა და ზოგს აქვთ კიდევაც ასეთი შუალედი, ამი-
ტომაც აუცილებელია რომ „შუალედი“ მოწინააღმდეგე მხარეთაგან

წარმოსდგეს, რადგან ყველა შუალედი იმავე გვარისაა, რომელთა
შუაც ის მდებარეობს. „შუალედს“ იმას ვუწოდებთ, რადაც გადაიქ-
ცევა პირველად ცვლადი მოვლენა. მაგალითად, თანდათანობით
გადასვლა ყველაზე დაბალი ბგერიდან ყველაზე მაღალზე ხდება
შუალედი ბგერების გავლით. ფერებში კი გადაავლა თეთრიდან შავ-
ზე, ვიდრე შავს მივიღებდით, ხდება თავდაპირველად ალისფერსა
და ნაცრისფერზე გადასვლით. ასევე სხვა შემთხვევებშიც. ერთი
გვარიდან მეორეში გადასვლა კი არ ხდება, და თუ ხდება —
შემთხვევით. მაგალითად, არ ხდება ფერიდან ფორმაზე გადასვლა.
ამრიგად, აუცილებელია, როგორც შუალედი საფეხურების, ისე იმ
მოვლენების არსებობა, რომელთა შორისაც ცვალებადი იმყოფე-
ბა და რომელნიც ერთსა და იმავე გვარს ეკუთვნიან. ყოველი
შუალედი იმყოფება ორ მოწინააღმდეგე მოვლენათა შორის, რად-
გან მხოლოდ ამ დროს ხდება ცვალებადობა. მაშასადამე, შეუძლე-
ბელია შუაში ყოფნა, თუ არა დაპირისპირებულთა შორის. წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ცვალებადობა იქნებოდა არადაპირისპირე-
ბულ მხარეთა შორისაც. სხვადასხვა გვარის მოვლენებს შორის
არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რადგან სწორედ მაშინ გვაქვს
ასეთი ურთიერთობა, როდესაც ერთი მხარის ნებისმიერი ნიშანი
მეორეს ისე ახასიათებს, რომ მათ შუა არაფერი არ იმყოფება.
დანარჩენ დაპირისპირებათაგან ზოგი მიმართებაა, ზოგი ნაკლი, ზო-
გი კი წინააღმდეგობა. იმ მიმართებას, რომელიც არაა დაპირისპი-
რება, არც შუალედი საფეხურები აქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ ის
ერთ გვარს არ ეკუთვნის. მაგალითად, რა უნდა იყოს მოთავსებუ-
ლი ცოდნასა და შეცნობადს შორის? დიდსა და მცირეს კი შუალე- 1057b
დი არა აქვს. ერთსა და იმავე გვარში მოპირისპირე მხარეთა შორის
მყოფი მოვლენები, როგორც დავამტკიცეთ, აუცილებლად, ამავე
წინააღმდეგობათაგან უნდა იყვნენ შედგენილნი, და მათთან უნდა
ჰქონდეთ რაიმე საერთო გვარი, ან არავითარი. და თუ მათ აქვთ
ასეთი გვარი, რომელიც რაღაც პირველია, წინააღმდეგობასთან
შედარებით, მაშინ პირველი განსხვავება ის დაპირისპირება იქნება,
რომელიც ამ გვარის მოპირისპირე სახეებს ჰქმნის, რადგან სახე
არის გვარი და სახეობითი სხვაობა. მაგალითად, თუ თეთრი და
შავი ერთმანეთს უპირისპირდება, ამათგან პირველი ფერი დამაშო-
რებელი იქნება, მეორე კი დამაკავშირებელი. მაშინ ესენი პირველ
წინააღმდეგობას შექმნიდნენ, რადგან წინააღმდეგობრივი განსხვა-
ვება ყველაზე დიდი განსხვავებაა. ყველა სხვა შუალედი საფეხუ-
რიც გვარისა და სახესხვაობისაგან წარმოსდგება. მაგალითად, ის
ფერი, რომელიც თეთრსა და შავს შუა იმყოფება, წარმოდგება

გვარისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში ფერია და რომელიდაც სახესხვაობისაგან, რომელიც პირველი დაპირისპირება არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ან თეთრი იქნებოდა, ან შავი. მაშ ესენი, რომელიც პირველ დაპირისპირებათა შორის იმყოფებიან, რაღაც სხვას წარმოადგენენ და არა პირველ წინააღმდეგობათ, რომელნიც დამაშორებელი და შემაკავშირებელი სახესხვაობანი არიან. მაშასადამე, უნდა გამოვარკვიოთ ის პირველი წინააღმდეგობა, რომელიც გვარის ფარგლებში იმყოფება და რომლისგანაც წარმოსდგება ამ გვარის შუალედი საფეხურები, რადგან აუცილებელია, რომ ერთი და იმავე გვარის ფარგლებში არსებული სახეები შემდგარი იყვნენ მარტივი ელემენტებისაგან, ან თვითონ იყვნენ მარტივნი, ხოლო თვით წინააღმდეგობანი არ შედგებიან ერთიმეორისაგან, ისინი საწყისებია. მათ შუა მოთავსებული კი ან ყველა უნდა იყოს ასეთი, ან არც ერთი. დაპირისპირებულთაგან კი წარმოიშობა რაღაც, რაც ცვალებადობაშია, ვიდრე მიაღწევდეს ის წინააღმდეგობის ერთ, ან მეორე მხარეს და რომელთანაც შედარებით ის შეიძლება იყოს მეტიც და ნაკლებიც, რადგან ის ამ წინააღმდეგობათა შორის არის მოთავსებული. ამრიგად, ყოველი სხვა შუალედიც შედგენილია. ის, რაც ერთზე მეტია და მეორეზე ნაკლები, შედგენილია როგორღაც იმათგან, რომელთაგანაც ის ერთზე მეტია და მეორეზე კი ნაკლები. რადგან არ არსებობს რაიმე, რომელიც ამ წინააღმდეგობაზე ადრე იქნებოდა. ამიტომ ყველაფერი ის, რაც შუაშია მოთავსებული, წინააღმდეგობათაგან არის წარმოშობილი. ასეთია როგორც დაბალი, ისე დაპირისპირებული და შუალედი საფეხურები. ყველა ესენი წარმოშობილი არიან თავდაპირველი წინააღმდეგობებისაგან

რომ ერთი და იმავე გვარის ფარგლებში დაპირისპირებულთა შორის მყოფი დაპირისპირებულთაგანვეა წარმოშობილი, ეს ცხადია.

თავი მერვე

სახით განსხვავებულნი ერთმანეთისგან რაღაცით განსხვავდებიან, რაც ორივე მხარეს უნდა ახასიათებდეს. მაგალითად, თუ ერთი ცხოველი მეორისაგან განსხვავდება სახით, ორივე მაინც ცხოველი უნდა იყოს. ამრიგად, სახით განსხვავებულნი აუცილებლად ერთსა და იმავე გვარში უნდა იმყოფებოდნენ. მე გვარს იმას ვუწოდებ, რაც ორივე მხარეზე ერთნაირად ითქმის, იქნება ის მატერია, თუ
1058a სხვა რამ, და რომლისთვისაც განსხვავებანი შემთხვევითნი არ არიან. ორივე მხარეს არა მარტო საერთო თვისებები ახასიათებს,

მაგალითად, ცხოველობა, არამედ იგივე ცხოველობა თვითეული მხარისათვის განსხვავებულიც არის. მაგალითად, ერთი ცხენია, მეორე ადამიანი, ამიტომ ეს საერთო ამ ორი მხარისათვის სხვადასხვა სახისაა. ერთ შემთხვევაში ეს თავისთავად ასეთი ცხოველია, მეორეში — ისეთი, ე. ი. ერთი ცხენია, მეორე ადამიანი. ეს განსხვავება არის გვარში არსებული განსხვავება. მე ვგულისხმობ თვით გვარში არსებულ იმ განსხვავებას, რომელიც ამ გვარს სხვად გარდაქმნის. ეს იგივე წინააღმდეგობაა, რაც ცხადი ხდება ცდით

ამრიგად, დამტკიცდა, რომ ყველაფერი მოწინააღმდეგე მხარეებად არ დაიშლება წინააღმდეგობას კი ადგილი აქვს ერთსა და იმავე გვარის ფარგლებში, წინააღმდეგობა არის დასრულებული განსხვავება, ხოლო ყოველი განსხვავება რაიმესაგან რაიმეთი განსხვავებას ნიშნავს. მაგალითად, ორივე მხარეს ერთი და იგივე გვარი უნდა ჰქონდეთ. მაშასადამე, ერთი და იმავე კატეგორიის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობა, რომლის მხარეები განსხვავდებიან სახით და არა გვარით, ყველაზე მეტად განსხვავებულნი არიან, რადგან დასრულებული განსხვავება აქვთ და არც ერთდროულად არსებობენ[1]

ამრიგად, წინააღმდეგობა განსხვავებაა, რომელიც არსებობს ერთი გვარის ფარგლებში სახეობრივი განსხვავების სახით და რომლის თვითეული შემადგენელი ნაწილი განუყოფელია[2]. განუყოფელნი ისინი არიან, რომლებიც სახით არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რადგან დაყოფის დროს, ვიდრე განუყოფელ ნაწილაკებს მივაღწევდეთ, შუალედ საფეხურებში წარმოიშობა წინააღმდეგობა ასე რომ, ე. წ. გვარში შემავალი სახეები გვარის მიმართ არც იგივეობრივი არიან და არც განსხვავებული. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მატერია უარყოფით ხდება ნათელი, ხოლო გვარი იმის მატერიაა, რის გვარიც ის არის, მაგრამ არა ჰერაკლიდების გვარის მნიშვნელობით, არამედ როგორც ეს ბუნებაშია[3]. ისინი არ არიან მიმართებაში სხვა გვარის მოვლენებთან, რადგან ამ შემთხვევაში გვარეობრივი განსხვავება გვექნებოდა. ერთ გვარში შემავალი მოვლენები კი გვარით კი არ განსხვავდებიან, არამედ სახით. დაპირისპირება კი იქაა აუცილებელი, სადაც სახესხვაობა გვაქვს. ეს კი ახასიათებთ მხოლოდ ერთი გვარის ფარგლებში მყოფთ.

თავი მეცხრე

აქ შეიძლება წარმოიშვას კითხვა იმის შესახებ, თუ ქალი კაცისაგან რატომ არ განსხვავდება სახით, თუმცა ქალსა და კაცს შორის

განსხვავება წინააღმდეგობის ხასიათს ატარებს. ქალი და კაცი,
როგორც ცხოველი, სახით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან
ეს განსხვავება განეკუთვნება ცხოველს თავისთავად. და არაა ისე
თივე ტიპის განსხვავება, როგორიც არსებობს სითეთრესა და სიშა-
ვეს შორის, არამედ ახასიათებს მამაკაცსა და ქალს, როგორც ცხო-
ველებს. ეს კითხვა უახლოვდება კითხვას იმის შესახებ, თუ წინა-
აღმდეგობა ერთ შემთხვევაში რატომ ჰქმნის სახესხვაობას,
მეორეში კი არა. მაგალითად, ფეხოსანი და ფრთოსანი ქმნის ასეთ
1058b სახესხვაობას, სითეთრე და სიშავე კი არა შესაძლებელია იმიტომ,
რომ აქ ერთ შემთხვევაში გვაქვს გვარისათვის მეტად სპეციფიკური,
მეორეში ნაკლებ სპეციფიკური თვისება. შესაძლებელია იმიტომ,
რომ ერთი მხრივ, გვაქვს ცნება, მეორე მხრივ კი — მატერია. ცნე-
ბის ფარგლებში არსებული წინააღმდეგობები სახეობრივ განსხვა-
ვებას ქმნის, მატერიასთან დაკავშირებული კი არა. ამიტომაც ადა-
მიანის სითეთრე ან სიშავე არ გვაძლევს სახეობრივ სხვაობას, არც
„თეთრი ადამიანი“ განსხვავდება სახით „შავი ადამიანისაგან“, იმ
შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელი ერთი აქვთ, რადგან აქ ადამი-
ანი აღებულია მატერიასთან კავშირში. მატერია კი სახესხვაობას
არ გვაძლევს. არც ადამიანები ჰქმნიან ადამიანის სახეებს, თუმცა
სხვადასხვაა ის ხორცი და ძვლები, რისგანაც შედგება ეს ან ის
ადამიანი. მართალია, მთელი აქ სხვადასხვაა, მაგრამ ის არაა სხვა-
დასხვა სახის, რადგან ეს არაა წინააღმდეგობა ცნებაში ეს უკანასკ-
ნელი დაუნაწევრებელია მაშინ, როდესაც კალიასი მატერიასთან
დაკავშირებული ცნებაა და ადამიანიც იმიტომაა თეთრი, რომ კა-
ლიასი თეთრია. ამრიგად, ადამიანი შემთხვევითაა თეთრი და არც
სპილენძის ან ხის სფეროა სხვადასხვა სახის, ხოლო სპილენძის
სამკუთხედი და ხის სფერო სხვადასხვა სახისაა. სპილენძის
სამკუთხედი და ხის სფერო მატერიით კი არ განსხვავდებიან
ერთმანეთისაგან, არამედ ცნებაში მოცემული წინააღმდეგობით.
ამრიგად, ჰქმნის თუ არა მატერიალური განსხვავება სახეობრივ
განსხვავებას? რატომაა, რომ ეს ცხენი ამა და ამ ადამიანისაგან სა-
ხით განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მატერიასთან ერ-
თად ცნებებიც საერთო აქვთ. იქნება იმიტომ, რომ წინააღმდეგობა
ცნებაში აქვთ? თეთრი ადამიანი და შავი ცხენი ერთმანეთისაგან
სახით განსხვავდებიან და არა იმით, რომ ერთი თეთრია და მეორე
შავი. ორივე რომ თეთრი ყოფილიყო, ისინი მაინც სხვადასხვა სა-
ხისა იქნებოდნენ. კაცი და ქალი ცხოველებისათვის დამახასიათებე-
ლი თვისებებია, მაგრამ არა როგორც არსებითი, არამედ მატერია-

ლური და სხეულებრივი. ამიტომაც ერთი და იგივე თესლი გარ-
კვეული ცვლილების შედეგად შეიძლება კაციდან ქალად იქცეს.
თუ რას ნიშნავს სახეობრივი განსხვავება და რატომ განსხვავ-
დებიან ერთნი სახით, მეორენი კი არა, ამის შესახებ უკვე ვთქვით.

თავი მეათე

რადგან დაპირისპირებულნი სახით განსხვავდებიან და მოკვდავი
უკვდავს უპირისპირდება (უუნარობა ხომ განსაზღვრული ნაკლია),
ამიტომ აუცილებელია, რომ მოკვდავი და უკვდავი სხვადასხვა გვა-
რისა იყვნენ. ამჟამად მათ შესახებ ზოგადი ცნებები ვიხმარეთ,
ამიტომ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ არაა აუცილებელი, რომ
უკვდავი და მოკვდავი სხვადასხვა სახისა იყვნენ, როგორც არ არის
ეს აუცილებელი „შავი“ და „თეთრისათვის“. რადგან, როდესაც
ქმე ზოგადს ეხება, შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ერთსა
და იმავე დროს ორივე იყოს მაგალითად, ადამიანი შეიძლება იყოს
თეთრიც და შავიც და ასეთივე იყვნენ ცალკეული ადამიანებიც,
თუმცა არა ერთდროულად, მიუხედავად ამისა, თეთრი უპირისპირ-
ება, შავი, საწინააღმდეგო ნიშანი ზოგიერთ მოვლენას შემთხვევით
ახასიათებს, როგორც ახლახან თქმული, ისე სხვა მრავალი, ზოგან
კი ეს შეუძლებელია მაგალითად, მოკვდავი და უკვდავი, რადგან არც
ერთი საგანი შემთხვევით არაა მოკვდავი შემთხვევითი თვისებები 1059a
შეიძლება საგანს არ ახასიათებდეს, ხოლო მოკვდაობა კი მოვლენას
აუცილებლად ახასიათებს. თუ შესაძლებელი იქნება, რომ მოვლე-
ნას მოკვდაობა არ ახასიათებდეს, მაშინ ერთი და იგივე იქნება
მოკვდავიცა და უკვდავიც თვითეული წარმავალი საგანი კი ან
თვითონაა მოკვდავი, ან არსებაში აქვს ეს თვისება. იგივე ითქმის
უკვდავის შესახებაც, რადგან ორივე საგანთა აუცილებელი თვისე-
ბებია ისინი, რომლებსაც ეს პირველი წინააღმდეგობა ახასიათებთ,
წინააღმდეგობა მოკვდავისა და უკვდავისა, აუცილებლად სხვადა-
სხვა გვარს ეკუთვნიან ოღონდ არ შეიძლება არსებობდნენ ისეთი
იდეები, როგორც ზოგიერთი ამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში
იარსებებდა, როგორც მოკვდავი, ისე უკვდავი ადამიანი. მიუხედა-
ვად ამისა, იდეები და საგნები სახით იგივეობრივი უნდა იყვნენ და
არა სახელით, ამბობს ზოგიერთი. თუმცა გვარით განსხვავებულნი
უფრო მეტად განსხვავებულნი არიან, ვიდრე სახით განსხვავებულნი.

წიგნი მეთერთმეტე

თავი პირველი

რომ სიბრძნე არის რაღაც მეცნიერება საწყისების შესახებ, [illegible] შესახებ სხვა მოაზროვნეთა თეორიებს. კითხვა ეხება იმას, სიბრძნე [illegible]

[illegible] შემდეგ, ეხება ის ყველა სუბსტანციას თუ არა? თუ არ ეხება [illegible]

[illegible] მათ ადგილი უძრავ [illegible] შორის.

საერთოდ, სიძნელეს წარმოადგენს კითხვა იმის შესახებ, საკვლევ

[illegible] შეგრძნებად საგნებს [illegible] თუ სხვა რამეს? თუ 1059b

[illegible] თუ მათემატიკური მოვლენები? [illegible] მათ არსებობას [illegible] მოვლენებშიც [illegible] მათემატიკურ მოვლენებს. [illegible]

[illegible] მივიღებთ, რომ ეს კვლევა პირველმა ფილოსო- [illegible]

[illegible] მაშინ მათი სახეები აუცილებლად უნდა ეზია- [illegible] დავუშვებთ, [illegible] არ ეხებიან [illegible] მათ სხვადასხვაობანი კი [illegible] ერთ გვარს არ [illegible] როგორც ჩანს, არ უნდა დავუშვათ, რომ ისინი გვარები [illegible]

ან საწყისები იყვნენ. გარდა ამისა, თუ საწყისი არის უფრო მეტად მარტივი ვიდრე ნაკლებ მარტივი და გვარის შიგნით ყველაზე მარტივია ყველაზე უკანასკნელი სახე, რომელიც დაუყოფელია (გვარები ხომ მრავალ განსხვავებულ სახეებად დაიყოფებიან), ამიტომ
1060a გვარებზე უფრო მეტად სახეები უნდა ჩავთვალოთ საწყისად, მაგრამ სახეები ისპობიან გვარებთან ერთად. ამიტომაც, გვარები უფრო მეტად წააგავენ საწყისებს, რომლის მოსპობასთან ერთად ისპობა სხვაც. ასეთია ეს სიძნელეები, მაგრამ ამათ გარდა უნდა არსებობდეს ასეთი ხასიათის სხვა სიძნელეებიც.

თავი მეორე

საძიებელი მეცნიერება ეხება იმას, რომ საჭიროა თუ არა კონკრეტული საგნების[1] გარდა, რომელნიც[2] ურიცხვნი არიან, სხვა რამის დაშვება? კონკრეტული საგნების გარდა არსებობენ გვარები და სახეები, მაგრამ საძიებელი მეცნიერება არ ეხება არც ერთ მათგანს. თუ რატომ არ ეხება, ამის შესახებ უკვე ვთქვით, საერთოდ, საკითხავია, უნდა დავუშვათ თუ არა რაიმე სუბსტანცია, შეგრძნებადი და მიწიერი სუბსტანციების გარდა, თუ მხოლოდ ესენი[3] არსებობენ და მათ სიბრძნე შეისწავლის? როგორც ჩანს, საძიებელია რაღაც სხვა და ესაა ჩვენი მიზანი. მე ვგულისხმობ იმის გარკვევას, არსებობს თუ არა რაღაც თავისთავადი და დამოუკიდებელი, რომელიც არც ერთ შეგრძნებად საგანში არაა მოცემული. შემდეგ, შეგრძნებადი არსებების გვერდით არის თუ არა რაღაც სხვა არსება, და თუ არის, რომელი შეგრძნებადი საგნების გვერდით უნდა მოვათავსოთ ის, ადამიანთა, ცხენთა, სხვა ცხოველთა, თუ საერთოდ უსულოთა გვერდით? შეგრძნებადი და მოკვდავი სუბსტანციების გვერდით მათივე რაოდენობის სხვა მარადიული სუბსტანციების დაშვება, ჩანს, სცილდება გონიერების ფარგლებს. თუ ამჟამად საძიებელი საწყისი არაა დაცილებული სხეულებს, მაშინ სხვა რა უნდა იყოს ასეთი, თუ არა მატერია, რომელიც არსებობს არა რეალობაში, არამედ შესაძლებლობაში მაგრამ მასზე უფრო მეტად საწყისად შეიძლება მიგვეჩნია სახე და ფორმა. ესენი კი წარმავალნი არიან[4]. ასე რომ, საერთოდ, არ არსებობს მარადიული, დამოუკიდებელი და თავისთავადი სუბსტანცია, რადგან ეს შეუსაბამობა იქნებოდა

როგორც ჩანს, დაახლოებით ასეთ სუბსტანციას და საწყისს ეძებდნენ ყველაზე განათლებულნი[5], რადგან როგორ იარსებებდა წესრიგი, თუ არ იქნებოდა არაფერი მარადიული, დამოუკიდებე-

ლი და მდგრადი? ამას გარდა, თუ არსებობს რაღაც ასეთი სუბსტანცია და ისეთი ბუნების საწყისი, როგორსაც ჩვენ ვეძებთ, და ისაა ერთი ყველასათვის როგორც მარადიული, ისე წარმავალი მოვლენებისათვის. მაშინ დაბრკოლებას წარმოადგენს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომაა ერთი და იგივე საწყისიდან წარმოშობილი ნაწილი მარადიული და ნაწილი კი არამარადიული, რაც შეუსაბამობაა. მაგრამ თუ სხვა საწყისი აქვს წარმავალს და სხვა მუდმივს და თუ წარმავალთა საწყისიც მარადიულია, მაშინ წარმოიშობა ანალოგიური დაბრკოლება, რომ მარადიული საწყისიდან წარმოშობილნი, რატომ არ არიან მარადიულნი? თუ საწყისი წარმავალია, მაშინ მას სხვა საწყისი დასჭირდება, ამ უკანასკნელს - სხვა საწყისი და ასე შემდეგ, დაუსრულებლად მაგრამ თუ არსებული და ერთი, რომელნიც უძრავნი არიან და არ წარმოადგენენ კონკრეტულ საგანს, მივიჩნიეთ საწყისად, როგორ იქნებოდნენ ისინი განცალკევებულნი და თავისთავადნი? ჩვენ კი ასეთ მუდმივ და პირველ საწყისთ ვეძებთ მაგრამ თუ თვითეული საწყისი წარმოადგენს 1060b
კონკრეტულ საგანს და სუბსტანციას, მაშინ ყოველი არსებული სუბსტანცია იქნებოდა ყოველივეს შეიძლება ვუწოდოთ არსებული, ზოგს ერთიც კი, მაგრამ ყველაფერის სუბსტანციად ჩათვლა შეცდომა იქნებოდა.

შემდეგ, ისინი, რომლებიც პირველ საწყისად ერთს იღებენ და მას სუბსტანციად თვლიან, ხოლო ერთისა და მატერიიდან პირველ რიცხვს[8] აწარმოებენ რომელსაც არსებას უწოდებენ, ამ შემთხვევაში როგორღა იქნება ჭეშმარიტი ყოველივე მათ მიერ თქმული? ან როგორ შეიძლება ერთად ჩავთვალოთ ორიანი და ყველა დანარჩენი რთული რიცხვი, ამის შესახებ ისინი არც არაფერს ამბობენ და არც ადვილია ამის თქმა.

და თუ ვინმე საწყისად თვლის[6] ხაზებს ან იმას, რაც მათ მოსდევს (მე ვგულისხმობ პირველად სიბრტყეებს)[7], ესენი დამოუკიდებელი სუბსტანციები კი არ არიან, არამედ ან ნაწილები, ან დანაყოფები: პირველნი — სიბრტყეთა, მეორენი — სხეულთა, ხოლო წერტილები — ხაზებისა, ესენი ხომ მათი საზღვრებია. ყველა ესენი სხვაში არსებობენ და არც ერთი მათგანი არაა დამოუკიდებელი გარდა ამისა, როგორ უნდა ჩავთვალოთ სუბსტანციებად ერთი და წერტილი, რადგან ყოველგვარი სუბსტანცია წარმოიშობა, წერტილი კი არა, ის ხომ დანაყოფია.

დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ყოველგვარი ცოდნა ზოგადის და თვისებების ცოდნაა, სუბსტანცია კი არის არა ზოგადი, არამედ კონკრეტული და დამოუკიდებლად არსებული

საგანი ამრიგად, თუ ცოდნა არის საწყისების ცოდნა, როგორ უნდა დავუშვათ, რომ საწყისი სუბსტანციაა?

შემდეგ, არსებობს თუ არა მთელის გარდა რაიმე (მე ნაგულისხმევი მაქვს მატერია და ის, რაც მის შემდეგაა), თუ არ არსებობს, მაშინ ყოველი მატერიალური წარმავალი იქნებოდა. და თუ არსებობს რაიმე, ეს იქნებოდა სახე და ფორმა, მაგრამ თუ რომელ საგნებს აქვთ ის და რომელს არა, ამის დადგენა ძნელია. ცხადია ის, რომ ფორმას ზოგან არა აქვს დამოუკიდებლობა (მაგალითად, სახლის ფორმა). შემდეგ, საწყისები სახით არიან ერთი, თუ რიცხვით? თუ რიცხვით არიან ერთი, მაშინ ყოველივე ერთი გახდებოდა.

თავი მესამე

ფილოსოფიის ობიექტია არსებული, როგორც ზოგადი და არა არსებულის ნაწილები. არსებულს კი მრავალი მნიშვნელობა აქვს, თუ არსებულთ მარტო სახელი აქვთ საერთო და სხვა არაფერი, მაშინ ისინი ერთი მეცნიერების საგანი ვერ იქნებოდნენ, რადგან მათ ერთი გვარი არ ექნებოდათ. ისინი იმ შემთხვევაში იქნებიან ერთი მეცნიერების ობიექტი, თუ რაღაც საერთო ექნებათ. როგორც ჩანს, ეს იმასვე ნიშნავს, რაც ჩვენ უკვე ვთქვით მედიცინისა და ჯანმრთელობის შესახებ. ამათაც მრავალი მნიშვნელობა აქვთ,
1061a მაგრამ ამათგან ერთი ნაწილი როგორღაც დაიყვანება მედიცინაზე, მეორე კი ჯანმრთელობაზე. ყველა დანარჩენი კი რაღაც ერთზე. „სამედიცინო" ეწოდება, როგორც მეცნიერებას, ისე დანას. პირველი სამედიცინო ხელოვნების ცოდნიდან გამომდინარეობს, მეორე კი მისთვისაა გამოსაყენებელი. ასევეა ჯანმრთელობის შემთხვევაშიც. მეორე, როგორც ჯანმრთელობის საშუალება, პირველი, როგორც მისი შემოქმედი.

ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენ შემთხვევებშიაც. ასევე ეწოდება ყოველივე დანარჩენს არსებული. არსებულია ის, რაც არსებობს ან როგორც თვისება, ან ქონება, ან მდგომარეობა, ან მოძრაობა, ან სხვა ამდაგვარი, რასაც არსებულის მნიშვნელობა აქვს, რადგან ყოველი არსებული დაიყვანება ან ერთზე, ან ზოგადზე. ასევე წინააღმდეგობის ყოველი მხარე შეიძლება დაყვანილ იქნას არსებულის პირველ განსხვავებასა და წინააღმდეგობაზე, ან ერთსა და სიმრავლეზე, ან მსგავსებასა და განსხვავებაზე, რაც არარსებულის პირველი განსხვავებაა, ან სხვა რამეზე. ყველაფერი ეს კი უკვე განვიხილეთ. არავითარი განსხვავება არაა, დავიყვანთ არსებულს არსზე თუ ერთზე. თუ ეს ერთი და იგივეა და არა-

[illegible], მაშინ შეიძლება მათი გაიგივება, რადგან ერთი როგორღაც არარსებულიცაა, ხოლო არსებული ერთია.

რადგანაც ყოველგვარი წინააღმდეგობანი, ერთი და იმავე მეცნიერების ობიექტი, თვითეულ მათგანზე მსჯელობა შეიძლება როგორც ნაკლზე. მაგრამ ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ვიმსჯელოთ ნაკლზე, რომელსაც როგორღაც რაღაც შუა საფეხური უკავია როგორც მაგალითად, სამართლიანსა და უსამართლოს შორის. ყველა ამდაგვარის შესახებ უნდა დავუშვათ არსებობა ნაკლისა, მაგრამ არა მთელი ცნების მიმართ, არამედ უკანასკნელი სახის მიმართ. მაგალითად, თუ სამართლიანია კანონების ერთგული, უსამართლო ის კი არ იქნება, ვინც სრულიად არაა კანონების ერთგული, არამედ ის, ვინც ნაწილობრივაა ასეთი, რადგან ნაკლიც როგორღაც არსებობს. ასევე სხვა შემთხვევაშიც. როგორც მათემატიკოსი იკვლევს გამოკლების მეთოდით, სახელდობრ ყველა შეგრძნებადი თვისებების გამოკლების გზით. როგორიცაა სიმძიმე, სიმსუბუქე, სიმკვრივე და მათი საპირისპირო, შემდეგ, სითბოს, სიცივის და სხვა დაპირისპირებული შეგრძნებების გამოტოვების გზით და იტოვებს მარტო რაოდენობას და უწყვეტობას, ერთს როგორც უწყვეტს ერთი მიმართულებით, მეორეს — ორი მიმართულებით, მესამეს — სამი მიმართულებით. [illegible] მათ თვისებებს, რომლებიც რაოდენობას და უწყვეტობას წარმოადგენენ [illegible] სხვა რამეს არ აქცევს ყურადღებას, არამედ ზოგან იკვლევს მათს ერთმანეთთან მიმართებას და იმას, რაც მათ ახასიათებთ, სიმეტრიას, ასიმეტრიას და მათ მიმართებას. 1061b
მაგრამ ყველა ამათ ჩვენ ვაკუთვნებთ ერთ მეცნიერებას, სახელდობრ, გეომეტრიას.

ასეთივე მდგომარეობაა არსებულშიც. არსებულის შემთხვევითი ნიშნებიც, რომელიც მას მიეწერება და მისთვის, როგორც არსებულისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, არის ფილოსოფიის და არა სხვა მეცნიერების საგანი, ხოლო ფიზიკის საგანს ის შეადგენს არა იმდენად რამდენადაც ის არსებობს, არამედ რამდენადაც მოძრაობს. დიალექტიკა და სოფისტიკა კი არსებულის შემთხვევით ნიშნებს ეხებიან, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობენ და არც თვით არსებულს ეხებიან, რამდენადაც ის არსებობს.

ამრიგად, მივიღეთ, რომ ფილოსოფიის საკვლევი უნდა იყოს არსებული, რამდენადაც ის არსებობს. მაგრამ ყოველ არსებულს, როგორც ერთსა და ზოგადს, მრავალი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ასევეა დაპირისპირებათა შემთხვევაშიც, რადგან ისინი დაიყვანე-

ბიან არსებულის პირველ წინააღმდეგობასა და განსხვავებაზე. ასეთი მოვლენები კი შეიძლება იყვნენ ერთი მეცნიერების ობიექტები. ამგვარად, მოიხსნება ის დაბრკოლება, რომელზეც ნათქვამი გვქონდა თავდაპირველად. მე მხედველობაში მაქვს კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ერთი მეცნიერის საგანი იყოს არსებულის მრავალი და განსხვავებული გვარი.

თავი მეოთხე

რადგანაც მათემატიკოსი ზოგადი ცნობებით თავისებურად სარგებლობს, ამიტომ მათი საწყისების კვლევაც პირველი ფილოსოფიის საქმე უნდა იყოს. თუ ტოლ სიდიდეებს ტოლ სიდიდეს გამოვაკლებთ, ნაშთი ტოლი დაგვრჩება. ეს დებულება საერთოა ყველა რაოდენობისათვის მათემატიკა კი იკვლევს სახლის მატერიის რომელიმე ნაწილს, როგორიცაა ხაზები, კუთხეები, რიცხვები, ან სხვა რაიმე რაოდენობრივ მხარეს. არა რამდენადაც არსებობენ ისინი, არამედ რამდენადაც უწყვეტნი არიან ერთი, ორი ან სამი მიმართულებით. ფილოსოფია კი არ იკვლევს მათ ნაწილებს, ან თვითეული მათგანის შემთხვევით თვისებებს, არამედ იკვლევს არსებულს, როგორც ასეთს. მათემატიკასთან საერთო მეთოდი აქვს აგრეთვე ბუნებისმეტყველებას. ბუნებისმეტყველება სწავლობს შემთხვევით მოვლენებს და არსებულის საწყისებს, რამდენადაც ისინი მოძრაობაში იმყოფებიან და არა იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობენ. პირველ მეცნიერებას ჩვენ ვუწოდებთ იმას, რომლის მიხედვით არსებული არის სუბსტრატი და არა სხვა რაიმე. ამიტომაც, როგორც ბუნებისმეტყველება, ისე მათემატიკა, სიბრძნის ნაწილებად უნდა ჩავთვალოთ.

თავი მეხუთე

არსებულ მოვლენებს აქვთ რაღაც საწყისი, რომლითაც შეცდომის დაშვება შეუძლებელია, მაგრამ საწინააღმდეგო შედეგია, ე. ი. ჭეშმარიტების მიღება კი ყოველთვის შესაძლებელი. ეს დებულება შემდეგში მდგომარეობს: შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე
1062a ერთსა და იმავე დროს იყოს და არც იყოს და ასევე ყველა სხვა
შემთხვევაში, რაც ასევე უპირისპირდება თავის თავს ზოგად დებულებებს მტკიცება არც ესაჭიროებათ, ეს ესაჭიროება კონკრეტულ დებულებებს[1], რადგან შეუძლებელია ამაზე უფრო სარწმუ-

ნო წანამძღვრების არსებობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა
დასკვნა. მათი არსებობა[2] კი საჭირო იქნებოდა მარტივი დასაბუთე-
ბისას ხოლო ვინც ერთდროულად საწინააღმდეგო დებულებებს
გამოთქვამს, უნდა დავუმტკიცოთ, რომ ის სცდება, როდესაც ამას
ამტკიცებს, რადგან შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ერთი და
იგივე იყოს და არც იყოს ასეთი. ამგვარად, მას უნდა დავუმტ-
კიცოთ მცდარობა დებულებისა, რომ ერთსა და იმავე მიმართებაში
საწინააღმდეგო აზრები შეიძლება ჭეშმარიტნი იყვნენ იმათ კი,
რომლებსაც სურთ ერთმანეთთან მსჯელობა, ერთიმეორისა რამდე-
ნადმე მაინც უნდა ესმოდეთ. რადგან ეს რომ არ იყოს, როგორ
იქნებოდა შესაძლებელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა? საჭიროა ყო-
ველი სიტყვა როგორღაც გასაგები იყოს და ცხადი და ერთი
სიტყვა ერთის ნიშანი იყოს და არა ბევრის ის რომ ბევრზე მიუთი-
თებდეს, საჭირო იქნებოდა იმის ნათელყოფა, თუ რაზე მიუთითებს
ეს სიტყვა. ხოლო ის, ვინც ამბობს, რომ ერთი და იგივე არის და
არც არის, ის უარყოფს თავის ნათქვამს. რადგან ამბობს, რომ ეს
სიტყვა არ ნიშნავს იმას, რასაც ნიშნავს, რაც შეუძლებელია. ამრი-
გად, „ეს“ თუ რაღაცის არსებობას ნიშნავს, ამის საწინააღმდეგო
დებულება ჭეშმარიტი აღარ იქნება გარდა ამისა, თუ სიტყვა
რაღაცას ნიშნავს და ეს ჭეშმარიტია, ეს აუცილებლად ასე უნდა
იყოსო[3]. ხოლო ის, რაც აუცილებლად არსებობს, შეუძლებელია რო-
დისმე არ არსებობდეს. მაშასადამე, დაპირისპირებული დებულე-
ბანი, მტკიცება და უარყოფა ერთსა და იმავე მიმართებაში არ
შეიძლება ჭეშმარიტი იყოს

გარდა ამისა, თუ მტკიცება არაა უფრო მეტად ჭეშმარიტი,
ვიდრე უარყოფა, ის, ვინც ამბობს, რომ ეს „ადამიანიაო“, ვერ
იტყვის იმაზე მეტ ჭეშმარიტებას, ვიდრე ის, ვინც ამბობს, რომ
ის „არაა ადამიანიო“. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ის, ვინც
ადამიანზე ამბობს, რომ „ის არაა ცხენი“ ან უფრო მეტ, ან არა-
ნაკლებ ჭეშმარიტებას ამბობს ვიდრე ის, ვინც ამბობს. რომ „ის
არაა ადამიანი“. ასე რომ, ისიც სწორი იქნება, ვინც ამბობს, რომ
„ეს ცხენიაო“, რადგან მოპირისპირე დებულებანი ჭეშმარიტი
არიან. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე არის რო-
გორც ადამიანი, ისე ცხენი და სხვა რაიმე ცხოველი მაგრამ არც
ერთი ამ დებულების დამტკიცება არაა ადვილი და ისინი მიმართუ-
ლი არიან იმათ წინააღმდეგ ვინც ზემოთქმულს ამტკიცებდა
წარმატებით შეიძლებოდა, რომ თვით ჰერაკლიტესაც კი გვაიძულე-
ბია, კითხვა-პასუხის მეთოდით დაედასტურებია, რომ არასოდეს
არ შეიძლება საწინააღმდეგო დებულებანი ერთს მიმართებაში

ჭეშმარიტნი იყვნენ. ახლა კი წამოაყენა ისეთი დებულება, რომ [illegible] ამბობს. საერთოდ კი, თუ ერთსა და იმავე საგანზე გამოთქმული ყველა შეხედულება ჭეშმარიტია,
1062ა [illegible] იქნებოდა ჭეშმარიტი დებულება იმის შესახებ, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე შეიძლება იყოს და არც იყოს, რადგან ამ დებულების თვითეული ნაწილი, მტკიცება იქნება ის, თუ უარყოფა, ერთიმეორეზე მეტ-ნაკლებად არ არის ჭეშმარიტი. ასევე ორივე ერთად აღებული და შერწყმული ისე, თითქოს რაღაც ერთ მტკიცებას წარმოადგენენ, არ იქნებოდა უფრო მეტი [illegible] ჭეშმარიტი [illegible], თუ ჭეშმარიტად არაფერის მტკიცება არ შეიძლება, მაშინ იმის თქმაც შეცდომა იქნებოდა, რომ მტკიცებაში არავითარი ჭეშმარიტება არაა. მაგრამ, თუ მტკიცებაში [illegible] ჭეშმარიტება, მაშინ იოლდება [illegible] წამოყენებული დებულება, რომლითაც ისინი აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებას სპობენ.

თავი მეექვსე

ზემოთქმულს უახლოვდება პროტაგორას დებულება იმის შესახებ, რომ ყველა საგნის ზომა ადამიანია [illegible] ნიშნავდა, თუ არა იმას, რომ, რაც თვითეულს გვეჩვენება, ის სინამდვილეში ასეთივე არის. თუ ასეა, აქედან გამომდინარეობს როგორც ის, რომ ერთი და იგივე არსებობს და არც არსებობს, კეთილიცაა და ბოროტიც, აგრეთვე სხვა ერთიმეორისადმი დაპირისპირებული დებულებანი [illegible], რაც ხშირად ერთს ლამაზად ეჩვენება, მეორეს, პირიქით, რადგან თვითეულისათვის საზომი [illegible] წარმოადგენს [illegible], ვინც გამოიკვლევდა, თუ საიდან მომდინარეობს ამ შეხედულებათა საწყისი, გადაწყვეტდა ამ დაბრკოლებასაც. ზოგს ჰგონია, რომ ის ბუნებისმეტყველთა შეხედულებებიდანაა წარმოშობილი, ზოგს კი იქიდან, რომ ერთსა და იმავე მოვლენებზე ყველას ერთი და იგივე შეხედულება არა აქვს, არამედ ზოგს ის ტკბილი ჰგონია, ზოგს კი ამის საწინააღმდეგო. მაგრამ დებულებას იმის შესახებ, რომ არარსებულიდან არაფერი არ წარმოიშობა, არამედ ყველაფერი წარმოიშობა არსებულიდან, თითქმის ყველა ბუნებისმეტყველი იზიარებს. რადგან თეთრი არ წარმოიშვება იქიდან, რაც სავსებით თეთრია და არც არათეთრიდან, [illegible] თეთრი კი არათეთრიდან უნდა წარმოიშვას. ამრიგად, ამ თვალსაზრისით მიხედვით ის არარსებულიდან უნდა იყოს წარმოშობილი, თუ ერთი და იგივე არ იქნება თეთრი და არათეთრი.

მაგრამ ამ სიძნელეებისათვის თავის დაღწევა ძნელი არაა. თხზულებაში ფიზიკის შესახებ ნათქვამი გვაქვს, თუ როგორ ხდება წარმოშობა არსებულიდან და როგორ — არარსებულიდან. მაგრამ ერთნაირი მნიშვნელობის მიწერა ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებისა და ფანტაზიებისათვის უაზრობა იქნებოდა, რადგან, 1063a
ცხადია, რომ ერთ-ერთი მხარე მცდარი უნდა იყოს, რასაც შეგრძნებებიც ცხადყოფენ. ერთი და იგივე არასოდეს არ ეჩვენება ერთს ტკბილად და მეორეს მწარედ, თუ ერთ-ერთმა მხარემ არ დაკარგა, ან არ დაიზიანა ზემოთქმული გემოს შეგრძნების ორგანო და კრიტერიუმი. თუ ეს ასეა, ერთი მხარე უნდა მივიჩნიოთ საზომად, მეორე კი არა. იგივე უნდა ითქვას კეთილისა და ბოროტის, მშვენიერის და მახინჯის და სხვა ამგვარის შესახებ. ეს არაფრით არ განსხვავდება იმისაგან, როდესაც ვინმე თითს აჭერს თვალს და ერთის მაგიერ ორი [illegible] ეჩვენება და რადგან ორად იჩვენება, ამიტომ ორიც უნდა იყოს სინამდვილეში და ერთიც. ხოლო ვინც მხედველობის ორგანოს ასე არ მოექცევა, მას ერთი ერთად ეჩვენება. საერთოდ კი, უაზრობაა, რომ მიწიერი მოვლენების მიხედვით, რომლებიც იცვლებიან და არასოდეს არ რჩებიან ერთსა და იმავე მდგომარეობაში, გვემსჯელა ჭეშმარიტების შესახებ. მუდამ კი საჭიროა, რომ ვიპოვოთ ჭეშმარიტება იმათგან, რაც თავის თავადია და არასოდეს არ იცვლება. ასეთი კი არიან კოსმიური მოვლენები. ისინი არ გვეჩვენებიან ხან ისეთად და ხან ასეთად, არამედ მუდამ იგივეობრივნი არიან და არ ემორჩილებიან არავითარ ცვალებადობას. შემდეგ, თუ არსებობს მოძრაობა და რაღაც მოძ[illegible]ვე, ამიტომ კვლავ[illegible] იმიდან რამესაკენ უნდა მოძრაობდეს.

ამიტომაც მოძრავი უნდა იყოს კიდეც იქ, საიდანაც ის იწყებს მოძრაობას და არც უნდა იყოს, ხოლო საითკენაც მოძრაობს, იქ ის მომავალში იქნება. ამრიგად, საწინააღმდეგო მტკიცებანი ერთი და იმავე მოვლენის შესახებ ერთდროულად ჭეშმარიტი ვერ იქნება, თუ აქაური საგნები რაოდენობის მიხედვით განუწყვეტლივ დინებასა და მოძრაობაში იმყოფებიან. მაგრამ ვინც ამას ამტკიცებს, კერძოდ ის იტყოდა ჭეშმარიტებას, რადგან რატომ არ ტოვებს მათ თვისობრიობის მიხედვით უცვლელად? მაგრამ როგორც ჩანს, გამომდინარენი იქიდან, რომ სხეულთა რაოდენობა უცვლელი არ რჩება, უშვებენ წინააღმდეგობას და იღებენ შედეგად, რომ ერთი და იგივე [illegible] წყრთის სიგრძისა [illegible] თვისობრივი თვალსაზრისით. განსაზღვრული ბუნებისაა, რაოდენობით კი განუსაზღვრელი. ამას გარდა, რატომ ხდება, რომ როცა ექიმები ამა თუ იმ საკვებს ურჩევენ ადამიანებს, ისინი აუცილებ-

ლად სარგებლობენ მით. რატომ უნდა იყოს, ან არ უნდა იყოს ის ყველაზე უფრო მეტად პური? იქნება არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შევჭამდით მას თუ არა. ამჟამად კი სარგებლობენ ამ საკვებით ისე, თითქოს იცოდნენ მის შესახებ ჭეშმარიტება. მაგრამ ეს არ უნდა გაგვეკეთებია, თუ შეგრძნებად მოვლენებს არა აქვთ რაიმე მყარი ბუნება, არამედ მუდმივ მოძრაობასა და დინებაში იმყოფებიან. გარდა ამისა, თუ თვით ჩვენც ყოველთვის ვიცვლებით და არასოდეს არ ვჩერდებით, საკვირველია, რომ არასოდეს ის არ
1063ბ გვეჩვენება, რაც ავადმყოფებს, რომლებიც ისევე არ იმყოფებიან უცვლელ მდგომარეობაში, როგორც ჯანმრთელები და გრძნობადი საგნები, არც მათ ეჩვენებათ ერთნაირად. თუმცა გრძნობადი საგნები არ მონაწილეობენ არც ერთ ამ ცვალებადობაში. ისინი ავადმყოფობისას მაინც სხვა შეგრძნებებს იწვევენ და არა იმასვე, თუმცა აუცილებელია, რომ ზემოთქმულ ცვალებადობათ იგივე შედეგები გამოეწვიათ. მაგრამ თუ ჩვენ არ ვიცვლებით, არამედ იგივე ვრჩებით, უნდა არსებობდეს რაღაც უცვლელი.

ამ მოძღვრების მიმდევართათვის ადვილი არაა იმ სიძნელეების გადაწყვეტა, რაც აქედან გამომდინარეობს, თუ არ დაუშვებენ რაღაცას, რაც არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებს და საიდანაც იღებს ყოველივე აზრსა და დასაბუთების შესაძლებლობას. ისინი კი არ უშვებენ რა არაფერს მყარს, სპობენ მსჯელობასა და საერთოდ, აზროვნებას. ამიტომ მათთან შეუძლებელია მსჯელობა. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ასეთ სიძნელეებში ჩავარდნილთათვის ადვილი იქნება პასუხის გაცემა, თუ ისინი ამ სიძნელეების გამომწვევ მიზეზებს გაიგებენ.

აქედან ცხადია, რომ ერთსა და იმავე საგანზე ერთსა და იმავე დროს თქმული საწინააღმდეგო დებულებანი ჭეშმარიტი არ უნდა იყოს. ასევეა იქაც, სადაც წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს გამორიცხავს. ეს ცხადი გახდება, თუ საწინააღმდეგო ცნებებს საწყისზე დავიყვანთ.

ასევე არც შუალედი ცნებები შეიძლება ერთდროულად გამოითქვას ერთსა და იმავე საგანზე. როდესაც საგანი თეთრია, სცდება ის, ვინც მასზე ამბობს, რომ ის არაა არც შავი, არც თეთრი, რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ ის არის და არც არის თეთრი. ამ ორი დაკავშირებული მსჯელობიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია, ზემოთქმული კი თეთრს უარყოფდა. არც ჰერაკლიტეს შეხედულებაა ჭეშმარიტი და არც ანაქსაგორასი, რადგან ამ შემთხვევაში მივიღებდით, რომ ერთსა და იმავეზე საწინააღმდეგო აზრის თქმა შეიძლება, რადგან როდესაც ამბობენ, რომ ყველაფერში არის

ყველაფრის ნაწილი, მაშინ რაიმე არა ნაკლებ ტკბილია, ვიდრე მწარე ან სხვა ნებისმიერი წინააღმდეგობის შემცველი. რადგან ყველაფერს ყველაფერი ახასიათებს არა მხოლოდ შესაძლებლობაში, არამედ რეალურად და გამოცალკევებულად. ასევე შეუძლებელია, რომ ყველა დებულება ჭეშმარიტი ან შემცდარი იყოს ამ დებულებიდან გამომდინარე სხვა მრავალი სიძნელის გამო. მაშასადამე, თუ ყველა დებულება მცდარია, არც ის იქნება მართალი, ვინც ამ დებულებას იცავს. ნამდვილად შემცდარი იქნება ისიც, ვინც ამბობს, რომ არავინ არ სცდება.

თავი მეშვიდე

ყოველი მეცნიერება, იქნება ის მედიცინა, ფიზკულტურა, თუ სხვა შემოქმედებითი ხასიათის მეცნიერება, იკვლევს იმის საწყისებსა 1064ა
და მიზეზებს, რასაც ის შეისწავლის. თვითეულ მეცნიერებას, აქვს რა მისთვის განკუთვნილი სფერო, მუშაობს მასზე, რამდენადაც ის არსებობს, მაგრამ არა როგორც არსებულზე, რადგანაც ამას სხვა მეცნიერება ეხება. ზემოდასახელებულ მეცნიერებათაგან თვითეული იკვლევს მის სფეროში შემავალ გვართა არსებას და აქედან გამომდინარე, ცდილობს ყოველივე დანარჩენის დამტკიცებას მეტ-ნაკლები სიზუსტით. არსების ცოდნას კი ისინი აღწევენ ან შეგრძნებების საშუალებით, ან ჰიპოთეტური მეთოდით, რადგან ინდუქცია ცხადყოფს, რომ სუბსტანციისა და არსების დასაბუთება არ შეიძლება.

რადგან არსებობს ბუნების შესახებ რაღაც მეცნიერება, ამიტომ, ცხადია, უნდა არსებობდეს როგორც პრაქტიკული ხასიათის, ისე შემოქმედებითი ხასიათის მეცნიერება. შემოქმედებითი ხასიათის მეცნიერებაში მოძრაობის საწყისი იმყოფება შემოქმედში და არა შემონაქმედში. და ეს უნარი არის ან ხელოვნება, ან სხვა რამე. ასევე პრაქტიკულ მეცნიერებაშიც მოძრაობის საწყისი არის არა გაკეთებულ საგნებში, არამედ გამკეთებელში. ბუნებისმეტყველებას კი ისეთი ობიექტი აქვს, რომელიც თავის თავში შეიცავს მოძრაობის საწყისს. აქედან კი ცხადია, რომ ბუნებისმეტყველება აუცილებლად თეორიული მეცნიერებაა და არა პრაქტიკული ან შემოქმედებითი, თუ აუცილებელია რომელიმე ამ ჯგუფში მისი მოთავსება. რადგანაც ყოველი მეცნიერებისათვის აუცილებელია როგორღაც თავისი ობიექტის არსების ცოდნა და მისი, როგორც საწყისის გამოყენება, არ უნდა დაგვრჩეს განუხილველი თუ ბუნებისმეტყველებამ როგორ უნდა განსაზღვროს და დაადგინოს არსების ცნება, მაგალითად, პაჭუა ან ჩაზნექილი ცხვირისა. ამათგან პაჭუა ცხვირის ცნება მატე-

[illegible] ვშირებული, კეხ-ჩაზნექილი ცხვირისა კი [illegible] პაჭუობა ცხვირში წარმოიქმნება, ამიტომაც მისი ცნება ცხვირთან ერთად განიხილება პაჭუა ხომ ამავე დროს კეხ-ჩაზნექილი ცხვირი[illegible] ცხადია ისიც, რომ ხორცის, თვალის და სხვათა ნაწილების ცნებები ყოველთვის მატერიასთან კავშირში უნდა იქნას განხილული.

რადგანაც არსებობს არსებულის, როგორც არსებულის და დამოუკიდებლის შესახებ რაღაც მეცნიერება, ამიტომ გასარკვევია ის უფრო მეტად ბუნებისმეტყველებასთან უნდა გავაიგივოთ, თუ რომელიმე სხვა მეცნიერებასთან. ბუნებისმეტყველება ეხება იმ საგნებს, რომლებსაც მოძრაობის საწყისი თავის თავში აქვთ. მათემატიკა კი თეორიული მეცნიერებაა და სწავლობს უცვლელ, თუმცა არადამოუკიდებელ მოვლენებს. დამოუკიდებელი და უძრავი მოვლენების შესახებ არსებობს რაღაც ამ ორი მეცნიერებისაგან განსხვავებული მეცნიერება, რადგან არსებობს რაღაც ასეთი დამოუკიდებელი და უძრავი სუბსტანცია (რის დამტკიცებასაც ჩვენ ახლა შევეცდებით). ის
1064в სადღაც უნდა არსებობდეს და უნდა იყოს ღვთაებრივი, პირველი და უმთავრესი საწყისი. ამრიგად, ცხადია, რომ სამი სახის თეორიული მეცნიერება არსებობს: ბუნებისმეტყველება, მათემატიკა და თეოლოგია. ყველა მეცნიერებებზე მაღლა დგას თეორიული მეცნიერებები, მათ შორის კი უკანასკნელი, რომელიც არსებულის ყველაზე უფრო საპატიო ობიექტს ეხება. თვითეული მეცნიერება იწოდება უკეთესად, ან უარესად იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი შემეცნების ობიექტი.

გადასაწყვეტია აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ მეცნიერება არსებულის, როგორც არსებულის, შესახებ ზოგადია თუ არა. თვითეულ მათემატიკურ მეცნიერებას აქვს თავისი განსაზღვრული სფერო. ზოგი მეცნიერება კი[1] ყველაფერს ეხება. თუ არსებულ მოვლენათა შორის ბუნებრივი სუბსტანციები პირველნი არიან, მაშინ ბუნებისმეტყველებაც პირველი იქნება მეცნიერებათა შორის, მაგრამ თუ არსებობს სხვა ბუნება და დამოუკიდებელი და უძრავი სუბსტანცია, მაშინ აუცილებელია, რომ მის შესახებ არსებობდეს სხვა მეცნიერება, რომელიც ბუნებისმეტყველებაზე წინ იდგება და როგორც პირველი, ზოგადიც იქნება.

თავი მეორე

„მარტივს" მრავალი მნიშვნელობა აქვს. რომელთაგან ერთ-ერთი შემთხვევით არსებულს ნიშნავს პირველად სწორედ არსებულის ეს სახე უნდა შევისწავლოთ. რომ არც ერთი ტრადიციული მეცნიერება არ სწავლობს შემთხვევითს, ეს ცხადია. მაგალითად, მშენებლობა არ სწავლობს იმას, რაც სახლის მცხოვრებთ შეიძლება შეემთხვათ. სახელდობრ იმას, იცხოვრებენ ისინი სიამოვნებაში თუ უსიამოვნებაში. ამას არ სწავლობს არც ქსოვა, არც მეწაღეობა, არც მზარეულობა, არამედ თვითეული მათგანი სწავლობს მათთვის განკუთვნილ სფეროს და ესაა მათი მიზანი. იმას, რომ მუსიკოსი ამავე დროს წერა-კითხვის მცოდნე არაა და მუსიკის მცოდნე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ არ გახდება ერთდროულად ორივე, ის, რაც წინათ არ იყო და რაც ის მუდამ არ არის, მუსიკოსიც და წერა-კითხვის მცოდნე, ამას, სოფისტიკის გარდა, არც ერთი ზემოდასახელებული მეცნიერება არ იკვლევს. შემთხვევით მოვლენებს მხოლოდ ის სწავლობს, ამიტომ არა სცდებოდა პლატონი, როცა ამბობდა, რომ სოფისტიკა არარსებულის შესწავლას უნდებაო. რომ შემთხვევითის შესახებ მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს, ცხადი გახდება მას შემდეგ, როცა დავადგენთ, თუ რა არის შემთხვევითი.

ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველივე ან მარადიულია და აუცილებელი, ან უმეტეს შემთხვევაში არსებული. აუცილებელში იძულებით აუცილებელს კი არ ვგულისხმობ, არამედ მტკიცებაში გამოსადეგს[1]. შემთხვევითი კი არ არსებობს არც „მეტწილად", არც მუდმივად, არამედ, როგორც მოხდება. მაგალითად, თუ ზაფხულში აგრილდა. ეს არ ხდება ყოველთვის, არც აუცილებლად, არც მეტწილად, არამედ 1065a
ხანდახან. ამრიგად, შემთხვევითია ის, რაც არც მუდამ ხდება, არც აუცილებლად და არც მეტწილად. თუ რა არის შემთხვევითი, ამის შესახებ უკვე ვთქვით, რომ მის შესახებ მეცნიერება არ არსებობს, ესეც ცხადია, რადგან ყოველი მეცნიერება ეხება მარადიულს, ან იმას, რაც მეტწილად არსებობს, შემთხვევითი კი არც ერთი ამათგანი არაა. რომ შემთხვევითს არა აქვს ისეთი მიზეზები და საწყისები, როგორიც თავისთავად მოვლენებს, ეს ცხადია, რადგან მაშინ ყველაფერი აუცილებელი იქნებოდა. მაგალითად, თუ ერთი არსებობს მაშინ, თუ არსებობს მეორე, მეორე მაშინ, თუ არსებობს მესამე, ეს უკანასკნელი კი არაა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი, მაშინ აუცილებელი იქნება ისიც, რის მიზეზსაც ის წარმოადგენს და ასე უკანასკნელ შედეგებამდე, რომელიც შემთხვევითი გვეგონა. მაშინ ყველაფერი აუცილებელი იქნება და შემთხვევითი, ე. ი. ის, რაც შეიძლება იყოს და არც იყოს, სავსებით განიდევნება.

ასევე: თუ დავუშვებთ ისეთ მიზეზს, რომელიც კი არ არსებობს, არამედ იქმნება, ასეთ შედეგებს მივიღებთ, ე. ი. ყველაფერი აუცილებელი გახდება. მაგალითად, ხვალ მზის დაბნელება მოხდება, თუ

მოხდება ეს, ეს კი მაშინ, თუ სხვა რაიმე, ეს სხვა მაშინ, თუ კიდევ სხვა და ამ გზით დღევანდელსა და ხვალეს შორის დროის განსაზღვრული მონაკვეთები¹, გამოკლებით მივაღწევთ იმას, რაც უკვე მოხდა. თუ ეს ასეა, მაშინ ყოველივე აუცილებელი გახდება და აუცილებლობით წარმოიშვება.

საგანთა ნაწილი ჭეშმარიტად არსებობს, ნაწილი კი შემთხვევით, პირველი დაკავშირებულია აზროვნებასთან და მის მდგომარეობასთან. ამიტომაც ასეთი არსებულის საწყისებს არ ვეძებთ, არამედ იმის საწყისებს, რაც აზროვნების გარეშეა და მისგან დამოუკიდებელი. შემთხვევითი კი არ არის აუცილებელი, არამედ განუსაზღვრელი, რომელსაც მიზეზებიც არაკანონზომიერი და განუსაზღვრელი აქვს.

მიზანი აქვთ ან ბუნებრივ მოვლენებს, ან აზროვნებით წარმოებულთ. ხოლო შემთხვევითია ის, რაც მათთან ხდება. ისევე როგორც არსებული შეიძლება წარმოადგენდეს როგორც თავისთავადს, ისე შემთხვევითს, ასევეა მიზეზიც. შემთხვევა, როგორც მიზეზი, თანადევს იმ მოვლენებს, სადაც მიზანი თავისუფალი ნებით არის არჩეული, ამიტომაც თავისუფალი არჩევნის სფეროში გვხვდება როგორც აზროვნება, ისე შემთხვევა. ნებისმიერი არჩევანი კი არ ხდება აზროვნების გარეშე. ის განუსაზღვრელი მიზეზები კი, რომელთა ზემოქმედებით წარმოიქმნებიან შემთხვევითი მოვლენები, უცნობია ადამიანის აზროვნებისათვის. შემთხვევით მიზეზთაგან არც ერთი არაა ცნობილი ჩვენთვის. კეთილი ან ბოროტი შემთხვევა ნიშნავს რაიმეს კარგად ან ცუდად დამთავრებას, ბედნიერება ან უბედურე-
1065b ბა კი მაშინ გვაქვს, როდესაც დიდია სიკეთე ან ბოროტება. რადგან თავისთავადს არაფერი შემთხვევითი არ უძღვის წინ, თვით მიზეზიც კი და თუ ციური მოვლენები ხდებიან ან შემთხვევით, ან თავისთავად, ამიტომ მათზე უფრო ადრე მიზეზი გონება და ბუნება უნდა იყოს.

თავი მეცხრე

ზოგი მოვლენა მხოლოდ რეალურად არსებობს, ზოგი შესაძლებლობაში, ზოგი კი როგორც შესაძლებლობაში, ისე რეალურად, იქნება ის საგანი, რაოდენობა, თუ სხვა რაიმე. არ არსებობს არავითარი მოძრაობა საგნების გარეშე. ხოლო ყოველგვარი ცვალებადობა ხდება არსებული კატეგორიების მიხედვით. არ არსებობს ისეთი ზოგადი, რომ არ ექვემდებარებოდეს რომელიმე კატეგორიას. თვითეული ამ კატეგორიათაგანი კი ყოველივეს ორგვარად ახასიათებს, მაგალითად, არსების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმა, მეორე მხრივ, მისი არქონება. თვისობრიობის თვალსაზრისით ერთი თეთრია, მეორე შავი. რაოდენობის თვალსაზრისით ერთი დასრულებულია, მეორე დაუსრულებელი. მოძრაობის მიხედვით, ერთი მაღლა მოძრაობს, მეორე დაბლა. ერთი მსუბუქია, მეორე მძიმე. ამრიგად, არსებულის მოძრაობისა და ცვალებადობის იმდენი ფორმა არსებობს, რამდენიც არსებულია.

მოვლენათა თვითეულ გვარზე შეიძლება მსჯელობა შესაძლებლობისა და რეალობის თვალსაზრისით. მოძრაობა იმის განხორციელებაა, რაც შესაძლებლობაში არსებობს. რომ ჭეშმარიტებას ვამბობ, ეს ცხადი გახდება შემდეგიდან: ის, რაც შეიძლება აშენებულ იქნას რეალურად, მაშინ არსებობს, როცა შენდება, ე. ი. მშენებლობის პროცესში[1]. ასევე სწავლის, მკურნალობის, სიარულის, ხტუნაობის, მოხუცების და ზრდის დროს მოძრაობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რაიმე ხორციელდება, არც ადრე და არც გვიან. მოძრაობა კი მაშინ არსებობს, როდესაც შესაძლებლობაში მყოფი ამოძრავდება, მაგრამ არა თავისთავად, არამედ მამოძრავებლის ზემოქმედებით[2] ხოლო შესაძლებლობაში მყოფი მაშინ ხორციელდება, როდესაც ის მოძრაობს, არა რამდენადაც ის არსებობს, არამედ რამდენადაც მოძრაობს.

„რამდენად"-ს კი შემდეგი მნიშვნელობები აქვს; სპილენძი შესაძლებლობაში ქანდაკებაა და მოძრაობა არის არა სპილენძის, როგორც სპილენძის, არამედ ქანდაკების განხორციელება, რადგან ერთი და იგივე არაა სპილენძად და რაღაცის შესაძლებლობად ყოფნა. ის რომ ერთი და იგივე ყოფილიყო მხოლოდ ცნების მიხედვით, მაშინ სპილენძი რეალურად რაღაც მოძრაობა იქნებოდა. მაგრამ ეს ერთი და იგივე არაა, რაც ცხადი ხდება დაპირისპირებიდან: ერთი და იგივე არაა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის უნარი. რადგან მაშინ ავადმყოფად და ჯანმრთელად ყოფნა ერთი და იგივე იქნებოდა. თუმცა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის სუბსტრატი ერთი და იგივეა, იქნება ის სითხე თუ სისხლი. თუ ეს ერთი და იგივე არაა ისევე, როგორც არაა ერთი და იგივე ფერი და ხილვადი საგნები, ამრიგად, შესაძლებელის განხორციელება მოძრაობაშია. რომ ეს სწორედ მოძრაობაა და რომ ის გვხვდება სწორედ მაშინ, როდესაც რაიმეს განხორციელება წარმოებს, არც ადრე და არც გვიან, ეს 1066a
ცხადია. ყოველი მოვლენა ხან რეალურად არსებობს, ხან არა, მაგალითად, რაც შეიძლება აშენებულ იქნას, როგორც ასეთი, ხოლო იმის განხორციელება, რაც შეიძლება აშენებულ იქნას, ხდება მშე-

ნებლობის პროცესში, რადგან რეალობაა ან მშენებლობა, ან უკვე აშენებული სახლი. მაგრამ, როდესაც სახლი უკვე არსებობს, აღარაფერია ასაშენებელი, რადგან შენდება ის, რაც ასაშენებელია. აუცილებელია სახლის შენება რეალური იყოს, რაც რაღაც მოძრაობაა. ასევე უნდა ვიმსჯელოთ სხვა მოძრაობების შესახებ.

რომ ჩვენს მიერ თქმული სწორია, ცხადია იქიდან, რასაც სხვები ამბობენ ამის შესახებ და აგრეთვე იქიდან, რომ ამის სხვანაირად განსაზღვრა ადვილი არაა. მისი არც სხვა გვარში მოთავსება შეიძლება, რაც ცხადია, იქიდან, რასაც მასზე ამბობენ. ზოგი მას განსხვავებულს არატოლს და არასრულს უწოდებს, მაგრამ ამათგან არც ერთი არ მოძრაობს აუცილებლობით. და ცვალებადობა არ გვხვდება არც თვით მათში, არც ამათგან უფრო მეტად, ვიდრე მათი მოწინააღმდეგე მხრიდან. მიზეზი იმისა, თუ რატომ მოვათავსეთ ის აქ, არის ის, რომ მოძრაობა რაღაც განუსაზღვრელი ჩანს, მეორე სახის საწყისები კი განუსაზღვრელი არიან ნაკლულოვანების გამო. ისინი არ ეკუთვნიან არც არსებას, არც თვისებას და არც სხვა რომელიმე კატეგორიას. ხოლო მიზეზი იმისა, რომ მოძრაობა განუსაზღვრელი გვეჩვენება, არის ის, რომ მას ვერ მოვათავსებთ ვერც შესაძლებელთა და ვერც რეალურად არსებულთა შორის. არც შესაძლებლობაში არსებული და არც რეალური რაოდენობა მოძრაობს აუცილებლობით მოძრაობა კი, როგორც ჩანს, რაღაც რეალობაა, თუმცა დაუსრულებელი. ამის მიზეზი კი არის დაუსრულებლობა იმ შესაძლებლობისა, რომლის განხორციელებასაც მოძრაობა წარმოადგენს. ამიტომ ძნელია იმის დადგენა თუ რაა მოძრაობა. უნდა მივაკუთვნოთ ის ნაკლს, შესაძლებლობას თუ, უბრალოდ, რეალობას. მაგრამ არც ერთი ამათგანი არაა დასაშვები. ასე რომ, როგორც ვთქვით, ის უნდა მივაკუთვნოთ რეალობასაც და არარეალობასაც. ამის განჭვრეტა ძნელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოძრაობა არის მოძრავში და მისი განხორციელება ხდება მამოძრავებლის ზემოქმედებით. თვით მამოძრავებლის რეალობაც სხვა არა არის რა, თუ არა ორივეს განხორციელება. მოძრაობის უნარის მქონე შესაძლებლობაში არსებულია. მოძრაობა ამის განხორციელებაა, ხოლო რეალურად არსებობის შემძლეა მოძრაობის შემძლე. ასე რომ, ორივეს ერთი რეალობა აქვთ. ისევე, როგორც ერთი და იგივეა მანძილი ერთიდან ორისაკენ და ორიდან ერთისაკენ, მაღლა და დაბლა. თუმცა ისინი ერთი და იგივე არ არიან. ასეთივე დამოკიდებულებაა მამოძრავებელსა და მოძრავს შორის.

განუსაზღვრელია ის, რის დათვლა არ შეიძლება. რადგან მის შემადგენელ ყველა ნაწილს ვერ გადავსინჯავთ, როგორც იმ ბგერას, 1066a
რომლის დანახვა შეუძლებელია ან იმიტომ, რომ დაუსრულებელია, ან ძნელად დასრულებადი, ან დასასრული და საზღვარი არა აქვს იქ, სადაც მას ბუნებრივად უნდა ჰქონდეს, ან განუსაზღვრელია მიმატებით, დაკლებით, ან ორივეს გამო. ის არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს, როგორც კონკრეტული საგანი, მაგრამ თუ ის არაა არც სიდიდე, არც სიმრავლე, მაშინ მისი არსება არაშემთხვევით განუსაზღვრელი იქნება, რადგან დაუყოფელია (დაყოფადი ან სიდიდეა, ან სიმრავლე). მაგრამ არც განუსაზღვრელი იქნება, როგორც უხილავი ბგერა, თუმცა ისინი ამას არ ამბობენ და არც ჩვენ ვიკვლევთ განუსაზღვრელს, როგორც ასეთს, არამედ როგორც დაუთვლელს.

გარდა ამისა, როგორ შეიძლება არსებობდეს თავისთავად განუსაზღვრელი, თუ ის არაა რიცხვი, არც სიდიდე, რომელთა თვისებაა განუსაზღვრელობა. მაგრამ თუ ის შემთხვევითაა განუსაზღვრელი, ის ველარ იქნებოდა არსებული საგნების ელემენტი, როგორც ენის უხილავი ელემენტი, თუმცა ბგერა უხილავია. ამრიგად, რომ განუსაზღვრელი არ შეიძლება რეალურად არსებობდეს, ეს ცხადია, რადგან მაშინ განუსაზღვრელის ნებისმიერი ნაწილი განუსაზღვრელი იქნებოდა. რადგან ერთი და იგივეა განუსაზღვრელი და მისი არსება, იმ შემთხვევაშიც, თუ განუსაზღვრელი არის სუბსტანცია და ითქმის სხვა სუბსტრატზე.

ამრიგად, ის ან დაუყოფელია, ან თუ ნაწილებისაგანაა შემდგარი, განუსაზღვრელად დაყოფადია მაგრამ შეუძლებელია, რომ ის, როგორც მრავალი, დაუსრულებელი იყოს. როგორც ჰაერის ნაწილი ჰაერია, ისევე დაუსრულებელის ნაწილი დაუსრულებელია, თუ ის სუბსტანციაა და საწყისი. მაგრამ თუ ნაწილები არა აქვს, დაუყოფელიცაა. მაგრამ შეუძლებელია, რომ ის, რაც განუსაზღვრელია, რეალურად არსებობდეს, რადგან ამ შემთხვევაში ის აუცილებლად გარკვეული რაოდენობა იქნებოდა. მაშასადამე, ის არსებობს შემთხვევით მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ის კი აღარ იქნება საწყისი, არამედ ის, რის შემთხვევითი თვისებაც ის არის. ჰაერი ან ლუწი რიცხვი

ეს კვლევა ზოგადია. მაგრამ რომ განუსაზღვრელი შეგრძნებად მოვლენებს შორის არ არსებობს, ეს ცხადია შემდეგიდანაც: თუ სხეულის ცნება სიბრტყეებით შემოსაზღვრულს ნიშნავს, მაშინ განუსაზღვრელი სხეული არ იქნება არც გრძნობადი, არც აზრობრივი და არც დამოუკიდებელი რიცხვი, რადგან როგორც რიცხვი, ისე ის, რაც რიცხვს შეიცავს, თვლადია.

ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით ეს შემდეგიდანაა ცხადი: უსასრულო არ შეიძლება იყოს არც რთული და არც მარტივი. რთული სხეული არ იქნება განუსაზღვრელი, თუ ის განსაზღვრული რაოდენობის ელემენტებს შეიცავს. მაშინ საჭიროა მოპირისპირე მხარეები ერთმანეთს აწონასწორებდნენ და არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს განუსაზღვრელი. თუ სხეულის ერთ-ერთი მხარის უნარი როგორღაც ჩამორჩება, ის როგორც განსაზღვრული, დაიღუპება განუსაზღვრელი მხარისაგან, მაგრამ შეუძლებელია ისიც, რომ მისი თვითეული მხარე უსაზღვრო იყოს. რადგან სხეული ყველა მიმართულებითაა განვრცობილი და განსაზღვრული კი ისევე ყველა მიმართულებით იქნება განვრცობილი. მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ სხეული განუსაზღვრელია, ის ყველა მიმართულებით იქნება განუსაზღვრელი. ისევე განუსაზღვრელი სხეული არ შეიძლება იყოს არც ერთი და არც მარტივი, არც როგორც ზოგნი ამბობენ, ელემენტებისაგან დამოუკიდებელი, რომელთაგანაც წარმოიშვება, რადგან ასეთი სხეული არ შეიძლება არსებობდეს ელემენტებისაგან დამოუკიდებლად (ყოველივე ხომ იმად დაიშლება, რისგანაც წარ-
067a მოიშვა). ეს უკანასკნელი როგორც ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა მარტივი სხეული. არც ცეცხლი და არც სხვა რომელიმე ელემენტთაგანი არაა ასეთი, რადგან თვითეული მათგანი შორის [illegible] განუსაზღვრელისაგან შეუძლებელია აგრეთვე სამყაროს განუსაზღვრელობის შემთხვევაში ის იყოს, ან გახდეს ერთ ერთი მათგანი, ან როგორც ამბობდა ჰერაკლიტე, ოდესმე ყველაფერი ცეცხლად იქცეს. იგივე შეიძლება ითქვას ერთის შესახებაც, რომელსაც ფიზიკოსები ელემენტებისაგან დამოუკიდებლად აცხადებენ.

ყოველი ცვალებადობა წარმოებს მოპირდაპირე მხარეთა შორის, მაგალითად, სითბოდან სიცივისაკენ გარდაქმნა. შეგრძნებადი სხეული არსებობს სადმე და ერთი და იგივე ადგილი უკავია, როგორც მთელს, ისე მის ნაწილებს, მაგალითად მიწასა და რომ. თუ ის ერთგვაროვანია, უძრავი იქნებოდა ან მუდამ მოძრავი. ეს კი შეუძლებელია. რადგან რატომ იმოძრავებდა ის უფრო მეტად მაღლა ან დაბლა, ან ნებისმიერი მიმართულებით? თუ ეს მიწის ბელტია სად იმოძრავებდა ის, ან სად იდგებოდა? რადგან ადგილი, რომელიც მისი მონათესავე სხეულისაა, განუსაზღვრელი იქნებოდა. ის მთელ ადგილს დაიკავებდა? როგორ? როგორი იქნებოდა მისი უძრაობა ან მოძრაობა? თუ ის მთლიანად გაჩერებულია, ვერ იმოძრავებდა და თუ მთლიანად მოძრაობს, ვერ გაჩერდებოდა. თუ ის მთლიანად არაერთგვაროვანია, არაერთგვაროვანი იქნებოდა აგრეთვე ადგილიც და პირველ რიგში ყოველმხრივ ერთი არ იქნებოდა სხეული, ან ერთი იქნებოდა მხო-

ლოდ შეხებისათვის შემდეგ, სახით განუსაზღვრელი იქნებოდა თუ განსაზღვრული? მაგრამ განსაზღვრული ვერ იქნებოდა, რადგან მაშინ ერთი ნაწილი იქნებოდა განსაზღვრული, მეორე კი არა, თუ განუსაზღვრელი იქნებოდა ყოველმხრივ, როგორც ცეცხლი ან წყალი, მაშინ ეს წინააღმდეგობის ერთ-ერთ მხარეს დაღუპავდა. თუ ისინი მარტივნი და რაოდენობით განუსაზღვრელნი არიან, მაშინ, როგორც ადგილები, ისე ელემენტები განუსაზღვრელი რაოდენობისა იქნებოდნენ. და თუ ეს შეუძლებელია და ადგილები განსაზღვრული რაოდენობისა არიან, მაშინ სამყაროც აუცილებლად განსაზღვრული იქნება. საერთოდ შეუძლებელია, რომ სხეული და სხეულთა ადგილები უსაზღვრო იყვნენ, თუ მთელი შეგრძნებადი სხეული მძიმეა ან მსუბუქი, ის იმოძრავებდა ან ცენტრისაკენ, ან ზევითკენ მაგრამ შეუძლებელია, რომ განუსაზღვრელს ან მთლიანად, ან მის ნახევარს რომელიმე ეს განეცადა. როგორ დაითვლიდი მას? ანდა უსაზღვროს როგორ ექნებოდა „ქვევით“ ან „ზევით“, ნაპირი ან ცენტრი? გარდა ამისა, თუ ყოველი შეგრძნებადი სხეული ადგილზე იმყოფება, ადგილს კი ექვსი ფორმა აქვს, შეუძლებელია, რომ იგივე ჰქონდეს უსაზღვრო სხეულსაც.

თუ საერთოდ, შეუძლებელია ადგილის უსასრულობა, ეს შეუძლებელი იქნება სხეულისათვისაც, რომელიც ერთ გარკვეულ ადგილზე იმყოფება, ან მაღლა, ან დაბლა, ან სხვაგან სადმე. თვითეული მათგანი კი რაღაც საზღვარია. განუსაზღვრელი კი არაა ერთი სიდიდის და მოძრაობის მქონე და არ იმყოფება განსაზღვრულ დროში როგორც რაღაც ერთი ბუნება, არამედ მასში მომდევნო წინამორბედისაგან არის დამოკიდებული, როგორც მოძრაობა სიდიდისაგან, რომელიც წარმართავს მოძრაობას, ცვალებადობას და ზრდას. დრო კი მოძრაობაზეა დამოკიდებული.

თავი მეთერთმეტე

ცვალებადი ზოგჯერ შემთხვევით იცვლება, მაგალითად, განათ- 1067в
ლებული ზოგჯერ დადის, ზოგჯერ კი მას რაიმე ეცვლება. ასეთ ცვალებადობას, როგორიცაა ნაწილობრივი ცვალებადობა, მარტივი ეწოდება. მაგალითად, სხეული ჯანმრთელია, რადგან განიკურნა თვალი. ზოგი თავიდანვე თვითონ მოძრაობს და სწორედ ესაა თავისთავად მოძრავი. ასეთივე მდგომარეობაა მამოძრავებლის თვალსაზრისითაც ზოგი შემთხვევით ამოძრავებს, ზოგი ნაწილობრივ, ზოგი თავისთავად. არსებობს აგრეთვე რაღაც პირველი მამოძრავებელი და ისიც, რაც მოძრაობს გარკვეულ დროს საიდანღაც და

საითკენმე. ფორმა, მდგომარეობა და ადგილი, სადაც მოძრავი მოძრაობს, უცვლელია, მაგალითად, ცოდნა და სითბო. სითბო კი არაა მოძრაობა, არამედ გათბობა; არაშემთხვევითი მოძრაობა ყველგან არ არსებობს, არამედ მოპირდაპირე მხარეთა შორის, მათ შუალედ საფეხურებში და ერთიმეორის გამომრიცხავ დაპირისპირებებში, რაშიც ცდა გვარწმუნებს. ცვალებადი კი იცვლება ან სუბსტრატიდან სუბსტრატისაკენ, ან არასუბსტრატიდან სუბსტრატისაკენ, ან სუბსტრატიდან არასუბსტრატისაკენ, სუბსტრატში კი მე ვგულისხმობ იმას, რაც მსჯელობით ხდება ცხადი. ამრიგად, აუცილებელია სამი სახის ცვალებადობის არსებობა, მაგრამ არასუბსტრატიდან არასუბსტრატისაკენ ცვალებადობა არ არსებობს, რადგან მათ შორის არ არსებობს წინააღმდეგობა და არც დაპირისპირება. არასუბსტრატიდან სუბსტრატისაკენ ცვალებადობა დაბადება დაპირისპირების გზით, ან მარტივი დაბადება, ან საგნის რაიმე ნაწილისა. სუბსტრატიდან არასუბსტრატისაკენ მოძრაობა კი სიკვდილს ნიშნავს, რაც ან მარტივი სიკვდილია, ან მისი რომელიმე ნაწილის.

არარსებულს მრავალი მნიშვნელობა აქვს და მოძრაობა არ შეიძლება იყოს არც შეკავშირების, არც დაშორების შედეგი და არც შესაძლებლობაში არსებული მოძრაობს, რომელიც კონკრეტულად არსებულს უპირისპირდება. არათეთრი და არაკეთილი ასევე შეიძლება შემთხვევით მოძრაობდეს (რადგან ადამიანი შეიძლება არათეთრი იყოს), არარსებული კი არანაირად, რადგან არარსებულს მოძრაობა არ შეუძლია. თუ ეს ასეა და დაბადება მოძრაობაა, ამ შემთხვევაში იბადება არსებული. მაგრამ, თუ ეს წარმოშობა შემთხვევითია, მაშინ სწორნი არ არიან ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ არარსებული არსებობს კონკრეტული საგნის მსგავსად.

იგივე ითქმის უძრაობაზეც: აქაც იგივე სიძნელე წარმოიშვება, თუ ყველაფერი რაიმე ადგილზე მოძრაობს. მაგრამ არარსებულს ადგილი არა აქვს, მაშინ სად არსებობს ის? არც სიკვდილია მოძრაო-
1068a ბა, რადგან მოძრაობას უპირისპირდება ან მეორე მოძრაობა, ან უძრაობა სიკვდილი კი უპირისპირდება დაბადებას. მაგრამ თუ ყოველგვარი მოძრაობა რაიმე ცვალებადობაა, ცვალებადობა კი სამი სახისაა, რაზეც უკვე ითქვა, ამათგან დაბადება და სიკვდილი მოძრაობა არაა, ისინი წინააღმდეგობით არსებობენ, მაშინ აუცილებელია, რომ მოძრაობა არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ სუბსტანციიდან სუბსტანციისაკენ. სუბსტანციები კი ან ერთმანეთს უპირისპირდებიან, ან შუალედ საფეხურებს წარმოადგენენ. ნაკლიც კი წინააღმდეგობას წარმოადგენს, რაც ვლინდება დადებით მსჯელობაში, მაგალითად, „შიშველი“, „უკბილო“ და „შავი“.

თუ კატეგორიები იყოფიან არსებად, თვისებად, ადგილად, მოქმედებად, ვნებად, მიმართებად და რაოდენობად, მაშინ აუცილებლად იარსებებს სამი სახის მოძრაობა: თვისებისა, ადგილისა და რაოდენობის მიხედვით. არსება არ მოძრაობს, რადგან არსებას არაფერი არ უპირისპირდება. არც მიმართებას ახასიათებს მოძრაობა, რადგან ერთი მხარის ცვალებადობა არ ვრცელდება მეორეზე, რომელიც შეიძლება სრულებით არ იცვლებოდეს. ასე რომ, ისინი შემთხვევით იმოძრავებენ. მოძრაობა არ ახასიათებს არც მოქმედს, არც განმცდელს, არც მამოძრავებელს და მოძრავს, რადგან არ არსებობს მოძრაობის მოძრაობა[1], ან წარმოშობილის წარმოშობა, საერთოდ, ცვალებადობის ცვალებადობა. მოძრაობის მოძრაობას ორი აზრი აქვს: ან როგორც სუბსტრატის მოძრაობა[2], როგორც მოძრაობს ადამიანი, როცა ის იცვლება თეთრი ან შავი ფერისაკენ, ან მოძრაობა გათბობის, გაციების, ადგილმონაცვლეობისა და ზრდის შემთხვევაში. მაგრამ ეს უკანასკნელი შეუძლებელია, რადგან არ არსებობს სუბსტრატის არავითარი ცვალებადობა. ანდა სუბსტრატი მოძრაობს რაღაც სხვის ზეგავლენით, გადადის რა ერთი ფორმიდან მეორეში, როგორც ადამიანი იცვლება ავადმყოფობიდან ჯანმრთელობაში. მაგრამ ესეც მხოლოდ შემთხვევით არის შესაძლებელი, რადგან ყოველგვარი მოძრაობა არის ცვალებადობა ერთი ფორმიდან მეორეში. ასევეა წარმოშობაც და სიკვდილიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ხდება გადასვლა წინააღმდეგობის ერთი ფორმიდან მეორეში და პირიქით. ხოლო ჯანმრთელობიდან ავადმყოფობაში, ანდა ამ ცვალებადობიდან რომელიმე სხვა ცვალებადობაში გადასვლა ერთდროულად ხდება. ცხადია, რომ თუ ადამიანი ავად გახდა, ის გადადის რომელიღაც მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში ის შეიძლება დარჩეს კიდეც, თუმცა ეს მდგომარეობა შეიძლება ყოველთვის შემთხვევითი იყოს. ეს ცვალებადობაც არის გადასვლა რაიმედან რაიმეში, იმაში, რაც უპირისპირდება ჯანმრთელობას, თუმცა შემთხვევით, როგორც გახსენებიდან დავიწყებაში გადასვლა. ვისაც ეს თვისებები აქვს, ის იცვლება ხან ცოდნის და ხან არცოდნის მიმართულებით.

ამას გარდა, თუ არსებობს ცვალებადობის ცვალებადობა და დაბადების დაბადება, მაშინ მივიღებთ უსასრულო პროცესს. აგრეთვე წინამორბედის არსებობა აუცილებელია მაშინ, თუ არსებობს მომდევნო. მაგალითად, თუ როდისმე ადგილი აქვს მარტივ წარმოშობას, მაშინ უნდა წარმოშობილიყო წარმოშობადიც. ასე 1068b
რომ, მარტივად წარმოშობილი ჯერ არ ყოფილა, არამედ არსებობდა

რაიმე წარმოშობადი. და თუ ესეც წარმოიშობა, წარმოიშობა მაშინ, როდესაც არ იყო წარმოშობადი. თუ დაუსრულებელში არაფერია პირველი, ამიტომ არც მომდევნო იქნება, და არ იქნება არც წარმოშობა, არც მოძრაობა, არც რაიმე ცვალებადობა. გარდა ამისა, ერთი და იგივე განიცდის საწინააღმდეგო ცვალებადობას, მოძრაობას, უძრაობას, წარმოშობას და დაღუპვას. ასე რომ, წარმოშობადი წარმოშობისას ისპობა კიდეც, რადგან ის არც მაშინ იბადება უცებ და არც შემდეგ, რადგან აუცილებელია არსებობდეს მოსპობადი.

ამას გარდა, წარმოშობადსა და მოსპობადს უნდა ჰქონდეთ მატერიაც. მაგრამ რა არის ცვალებადი, სხეული თუ სული? ან რაა წარმოშობადი, მოძრაობა, თუ წარმოშობა? და გარდა ამისა, რა არის ის, საითკენაც ხდება მოძრაობა? საჭიროა არსებობდეს, როგორც მოძრავი, ისე ის, საიდან და საითკენაც წარმოებს მოძრაობა და წარმოიშობა. მაგრამ როგორ? რადგან სრულებით არ არის ცოდნის ცოდნა, არც წარმოშობის წარმოშობა. რადგან არ არსებობს არც მიმართების, არც მოქმედებისა და არც ვნების მოძრაობა რჩება მოძრაობა თვისების, რაოდენობისა და ადგილის მიხედვით, რადგან თვითეულ მათგანს აქვს მოპირისპირე მხარე. მე ვლაპარაკობ არა იმ თვისებაზე, რომელიც სუბსტანციას ახასიათებს (განსხვაობაც თვისებაა), არამედ იმ მდგომარეობაზე, რომლის მიხედვით ვამბობთ, რომ საგანი განიცდის ან არ განიცდის.

„უძრავი“ კი ან ისაა, რასაც საერთოდ არ შეუძლია მოძრაობა, ან რაც ძნელად მოძრაობს და დიდი დრო სჭირდება მოძრაობისათვის, ან რაც ნელა იწყებს მოძრაობას, ან ბუნებრივად ახასიათებს და შეუძლია მოძრაობა, მაგრამ არ მოძრაობს, მაშინ, როდესაც უნდა მოძრაობდეს იქ და ისე, როგორც უნდა მოძრაობდეს. უძრავთაგან მხოლოდ ამათ ვუწოდებთ მშვიდ მდგომარეობაში მყოფთ მოძრაობას უპირისპირდება უძრაობა ამრიგად. ეს ნაკლია იმათთვის, ვისაც მოძრაობის უნარი აქვთ.

„ადგილზე ერთად“ იმათზე ითქმის, რომლებიც თავიდანვე ერთ ადგილზე არიან და „ცალკე“ იმათზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილზე იმყოფებიან ერთმანეთს. ისინი ეხებიან, რომლებსაც კიდეები ერთად აქვთ შუაში ის. სადაც პირველად უნდა მივიდეს ბუნებრივად უწყვეტად ცვალებადი საგანი, ვიდრე მივიდოდეს კიდესთან.

„მოპირდაპირენი ადგილის მიხედვით“ ისინი არიან, რომლებიც პირდაპირი ხაზით ყველაზე მეტად დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან.

„ერთმანეთის მომდევნო“ იმათ ეწოდებათ, რომლებიც დასაწყისის შემდეგ არიან და დაშორებულნი არიან მისგან ან მდებარეობით,

ან სახით, ან სხვარამენაირად და რასაც ის მოსდევს, მას მისგან იმავე ჯვარისა არაფერი არ აშორებს, როგორც ხაზები იმყოფებიან ხაზების შემდეგ ერთნი ერთთა შემდეგ, ანდა სახლები სახლებს შემდეგ, რომლის მათ შუა რაიმეს ყოფნას არაფერი არ უშლის ხელს.

ამრიგად, ის რაც თანმიმდევრულად რაიმეს მოსდევს რაღაცის შემდეგაა მაგალითად, ერთი არის ორის შემდეგ და თვე პირველი რიცხვი მეორე რიცხვის შემდეგ, ხოლო რასაც მოსდევს საგანი, ის 1069a
ის ეხება კიდეც რადგან ყოველგვარი ცვალებადობა დაპირისპირებულთა შორის ხდება დაპირისპირება კი არის კონტრარული ან კონტრადიქტორული. კონტრადიქტორული ურთიერთობის შუალედი არ არსებობს. ცხადია, რომ შუალედი იმყოფება კონტრარულ ურთიერთობაში მყოფ მხარეთა შორის.

„უწყვეტია“ ის, რომლებიც ერთიმეორეს მოსდევენ მე უწყვეტს ვუწოდებ იმათაც, რომლებსაც საერთო საზღვარი აქვთ, სადაც ისინი ერთიმეორეს ეხებიან და ერთიმეორეს მოსდევენ

ამრიგად, ცხადია, რომ ამათგან „თანმიმდევარი“ ეწოდება იმათ, რომელთაგან რაიმე ერთი მიიღება შეხების საშუალებით რომ მათში ჯერ პირველია, შემდეგ მომდევნო, ესეც ცხადია თანმიმდევარნი შეიძლება ერთმანეთს არ ეხებოდნენ, და შეიძლება ეხებოდნენ. და თუ ეხებიან, უწყვეტნი აღარ იქნებიან იქ, სადაც შეხება არაა. იქ არც შერწყმაა. ასე რომ, წერტილი იგივე არაა, რაც ერთიანი პირველი. შეხება ახასიათებს, მეორეს კი არა, არამედ მხოლოდ თანმიმდევრობა პირველთა შორის იმყოფება რაღაც, მეორეთა შორის კი არა.

წიგნი მეთორმეტე

თავი პირველი

ახლა სუბსტანცია უნდა განვიხილოთ, კერძოდ, მისი საწყისები და მიზეზები. თუ სამყარო რაღაც მთელია, სუბსტანცია მისი პირველი ნაწილი იქნება. თუ მას თანმიმდევრობის თვალსაზრისით განვიხილავთ, ასეც სუბსტანცია იქნება პირველი, შემდეგ თვისება და რაოდენობა. ისინი დამოუკიდებლად არ არსებობენ, როგორც დამოუკიდებლად არ არსებობს არათეთრი და არაპირდაპირი, არამედ წარმოადგენენ სუბსტანციის მდგომარეობასა და მოძრაობებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ მათზე, რომ ისინიც არსებობენ, როგორც არსებობს „არათეთრი". გარდა ამისა, სხვა არაფერი არაა დამოუკიდებელი, რასაც წინამორბედნი საქმით ამტკიცებდნენ ისინი ეძებენ სუბსტანციათა საწყისებს, ელემენტებს და მიზეზებს. თანამედროვე მოაზროვნენი კი უფრო მეტად ზოგადს თვლიან სუბსტანციად. ისინი ლოგიკური მეთოდით ამტკიცებენ, რომ გვარი, როგორც ზოგადი, უფრო მეტად არის საწყისი და სუბსტანცია, ძველი მოაზროვნენი კი სუბსტანციად თვლიდნენ კონკრეტულ ელემენტებს, როგორიცაა ცეცხლი და მიწა და არა ზოგადად სხეულს.

სუბსტანცია კი სამგვარია: ერთია შეგრძნებადი, რომელთაგან ერთი მუდმივია, მეორე მოკვდავი. ამ უკანასკნელის შესახებ (ესენი არიან ცხოველები ან მცენარეები) ყველა ერთი აზრისაა, ხოლო უკვდავთათვის კი ელემენტებად ასახელებენ ხან ერთს, ხან ბევრს. მესამე სუბსტანცია კი უძრავია, რომლის შესახებ ზოგი ამბობს, რომ დამოუკიდებელია, ზოგი მას ერთი ბუნებისად თვლის, ზოგი მას ორად ჰყოფს: იდეებად და მათემატიკურ საგნებად. ზოგი კი ასეთად მხოლოდ მათემატიკურ საგნებს ასახელებს. შეგრძნებადი
1069в საგნები არის ფიზიკის ობიექტი, რადგან ისინი მოძრაობასთან არიან დაკავშირებული, მეორენი კი სხვა მეცნიერებისა, თუ მათ არავითარი საერთო საწყისი არა აქვთ.

შეგრძნებადი სუბსტანცია ცვალებადია; ცვალებადობა იწყება ან მოწინააღმდეგე მხარედან, ან მათ შუა მოთავსებულ საფეხურებიდან, მაგრამ არა ყოველგვარი მოპირისპირედან (მაგალითად, ბგერა თეთრი არაა), არამედ იმათგან, რომელთა შუა არსებობს წინააღმდეგობა, რაიმე ცვალებადი აუცილებლად წინააღმდეგობის ერთი მხრიდან მეორისაკენ იცვლება, მაგრამ თვით წინააღმდეგობა არ იცვლება. გარდა ამისა, წინააღმდეგობის ერთი მხარე რჩება, მეორე კი არა[1]. მაგრამ მოპირდაპირე მხარეებს გარდა არსებობს რაღაც მესამე, რაც მატერიაა.

ცვალებადობა ოთხგვარია არსების, თვისების, რაოდენობისა და ადგილის მიხედვით მარტივი დაბადება და სიკვდილი ეხება საგანს, მომატება და დაკლება — რაოდენობას, ცვალებადობა — თვისებას, მოძრაობა — ადგილს. ყოველი ცვალებადობა მოწინააღმდეგე მხარეთა შორის წარმოებს აუცილებელია, რომ მატერიას შეეძლოს ორივე მხარედ გარდაქმნა, რადგან ყოველ არსებულს ორგვარი ხასიათი აქვს, ამიტომ ყველაფერი იცვლება შესაძლებლობიდან სინამდვილისაკენ. მაგალითად, შესაძლებელი თეთრი გადადის სინამდვილეში არსებულ თეთრში. ასევეა ზრდისა და კლების შემთხვევაშიც ასე რომ, არარსებულიდან არა მარტო შემთხვევითი წარმოშობა ხდება, არამედ ყველაფერი არსებულიდან წარმოიშობა, მაგრამ შესაძლებლობაში არსებულიდან, და არა რეალურად არსებულიდან და სწორედ ესაა ანაქსაგორას „ერთი", რომელიც სჯობს მის მეორე დებულებას იმის შესახებ, რომ „ყოველივე ერთადაა" იგივე უნდა ითქვას ემპედოკლესა და ანაქსიმანდრეს ნარევსა და დემოკრიტეს დებულებაზე: „ყოველივე ერთად იყო შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში". ამრიგად, ისინი მიადგნენ მატერიის ცნებას.

ყველაფერი რაც იცვლება, შეიცავს მატერიას, მაგრამ სხვადასხვას; აგრეთვე იმ მუდმივ მოვლენებსაც, რომლებიც არ წარმოიშობიან, მაგრამ მოძრაობენ ადგილმონაცვლეობით. აქვთ მატერია, ოღონდ არა წარმოშობადი, არამედ ისეთი რომელიც ადგილს იცვლის. მაგრამ იბადება კითხვა, თუ რომელი არარსებულიდან ხდება წარმოშობა? რადგან არარსებული სამგვარია: თუ ის შესაძლებლობაში არსებულია, მაინც საგნები შემთხვევით კი არ წარმოიშობიან, არამედ ერთიმეორისაგან. არც ის ახსნა კმარა, რომლის მიხედვით ყველა საგნები ერთად იყვნენ, რომლებიც მატერიით განსხვავებული არიან. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში რატომ იქნებოდნენ ისინი განუსაზღვრელად ბევრნი და არა-ერთი? აზროვნება ერთია და თუ მატერიაც ერთია, მაშინ რეალობაში ის გადავიდოდა, რომლის მატერია შესაძლებლობაშია, მიზეზი და საწყისი კი სამია. ორი დაპირისპირებულია, აქედან ერთი ცნებაა და იდეა, მეორე მისი არქონება, მესამე კი - მატერია.

თავი მესამე

ამის შემდეგ უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ არ წარმოიშობა არც მატერია და არც ფორმა. მე ვგულისხმობ მათ უკანასკნელ აფეხურებს[1]. რაიმე ყოველთვის რაიმედან რაიმეში იცვლება. რის
1070a განაც იწყება ცვალებადობა, პირველი მამოძრავებელია, რაც იცვლება, მატერიაა, რადაც იცვლება ფორმაა. ცვალებადობა კი დაუსრულებელია. თუ არა მარტო სპილენძი ხდება მრგვალი, არამედ იქმნება მრგვალიცა და სპილენძიც, ამიტომ აუცილებელია შეჩერება.

ამის შემდეგ უნდა შევეხოთ იმას, რომ ყოველი სუბსტანცია როგორც ბუნებრივი, ისე სხვაგვარი, იმავე სახის სუბსტანციიდან წარმოიშობა, იქნება ეს ბუნებრივი, ხელოვნური, შემთხვევითი თუ თავისთავადი წარმოიშობა. ხელოვნება არის საწყისი სხვაში[2], ბუნება კი თავის თავშივე საწყისია. მაგალითად, ადამიანი ადამიანებს. დანარჩენი საწყისები კი მათი არქონებაა.

არსება სამია: მატერია, რომელიც გვევლინება კონკრეტული საგნის სახით მატ[illegible]ია და [illegible] შეხებით და [illegible] შერწყმით. მეორე მხრივ, ესაა კონკრეტული მოვლენა და რაღაც გარკვეულობა[3], და მესამე[4], ამათგან წარმოშობილი რაიმე კონკრეტული საგანი, მაგალითად, სოკრატე ან კალიასი. ზოგჯერ კონკრეტული საგანი, თუ ის ბუნებრივია და არა ხელოვნური, არ შეიძლება არსებობდეს შედგენილი სუბსტანციის გარეშე, მაგალითად, სახლის ფორმა და არა ხელოვნებაში არსებული ფორმა რომელნიც არც წარმოიშობიან და არც ისპობიან, არამედ სახლი მატერიის გარეშე, ისევე როგორც ჯანმრთელობა და ყოველივე სხვა, შექმნილი ხელოვნებით, არსებობენ და არ არსებობენ როგორღაც სხვაგვარად[5], ამიტომაც არ სცდებოდა პლატონი, როცა ამბობდა, რომ იდეები აქვთ ბუნებრივ საგნებსო. მაგრამ თუ არსებობენ იდეები ისეთი მოვლენებისათვის, როგორიცაა ცეცხლი, სხეული ან თავი, ყველა ისინი მატერიაა და უმეტესად წარმავალი არსების მქონე.

მამოძრავებელი მიზეზი წინ უსწრებს მოძრავს, ლოგიკურად კი მოვლენებთან ერთად არსებობს. მაგალითად, როდესაც ადამია-

ნი ჯანმრთელდება, მაშინ არსებობს ჯანმრთელობის ცნებაც, და სპილენძის სფეროს ფორმასთან ერთად არსებობს სპილენძის სფეროც. რჩება თუ არა რაიმე შემდეგ, ეს საკვლევია. ზოგჯერ ამას ხელს არაფერი არ უშლის. მაგალითად, ასეთია სული, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ გონება,[6] რადგან შეუძლებელია მთელი სული ასეთი იყოს.

ამრიგად, ცხადია, რომ იდეების არსებობა საჭირო არაა, რადგან ადამიანი ადამიანს ბადებს, კონკრეტულ საგანს კი რაიმე კონკრეტული საგანი. ასევეა ხელოვნებაშიც, მაგალითად, მედიცინა არის ცნება ჯანმრთელობისა

თავი მეოთხე

სხვადასხვა მოვლენებს სხვადასხვა მიზეზები და საწყისები აქვთ, ზოგს ასეთი, ზოგს ისეთი. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ზოგადად და ანალოგიით, ისინი ყველგან ერთი და იგივეა. კითხვა ეხება იმას, რომ ერთი და იგივე თუ სხვადასხვა საწყისები და ელემენტები აქვთ არსებათ, მიმართებათ, და ყველა სხვა კატეგორიათ. მაგრამ უაზრობა იქნებოდა, რომ ისინი ყველას ერთნაირი ჰქონოდა, რადგან ერთი და იგივესაგან იქნებოდა წარმოშობილი მიმართებაცა 1070ბ
და სუბსტანციაც მაშ როგორი არიან ისინი? არსებისა და სხვა კატეგორიების გარდა, არაფერია ზოგადი, ელემენტი კი წინ უსწრებს იმას, რის ელემენტიც ის არის. მაგრამ არც არსებაა ელემენტი მიმართებათა, არც ეს უკანასკნელნი არიან ელემენტები სუბსტანციათა.

ამას გარდა, როგორ შეიძლება, რომ ყველაფერს ერთი და იგივე ელემენტები ჰქონდეს. არასოდეს არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს ელემენტები და მისგან წარმოებული მთელი. მაგალითად, BA იყოს იგივე, რაც B და A ელემენტი არც აზრისეული უნდა იყოს[1], მაგალითად, არსება და ერთი, თუმცა ისინი ყოველი საგნის შემადგენლობაში შედიან. არც ერთი ელემენტთაგანი არაა არც სუბსტანცია და არც მიმართება[2]. თუმცა ეს აუცილებელია ასე იყოს. არც ყველაფერს აქვს ერთი და იგივე ელემენტები. ანდა როგორცა ვთქვით, ეს ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ კი არა მაგალითად, ყველა შეგრძნებად სხეულს ერთნაირად აქვთ ფორმად: ერთ შემთხვევაში, თბილი, მეორეში — ცივი, რაც სითბოს ნაკლებობაა. ხოლო მატერია პირველად შესაძლებლობაში არის ერთიც და მეორეც. სუბსტანციებია, როგორც ეს, ისევე ის, რაც მათგან არის წარმოშობილი და რომლებსაც ასეთივე საწყისები აქვთ. მაგა-

ლითად, როდესაც თბილისა და ცივისაგან რაიმე ერთს ვიღებთ, როგორიცაა ხორცი ან ძვალი. ის, რასაც ვიღებთ, განსხვავებული უნდა იყოს იმათგან, რისგანაც ვიღებთ. ამათ ეს ელემენტები და საწყისები აქვთ, სხვებს კი — სხვა. მაგრამ ყოველივეზე ასეთი მსჯელობა არ შეიძლება, არამედ ზოგზე უნდა ვიმსჯელოთ ანალოგიით. მაგალითად, ვინმემ რომ დაასახელოს საწყისად ფორმა, მისი არქონება და მატერია, თვითეული ამათგანი სხვადასხვაა სხვადასხვა გვარში. მაგალითად, ფერებისათვის ესაა თეთრი, შავი, ზედაპირი, სინათლე, სიბნელე, ჰაერი, რომელთაგან წარმოიშვება დღე და ღამე.

მიზეზები კი არამხოლოდ ისინი არიან, რომლებიც საგნის შემადგენლობაში შედიან, არამედ გარეშენიც, მაგალითად, მამოძრავებელი მიზეზი. ცხადია, რომ საწყისი სხვაა და ელემენტი კი სხვა. თუმცა ორივე მიზეზია. ასევე იყოფა საწყისიც: მამოძრავებელ და შემჩერებელ საწყისად. არსებობს აგრეთვე რაღაც საწყისი სუბსტანცია. ასე რომ, ანალოგიის მიხედვით ელემენტები სამია, მიზეზები და საწყისები კი — ოთხი. მაგრამ ისინი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა არიან. პირველ რიგში სხვადასხვაა პირველი მიზეზი, როგორც მამოძრავებელი მიზეზი, მაგალითად, ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, სხეული. მამოძრავებელი მიზეზია მედიცინა. ფორმაა გარკვეული სახის უწესრიგობაც, აგრეთვე სახლის ასაშენებელი აგურები. მშენებლობა კი არის მამოძრავებელი მიზეზი.

ასეთ სახეებად განიყოფება საწყისები. თუ ბუნებრივ საგნებში ადამიანი ადამიანს ამოძრავებს, აზროვნებაში ამოძრავებს ფორმა ან მისი საწინააღმდეგო. ამ შემთხვევაში კი სამი სახის მიზეზი გვექნება, ზოგჯერ კი გვექნება ოთხი. ჯანმრთელობის ფორმა როგორღაც არის მედიცინა, სახლის ფორმა — მშენებლობა, ადამიანი კი ჰქმნის ადამიანს. გარდა ამისა, ყოველივე ამას წინ უსწრებს მამოძრავებელი მიზეზი.

თავი მეხუთე

არსებობენ როგორც დამოუკიდებელი, ისე არადამოუკიდებელი მოვლენები, რომელთაგან პირველი სუბსტანციებია. სუბსტან-
1071a ციები ყოველივეს საწყისები იმიტომ არიან, რომ მათ გარეშე არ
არსებობს არც მოძრაობა და არც თვისებები. ამათ მოსდევს სული
და სხეული, ან გონება, მისწრაფება და სხეული.

შემდეგ, როგორღაც ანალოგიის გზით საწყისებია რეალობა და

შესაძლებლობა, მაგრამ ისინი სხვადასხვანაირნი არიან და სხვადასხვა ვითარებაში არსებობენ. ერთი და იგივე მოვლენა ზოგჯერ რეალობაა, ზოგჯერ კი შესაძლებლობა, როგორც მაგალითად, ღვინო, ხორცი და ადამიანი. ისინიც დასახელებული მიზეზების ფარგლებში ექცევიან. რეალურად არსებობს ფორმა, როდესაც ის დამოუკიდებელია, და ის, რაც ორივესაგან არის შემდგარი, ან მისი ნაკლი, როგორიცაა სიბნელე და ავადმყოფობა. შესაძლებლობაში კი მატერია არსებობს. რომელსაც შეუძლია ორივედ იქცეს. რეალურად და შესაძლებლობაში არსებული კი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან არა აქვთ ერთი და იგივე მატერია. ზოგს კი სხვადასხვა აქვთ ფორმაც. მაგალითად, ადამიანის მიზეზია შემდეგი ელემენტები: ცეცხლი და მიწა, როგორც მატერია და მისი სპეციფიკური ფორმა. ამას გარდა კიდევ რაღაც გარეშე, მაგალითად, მამა, მზე, წრეში ტრიალი, რომელიც არც მატერიაა, არც ფორმა, არც მისი არქონება, არც იმავე სახის მიზეზი, არამედ მამოძრავებელი.

გარდა ამისა, უნდა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ზოგი რამ ზოგადია, ზოგი კი არა. ყოველივეს თავდაპირველი საწყისები ზოგჯერ რეალურად უსწრებენ მათ. ზოგჯერ კი შესაძლებლობაში ისინი ზოგადნი არ არიან[1]. კონკრეტული საგნების საწყისები კონკრეტული საგნები არიან. ზოგადი ადამიანი კი ზოგადი ადამიანის საწყისია, მაგრამ ასეთნი არ არსებობენ. არამედ პელევსი აქილევსის მამაა, შენ კი შენი მამა გყავს. კონკრეტული B AB-ს საწყისია, საერთოდ B კი საერთოდ AB-სი.

შემდეგ, სხვადასხვა სუბსტანციებს სხვადასხვა მიზეზები და ელემენტები აქვს, როგორც ნათქვამი იყო. თუ ისინი სხვადასხვა გვარს ეკუთვნიან, მაგალითად, ბგერები, ფერები, არსებები, რაოდენობა, მათ ანალოგიის გარდა, სხვა არაფერი არა აქვთ საერთო. ერთსა და იმავე სახეში შემავალნი კი განსხვავდებიან არა სახით, არამედ ინდივიდუალურად. მაგალითად, შენი მატერია. შენი ფორმა, შენი მოძრაობა, და ჩემი, რაც მხოლოდ ცნების მიხედვითაა ერთი და იგივე.

ამრიგად, კითხვაზე იმის შესახებ, რომ არსებათა, მიმართებათა და თვისებათა საწყისები და ელემენტები არის თუ არა ერთი და იგივე, ცხადია, მრავალი აზრით შეიძლება გავცეთ პასუხი. ცხადია, რომ ისინი სხვადასხვაა თვითეულისათვის და არა ერთი და იგივე. მაგრამ ისინი ზოგჯერ ყველას ერთი და იგივე აქვთ ანალოგიით, ზოგჯერ მათ საერთო აქვთ მატერია, ფორმა, მათი არქონება,

მამოძრავებელი, არსების მიზეზი, რომელიც ყველასათვის საერთოა, და რომლის მოსპობით ისპობა ყოველივე დანარჩენი.

გარდა ამისა, ზოგჯერ პირველია რეალობა, ზოგჯერ კი სხვებს წინ უსწრებს წინააღმდეგობა, რომელიც არც გვარია და არც მრავალი მნიშვნელობა აქვს, ზოგჯერ კი — მატერიები.

1071в თუ რომელია შეგრძნებადი საგნის საწყისები და რამდენი, აგრეთვე როგორ არიან იგივეობრივი და როგორ განსხვავებული, ამის შესახებ უკვე ვთქვით.

თავი მეექვსე

არსებობს სამი სუბსტანცია, ორი ბუნებრივი და ერთი უძრავი. ამ უკანასკნელის შესახებ უნდა ითქვას, რომ აუცილებელია რაღაც უძრავი მარადიული სუბსტანციის არსებობა. რადგან არსებულ მოვლენათა შორის სუბსტანციები პირველნი და წარმავალნი არიან, ამიტომ ყველაფერი წარმავალი იქნება[1]. მაგრამ შეუძლებელია მოძრაობისა და დროის წარმოშობა და მოსპობა, ისინი ხომ მარადიულნი არიან. მაგრამ თუ არ არსებობს დრო, არ იარსებებდა არც წინამორბედი და მომდევნო, რადგან მოძრაობა ისევე უწყვეტია, როგორც დრო. იგივე უნდა ითქვას მოძრაობის ნებისმიერ თვისებაზე. საერთოდ, მოძრაობა კი არაა უწყვეტი, არამედ ადგილმონაცვლეობა, კერძოდ, წრეში ტრიალი. მაგრამ თუ არსებობს ან მამოძრავებელი, ან შემოქმედი მიზეზი, მაგრამ ისე, რომ არ მოქმედებს, მაშინ არც მოძრაობა იქნება, რადგან შესაძლებელია უნარი არსებობდეს ისე, რომ არ განხორციელდეს.

არც მაშინ გვექნება რაიმე სარგებლობა, თუ არსებებს როგორიცაა იდეები, მარადიულად ვაქცევთ ისე, რომ მათში ცვალებადობის გამომწვევ რაიმე მოქმედ და საწყისს არ დავუშვებთ. არც იდეები იქნება საკმარისი და არც იდეების გარდა სხვა სუბსტანციების დაშვება, რადგან თუ ისინი არ მოქმედებენ, არ იქნება მოძრაობა, მოძრაობა არ იქნება არც მაშინ, ისინი რომ მოქმედებდნენ, რადგან მათი არსება შესაძლებლობაა. არც მოძრაობა იქნება მარადიული, რადგან ის, რაც შესაძლებლობაში არსებობს, შეიძლება არც არსებობდეს. ასე რომ, საჭიროა ისეთი საწყისები, რომელთა არსება მოქმედებაა. გარდა ამისა, მათი არსება არამატერიალური უნდა იყოს, რადგან ისინი მარადიული უნდა იყვნენ, თუ საერთოდ, რეალურად არსებობს რაღაც მარადიული.

მაგრამ აქ ჩნდება სიძნელე: უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე

რეალური შესაძლებლობაში არსებობდა, ხოლო ყველა შესაძლეველი კი შეიძლება არ იქცეს რეალობად, ასე რომ, თავდაპირველად შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რეალური არაფერი აღარ იქნება, რადგან შესაძლებელია ისიც, რაც შეიძლება არ არსებობდეს.

მაგრამ შეუძლებელია როგორც ის, რასაც თეოლოგები ამბობდნენ, რომ ყოველივე ღამიდან წარმოიშვაო, ისე ის, რასაც ამტკიცებენ ბუნებისმეტყველნი, რომ ყველა საგნები ერთად იყვნენო. რადგან როგორ იარსებებს მოძრაობა, თუ რეალურად არც ერთი მიზეზი არ არსებობს. რადგან მატერია თვითონ კი არ ამოძრავებს თავის თავს, არამედ მშენებლობა. არც ყოველთვიური მსხვერპლშეწირვები და არც დედამიწა არ მოძრაობს თავისთავად, არამედ მოძრაობს თესლი და დაბადება. ამიტომაც ზოგი ენერგიას მარადიულად აქცევს, როგორც ლევკიპე და პლატონი. ისინი ამბობენ, რომ მოძრაობა მარადიულიაო. მაგრამ არ ამბობენ თუ რატომ, ან რა მოძრაობს, ან რა არის იმის მიზეზი, რომ ის ხან ასეთია, ხან კი ისეთი. შემთხვევით კი არაფერი არ უნდა მოძრაობდეს, არამედ როგორც მუდამ, ისე ამჟამად რაიმე მიზეზით უნდა ხდებოდეს ან ბუნებრივად, ან იძულებით, ან გონებით და სხვა რამენაირად.

შემდეგ, რომელი მოძრაობაა პირველი? რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არც პლატონი წყვეტს კითხვას იმის შესახებ, 1072a თუ რომელია ის საწყისი, რომლითაც მოვლენა თავის თავს ამოძრავებს, რადგან როგორც ის ამბობს, სული შემდეგ ჩნდება და ცასთან ერთად არსებობსო.

რაც შეეხება თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ შესაძლებლობა რეალობას წინ უსწრებს, ეს ზოგჯერ სწორია, ზოგჯერ არა. თუ როგორ, ამის შესახებ უკვე ვთქვით. რომ რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას, ამას ანაქსაგორაც ადასტურებს, რომლის აზრით, გონება არის რეალობა. ემპედოკლესთან ასეთია მეგობრობა და მტრობა. ლევკიპეს აზრით კი, მოძრაობა მარადიულია. ქაოსი და ღამე კი არ არსებობენ განუსაზღვრელი დროის განმავლობაში, არამედ ან ტრიალებენ, ან სხვანაირად მოძრაობენ. თუ რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას, და თუ ერთი და იგივე განუწყვეტლივ წრიულ მოძრაობაშია, საჭიროა არსებობდეს რაიმე უცვლელი, რაც ყოველთვის ერთნაირად ამოძრავებდა მათ. და თუ უნდა არსებობდეს წარმოშობა და სიკვდილი, მაშინ უნდა არსებობდეს რაღაც სხვაც, რაც სხვადასხვაგვარად მოქმედებს, ე. ი. რაც აუცილებლად ხანდახან თავისთავად მოძრაობს, ხანდახან კი — სხვის ზეგავლენით. ეს კი უნდა იყოს ან რაღაც მესამე, ან პირვე

ლი, მაგრამ ის პირველი უნდა იყოს, რომელიც როგორც თავის თავის, ისე ამის მოძრაობის მიზეზია. ასე რომ, უკეთესია, თუ პირველს დავუშვებთ. ის ხომ იმის მიზეზია, რაც ყოველთვის ერთნაირად მოქმედებს. ხოლო რაც სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, მისი მიზეზი არის მეორე, ხოლო იმას, რაც ყოველთვის სხვადასხვანაირად ხდება, ამის მიზეზი ორივა, რაც უკვე ცხადი გახდა.

ასეთი მდგომარეობაა მოძრაობებში. ისმის კითხვა — საჭიროა კიდევ სხვა საწყისების ძიება, თუ არა?

თავი მეშვიდე

ეს ასე უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე წარმოშობილი იქნება ღამისა, ყოველივეს ნარევისა და არარსებულისაგან; ამიტომაც ეს დადგენილად უნდა ჩავთვალოთ. ასე რომ, უნდა არსებობდეს რაღაც მუდამ შეუჩერებლად მოძრავი, როგორიცაა წრიული მოძრაობა. ეს ცხადია არა მარტო მსჯელობით, არამედ ფაქტებითაც. ამრიგად, პირველი ცა მარადიულია. ამას გარდა, არსებობს რაღაც მამოძრავებელი, რომელიც ამოძრავებს სხვას და თვითონაც მოძრაობს და რომელსაც შუა ადგილი უკავია. ამიტომაც უნდა არსებობდეს რაღაც, რაც ისე ამოძრავებს, რომ თვითონ არ მოძრაობს და რაც მარადიული სუბსტანცია და მოქმედებაა. ასე კი ამოძრავებს მისწრაფებისა და აზროვნების საგანი, რომელიც თვით არ მოძრაობს. ამრიგად, ამოძრავებს უძრავი, რომელიც იგივეობრივია ჩვენ კი ვისწრაფვით იმისკენ, რაც მშვენივრად გვეჩვენება. ასევე, უპირველესად ყოვლისა, მშვენიერია სასურველი. ჩვენ უფრო მეტად იმიტომ ვისწრაფვით მისკენ, რომ მშვენივრად გვეჩვენება, ან გვეჩვენება იმიტომ, რომ ვისწრაფვით მისკენ, საწყისი კი აზროვნებაა. აზროვნებას აზროვნების ობიექტი ამოძრავებს. აზროვნების ობიექტი კი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი თავისთავადი მოვლენების რიგს განეკუთვნება. მას აქვს პირველადი არსება, რომელიც მარტივია და რეალურად არსებული, მაგრამ ერთი და მარტივი ერთი და იგივე არაა, რადგან ერთი საზომს
72b ნიშნავს, მეორე კი მის მდგომარეობას. მაგრამ როგორც მშვენიერი, ისე თავისთავადი მოვლენები ერთსა და იმავე რიგს განეკუთვნებიან და ან საუკეთესონი არიან, ან მისი ანალოგიური.

რომ მიზანი უძრავ მოვლენებს შორის იმყოფება, ამას განხილვა ნათელყოფს. მიზანი კი რაიმეს მიზანია და რაიმეში არსებობს.

ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს და შეიძლება არა. მიზანი მოვლენას ამოძრავებს, რადგან ის სასურველია და ამოძრავებული კი ამოძრავებს სხვას. ასე რომ, თუ რაიმე მოძრაობს, მას სხვაგვარადაც შეუძლია არსებობა. ასე რომ, თუ ტრიალი არის პირველი მოძრაობა, ის, რაც ასე მოძრაობს, მას შეუძლია სივრცეში იმოძრაოს ასეც და სხვანაირადაც, ე. ი. არა არსებით მიხედვით. მაგრამ თუ არსებობს უძრავი მამოძრავებელი, რომელიც რეალურად არსებობს, ის არასოდეს არ შეიძლება სხვადასხვაგვარად ამოძრავებდეს. პირველი ცვალებადობა გადაადგილებაა. ასეთია წრეში ტრიალიც, რასაც უძრავი მამოძრავებელი იწვევს და ეს უკანასკნელი კი აუცილებლად არსებობს. აუცილებლად არსებული კი მშვენიერია და ამდენად საწყისიცაა.

„აუცილებელს“ შემდეგი მნიშვნელობა აქვს: პირველი არის იძულება, რადგან მიმართულია საკუთარი მიდრეკილების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ის, რის გარეშე არაა კეთილდღეობა. მესამე ის, რასაც სხვაგვარად არ შეუძლია არსებობა, თუ არა მარტივად. ასეთი საწყისისაგან არის დამოკიდებული ცაც და ბუნებაც. ის ისე ცხოვრობს, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ ყველაზე ბედნიერ წუთებში ის კი ყოველთვის ასე ცხოვრობს, რაც ჩვენთვის შეუძლებელია, რადგან მისთვის მოქმედება არის სიამოვნება აქედან აქვს მას სიფხიზლეც, შეგრძნებაც, და რაც ყველაზე სასიამოვნოა, აზროვნება, საიდანაც გამომდინარეობს მისი იმედები და შეხედულებები.

აზროვნება თავისთავად კი არის აზროვნება ყველაზე უკეთესისა და რაც უფრო მეტად კეთილშობილია აზროვნება მით უფრო მეტად [illegible] ობიექტი აქვს მას. თავის ობიექტთან ზიარების გამო აზროვნება თავის თავს აზროვნებს, რადგან აზრის ობიექტი აზრთან შეხებისა და საერთოდ, გააზრების შედეგად იქმნება. აზრი და აზრის ობიექტი ერთი და იგივეა, რადგან აზროვნება თავის თავში შეიცავს როგორც ობიექტს, ისე მის არსებასაც. და ის იმიტომ მოქმედებს, რომ შეიცავს მას. ამრიგად, აზროვნებაში ყველაზე მეტად ღვთაებრივი ეს უნდა იყოს, ხოლო აზროვნება უნდა იყოს ყველაზე უფრო სასიამოვნო და საუკეთესო მოქმედება. ის ბედნიერებაა, რასაც ჩვენ ხანდახან განვიცდით, ღმერთი კი ყოველთვის, რაც საოცარია. და რომ არსებობდეს ამაზე უფრო მეტი ბედნიერება, კიდევ უფრო მეტად საოცარი იქნებოდა. ღვთაება კი ასეთია, როგორც ვთქვით. ღმერთს ახასიათებს სიცოცხლეც, რაც აზროვნების გამოვლენაა. ეს უკანასკნელი კი არის მოქმედება თავისთავად მოქმედება კი არის საუ-

ეთესო და მუდმივი სიცოცხლე. ამიტომაც ვამბობთ, რომ ცხალ არსებათა შორის, ღმერთი, ყველაზე მეტად მარადიული [illegible] ყველაზე უკეთესი [illegible] რომ ღმერთი მუდმივად [illegible] უწყვეტი სიცოცხლე და მარადიული არსებობა [illegible] ღმერთი.

პითაგორელები და სპევსიპე კი ამტკიცებენ, რომ არ [illegible] ის უმშვენიერესი და საუკეთესო საწყისი იყო. იმის გამო, რომ მცენარეებისა და ცხოველების საწყისი მიზეზები არიან, მაგრამ მშვენიერი და სრულყოფილი არის ის, რაც მათგან გამომდინარეობს, ე. ი. შეხედულება [illegible] სწორი არ არის, რადგან თესლი სხვა პირველი სრულყოფილი მიზეზებისაგან არის წარმოშობილი და ამრიგად, თავდაპირველი [illegible] არის [illegible] ყოფილი მიზეზი [illegible] რომ შეიძლება ითქვას, რომ თესლზე [illegible]
1073a ადამიანი არსებობს, მაგრამ არა თესლისაგან შექმნილი, არამედ სხვა ადამიანი, რომლისაგანაც წარმოშობილია ეს თესლი.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ არსებობს რაღაც მუდმივი, უძრავი, შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებელი არსება. დავამტკიცეთ [illegible] რომ ამ არსებას არა აქვს არავითარი [illegible] არამედ [illegible] განუყოფელი და დაუშლელი [illegible] ამოძრავებს [illegible] ნებს განუსაზღვრელი დროის მანძილზე, რადგან განუსაზღვრელ[illegible] ძალა არაფერი არა აქვს სასრულს [illegible] განსაზღვრულია [illegible] [illegible] ამიტომ, რომ არ არსებობს არავითარი განუსაზღვრელი სიდიდე. ამას გარდა, ის უგრძნობი და უცვლელია, რადგან [illegible] სხვა მოძრაობანი მოსდევენ ადგილმონაცვლეობას [illegible] ამგვარად, ცხადი ხდება, რომ [illegible] უნდა იყოს.

თავი მერვე

ასეთი არსება ერთია, თუ ბევრი? თუ ბევრია, რამდენი? ეს არ უნდა დავტოვოთ აუხსნელი, არამედ უნდა გავიხსენოთ სხვების შეხედულებებიც, რომლებმაც [illegible] ნათლად არაფერი [illegible] [illegible] დებენ რომლებსაც [illegible] განუსაზღვრელად თვლიან, ხან კი ათამ-

დე განსაზღვრულად რიცხვთა ასეთი სიმრავლისა [illegible] რიოზულად არაფერი არა აქვთ დასაბუთებული.

ჩვენ კი უნდა ვიმსჯელოთ გამომდინარე ჩვენი წანამძღვრებიან და განსაზღვრებიდან. საგნების საწყისი და პირველი [illegible] თავისთავად ისე შემთხვევით. [illegible], რომელიც იწვევს პირველ მარადიულ და ერთადერთ მოძრაობას, რადგან მოძრავი აუცილებლად რაიმე ამოძრავებს. პირველი მამოძრავებელი კი თავისთავად უძრავია და მუდამ [illegible] მარადიული მოძრაობით და მხოლოდ ამ მოძრაობით მაგრამ ყოველივე მარტივი მოძრაობის გვერდით, იმ მოძრაობის [illegible] რომელსაც ჩვენი აზრით პირველი უძრავი [illegible] ვხედავთ სხვა მარადიულ მოძრაობებსაც, რომელიც პლანეტებს ახასიათებთ. სხეულთა წრიული მოძრაობა რომ მარადიულია და შეუჩერებელი, ეს მტკიცდება წიგნებში „ბუნების შესახებ“ აუცილებელია, რომ თვითეული ამ მოძრაობათაგან [illegible] ამოძრავებული [illegible] თავისთავად უძრავი და მუდმივი სუბსტანციის მიერ, რადგან მნათობები არიან რაღაც მარადიული ბუნების. ამიტომ თითოეული უნდა იყოს მათი მამოძრავებელი, რომელიც წინ უსწრებს მის მიერ ამოძრავებულს. რაც სუბსტანციებს უსწრებს წინ, თვითონაც სუბსტანცია უნდა იყოს. მაგრამ ცხადია, რომ ასეთი სუბსტანციები ზემოთქმული მიზეზების გამო აუცილებლად მუდმივი ბუნების უნდა იყოს, უძრავი და
სიდიდის არმქონე. რომ არსებობენ რაღაც სუბსტანციები და მათ 1073b
შორის არის რაღაც წინმორბედი და მომდევნო, [illegible] ანალოგიურად მოძრავი. ე. ი. ცხადია [illegible] მათ [illegible] [illegible] ფილოსოფიის მონათესავე მათემატიკური მეცნიერების — ასტრონომიის მიერ, რომელიც სწავლობს [illegible] მუდმივ, მაგრამ შეგრძნებად სუბსტანციებს. სხვები კი სუბსტანციებს არ სწავლობენ, მაგალითად, მეცნიერება რიცხვების შესახებ და გეომეტრია.

რომ მოძრაობა მრავალგვარია, ეს ცხადია იმათთვისაც, ვისაც მცირეოდნად მაინც უფიქრია ამაზე. მაგალითად, თვითეული [illegible] მოძრაობს ერთზე მეტი სახის მოძრაობით. საჭიროა შევეხოთ იმას, თუ რას ამბობენ მათემატიკოსები მოძრაობის [illegible] რაოდენობაზე [illegible] [illegible] შევძლოთ [illegible] დანარჩენი [illegible] ჩვენ თვითონ უნდა ვიკვლიოთ, ან გავიგოთ იმათგან, ვინც ამას იკვლევს, თუ მათ [illegible] განსხვავებული აქვთ [illegible] მეთოდი [illegible] რამ უნდა ვენდოთ უფრო ზუსტს.

ევდოქსმა მზისა და მთვარის მოძრაობა სამ სფეროში მოათავსა. ამათგან პირველია უძრავი ვარსკვლავების [illegible], მეორე [illegible] ნიშანთა შუა მდებარეობს, მესამე ამ ნიშნებიდან [illegible]. ამათგან უფრო მეტად იყო გადახრილი მთვარე, [illegible] ვარსკვლავებს, [illegible] მოძრაობა [illegible]. ამათგან პირველი [illegible] მზისა და მთვარის [illegible] ევდოქსის აზრით. [illegible] ვარსკვლავები [illegible] იმას [illegible] ზოდიაქოს [illegible] მოძრაობენ, [illegible] ყველა [illegible] ზოდიაქოს ნიშნით [illegible] [illegible] პლანეტას [illegible] მხოლოდ [illegible] [illegible] აქვთ [illegible]

[illegible] [illegible] როგორც ევდოქსმა, [illegible] ზოგი [illegible] ევდოქსმა [illegible] და მთვარის [illegible] მოძრაობა. თუ ვინმე მოვლენებს [illegible] სხვა მნათობებსაც თვითეულს თითო სფერო [illegible] მაგრამ თუ ამ სფეროებმა უნდა აგვიხსნან მოვლენები აუცილებელია თვითეულ მოძრავ ვარსკვლავს [illegible] სფეროები, უკვე ღასახელებულებთან შედარებით ერთით ნაკლე-
1074a ბი, რომლებიც ყველაზე დაბლა მოთავსებულ ვარსკვლავის სფეროს პირველ მდებარეობას [illegible] მხოლოდ [illegible] შეიძლება წარმოებდეს პლანეტების ყოველგვარი მოძრაობა. ამრიგად, ერთი მხრივ, არის მოძრავ ვარსკვლავთა 8 სფერო, მეორე მხრივ, 25, რომელთაგან უკან არ ბრუნდება [illegible] სფეროები, რომლითაც ყველაზე დაბლა მოთავსებული [illegible] პირველი ორი პლანეტის სფეროებ[illegible] ბრუნდება 6, [illegible] თი რიცხვი. რომლებიც მომდევნო [illegible] ბრუნდება არის 16 იმ სფეროების რიცხვი, [illegible] პლანეტები [illegible] ობენ და უკან ბრუნდებიან არის [illegible] [illegible] [illegible] ჩვენ [illegible] თითეთ, მაშინ ყველა სფეროთა რიცხვი 47 იქნება. [illegible] [illegible] რიცხვი. ამრიგად, გონივრული იქნებოდა, რომ არსებათა, უძრავ საწყისთა და შეგრძნებადი მოვლენების რიცხვიც ამდენი დაგვეშვა ხოლო აუცილებლის [illegible] უფრო ღრმა მოაზროვნეთათვის თუ არ არსებობს სხვა [illegible] რი მოძრაობა, რომელიც ამა თუ იმ მნათობის მოძრაობას გაამძლი-

ერებდა, გარდა ამისა, თუ თვითეული მათგანის ბუნება და არსება [illegible] და თავისთავადი და მის მიზანს ყველაზე უკეთესი [illegible] შეადგენს, მაშინ ამათ გარდა სხვა ბუნებანი არ არსებობს და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სხვა მოძრაობები [illegible] შეუძლებელია [illegible] [illegible] მნათობის თუ ყოველი [illegible] [illegible] მოძრავი [illegible] და ყოველ [illegible] მოძრაობა [illegible] [illegible] არსებობს [illegible] [illegible] სხვა [illegible] გულისთვის. არამედ მნათობების [illegible] [illegible] მაგრამ თუ მოძრაობა არსებობს მოძრაობის გულისთვის, [illegible] სხვა მოძრაობის გულისთვის არსებებიდა და [illegible] არ შეიძლება [illegible]. მაშინ ყოველი მოძრაობის მიზანი რაიმე ღვთაებრივი ციური მოძრავი სხეული იქნება.

რომ ცა ერთია, ცხადია. რადგან [illegible] რომ ბევრი ცა [illegible] როგორც ადამიანები, მაშინ თითოეულ მათგანს სახით ერთი, მაგრამ რიცხვით ბევრი საწყისი ექნებოდა მაგრამ რიცხვით ბევრს მატერია აქვს, ცნება კი ერთი. მაგალითად, ადამიანის ცნება [illegible] კი ერთი. [illegible] პირველს, რომელიც [illegible], არა აქვს მატერია, რადგან [illegible]. ხოლო ის, რაც ერთია როგორც ცნებით, ისე რიცხვით [illegible] პირველი მამოძრავებელი, თვითონ უძრავია [illegible] მოძრაობს მუდმივ და უწყვეტლივ
1074b [illegible] ერთი, კაკ

[illegible] ძველ და უძველეს მოაზროვნეთაგან გადმოცემული და მომდევნო მოაზროვნეთა მიერ გაზიარებული შეხედულებით, ღმერთები [illegible] არიან და ისინი მოიცავენ მთელ ბუნებას [illegible] დამატება იქნება მასის დასარწმუნებლად, კანონების განსამტკიცებლად და სარგებლობის მიზნით.

ღმერთებს ხატავდნენ ადამიანთა და სხვა ცხოველთა მსგავსად [illegible] და [illegible] ზემოთქმულის მსგავს სხვა შედეგები თუ [illegible] [illegible] მხოლოდ [illegible] დაშვებას. რომ [illegible] ღმერთები [illegible]. მაშინ [illegible] ღვთაებრივ [illegible] როგორც [illegible] [illegible] რომლებიც მრავალჯერ იქნენ აღმოჩენილი და კვლავ დავიწყებულნი, ჩვენამდე [illegible] როგორც ძველთა გადმონაშთებმა

ამრიგად, მამა-პაპათა და წინამორბედთა შეხედულებანი ჩვენთვის მხოლოდ ამდენად არის ცნობილი.

თავი მეცხრე

გაარკვევთა ზოგიერთი საკითხი გონების შესახებ, როგორც ჩანს, ის მოვლენათა შორის ყველაზე ღვთაებრივია. მაგრამ ზოგიერთ სიძნელესთან არის დაკავშირებული კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ არის გონება ასეთი? ის რომ არაფერს არ აზროვნებდეს, პატივსაცემი არ იქნებოდა და მძინარს დაემსგავსებოდა, მაგრამ თუ ის აზროვნებს, მას სხვა ძირითადი მიზეზი აქვს. მისი არსება რომ ყოფილიყო არა აზრი, არამედ აზროვნების უნარი, ის არ იქნებოდა ყველაზე საუკეთესო, რადგან მისი ღირსება აზროვნებაში მდგომარეობს. შემდეგ, მისი არსება ან აზრია, ან აზროვნება. მაგრამ რას აზროვნებს ის? ან თავის თავს, ან რაღაც სხვას. თუ სხვას, მაშინ ან ყოველთვის ერთსა და იმავეს, ან სხვადასხვას. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოიაზრებს ის ყოველთვის მშვენიერს, თუ იმას, რაც მოხვდება. მაგრამ ზოგიერთი მოვლენის შესახებ ფიქრი უაზრობაა. ის კი ცხადია, რომ ის მოიაზრებს ყველაზე უფრო ღვთაებრივსა და პატივსაცემს და არც იცვლება. რადგან ის შეიძლება შეიცვალოს უარესისაკენ, ესეც ხომ რაღაც მოძრაობაა. ჯერ ერთი, თუ ის არის არა აზროვნება, არამედ აზროვნების უნარი, მისთვის ძნელი იქნებოდა უწყვეტი აზროვნება. შემდეგ, ცხადია, რომ მაშინ უნდა ყოფილიყო რაღაც სხვა, გონებაზე უფრო პატივსაცემი, სახელდობრ, მოაზრებული. რადგან აზროვნება და აზრი მაშინაც არსებობს, როდესაც ყველაზე უარესს მოიაზრებს. ასე რომ, თუ ამას გვერდს ავუვლით, რადგან ზოგჯერ არდანახვა სჯობს დანახვას. აზროვნება აღარ იქნებოდა ყველაზე უკეთესი. ამრიგად, თუ გონება ძლიერია, ის თავის თავს მოიაზრებს და მაშასადამე, აზროვნება აზროვნების აზროვნებაა. მაგრამ როგორც ჩანს, ცოდნა, შეხედულება, შეგრძნება და განსჯა სხვას ეხებიან, თავის თავს კი სხვათა შორის. გარდა ამისა, თუ სხვადასხვაა აზროვნება და მოაზრებული, რომელი მათგანი შეადგენს მის ღირსებას? აზროვნება და გააზრებული ერთი და იგივე ხომ
1075a არაა? თუ ზოგიერთ შემთხვევაში ცოდნა და საგანი ერთი და იგივეა? შემოქმედებითს მეცნიერებებში სუბსტანცია და არსება მოცემულია მატერიის გარეშე, თეორიულში ისაა საგნის ცნება და აზროვნება. იმ ობიექტებში, რომელთაც მატერია არა აქვთ, აზრის ობიექტი და აზრი სხვადასხვა არაა, არამედ ერთი და იგივე, მაშასადამე, ერთი და იგივეა აზროვნება გააზრებული.

[illegible] კითხვა [illegible] შესახებ, არის თუ არა [illegible] რთული? [illegible] შემთხვევაში [illegible] მთელის ნაწილებს [illegible] შეეხება თუ [illegible] როგორც [illegible] გონება, რომელიც ზოგჯერ [illegible] შედგენილი საგ[illegible] და რომლისთვისაც [illegible] არსებობს [illegible] როგორც რაღაც საუკეთესო მთელი და მისგან განსხვავებული. ამავე მდგომარეობაშია აზროვნება რომელიც [illegible]ბის განმავლობაში თავის თავს აზროვნებს.

თავი მეათე

[illegible] როგორ [illegible] ბუნებაში [illegible] რაღაც დამოუკიდებელი და [illegible] [illegible] ხომ [illegible] უფრო მეტად [illegible]სკნელი, რადგან ის წესრიგის საშუალებით არსებობს, და არა [illegible] ყველ[illegible] როგორღაც მოწესრიგებულ[illegible] [illegible] მათ შორის [illegible] ნაკლებ [illegible] რომ მოვლენათა ნაწილისათვის აუცილებელია დაშლა, დანარჩენისათვის კი გაერთიანება [illegible] რა შეუსაბამობა და ლიბრკოლებანი გა[illegible] [illegible] მსჯელობენ და ვის აქვს [illegible] სიძნელეები.

[illegible] ნენ ზემოქმედებას. ჩვენთვის ამის გადაჭრა იოლია, რადგან ჩვენ [illegible] წინააღმდეგობის ერთ-ერთ მხა[illegible] რედ მატერიას აცხადებენ, ისევე როგორც ტოლს უპირისპირებენ

არატოლს და ერთს კი ბევრს. მაგრამ ესეც იმავე ხერხით წყდება, რადგან მატერია არაფერს არ უპირისპირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი გარდა ერთისა ბოროტებას ეზიარებოდა, რადგან ბოროტება წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარეა.

სხვა მოაზროვნეების აზრით, სიკეთე და ბოროტება საწყისები არ არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველგან უფრო მეტად საწყისი სიკეთეა. ეს კი სწორია, რომ სიკეთე საწყისია, მაგრამ არ ამბობენ, თუ როგორ არის ის საწყისი, როგორც მიზანი, როგორც მოძ-
1075b რაობა, თუ როგორც ფორმა?

უაზრობაა ამბობს ემპედოკლეც, რომელიც მეგობრობას აქცევს სიკეთედ და მას სთვლის, როგორც მამოძრავებელ, ისე მატერიალურ საწყისად: ის ხომ ნარევის ნაწილია. მაგრამ თუ ერთი და იგივე შემთხვევითაა, როგორც მატერიალური, ისე მამოძრავებელი საწყისის ერთი და იგივე ვერ იქნება. რომელი ამათგანია მეგობრობა? უაზრობაა აგრეთვე, რომ შური უკვდავი იყოს, რადგან მას ისეთივე ბუნება აქვს, როგორიც ბოროტებას.

ანაქსაგორას კი სიკეთე მიაჩნდა მამოძრავებელ საწყისად, რადგან მისი აზრით, მამოძრავებელი არის გონება, მაგრამ ის ამოძრავებს რაღაც მიზნით ისე, რომ, ეს სულ სხვაა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, რომ მედიცინაც როგორღაც ჯანმრთელობაა. უაზრობაა, რომ ის არაფერს არ უპირისპირებს სიკეთესა და გონებას. ყველა ისინი, რომლებიც წინააღმდეგობას თვლიან საწყისად, არ სარგებლობენ წინააღმდეგობით, თუ მათი ნათქვამი როგორღაც არ დავალაგეთ. არაფერს არ ამბობენ იმაზეც, თუ რატომ ერთი მოკვდავი და მეორე კი უკვდავი[1], რადგან ყველა არსებული ერთი საწყისიდან გამოჰყავთ. გარდა ამისა, ზოგნი არარსებულიდან აწარმოებდნენ არსებულს, ზოგნი კი იძულებულნი იყვნენ ყოველივე ერთად ექციათ, რათა ეგევე შედეგი არ მიეღოთ[2].

გარდა ამისა, არავინ არაფერს არ ამბობს იმაზე, თუ რატომ არის წარმოშობა მარადიული და რაა ამის მიზეზი. ისინი, რომლებიც ორ საწყისს უშვებენ, მათთვის აუცილებელია სხვა უფრო ძლიერი საწყისის დაშვება. ისინი კი რომლებიც იდეებს აღიარებენ სხვა უმთავრეს საწყისად, არ ამბობენ, თუ რატომ მონაწილეობენ მასში საგნები, ან თვით რატომ მონაწილეობენ საგნებში.

ზოგის აზრით, აუცილებელია, რომ სიბრძნეს და საუკეთესო მეცნიერებას რაღაც უპირისპირდებოდეს. ჩვენი აზრით, ეს აუცილებელი არაა, რადგან პირველს არაფერი არ უპირისპირდება. ყოველ დაპირისპირებულს აქვს მატერია, რომელიც შესაძლებლობაში არის. უცოდინარობა გადადის საწინააღმდეგოში, მაგრამ პირველს არაფერი არ ეწინააღმდეგება. თუ შეგრძნებადის გარდა, სხვა არაფერი არ არსებობს, მაშინ არ იარსებებდა არც საწყისი, არც წესრიგი, არც წარმოშობა და არც ციური მოვლენები, არამედ ყოველ საწყისს საწყისი ექნებოდა, როგორც ამტკიცებენ ყველა თეოლოგები და ბუნებისმეტყველნი. მაგრამ თუ არსებობენ იდეები და რიცხვები, ისინი არაფრის მიზეზები არ იქნებიან, ყოველ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან მოძრაობის მიზეზები. გარდა ამისა, როგორ წარმოიშობოდა სიდიდე და უწყვეტობა იმისაგან, რასაც სიდიდე არა აქვს? რადგან რიცხვი ვერ წარმოშობს უწყვეტობას, არც როგორც მამოძრავებელი, არც როგორც ფორმა. მეორე მხრივ, დაპირისპირებულთა შორის არც ერთი არაა ისეთი საწყისი, როგორიცაა შემოქმედი და მამოძრავებელი. შესაძლებელია ის არ არსებობდეს. რადგან მოქმედება შესაძლებლობას მოსდევს და მაშასადამე, არსებული მარადიული ვერ იქნება. მაგრამ მარადიულნი არსებობენ. ამრიგად, ამ შეხედულებათაგან რომელიღაც უარსაყოფია. თუ როგორ, ამის შესახებ უკვე ვთქვით.

გარდა ამისა, იმის შესახებ, თუ როგორ არის რიცხვით ერთი სული, სხეული, საერთოდ, ფორმა და საგანი, ამაზე არავინ არაფერს არ ამბობს. ამის თქმა შეუძლებელიცაა, თუ ისეთივე პასუხი არ იქნა გაცემული, რასაც ჩვენ ვამბობთ, რომ ამას მამოძრავებელი აჩენს. ისინი კი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათემატიკური რიცხვები პირველია და თვითეულ მოვლენას განსხვავებულ არსებასა და საწყისს აძლევენ, სამყაროს არსებას შემთხვევითობის გროვად აქცევენ
(რადგან ერთის არსებობა ან არარსებობა მეორეს არაფერს არ მა- 1076a
ტებს) და მრავალ საწყისს უშვებენ. სამყაროს კი არ სურს, რომ ცუდად მართავდნენ: „ცუდია მრავალხელისუფლიანობა, დაე იყოს ერთმმართველობა!“

წიგნი მეცამეტე

თავი პირველი

შეგრძნებადი მოვლენების არსება, როგორც მატერია, ისე [illegible]ლობა, განხილული გვაქვს ბუნებისმეტყველური ხასიათის წიგნებში. საკვლევია, არსებობს თუ არა შეგრძნებადი სუბსტანციების გარდა რაღაც უძრავი, მარადიული სუბსტანცია და თუ არსებობს, როგორია ის? თავდაპირველად განხილულ უნდა იქნას სხვათა შეხედულებანი, რათა არ დავეთანხმოთ იმაში, რასაც არასწორად ამბობენ და იმ შეხედულებებში, რომლებიც მათთან საერთო გვაქვს, მარტო ჩვენ თავს არ დავდოთ ბრალი. დასაფასებელია როგორც ის, ვინც აყენებს ჩვენზე უკეთეს დებულებას, ისე ის, ვინც ყოველ შემთხვევაში არა უარესს.

აღნიშნულ საკითხზე არსებობს ორი შეხედულება. ერთნი ამბობენ, რომ მათემატიკური სიდიდეები, როგორიცაა რიცხვები, ხაზები და სხვა მათდაგვარნი და აგრეთვე იდეები, რაღაც სუბსტანციებია. ზოგი ორ სუბსტანციას ასახელებს: იდეებსა და მათემატიკურ რიცხვებს, ზოგი კი ორივეს ერთ ბუნებად თვლის. ზოგი ამტკიცებს, რომ მხოლოდ მათემატიკური სიდიდეები არიან სუბსტანციები. პირველ რიგში უნდა განვიხილოთ პირველი შეხედულება მათემატიკური სიდიდეების[1] შესახებ ისე, რომ სხვა ბუნება არ მივაწეროთ მათ, მაგალითად არსებობენ თუ არა იდეები და არიან თუ არა ისინი არსებული საგნების საწყისები და არსებები? უნდა ვიკვლიოთ, [illegible] მათემატიკური სიდიდეები და, თუ არსებობენ, როგორ? მერე ცალკე უნდა შევეხოთ იდეებს ზოგადად [illegible] ჩვეულებრივ [illegible], რადგან ამაზე ძალიან ბევრია ნათქვამი გამო[illegible] [illegible]. შემდეგ, [illegible] არიან თუ არა რიცხვები და [illegible] არსებული საგნების [illegible] იქნება ჩვენი მესამე პრობლემა.

თუ მათემატიკური რიცხვები არსებობენ, ისინი აუცილებლად ან შეგრძნებად საგნებში იქნებიან მოთავსებული, როგორც ამბობენ ზოგნი, ან მათგან დამოუკიდებლად, ზოგი ამასაც ამტკიცებს. და თუ ისინი არც ერთი ამ სახით არ არსებობენ, მაშინ ისინი ან სულ არ არსებობენ, ან არსებობენ სხვაგვარად. ამრიგად, ჩვენ ვდავობთ არა მათ არსებობაზე, ან არარსებობაზე, არამედ მათი არსებობის ფორმაზე

თავი მეორე

რომ მათემატიკური სიდიდეები არ შეიძლება შეგრძნებად საგნებში არსებობდნენ და რომ ეს მოჭორილი თვალსაზრისია, ამის შესახებ გვაქვს ნათქვამი წიგნებში „პრობლემების შესახებ". რომ 1076b
შეუძლებელია ერთ ადგილას ორი სხეულის არსებობა და რომ იმავე საბუთით სხვა ძალები და ბუნებებიც უნდა ყოფილიყვნენ შეგრძნებად საგნებში და არ უნდა ყოფილიყვნენ მათგან დამოუკიდებელნი, ამაზე ზემოთ უკვე ვთქვით. გარდა ამისა, ცხადია, რომ შეუძლებელია ნებისმიერი სხეულის დაყოფა, რადგან სხეული უნდა დაიყოს სიბრტყეებად, სიბრტყე—ხაზებად, ხაზი—წერტილებად. მაგრამ, თუ წერტილის დაყოფა შეუძლებელია, შეუძლებელი იქნება ხაზის დაყოფაც და თუ ამის დაყოფაც შეუძლებელია, მაშინ არც სხვა რაიმე დაყოფება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დანაყოფები ისეთივე ბუნებისა იქნებიან, თუ არა და მათშივე იქნებიან მოთავსებული, თუ არა, რადგან შედეგი ერთი და იგივე იქნება, შეგრძნებადი საგნების დაყოფასთან ერთად ისინიც დაიყოფებიან[1], ან არც შეგრძნებადნი უნდა დაიყონ.

გარდა ამისა, შეუძლებელია ამ ბუნებათა დამოუკიდებელი არსებობა. თუ არსებობს შეგრძნებადთაგან დამოუკიდებელი სხვა სხეული, რომელიც შეგრძნებად სხეულებს წინ უსწრებს, ცხადია, რომ აუცილებელი იქნებოდა სიბრტყეების დამოუკიდებლად სხვა სიბრტყეების არსებობა, აგრეთვე ხაზის და წერტილისა, იმავე საბუთით თუ ეს ასეა, მაშინ მათემატიკური სხეულის, სიბრტყის, ხაზისა და წერტილის გარდა, იარსებებდა სხვა დამოუკიდებელი სიბრტყე ხაზი და წერტილი, რადგან რთულს წინ უ წრებს მარტივი, და თუ შეგრძნებად სხეულებს წინ უსწრებს უგრძნობი, იმავე საბუთით უძრავ სხეულებში მყოფ სიბრტყეებს წინ უნდა უსწრებდეს თავისთავადი სიბრტყეები [illegible] სიბრტყეებს [illegible] და ხაზებს [illegible] დამოუკიდებელ შეგრძნებად სხეულებში იმყოფებიან იქნებოდნენ სხვა ხაზები და წერტილები. ამათგან პირველნი მათემატიკურ სხეუ-

ლებთან ერთად იარსებებდნენ, მეორენი მათზე ადრე. იმავე საბუ-თით ამ სიბრტყეებზე წინ ხაზებია, რომელთა უწინარეს იქნებოდნენ სხვა ხაზები და წერტილები. და ამ პირველადი ხაზების წინ იქნე-ბოდნენ სხვა პირველი ხაზები და წერტილები, რომელთა უწინარეს სხვა არაფერი არ იქნებოდა. მაგრამ ეს უაზრო დაგროვება იქნებოდა. გამოდის, რომ შეგრძნებადი სხეულების გარდა, არსებობს ერთი ახეული, და შეგრძნებადი სიბრტყის გარდა, სამი სხვა სიბრტყე, ე. ი. ერთი შეგრძნებადთაგან დამოუკიდებლად არსებული, მეორე მათე-მატიკურ სხეულებში არსებული, მესამე ამათგან დამოუკიდებლად არსებული, ოთხი ხაზი და ხუთი წერტილი. ამრიგად, რომელი მათე-მატიკური მეცნიერებების ობიექტებია ისინი? მათემატიკა არ უნდა ეხებოდეს არც უძრავ სხეულში არსებულ სიბრტყეებს, ხაზებსა და წერტილებს, რადგან მეცნიერება ყოველთვის პირველად საწყისებს ეხება. იგივე უნდა ითქვას აგრეთვე რიცხვების შესახებაც. ცალკე აღებული წერტილის გარდა, უნდა იყოს სხვა წერტილები. ასევე არსებულის გარდა, იქნება ის შეგრძნებადი, თუ აზრობრივი, უნდა იყოს დამოუკიდებელი მათემატიკური რიცხვები

შემდეგ, როგორ უნდა გადაწყდეს ის საკითხი, რომელსაც შევე-ხეთ წიგნში „პრობლემების შესახებ“. რადგან ის, რასაც სწავლობს
1077a ასტრონომია, არსებობს შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებლად ისევე, როგორც ის ობიექტები, რასაც გეომეტრია სწავლობს. კითხვა ეხება იმას, თუ როგორ არსებობენ ცა ან მისი ნაწილები, ან სხვა ნებისმიერი მოძრავი სხეულები, ანდა ის საგნები, რომლებსაც სწავ-ლობს ოპტიკა ან მეცნიერება ჰარმონიის შესახებ. რადგან უნდა ეარსება სხვა ბგერებსა და ფერებს, შეგრძნებადი და დამოუკიდე-ბელი საგნების გარდა, ე. ი. სხვა შეგრძნებებსა და შეგრძნე-ბადთ. მაგრამ რატომ უნდა მიეცეს უპირატესობა ერთს ან მე-ორეს? თუ ეს ასეა, მაშინ იარსებებენ სხვა ცხოველებიც. ზოგი მათემატიკოსი აყენებს ზოგად დებულებას ამ სუბსტანციათა გარდა, სხვა სუბსტანციების არსებობის შესახებ. ესენი უნდა იყვნენ რაღაც სხვა სუბსტანციები, მოთავსებული იდეებსა და შუა-ლედ სფეროს შორის, რომელიც არ იქნება არც რიცხვი, არც სიდი-დე, არც წერტილი და არც დრო. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეუძ-ლებელი იქნება შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებლად სუბს-ტანციათა არსებობა. საერთოდ, თუ ვინმე ამტკიცებს მათემატიკურ მოვლენათა დამოუკიდებელ არსებობას, აქედან გამომდინარეობს როგორც ჭეშმარიტების, ისე საერთოდ, მიღებულ შეხედულებათა საწინააღმდეგო შედეგები. რადგან ამ შეხედულების მიხედვით აუცილებელია ისინი შეგრძნებად სიდიდეებზე ადრე არსებობდნენ.

ინამდვილეში კი ისინი მათ შემდეგ არიან, რადგან დაუსრულებელი [illegible] წარმოშობის მიხედვით ადრე [illegible] ის, როგორც უსულო, სულიერს უსწრებს წინ. [illegible] მათემატიკური სიდიდეები. [illegible] შემთხვევაში [illegible] მაგრამ [illegible] არსებობის მიზეზი? ამას წარმო-[illegible] თავდაპირველად წარმოიშობა [illegible] პროცეს-ძე; შემდეგ სიბრტყე, ბოლოს სიღრმე და ამით სრულდება პროცესი. თუ ის, რაც წარმოშობით მომდევნოა, სუბსტანციალურად პირვე-ლია; ამ შემთხვევაში სხეული სიბრტყესა და სიგრძეზე ადრე იქნება. [illegible] დასრულებული და მთელი ხდება, რადგან სულიერდება. მაგ-[illegible] სიბრტყე. სცილდება ჩვენი [illegible] შეგრძნების ფარგლებს.

[illegible] რაღაც სუბსტანცია, რადგან ის როგორ-[illegible] როგორც ჩანს, ხაზებიც, [illegible] არ შეიძლება რაიმე შედგეს, სიბრტყეებისა და წერტილებ[illegible] მაგრამ თუ არსება რაღაც მატერიალურია, მას როგორც ჩანს, ამის [illegible] მიხედვით მოვლენა ადრე არსებობს, 1077b
მაგრამ ყველაფერი, რაც ცნებით ადრეა, არაა ადრე სუბსტანცია-ლურად [illegible] სუბსტანციალურად პირველი [illegible] ის, რაც დამოუკიდებელი [illegible] ობით სხვას უსწრებს წინ, ლოგიკურად კი ის, რომლის ცნება სხვა ცნებებისაგანაა მიღებული. მაგრამ ორივე ერთად არ არსებობს. თუ თვისება არ არსებობს სუბსტანციისაგან დამოუკიდებლად, მაგა-ლითად, „მოძრავი“ ან „თეთრი“, მაშინ „თეთრ ადამიანს“ წინ უსწ-რებს „თეთრი“ ცნების მიხედვით და არა სუბსტანციით. რადგან ის არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს, არამედ არსებობს ყოველთვის მთლიანთან ერთად. „მთელს“ მე ვუწოდებ „თეთრ ადამიანს“. ამრიგად, ცხადია, რომ [illegible] არც გამოკლების გამო არსებობს ადრე, არც დამატების გამო გვიან, თუმცა „თეთრის“ მიმატებით ვამ-ბობთ, რომ „ადამიანი თეთრია“

თავი მესამე

რომ მათემატიკური სიდიდეები სხეულებზე უფრო არსებითნი არ არიან, რომ შეგრძნებად მოვლენებს ისინი წინ უსწრებენ არა არსე-

ბის, არამედ მხოლოდ ცნებით, რომ ისინი არც სადმე არსებობენ დამოუკიდებლად და არც შეგრძნებად საგნებში, ამის შესახებ საკმარისია, რაც ვთქვით ამიტომაც ცხადია, რომ ისინი ან სრულიად არ უნდა არსებობდნენ, ან როგორღაც სხვაგვარად უნდა არსებობდნენ და არა დამოუკიდებლად მაშასადამე, „არსებობას" მრავალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

როგორც ზოგადი მათემატიკური მეცნიერება ეხება არა სიდიდეებისა და რიცხვისაგან დამოუკიდებლად არსებულ რამეს, არამედ თვით ამათ, და არც იმას, რასაც აქვს სიდიდე და დაყოფადობის თვისება, ამიტომ ცხადია, რომ შეგრძნებად სიდიდეებზეც შეიძლება არსებობდეს ცოდნა და დასაბუთება, მაგრამ არა რამდენადაც ის შეგრძნებადია, არამედ რამდენადაც კონკრეტულად არსებული საგანი. საგნების შესახებაც რამდენადაც ისინი მოძრავნი არიან, დაგროვილია დიდი ცოდნა, მიუხედავად იმისა, თუ როგორია თვითეული მათგანი და მიუხედავად მათი შემთხვევითი თვისებებისა. ამიტომაც არც აუცილებელია, რომ შეგრძნებადი მოვლენებისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს რაღაც მოძრავი, ან მათში იყოს რაიმე გარკვეული ბუნება იმისათვის, რომ მოძრავ საგნებსაც ჰქონდეთ ცნებები და ეარსება მეცნიერებას მათ შესახებ, მაგრამ არა როგორც მოძრავზე, არამედ როგორც მხოლოდ სხეულზე, ასევე სიბრტყეზე, როგორც ასეთზე, სიგრძეზე, როგორც ასეთზე, დაყოფადზე, როგორც ასეთზე, დაუყოფელზე, როგორც მდგომარეობის მქონეზე და როგორც დაუყოფელზე მხოლოდ. ასე რომ, ჭეშმარიტია არა მხოლოდ უბრალოდ იმის თქმა, რომ დამოუკიდებელი საგნები არსებობენ, არამედ იმისაც, რომ არსებობენ არადამოუკიდებელი საგნები, როგორიცაა მოძრავი საგნები. მაშინ ჭეშმარიტი იქნება აგრეთვე მათემატიკური სიდიდეებისათვის მარტივი არსებობის მიწერა, როგორც იქცევიან ამ შეხედულებების მომხრენი და როგორც სხვა მეცნიერთა შესახებ სწორია იმის თქმა, რომ ისინი სწავლობენ ამას და ამას, მაგრამ არა შემთხვევითს. მაგალითად, მეცნიერება სწავლობს არა
1078a თეთრს, თუ ჯანმრთელი თეთრია, არამედ ჯანმრთელობას და იმას, რასაც წარმოადგენს ობიექტი თვითონ, მაგალითად, ჯანმრთელობას, როგორც ჯანმრთელობას, და ადამიანს, როგორც ადამიანს ასევეა გეომეტრიაშიც თუ ის, რასაც გეომეტრია სწავლობს, არის შემთხვევით შეგრძნებადი, გეომეტრია მას არ სწავლობს იმდენად, რამდენადაც ის შეგრძნებადია და არც მათემატიკური მეცნიერებანი იქნებოდნენ მეცნიერებანი შეგრძნებადის შესახებ და არც იმათ შესახებ, რომელნიც ამ შეგრძნებათაგან დამოუკიდებელნი არიან. თვითეულ საგანს თავისთავად შეიძლება მრავალი თვისება

ჰქონდეს. მაგალითად, ცხოველია როგორც ქალი, ისე კაცი, რაც მათი სპეციფიკური თვისებაა. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ცხოველისაგან დამოუკიდებლად რაღაც ქალი ან კაცი. იგივე ითქმის სიბრტყეზე როგორც ასეთზე და სიგრძეზე. რაც უფრო მეტად მარტივია და პირველადი ეხება ცოდნა, მით უფრო ზუსტია ის. უფრო ზუსტია ცოდნა, რომელიც არ ეხება მოძრავს, იმასთან შედარებით, რომელიც ეხება მოძრავს მაგრამ უზუსტესია ცოდნა, რომელიც ეხება პირველ მოძრაობას[1], რადგან ის უმარტივესი და კანონზომიერი მოძრაობაა.

იგივე უნდა ითქვას ჰარმონიის თეორიასა და ოპტიკაზე: არც ერთი მათგანი არ სწავლობს მხედველობას, როგორც მხედველობას, ან ბგერას, როგორც ბგერას, არამედ ხაზებს როგორც ასეთს და რიცხვებს, რაც მათი თვისებებია ასევე მექანიკაც, რომელიც ასეთ მოვლენებს სწავლობს შემთხვევითი თვისებებისაგან დამოუკიდებლად. იგივე არ სცდება როგორც ადამიანი, რომელიც ხაზავს მიწაზე და ამბობს, რომ ამ ნახაზს აქვს ერთი ფუტის სიგრძე, მაშინ როცა ის ასეთი არაა[2] რადგან შეცდომა არაა წანამძღვრებში თითოეული მოვლენა შეიძლება უკეთესად განხილულიყო, თუ იმას, რაც დამოუკიდებელი არაა, დამოუკიდებლად მივიჩნევდით ისევე, როგორც იქცევა მათემატიკოსი და გეომეტრი რადგან ადამიანი, როგორც ადამიანი, არის ერთი და დაუნაწევრებელი, ამიტომ მათემატიკოსიც იღებს მას, როგორც დაუშლელ ერთს, შემდეგ კი იკვლევს, ახასიათებს თუ არა ადამიანს, როგორც დაუშლელს, რაიმე შემთხვევითი თვისება ხოლო გეომეტრი კი იკვლევს ადამიანს არა როგორც ადამიანს, არც როგორც დაუშლელს, არამედ როგორც სხეულს. მას რომ რაიმე ეკისრება, როგორც დაშლილს, ცხადია, რომ ის ასე იარსებებდა შესაძლებლობაში ამიტომ სწორად მსჯელობენ გეომეტრები, რომლებიც ეხებიან არსებულს, როგორც არსებულს, რაც მათი შესწავლის ობიექტია. არსებული კი ორგვარია ერთი რეალურად არსებული, მეორე მატერიალურად.

სიკეთე და მშვენიერება სხვადასხვაა. პირველი ყოველთვის მოქმედებაშია, მშვენიერი კი უმოძრაო სხეულებშიც არსებობს. ამიტომ ისინი რომლებიც ამბობენ, რომ მათემატიკური მეცნიერებანი არაფერს არ გვასწავლიან მშვენიერების ან სიკეთის შესახებ, სცდებიან. პირიქით, მათემატიკოსები მსჯელობენ კიდეც მასზე და ასაბუთებენ კიდეც მას. თუმცა მართალია, ისინი არ ასახელებენ ამ საქმეებსა და დებულებებს, რომელსაც ასაბუთებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მათ შესახებ არ მსჯელობდნენ

მშვენიერების უმთავრესი ფორმებია წესრიგი, სიმეტრია და

1078b განსაზღვრულობა, რიცხენაც არის, უმთავრესად, მიმართული მა-
თემატიკურ მეცნიერებათა დასაბუთებანი. და თუ ისინი მოვლენების
უმრავლესობის მიზეზებად ჩანან (მე ვგულისხმობ წყობას და
განსაზღვრულობას), ცხადია, რომ მათემატიკური მეცნიერებანი
როგორღაც ასეთი სახის მიზეზებზეც იმსჯელებენ. როგორღაც
მშვენიერება ჩვენ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვა თხზუ-
ლებებში ვიტყვით

თავი მეოთხე

მათემატიკური მოვლენების შესახებ უკვე ვთქვით, როგორც
იმაზე, რომ ისინი არსებობენ ისე იმაზეც თუ როგორ არსებობენ
ისინი, როგორ არიან ისინი წინამორბედი და მომდევნო. მოძღვრება
იდეებზე თავდაპირველად ისე უნდა განვიხილოთ, რომ სრულებით
არ ვეხოთ არც დოგმატოთ მათ რიცხვთა ბუნებიდან, არამედ ისე,
როგორც თავდაპირველად ესმოდათ იდეები იმათ, ვინც მათ არსე-
ბობა ამტკიცებდნენ ისინი იდეების [illegible] ამ შეხედულებამდე
მივიდნენ იმიტომ რომ [illegible] ჰერაკლი-
ტის თვალსაზრისით ყველა შეგრძნებადი მოვლენა განუწყვეტელ
მოძრაობაშია. შესახებ მათი აზრით, თუ არსებობს რაიმე ცოდნა და
აზრი, მაშინ შეგრძნებადი მოვლენების გარდა უნდა არსებობდნენ
რაღაც სხვა უცვლელი ბუნებები რადგან მუდმივი დინებაში მყო-
ფი მოვლენების ცოდნა არ შეიძლება
სოკრატე, რომელიც მუშაობდა ეთიკური სათნოებების თაობაზე,
უპირველესად ყოვლისა, ეძიებდა მათ ზოგად განსაზღვრებებს.
ბუნებისმეტყველთა შორის კი პირველად დემოკრიტე შეეხო გაკვრით
ამას და განსაზღვრა თბილი და ცივი. პითაგორელებმა თავდაპირვე-
ლად საგანთა თვისებების მცირე რაოდენობა დაუკავშირეს რიცხ-
ვებს, როგორიცაა ზომა, სამართლიანობა და ქორწინება. ის კი
შეგნებულად ეძებდა ცნებას, იკვლევდა სილოგიზმებს და მათ
საწყისებს. მაშინ დიალექტიკა არ იყო იმდენად ძლიერი, რომ
შესძლებოდა საგანთაგან დამოუკიდებლად წინააღმდეგობათა არსის
კვლევა და იმის დადგენა, არის თუ არა ერთი და იმავე მეცნიერების
საგანი წინააღმდეგობათა შესწავლაც
სამართლიანობა მოითხოვს, რომ ორი რამ მივაკუთვნოთ სოკ-
რატეს: ინდუქციური მეთოდი და ზოგადის განსაზღვრება. ეს ორივე
მეცნიერების საწყისებია, მაგრამ სოკრატემ არც ზოგადი და არც
ცნებები არ აქცია დამოუკიდებელ რეალობებად. იმათ კი რომ-
ლებმაც ისინი გამოაცალკევეს და არსებულის ამ სახეებს იდეები

უწოდეს', ამ მოძღვრებიდან იგივე შედეგი მიიღეს რადგან ყოველი
ზოგადი ცნება იდეად აქციეს ეს დაახლოებით იგივეა, ვინმეს რომ
სურდეს დათვალოს არსებული საგნების მცირე რიცხვი, მაგრამ
ჰგონია, რომ ვერ დათვლის მათ, თუ არ გაამრავლა. ისინი ამბობენ,
რომ იდეები უფრო ბევრია, ვიდრე გრძნობადი საგნებიო, რომელთა 1079a
მიზეზების ძიებამ მიიყვანა ისინი იდეებამდე, რადგან თვითეულ
საგანს, არსებისაგან დამოუკიდებლად, აქვს რაღაც ჰომონიმი, რაც
საერთოა მრავალისათვის, როგორც მიწიერი საგნებისათვის, ისე
მარადიულთათვის.
შემდეგ, არც ერთი იმ მეთოდით, რომლითაც მტკიცდება იდე-
ების არსებობა, არ ჩანს, რომ ეს ასეა. ზოგჯერ სილოგიზმი არ
გამოდის, ზოგჯერ კი იდეებს იღებენ იმ მოვლენებისათვისაც,
რომელთათვის იდეები თვით მათ არ დაუშვიათ, ხოლო მეცნიერე-
ბებიდან მიღებულ დასკვნებით არსებობს ყოველივე იმის იდეა, რომ-
ლის ცოდნაც გვაქვს ერთის მრავალადმი მიმართების პრინციპით
უნდა იყოს უარყოფითი მოვლენების[3] იდეებიც, ხოლო უკვე დაღუ-
პულ საგანთა იდეები ამ საგანთა მოაზრების შესაძლებლობის გამო
მათზე ხომ რაღაც წარმოდგენა გვრჩება ზოგნი უზუსტესი მსჯელო-
ბანი იყენებენ მიმართებათა იდეების დასადგენად, რომლებსაც
ისინი არ თვლიან დამოუკიდებელ გვარებად, ზოგნი კი მესამე
ადამიანზე ლაპარაკობენ საერთოდ კი, მტკიცება იდეების არსე-
ბობის შესახებ უარყოფს იმას, რის დამტკიცებაც განსაკუთრებით
სურთ იმათ, რომლებიც გვარებს იდეებად თვლიან რადგან მათი
მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ორიანი კი არ არსებობს
პირველად, არამედ რიცხვი ამაზე ადრეა მიმართება და ეს უკანასკნელი
კი თავის თავზე ადრეა და საერთოდ, ყოველივე ის, რაც ეწინააღმ-
დეგება ამ მოძღვრების საფუძვლებს იმათთვის, ვინც თანმიმდევ-
რულად განავითარებს მას ამას გარდა, იმ თეორიის მიხედვით,
რომელიც იდეებს უშვებს, უნდა არსებობდნენ არა მარტო სუბს-
ტანციების იდეები. არამედ მრავალი სხვისაც რადგან არა მარტო
სუბსტანციებს აქვთ საერთო ცნება, არამედ არასუბსტანციებსაც
და ცოდნა მარტო სუბსტანციებს არ ეხება და სხვა ათასი ამდაგვარი
შედეგი გამომდინარეობს აქედან ხოლო აუცილებლობის გამო და
იდეების შესახებ არსებულ შეხედულებათა მიხედვით. თუ საგნები
იდეებს ეზიარებიან, მაშინ მხოლოდ სუბსტანციათა იდეები უნდა
არსებობდნენ, რადგან ზიარება[4] არ შეიძლება შემთხვევითთან,
არამედ თვითეული საგანი მხოლოდ იმდენად ეზიარება იდეას,
რამდენადაც ის არ ითქმის სხვა რაიმეზე მე იმას ვამბობ, რომ თუ
რაიმე ეზიარება თავისთავად ორმაგს, ის ეზიარება მარადიულსაც,

მაგრამ შემთხვევით, რადგან ორმაგი შემთხვევითაა მარადიული. ამრიგად, იდეებიც სუბსტანციები იქნებიან. მაგრამ სუბსტანციას ერთი და იგივე აზრი აქვს, როგორც „აქ“, ისე „იქ“[5]. ან სხვას რას უნდა ნიშნავდეს ნათქვამი, რომ საგნების გარდა არსებობს რაღაც საერთო მრავალისათვის? და თუ ერთი და იგივეა იდეებისა და მასში მონაწილე საგნების გვარი, მაშინ მათ შორის რაღაც საერთო იქნება, რადგან რათ უნდა იყოს წარმავალ და მრავალ წარუვალ ორიანთა შორის ორიანი უფრო მეტად ერთი და იგივე, ვიდრე ორიანობის იდეასა და რომელიმე ორიანს შორის? თუ მათ ერთი გვარი არა აქვთ, მაშინ სახელი
1079в ექნებოდათ ერთი იგივე, როგორც ვინმე რომ უწოდებდეს ადამიანს კალიასს და ხეს და არ აქცევდეს ყურადღებას მათ შორის საერთოს. თუ ყველა სხვა ზოგად ცნებებსაც იდეებს დავუკავშირებთ, მაგალითად, თავისთავად ბრტყელ ფორმას და წრეს და ამ ცნების სხვა ნაწილებსაც დავუმატებთ, მოფიქრება მოითხოვს, ყოველივე ეს უაზრობა ხომ არაა. რას ემატება ის „შუას“, „სიბრტყეს“, თუ ყველას საერთოდ. რადგან ყველაფერი, რაც არსებაში შედის, არის იდეა. მაგალითად, „ცხოველი“, „ორფეხი“. შემდეგ, ცხადია ისიც, რომ თვით იდეაც ისეთი ბუნებისაა, როგორც მაგალითად, სიბრტყე, რომ ის, როგორც გვარი, ყველა სახეს ახასიათებს.

თავი მეხუთე

ყველაზე ძნელად გადასაწყვეტია კითხვა იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოაქვს იდეებს ან იმისათვის, რაც მარადიულია შეგრძნებადთა შორის, ან წარმოშობადთა და მოკვდავთათვის, რადგან ისინი არც მათი მოძრაობის და არც რაიმე ცვალებადობის მიზეზები არ არიან. ისინი არც საგნების შემეცნებაში გვეხმარებიან (რადგან ისინი მათი არსება არ არიან, ისინი მათი არსება რომ ყოფილიყვნენ, მათშივე იარსებებდნენ), არც მათს არსებობაში. რადგან ისინი არ არსებობენ იმ საგნებში, რომლებიც მათ ეზიარებიან. მართალია, ის შეიძლება ჩაგვეთვალა ისეთ მიზეზად, როგორც თეთრი იმ თეთრისა, რომელსაც ის შერია, მაგრამ ეს თვალსაზრისი, რომელიც გამოთქვა ჯერ ანაქსაგორამ, შემდეგ ევდოქსმა და სხვებმა, ადვილად უარსაყოფია, რადგან ამ შეხედულებიდან მრავალი შეუსაბამო დასკვნა გამომდინარეობს. იდეებიდან არ წარმოიშობა არც ერთი საგანი, არც ერთი იმ მეთოდით, რომელსაც იყენებდნენ იდეების მომხრენი. ხოლო მტკიცება იმისა, რომ იდეები

ნიმუშებია და მათში მონაწილეობს ყოველივე სხვა, არის ცარიელი სიტყვების რახარუხი და პოეტური შედარება. არსებობს კი რაიმე ერთი, რაც თვით მოქმედებს იდეებით ხელმძღვანელობით? სინამდვილეში კი შესაძლებელი იყო, და წარმოიშვას ნებისმიერი საგანი იდეებისადმი წაბაძვის გარეშე ისე, როგორც შეიძლება წარმოიშვას სოკრატეს მსგავსი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სოკრატე, ცხადია, ასე იქნებოდა მაშინაც, სოკრატე უკვდავი რომ ყოფილიყო. ერთსა და იმავეს ექნება მრავალი ნიმუში და იდეა, მაგალითად ადამიანს „ცხოველი“ და „ორფეხი“, ასევე „ადამიანი თავისთავად“. გარდა ამისა, იდეები არა მარტო შეგრძნებადი საგნების ნიმუშებია, არამედ თვით იდეებიც, მაგალითად გვარი როგორც გვარი, სახეების გვარია. ასე რომ, ერთი და იგივე იქნება ნიმუშიც და ასლიც. გარდა ამისა, როგორც ჩანს, შეუძლებელია არსებისა იმისაგან დამოუკიდებელი არსებობა, რისი არსებაც ის არის. ამრიგად, თუ იდეები საგნების არსებები არიან, როგორ
არსებობენ მათგან დამოუკიდებლად? „ფედონში“ კი ამ გაგე- 1080a
ბითაა ნათქვამი, რომ იდეები არიან არსებობისა და წარმოშობის მიზეზი. მაგრამ მიუხედავად ამისა, იდეების არსებობისას საგანი შეიძლება არ წარმოიშვას, თუ არ არსებობს ის, რაც საგანს ამოძრავებს, მაგრამ წარმოიშობა ბევრი სხვა რამ, მაგალითად, სახლი ან ბეჭედი, რომელთა იდეებს ისინი არ უშვებენ. ამრიგად, ცხადია, რომ ის საგნები, რომელთა იდეებს ისინი უშვებენ, არსებობენ და წარმოიშვებიან იმავე მიზეზებით, რომელიც ჩვენ ახლახანს დავასახელეთ და არა იდეების არსებობის გამო. ამრიგად, იდეების შესახებ, როგორც ამ მეთოდით, ისე უფრო ლოგიკური და ზუსტი მსჯელობით ბევრი რამ შეიძლება ითქვას, უკვე ნათქვამის ანალოგიური

თავი მეექვსე

დავადგინეთ რა ეს, კარგი იქნებოდა, თუ დავუბრუნდებოდით იმის განხილვას, რაც შედეგად მოსდევს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით რიცხვები დამოუკიდებელი სუბსტანციები და საგნების პირველი მიზეზები არიან. თუ რიცხვი დამოუკიდებლად არსებობს[1] და მას სხვა არსი არა აქვს, არამედ სწორედ ეს[2], როგორც ზოგიერთი ამბობს, აუცილებელია, რომ არსებობდეს წინამორბედი და მომდევნო რიცხვი, ოღონდ განსხვავებული ერთმანეთისაგან. ამას ადგილი აქვს ერთიანებში, სადაც ნებისმიერი ერთიანი არ უკავშირდება ნებისმიერ ერთიანს, ან ყველა ერთიანები მისდევენ ერთმანეთს

და ნებისმიერი უკავშირდება ნებისმიერს, როგორც მათემატიკურ რიცხვებში მათემატიკაში ხომ ნებისმიერი ერთი არაფრით არ განსხვავდება მეორე ერთისაგან, ან ნაწილი უკავშირდება ერთიმეორეს, ნაწილი კი არა. მაგალითად, თუ პირველი ერთია, შემდეგ არის ორი, შემდეგ სამი და ასე შემდეგ სხვა რიცხვები, ამ შემთხვევაში ყოველი რიცხვის შიგნით შეიძლება ერთიანების დაკავშირება. მაგალითად, პირველი ორიანის ერთიანების, ასევე პირველი სამიანისა და სხვა რიცხვების. მაგრამ ერთიანები, რომლებიც შედიან თავისთავად ორიანში, არ უკავშირდებიან იმ ერთიანებს, რომლებიც შედიან თავისთავად სამიანში. ასევეა სხვა მომდევნო რიცხვებშიაც. ამიტომაც მათემატიკოსი ითვლის ერთის შემდეგ ორს, წინამორბედ ერთს უმატებს რა სხვა ერთს, სამს, ამ ორის გარდა, უმატებს სხვა ერთს და ასე შემდეგ. ანდა ერთს მოსდევს სხვა ორიანი, რომელშიც არ შედის პირველი ერთიანი და შემდეგ სამიანი ორიანის გარეშე. ასევეა სხვა რიცხვებშიც. ამრიგად, რიცხვები ან ისეთია, როგორც თავდაპირველად ვთქვით, ან ისეთი, როგორც მათემატიკოსები ამბობენ და ან ისეთნი, როგორც ბოლოს დავასახელეთ

ამას გარდა, რიცხვები ან საგნებისაგან დამოუკიდებელნი არიან,
1080b ან არა, არამედ იმყოფებიან შეგრძნებად საგნებშივე, მაგრამ არა ისე, როგორც თავდაპირველად ვიკვლევდით, არამედ იმ გაგებით, რომ შეგრძნებადი საგნები შედგებიან რიცხვებისაგან. ანდა ნაწილი ასეთია, ნაწილი არა, ან ყველა ასეთია.

მხოლოდ ასეთია ის აუცილებელი გზები, რომლითაც შესაძლებელია რიცხვების არსებობა. დაახლოებით ამასვე ამბობენ ისინი, რომლებიც ერთს თვლიან საწყისად, არსებად და ყოველივეს ელემენტად და მისგან და რაღაც სხვისაგან აწარმოებენ რიცხვს. თვითეული ასახელებს რომელიმე ამ გზას, გარდა იმ გზისა, რომ არც ერთი ერთიანი არ უკავშირდება სხვას. და ეს გონივრულიცაა, რადგან შეუძლებელია ზემოთქმულის გარდა კიდევ სხვა გზები არსებობდნენ.

ზოგნი ამბობენ, რომ რიცხვები ორგვარი არიანო ისინი, რომლებსაც აქვთ მომდევნო და წინამორბედი — იდეალური რიცხვებია. მათემატიკური რიცხვები კი არსებობენ იდეებისა და შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებლად და ორივე ესენი დამოუკიდებელია შეგრძნებადი მოვლენებისაგან. ზოგის აზრით, მხოლოდ მათემატიკური რიცხვები არსებობენ, როგორც პირველადნი და შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებელნი. პითაგორელების აზრით, არსებობენ მხოლოდ მათემატიკური რიცხვები, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ ისე, რომ მათგან არის შემდგარი შეგრძნებადი სუბსტანციები. ისინი მთელ ცას ადგენენ რიცხვებისაგან, მაგრამ არა ჩვეულებრივი ერთიანებისაგან, არამედ სიდიდის მქონე ერთიანებისაგან შემდგარი რიცხვებისაგან. მაგრამ თუ როგორ შედგა პირველი ერთიანი სიდიდის მქონე, როგორც ჩანს, მათ ამაზე პასუხის გაცემა უჭირთ. რომელიღაც სხვა მოაზროვნე პირველ იდეალურ რიცხვად თვლის ერთს, რომელსაც ზოგი მათემატიკურ რიცხვთან აიგივებს. იგივეა ამბობენ სიგრძეების, სიბრტყეებისა და სხეულების შესახებ. ზოგის აზრით, მათემატიკური რიცხვი განსხვავდება იმისაგან, რაც იდეების შემდეგაა. დანარჩენთაგან ერთნი ამტკიცებენ, რომ არსებობენ მათემატიკური რიცხვები და მსჯელობენ მათემატიკურად, ისინი რიცხვებს არც აქცევენ იდეებად და არც იდეების არსებობას ამტკიცებენ. ზოგნი კი ამტკიცებენ მათემატიკური რიცხვების არსებობას, ოღონდ არა მათემატიკური აზრით. მათი აზრით, ყველა სიდიდე არ იყოფა სიდიდეებად და არც ნებისმიერი ერთიანებიდან წარმოიშობა ორიანი. რიცხვებს ყველანი ერთიანებიდან აწარმოებენ, გარდა პითაგორელებისა, რომლებიც ერთიანს თვლიდნენ სამყაროს ელემენტად და საწყისად. პითაგორელები კი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, რიცხვებს სიდიდის მქონედ თვლიდნენ.

აქედან ცხადი გახდა, თუ რამდენი მნიშვნელობა აქვთ რიცხვებს და როგორ არსებობენ ისინი. მათი არსებობის ყველა ამ ფორმის დაშვება შეუძლებელია, მაგრამ ერთი ფორმისა უფრო მეტად, ვიდრე მეორისა

თავი მეშვიდე

უპირველესად ყოვლისა, უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ერთიანებს ერთმანეთთან შეკავშირება? 1081a
თუ არ შეუძლიათ, რადგან არც ერთი ერთიანი არ უკავშირდება ერთმანეთს, ან თავისთავადი ორიანის ერთიანები არ უკავშირდებიან თავისთავადი სამიანის ერთიანებს. ამრიგად, პირველადი რიცხვების შემადგენელი ერთიანები არ უკავშირდებიან ერთიმეორეს. თუ ყველა ერთიანი ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, მაშინ არსებობს მათემატიკური რიცხვი და მხოლოდ ის, მაშინ რიცხვები იდეები არ იქნებიან. რადგან ყველაფერს ერთი იდეა აქვს, როგორც ერთია იდეა ადამიანისა თავისთავად და ცხოველისა თავისთავად, მაშინ რომელი

რიცხვი უნდა იყოს ადამიანი თავისთავად ან ცხოველი, ან სხვა ნებისმიერი იდეა? ხოლო მსგავსი და განუსხვავებელი თითოეულში განუსაზღვრელად ბევრნი არიან ისე რომ, სამიანი არ შეიძლება, უფრო მეტად იყოს ადამიანი თავისთავად, ვიდრე სხვა რომელიმე, ხოლო და თუ რიცხვები იდეები არ არიან იდეები, საერთოდ, არ იარსებებდნენ, რადგან მაშინ რა საწყისიდან იქნებიან იდეები წარმოშობილი? რიცხვი შედგება ერთისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან, რომელთა შესახებ ამბობენ, რომ რიცხვების საწყისები და ელემენტები არიანო, ხოლო თანმიმდევრობის თვალსაზრისით იდეები არ შეიძლება იყვნენ არც რიცხვებზე წინ, არც მათ შემდეგ.

მაგრამ თუ ერთიანები არ უკავშირდება ერთმანეთს, არამედ ნებისმიერი ნებისმიერს დაუკავშირდეს, მაშინ არც მათემატიკური რიცხვები იარსებებენ (რადგან მათემატიკური რიცხვები შედგებიან ... ერთიანებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და ყველა მტკიცება უდგება მათ, როგორც ასეთთ) და არც იდეალური. მაშინ პირველი ორიანი არ იქნება შემდგარი ერთისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან. ასევე მომდევნო რიცხვებიც, როგორიცაა ორი, სამი, ოთხი რადგან პირველ ერთთან ერთად წარმოიშვებიან პირველ ორიანში შემავალი სხვა ერთიანები, რომლებიც თანატოლნი არიან. და შემდეგ ვათანაწორებენ, როც თავდაპირველად ვთქვით ანდა სხვაგვარად.

შემდეგ, თუ ერთიანი მეორე ერთიანზე წინ არსებობს, მაშინ ის ამათგან შემდგარ ორიანზეც წინ იქნებოდა. რადგან ერთი ადრე, მეორე გვიან ... მათგან წარმოებულ რიცხვებიდან ერთი ადრე იქნებოდა, მეორე გვიან. შემდეგ, რადგან პირველად არსებობს თავისთავადი ერთი, მას მოსდევს რაღაც ერთიანი, რომელიც სხვებთან შედარებით პირველია და მასთან შედარებით მეორე. შემდეგ, მესამე ადგილზე ერთიანი, რომელიც მოსდევს პირველს და ამიტომ მეორეა, მაგრამ მესამეა თავისთავად ერთთან შედარებით, ასე რომ, პირველად იქნებიან ის ერთიანები, რომლითაც სხვა რიცხვები არიან წარმოებული მიხედვით. ორიანში უკვე არის მესამე ერთიანი ვიდრე „სამი“ წარმოიშვებოდა, ხოლო სამში მეოთხე და მეხუთე „ერთიანი“, ვიდრე თვით ეს რიცხვები წარმოიშვებოდნენ. ამ შეხედულებით არც ერთი მათგანი არ ამბობს, რომ ერთიანები ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება. მაგრამ ზემოთქმული საფუძვლების მიხედვით ეს აუცილებელია,
1081в ჭეშმარიტების თვალსაზრისით კი შეუძლებელი. გონივრული კი უნდა იყოს წინამორბედი და მომდევნო ერთიანის არსებობა. რახან არსებობს რაღაც პირველი ერთი და ერთიანი, ასევე ორიანიც, თუ

არსებობს პირველი ორი. ზემოთქმულის მიხედვით, თანმიმდევრულია და აუცილებელი იყოს რაღაც მეორე და თუ მეორეა, იყოს მესამეც და ასე შემდეგ. მაგრამ შეუძლებელია ერთდროულად იმის თქმა, რომ თავის თავად ერთიანის შემდეგ არსებობს პირველი და მეორე ერთი და შემდეგ პირველი ორიანი. ისინი კი პირველ ერთსა და ერთიანს უშვებენ, მეორესა და მესამეს კი აღარ. ასევე პირველ ორიანს უშვებენ, მეორესა და მესამეს კი აღარ.

ცხადია ისიც, თუ არც ერთი ერთიანის ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება, ასეთი იქნებოდა ორიანი, სამიანი და სხვა [illegible] ერთიანები ერთმანეთისაგან, [illegible] მიმატებით ორიანი [illegible] ორიანთან სხვა ერთის [illegible] და სხვ. მაგრამ თუ რიცხვები ასეთია, [illegible] წარმოშობილი იყვნენ ორიანისა და ერთიანი[illegible] ნაწილი იქნებოდა, [illegible] ოთხიანი და ასევე მომდევნო რიცხვებიც. მაგრამ [illegible] იდეალური ორიანისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან შეიქმნება ოთხი, ე. ი. თავისთავად ორიანის გარდა, ორი ორიანი, ან არა — და თავისთავადი ორიანი იქნებოდა ოთხის ნაწილი და მას დაემატებოდა სხვა [illegible] ორიანი იქნება შემდგარი თავისთავადი ერთიანისა და სხვა ერთიანისაგან თუ ეს ასეა, მაშინ განუსაზღვრელი ორი არ იქნება მეორე შემადგენელი ელემენტი, რადგან წარმოშობს მხოლოდ ერთიანი და არა განუსაზღვრელი ორიანი.

შემდეგ, თავისთავადი სამიანისა და თავისთავადი ორიანის გარდა, როგორ იარსებებდნენ სხვა სამები და ორები და როგორ იქნებოდნენ ისინი შემდგარი წინამორბედი და მომდევნო ერთიანებისაგან? ყოველივე ეს არის უაზრობა და ფიქციური, გარდა ამისა, შეუძლებელი იყოს, პირველი ორიანი და შემდეგ თავისთავადი სამიანი. მაგრამ ეს აუცილებელი იქნება, თუ ერთი და განუსაზღვრელი ორი ელემენტები არიან. მაგრამ თუ ეს შედეგები მიუღებელია, მაშინ შეუძლებელია ისინი საწყისები იყვნენ.

თუ ნებისმიერი ერთიანები განსხვავდებიან ნებისმიერისაგან, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს როგორც ეს, ისე სხვა ამდაგვარი შედეგები. მაგრამ თუ სხვადასხვა რიცხვის ერთიანები განსხვავებული არიან, ხოლო ერთი და იმავე რიცხვისა არა, ამ შემთხვევაშიც არა ნაკლებ სიძნელეებს წავაწყდებით. მაგალითად, 1082a
დამოუკიდებელ ათიანში ათი ერთიანია, ათიანი კი შეიცავს როგორც მათ, ისე ორ ხუთიანს. მაგრამ რადგან დამოუკიდებელი ათიანი შემთხვევითი რიცხვი არაა და არც შემთხვევითი ხუთიანებისაგან

და არც შემთხვევითი ერთიანებისაგან შემდგარი. ამიტომ აუცილებელია, რომ მასში შემავალი ერთიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ხუთიანები იქნებიან განსხვავებული, რადგანაც ათიანი შედგება მათგან. მაგრამ თუ ხუთიანები განსხვავდებიან, მაშინ განსხვავებული იქნებიან ერთიანებიც და მაშინ ათიანში მხოლოდ ეს ორი ხუთიანი იქნება. თუ სხვა [illegible] რომ არ ყოფილიყვნენ, უაზრობა იქნებოდა და თუ [illegible] არიან, რომელი ათიანი შედგება მათგან? მაგრამ დამოუკიდებელ ათიანში ამ ათიანის გარდა, სხვა ათიანი არ არის.

აუცილებელია აგრეთვე, რომ ოთხიანი შედგებოდეს არა შემთხვევითი ორიანებისაგან. რადგან როგორც ისინი ამბობენ, განუსაზღვრელი ორიანი იღებს რა განსაზღვრულ ორიანს, აორმაგებს. მიღებულ ორიანს და ორ ორიანს ჰქმნის.

ამას გარდა, როგორ შეიძლება, რომ ორი ერთიანის გარდა არსებობდეს რაღაც ორიანი თავისთავად ან გარდა სამი ერთიანისა რაღაც სამიანი თავისთავად? ეს შეიძლება [illegible] რესთან ზიარებით, ისევე როგორც „თეთრი ადამიანი" არსებობს „თეთრისა" და „ადამიანისაგან" დამოუკიდებლად და მათ ეზიარება, ან „ერთი" მეორე „ერთის" რაღაც სახესხვაობას წარმოადგენს, როგორც „ადამიანი" „ცხოველისა" და „ორფეხისათვის", ანდა ერთ შემთხვევაში ერთი გვაქვს შეხებით, მეორე შემთხვევაში — შერევით, მესამეში — განლაგებით. რომელთაგანაც არც ერთი არ შეიძლება წარმოადგენდეს იმ ერთიანებს, რომელთაგანაც შედგება ორი ან სამი. არამედ როგორც ორი ადამიანი არაა ამ ორის გარეშე არსებული რაღაც ერთი, აუცილებლად ასევეა ერთიანებშიც და ისინი იმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ განუყოფელი არიან. წერტილებიც განუყოფელნი არიან, მაგრამ ორი წერტილისაგან დამოუკიდებლად არავითარი სხვა ორიანი არ არსებობს.

მაგრამ არც ის უნდა დავფაროთ, რომ აქედან გამომდინარეობს წინამორბედი და მომდევნო ორიანის და ასევე სხვა რიცხვების დაშვების აუცილებლობა. ოთხიანში ორიანები ერთდროულად არიან მოცემული. მაგრამ ისინი წინ უსწრებენ რვიანში შემავალ ორიანებს და წარმოშობენ მათ, როგორც ორიანმა წარმოშვა ოთხიანის ორიანები, რომლებიც რვიანში იმყოფებიან. ამრიგად, თუ პირველი ორიანი არის იდეა, მაშინ ესენიც რაღაც იდეები იქნებოდნენ. იგივე შეიძლება ვთქვათ ერთიანებზეც. ის ერთიანები, რომლებიც პირველ ორიანში არიან, წარმოშობენ ოთხიანში შემავალ ოთხ ერთიანს, ასე რომ, ყველა ერთიანები იქნებოდნენ იდეები და იდეებისაგან იქნებოდნენ შემდგარი. ამრიგად, ცხადია, რომ ის საგნები, რომელთა

იდეები არსებობენ, რთული შედგენილობისა იქნებიან. მაგალითად, ცხოველი იქნება შემდგარი რაღაც ცხოველისაგან, თუ ის იდეაა.

საერთოდ კი, ერთიანებში ნებისმიერი განსხვავების დაშვება არის უაზრობა და მონაჭორი (მე მონაჭორში ვგულისხმობ ჰიპოთეზის [illegible] გულისთვის ფაქტებისათვის რაიმეს ძალით თავს მოხვევას), რადგან არ ჩანს, რომ ერთიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ან რაოდენობით, ან თვისობრიობით. ამიტომ აუცილებელია, რომ რიცხვები ერთიმეორის ან მხოლოდ ტოლი იყვნენ, ან არატოლი მით უმეტეს, რომ ისინი ერთიანებისაგან შედგებიან. ასე რომ, თუ რიცხვები არც მეტი არიან არც ნაკლები, ტოლნი იქნებიან. რიცხვებში ტოლი და [illegible] და იგივე ნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელ ათიანში შემავალი ორიანები [illegible] განსხვავებულნი იქნებოდნენ, რა [illegible] უნდა ჰქონდეს, ამ შემთხვევაში ნათქვამმა, რომ ისინი მსგავსნი არიან?

შემდეგ, თუ ყველა ერთიანი სხვა ერთიანთან ერთად ორიანს ჰქმნის, მაშინ სხვადასხვა რიცხვიდან მაგალითად ორიანისა და სამიანისაგან აღებული ერთიანები ორიანს შეადგენენ [illegible] ორიანი სამიანზე წინ იქნებოდა, თუ მას შემდეგ? როგორც ჩანს, [illegible] აუცილებლად უნდა წინ უსწრებდეს [illegible], რადგან მისი ერთი ერთიანი სამიანთან ერთად არსებობს, მეორე კი ორიანთან ერთად [illegible] ტოლნი არიან ერთიანები თუ არა, ჩვენ ყველასთვის ასე [illegible] შიზბით ერთი და ერთი არის ორი, მაგალითად, საქონელი და [illegible] ან ადამიანი და ცხენი. მაგრამ ვინც ასე მსჯელობს, ამ შედეგებს [illegible] ავრცელებს ერთზე. საკვირველია, რომ დამოუკიდებელი სამიანი მეტი არ იყოს ორიანზე, თუ მეტია, ცხადია, რომ მასში თავისთავად [illegible] ორიანის ტოლი რიცხვიც იარსებებდა, რომელიც დამოუკიდებელი ორიანის მსგავსი იქნებოდა. მაგრამ არ შეიძლება, რომ რომელიმე რიცხვი პირველიც იყოს და მეორეც, და არც იდეები არიან რიცხვები ისინი, რომლებსაც ერთიანებში განსხვავება შეაქვთ, სწორნი იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ იდეები არსებობენ, როგორც უკვე ვთქვით თავდაპირველად თუ იდეა ერთია, ერთიანები კი მსგავსნი, მაშინ ორიანიცა და სამიანიც მსგავსნი იქნებოდნენ. დათვლაც [illegible] საჭიროა: ერთი, ორი, წინამორბედ რიცხვზე რაიმეს დამატების გარეშე ამ შემთხვევაში არც განუსაზღვრელი ორიანიდან ექნებოდა ადგილი წარმოშობას. არც იდეები იარსებებდნენ რადგან ერთი იდეა მეორეში იარსებებდა და ყველა იდეა ერთის ნაწილი იქნებოდა მაშასადამე, თავისი ჰიპოთეზის თვალსაზრისით ისინი [illegible] ლაპარაკობენ, საერთოდ კი არა, რადგან ბევრ რამეს უარყოფენ მათთვის ერთგვარ [illegible] წარმოადგენს აგრეთვე [illegible]

ლისას „ერთი", „ორი", ვუმატებთ ერთიანებს, თუ ნაწილებს. ჩვენი
აზრით, მივმართავთ ორივე ხერხს. მაშასადამე, სასაცილოა, რომ
ეს განსხვავებები სუბსტანციალურ განსხვავებებზე დაგვეყვანა.

თავი მერვე

1083a უპირველესად ყოვლისა, კარგი იქნებოდა დაგვედგინა, თუ რაში
მდგომარეობს რიცხვებს ან ერთიანებს შორის განსხვავება, თუ ის
საერთოდ არსებობს. განსხვავება კი აუცილებლად ან რაოდენობ-
რივი, ან თვისობრივი უნდა იყოს. მაგრამ როგორც ჩანს, არც ერთი
ამ განსხვავებათაგანი არ არსებობს, თუმცა რიცხვებში არსებობს
რაოდენობრივი განსხვავება, მაგრამ ერთიანებიც რომ რიცხობრი-
ვად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაშინ თანაბარი რაოდე-
ნობის ერთიანების შემცველი რიცხვები ერთმანეთისაგან განსხვა-
ვებული იქნებოდნენ. შემდეგ, პირველი რიცხვები მეტნი არიან, თუ
ნაკლები? ხოლო მომდევნონი მატულობენ, თუ პირიქით? მაგრამ
ყოველივე ეს უაზრობაა. რიცხვებში არც თვისობრივი განსხვავე-
ბაა შესაძლებელი, რადგან მათ არავითარი თვისებები არა აქვთ.
მათი აზრით კი, რიცხვებს რაოდენობის გარდა, თვისებებიც აქვთ
მაგრამ ეს არ ემართებათ მათ არც ერთისაგან, არც ორისაგან,
რადგან პირველს არ აქვს თვისობრიობა, მეორე კი რაოდენობის
შემქმნელია. ეს ბუნება არის არსებულის[1] სიმრავლის მიზეზი. თუ
აქ რაღაც სხვა მდგომარეობაა, ამაზე უფრო მეტად დასაწყისში უნდა
ითქვას და დადგინდეს ერთიანების განსხვავება. განსაკუთრებით
კი ის, თუ რატომაა აუცილებელი განსხვავების დაშვება? და თუ
რიცხვებში არაა თვისობრივი განსხვავება, მაშინ რას გულისხმობენ
ისინი?

თუ რიცხვები იდეებია, ცხადია, რომ ერთიანებს არც დაკავში-
რება უნდა შეეძლოთ ერთმანეთთან და არც დაშორება. მაგრამ
არც ისაა სწორი, რასაც ზოგიერთი ამბობს რიცხვების შესახებ.
ზოგნი უარყოფენ იდეების არსებობას, როგორც საერთოდ, ისე
რაღაც რიცხვების სახით, მაგრამ თუ საგნებს წინ უსწრებენ მათე-
მატიკური რიცხვები[2], რომელთა საწყისია დამოუკიდებელი ერთი,
მაშინ უაზრობაა, რომ ერთიანებს წინ უსწრებდეს რაღაც ერთი,
როგორც ისინი ამბობენ, ხოლო ორიანი წინ არ უსწრებდეს ორი-
ანებს და არც სამი სამიანს. იგივე უნდა ითქვას ყველა რიცხვზე.
თუ რიცხვებში ასეთი მდგომარეობაა და თუ ვინმე მხოლოდ მა-
თემატიკურ რიცხვებს უშვებს, მაშინ ერთიანი საწყისი არ იქნება,
რადგან აუცილებელია, რომ ერთი ასეთივე სხვა ერთიანებისაგან

განსხვავებული იყოს. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა იყოს რაღაც
ორიანი ორიანებზე წინ და ასე შემდეგ სხვა რიცხვებშიც. და თუ
ერთი საწყისია, აუცილებელია უფრო მეტად ისეთი მდგომარეობა
იყოს, რასაც პლატონი ამბობდა რიცხვების შესახებ, ე. ი. იყოს
პირველი ორიანი და სამიანი და რიცხვებსაც ერთმანეთთან დაკავ-
შირება არ შეეძლოთ ამ შემთხვევაში კი როგორც უკვე ვთქვით,
მრავალ შეუსაბამო შედეგს ვიღებთ. მაგრამ აუცილებელია ან ასე
იყოს, ან ისე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი 1083b
რიცხვები არ იარსებებენ.

აქედან ცხადია, რომ ყველაზე უარესია მესამე გზა, რომელიც
მათემატიკურ და იდეალურ რიცხვებს აიგივებს[3]. რადგან ამ შეხე-
დულებებიდან აუცილებლად ორი შეცდომა გამომდინარეობს, ამ
შემთხვევაში მათემატიკური რიცხვები არ უნდა არსებობდნენ,
არამედ აუცილებელი ხდება დაშვებული ჰიპოთეზის გაფართოება
და იმ შედეგების გაზიარება, რასაც ისინი იღებენ, ვინც რიცხვებს
იდეებს უწოდებენ.

პითაგორელთა მეთოდი ზემოთქმულთან შედარებით ნაკლებ
სიძნელეებს შეიცავს, მაგრამ მას აქვს სხვა, მისთვის სპეციფიკური
სიძნელეები ერთი მხრივ, რადგან პითაგორელები რიცხვებს არ
თვლიან საგნებისაგან დამოუკიდებლად, ამით მრავალ სიძნელეებსა
სძლევენ, მაგრამ მეორე მხრივ, დაუშვებელია სხეულების რიცხვე-
ბისაგან შედგენილად და ამ რიცხვების მათემატიკურად გამო-
ცხადება. არც განუყოფელი მოვლენებისთვის სიდიდეების მიწერაა
სწორი. ეს შესაძლებელიც რომ იყოს, ერთიანებს სიდიდე მაინც არ
ექნებათ, რადგან როგორ შეიძლება, რომ სიდიდე განუყოფელი
ნაწილებისაგან შედგებოდეს, მათემატიკური რიცხვი კი ერთიანე-
ბისაგან შედგება. ისინი კი საგნებს რიცხვებად თვლიან. ყოველ
შემთხვევაში, მათი თეორია სხეულებს რიცხვებისაგან შემდგარად
აცხადებს.

მაგრამ თუ აუცილებელია, რომ რიცხვი დამოუკიდებლად არ-
სებობდეს რომელიმე ზემოთქმული გზით, მაგრამ სინამდვილეში
არც ერთი ამ გზათაგანი არაა შესაძლებელი, მაშინ ცხადია, რომ
რიცხვი არაა რაღაც ისეთი ბუნების, როგორსაც მიაწერენ მას
ისინი, ვინც მას დამოუკიდებელ არსებობას ანიჭებენ.

შემდეგ ყოველი ერთიანი შედგება გაწონასწორებულ დიდისა და
მცირესაგან, თუ ზოგი შედგება — დიდისაგან, ზოგი კი — პატარი-
საგან? თუ ეს ასეა, მაშინ ყველა ერთიანი არ იქნება შემდგარი
ყველა ელემენტისაგან და არც ერთიანები იქნებიან მსგავსი, რად-
გან ზოგი მათგანი შეიცავს დიდ ერთიანებს, ზოგი კი პატარას,
რომლებიც ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ბუნებისა არიან.

შემდეგ, როგორი მდგომარეობაა დამოუკიდებელ სამიანში? [illegible] რიცხვი მაშინ კენტია, სწორედ ამიტომაა, რომ [illegible]-ში დამოუკიდებელ ერთიანს შუაში ათავსებენ, მაგრამ თუ თვითეული ერთიანი დიდია და პატარისაგან შედგება, როგორღა იქნება ერთი ბუნებისა ორიანი შემდგარი ორივესგან? ან რით იქნება ის განსხვავებული ერთისაგან? გარდა ამისა, ორს წინ უსწრებს ერთიანი, რომლის უარყოფა ორიანსაც უარყოფს, ამიტომ აუცილებელია, რომ ის იდეის იდეა იყოს, რადგან ის წინ უსწრებს იდეებს და მათზე adრეცაა წარმოშობილი, მაგრამ რისგან არის ის წარმოშობილი, თუ განუსაზღვრელი ორიანი ორს წარმოშობს?

შემდეგ, აუცილებელია, რომ რიცხვები ან განსაზღვრული იყვნენ ან განუსაზღვრელი. და რადგან ისინი რიცხვება დამოუკიდებ-
1084a ლად თვლიან, მით უმეტეს, რიცხვები ან ასეთი უნდა იყვნენ და ან ისეთი. რომ განუსაზღვრელი არ შეიძლება იყვნენ, ცხადია, რადგან განუსაზღვრელი არც კენტია, არც ლუწი, ჩვეულებრივი რიცხვი კი ყოველთვის ან ლუწია, ან კენტი. ერთის მიმატება ლუწთან კენტს წარმოშობს, ხოლო ორის მიმატება, რომელიც თავის მხრივ ერთის გაორმაგებაა, სხვა ლუწს

შემდეგ, თუ ყველა იდეა არის რაიმეს იდეა, ხოლო რიცხვები იდეებია, მაშინ შეგრძნებადთა და სხვა სახის მოვლენათა იდეები განუსაზღვრელი რაოდენობის იქნებოდნენ. მაგრამ არც განხილული შეხედულებებიდან და არც ლოგიკურად არ გამომდინარეობს ასეთი იდეების არსებობა. თუ იდეა განსაზღვრულია, სადამდეა განსაზღვრული? აუცილებელია არა მარტო ამის თქმა, რომ ეს ასეა, არამედ იმისაც, თუ რატომაა ასე.

თუ რიცხვები ასეთია, როგორც ზოგი ამბობს, მაშინ ყველაზე ჩქარა პირველ რიგში იდეები ამოიწურებოდნენ. მაგალითად, თუ სამი არის დამოუკიდებელი ადამიანი, მაშინ რომელი რიცხვი იქნებოდა დამოუკიდებელი ცხენი, რადგან დამოუკიდებელი რიცხვები ათამდეა. ამიტომ აუცილებელია, რომ ის რომელიმე ამ რიცხვთაგანი იყოს, რადგან სუბსტანციები და იდეები ერთი და იგივე არიან, მაგრამ იდეების რიცხვი მაინც არ იქნებოდა საკმარისი, რადგან ცხოველთა სახეები იდეებზე მეტი იქნებოდა. ამავე დროს ცხადია, რომ თუ სამიანი არის ადამიანი თავისთავად, სხვა სამიანებიც ასეთივე უნდა იყვნენ, რადგან ერთსა და იმავე რიცხვებში ისინი მსგავსნი არიან. ასე რომ, ადამიანები თავისთავად უსაზღვროდ ბევრნი იქნებოდნენ, თუ თვითეული სამიანი იდეაა და თვითეული მათგანი ადამიანია. მაგრამ ეს რომ ასეც არ იყოს, ადამიანები მაინც იარსებებდნენ. და თუ მცირე დიდის ნაწილია, რომელიც

ერთსა და იმავე რიცხვებში ერთმანეთთან დაკავშირების უნარის მქონე ერთიანებიაგან შედგება, მაშინ თუ თავისთავად ორიანი არის რაიმეს იდეა, ან „ცხენის", ან „თეთრის", მაშინ ადამიანი, თუ ორიანია, ცხენის ნაწილი იქნებოდა. უაზრობაა აგრეთვე, რომ ათიანის იდეა არსებობდეს, მაგრამ არ იყოს თერთმეტისა და [illegible] მომდევნო რიცხვები[illegible]. შემდეგ [illegible] და წარმოიშვება ზოგი ისეთი რამ, რომლის იდეა არ დაგვიშვია. რატომ არ უნდა [illegible] იდეები მიზეზები არ [illegible]. შემდეგ, უაზრობაა, რომ რიცხვი, რომელიც წინ უსწრება [illegible] ერთიანი [illegible] უფრო მეტად [illegible] არსებობდეს [illegible] მის [illegible] [illegible] მაგრამ [illegible] პირველი ერთიანი [illegible] წარმოიშვება, მეორე კი. მაგრამ ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ [illegible] სრულ[illegible] [illegible] უშვებენ მეორეულ თვისებებს, როგორიცაა „სიცარიელე", „ანალოგია", „კენტი" და სხვა ამდაგვარს ათის ფარგლებში. ამათგან ნაწილს საწყისებად თვლიან, მაგალითად, მოძრაობას, უძრაობას, სიკეთეს, [illegible] ნაწილს [illegible] რიცხვებით ერთი კენტია. ის რომ სამიანში [illegible], მაშინ როგორღა იქნებოდა კენტი ხუთიანი? [illegible] იდიდეებს [illegible] 1084b
პირველ ხაზს, რომელიც განუყოფელია, შემდეგ ორიანს და ასე შემდეგ ათამდე.

[illegible] პრობლემატურია, რომელია პირველი. ერთი, სამი, თუ ორი? თუ რიცხვი შედგენილია, მაშინ ერთია წინ მაგრამ რამდენადაც წინ ზოგადია და [illegible] რიცხვია წინ. თვითეული ერთიანი კი რიცხვის ნაწილია, როგორც მატერია. რიცხვი კი რაღაც ფორმაა. ისევე, როგორც სწორი კუთხე წინ უსწრებს მახვილს, როგორც ფორმით, [illegible] იმიტომ რომ [illegible] [illegible] მახვილი კუთხე წინ იყოს, რადგან ის სწორის ნაწილია, რომელიც [illegible] ყვანება. მაგრამ მახვილი კუთხე, ელემენტი და ერთიანი წინაა როგორც მატერია. როგორც ფორმა, არსება და ცნება, წინ არის სწორი და მთელი, შემდგარი მატერიისა და ფორმისაგან, რადგან ის უახლოვდება ფორმას ან იმას, რასაც ცნება აქვს. თუმცა წარმოშობით ის უფრო გვიანაა.

მაგრამ როგორ [illegible] ამბობენ იმიტომ რომ არ დაიშლებაო, მაგრამ არ დაიშლება არც ზოგადი, არც ნაწილი და ელემენტი, თუმცა სხვადასხვაგვარად პირველი ცნებით, მეორე დროით. როგორ არის ერთი საწყისი? როგორც ნათქვამი იყო, სწორი კუთხე მახვილი კუთხის საწყისია და, როგორც ჩანს,

წინ უსწრებს მას, თვითეული მათგანი კი ერთია. ერთი კი ორივე შემთხვევაში საწყისს წარმოადგენს, მაგრამ ეს შეაძლებელია პირველ შემთხვევაში როგორც ფორმა და არსება, მეორე შემთხვევაში კი, როგორც ნაწილი და მატერია. როგორ არის თვითეული მათგანი ერთი? ერთი საწყისია სინამდვილეში, მეორე შესაძლებლობაში. თუ რიცხვი არის რაღაც ერთი და არა სხვადასხვა ერთიანებიდან შემდგარი რაღაც გროვა, როგორც ისინი ამბობენ, მაშინ თვითეული რიცხვი ჭეშმარიტად ერთია შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში. ამ შეცდომის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს ზოგადის მიღებას ცდილობენ როგორც რიცხვებიდან, ისე ცნებებიდან და ამათგან ადგენენ ერთს, როგორც წერტილსა და საწყისს. ერთი ხომ წერტილია, მაგრამ არა ჯრცეული. ისევე, როგორც ზოგმა მოაზროვნემ უმცირესისაგან შეადგინა არსებული საგნები[4], ისევე ამათ. ასე იქცა ერთი რიცხვების მატერიად და ამავე დროს ორიანის წინამორბედად, ამავე დროს მის მომდევნოდ, როგორც რაღაც ერთი მთლიანისა და ფორმისა. მაგრამ, რადგანაც ისინი ერთს ეძებდნენ ზოგადად, ამიტომაც ისინი მას ნაწილად აცხადებდნენ. მაგრამ ყოველივე ამის შეთავსება შეუძლებელია. თუ დამოუკიდებელი ერთი დაუნაწევრებელია (მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ის საწყისია), ორიანი დანაწევრებადი, ერთიანი კი დაუნაწევრებადი[5], მაშინ დამოუკიდებელი ერთი უაღრესად მსგავსი იქნება ჩვეულებრივი ერთისა[6], და მაშინ თავისთავად ერთიც უფრო მეტად ახლო იქნება ჩვეულებრივ ერთთან, ვიდრე ორთან ამიტომაც თვითეული ერთიანი თავისთავად ორიანზე წინ იქნებოდა. თუმცა ისინი ამას არ ამბობენ, რადგან ორიანს წინამორბედად თვლიან ამას
1085a გარდა, თუ ორიანი არის რაღაც დამოუკიდებელი ერთი, ასევე სამიც,
ორივე ერთად კი ორი იქნება და მაშინ საიდან წარმოიშვება ეს უკანასკნელი ორიანი?

თავი მეცხრე

აიძნელე იმაშიც მდგომარეობს, რომ თუ რიცხვებში არსებობს არა შეხება, არამედ თანმიმდევრობა, მაშინ ისეთი რიცხვები, როგორიცაა დამოუკიდებელი ერთიანი და სამიანი, რომლებსაც შუაში არა აქვთ ერთიანები, იქნებიან თუ არა დამოუკიდებელი ერთის შემდეგ? და ამ რიგში ჯერ ორიანია, თუ მასში შემავალი ნებისმიერი ერთიანები?

ასეთივე დაბრკოლებანი ჩნდება აგრეთვე რიცხვის მომდევნო

გვარებშიაც; ხაზებში, სიბრტყეებში და სხეულებში. ზოგნი მათ აწარმოებენ დიდისა და მცირეს სახეებიდან: გრძელისა და მოკლესაგან — სიგრძეს, ფართოსა და ვიწროსაგან სიბრტყეს, ღრმისა და არაღრმისაგან — სივრცეს. სხვები კი ერთი საწყისიდან სხვანაირად აწარმოებენ ასეთ მოვლენებს. მაგრამ მათთანაც ათასობით შეუსაბამობაა და მონაჭორია, რაც გონებას ეწინააღმდეგება. ერთმანეთთან შეუთავსებელ შედეგებს ვიღებთ მაშინ, თუ ერთმანეთს არ ქონება ისეთი საწყისები, როგორიცაა ფართო და ვიწრო, გრძელი და მოკლე. და თუ ეს ასეა, მაშინ სიბრტყე ხაზი იქნება და სხეული სიბრტყე.

გარდა ამისა, როგორ იარსებებდნენ კუთხეები, ფორმები და სხვა ამგვარი? იგივე შედეგები გამომდინარეობს რიცხვების თვისებ..., რომლებიც სიდიდის თვისებებია და რომელთაგან არაა წარმოებული სიდიდე, როგორც სწორისა და მოღუნულისაგან არაა მიღებული სიგრძე და გლუვისა და ხორკლიანისაგან სხეული. ამ თეორიიდან გამომდინარე შედეგები საერთოა იმ თეორიისთვისაც, რომელიც იდეებს გვარებად თვლის. თუ რაღაც ზოგადს დამოუკიდებელ არსებად ვთვლით, მაშინ ცხოველში თავისთავადი ცხოველი იქნება, თუ ასე თავისთავადი ცხოველი რომ დამოუკიდებელი არ იყოს, არავითარი დაბრკოლება არ წარმოიშვებოდა. მაგრამ თუ რიცხვი და ერთი დამოუკიდებელია, როგორც ამტკიცებენ ისინი, ვინც იდეებს უშვებს, მაშინ ეს ადვილი გადასაჭრელი არაა[1]. თუ საჭიროა „არა ადვილი" შეუძლებელის მნიშვნელობით ვიხმაროთ? ასევე როდესაც ვინმე ორიანში და საერთოდ, რიცხვში მოიაზრებს ერთს, ეს თავისთავადი ერთია, თუ სხვა?

ზოგნი სიდიდეს მატერიისაგან აწარმოებენ, სხვები კი წერტილისაგან (წერტილი კი მათ ჰგონიათ არა ერთი, არამედ ერთისმაგვარი) და მატერიიდან, რაც სიმრავლისმაგვარია, მაგრამ სიმრავლე კი არ არის. აქედან არანაკლები სიძნელეები გამომდინარეობს. თუ მატერია ერთია, მაშინ ერთი და იგივე იქნება ხაზი, სიბრტყე და სხეული, რადგან ერთი და იმავესაგან ერთი და იგივე წარმოიშვება. თუ მატერია ბევრია და სხვადასხვა, მაშინ ხაზების, სიბრტყეების და სხეულების მატერია სხვადასხვა იქნებოდა და ისინი ერთმანეთის მიმდევარი იქნებოდნენ თუ არა, იმავე შედეგს მივიღებდით, რადგან ან სიბრტყეებში არ იქნებოდა ხაზი, ან ხაზი თვით სიბრტყე იქნებოდა

გარდა ამისა, როგორ იქნება ერთისა და სიმრავლისაგან შემდგარი რიცხვი? ამას არავინ არ კითხულობს. ისინი კი, რომლებიც ასე მსჯელობენ, იმავე სიძნელეებს აწყდებიან, რასაც ისინი, რომლებიც

რიცხვს ერთისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან აწარმოებე[ნ], ზოგნი რიცხვს აწარმოებენ ე. წ. ზოგადისა და არა რაღაც სიმრავლისაგან, ზოგნი კი რაღაც პირველი სიმრავლისაგან, რადგან ორიანს სიმრავლედ აცხადებენ. ამრიგად, აქ არავითარი განსხვავება არა, როგორც იტყვიან ხოლმე და სიძნელეებიც იგივეა, როგორც [illegible]რევის, შეკრების, დაბადებისა და სხვა შემთხვევებში

ყველაზე მეტად კი ისაა საკვლევი, რომ თუ თვითეული ამათგან ერთია, რისგან არის ის ნაწარმოები? დამოუკიდებელი ერთი აუცილებლად წარმოებული უნდა იყოს ერთისა და სიმრავლისაგან [illegible] სიმრავლის ნაწილისაგან. ერთის სიმრავლედ ჩათვლა შეუძლებელია, რადგან დაუნაწევრებელია. ის რომ სიმრავლის ნაწილი იყოს, ამას სხვა სიძნელეები ახლავს თან, რადგან მისი ყოველი ნაწილი დაუშლელი იქნება, ან მისი თვითეული ნაწილი სიმრავლე იქნება, [illegible] კი დაუნაწევრებელი. მაგრამ მაშინ ერთი და სიმრავლე ელემენტებ[ი] აღარ იქნებოდნენ, რადგან არც ერთი ერთიანი არაა წარმოებული ერთისა და სიმრავლისაგან. ამას გარდა, ვინც ასე მსჯელობს, სხვას არას აკეთებს იმის გარდა, რომ სხვა რიცხვი შემოაქვს, [illegible] სიმრავლე დაუნაწევრებელი რიცხვებისაგან შედგება.

ამ მოძღვრების მიმდევართ უნდა შევეკითხოთ, [illegible] რიცხვი გ[illegible]საზღვრულია, თუ განუსაზღვრელი? როგორც ჩანს, მათი აზრით, უნდა არსებობდეს აგრეთვე განუსაზღვრელი სიმრავლე, რომელიც ერთთან ერთად აწარმოებს განსაზღვრულ ერთიანებს. დამოუკიდებელი სიმრავლე და განუსაზღვრელი სიმრავლე კი სხვადასხვაა. მაგრამ როგორია სიმრავლე, ელემენტი და ერთიანი? ასევე შეიძლება ეკვლია ვინმეს წერტილი და ის ელემენტი, რომლიდანაც არის წარმოშობილი სიდიდე. მაგრამ არსებობს არა მხოლოდ ერთი წერტილი, არამედ სხვა წერტილებიც, რომლებიც რაიმესაგან არიან წარმოშობილი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა რაღაც მანძილისა და დამოუკიდებელი წერტილისაგან. მაგრამ არც მანძილის ნაწილები უნდა იყვნენ დაუნაწევრებელი, ისევე როგორც სიმრავლისა, საიდანაც ერთიანებია მიღებული. რადგან რიცხვი შედგება დაუნაწევრებელი ნაწილებისაგან, სიდიდეები კი არა.

ყოველივე ეს და სხვა ამგვარი ცხადყოფს, რომ შეუძლებელია რიცხვებისა და სიდიდეების დამოუკიდებელი არსებობა. აგრეთვე
1086a რიცხვების შესახებ თვალსაზრისების განსხვავებულობა მოწმობს იმას, რომ საქმის ჭეშმარიტი ვითარება ასეთი არაა, რაც თვით მათ აღშფოთებთ. ისინი კი, რომლებიც ხედავენ რა იდეებთან დაკავშირებულ სიძნელეებს და ხელოვნურობას, უარყოფენ იდეალურ რიცხვებს და შეგრძნებადისაგან დამოუკიდებლად მხოლოდ

[illegible] რიცხვს უშვებენ ხოლო [illegible]ნი, რომლებსაც იდეების რიცხვებად [illegible] [illegible] ქ[illegible]ვედნენ კურადღებას იმას, შეიძლება, თუ არა იდეალურის გვერდით რაღაც ისეთი [illegible]წყისის დაშვება როგორიცაა მათემატიკური რიცხვი. მათ იდეალური და მათემატიკური რიცხვი ცნებით [illegible], საქმით კი მათემატიკური რიცხვი გააუქმეს. რადგან თავისებური [illegible]მათემატიკური საწყისები დაუშვეს ხოლო ვინც პირველად დაუშვა იდეები იდეალური რიცხვები და მათემატიკური რიცხვები, მან ისინი გონივრულად გამოაცალკევა ერთმანეთისაგან. ამრიგად, გამომდინარეობს, რომ ყველა ისინი რაღაცას ამბობდნენ სწორად, საერთოდ, [illegible] არ იყვნენ მართალი, რაც მტკიცდება იქიდან, რომ ისინი ლაპარაკობენ არა ერთსა და იმავეს, არამედ საწინააღმდეგოს ამის მიზეზი კი ისაა, რომ წანამძღვრები და საწყისები მათ ყალბი აქვთ. და როგორც ეპიხარმე ამბობს, ძნელია არაჭეშმარიტი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დასკვნის მიღება ამრიგად როგორც ახლახან ვთქვით, [illegible] გეცემათ, რომ ისინი სწორად არ მსჯელობენ

[illegible] და გან[illegible]ზღვრებებით[illegible] დაკავშირებულ სიძნელეებზე საკმარისად იყო ნათქვამი [illegible] მსჯელობა ამის შესახებ უფრო კარგად დაარწმუნებდა უკვე დარწმუნებულს, ხოლო ვინც [illegible] დარწმუნებული, იმის დასარწმუნებლ[illegible] [illegible] შეგვამა[illegible] პირველადი საწყისები, მიზეზებისა და ელემენტების შესახებ იმათი თვალსაზრისი, რომლებიც მხოლოდ გრძნობად სუბსტანციებს უშვებენ, უკვე განვიხილეთ წიგნში „ბუნების შესახებ“, [illegible] ჩვენი განხილვის ობიექტს აღარ შეადგენს. ხოლო იმათ თვალსაზრისს, რომლებიც შეგრძნებადი სუბსტანციების [illegible] უშვებენ სხვა [illegible]. ზემოთქმულის შემდეგ უნდა [illegible]. უნდა განვიხილოთ თუ [illegible] და [illegible] [illegible] ისინი, რომლებიც იდეებს და [illegible] და მათ ელემენტებს არსებულის საწყისებად და ელემენტებად თვლიან. ხოლო იმათი თვალსაზრისი რომლებიც მხოლოდ რიცხვებს უშვებენ და ისიც მათემატიკურს, შემდეგ უნდა განვიხილოთ

იმათი შეხედულების განხილვისას კი, ვინც იდეებს უშვებს, უნდა დავადგინოთ მათი მეთოდიც და ის სიძნელეებიც, რომელიც მათი მოძღვრებიდან გამომდინარეობს. ისინი ზოგადს აქცევენ იდე[illegible]ბად და შემდეგ დამოუკიდებელ და თავისთავად სუბსტანციებად, რომ ეს შეუძლებელია, ადრევე იყო განხილული. მიზეზი იმისა, რომ [illegible] დასკვნამდე მიდიან ისინი, რომლებიც ზოგადს სუბსტანციებად აქცევენ, არის ის, რომ შეგრძნებად [illegible] სუბსტანციალობას არ აკუთვნებენ. ისინი ამბობენ, რომ თვითეული

1086b შეგრძნებადი მოვლენა მოძრაობაშია და არ ჩერდება. ზოგადი კი მათგან დამოუკიდებლად [illegible] არსებობს [illegible] ზემოთაც ვთქვით ამის მიზეზი [illegible] [illegible] მათ [illegible] [illegible] [illegible] თანამოაზრეებმა [illegible] [illegible] დამოუკიდებლად [illegible] ზოგადი [illegible] [illegible] მიზეზი [illegible] სიძნელეები [illegible] ბიდან გამომდინარეობს [illegible] შეგრძნებადი და მოძრავი [illegible] დამოუკიდებლად არსებობდეს, [illegible] სუბსტანციები, რომელთაც მათ [illegible] [illegible] ზოგადობის გარდა ამიტომ [illegible] რომ [illegible] ზოგადი [illegible] ერთი და იმავე ბუნების [illegible] [illegible] რომელიც ყოველივე ზემოთქმულ [illegible]

თავი მეათე

ახლა უნდა შევეხოთ იმ სიძნელეებს, რომელიც ეხება როგორც [illegible] მომხრეთ, ისე მათ მოწინააღმდეგეთ და რაზედაც ჩვენ ადრევე ვილაპარაკეთ „სიძნელეთა შესახებ" [illegible] ვინც არ დაუშვებს [illegible] დამოუკიდებელ სუბსტანციებს, როგორც [illegible] [illegible] [illegible] ხოლო ვინც დაუშვებს დამოუკიდებელ [illegible] [illegible] ჩათვლის მათ [illegible] ელემენტებად?

[illegible] [illegible] კონკრეტულნი და არა ზოგადნი, მაშინ [illegible] იმდენივე იქნება, რამდენიც ელემენტი [illegible] ელემენტები შეცნობადნი არ იქნებიან [illegible] [illegible] ჩათვლის [illegible] ელემენტებად, მაშინ [illegible] ერთი იქნება, როგორც ყველა სხვა მარცვალიც, თუ ისინი არ არიან ზოგადნი, ე. ი. ერთი არა სახითა და სიტყვით, არამედ რიცხვით და [illegible] არსებობით.

შემდეგ თუ ისინი თვითეულ არსებას ერთ-ერთს უშვებენ, და თუ მარცვლებიც [illegible], მაშინ [illegible] იქნება მათი შემადგენელი ნაწილებიც [illegible]. „ალფა" ამ შემთხვევაში არ იქნება ერთზე მეტი და არც სხვა ელემენტები იმავე მოძღვრების მიხედვით, რომლითაც არც სხვა მარცვლები შეიძლება მეორდებოდნენ, არა-

მედ ყოველთვის სხვადასხვა უნდა იყვნენ. თუ ეს ასეა, ელემენტების გარდა, სხვა არაფერი არ იარსებებდა. გარდა ამისა, ელემენტები შეუცნობელი იქნებოდნენ, რადგან არ იქნებოდნენ ზოგადნი, მეცნიერება კი ზოგადს ეხება. ეს ცხადი ხდება დასაბუთებიდან და განსაზღვრებებიდან. სილოგიზმს ვერ მივიღებთ, თუ ვიტყვით, რომ ამა და ამ სამკუთხედის კუთხეების ჯამი ორ სწორს უდრის, თუ ეს ასე არაა ყველა სამკუთხედში. ვერც მაშინ ვიტყვით, რომ ესა და ეს ადამიანი არის ცხოველი, თუ ყველა ადამიანი ცხოველი არაა, თუ საწყისები ზოგადია, მაშინ ან მათგან [illegible] ზოგადი [illegible] სუბსტანციები 1087a [illegible] [illegible] ზოგადი კი არაა [illegible] [illegible] ელემენტი [illegible] მაშინ [illegible] იმათზე წინ [illegible] [illegible] რომელთა [illegible] ელემენტები არიან ყოველივე [illegible] [illegible] ელემენტებისაგან და [illegible] [illegible] სუბსტანციები [illegible] [illegible] მათგან დამოუკიდებლად არ ებულ [illegible] თუ არაფერი არ აბრკოლებს იმას, რომ „ალფა" და „ბეტა", როგორც ბგერათა ელემენტები [illegible] და მათი [illegible] გარდა, სხვა არაფერი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ზოგადი იყვნენ და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მეტ [illegible] შეიცავს. [illegible] ნაწილობრივ ჭეშმარიტია, ნაწილობრივ კი არა.

ცოდნა ისევე, როგორც შემეცნება, ორგვარია: ერთი მხრივ, [illegible] მეორე მხრივ [illegible] ცოდ- [illegible] [illegible] მატერია [illegible] ზოგადი და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ობიექტი აქვს [illegible] ზოგად [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] რომელსაც [illegible] ხედავს, არის [illegible] ფერი და [illegible] რომელიც შეიცნობს ამ „ალფას", არის ზოგადი „ალფა".

[illegible] თუ [illegible] საწყისები ზოგადნი იყვნენ, მაშინ [illegible] ზოგადი იქნება [illegible] მათგან გამომდინარეობს, როგორც [illegible] დასაბუთებებშია; და თუ ეს ასეა, მაშინ არც დამოუკიდებელი იქნება არაფერი და არც [illegible] [illegible] ცხადია, რომ ცოდნა ნაწილობრივ ზოგადია, ნაწილობრივ კი არა.

წიგნი მეთოთხმეტე

თავი პირველი

აი, ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას სუბსტანციების [illegible] სახეზე როგორც ბუნებრივ, ისე უძრავ სუბსტანციებში საწყისებად [illegible] ყველანი დაპირისპირებულთ თვლიან ან თუ ყველაფერი საწყისი [illegible] შეიძლება [illegible] შეუძლებელია, რომ საწყის [illegible] შემთხვევაში [illegible] რამე საწყისი [illegible] მაგალითად ვინმემ რომ [illegible] თეთრი [illegible] იმდენად რამდენადაც [illegible] არამედ რამდენადაც [illegible] მაგრამ [illegible] თეთრი [illegible] სუბსტრატი [illegible] სხვა [illegible] მაა, რომელიც თეთრზე ადრე არსებობს. მართალია, ყველაფერი
1087в წარმოიშვება დაპირისპირებულთაგან, როგორც რაღაც სუბსტრატიდან. მაგრამ სინამდვილეში [illegible] დაპირისპირე- [illegible] დაპირისპირებული [illegible] სუბსტრატი [illegible] როგორც [illegible] თვით სუბსტანცია [illegible] ფერი არ უპირისპირდება, რაც ლოგიკურადაც [illegible] ამრიგად [illegible] წინააღმდეგობა [illegible] ყველაფერი, ძირითადი საწყისი [illegible]

ზოგიერთი დაპირისპირებულთა ერთ-ერთ მხარეს მატერიად თვლის: [illegible] ერთს [illegible] უპირისპირებენ [illegible], როგორც სიმრავლის ბუნების მქონეს [illegible] კი ერთს, სიმრავლე უპირისპირებს. რადგან ზოგნი რიცხვს აწარმოებენ არატოლი ორიანისაგან, დიდისა და მცირესაგან, ზოგნი კი სიმრავლისაგან. თუმცა ორივე ერთი და იმავე არსებისაა რადგან ერთნი ამბობენ რომ ელემენტებია არატოლი და ერთი, არატოლი ორიანი [illegible] შედგება დიდისა და მცირესაგან, თითქოს არატოლი და დიდი და მცირე ერთი იყოს, მაგრამ ვერ არჩევენ, რომ ეს ლოგიკურადაა [illegible] და არა რიცხობრივად. მაგრამ ისინი ვერც იმ საწყისებს ხსნიან კარგად, რომლებსაც ელემენტებს უწოდებენ. ზოგი მათგანი ამბობს,

რომ დიდი და მცირე ერთს მოსდევს და სამივე რიცხვთა ელემენტები არიანო. აქედან ორი მატერიააო, ერთი კი — ფორმა. ზოგნი ასახელებენ მრავალსა და მცირეს, რადგან დიდი და მცირე თავისი ბუნებით სიდიდეს ჰგავს, ზოგნი კი ასეთად უფრო მათ შორის საერთოს ასახელებენ, როგორიცაა ჭარბი და ის, რასაც ის ჭარბობს. ისინი ერთიმეორისაგან სრულებით არ განსხვავდებიან მათგან გამომდინარე ზოგიერთი შედეგის მიხედვით, არამედ მხოლოდ ლოგიკური სიძნელეებით, რომელთა აცილება მათ ლოგიკურივე დასაბუთებით სურთ. ოღონდ იმავე მოძღვრებით ჭარბი და რასაც ის ჭარბობს, საწყისები არიან და არა დიდი და მცირე, და ელემენტთა შორის რიცხვი უსწრებს ორიანს. მართალია, ორივე ზოგადი ბუნებისაა, მაგრამ ისინი რიცხვს თვლიან ასეთად, ორიანს კი არა.

ზოგი განსხვავებულს და სხვას ერთს უპირისპირებს, ზოგი ერთმანეთს უპირისპირებს სიმრავლესა და ერთს. მაგრამ თუ არსებული დაპირისპირებულთაგან შედგება, როგორც ისინი ამბობენ, მაშინ ერთს ან არაფერი არ უპირისპირდება, ან თუ ეს საჭიროა, უპირისპირდება სიმრავლე, არატოლს — ტოლი, განსხვავებულს — მსგავსი, სხვას — იგივე. ამათგან ყველაზე უკეთესი უნდა იყოს ის თვალსაზრისი, რომელიც ერთს უპირისპირებს სიმრავლეს, მაგრამ არც ეს თვალსაზრისია დამაკმაყოფილებელი, რადგან მაშინ ერთი მცირე იქნებოდა, რადგან მრავალი უპირისპირდება მცირეს, მეტი — ნაკლებს.

ის კი ცხადია, რომ ერთი საზომს ნიშნავს და რომ ყოველივეს სუბსტრატად აქვს რაღაც სხვა, მაგალითად, ჰარმონიას — დიეზი, სიდიდეს — დაქტილი[1], ფუტი ან სხვა რაღაც ამდაგვარი, ლექსებს — ტაეპი ან მარცვალი. ასევე სიმძიმეებში არის რაღაც განსაზღვრული 1088a
წონა. ასევე ყველგან თვისებებს საზომად რაღაც თვისება აქვთ, რაოდენობას — რაღაც რაოდენობა. საზომი განუყოფელია ზოგჯერ სახით, ზოგჯერ შეგრძნებებისათვის, რადგან ის არ წარმოადგენს საგანთა არსებას. ეს სავსებით ლოგიკურიცაა, რადგან ერთი არის სიმრავლის რაღაც საზომი, ხოლო რიცხვი არის გაზომილი სიმრავლე და საზომთა თავმოყრა. მაშასადამე ლოგიკურად რიცხვი არაა ერთი და არც საზომებია საზომი, არამედ ერთი არის საწყისი და ზომა აუცილებელია, რომ ერთი სახის მოვლენებს ყოველთვის ერთი საზომი ჰქონდეთ. მაგალითად, ცხენებს — ცხენი, ადამიანს — ადამიანი, მაგრამ თუ გვაქვს ადამიანი, ცხენი და ღმერთი, მაშინ თვითეული მათგანი ცხოველია და მათი საზომი ცხოველი იქნება. მაგრამ თუ გვაქვს ადამიანი, თეთრი და მოსიარული, მაშინ უფრო ნაკლებ გვექნებოდა საქმე რიცხვთან, რადგან ყველა ისინი ახასიათებენ

იგივეობრივსა და რიცხვით ერთს. ამათი საზომიც შეიძლება ყოფილიყო რიცხვი, ან სხვა რომელიმე კატეგორია

ხოლო ისინი, რომლებიც ერთს აცხადებენ არატოლად, ხოლო ორიანს, შემდგარს დიდისა და მცირესაგან — განუსაზღვრელად, უფრო მეტად შორდებიან წარმოდგენისა და შესაძლებელის ფარგლებს, რადგან ყოველივე ეს უფრო მეტად რიცხვებისა და სიდიდეების მდგომარეობა და შემთხვევითი თვისებებია, ვიდრე სუბსტრატი, როგორც მეტი და ნაკლები რიცხვისათვია, დიდი და პატარა სიდიდისათვის, აგრეთვე ლუწი და კენტი, გლუვი და ხორკლიანი, სწორი და მოღუნული.

ამ შეცდომის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიმართებას წარმოადგენს სიდიდე, სიმცირე და სხვა ამდაგვარი, ხოლო მიმართება ყველა დანარჩენ კატეგორიებზე უფრო ნაკლებ არის ბუნება და სუბსტანცია და ის თვისებასა და რაოდენობას მოსდევს. რაოდენობისათვის მიმართება არის რაღაც მდგომარეობა, როგორც ვთქვით და არა მატერია, რომელიც განსხვავდება, როგორც, საერთოდ, რაოდენობისაგან, ისე მისი ნაწილებისა და სახეებისაგან. არაფერი არ იქნებოდა დიდი და პატარა, მეტი და ნაკლები და საერთოდ, მიმართება, რომ არ ყოფილიყო რაღაც სხვა, რომელიც არის მეტი და ნაკლები, დიდი და მცირე[2], ან მიმართება. იმის საბუთი, რომ მიმართება არაა რაიმე არსებული და სუბსტანცია, არის ის, რომ ის არც წარმოიშვება, არც ისპობა, არც მოძრაობს, რაოდენობით არ მატულობს და არ კლებულობს, არ იცვლება თვისობრივად, არ გადაადგილდება, არ იცვლება არც სუბსტანციალურად, არ იბადება, არ იპობა. ყოველივე ეს არ არსებობს მიმართებისათვის.

საგანი მოძრაობის გარეშე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს,
1088b ე. ი. განიცადოს რაოდენობრივი ცვალებადობა. მაგრამ აუცილებელია, რომ მას შესაძლებლობაში ჰქონდეს მატერიაც და არსებაც ხოლო მიმართება არაა სუბსტანცია არც შესაძლებლობაში, არც სინამდვილეში.

შეუსაბამობაა და უფრო მეტად შეუძლებელია, რომ სუბსტანციის ელემენტად და მასზე ადრე არსებულად მივიჩნიოთ არასუბსტანცია, რადგან ყველა კატეგორია სუბსტანციის შემდეგაა. ამას გარდა, ელემენტი არ ითქმის იმაზე, რის ელემენტიც ის არის, ხოლო მეტი და ნაკლები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად ითქმის რიცხვზე, გრძელი და მოკლე — ხაზზე, ფართო და ვიწრო—სიბრტყეზე. მაგრამ თუ არსებობს რაიმე სიდიდე, რომლისთვისაც, მაგალითად, ორიანი ყოველთვის „ცოტაა“ (მაგრამ თუ ორიანი მისთვის „ბევრია“, მაშინ „ცოტა“ ერთიანი უნდა ყოფილიყო), მას უნდა ჰქონოდა „მეტიც“, მაგალითად, ათიანი და თუ მისთვის არც ათიანია „მეტი“, ასეთი უნდა ყოფილიყო ათასი, მაგრამ ამ შემთხვევაში რიცხვი როგორღა იქნებოდა შემდგარი ბევრისა და მცირესაგან, თუ მასზე ან ორივე ითქმის, ან არც ერთი მათგანი. სინამდვილეში კი რიცხვზე მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ითქმის.

თავი მეორე

საერთოდ, განხილვას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, შეიძლება, თუ არა მარადიული მოვლენები ელემენტებისაგან შედგებოდნენ? ისინი რომ ელემენტებს შეიცავდნენ, მატერიალურნი იქნებოდნენ, რადგან ყოველი რთული შედგენილობის საგანი ელემენტებისაგან შედგება. ამიტომ მარადიულია ის, თუ არა, იმ ელემენტებისაგან უნდა წარმოიშვას, რომელნიც მის შემადგენლობაში შედიან ყოველი წარმოშობადი კი შესაძლებლობიდან წარმოიშვება, რადგან შეუძლებელიდან არაფერი არ წარმოიშვება. შესაძლებელი კი შეიძლება განხორციელდეს და შეიძლება არა. რიცხვი ან ნებისმიერი მატერიალური საგანი, რამდენადაც მარადიული არ უნდა იყოს ის, შეიძლება არ არსებობდეს ისევე, როგორც ის, რაც არსებობს ერთი დღის ან ნებისმიერი რაოდენობის წლების განმავლობაში. მაშინ ასეთივე იქნებოდა ის, რასაც არა აქვს საზღვარი დროში. მაგრამ არც ეს იქნება მარადიული, თუ მარადიული არაა ის, რაც შეიძლება არ არსებობდეს, როგორც უკვე ვთქვით ამის შესახებ სხვაგან თუ რაც ახლა ვთქვით, საერთოდ, ჭეშმარიტია, რომ რეალურად არ არსებობს არავითარი მარადიული სუბსტანცია, და ელემენტები კი სუბსტანციის მატერია არიან, მაშინ მარადიული სუბსტანცია ელემენტებისაგან არ იქნება შემდგარი.

ზოგი მოაზროვნე განუსაზღვრელ ორიანსა და ერთს ელემენტად თვლის, ხოლო არატოლს კი, მისგან გამომდინარე შეუსაბამობათა გამო, გონივრულად უარყოფს. ამ უკანასკნელს ისინი თავიდან იცილებენ იმ სიძნელეების გამო, რაც უთანასწოროს და მიმართების ელემენტად ქცევას აუცილებლად მოსდევს შედეგად. ამ შეხედულებისაგან დამოუკიდებლად იმავე შედეგებამდე მიდიან აუცილებლად, როგორც ისინი, რომლებიც ელემენტებიდან იღებენ იდეალურ რიცხვებს, ისე ისინი, რომლებიც იღებენ მათემატიკურ რიცხვებს. მრავალმა მიზეზმა და უპირველესად ყოვლისა კი საკითხის ძველ- 1089a
ბურმა დაყენებამ გამოიწვია ამ ელემენტებისაკენ დაბრუნება მათ ეგონათ, რომ ყოველი არსებული ერთად და არსად იქცეოდა, თუ არ გადაჭრიდნენ და არ დასძლევდნენ პარმენიდეს დებულებას იმის შესახებ, რომ „ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიზიარებს თვალსაზ-

რის იმის შესახებ, რომ არარსებული არსებობს“. ამიტომ მათ აუცილებლად მიაჩნდათ არსებულის არსებობის მტკიცება. ამ შემთხვევაში არსებულისაგან და სხვა რაიმესაგან უნდა წარმოშობილიყო არსებული, თუ ის სიმრავლეა. მაგრამ ჯერ ერთი, თუ არსებული მრავალგვარია, ის ან სუბსტანციას ნიშნავს, ან თვისებას, ან რაოდენობას და სხვა კატეგორიას თუ არარსებული არ არსებობს, მაშინ რომელი იქნებოდა სუბსტანცია, თვისება, რაოდენობა და სხვა ასეთი. თუ ყოველივე: ერთიც, კონკრეტული საგანიც, თვისებაც, რაოდენობაც და ყველაფერი სხვაც, რაიმე ერთს ნიშნავს. მაგრამ უაზრობაა და კიდევ მეტი, შეუძლებელიც, რომ რაიმე ერთი ბუნება ერთ შემთხვევაში იყოს კონკრეტული საგნის, მეორე შემთხვევაში თვისებისა და შემდეგ, რაოდენობისა ან ადგილმდებარეობის მიზეზი.

შემდეგ, რომელი არსებულიდან და არარსებულიდან შედგება საგანი? არარსებულს, ისევე როგორც არსებულს, მრავალი მნიშვნელობა აქვს. და ყოფნა არაადამიანად ნიშნავს ამ გარკვეულ საგნად არყოფნას. სწორედ არყოფნა ნიშნავს ასეთი თვისებისა არქონებას, ხოლო სამი წყრთის სიგრძის არქონება ნიშნავს ასეთად არყოფნას. რომელი არსებულისა და არარსებულისაგან წარმოიშვება არსებულ საგანთა სიმრავლე? თუ სიცრუეს და მის ბუნებას არარსებული უწოდეს, რომლისაგან და არსებულისაგან წარმოიშვება საგანთა სიმრავლე, მაშინ უნდა ითქვას, რომ საჭიროა რაღაც სიცრუის დაშვებაც, როგორც გეომეტრები ერთი ტერფის სიგრძედ თვლიან იმას, რაც ასეთი არაა. თუმცა ეს შეუძლებელია, რომ ასე იყოს და არც გეომეტრები უშვებენ სადმე ასეთ სიცრუეს, რადგან, ის არაა სილოგიზმის წანამძღვარი, არც ასეთი არარსებულიდან წარმოიშვება და მოისპობა რაიმე. ამგვარად, არარსებულზე იმდენივე აზრით შეიძლება ვიმსჯელოთ, რამდენიც კატეგორიაა. ამას გარდა, ცრუ ეწოდება არარსებულს და შესაძლებელს, საიდანაც წარმოშობა წარმოებს. მაგალითად, არაადამიანიდან, რომელიც შესაძლებლობაშია ადამიანი, წარმოიშვება ადამიანი და არათეთრიდან, მაგრამ შესაძლებლობაში არსებული თეთრიდან — თეთრი, ასევეა როგორც ერთის, ისე სიმრავლის წარმოშობის შემთხვევაში.

როგორც ჩანს, კვლევა ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ არსებობს სიმრავლე, როგორც სუბსტანცია, რადგან რიცხვები, სიგრძეები და სხეულები წარმოშობილი არიან. უაზრობაა ვიკვლიოთ, თუ სიმრავლე როგორ არსებობს და არ ვიკვლიოთ, თუ რო-
1089B გორაა ის ასეთი, ან ამდენი. რადგან არც განუსაზღვრელი ორიანი, არც დიდი და მცირე არის იმის მიზეზი, რომ არსებული არის ორი,

[illegible] პევრი საგანი თეთრი ფერის, რაღაც ვემოს. ან ფორმის მქონე. [illegible] ისინიც რიცხვები და ერთიანები იქნებოდნენ მაგრამ თუ ამათაც დავაკვირდებით, დავინახავთ იმ მიზეზებს, რომელიც იმათშიც მოქმედებს, რაც ან იგივეა, ან ანალოგიური. აქ იგივე გადახვევა მიზეზი, როგორც იმათთვის, რომლებიც იკვლევენ არსებულს, [illegible] წარმოშობილი არსებული, მიმართ [illegible] ველთ, რადგან ერთი ბუნება აქვს არსებულს, სუბსტანციას და მის თვისებებს.

[illegible] თუ მიმართება როგორ წარმოადგენს მრავალს და არა ერთს. ამჟამად კი ვარკვევთ იმას, თუ [illegible] დამოუკიდებლად მრავალი [illegible] დეალად მოავალი [illegible] თქმებს დიდი და პატარა, მრავალი და მცირე, რისგან [illegible] შედგებიან, ფართეს და ვიწროს — სიბრტყეებისათვის, გრძელსა და მოკლეს — სიგრძეებისათვის, [illegible] საგანთა სიმრავლისათვის ამას გარდა, ასახელებენ მიმართებათა მრავალ სახეს. რა [illegible] ამ შემთხვევაში სიმრავლის მიზეზი?

[illegible] ცალკეული [illegible] შესაძლებლობაში [illegible] ეხვენიბინა, თუ რაა შესაძლებლობაში საგანი და არსება, [illegible] როგორც დამოუკიდებელი [illegible] როგორც ვინმეს რომ ეთქვა თვისებაზე, რომელიც არც შესაძლებ[illegible] ბული და არც ერთი [illegible] და არსებული [illegible] ყოფა, რომ [illegible] ერთი არსებულთაგანი და კიდევ მეტი როგორც ნათქვამი იყო, იმის კვლევისას, თუ როგორაა არსებული სიმრავლე, ვეძებთ მას არა ამ კატეგორიაში, რომელიც არსების, ან [illegible] სიმრავლეს ეხება [illegible] რომელიც არსებული საგნების სიმრავლეს ეხება. აქედან პირველი სუბსტანციებია. მეორე [illegible] კატეგორიებშიც იმის კვლევას [illegible] მრავალი [illegible] წარმოიშვება და [illegible] ბათა სიმრავლე მიუხედავად [illegible] უნდა [illegible] თუმცა შეუძლებელია, რომ [illegible] დამოუკიდებელი იყოს. მაგრამ კონკრეტული საგნების [illegible] საკითხავია, თუ როგორ არიან ისინი სიმრავლე? [illegible]

მათგანი არაა ესა და ეს საგანი და ასეთი ბუნება? აქ იგივე ნელია, როგორც იმის კვლევისას, თუ როგორ არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი სუბსტანცია სინამდვილეში? თუ საგანი და რაოდენობა ერთი და იგივე არაა, არ ვკითხულობთ, თუ როგორ და რატომ არის არსებული მრავალი, არამედ თუ რატომ არის სიმრავლე მრავალი, რადგან ყველა რიცხვი და ერთიანიც რაღაც რაოდენობას გამოხატავს, თუ ის არაა საზომი და რაოდენობის მიხედვით დაუნაწევრებელი. თუ სხვადასხვაა რაოდენობა და საგანი, ვერ ვიტყვით,
1090a თუ რისგან არის წარმოშობილი რაიმე საგანი და სიმრავლე. თუ ერთი და იგივეა, მაშინ აქ მრავალი წინააღმდეგობა შეგვხვდება.

რიცხვების შესწავლის დროს იბადება ეჭვი იმის შესახებ, თუ საიდან მივიღეთ რწმენა იმისა, რომ ისინი არსებობენ? იდეების მომხრენი რიცხვებს საგანთა მიზეზად აცხადებენ. თუ თვითეული რიცხვი რაღაც იდეაა, მაშინ იდეა როგორაა სხვების არსებობის მიზეზი? ის ხომ მათი სუბსტრატია. ვინც ამ გზას მისდევს, ხედავს რა სიძნელეებს, რაც იდეების დაშვებას ახლავს თან, ამის გამო არ უშვებს იდეალურ რიცხვებს, არამედ მხოლოდ მათემატიკურს, მაგრამ, როგორ დავუჯეროთ მათ, რომ ასეთი რიცხვები არსებობენ და რა სარგებლობა მოაქვთ მათ მოვლენებისათვის. ვინც ამათ არსებობას ამტკიცებს, არაფერს არ ამბობს, იმის გარდა, რომ ისინი რაღაც დამოუკიდებელი არსებები არიან, მაგრამ არ ჩანს, რომ ისინი მიზეზები იყვნენ. რიცხვების შესახებ თქმული ყველა დებულება, როგორც უკვე ვთქვით, ძალაში რჩება შეგრძნებადი მოვლენებისათვისაც.

თავი მესამე

ისინი, რომლებიც იდეებს რიცხვებად თვლიან, თვითეულ მათგანს აბსტრაქციის გზით აყენებენ სიმრავლის გვერდით და ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რაა ის. მაგრამ რადგან ეს არც აუცილებელია და არც შესაძლებელი, ამიტომ არც ის უნდა ვთქვათ, რომ რიცხვები არსებობენ. პითაგორელები კი ხედავდნენ რა, რომ რიცხვთა მრავალი თვისება ახასიათებთ გრძნობად სხეულებს, საგნებს რიცხვებად აქცევდნენ, მაგრამ რიცხვებს არ თვლიდნენ საგნებისაგან დამოუკიდებლად, არამედ საგნებს რიცხვებისაგან წარმოშობილად. რატომ? — იმიტომ, რომ რიცხვთა თვისებები ახასიათებს, როგორც მუსიკალურ ჰარმონიას, ისე ციურ მოვლენებსა და მრავალ სხვას. ისინი კი, რომლებიც მხოლოდ მათემატიკურ რიცხვებს უშვებენ, ამ ჰიპოთეზიდან არავითარი დასკვნა არ გამოჰყავთ, არამედ ამბობენ, რომ მათი შემეცნება შეუძლებელია.

ჩვენ კი ეს შესაძლებლად მიგვაჩნია, როგორც ადრევე ვთქვით. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ მათემატიკური რიცხვები დამოუკიდებელნი არ არიან, რადგან დამოუკიდებელნი რომ ყოფილიყვნენ, მათი თვისებები სხეულებს აღარ ექნებოდათ.

პითაგორელებს ასეთი დანაშაული არ მიუძღვით. მაგრამ რადგან ისინი რიცხვებისაგან ფიზიკურ სხეულებსა ჰქმნიან, და იმისაგან, რასაც არა აქვს სიმძიმე, ან სიმსუბუქე, სიმძიმისა და სიმსუბუქის მქონეს, ამ შემთხვევაში ისინი სხვა ცასა და სხეულებზე ლაპარაკობენ და არა შეგრძნებადზე. ხოლო ისინი, რომლებიც რიცხვებს დამოუკიდებლად თვლიან იმის გამო, რომ აქსიომებს არა აქვთ მნიშვნელობა შეგრძნებადი საგნებისათვის, ჭეშმარიტებას ამბობენ, ჩვენ სულს სიამოვნებს კიდეც ის, რომ რიცხვები დამოუკიდებლად არსებობდნენ. ასევე მათემატიკური სიდიდეების მიმართაც ცხადია, რომ მოწინააღმდეგენი საწინააღმდეგო თვალსაზრისზე 1090b
დგანან. ასეთი თვალსაზრისის მქონეთ ახლახან წამოჭრილი დაბრკოლებაც იმის შესახებ, თუ რატომ ახასიათებთ მათი თვისებები შეგრძნებად საგნებს, როდესაც ისინი შეგრძნებად საგნებში არასოდეს არ არსებობენ, ადვილად უნდა გადაჭრან.

არიან ისეთი მოაზროვნენიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ წერტილი არის საზღვარი და კიდე ხაზისა, ხაზი — სიბრტყისა, სიბრტყე — სხეულისა და რომ ეს ბუნება მათ აუცილებლად ახასიათებთ. საჭიროა ამ თვალსაზრისის განხილვაც. ხომ არაა ისიც ძალიან მერყევი? რადგან სუბსტანციები კი არ არიან კიდეში, არამედ, უპირველესად ყოვლისა, საზღვრები. რახან სიარულს და საერთოდ, მოძრაობას რაიმე საზღვარი აქვს, მაშინ ისიც რაღაც საგანი და სუბსტანცია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს უაზრობაა, რადგან ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ყველა ისინი რაიმე გარკვეული შეგრძნებადი საგნები იქნებოდნენ. მსჯელობა კი სწორედ იმას ეხებოდა, თუ რატომ არიან ისინი დამოუკიდებელნი.

ამას გარდა, გამოსაკვლევია, რომ ხომ არაა ძალიან მერყევი თვალსაზრისი, როგორც ყველა რიცხვების, ისე მათემატიკური რიცხვების შესახებ, რაც წინამორბედ მსჯელობასთან არავითარ კავშირში არაა. რადგან რომ არ ყოფილიყო რიცხვები, სიდიდეები მაინც იარსებებდნენ, იმათთვის, რომლებიც მხოლოდ მათემატიკურ სიდიდეებს უშვებდნენ. და ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, სული და შეგრძნებადი სხეულები მაინც იარსებებდნენ; მაგრამ არ ჩანს, რომ ბუნება იყოს მოვლენათა შემთხვევითი გროვა, როგორც რაღაც უვარგისი ტრაგედია. ხოლო ისინი, რომლებიც იდეებს უშვებენ, მხედველობიდან რჩებათ ის, თუ რომელი იდეები არსებობენ, როგორ არსებობენ, ან როგორ უკავშირდებიან ისინი სუბსტანცი-

უბს? თუმცა სიდიდეებს ისინი აწარმოებენ მატერიიდან და რიცხ
ვებიდან, ორიანიდან — სიგრძეს, სამიანიდან — სიბრტყეს, ოთხიანი
დან — სხეულს და ასე შემდეგ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს
მთავარია გაირკვეს, თუ როგორ არსებობენ ისინი, ან რას შველი
აგნებს? სინამდვილეში ესენი ისევე, როგორც მათემატიკურ
რიცხვები, არანაირად არ შველიან სუბსტანციებს. მათ შესახებ
არც რაიმე თვალსაზრისი შეიძლება გვქონდეს, თუ ვინმე არ აამოძ
რავებდა მათემატიკურ მოვლენებს და თავისებურ შეხედულე
არ გამოიმუშავებდა. მით უმეტეს, რომ ძნელი არაა ნებისმიერ
ჰიპოთეზის გადიდება და განვითარება. ისინი კი, რომლებიც მათე
მატიკური რიცხვების იდეებთან გაიგივებისაკენ ისწრაფვიან
სცდებიან პირველნი რიცხვებს აორმაგებენ, მეორენი კი რიცხვებს
და იდეებს აიგივებენ. მაგრამ არ ამბობენ, და ვერც იტყვიან, თუ
როგორ არსებობს, ან რისგან წარმოსდგება მათემატიკური რიცხვი
თუმცა ისინი მას ათავსებენ იდეალურსა და გრძნობად მოვლენებს
შორის თუ იდეები, მათი აზრით, არის წარმოშობილი დიდისა და
1081a მცირესაგან, მაშინ სიდიდე სხვა დიდისა და მცირესაგან იქნება
მაგრამ თუ სხვა ვინმე ჰკითხავს მათ, ისინი პასუხობენ, რომ ელე
მენტები ბევრია. და თუ თვითეულ მოვლენას ერთი საწყისი აქვს
მაშინ ყველა ამათ საერთო ექნებათ ერთი. მაშინ საკვლევია, თ
სიმრავლე როგორ არის ერთი. ამავე დროს, მათი აზრით, შეუძლე-
ბელია, რომ რიცხვი წარმოშობილი იყოს სხვანაირად, თუ
ერთისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან. მაგრამ ყოველივე ეს
უაზრობაა და ეწინააღმდეგება, როგორც თავის თავს, ისე ლოგიკას
ყველაფერი ეს ჰგავს სიმონიდეს გრძელ სიტყვას: გრძელი სიტყვ
ისეთივეა, როგორც სიტყვა მონებისა, რომლებიც არაფერს გონივ
რულს არ ამბობენ. როგორც ჩანს, ის ელემენტები, როგორიცაა
დიდი და მცირე, ისე ყვირიან, თითქოს მათ ძალად მიათრევდნენ,
რადგან შეუძლებელია ვინმეს რიცხვები ეწარმოებინა სხვანაირად
თუ არა ერთის გაორმაგების გზით.

უაზრობაა აგრეთვე მარადიულობის დაქვემდებარება წარმო
შობის პროცესისადმი. განსაკუთრებით კი ეს შეუძლებელია ერთი-
სათვის. არაფერი არაა საყოყმანო იმაში, უშვებენ თუ არა პით
გორელები წარმოშობას. ცხადია, რომ ისინი ამტკიცებენ, რომ
ერთი არის შედგენილი ან სიბრტყეებისაგან, ან ზედაპირისაგან, ან
თესლისაგან, ან იმისაგან, რის თქმაც მათ უჭირდათ და რაც განუ-
საზღვრელს უახლოვდება, თუმცა შემოფარგლულია საზღვრებით
მაგრამ როდესაც მათ სურთ სამყაროს ბუნებრივ წარმოშობაზე ლა-
პარაკი, მართებული იქნებოდა, შეგვესწავლა მათი შეხედულებანი,

ამჟამად კი მათთვის თავი დაგვენებებია, რადგან საწყისებს უძრავ
მოვლენებში ვეძებთ და ასეთი რიცხვების საწყისების კვლევაც და-
გვჭირდება.

თავი მეოთხე

არავინ არ ლაპარაკობს კენტი რიცხვების წარმოშობაზე. ლაპა-
რაკობენ ლუწის წარმოშობაზე. ისინი პირველ ლუწს აწარმოებენ
არატოლიდან, მაგრამ გათანასწორებული დიდისა და მცირისაგან,
რომელნიც გათანაბრებამდე უტოლონი იყვნენ. ისინი რომ ყოველ-
თვის ტოლნი ყოფილიყვნენ, წინასწარ არათანასწორნი ვერ იქნებოდ-
ნენ, რადგან მარადიულს წინ არაფერი არ უსწრებს. ამრიგად,
ცხადია, რომ არ შეიძლება იმის განჭვრეტა, თუ რატომ უშვებენ
ისინი რიცხვების წარმოშობას.

სიძნელე შეიძლება შეხვდეს იმასაც, ვინც გადაჭრა კითხვა
იმის შესახებ, თუ როგორ არსებობენ სიკეთისა და მშვენიერების
საწყისები და ელემენტები. ეს კითხვა ეხება იმას, რომ დამოუკი-
დებლად არსებული სიკეთე და უკეთესი ისეთია, რაც ჩვენ გვინ-
დოდა გვეთქვა, თუ ისინი გვიან წარმოიშვნენ თეოლოგების გარდა,
როგორც ჩანს, ამავე შეხედულების მატარებელი არიან ზოგიერთი
თანამედროვე მოაზროვნენიც, რომლებიც ამას კი არ ამბობენ, არა-
მედ არსებულის ბუნების კვლევისას წინ წასულნი, ავლენენ სიკეთისა
და მშვენიერების ბუნებას. ამას ისინი სჩადიან საფრთხილის გამო
ჭეშმარიტი სიძნელეების წინაშე, რაც მათ მსჯელობას ისევე
მოსდევს შედეგად, როგორც იმათ მსჯელობას, რომლებიც ერთ
საწყისს უშვებენ. სიძნელე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი
საწყისად სიკეთეს სთვლიან, არამედ იმაში, რომ ერთადერთ
საწყისად მიაჩნიათ რა ერთი, რიცხვს მისგან აწარმოებენ. ასევე 1091b
იქცევიან ძველი პოეტები, რომლებიც მეფობასა და ბატონობას
აკუთვნებენ არა პირველთ, როგორიცაა ღამე, ცა, ქაოსი და ოკეანე,
არამედ ზევსს. ამათგან ზოგნი საწყისებს ცვალებადობის გამო
შემთხვევითად სთვლიან; ისინი არეულად მსჯელობენ და არა მითი-
ური ფორმით, როგორც მაგალითად, ფერეკიდე და ზოგიერთი
სხვა, რომლებიც პირველად წარმოშობილად საუკეთესოს სთვლიან
მაგები და მოგვიანო ბრძენნი, მაგალითად, ემპედოკლე და ანაქსა-
გორა, პირველი მეგობრობას აცხადებს ელემენტად, მეორე კი
გონებას, ხოლო ისინი, რომლებიც სუბსტანციას უძრავად სთვლი-
ან, ამბობენ, რომ თავისთავადი ერთი არის თავისთავადი სიკეთე და
სუბსტანციალობას უფრო მეტად მას აკუთვნებენ.

აქვე უნდა დავადგინოთ, თუ რა უნდა ვთქვათ. საკვირველია რომ პირველსა და მარადიულს, როგორც კეთილს, დამოუკიდებლობა და ბედნიერება არ ახასიათებს, რადგან იგი რომელიმე სხვა მიზეზით არის უკვდავი, ბედნიერი და დამოუკიდებელი. ასე რომ, სწორი უნდა იყოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს საწყისი ჭეშმარიტად ასეთია და ამავე დროს ერთს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის საწყისიც და რიცხვიც ყოფილიყო. მაგრამ აქედან მრავალი შეუძლებლობა გამომდინარეობს, რომელთა თავიდან აცილების მიზნით ზოგმა პირველ საწყისად და ელემენტად ერთი ჩათვალა და ის მათემატიკურ რიცხვად მიიჩნია. მაგრამ მაშინ ყველა ერთიანი იქცეოდა რაღაც სიკეთედ და შეიქმნებოდა სიკეთეთა სიმრავლე. შემდეგ, თუ იდეები რიცხვებია, ყველა იდეა სიკეთე იქნებოდა. იმათ კი, რომლებსაც მისი არსის დადგენა სურთ, და ის მხოლოდ სიკეთედ მიაჩნიათ, იდეებს ვეღარ ჩათვლიან სუბსტანციებად. მაგრამ თუ არსებობენ სუბსტანციების იდეებიც, მაშინ ყველა მცენარე და ცხოველი სიკეთე და სიკეთის მოზიარე იქნებოდა. აქედან გამომდინარეობს, როგორც ეს, ისე სხვა შეუსაბამობა. მაგალითად, დაპირისპირება, იქნება ეს სიმრავლე, თუ უტოლობა (დიდი და მცირე), რაც თავისთავად ბოროტებაა, ელემენტად იქცევა. ამიტომ ერთმა ფილოსოფოსმა თავი აარიდა სიკეთის, როგორც აუცილებლად არსებულის, ერთად გამოცხადებას. მისი აზრით, თუ წარმოშობა წარმოებს დაპირისპირებიდან, მაშინ ბოროტება სიმრავლის ბუნება იქნება. ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ ბოროტების ბუნება აქვს არატოლს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ყოველი არსებული ეზიარება ბოროტებას, გარდა დამოუკიდებელი ერთისა. რიცხვები კი უფრო მეტად ეზიარებიან აღურეველ ერთს, ვიდრე სიდიდეს. ბოროტება კი არის სიკეთის ადგილსამყოფელი და ისწრაფვის ეზიაროს მოკვდავს, რადგან წინააღმდეგობის ერთი მხარე
1092a მეორის დამღუპველია. როგორც მატერიაზე ვამბობთ, რომ ის არის ყოველივეს შესაძლებლობა და ცეცხლი რეალობაში არის ცეცხლის შესაძლებლობა, ასევე ბოროტებაც იქნება სიკეთის შესაძლებლობა. ყოველივე ეს გამომდინარეობს, როგორც იქიდან, რომ ყველაფრის საწყისად აქცევენ ელემენტს, ისე იქიდან, რომ საწყისად სთვლიან დაპირისპირებას, ერთს, რიცხვებს და ამ უკანასკნელს სთვლიან პირველად სუბსტანციად, დამოუკიდებლად და იდეად.

თავი მეხუთე

თუ ამ მეთოდით შეუძლებელია სიკეთის, როგორც ჩათვლა, ისე არჩათვლა საწყისად, მაშინ ცხადია, რომ სწორად არაა შერჩეული არც საწყისები და არც პირველი არსებები. არც ის არის სწორი, ვინც ყოველივეს საწყისებს მცენარეებისა და ცხოველების საწყისებს ამსგავსებს, რადგან განუსაზღვრელი და დაუსრულებელი საწყისიდან მუდამ დასრულებული წარმოიშვება. ასევეა პირველად მოვლენებში. ასე რომ, არც რაიმე ერთი უნდა იყოს თავისთავადი, რადგან უსრულყოფილია ის საწყისები, საიდანაც ისინი წარმოშობილი. მაგალითად, ადამიანი შობს ადამიანს და თესლი არაა პირველი. უაზრობაა აგრეთვე ადგილის მათემატიკურ სხეულად ქცევა, რადგან ადგილი ყველას სპეციფიკური აქვს. მაშასადამე, ადგილი დამოუკიდებელია, მათემატიკური მოვლენები კი — არა. ისინი კი იმას ამბობენ, რომ ადგილი სადღაც არსებობს, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, თუ რაა ადგილი.

ისინი კი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსებული მოვლენები ელემენტებისაგან შედგებიან და არსებულთა შორის პირველ რიგში რიცხვებს ასახელებენ, უნდა განიხილონ, თუ როგორ ხდება ერთი მეორისაგან წარმოშობა და შემდეგ ის, თუ როგორ ხდება რიცხვის წარმოშობა საწყისებისაგან. შესაძლებელია, ეს მოხდეს შერევით. მაგრამ ყოველივე ნარევი არაა, რადგან წარმოშობილი სულ სხვაა და ერთი არაა დამოუკიდებელი და სხვა ბუნება. მათ კი სურთ, რომ ეს ასე იყოს. იქნება ყოველივე სინთეზია, როგორც მარცვალი, მაგრამ მათ ადგილმდებარეობა აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. გონება ერთსა და სიმრავლეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოიაზრებს. ესაა სწორედ რიცხვი, ერთი და მრავალი, ანუ ერთი და არათანასწორი. და არსებული ხან რაღაცისგანაა შემდგარი და ხან კი არა. როგორია რიცხვი? ის არ უნდა იყოს შემდგარი ნაწილებისგან, არამედ როგორც თესლისაგან დაბადებული. მაგრამ შეუძლებელია, რომ განუყოფელისაგან რაიმე წარმოიშვას. ან იქნება ის წარმოშობილია იმ მოპირდაპირე მხარიდან, რომელიც აღარ შემოგვრჩა? მაგრამ რაც ასეთია, ის შედგება რაღაც იმისაგან, რაც რჩება კიდეც. რადგანაც ერთი მოაზროვნე ერთს უპირისპირებს სიმრავლეს, მეორე კი არათანასწორს და ერთს იყენებს როგორც ტოლს, მაშინ რიცხვი წარმოშობილი ყოფილა წინააღმდეგობიდან. ამრიგად, უნდა არსებობდეს რაღაც, რომლისაგან და მისი მოწინააღმდეგე მხარისაგან ხდება წარმოშობა. გარდა ამისა, მათ არაფერი არა აქვთ ნათქვამი იმაზე, თუ რა არის ის, რაც წარმოიშვება წინააღმდეგობისაგან ან იშლება წინააღმდეგობად მთლიანად ისე, რომ რიცხვს არ ეზიარება. სინამდვილეში კი წინააღმდეგობა არსებობს თუ არა რიცხვში, სპობს მას, როგორც შური სპობს ნარევს.

თუმცა ეს არ უნდა მომხდარიყო, რადგან მტრობა არ უპირისპირდება ნარევს.

მათ სრულებით არ განსაზღვრეს არც ის, თუ როგორ არიან რიცხვები, როგორც საზღვრები, სუბსტანციები და არსებათა მიზეზები, ან წერტილები სიდიდეების საწყისები. მაგალითად, როგორც ევრიტამ განალაგა რიცხვები, მიაკუთვნა რა ერთი ადამიანს, მეორე ცხენს, სხვებმა კი რიცხვები დაიყვანეს სამკუთხედ და ოთხკუთხედ ფორმაზე. ევრიტამ კი კენჭები დაამსგავსა მცენარეთა ფორმებს. თუ მსჯელობა არის რიცხვთა სიმფონია, ასევე ადამიანი და ყოველი სხვა დანარჩენი, მაშინ თვისებები, როგორიცაა თეთრი, ტკბილი და თბილი, როგორღა იქნებიან რიცხვები?

ცხადია, რომ რიცხვები არ არიან არც არსებები და არც ფორმის მიზეზები, რადგან არსება არის ნაწილთა მიმართება, რიცხვი კი მატერიაა, როგორც სხეულის ან ჩონჩხის რიცხვი არის მისი არსი: სამი — ცეცხლის, ორი კი — მიწის. რიცხვი, როგორიც არ უნდა იყოს ის, არის რაიმე რიცხვი, ან ცეცხლის, ან მიწის, ან ერთის, მაგრამ რაიმე სუბსტანცია არის მიმართება რამენაირი შერევის გამო. ის არა რაიმე რიცხვი, არამედ სხეულებრივი, ან სხვა რაიმე ნარევის რიცხობრივი მიმართება. არც ზოგადი რიცხვისა და არც ერთიანებისაგან შემდგარი რიცხვის მიზეზად ქცევაა საჭირო, რადგან რიცხვი არაა არც მატერია, არც აზრი, არც საგნების სახე და არც მათი მიზანი.

თავი მეექვსე

სიძნელე მდგომარეობს აგრეთვე იმაში, თუ როგორ წარმოიშვება კეთილდღეობა იმ ნარევისაგან, რომელიც რიცხვებშია გამოხატული, იქნება ის ადვილად თვლადი თუ კენტი რიცხვი. სრულებითაც არაა უფრო მეტად სასარგებლო ის თაფლხანარი, რომელსაც შევურევთ პროპორციით სამს სამზე. უფრო მეტად სასარგებლო იქნება, თუ მას გათხელების დროს არავითარ პროპორციას არ მოვუნახავთ, ვიდრე რომ ის იყოს რიცხვში გამოხატული და იყოს შეურეველი. გარდა ამისა, ის პროპორცია, რაც ნარევშია, არის რიცხვთა მიმატების შედეგი და არაა თვით რიცხვებში, მაგალითად, ორის სამთან მიმატების და არა ორის სამზე გამრავლების. ერთი გვარი. იგივე გვარი უნდა ჰქონდეთ გამრავლებებსაც. ასე რომ, 1-ით უნდა გაიზომოს 1×2×3, ხოლო 4-ით — 4×5×6. ასევე ყოველი
1093a [illegible] მაგრამ ცეცხლი არაა 2×5×3×6 და წყალი არაა [illegible] სამი.

თუ აუცილებელია, რომ ყოველივე რიცხვს უკავშირდებოდეს,

აქედან აუცილებლად მივიღებთ მრავალ ანალოგიურ შედეგს და ერთი და იგივე რიცხვი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ამ, ისე სხვა საგნებში. ამრიგად, გარკვეულია, რომ რიცხვია მიზეზი და ამიტომ არსებობენ საგნები, თუ არა? მაგალითად, რაღაც რიცხვია მზის ტრიალი, ასევე მთვარის, ან თვითეული ცხოველის არსებობა და ზრდა? რა უშლის ხელს იმას, რომ რიცხვი ზოგან იყოს სამკუთხედი, ზოგან ოთხკუთხედი, ზოგან კუბი და ორმაგი? ამას არაფერი არ უშლის ხელს და ამიტომ აუცილებელია ამ სფეროში ვიტრიალოთ. თუ ყოველივე რიცხვს უკავშირდება, მაშინ შესაძლებელია, რომ განსხვავებაც რიცხვებისაგან იყოს და თუ საგნებს შემთხვევით ერთი და იგივე რიცხვი უკავშირდებათ, ისინი ერთი და იგივე უნდა იყვნენ, როგორც მზე და მთვარე. მაგრამ რატომ უნდა იყვნენ იგივე? მაგალითად, ხმოვან ბგერათა რიცხვი შვიდია, შვიდი სიმი შეადგენს ჰარმონიას, შვიდია თანავარსკვლავედ პლეადას[1] ვარსკვლავთა რიცხვი, შვიდი წლისანი იცვლიან კბილებს (თუმცა მხოლოდ ზოგნი, ზოგნი კი არა), თებეს[2] წინააღმდეგ იბრძოდა შვიდი ბელადი. იქნებ რიცხვებს აქვთ ასეთი ბუნება და ამიტომ უნდა იყოს შვიდი ბელადთა რიცხვი და თანავარსკვლავედ პლეადას ვარსკვლავთა რიცხვიც? თუ ბელადნი შვიდნი იმიტომ იყვნენ, რომ შვიდი იყო კარი, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო?

ჩვენი აზრით, დიდი დათვის თანავარსკვლავედის ვარსკვლავთა რიცხვი თორმეტია, სხვები ფიქრობენ, რომ მეტიაო და რადგან ξ, და ζ ჰარმონიულად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი და მათი რიცხვი სამია, ამიტომ ჰარმონიის რიცხვიც სამიაო. იმათ სრულებით არ აფიქრებთ ის, რომ ჰარმონია ათასგვარი შეიძლება იყოს (მართლაც, შეიძლება ξ-ს და ψ-ს ერთი ნიშანი ჰქონდეთ). თუ ზემომოტანილი ბგერები ორმაგნი არიან, ამის მიზეზი ისაა, რომ ადგილია სამი, სადაც თვითეული ამ ბგერათაგანი შეიძლება სიგმას დაუკავშირდეს. მხოლოდ ამის გამო არიან ისინი სამნი და არა იმიტომ, რომ სიმფონიის რიცხვი სამია. სიმფონიების რიცხვი მრავალგვარია, მაგრამ აქ ეს შეუძლებელია. ეს მოაზროვნენი ისევე, როგორც ჰომეროსის ძველი მიმდევრები, მცირე მსგავსებას კი ხედავენ, მაგრამ ვერ ამჩნევენ დიდს. მაგალითად, სიმების ნაწილი არის 9, ნაწილი კი — 8, ზუსტად ასევე ლექსშიც 17 მარცვალია, მარჯვნივ — 9, მარცხნივ — 8. ასევე ანბანშიც მანძილი α-დან ω-მდე და სალამურში მანძილი ყველაზე დაბალი ნოტიდან ყველაზე მაღლამდე ეტოლება მთელი ცის ჰარმონიისას. ამის არც დანახვა, არც აღმოჩენა და არც შემჩნევა არაა ძნელი, არც მუდმივ და არც წარმავალ მოვლენებში. მაგრამ როგორც რიცხვების ნაქები ბუნება, ისე მათი მოპირდაპირე მხარე

და საერთოდ, მათემატიკური მოვლენები, რომელთაც ზოგიერთი მოაზროვნე მთელი ბუნების მიზეზად აქცევს, გამოუკვლეველი დარჩათ, რადგან როგორც ჩანს, არც ერთი იმ მეთოდით, რომლითაც ისინი საწყისებს განსაზღვრავენ, რიცხვები მიზეზები არ არიან მაგრამ როგორც ისინი ცხადყოფენ, მართლაც, არსებობს სრულყოფილი შედგენილობის თვალსაზრისით. მაგალითად, მშვენიერია კენტი, სწორი ხაზი, კვადრატი, ზოგიერთი რიცხვი კვადრატში, ასევე წლის დრონი და რიცხვები. და ყოველივე სხვასაც აქვს ასეთი თვისება, რაც მათ გამოჰყავთ მათემატიკური დებულებებიდან. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევითობაა, რადგან თუმცა შემთხვევით, მაგრამ მაინც ყოველივე ერთმანეთს ენათესავება და მსგავსებაც ერთი აქვთ. არსებულის ყოველ კატეგორიაში ვხვდებით მსგავსებას, მაგალითად, სიგრძეებში ესაა სწორი ხაზი, სიბრტყეებში სწორი ზედაპირი, რიცხვებში კენტი და ფერებში თეთრი. მაგრამ გვარებში ჰარმონიისა და სხვა ამდაგვარის მიზეზები რიცხვები არ არიან. ისინი, მართალია, სახით ერთნი არიან, მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევეა ერთეულ საგნებშიც, ამიტომაც იდეების დადგენა არაა აუცილებელი.

ასეთია აქედან გამომდინარე შედეგები და კიდევ ბევრ სხვა დაბრკოლებაზე შეიძლება მიგვეთითებია. რომ რიცხვები შეგრძნებადი მოვლენებისაგან დამოუკიდებელი არ არიან, როგორც ზოგიერთი ამბობს, და არც საწყისნი არიან, ამას ადასტურებს ის, რომ მათი წარმოშობის ახსნისას ჩნდება მრავალი დაბრკოლება, რომელთა თავიდან აშორება შეუძლებელია

შენიშვნები

წიგნი პირველი

თავი პირველი

ამ თავში არისტოტელე არკვევს შეგრძნ[illegible], მეხსიერების, გამოცდილების, დახელოვნების და ცოდნის ურთიერთობას. შეგრძნებები ცოდნის წყაროა, შეგრძნებებიდან ზოგ ცხოველს უვითარდება მეხსიერების უნარი, ზოგს კი არა. შეგრძნებების განმეორების შედეგად დამახსოვრება, ამ უკანასკნელთა განმეორების [illegible] შედეგად მო[illegible] გამოცდილება [illegible] დაკავშირებული [illegible] ტულ საგნებთან [illegible] გამოცდილებ[illegible] [illegible] მიღებული დახელოვნება და ცოდნა [illegible] და მიზეზებს. ამიტომაც [illegible] უფრო [illegible] მოვლენ[illegible], ზოგად [illegible] მეტ სიბრძნეს შეიცავს. ცოდნისა და დახელოვნებათა ნაწილი ემსახურება ადამიანთა აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ნაწილი კი თეორიული მიზანდასახულება აქვს. ამიტომ ეს უკანასკნელნი იმ ქვეყნებში შეიქმნენ, სადაც ადამიანებს ბევრი თავისუფალი დრო და ყველაფერი აუცილებელი ჰქონდათ საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

შენიშვნა 1. [illegible]ისტოტელეს აზრით, ცოდნა შეგრძნებებიდან მოდის, რაც ბევრს ამბობს არისტოტელეს მატერიალისტურ ტენდენციებზე შემეცნების თეორიაში.

2. დედანში τὸ δὲ τῶν ἀνθρώπων γένος, რაც სიტყვა-სიტყვით [illegible] გვარს ნიშნავს.

3. დედანში τέχνη, რასაც როგორც [illegible] [illegible] [illegible] (искусство, Kunst), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი გაგებით „ხელოვნება" ბევრად უფრო ვიწრო ცნებაა არისტოტელეს გაგებასთან შედარებით. არისტოტელესთან „ხელოვანი" ნიშნავდა ყველა საქმის მცოდნესა და ოსტატს და არა მარტო ხელოვანს. ამიტომ τέχνη-ს უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა მისი „დახელოვნებით" გადმოცემა. ამიტომაც ჩვენ ის „დახელოვნებად" გადმოვეცით იქ, სადაც ტექსტი ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ზოგან კი ის „ხელოვნებად" ან „ცოდნად" ვთარგმნეთ.

4. სიტყვა „მოვლენის" შესატყვისი ბერძნულ დედანში არ არის. არისტოტელე, როგორც ამ სიტყვით წინამორბედ ზედსართავ სახელ[illegible] [illegible] საერთოდ ყველა ზედსართავ სახელებს, უმეტესად ზოგადი მნიშვნელობითა ხმარობს, გულისხმობს რა მათში არა მარტო მატერიალურ, არამედ იდეალურ მოვლენებსაც. ამიტო-

მაც სიტყვა „მოვლენა“ ჩვენს მიერ შეტანილია მხოლოდ ტექსტის წაკითხვის გაადვილების მიზნით.

5. Πῶλος, პოლოსი, სოფისტ გორგიას მოწაფე.

6. მამაკაცის სახელია

7. არისტოტელე აქ გულისხმობს ზოგად ადამიანს, კონკრეტული ადამიანის არსებას, „ადამიანობას“

8. პლატონი ხელოვნების მიზნად აცხადებდა სარგებლობას. არისტოტელე კი, პირიქით, როგორც ვხედავთ, უარყოფდა ხელოვნების პრაქტიკულ დანიშნულებას და მას თვითმიზნად აცხადებდა. და სწორედ ეს მიაჩნდა მას ხელოვნების უპირატესობად ცოდნის სხვა დარგებთან შედარებით.

9. ἐν τοιούτοις τοῖς τόποις სიტყვა-სიტყვით — „იმ ადგილებში“.

10. კუბიცკის შენიშვნის მიხედვით აქ იგულისხმება „ნიკომახეს ეთიკის“ VI წიგნის მე-3—7 თავები.

თავი მეორე

საჭიროა სიბრძნისა და ბრძენის არსის დადგენა. ბრძენი, უპირველესად ყოვლისა, ზოგადის მცოდნეა. ზოგადი ძნელი მისაწვდომია მოვლენებისაგან მისი დაშორებულების გამო. სოფოსია იგი, ვინც იცის მოვლენების მიზეზი და მიზანი, რაც მათი სიკეთეა. ასეთ მეცნიერებას აქვს არა პრაქტიკული, არამედ თეორიული ხასიათი. ასეთი იყო თავიდანვე სიბრძნის მიზანდასახულება, რადგან ადამიანებმა ფილოსოფოსობა დაიწყეს იმ მოვლენების გამო გაკვირვების შედეგად, რომლებიც არ იცოდნენ. ცოდნა მათთვის იყო უცოდინარობის თავიდან აცილების საშუალება და თვით ის იყო მიზანი და არა მისგან გამომდინარე სარგებლობა. ასეთი მეცნიერება კი ყველაზე უფრო ღვთაებრივია და ყველაზე მეტად პატივსაცემი მეცნიერებათა შორის.

შენიშვნა 1 ἐπιστήμη, ჩვეულებრივ ქართულად „ცოდნა“-დ ვთარგმნეთ, რადგან არისტოტელესთან ამ ტერმინით იგულისხმებოდა არა მეცნიერების რომელიმე სფერო, არამედ საერთოდ მოვლენათა ცოდნა. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვის ყველგან „მეცნიერებით“ გადმოცემა არ იქნებოდა სწორი.

2 τῶν ἀποβαινόντων დედანში არაა დაკონკრეტებული, ამით აიხსნება ის, რომ მას კუბიცკი ზოგადად თარგმნის, როგორც „შედეგს“ (последствий), რაც დედნის სიტყვა-სიტყვით გადმოცემაა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ტერმინის დაკონკრეტების შეუძლებლობას არ იძლევა წინამორბედი ტექსტი, სადაც არისტოტელე განასხვავებდა თეორიული მიზანდასახულების მქონე მეცნიერებათ პრაქტიკულთაგან. აქ მას სწორედ პრაქტიკულად განზრახული მეცნიერებანი აქვს მხედველობაში. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ეს სიტყვა ასე თარგმნა: „მისგან გამომდინარე სარგებლობის გამო“, რათა მკითხველისათვის გარკვეული ყოფილიყო, რომ მას მხედველობაში აქვს არა ყოველგვარი შედეგები, რაც ცოდნას მოსდევს, არამედ მხოლოდ პრაქტიკული

3 τὰ μάλιστα καθόλου, რაც ჩვენ გადმოვეცით სიტყვით „უზოგადესი“, კუბიცკისთან გადმოცემულია „უზოგადესი საწყისით“, მაგრამ ტექსტში ამ ადგილას არაა მსჯელობა საწყისებზე, რომ სიტყვა „უზოგადესი“ საჭიროებდეს „საწყისის“ დამატებას.

4. დედანშია ἀοιδοί სიტყვა-სიტყვით „მომღერლები“. ძველ საბერძნეთში პოეტები მომღერლებიც იყვნენ ერთსა და იმავე დროს და თავისი შემოქმედების პოპულარიზაციას სიმღერით აწეოდნენ.

თავი მესამე

მოვლენები ვიცით მაშინ, როდესაც ვიცით მათი მიზეზები. ამიტომ პირველ რიგში მიზეზები უნდა იქნას შესწავლილი. მიზეზი შეიძლება იყოს სუბსტრატი, ან მოძრაობის საწყისი, მიზანი, ანუ სიკეთე, ის, რის გამოც საგანი არსებობს. პირველ ფილოსოფოსებს ყოველივეს საწყისად მიაჩნდათ მატერიის სხვადასხვა სახეები: თალესს - წყალი, ანაქსიმენეს — ჰაერი, ჰერაკლიტეს — ცეცხლი, ემპედოკლეს ოთხი ელემენტი, ანაქსაგორას გონება. მაგრამ მათ გამოუკვლეველი დარჩათ ის, თუ რა წარმოშობს სუბსტრატიდან მოვლენას, რაც მამოძრავებელი საწყისი იყო.

1. τὸν λόγον ἔσχατον სიტყვა-სიტყვით ნიშნავს კიდურ ცნებას, მაგრამ აქ ნახმარია უზოგადესი ცნების მნიშვნელობით, რაც ამავე დროს საგნის არსება და არსების განსაზღვრებაა, არისტოტელეს აზრით.

2. Ὠκεανόν, ოკეანე ცისა და მიწის შვილი, წყლის ღვთაებათა გამგებელი.

3. Τηθύν, ტეთიდა, წყლის ღვთაებათა გამგებელი.

4. Στύγα, სტიქი, მთავარი მდინარე მიწის ქვეშა სამეფოში.

5. Ἵππωνα, ჰიპონი, პერიკლეს თანამედროვე ფილოსოფოსი, რომელსაც არისტოტელე აქ აკრიტიკებს, თავისი მსოფლმხედველობით მატერიალისტი იყო, იბრძოდა ღმერთების რწმენის წინააღმდეგ.

6. კუბიცკის თარგმანის მიხედვით, აქ თითქოს მთელი ბუნების უძრაობა მტკიცდება. ჩვენი აზრით, აქ ნაგულისხმევია „ერთის“ ბუნების უძრაობა.

თავი მეოთხე

პარმენიდე საწყისად თვლიდა სიყვარულს, ჰესიოდე ქაოსს, ემპედოკლე — მეგობრობასა და მტრობას. მაგრამ ანაქსაგორა ხშირად არ იყენებდა მეგობრობას, როგორც საწყისს. ემპედოკლესთან კი მეგობრობა ხშირად აშორებდა და მტრობა აკავშირებდა. პირველად მან შემოიტანა საწყისი დაშორებისა. მიუთითა ოთხ მატერიალურ საწყისზე, თუმცა იყენებდა მათ არა როგორც ოთხს, არამედ როგორც ორს. ლევკიპემ და დემოკრიტემ კი საწყისებად დაასახელეს სავსე და ცარიელი, ხოლო მოძრაობის საკითხი, სხვების მსგავსად, უყურადღებოდ დატოვეს.

1. გოლკე და კუბიცკი ამ ადგილს თარგმნიან ისე, თითქოს ემპედოკლეს კიდევ ორი სხვა საწყისი შემოეტანოს. სინამდვილეში კი აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ემპედოკლემ მტრობა აქცია არა მარტო მოძრაობის, არამედ განსხვავებისა და დაპირისპირების საწყისადაც.

თავი მეხუთე

პირველად პითაგორელებმა მოჰკიდეს ხელი მათემატიკას და წინ წასწიეს ის. მათ რიცხვები აქციეს მთელი სამყაროს ელემენტებად, რადგან ისინი რიცხვებში სამყაროს მსგავს მოვლენებს ხედავდნენ. და თუ სადმე რიცხვთაგან განსხვავებულს ხახავდნენ, ცდილობდნენ ისიც შეეთანხმებინათ თავის სისტემასთან. ალკმეონ კროტონელი კი სამყაროს ელემენტებად დაპირისპირებას თვლიდა, სულ ათი ელემენტის სახით. თუმცა მასთან ერთმანეთთან დაპირისპირებული წყვილები იყვნენ არა განსაზღვრული, არამედ განუსაზღვრელი. ქსენოფანე და შემდეგ კი პარმენიდე სამყაროს საწყისებად ერთს თვლიდნენ. პარმენიდე კი მიიჩნევდა რა ერთს არსებულად, არაარსს უარყოფდა.

1, 2. τῶν μαθημάτων, რაც მრავლობითი რიცხვის გენეტივუსია, ჩვენ გადმოვეცით ტერმინით „მათემატიკური მეცნიერებანი“, წინააღმდეგ გოლკეს

თარგმანისა „მათემატიკა". ჩვენი გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ არისტოტელეს დროს ცნობილი იყო არა მხოლოდ საკუთრივ მათემატიკა, არამედ მათემატიკური ხასიათის მრავალი სხვა დარგი.

3. τὴν ἀντίχθονα, დედამიწის მოპირდაპირე სხეული, რაც მოიგონეს პითაგორელებმა, რათა ციურ სხეულთა რიცხვი ათამდე შეევსრულებიათ.

4, 5. ნაგულისხმევია ელეელები

6. τοῖς φαινομένοις — შეგრძნებებში მოცემული, ანუ ის, რაც თავს იჩენს თუ ელინდება შეგრძნებებს [illegible], აქედან სიტყვა „ფენომენი"

7. როსის კომენტარის მიხედვით აქ ნაგულისხმევია თალესი, ანაქსიმენე, ჰიპონი, დიოგენე, ჰიპასოსი, ჰერაკლიტე და მელისო.

8. ლევკიპე და დემოკრიტე

9. პარმენიდე, ანაქსაგორა.

10. ემპედოკლე.

11. პითაგორელები.

თავი მეექვსე

წინამორბედ ფილოსოფიურ სისტემებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო პლატონის ფილოსოფიურ სისტემას და ბევრიც განსხვავებული. ის იზიარებდა კრატილოსისა და ჰერაკლიტეს მოძღვრებას [illegible] ცვალებადობის შესახებ, სოკრატესაგან ისესხა პლატონმა კვლევა ზოგადისა, რაც მან იდეებად აქცია. პლატონის აზრით, საგნები არსებობენ იდეებთან ზიარების შედეგად, პითაგორელები კი ამბობდნენ, რომ საგნები არსებობენ რიცხვებთან წაბაძვის შედეგადო. ამრიგად, მან მხოლოდ სიტყვა შეცვალა [illegible] მან ისევე, როგორც პითაგორელებმა, ეს სიტყვა აუხსნელად დატოვა. გარდა ამისა, განსხვავებით პითაგორელთაგან, მან რიცხვები დაუშვა იდეებსა და შეგრძნებად საგნებს შორის, მაშინ, როდესაც პითაგორელები რიცხვებს საგნებთან აიგივებდნენ.

1. ამ ადგილას არისტოტელეს ნაგულისხმევი უნდა ჰქონდეს მთელი წინამორბედი ფილოსოფიური სკოლები რომელთაც „მისდევდა" ან „ენათესავებოდა" პლატონი და არა მარტო პითაგორელთა სკოლა, როგორც კუბიცკი ფიქრობს.

2. **οὗτος οὖν τὰ μὲν τοιαῦτα τῶν ὄντων ἰδέας προσηγόρευσε** ამ ფრაზის თარგმნას პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს პლატონის იდეებზე მოძღვრების სწორი ინტერპრეტაციისათვის. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული იმისგან, **τῶν ὄντων**-ს მივაკუთვნებთ **τὰ τοιαῦτα**-ს, თუ ἰδέας. პირველ შემთხვევაში ფრაზა ასე ითარგმნება „პლატონმა არსებულის ასეთ სახეთ იდეა უწოდა" ამ შემთხვევაში იდეები რეალობებად არის გაგებული. ასე ესმის ეს ადგილი კუბიცკის. მეორე შემთხვევაში ფრაზა ასე ითარგმნება: „პლატონმა მათ არსებულის იდეები უწოდა". აქ იდეებს უფრო ცნებადი ელფერი გადაჰკრავთ ასე თარგმნიან ამ ფრაზას გოლკე და როსი, რაც პლატონის იდეებზე მოძღვრების იდეალისტური ინტერპრეტაციის მომასწავებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორია კუბიცკისეული გაგება, რადგან არისტოტელე სინამდვილეში ყოველთვის იდეების რეალურ არსებობას აღიარებდა. მომდევნო ტექსტშიც იდეების ასეთი გაგება გვხვდება.

3. „პირველად რიცხვებში" არისტოტელე გულისხმობს დამოუკიდებელ რიცხვებს, განსხვავებით რიცხვთა შემადგენელი ერთეულებისაგან

4. აქ გოლკე გონებამახვილურად შენიშნავს, რომ პლატონთან იდეაა ერთიანობის საფუძველი, მატერია კი—სიმრავლის. არისტოტელესთან, პირიქით, ერთიანობის მიზეზია მატერია, სიმრავლისა კი — ფორმა. მართლაც, ამ საკითხში ამ ორ მოაზროვნეს ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიცია უკავიათ.

5. **τοῦ τί ἐστιν αἴτια τοῖς ἄλλοις** ჩვენ ვთარგმნეთ ასე: „სხვა მოვლენათა არსებობის მიზეზი", წინააღმდეგ გოლკესეული თარგმანისა. „ყოველივე სხვის ცნებადი მიზეზი", რაც პლატონის იდეის იდეალისტური ინტერპრეტაციაა. როგორც ამ ადგილიდან, ისე სხვა ადგილებიდან, ცხადია, რომ პლატონისათვის იდეა არ იყო საგანთა მხოლოდ ცნებადი მიზეზი, არამედ მიზეზი მათი არსებობისა, რეალური, ონტოლოგიური მიზეზი, რომელსაც ასეთივე რეალური შედეგი მოსდევდა, საგნების სახით.

თავი მეშვიდე

წინამორბედთაგან ზოგი ასახელებდა ერთ, ზოგი მრავალ სხეულებრივ საწყისს, ზოგი უსხეულო საწყისსაც ასახელებდა. სხვებზე მეტად არსებას და სუბსტანციის იდეებზე მოძღვრების მომხრენი შეეხნენ. იდეები მათ გრძნობადი მოვლენების საწყისად მიაჩნდათ, ერთი კი — იდეების საწყისად. მაგრამ მათთან იდეა არ იყო მოძრაობის საწყისი. ამიტომაც მოძრაობის საწყისი მათ ისევე, როგორც მათ წინამორბედთ, აუხსნელი დარჩათ

1. **περὶ ἀρχῆς** გოლკესთან თარგმნილია „საწყის ფორმებად" (Urformen), მაგრამ არისტოტელესთან აქ ლაპარაკია არა საწყის ფორმებზე, არამედ საწყისებზე (**περὶ ἀρχῆς**) საერთოდ.

2. **ταύτης τῆς αἰτίας**, კუბიცკი თარგმნის „მატერიალურ მიზეზად", მაგრამ ტექსტში სიტყვა „მატერიალურის" შესატყვისი არ არის. მართალია, წინამორბედი ტექსტი ასეთი ჩანართის უფლებას იძლევა, მაგრამ აქ ეს საჭირო არაა, რადგანაც ტექსტიდან ამ ჩანართის გარეშეც გასაგებია, თუ რომელ მიზეზებზეა მსჯელობა

3. **τὸ τί ἦν εἶναι**, რასაც გოლკე „ცნებად არსებად" თარგმნის, წარმოადგენს არისტოტელეს ტექსტის იდეალისტური ინტერპრეტაციის ცდას, რადგან არისტოტელეს ტექსტში სიტყვა „ცნებადი" არ არის და გოლკეს ჩანართს წარმოადგენს. აღნიშნული ადგილი ორიგინალისა უფრო კარგად აქვს თარგმნილი კუბიცკის (**суть бытия**) და მისი თარგმანი ამ შემთხვევაში უფრო ახლოა დედანთან.

თავი მერვე

წინამორბედ მოაზროვნეთ უნდა დაეშვათ არა მარტო სხეულებრივი, არამედ უსხეულო მოვლენების საწყისებიც. გარდა ამისა, თუ ისინი თანმიმდევარი იქნებოდნენ, საწყისად მიწაც უნდა მიეჩნიათ. მათ არაფერი არა აქვთ ნათქვამი მოძრაობის საწყისზე, რითაც ასპობენ მოძრაობასა და ცვალებადობას. მრავალი შეუსაბამო შედეგი მოსდევს იმათ მტკიცებას, რომლებიც ყველაფერს შერევის საშუალებით აწარმოებენ. პითაგორელები ამ მოაზროვნეთაგან განსხვავებით, საწყისებს არ აწარმოებენ შეგრძნებადი მოვლენებიდან, მაგრამ ვერც მათი საწყისები ხსნიან მოძრაობას, წარმოშობასა და მოსპობას. როგორ შეიძლება რიცხვი საწყისი იყოს, როდესაც არითმეტიკული რიცხვის გარდა, სხვა არავითარი რიცხვი არ არსებობს. არითმეტიკული რიცხვი კი დამოუკიდებელი არაა.

1. არისტოტელეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება.

2. **οἱ πολλοὶ τῶν ἀνθρώπων**, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ადამიანთა სიმრავლეს". ასე აქვს თარგმნილი ეს ადგილი კუბიცკისაც. არისტოტელე ამ გამოთქმაში გულისხმობს, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანებს, რომელთაც ის უპირისპირებს ფილოსოფოსთ ისევე, როგორც მისი წინამორბედნი.

3. იგულისხმება, რომ ნაერთი მარტივთან და გადაუმუშავებელთან შედარებით გვიანი წარმოშობისაა.

4. ნაგულისხმევია ყველა ზემოდასახელებული მოაზროვნე. არისტოტელე აქაც და საერთოდ, მთელ „მეტაფიზიკაში" აკრიტიკებს თავის წინამორბედთ მოძრაობის უგულებელყოფის გამო.

5. **τὰ πάθη καὶ τὰ συμβεβηκότα** „თვისებები და მდგომარეობანი". არისტოტელე მათ შორის განსხვავებას ხედავდა მეტ-ნაკლებ სიმყარეში. მას თვისებები გაცილებით მყარად მიაჩნდა მდგომარეობასთან შედარებით. მდგომარეობის გაძლიერება და გამყარება იწვევს შედეგად გადასვლის თვისებებში.

6. **τῶν γὰρ αὐτῶν μῖξις ἔστι καὶ χωρισμός** გოლკეცა და კუბიცკიც ამ ადგილს ასე თარგმნიან: „რაც შორდება, ის უკავშირდება კიდეც". მაგრამ ასეთი თარგმანის შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რა მიაჩნია არისტოტელეს დაკავშირებისა და დაშორების უნარის მქონედ—თვისებები, თუ სუბსტანციები. მაშინ, როდესაც არისტოტელე გარკვევით ამბობს, რომ ასეთი უნარი მხოლოდ სუბსტანციაა შეიძლება ჰქონდეს, წინააღმდეგ თვისებებისა, რომელნიც არასოდეს არ არიან დამოუკიდებელი და ყოველთვის სუბსტანციასთან არიან დაკავშირებული. ამიტომ ეს ადგილი ჩვენ ასე გადმოვეცით: „შეკავშირება და დაშორება მხოლოდ მათ შეუძლიათ", ე. ი. სუბსტანციებს და არა თვისებებს.

7. ანაქსაგორა

8. **τῶν φυσιολόγων** (სიტყვიდან ἡ φύσις), ნიშნავს ბუნებისმეტყველთ და არა ფიზიოლოგებს თანამედროვე გაგებით

9. ციური მოვლენები და არა მიღმა არსებული მოვლენები, როგორც ამას გოლკე თარგმნის (was jenseits des Seienden), წინა ფრაზაც მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ აქ მსჯელობა ეხება ასტრონომიულ მოვლენებს. სიტყვა **τῶν ὄντων** ნიშნავს იმას, რომ აქ საქმე გვაქვს არა არსებულის მიღმა მდებარე მოვლენებთან, არამედ არსებულის ერთ-ერთ სახეობასთან, რომელიც მაღლა მდებარეობს (**τὰ ἀνωτέρω**) და არა სივრცისა და დროის გარეშე.

10. პითაგორელების მიერ შერჩეული საწყისებიდან, ე. ი. რიცხვებიდან.

თავი მეცხრე

აკრიტიკებს მოძღვრებას იდეებზე იმ შეუსაბამო შედეგების ჩვენებით, რაც იდეების დაშვებას, განსაკუთრებით მათი საგნებისაგან დაცილებულ დაშვებას მოსდევს; იდეებზე მოძღვრების მომხრეთ ვერ გაარკვიეს თუ რას ნიშნავს სიტყვა „ზიარება". საერთოდ, მათ იდეებისა და საგნების დამოკიდებულების საკითხი გაურკვეველი დარჩათ. არანაკლებ სიძნელეებთან არის დაკავშირებული იდეა-რიცხვების დაშვება. საერთოდ, არაა სწორი ყოველივეს საწყისი ელემენტების კვლევა, რადგან ამ ელემენტებზე წინ არაფერი არ გვეცოდინებოდა. ასევე ყოველივეს შემსწავლელი მეცნიერების დაშვების შემთხვევაში არაფერი არ უნდა გვცოდნოდა, რადგან ამ მეცნიერებაზე წინ არაფერი არ გვეცოდინებოდა, მაშინ, როდესაც შესწავლა იწყება ყოველთვის ობიექტთა მთლიანი ან ნაწილობრივი წინასწარი ცოდნის საფუძველზე.

1. დედანში შესატყვისი ზმნა პირველი პირის მრავლობით რიცხვში არის მოცემული, რაც იმას ნიშნავს, რომ იდეებზე მოძღვრება, რომელსაც არისტოტელე აკრიტიკებს, მისთვის გარეშე და უცხო კი არ იყო, არამედ მახლობელი და თითქმის მისივე. არისტოტელე „მეტაფიზიკის" დაწერის პერიოდში იდეებზე მოძღვრების მიმდევარი იყო. და აკრიტიკებდა რა ამ მოძღვრებას, მიზნად ისახავდა მისი სუსტი მხარეების დაძლევას.

2. **τῶν ἀποφάσεων** გოლკესთანაც და კუბიცკისთანაც თარგმნილია უარყოფითი მსჯელობების მნიშვნელობით. ეს თარგმანი არაა მცდარი, მაგრამ ავიწროებს აღნიშნული ტერმინის შინაარსს. არისტოტელე აქ გადმოსცემს პლატონის იდეებზე მოძღვრებიდან გამომდინარე შედეგს უარყოფითი იდეების არსებობის შესახებ. ეს კი წინააღმდეგობა იყო იდეებზე მოძღვრებაში, რომლითაც მხოლოდ დადებითი მოვლენებისა იდეები უნდა არსებულიყო. არისტოტელეს ეს არგუმენტი გვაგონებს დიალოგ „პარმენიდეში" პარმენიდეს მიერ წამოყენებულ არგუმენტს უარყოფითი იდეების შესახებ, რაც აბნევს სოკრატეს და ძირს უთხრის პლატონის მოძღვრებას. „პარმენიდეში" პლატონის მიზანი და „მეტაფიზიკაში" არისტოტელეს მიზანი ერთი და იგივეა, ამ სიძნელიდან გამოსავლის [illegible]

3. რობინის ინტერპრეტაციით, ყველა ზემომოტანილი არგუმენტი მოწმობს იმას, რომ არისტოტელეს გაგებით, პლატონის იდეები მხოლოდ ფორმალურ-ლოგიკური პრინციპები იყო და არა ონტოლოგიური. მაგრამ როგორც არისტოტელეს ეს არგუმენტი, ისე მთელი მომდევნო მსჯელობაც ავლენს არისტოტელეს მიერ პლატონის იდეების ონტოლოგიურ პრინციპებად და არა მარტო ფორმალურ-ლოგიკურ პრინციპებად გაგებას.

4. ეს არგუმენტი უდავოდ გავრცელებული იყო პლატონის აკადემიაში და გულისხმობდა, რომ იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც არსებობდა საერთო იდეა მრავალი საგნისათვის, უნდა არსებულიყო აგრეთვე, ერთი მხრივ, საგანთა და, მეორე მხრივ, იდეათა საერთო იდეა და ეს პროცესი დაუსრულებლად გრძელდებოდა.

5. არისტოტელე აქ გადმოსცემს იდეებზე მოძღვრების მომხრეთა ძირეულ თეზის, საიდანაც ისინი ამოდიოდნენ და რომლის მიხედვით, უნდა არსებულიყო მხოლოდ სუბსტანციათა იდეები. მაგრამ იმ შედეგების მიხედვით, რაც ამ მოძღვრებიდან გამომდინარეობდა, აუცილებელი ხდებოდა მრავალი სხვა მოვლენის და არა მარტო სუბსტანციათა იდეების დაშვება.

6. ნათქვამია შეუსაბამო, არათანმიმდევრული შედეგების თვალსაზრისით.

7. არისტოტელე აქ იძლევა იდეებზე მოძღვრების გაგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან თვალსაზრისს, რომ უნდა არსებობდნენ მხოლოდ სუბსტანციათა იდეები და თვით იდეებიც სუბსტანციები უნდა იყვნენ. ეს თვალსაზრისი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მარბურგული სკოლის, ისე მრავალი სხვა ინტერპრეტატორის თვალსაზრისის უარსაყოფად, რომელთა მიხედვით, პლატონის იდეებს მხოლოდ ლოგიკური პრინციპების ღირებულება ჰქონდათ.

8. **ἐργαζόμενον** გოლკესთან გადმოცემულია ტერმინით „აფორმებს „formt", რაც პლატონის იდეებს ფორმალურ პრინციპებად წარმოგვიდგენს. მაგრამ აქ ლაპარაკია არა მარტო საგნების გაფორმებაზე მხოლოდ, არამედ იდეების მიხედვით მათ შემოქმედებაზე.

9. ნაგულისხმევია რიცხვების მარადიულობა და საგნების წარმავლობა, რაც არისტოტელეს აზრით, მათ შორის საკმარის განსხვავებას არ ჰქმნის იმისათვის, რომ იდეები საგანთა მიზეზად ჩავთვალოთ.

10. **αἱ μονάδες** — მონადები, ნიშნავს, როგორც ერთს, ისე უკანასკნელ დაუნაწევრებელ შემადგენელ ელემენტს. ამ შემთხვევაში მას ეს უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს.

11. **τὰ μεταξύ** [illegible] თარგმნის როგორც „[illegible] მეცნიერებებს", მაგრამ არც ეს ფრაზა და არც მომდევნო ტექსტი არ ამართლებს ასეთ ინტერპრეტაციას. მომდევნო ფრაზიდან აშკარად ჩანს, რომ აქ მსჯელობა ეხება რიცხვებს, ე. ი. ობიექტებს და არა მათ შემსწავლელ მეცნიერებებს.

12. ნაგულისხმევია ყველა სახის მოვლენები, მოვლენები საერთოდ და არა მხოლოდ ცნებები, როგორც კუბიცკი ფიქრობს; წინამორბედ და მომდევნო ფრაზებშიც მსჯელობა წარმოებს საერთოდ მოვლენებზე და არა მხოლოდ ცნებებზე.

13. περὶ τῆς αἰτίας („მიზეზების შესახებ"). გოლკეს თარგმანში სიტყვა „მიზეზი" თარგმნილია „ძალად" (über die Kraft), რაც შეუსაბამობაა და ცდაა იმისა, რათა არისტოტელეს თავს მოახვიონ მიზეზების „ძალად" ან „ენერგიად" გაგება.

14. იდეები, როგორც ხილვადი საგნების არსება.

15. ჩვენს სამყაროში არსებული საგნების არაება

16. არისტოტელეს აზრით, მოძრაობის წარმომობის მიზეზების შეუწავლის გარეშე კვლევის ბუნების შესახებ აზრი ეკარგება.

თავი მეათე

ყველა ზემოთქმული ფილოსოფოსი ბუნდოვნად მსჯელობს მიზეზების შესახებ, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფილოსოფია ახალგაზრდა მეცნიერებაა და იმ ყოფება დასაწყის სტადიაში. მაგრამ ზემოდასახელებულ დაბრკოლებათა განხილვა საჭიროა მოსალოდნელ სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად.

წიგნი მეორე

თავი პირველი

ჭეშმარიტების წვდომა ადვილი არაა. მას ვერ სწვდება ერთი მოაზროვნე, არამედ ის მრავალი მოაზროვნის მოღვაწეობის ნაყოფია და ჯამი. ამიტომ პატივისცემას მოითხოვენ როგორც ისინი, რომლებმაც რაღაც მიუმატეს ჭეშმარიტებას, ისე ისინი, რომლებმაც მხოლოდ გაგვივარჯიშეს მისი წვდომის უნარი. ფილოსოფია კი არის მეცნიერება ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ ჭეშმარიტება არ გვეცოდინებოდა მიზეზების ცოდნის გარეშე. ჭეშმარიტება კი არსებობას ნიშნავს. ამიტომ ყველაზე მეტი ჭეშმარიტების შემცველი მარადიული მიზეზებია, რომელნიც ყოველთვის არსებობენ და არც სხვა მიზეზები აქვთ არსებობისათვის.

1. წინამორბედი, ე. ი. პირველი წიგნი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის დასაწყისსა და ბოლოში მიეკუთვნება პასიკლე როდოსელს, არისტოტელეს მოწაფეს. მაგრამ რადგან ეს წიგნი სტილითაც და შინაარსითაც ძალიან ჰგავს არისტოტელეს „მეტაფიზიკას", ამიტომ ის შეიტანეს არისტოტელეს „მეტაფიზიკაში", როგორც ნაწილი. ჩოსის აზრით კი, პირველი წიგნი უფრო ფიზიკის ან თეორიული ფილოსოფიის შესავალი უნდა იყოს, ვიდრე „მეტაფიზიკის" ნაწილი. „მეტაფიზიკა" კი უნდა იწყებოდეს ამ წიგნიდან, რომელიც მან თავის გამოცემაში „ α მცირეს" სახელწოდებით შეიტანა. ჩვენ კი მკითხველისათვის არისტოტელეს ტექსტში ორიენტაციის გაადვილების მიზნით ის მეორე ნომრით შევიტანეთ ჩვენს თარგმანში.

2. ცოდნას ბუნების შესახებ.

3. „რაღაც სიდიდეში" არისტოტელეს ნაგულისხმევი აქვს „რაიმე ხელშესახები ჭეშმარიტება". საერთოდ, არისტოტელეს ამ შემთხვევაში გამოთქმული აქვს უაღრესად საინტერესო მოსაზრება ჭეშმარიტების ფარდებითობის შესახებ. იმის შესახებ, რომ საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტება არ მოიპოვება უცებ, არამედ თანმიმდევრულად, მრავალი მოაზროვნის მიერ მოპოვებული ჭეშმარიტებათა შეჯამების საფუძველზე.

4. ე. ი. ჭეშმარიტების წვდომა

5. არისტოტელე აქ ემყარება თავის შეხედულებას გონებისა და სულის მიმართების შესახებ, რომლის მიხედვითაც გონება სულის ერთ-ერთი ნაწილია. ეს შეხედულება საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთში, როგორც არისტოტელეს დროს, ისე მანამდე და მის შემდეგაც.

6. ტიმოთე — ცნობილი პოეტი და მუსიკოსი, წარმოშობით მილეთელი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ათენში 446—357 წწ.

7. ცოტა რამაა ცნობილი ფრიუნეს შესახებ ის მოხსენებულია არისტოფანეს „ღრუბლებში", პლუტარქეს დიალოგში „მუსიკის შესახებ" და ფერეკრატეს „ხირონში".

8. τὰς ἀρχάς, საწყისები. კუბიცკისთან თარგმნილია „მიზეზებად", მაგრამ არისტოტელე გარკვევით ანსხვავებს ერთმანეთისაგან მიზეზებსა და საწყისებს. ტექსტში ამ ადგილას ლაპარაკია საწყისებზე (τὰς ἀρχάς) და არა მიზეზებზე (τὸ αἴτιον).

9. საყურადღებოა ის, რომ არისტოტელე ჭეშმარიტების საზომად მიიჩნევს საგანთა ონტოლოგიურ არსებობას და არა მათს არაებობას ან მოცემულობას ჩვენს გონებაში, რაც ბევრს ამბობს მისი მატერიალისტური ტენდენციების ასახსნელად.

თავი მეორე

მსჯელობაში მოგვწონს ის, რასაც მივეჩვიეთ. ამიტომ ზოგს მოსწონს მსჯელობის სიზუსტე, ზოგს მისი მათემატიკური ხასიათი, ზოგს კი მხატვრულობა. ზოგს სიზუსტე აშინებს, რადგან, მართლაც, სიზუსტეში არის რაღაც ისეთი, რაც არ შეშვენის თავისუფალ ადამიანს. საჭიროა იმის დადგენა, თუ სად რომელი მეთოდი გამოდგება. ცხადია, რომ კვლევის მათემატიკური გზა არ გამოდგება ბუნებაში, საერთოდ, მატერიალურ მოვლენებში. ამიტომ საჭიროა იმის დადგენაც, თუ რა არის ბუნება, რათა მისთვის შესაფერისი მეთოდი გამოვნახოთ. საჭიროა აგრეთვე იმის დადგენა, ერთი, თუ რამოდენიმე მეცნიერება სწავლობს მიზეზებსა და საწყისებს.

1. არისტოტელე აქ უარყოფს მიზეზთა დაუსრულებლობას და საჭიროდ მიაჩნია რაღაც საწყისი მიზეზის დაშვება. ის ხაზს უსვამს მის მიერ აღმოჩენილი კანონზომიერების საყოველთაო ხასიათს და ავრცელებს მას ყველა გვარზე (εἰς εὐθυωρίαν და κατ' εἶδος). მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ლოგიკურს ონტოლოგიურს არ აშორებდა და არ უპირისპირებდა, პირიქით, პირველი ყოველთვის მეორისაგან გამოჰყავდა. ამას ადასტურებს მის მიერ აქ მოტანილი მაგალითი მიზეზთა უსასრულობის შეუძლებლობის შესახებ: ეს შეუძლებლადაა მიჩნეული ჯერ მატერიის, შემდეგ მოძრაობის, მიზნის და ბოლოს, ლოგიკური თვალსაზრისით.

2. τὰ Ἴσθμια ისთმიური თამაშობები. შეჯიბრებანი, რომელნიც იმართებოდნენ პოსეიდონ ისთმიელის ტაძართან, შუა ზაფხულში, ორ წელიწადში ერთხელ.

3. τὰ Ὀλύμπια — ოლიმპიური თამაშობები, რომლებიც იმართებოდნენ ოთხ წელიწადში ერთხელ 776 წლიდან 394 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქალაქ ოლიმპიაში, ზევს ოლიმპიელის პატივსაცემად.

4. კუბიცკი „პირველი წევრის" ცნებას (τὸ πρῶτον) უმატებს „მატერიალურს", რაც დედანში არაა და არც იგულისხმება. შესაძლებელია მან ეს ჩანართი როსის გავლენის შედეგადაც ჩათვალა საჭიროდ, რომელიც ასევე იქცევა, თარგმნის

რა τὸ πρῶτον-ს „მატერიალურ მიზეზად“ (The prime material couse). მართალია სასურველია, რომ არისტოტელე ამ პირველ მიზეზში მხოლოდ მატერიალურ მიზეზს გულისხმობდეს, მაგრამ ამას არ ამართლებს არც ტექსტი და არც არისტოტელეს მთელი ფილოსოფიის გათვალისწინება.

5. ქმნადობის პროცესია უკანასკნელი წევრი.

6. მიზნის მოსპობა იმიტომ სპობს სიკეთეს, არისტოტელეს აზრით, რომ ყოველი მოვლენის მიზანი ამ მოვლენისათვის სიკეთეა.

7. კუბიცკიცა და გოლკეც „წინამორბედს“ უმატებენ „ცნებას“, მაგრამ ორიგინალში ეს ტერმინი არ არის და არც საჭიროა მისი დამატება.

თავი მესამე

ერთი მოვლენის მეორიდან წარმოშობის შემთხვევაში პროცესი შეიძლება შებრუნებადი იყოს და შეიძლება არა. მაგალითად, ბავშვიდან მამაკაცის წარმოშობის შემთხვევაში პროცესის შეტრიალება აღარ შეიძლება, რადგან მამაკაციდან ბავშვის წარმოშობა შეუძლებელია. ჰაერიდან წყლის წარმოშობის შემთხვევაში კი პროცესი შებრუნებადია, რადგან ამ შემთხვევაში წარმომშობი მხარე ნადგურდება. წარმოშობის პროცესი არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს არც მიზეზისა და არც მიზნის მიმართულებით, ე. ი. უნდა არსებობდეს პირველი მიზეზი, საიდანაც წარმოშობა ხდება და მიზანი, ანუ ის, რისთვისაც ხდება წარმოშობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოისპობოდა სიკეთე. გარდა ამისა, მიზეზთა დაუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა შემეცნებაც, რადგან აზროვნება შეუძლებელია საზღვართან შეჩერების გარეშე. მაგრამ არც მაშინ იქნებოდა შემეცნება შესაძლებელი, ამისათვის საგანთა დაუნაწევრებელ ელემენტებამდე რომ საჭირო ყოფილიყო მისვლა.

წიგნი მესამე

თავი პირველი

ვისაც საგნების შემეცნება სურს, მან უნდა გაითვალისწინოს ყველა მოსალოდნელი სიძნელეები, რათა იცოდეს, თუ რა მიმართულებით წარმართოს კვლევა. აქ მოსდევს ჩამოთვლა იმ სიძნელეებისა, ანუ პრობლემებისა, რომელთა გადაჭრა მას აუცილებლად მიაჩნია: 1. რომელი მეცნიერება იკვლევს მიზეზებს? 2. შეიძლება თუ არა წინააღმდეგობათა არსებობა ერთს მიმართებაში? 3. შეგრძნებადი საგნების გარდა არსებობენ, თუ არა სხვა სუბსტანციები? 4. მეცნიერება ეხება მხოლოდ არსებებს, თუ მათ ნიშნებსაც? 5. ყოველივე საწყისი კონკრეტული არიან, თუ ზოგადი? 6. ... ლურად არ ებობენ ისინი, თუ შესაძლებლობაში? 7. განსაზღვრულნი არიან, თუ განუსაზღვრელნი? 8. წარმავალნი, თუ წარუვალნი? 9. მოძრავნი, თუ უძრავნი? 10. გრძნობადი საგნებისაგან დაცილებულნი, თუ არა? და სხვ.

1 τὰ σ[illegible]βεβηκότα καθ᾽ αὑτὰ ταῖς οὐσίαις [illegible]
[illegible]
სდევს სუბსტანციებს“, ანუ არსებებს, ე. ი. არისტოტელესთვის შემთხვევითი

ნიშანია ის, რაც თან სდევს არსებას, მაგრამ არა ყოველთვის. არსებით ნიშანს შემთხვევითისაგან აუცილებლობა და მარადიულობა ანსხვავებს.

2. არისტოტელე აქ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იდეების საწყისობას, რადგან, მისი აზრით, თუ იდეები მარადიულნი არიან, როგორ წარმოშვეს მათ არამარადიული, მიწიერი საგნები? ეს მისი აზრით, პლატონის ფილოსოფიის არათანმიმდევრობას და შეუსაბამობას მოწმობს.

თავი მეორე

მიზეზებს ერთი მეცნიერება სწავლობს, თუ რამოდენიმე? ასევე არსებებს სწავლობს ერთი, თუ რამოდენიმე მეცნიერება? მეცნიერება, რომელიც სწავლობს არსებებს, უფრო არსებითია და სხვა მეცნიერებათა წარმმართველი. რადგან საგანი მაშინ ვიცით კარგად, როდესაც ვიცით მისი არსება, ვიდრე მაშინ, როდესაც ვიცით მისი თვისობრივი, ან რიცხობრივი მხარე. ასევე დასაბუთების საფუძვლებს სწავლობს ერთი, თუ რამოდენიმე მეცნიერება? ასეთი საფუძვლების არსებობა აუცილებელია, რადგან ყველაფრის მტკიცება შეუძლებელია. შემდეგ, არსებას და მის ნიშნებს სწავლობს ერთი და იგივე, თუ სხვადასხვა მეცნიერება? კითხვა უნდა დაისვას აგრეთვე იმის შესახებ, არსებობენ, თუ არა შეგრძნებადის გარდა, სხვა სუბსტანციები, მაგალითად, ადამიანი თავისთავად, ჯანმრთელობა თავისთავად და ა. შ. დიდი სიძნელეები ახლავს თავისთავად იდეებსა და შეგრძნებად საგნებს შორის რაღაც შუალედი საფეხურის დაშვებას. რომელი მეცნიერების შესწავლის ობიექტი უნდა იყოს ის? ერთი რამ კი ცხადია, რომ არც გეომეტრია და არც ნიადაგმცოდნეობა არ სწავლობს შეგრძნებად მოვლენებს, არამედ რაღაც სხვას, რაც გამოსარკვევია.

1. უძრავ მოვლენებს არ შეიძლება მოძრავი საწყისი ჰქონდეთ

2. მათემატიკა.

3. ზოგადი, აქსიომატური ხასიათის დებულებებია ნაგულისხმევი.

4. არისტოტელე აქ გადადის იმ სიძნელეების ჩვენებაზე, რაც შედეგად მოსდევს იდეებსა და შეგრძნებად საგნებს შორის შუალედი საფეხურის დაშვებას.

5. ე. ი. ერთ ადგილას ორი სხეულის არსებობა უფრო მეტად დაუშვებელია, ვიდრე მატერიალური საგნებისაგან დამოუკიდებლად იდეების დაშვება.

თავი მესამე

საჭიროა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის საწყისი: საგანთა შემადგენელი ელემენტები, თუ ზოგადი სახეები და გვარები? ზოგნი ერთს მიიჩნევდნენ საწყისად, ზოგნი კი მეორეს. ამას ქვემოთ მოსდევს განხილვა იმ შეუსაბამო შედეგთა, რასაც საწყისებად გვარებისა და სახეების დაშვება იწვევს.

1. φωνῆς მე ვთარგმნე „მარცვლად“, კუბიცკისთან ის თარგმნილია „ბგერად“, გოლკესთან „სიტყვად“ და „ენად“.

2. უზოგადესი გვარეობითი ცნება.

3. ყველაზე ნაკლებ ზოგადი ცნება.

4. ἐπὶ τῶν ἀτόμων—სიტყვა-სიტყვით „განუყოფელი“. ნახმარია პირველადი, ერთეული საგნის მნიშვნელობით.

5. ე. ი. სახეები უფრო მეტად უნდა იყვნენ საწყისები, ვიდრე გვარები.

6. ძნელი წარმოსადგენია ისიც, თუ სახეები როგორ უნდა იყვნენ საწყისები.

7. არისტოტელემ ამ შემთხვევაში მიიღო ზემოთქმულის საწინააღმდეგო შედეგი. თავდაპირველად გამოდიოდა, რომ საწყისები უფრო სახეები არიან, ვიდრე გვარები, აქ კი — პირიქით. ამით ის ამჟღავნებს შეუსაბამობას პლატონის მოძღვრებაში.

თავი მეოთხე

გასარკვევია, არსებობს თუ არა კონკრეტული საგნებისაგან დამოუკიდებელ საწყისები? თუ არსებობენ, როგორ? მათ დამოუკიდებელ არსებობას უამრავი სიძნელეები ახლავს თან. გასარკვევია წარმავალ და წარუვალ მოვლენებს ერთი და იგივე თუ სხვადასხვა საწყისები აქვთ [illegible] შემდეგ, ძნელად გადასაწყვეტია [illegible] რომ [illegible] ერთი ერთი და იგივეა, თუ ხვადასხვა რაზეც სხვადასხ[illegible] [illegible] ახალი ხუაგვარი შეხედულებები აქვთ გამოთქმული.

1 τὸ τέλος მიზანი, დასასრული, საზღვარი. კუბიცკი და გოლკე მას თარგმნიან „მიზნად".

2. τὸ σύνολον მთელი. არისტოტელესთან ყველგან ნახმარია კონკრეტულ საგნის მნიშვნელობით. მთელი მას იმიტომ ეწოდება, რომ ფორმისა და მატერიისაგან შედგება.

3. კითხვა ეხება იმას, თუ როგორია საგანი ერთდროულად ფორმაცა და მატერიაც?

4 არისტოტელეს შემეცნებისა და ცოდნის [illegible] [illegible] მიაჩნია ზოგადის არსებობა, თუმცა არა დამოუკიდებლად გრძნობადი საგნებისგან.

5. ასე უწოდებდნენ ძველ საბერძნეთში სასმელებს, რომელსაც მათი წარმოდგენით, ღმერთები სვამდნენ.

6. არისტოტელე [illegible] წინამორბედ [illegible] და თანამედროვე [illegible] ნეებს, განსაკუთრებით მათ თეოლოგიურ შეხედულებებს ღმერთების არსებობისა და უკვდავების დაშვების გამო.

7. წარმავალ და წარუვალ მოვლენებს.

8. ნაგულისხმევია საგნები და არა საწყისები.

თავი მეხუთე

სხეულები, რიცხვები, სიბრტყეები, ხაზები და წერტილები [illegible] არიან, [illegible] სუბსტანციები? თუ ისინი სუბსტანციები არ არიან, მაშ რაღაა სუბსტანცია? შეიძლება სუბსტანციები არიან ელემენტები, როგორიცაა ჰაერი, წყალი და სხვ., მაგრამ მათი თვისებები [illegible] როგორც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ყოველივე ეს განსაზღვრულობა და დანაყოფებია და არა სუბსტანციები. ეს უკანასკნელნი [illegible] რომლებიც არ შეიძლება იყვნენ სუბსტანციები, რომ [illegible] შეუძლია [illegible] [illegible] მაგრამ [illegible] არიან სუბსტანციები, მაშინ არც სხეული იქნება სუბსტანცია და კვლავ ისმის კითხვა [illegible], თუ რა არის სუბსტანცია?

1. Ἑρμῆς, ჰერმესი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ზევსისა და მაიას შვილი, ღმერთების მოციქული და მათი ნების შემსრულებელი. ის მფარველობდა მჭევრმეტყველებას, ვაჭრობას, ხელოვნებას, სიმდიდრეს, მოხერხებას, მოგზაურობას და სხვ. ის იყო გამომგონებელი ლირის, რიცხვების, ანბანის, ზომის, [illegible] [illegible], მას გადაჰყავდა, ძველი ბერძნების წარმოდგენით, მიცვალებულების სულები სამეფოში

2. „სიბრტყეს" კუბიცკი უმატებს ჩანართს, „რეალურად არსებული", მაგრამ ეს ჩანართი არაა საჭირო, რადგან არისტოტელეს აზრით რეალურად არსებულ საგნებში ყველა დანარჩენი ფორმა არსებობს შესაძლებლობაში და არა რეალურად.

3. სიბრტყე, სიგრძე და წერტილი უფრო მეტად იქნებოდნენ სუბსტანცია, ვიდრე სხეული.

4. არისტოტელე, როგორც აქ, ისე წინამორბედ მსჯელობაში უარყოფს პლატონისა და პითაგორელების მოძღვრებას რიცხვებისა და გეომეტრიული სიდიდეების საგნებისაგან დამოუკიდებლობის შესახებ, მიაჩნია რა პირველნი საგნების რაოდენობრივ მხარედ, მეორენი კი საზღვრებად და სხეულთა დაყოფის შედეგად.

თავი მეექვსე

რატომ შემოაქვთ იდეების მომხრეთ რიცხვებისა და საგნების გარდა, იდეები? შეიძლება იმიტომ, რომ ერთი სახის საგნები და რიცხვები ბევრნი არიან? მაგრამ მაშინ იდეები, როგორც საწყისები, განუსაზღვრელი იქნებოდნენ მხოლოდ სახით და არა რიცხვით. არანაკლები სიძნელეები ახლავს თან განსაზღვრული რაოდენობის საწყისების დაშვებას. თუ საწყისები რეალურად არსებობენ, მათზე ადრე იარსებებდა ამავე საწყისების შესაძლებლობა, და მაშინ საწყისი სხვა იქნებოდა და არა ესენი, რადგან ის, რაც შესაძლებელია, ყოველთვის არ ხორციელდება. საჭიროა აგრეთვე გადაწყვეტა კითხვისა იმის შესახებ, რომ საწყისები ზოგადნი არიან, თუ კონკრეტულნი. თუ ზოგადნი არიან, ერთ საგანში რამდენიმე საწყისი იქნებოდა, თუ კონკრეტულნი არიან, შეუცნობელნი იქნებოდნენ.

1 ἃ τίθεμεν εἴδη აქ ზმნა კვლავ ნახმარია პირველი პირის მრავლობით რიცხვში. მაშასადამე, არისტოტელე თავის-თავს კვლავ იდეების მოძღვრების მიმდევართ აკუთვნებს.

2. τῶν ἐνταῦθα — სიტყვა-სიტყვით, აქაური. იგულისხმება დედამიწაზე ადამიანთა მიერ დადგენილი ასოები.

3. არისტოტელე ავითარებს თავის თეორიას შესაძლებლობისა და სინამდვილის შესახებ, რომ ყოველ რეალურს წინ შესაძლებლობა უსწრებს. მაგრამ ყოველგვარ შესაძლებლობას არ მოსდევს რეალობა, ანუ განხორციელება. ამრიგად, არისტოტელეს ხმარებაში შემოაქვს მესამე ცნება „შეუძლებელისა", ე. ი. იმისა, რასაც არა აქვს პირობები განხორციელებისათვის.

4. არისტოტელეს მეცნიერების ობიექტად ზოგადი მიაჩნია, რასაც ეჭვობდა ზოგიერთი მისი თანამედროვე და წინამორბედი მოაზროვნე

წიგნი მეოთხე

თავი პირველი

არსებობს მეცნიერება, რომელიც იკვლევს არსებულს, როგორც ასეთს, დანარჩენი მეცნიერებანი კი არსებულის რომელიმე მხარეს სწავლობს.

თავი მეორე

ერთსა და არსებულს მრავალი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს ერთი—არსება, ყოველივე დანარჩენი კი მისი თვისება, ან მდგომარეობაა, როგორც ერთი მეცნიერება სწავლობს ერთის თვისებებს,

ასევე ერთი მეცნიერება სწავლობს იმასაც, რაც ერთს უპირისპირდება, ერთის უარყოფას და მის ნაკლს. რადგან ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ერთსა და მრავალზე, ანუ ერთსა და სხვაზე დაიყვანება, ამიტომ მისი შესწავლა ფილოსოფოსის საქმეა, ყველა სხვა დანარჩენი მეცნიერებანი კი ცდებიან, როცა იკვლევენ არსებას და მის თვისებებს კი არ ითვალისწინებენ. რაც შეეხება დიალექტიკოსსა და სოფისტიკას, ისინი ატარებენ ფილოსოფიის ნიღაბს, მაგრამ წარმოადგენენ არა ნამდვილ, არამედ მოჩვენებით სიბრძნეს.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

მეცნიერება, რომელიც სწავლობს არსებულსა, როგორც არსებულს, სწავლობს იმ აქსიომებსაც, რომლებიც სხვა აქსიომათა საფუძველს წარმოადგენენ. ეს ის აქსიომებია, რომლებითაც შეკვლევის დაშვება [illegible] ყველა [illegible] შეცნობადნი არიან [illegible] ეთ ასეთ [illegible] როცა [illegible] რომ წინააღმდეგობანი არ [illegible] ერთ მიმართებაში შეუძლებელია. [illegible] ბიან ჰერაკლიტელები, რომელნიც ამას შესაძლებლად მიიჩნევენ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ყველაფრის მტკიცება არ შეიძლება. მაშასადამე, უნდა არსებობდნენ რაღაც დებულებები, რომელთაც მტკიცება არ ესაჭიროებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დასაბუთების პროცესი დაუსრულებელი იქნებოდა. ამას გარდა, აზროვნება რომ შესაძლებელი იყოს, საჭიროა, რომ ყოველ მსჯელობას და ცნებას რაიმე გარკვეული აზრი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმანეთის გაგება შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე, შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ნიშნავდეს საგნის არსებობასაც და მი[illegible] არარსებობასაც [illegible] საერთოდ, ყველაფრის მტკიცება და უარყოფა არ შეიძლება, რადგან მაშინ არც ჭეშმარიტება იარსებებდა და არც შეცდომა. საგნებიც ერთმანეთისაგან არ იქნებოდნენ განსხვავებული, არამედ ყველაფერი ერთი იქნებოდა და არც კამათი და ერთმანეთის აზრის გაგება იქნებოდა შესაძლებელი. ამრიგად, აუცილებელია არსებობდეს რაღაც მყარი და იგივეობრივი.

1. აქ არისტოტელე კვლავ ჰერაკლიტეს მიმდევრებსა და სოფისტებს გულისხმობს.

2. არისტოტელესათვის მიუღებელია მტკიცების უსასრულობა და მისთვის საზღვრის დადებას მოითხოვს

3. აქ არისტოტელე ერთმანეთისაგან ასხვავებს ჩვეულებრივ დასაბუთებას არაპირდაპირისაგან. არაპირდაპირი დასაბუთებისას საჭიროა მოწინააღმდეგის დებულების უარყოფა მისგან გამომდინარე შეუსაბამო შედეგების ჩვენებით.

4. არისტოტელე მოითხოვს როგორც ცნებათა შინაარსის, ისე საერთოდ, მსჯელობის შინაარსის გარკვეულობას.

5. ἀνθρώπῳ εἶναι, ζῴῳ εἶναι ნიშნავს, როგორც საგნის არსებას, ისე მის ცნებას, ე. ი. ის არ ნიშნავს მხოლოდ ცნებას, როგორც თარგმნის ხოლმე, ჩვეულებრივად, ანალოგიურ გამოთქმებს გოლკე.

6. ძველ საბერძნეთში ნიშნავდა გემს სამ იარუსიანი ნიჩბებით.

7. ἀληθὲς λέγειν უნდა ითარგმნოს, „ამბობენ ჭეშმარიტებას" და არა „მსჯელობენ სწორად", როგორც თარგმნის გოლკე და კუბიცკი, რადგან არისტოტელე კარგად არჩევს ერთმანეთისაგან მსჯელობის სისწორესა და ჭეშმარიტებას.

8 მთელი ეს მსჯელობა მიმართულია სოფისტების წინააღმდეგ, რომლებიც [illegible] ერთს მიმართებაში საწინააღმდეგო დებულებათა გამოთქმის შესაძლებლობას, და აყალიბებს ლოგიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვან იგივეო[illegible] თეზას

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

პროტაგორის მოძღვრება, რომელიც ერთს მიმართებაში წინააღმდეგობას უშვებს, წარმოიშვა შეგრძნებებზე დაკვირვებიდან, სადაც არაფერი არაა მყარი და [illegible] მისი მოძღვრების [illegible] ჰერაკლიტეს და კრატილოსის მოძღვრება, რომლის მიხედვით, ყოველივე მოძრაობს და მდინარეში ერთხელაც კი ვერ ჩახვალ. ამ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ცვალებადობის იქით არსებობს რაღაც უცვლელი ბუნება. აგრეთვე, რომ ყველა შეგრძნება არაა შემცდარი და მით უმეტეს, რომ შეუძლებელია, ყველა შეხედულება და აზრი ჭეშმარიტი, ან მცდარი იყოს. წინააღმდეგობანი შეიძლება არსებობდნენ, მაგრამ არა ერთს, არამედ სხვადასხვა მიმართებაში

1. იგულისხმება ჰერაკლიტელთა მოძღვრება

2 βίας იძულება. არისტოტელესთან არაა დაზუსტებული თუ რომელი იძულებაა ნაგულისხმევი. კუბიცკი კი აზუსტებს მას „ლოგიკურ იძულებად".

3. განხილული მოძღვრების წინააღმდეგ არისტოტელე აყენებს შემდეგ მოსაზრებებს: 1. წინააღმდეგობა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა მიმართებაში, 2. შესაძლებლობაში, 3. ყოველგვარ ცვალებადობისა და მოძრაობის იქით უნდა დამ[illegible]ბულ იქნას უცვლელი სუბსტრატი.

4 τὰ φαινόμενα მოვლენები, [illegible] თარგმნილი აქვს წარმოდგენად (что представляется), მაგრამ ეს ტერმინი არ ნიშნავს მხოლოდ წარმოდგენაში მოცემულს. ეს უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს ყოველივეს, რაც გრძნობებში გვეძლევა გარესამყაროს ზემოქმედების შედეგად.

5. არისტოტელეს აზრით, ცდის კოლექტიურობა არ გამოდგება ჭეშმარიტების კრიტერიუმად. თუმცა არისტოტელე არ შეჩერებულა ამაზე და მაინც მივიდა ჭეშმარიტების კრიტერიუმად ჩვენი შეხედულებების სინამდვილესთან შედარების აუცილებლობის აღიარებამდე.

6 [illegible] კუბიცკისთან და გოლკესთან თარგმნილია როგორც „უცნობი". ამ ტერმინს, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად გადმოსცემს სიტყვა „დაფარული".

7. აქ არისტოტელე აკრიტიკებს ჰერაკლიტეს მიმდევრების და სოფისტების თვალსაზრისს შეგრძნებებისა და აზროვნების იგივეობისა და ყოველი შეგრძნების ჭეშმარიტების შესახებ, რაც, მისი აზრით, შემდეგში დემოკრიტემ და ემპედოკლემ გაიზიარეს.

8. τὰ πετόμενα διώκειν სიტყვა-სიტყვით ნიშნავს იმის დევნას, რის დაჭერა შეუძლებელია.

9 οὐκ ἀληθῆ δὲ λέγουσιν კუბიცკისთან გადმოცემულია კვლავ, როგორც „არასწორი მსჯელობა", დედანში კი ისევ მსჯელობის არაჭეშმარიტებაა ნაგულისხმევი.

10. მიწიერი მოვლენები.

11. კოსმიური მოვლენები.

12 τὸ [illegible] [illegible], პერიკლეს დროს ათენში აგებული შენობა მუსიკალური შეჯიბრებებისათვის, შემდეგში კი მას სხვა მიზნებისთვის იყენებდნენ.

13. იგულისხმება, რომ ეს შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში.

14. არისტოტელე აქ გადმოგვცემს თავის მატერიალისტურ თვალსაზრის, იმის შესახებ, რომ შეგრძნებებს წინ უსწრებენ და მათგან დამოუკიდებლად არსებობენ მათი გამომწვევი საგნები.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ზემომოტანილი შეხედულებებით, ყოველივე იქცევა მიმართებად და დამოუკიდებელი, განსაკუთრებით [illegible] რაა. ამიტომ აუცილებელი ხდება რაღაც სუბსტრატის დაშვება და ერთს მიმართებაში საწინააღმდეგო დებულებათა შესაძლებლობის უარყოფა.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ჭეშმარიტება ნიშნავს არსებულის არსებულად და არარსებულის არარსებულად აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სიცრუე გვექნება ორ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ მაჭელობათა შორის ერთ-ერთი ჭეშმარიტია. ცვალებადობა წარმოებს შუალედი საფეხურების გავლით, მაგრამ მსჯელობაშიც რომ [illegible] რაღაც შუალედი, როგორც თეთრსა და შავს შორის — ნაცრისფერი, მაშინ პროცესი დაუსრულებელი იქნებოდა.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

[illegible] შესახებ, რადგან ეს დებულებანი თავის თავს უარყოფენ. თუ ყველაფერი ჭეშმარიტია, მაშინ ის დებულებაც, რომელიც ამტკიცებს, რომ არ შეიძლება ყველაფერი ჭეშმარიტი იყოს, ჭეშმარიტი იქნებოდა. ასევე თუ ყოველივე მცდარია, მცდარი [illegible] ყოველივე მცდარობის შესახებ [illegible] შეხედულებანი, რომელთაგან ერთი ყოველივეს უძრაობას და მეორე ყოველივეს მოძრაობას ამტკიცებს.

წ ი გ ნ ი მ ე ხ უ თ ე

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

წარმოებს საწყისის მნიშვნელობის განხილვა-დადგენა. განხილულია საწყისის ექვსი მნიშვნელობა: მოძრაობის საწყისი, ის საიდანაც ადვილია [illegible] [illegible] მიმართულებანი და შემეცნების საწყისი. რამდენი მნიშვნელობაც აქვს საწყისს, იმდენივე მნიშვნელობა აქვს მიზეზს, რადგან მიზეზი იგივე საწყისია.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მიზეზი ნიშნავს მასალას, ფორმას, მოძრაობისა და ცვალებადობის საწყისს, მიზანს. მიზეზი შეიძლება იყოს არსებითი და შემთხვევითი, ერთმანეთის მიზეზი, საწინააღმდეგო მოვლენების მიზეზები და სხვ. არსებობენ წინამორბედი და მომდევნო მიზეზები. მიზეზი და შედეგი ერთდროულად არსებობს შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში.

1. ἡ σύνθεσις-ში იგულისხმება, როგორც კავშირი, ისე საგანი, რომელიც ფორმისა და მატერიისაგან შედგება. კუბიცკი მას თარგმნის „კავშირად". ჩვენ ეს ტერმინი გადმოვეცით „შედგენილი საგნით".

2. არისტოტელე აქაც არკვევს ზოგადისა და კერძოს მიმართების საკითხს და ამ შემთხვევაში მას ზოგადი კონკრეტულის წინამორბედად მიაჩნია.

3. τὸ οἰκείως და τὸ κατὰ συμβεβηκός, პირველი ნახმარია არსებითი და მეორე შემთხვევითი ნიშნის მნიშვნელობით. ისინი აქაც, როგორც ყველგან, ერთმანეთს უპირისპირდებიან მეტნაკლები სიმყარით.

4. არსებითი და შემთხვევითი ნიშნის ცნებები

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ელემენტი არის ყველა საგნის უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც შემდეგ შემადგენელ ნაწილებად აღარ დაიშლება. ყოველი საგანი იშლება იმავე სახის ელემენტებზე, რომელსაც იგი განეკუთვნება. ელემენტი არის ყველაზე მარტივი, პატარა, დაუშლელი ნაწილი, რომელიც შედის ან ყველა, ან უმრავლესი საგნების შემადგენლობაში

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

„ბუნება" ეწოდება, როგორც წარმოშობადს, ისე შემადგენელ ელემენტს, აგრეთვე იმ საგნის არსებას, რომელსაც მოძრაობის საწყისი თავის თავში აქვს. ბუნება არის პირველი მატერიაც და ფორმაც. სუბსტანციას კი ბუნება გადატანითი მნიშვნელობით ეწოდება

1. φύεσθαι-ს აქვს, როგორც „წარმოშობის", ისე „ზრდის" მნიშვნელობა.
2. აქ ყველგან ნაგულისხმევია იონელები.
3. ფორმისა და მატერიისაგან.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

„აუცილებელი" არის დამხმარე მიზეზი, რომლის გარეშე საგნის არსებობა შეუძლებელია. „აუცილებლობაა" იძულება, ან ძალა, რაც ხელს გვიშლის მისწრაფების, ან განზრახვის სისრულეში მოყვანაში, აგრეთვე ის, რასაც არ შეუძლია სხვაგვარად იარსებოს. აუცილებლობას განეკუთვნება დასაბუთებაც, რომელიც არ შეიძლება სხვაგვარად იქნას წარმოებული. ყველაზე მთავარი აუცილებლობაა მარტივი მოვლენა, რომელსაც არ შეუძლია მრავალგვარი იყოს და რომელშიაც არაფერია იძულებითი, ან ბუნების საწინააღმდეგო.

1. εἰς Αἴγιναν, ეგინა, კუნძულის სახელია.
2. Εὔηνος, ევენოსი, სოკრატეს თანამედროვე ფილოსოფოსი და პოეტი, ელეგიების ავტორი
3. ციტატა მოტანილია სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიიდან „ელექტრა".
4. ამ თავის ძირითადი შედეგია უძრავი მამოძრავებლის დაშვების აუცილებლობა, რომლისათვის უცხოა მოძრაობა, იძულება და ყოველივე არაბუნებრივი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მმართველობის უმაღლესი ფორმისთვისაც უცხო უნდა იყოს ძალმომრეობა, ძალადობა, იძულება, ტირანია.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

„ერთი" არის თავისთავადი და შემთხვევითი. შემთხვევითი „ერთი" შემთხვევითი ნიშანია. თავისთავადი ერთი უწყვეტია ან ბუნებრივად, ან ხელოვნურად. უწყ-

ვეტი შეიძლება იყვნენ მოხრილი საგნებიც, აგრეთვე საგნები, რომლებ[illegible] აქვთ მოძრაობა. უწყვეტი კი ის მოძრაობაა, რომელიც [illegible] [illegible] [illegible], ერთი სახის [illegible] [illegible] [illegible] სუბსტანციით, მატერიის ქონე საგნებს ან ანალოგიით ერთო. მრავალზე „ერთის“ საწინააღმდეგო აზრით შეიძლება ლაპარაკი.

თავი მეშვიდე

არსებული ან შემთხვევითია, ან აუცილებელი. შემთხვევითი რაიმე[illegible] ვევით ნიშანს ნიშნავს. თავისთავადი კი იმდენივე მნიშ[illegible] [illegible] [illegible] [illegible]ებიც კატეგორიაა. არსებული ნიშნავს ჭეშმარიტებასაც, არარსებული — მც[illegible]რობას [illegible] ნიშნავს ზოგჯერ შესაძლებელ და ზოგჯერ რეალურ არსებობას.

თავი მერვე

არსება ნიშნავს ელემენტს, დამოუკიდებელი საგნის მიზეზს, ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს საგანს და რომლის მოსპობით ისპობა საგანი. ძირითადად მას ორი მნიშვნელობა აქვს: სუბსტრატი და კონკრეტული საგანი.

თავი მეცხრე

იგივეობრივი ერთი და იმავეს შემთხვევითი ნიშანია [illegible] შემდეგი მნიშვნელობაა „ერთი“ და იგულისხმება ის საგნები, რომლებსაც ან სახე, ან მატერ[illegible], ან არსება ერთი აქვთ.

„განსხვავებული“ ნიშნავს სხვას არსების, რაოდენობის, სახის, გვარის, [illegible] მიმართების მიხედვით. განსხვავებულს მსგავსი უპირისპირდება.

თავი მეათე

„დაპირისპირებული“ ეწოდება წინააღმდეგობას, უარყოფას, მიმართებას, ნაკლოვანებას. მოწინააღმდეგე მხარეები არ ებრბენ ერთი და იმავე [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ყველაზე მეტად განსხვავებული [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] განსხვავებული [illegible] [illegible]. ყოველივე დანარჩენს კი მოწინააღმდეგე ან იმიტომ ეწოდება, რომ აქვს წინააღმდეგობის მიღების უნარი, ან იმიტომ, რომ უკვე ახასიათებს იგი.

1. Ἀντικείμενα λέγεται ἀντίφασις καὶ τἀναντία [illegible] არის უარყოფა და წინააღმდეგობა“. აქ „დაპირისპირებული“ ნახმარია წინააღმდეგობის [illegible] ფორმათა ზოგად სახელად. პირველი ტერმინი „უარყოფა“ (ἀντίφασις) კონტრადიქტორული წინააღმდეგობ[illegible] [illegible] ნახმარი, მეორე [illegible] (τἀναντία) კონტრარული [illegible]

2. „შედგენილი ფერები“ — ნაგულისხმევია ის ფერები, რომლებიც საწყისი ფერებიდან, თეთრიდან და შავიდან მიიღება.

3. ἁπλῶς „ზოგად განსხვავებად“ ვთარგმნეთ, რაშიც საგანთა შორის არსებული სუბსტანციალური განსხვავებაა ნაგულისხმევი.

თავი მეთერთმეტე

„წინამორბედია“ პირველი ან სიმარტივით, ან თავისი ბუნებით, ან მი[illegible]ებით, ან ადგილით, ან ვინმეს თვალსაზრისით, ან დროით, ან პირველ მამოძრავებელთან სიახლოვის, სიძლიერის, ან წინამორბედი საგნების თვისებების თვალსაზრისით. რაც აზროვნებისათვის პირველია, ის პირველია სუბსტანციალურადაც, თუმცა აზროვნებისათვის პირველი ზოგადია, შეგრძნებებისათვის პირველი კი ინდივიდუალური.

1. მიდიური ომები, ანუ სპარსეთის ომები.

2. τὰ Νέμεα ნემეური თამაშობანი, რომლებიც იმართებოდნენ ზევს ნემეელის [illegible]

3. Πύθια პითიური თამაშობანი. ნაგულისხმევია თამაშობანი, რომელნიც იმართებოდნენ ორ წელიწადში ერთხელ აპოლონ პითიელის ტაძართან.

თავი მეთორმეტე

„უნარის“ ძირითადი მნიშვნელობაა მოძრაობის, ან უძრაობის საწყისი სხვაში, ან რამდენადაც თვითონაა სხვა. უნარი ნიშნავს სხვისი ზემოქმედების განცდას, ან [illegible] [illegible] [illegible] შესაძლებობას რაიმეს კარგად, ცუდად, [illegible] [illegible]. უნარი ეწოდება აგრეთვე უგრძნობლობის, შეჩერების, უკეთესის ან უარესისაკენ ნებისმიერი ცვალებადობის, სიცრუის ან ჭეშმარიტების თქმის, ნაკლის ქონების, ან არქონების თვისებას. უნარს უუნარობა უპირისპირდება.

1. „მოძრაობის საწყისი სხვაში“, ან „თავის თავში“, ეს გამოთქმები ხშირად გვხვდება „მეტაფიზიკაში“ და გულისხმობს: პირველი სხვის მამოძრავებელს, მეორე კი თავის თავისას.

2. ე. ი. მხოლოდ სიტყვიერად ექნებოდა ეს თვისება და არა სინამდვილეში

თავი მეცამეტე

რაოდენობა აქვს დაყოფადს ისეთ ნაწილებზე, რომელთაგან თვითეული რაღაც ერთია. სიმრავლე ითვლება, სიდიდე იზომება. სიმრავლე იყოფა წყვეტილ და სიდიდე უწყვეტ ნაწილებად [illegible] რაოდენობა თავისთავადია, ზოგი შემთხვევითი. მაგალითად, ხაზი არის რაოდენობა თავისთავად, განათლებული კი შემთხვევით. თავისთავადი რაოდენობა ახასიათებს არსებას. შემთხვევითი რაოდენობა არსების თვისებას, ან მდგომარეობას გამოხატავს. რაოდენობაა მიმართებაცა და სივრცეც.

თავი მეთოთხმეტე

თვისება ერთი მხრივ, სუბსტანციის სახესხვაობაა, მეორე მხრივ, უძრავი და მათემატიკური მოვლენებია. თვისებებია რიცხვებიც, რომელთა მიბაძვაა სიბრტყეები და სხეულები წარმოადგენენ. პირველნი იყოფიან ორი მიმართულებით, მეორენი კი სამი მიმართულებით. თვითეულ რიცხვს ერთი არსება აქვს. ისაა, როგორც უძრავ, ისე მოძრავ საგანთა თვისობრიობის რიცხვებში გამოხატული განსაზღვრება. თვისება არის აგრეთვე მოძრავ საგანთა სახესხვაობა, რაც ვლინდება კარგად, ან ცუდად მოქმედებაში.

თავი მეთხუთმეტე

მიმართებაა რიცხობრივი დამოკიდებულება, დამოკიდებულება მოქმედსა და განმცდელს შორის, შეგრძნებადსა და შეგრძნებებს შორის, შეცნობადსა და ცოდნას შორის, საზომსა და გასაზომს შორის, გააზრებადსა და მოაზროვნეს შორის. მიმართება შეიძლება იყოს არსებითი და შემთხვევითი, რეალობაში და შესა-

ძლ[illegible]ბლობაში [illegible] აზრი[illegible] და გააზრებადი ერთი და იგივე არაა, როგორც შეგრძნება და შეგრძნებადი, რადგან მაშინ ყველაფერი ერთი იქნებოდა. მიმართება ზოგჯერ გულისხმობს არა კონკრეტულ მოვლენებს, არამედ მათ გვარის მიმართ[illegible], ან მიმართ[illegible], დროისა და უნარის მიხედვით, ან რიცხობრივ [illegible], რაც რეალური მიმართება არაა. „ერთი" არსებით ერთს ნიშნავს, „[illegible]" — ერთი თვისების მქონეს, „თანასწორი" — რიცხვით ერთს.

თავი მეთექვსმეტე

დასრულებულია ის, რომლის გარეშე [illegible] არგი, რომელზე უკეთესი არ არსებობს. [illegible] ლია უარყოფითი მოვლენაც, რომელზე [illegible] თვე სიკვდილი საბოლოო მოსპობისა და განადგურების [illegible] ბული იხმარება ერთი რომელიმე გვარი[illegible] მნიშვნელობით და კარგი, ან ცუდი [illegible]

თავი მეჩვიდმეტე

საზღვარი არის საგნის კიდე, რომლის უპირველესი არ არსებობს. [illegible] იწყება მისგან და მისკენ მიემართება. ის ნიშნავს საგნის არსებას, [illegible] ერთობ, მიზანს, შემეცნების საზღვარს. მასზე იმდენივე მნიშვნელობით ლაპარაკობენ, როგორც საწყისზე, ყველა საწყისი საზღვარია, მაგრამ არა პირიქით.

თავი მეთვრამეტე

„რაიმეს შესატყვისად" ნიშნავს საგნის ფორმასა და არსებას, აგრეთვე მატერიას და მდგომარეობას.

საერთოდ, მას იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც მიზეზს. „თავისთავადი" ნიშნავს საგნის არსებას, არსების თვისებებს, იმას, რასაც სხვა მიზეზი არა აქვს და რაც მხოლოდ მას ახასიათებს, სხვა საგნებისაგან დამოუკიდებლად

თავი მეცხრამეტე

„განლაგება" იმ საგანს აქვს, რომლის ნაწილები მოწესრიგებული არიან ადგილის, უნარის, ან სახის მიხედვით.

თავი მეოცე

„ქონება" ნიშნავს მქონებელის დამოკიდებულებას ქონებისადმი მოქმედების, ან მოძრაობის სახით. ქონება არის აგრეთვე ან საგნის, ან მისი ნაწილთა რაღაც მდგომარეობა, რის გამოც საგანი კარგ, ან ცუდ განწყობაშია თავის თავის, ან სხვის მიმართ, ე. ი. ქონება არის საგნის, ან მის ნაწილთა რაღაც განწყობა.

თავი ოცდამეერთე

„განცდა" ნიშნავს თვისების ცვალებადობას, აგრეთვე საზიანო და [illegible]ნო ცვლილებებსა და მოძრაობებს.

თავი ოცდამეორე

„ნაკლი" არის იმის მთლიანად ან ნაწილობრივ არქონება, ან სუსტად ქონება, რის ქონებაც ბუნებრივია ან ამ კონკრეტული საგნისთვის, ან მთელი გვარისთვის. არქონება „ნაკლია", მაშინ, იქ, სადაც, რის მიმართ, ან რასთან შედარებით ეს თვისება უნდა ჰქონდეს საგანს. ნაკლია აგრეთვე რაიმესათვის რაიმეს ძალდატანებით წართმევა. საერთოდ, ნაკლს იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რაც „არა" ნაწილაკით დაწყებულ უარყოფას.

თავი ოცდამესამე

„ქონება" ნიშნავს ან საკუთარი ბუნების და მისწრაფების შესატყვისად [illegible]ქმედებას, ან რაიმეს რაიმეში არსებობას, [illegible] [illegible]ცულს, ან იმას, რომელიც რაიმეს ხელს უშლის მოქმედებაში თავისი მისწრაფებისა და მოწოდების შესაბამისად.

თავი ოცდამეოთხე

„რაიმესაგან" იხმარება მატერიისაგან, ან უძრავი მამოძრავებელისაგან, ან მთელისაგან, ან მთელის ნაწილებისაგან წარმოებული საგნის, ან გვარის აზრით, ზოგჯერ კი დროული თანმიმდევრობის აზრით.

1. τὰ Διονύσια დიონისეს დღესასწაული, იმართებოდა დიონისე ვაკხის პატივსაცემად წელიწადში ოთხჯერ.

2. Θαργήλια თარგელიონი, მისი დღესასწაული, იმართებოდა თარგელიონში, მკათათვეში, ივლისის თვეში.

თავი ოცდამეხუთე

„ნაწილია" ის, რაზედაც იყოფა ნებისმიერი სიდიდე. ზოგჯერ „ნაწილი" ფორმის, მთელის, ან სახის საზომს ნიშნავს. ნაწილი ნიშნავს აგრეთვე ცნების შემადგენელს.

თავი ოცდამეექვსე

მთელია ის, რასაც არაფერი არ აკლია იმისგან, რაც მთელის ბუნებას ჰქმნის. ასეთია გარემოცული და გარემომცველი, საგანი და მისგან წარმოშობილი რაიმე, ზოგადი, მთელი, უწყვეტი, განსაზღვრული სიდიდე. გარკვეული რაოდენობა, რომლის ნაწილები მდებარეობით არ განსხვავდებიან, არის „ყველა" და რომლის ნაწილები განსხვავდებიან, არის „მთელი", თუ ორივეთი განსხვავდებიან, მაშინ გვაქვს როგორც მთელი, ისე ყველა. „მთელი" შეიძლება იხმარებოდეს გადატანითი მნიშვნელობით, როგორც მაგალითად, ამბობენ „მთელი წყალი" და „მთელი რიცხვი".

თავი ოცდამეშვიდე

„არამთელი" ეწოდება დაყოფად სიდიდეს, რომელიც იმავე არსებას ინარჩუნებს, რაც მთელს ჰქონდა. საგანი ხდება არამთელი არა ნებისმიერი ნაწილის დაკარგვით, არამედ მაშინ, თუ მოტეხილი აქვს ნაპირი, ან რომელიმე კიდური ნაწილი. მაგალითად, ადამიანი ხეიბრად ითვლება არა სხეულის ნებისმიერი ნაწილის დაზიანებისას (ელენთა ან ღვიძლი), არამედ კიდურების დაზიანებისას. არამთელი არაა არც ის საგანი, რომლის ნაწილებს არა აქვთ განსხვავებული განლაგება, როგორიცაა წყლის, ან ცეცხლის ნაწილები. არამთელი არა გვაქვს არც იქ, სადაც ნაწილებს არსების შესატყვისი განლაგება აქვთ.

თავი ოცდამერვე

გვარი გვაქვს მაშინ, როდესაც ერთი და იმავე სახის საგნების უწყვეტი წარმოშობა ხდება. ის ნიშნავს აგრეთვე მატერიას, რომელიც მთელის შემადგენლობაში შედის. „სხვაგვარისა“ კი იმ საგნებს ეწოდებათ, რომლებსაც პირველი სუბსტრატი სხვადასხვა აქვთ და ერთმანეთზე არ დაიყვანებიან. აგრეთვე იმათ, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნიან.

თავი ოცდამეცხრე

„მცდარი“ არის მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, აგრეთვე მოვლენა, რომელიც გვგონია, რომ სინამდვილეში ასეთი არაა. ამგვარად, მცდარი აზრის ობიექტი არარსებულია. „ცრუ“ იმ ადამიანზე ითქმის, რომელიც თვითაც აძლევს უპირატესობას, და სხვასაც აჩვევს ასეთ მსჯელობებს. ცრუ მოვლენები იწვევენ ცრუ წარმოდგენებს.

თავი ოცდამეათე

შემთხვევითია ის, რაც არც აუცილებელია და არც უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს რაიმეს. ასეთი კი შეიძლება იყოს, როგორც საგანი, ისე თვისება, რომელიც რომელიმე საგანს ახასიათებს, მაგრამ არა აუცილებლად გარკვეულ ადგილსა და გარკვეულ დროს. აგრეთვე ის თვისებები, რომლებიც არ შედიან საგნის არსების შემადგენლობაში და რომელთა მიზეზები განუსაზღვრელია.

წიგნი მეექვსე

თავი პირველი

ბუნებისმეტყველება სწავლობს დამოუკიდებელ, მაგრამ არა უძრავ საგნებს, მათემატიკა კი — დამოუკიდებელსა და უძრავს. თუმცა არაა გარკვეული, არსებობენ თუ არა ასეთი მოვლენები. მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების გარდა, არსებობს აგრეთვე თეოლოგია, როგორც თეორიული მეცნიერება. მისი ობიექტი ღვთაებრივია, თუ ასეთი ობიექტები არსებობენ. თუ ბუნებრივი სუბსტანციის გარდა, სხვა სუბსტანცია არ არსებობს, მაშინ ბუნებისმეტყველება იქნება პირველი მეცნიერება. და თუ არსებობს რაღაც სხვა ობიექტები, მაშინ უნდა არსებობდეს მათი შემსწავლელი მეცნიერება, რომლის საქმე იქნება არსებულის, როგორც არსებულის, არსებისა და თვისებების კვლევა.

თავი მეორე

შემთხვევითია ის, რაც არც აუცილებელია, არც მუდმივად და არც მეტწილად არსებული. მისი გამომწვევი მიზეზი არის მატერია. ყოველი მეცნიერება სწავლობს ან მარადიულს, ან მეტწილად არსებულს, ან აუცილებელს. შემთხვევითი კი არ აინტერესებს არც ერთ ჭეშმარიტ მეცნიერებას და მას მხოლოდ სოფისტიკა სწავლობს.

თავი მესამე

ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. ამ მიზეზს კიდევ სხვა მიზეზი, ამას სხვა და ასე შემდეგ. მაგრამ ეს პროცესი არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს და აუცილებელია ისეთი მიზეზის არსებობა, რომელსაც სხვა მიზეზი არ ექნება. ასევე არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს შედეგთა მწკრივი, არამედ სადღაც მივადგებით მომენტს „ახლა“, რომელიც შედეგთა მწკრივში უკანასკნელია.

თავი მეოთხე

ჭეშმარიტება მდგომარეობს ჩვენი აზრის სინამდვილესთან შედარებაში, ე. ი. ჭეშმარიტება გვაქვს მაშინ, თუ შეკავშირებულს სინამდვილეში ვაკავშირებთ აზროვნებაშიც, დაშორებულს სინამდვილეში, ვაშორებთ აზროვნებაშიც და პირიქით. ამრიგად, ჭეშმარიტება და სიცრუე ისევე, როგორც აზრთა შეკავშირება და დაცილება, არსებობს აზროვნებაში და არა სინამდვილეში. ხოლო საგანი და მისი თვისებები კი არსებობენ სინამდვილეში და არა ჩვენს აზროვნებაში.

წიგნი მეშვიდე

თავი პირველი

პირველადი არის სუბსტანცია და ყოველივე სხვა კი მის შესახებ ითქმის, იქნება ეს რაოდენობა, თვისება თუ სხვა რომელიმე კატეგორია. ყველა სხვა დანარჩენი კატეგორია მაშინ ვიცით კარგად, თუ არსება ვიცით. არსება არის დამოუკიდებელი. ის პირველია, როგორც დროის, ისე ცნებისა და შემეცნების თვალსაზრისით.

1. τὸ τί ἐστι და τόδε τι სიტყვა-სიტყვით „რაც ყოფნა“ და „რაიმედ ყოფნა“, რაც საგანს ან მის არსებას გამოხატავს. ეს ტერმინები ჩვენ გადმოვეცით სიტყვით „საგანი“.

2. τρίπηχυς, τρία სამი, πῆχυς წინამხარი, იდაყვი, წყრთა—ზომის ერთეული ძველ საბერძნეთში. სამი წყრთა უდრიდა დაახლოებით 1,4 მეტრს.

3. ტერმინით „სუბსტანცია“ ჩვენ ყველგან გადმოვეცით სიტყვა ἡ οὐσία.

4. ნაგულისხმევია საგანი, როგორც ასეთი და არა რაიმე განსაზღვრულობა.

თავი მეორე

სუბსტანციას სხეულებრივი საგნები წარმოადგენენ. წინამორბედი მოაზროვნეები კი შეგრძნებადი სუბსტანციების გარდა უშვებდნენ სხვა სახის სუბსტანციებსაც, ზოგი იდეის სახით, ზოგი მათემატიკური მოვლენებისა და ზოგიც გეომეტრიული მოვლენების სახით. ამიტომ საკვლევია, არის თუ არა ყოველივე ეს დამოუკიდებლად არსებული სუბსტანცია.

თავი მესამე

სუბსტანცია ნიშნავს კონკრეტულ საგანს, ზოგადს, გვარეობით ცნებას, სუბსტრატს, რომელიც არ ითქმის სხვაზე, არამედ ყოველი სხვა ითქმის მასზე. მატერია არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, რადგან ის მხოლოდ შესაძლებლობაა და დამოუკიდებლად არ არსებობს. ამავე მიზეზით სუბსტანცია არ არის რაოდენობა, რიცხვი, ან გეომეტრიული ფიგურა, რაც სუბსტანციას ახასიათებს. ამიტომ სუბსტან-

ცია უფრო მეტად შეგრძნებად მოვლენებს შორის არის საძიებელი. კვლევის მეთოდთა შორის ყველაზე უფრო მისაღებია მეთოდი, რომელიც მიემართება ერთისათვის ცნობილიდან და ნაკლებ ცნობილიდან საყოველთაოდ ცნობილისა და კარგად ცნობილისკენ. თუმცა სავსებით დამაკმაყოფილებელი არც ეს მეთოდი შეიძლება იყოს.

1. არისტოტელე აქ გადმოსცემს თავის ცნობილ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ არსებობს ორი საწყისი: ფორმა და მატერია. საგნები კი მათ ერთიანობას წარმოადგენენ და ამ საწყისებიდან არიან წარმოებული. ფორმა წინ უსწრებს როგორც მატერიას, ისე იმას, რაც ფორმისა და მატერიის შეერთებით არის წარმოშობილი, ე. ი. საგანს.

თ ა ვ ი   მ ე ო თ ხ ე

საგნის არსება არის ის, რასაც წარმოადგენს საგანი თავისთავად. არსება არის რაღაც პირველადი, რაც სხვაზე არ ითქმის. ცნება და განსაზღვრება გამოხატავს მხოლოდ არსებას და პირველ რიგში სუბსტანციის არსებას. თუმცა იგი შეიძლება ჰქონდეთ სხვა კატეგორიებსაც, მაგრამ არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით.

1. არისტოტელე აქ გამოთქვამს წინამორბედ თავში გამოთქმულის საწინააღმდეგო შეხედულებას, რადგან თუ იქ სუბსტანციად აღიარებული იყო მხოლოდ შეგრძნებადი მოვლენები, აქ ზოგადი ცნება.

2. სიმარტივეში იგულისხმება ზოგადობა, ე. ი. რაც უფრო ზოგადია ცნება, მით ნაკლები ნიშნების შემცველია ის და მით უფრო ზუსტია. ამრიგად, სიზუსტე მატულობს ზოგადობასთან ერთად.

3. Περὶ ἕκαστον კუბიცკისთან ეს ტერმინი თარგმნილია „თვითეული საგნის“ მნიშვნელობით. ჩვენ კი ის გადმოვეცით „არსებობის სხვა სახეებით“ და მართლაც, აქედან დაწყებული მსჯელობა ეხება უფრო მეტად არსებობის სხვა კატეგორიებს, ვიდრე სუბსტანციებს.

4. ὁμώνυμα ჰომონიმები, მოვლენები, რომლებსაც საერთო აქვთ მხოლოდ სახელი, სიტყვა და არა შინაარსი.

5. იგულისხმება ნიშნების მიმატება-დაკლებით ცნებების მოცულობის გაფართოვება-შემჭიდროვების ცნობილი ლოგიკური ოპერაცია.

თ ა ვ ი   მ ე ხ უ თ ე

საგნის შემთხვევითი თვისებები შეიძლება დაშორდეს საგანს, არსებითი კი არა. არსებას გამოხატავს ყოველთვის ერთი ცნება, თვისებები კი საჭიროებს ახალი ცნებების დამატებას, რადგან ყოველი ახალი სახე ახალ ცნებასა და ტერმინს მოითხოვს. სახე არის გვარი სახეობით ნიშანთან ერთად.

თ ა ვ ი   მ ე ე ქ ვ ს ე

საგანი და მისი არსება ერთი და იგივეა, მაგრამ ერთი და იგივე არაა საგანი და მისი შემთხვევითი თვისება. არსება რომ საგნისგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაშინ საგანი შეუცნობელი იქნებოდა, გარდა ამისა წარმოიშვებოდა „მესამე ადამიანი“, ანუ პროცესის დაუსრულებლობა. საგნისა და მისი არსების იგივეობა განსაკუთრებით აუცილებელია კონკრეტულ საგნებში, სადაც საგანსა და არსებას ცნებაც იგივეობრივი აქვთ.

1. აქ კითხვა ეხება შემთხვევითი ნიშნის არსებასთან და მერე შემთხვევით ნიშანთან მიმართებას. შემთხვევითი ნიშანი რომ არსებასთან იგივეობრივი ყოფილიყო, მაშინ „ადამიანი“ და „თეთრი ადამიანი“ იგივე იქნებოდა, მეორე მხრივ, ერთი და იგივე იქნებოდა „თეთრი ადამიანი“ და „განათლებული ადამიანი“, რაც აბსურდია, მაშასადამე, არსება და შემთხვევითი თვისებები იგივეობრივი არ არიან, როგორც არაა იგივეობრივი ორი შემთხვევითი თვისება.

2. არისტოტელე, მართალია, პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ სინამდვილეში აქ ებრძვის პლატონის დებულებას საგნისა და მისი არსების არაიგივეობის შესახებ.

3. იდეის, ანუ საგნის არსების საგნისაგან დამოუკიდებელი არსებობის შემთხვევაში იდეა აღარ იქნება იგივეობრივი საგანთან.

4. არისტოტელე განაგრძობს კრიტიკას პლატონის დებულებისა იდეების საგნებისაგან დამოუკიდებელი არსებობის შესახებ. და საგნების არსებობა იდეების გარეშე მას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია.

5. არისტოტელე იცავს აზრს საგნისა და მისი არსების იგივეობის შესახებ. უფრო ადრე კი უარყოფდა საგნისა და მისი შემთხვევითი თვისების იგივეობის შესაძლებლობას.

6. არისტოტელემ საგნისა და მისი არსების იგივეობის დებულებას დაუმატა დებულება საგნისა და მისი არსების გამომხატველი ცნების იგივეობის შესახებ.

7. აქ წამოყენებულია არისტოტელეს ცნობილი არგუმენტი „მესამე ადამიანის“ შესახებ, რომლის მიხედვით, თუ ორიანი და მისი არსება სხვადასხვაა, და სხვაა მათი ცნება, მაშინ საჭირო გახდება რაღაც მესამე, რომელიც გააერთიანებდა მათ. შემდეგ კიდევ რაღაც მეოთხე, მესამისა და პირველ ორთა გამაერთიანებელი და ა. შ. უსასრულოდ.

თ ა ვ ი   მ ე შ ვ ი დ ე

წარმოშობა სამგვარია: ბუნებრივი, ხელოვნური, შემთხვევითი. იმ მატერიას, რისგანაც არის წარმოქმნილი საგანი, პირდაპირ კი არ ვასახელებთ, არამედ წარმოებული სახელით. მაგალითად, ქანდაკებაზე არ ვამბობთ „ქვა“, არამედ „ქვისა“. ხელოვნურად წარმოქმნილ საგნებს უსწრებს ფორმა, ხოლო ბუნებრივად წარმოშობილთ — მატერია. მაგალითად, სახლს წინ უსწრებს სახლის ფორმა, რომელიც არსებობს მშენებლის თავში. სახლის მშენებლობა იწყება ამ ფორმის მთლიანად გააზრების შემდეგ. ამრიგად, აუცილებელია, რომ ყოველ წარმოშობილ მოვლენას უსწრებდეს მისი რაიმე ნაწილი

1. ταὐτομάτου-ს აქვს როგორც „შემთხვევითის“, ისე „თავისთავადის“ მნიშვნელობა. ეს ტერმინი ჩვენ არ ვთარგმნეთ, როგორც „თავისთავადი“, რადგან ქვემოთ „შემთხვევითი“ გადმოცემულია ტერმინით ἀπὸ τύχης.

2. აქ ყველგან ნაგულისხმევია წარმოშობა იმ ფორმიდან, ანუ იდეიდან, რომელიც ადამიანის სულში არსებობს და რომელიც შემდეგ ხორციელდება. წარმოშობა ყოველთვის ხორციელდება რაიმედან რაიმეს ზემოქმედებით და იქცევა რაიმედ. ბუნებრივი საგნების წარმოშობა ხდება მატერიიდან ბუნებრივივე საგნების ზემოქმედებით. საგნები, რომლებიც შეიცავენ მატერიას, შეიძლება არსებობდნენ და შეიძლება არა. ყოველი საგანი წარმოშობს იმავე სახის საგანს. მაგალითად, ადამიანი ადამიანს ბადებს.

3. ἡ ὁμαλότης გადმოვეცით სიტყვით „ზომიერება“, რაც კუბიცკის თარგმნილი აქვს სიტყვით равномерность. ჩვენი აზრით, ἡ ὁμαλότης უნდა

ნიშნავდეს ძველი ბერძნებისათვის კარგად ცნობილ „ზომიერებას“, ე. ი. ფორმულის „არაფერი უზომოდ“, რაც ადამიანებს მოუწოდებდა ყოველივეს ზომიერი და გონივრული გამოყენებისაკენ, და რაც ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საწინდარი იყო. პირიქით, ზომას გადაცილება, მათი აზრით, ღუპავდა ადამიანს.

თავი მერვე

წარმოშობა ნიშნავს რაიმესაგან რაიმეს რაღაცის ზემოქმედებით რაიმედ გარდაქცევას. ყოველივეა წარმოშობა შეიძლება, გარდა ფორმისა და მატერიისა, რადგან ამ შემთხვ[illegible] ბოდა. ფორმისა და მატერიისაგან წარმოშობილი კონკრეტული საგნების გარდა, სხვა არაფერი დამოუკიდებელი არ არსებობს იდეების სახით, რომელთა არსებობის აზრი ეკარგებოდა [illegible] საგან [illegible] ეძებს. მართალია, წარმოშობილი გავს წარმომშობს სახით, მაგრამ მასთან იგივე [illegible] ბრივი არ არის.

1. არისტოტელე ილაშქრებს წარმოშობის პროცესის დაუსრულებლობის წი[illegible] ლად და წარმოუქმნელად მიაჩნდა.

2. ე. ი. არ წარმოიშვება ფორმა და მატერია, არამედ მხოლოდ მათგან შედგენილი მთელი.

3. კითხვა ეხება იმას, რომ შეიძლება, თუ არა, რომ კონკრეტული საგნებისაგან დამოუკიდებლად სხვა კონკრეტული დამოუკიდებელი საგნების, ე. ი. იდეების არსებობა, რაზეც უარყოფითი პასუხია გაცემული.

4. კვლავ ნაგულისხმევია იდეები და უარყოფილია მათი საგნებისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

5. აკრიტიკებს პლატონის მოძღვრებას იდეებზე და ამტკიცებს, რომ ისინი, როგორც დამოუკიდებელნი, არ არიან საგნების წარმოშობის მიზეზნი, ამიტომ ისინი საგნებშივე უნდა არსებობდნენ.

თავი მეცხრე

ყოველი საგანი იმავე სახის საგანს წარმოშობს. მაგალითად, ადამიანი ბადებს ადამიანს. ხელოვნური წარმოშობის დროს კი ფორმა წინ უსწრებს კონკრეტულ საგანს, მაგალითად, სახლის იდეა მშენებლის თავში წინ უსწრებს კონკრეტულ სახლს [illegible] ხით არსებობს თესლში. წარმოიშვება არა რომელიმე კატეგორია, ან ფორმა და მატერია [illegible] მიანი, არა თვისება ან რაოდენობა, არამედ კონკრეტული თვისების, ან რაოდენობის მქონე საგანი.

საგანი უნდა დასახელებულ იქნას ფორმისა და არა მატერიის მიხედვით. მაგალითად, სოკრატეს ქანდაკებაზე შეიძლება ითქვას, რომ ეს სოკრატეა, მაგრამ ვერ ვიტყვით რომ ეს ხეა.

თავი მეათე

ცნება ზოგჯერ შეიცავს ნაწილთა ცნებას, ზოგჯერ კი არა. მაგალითად, წრის ცნება არ შეიცავს [illegible], მარცვალი კი შეიცავს, რადგან [illegible] განი განისაზღვრება ფორმით და ცნებაში მხოლოდ ფორმის ნაწილები შეიძლება

იქნას მოცემული აწორედ ამიტომ არ მოხვდა წრის ნაწილები, როგორც მატერიალური ნაწილები, წრის ცნებაში, მარცვლის ნაწილები კი მოხვდა. რადგან საგნის მატერიალური ნაწილები დამოკიდებული არიან ფორმისაგან, ამიტომ ფორმის ნაწილები წინ უსწრებენ მთელის ცნებას, მატერიისა კი მას მოსდევენ. რადგან ნაწილების ცნება დამოკიდებულია მთელისაგან, ამიტომ მთელის, როგორც დამოუკიდებელის, ცნება უსწრებს ნაწილებისას. არის გამონაკლისები, ზოგი მატერიალური ნაწილი შეიძლება შევიდეს ცნების შემადგენლობაში, თუ ის არსების შემადგენლობაშიც შედის, ხოლო ზოგი ფორმალური ნაწილი კი არ მოხვდეს მასში, თუ ის მატერიას უახლოვდება თავისი მნიშვნელობით. საგნის დაშლა მის მოსპობას უდრის, ამიტომ ის საგნები, რომლებიც იშლებიან ფორმად და მატერიად, ისპობიან კიდეც და პირიქით, არ იშლებიან არამატერიალური მოვლენები. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგნის ფორმას, რადგან ფორმა იგივე საგანია და საგნის არსება.

1. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე ერთნაირად უარყოფს ფორმისა და მატერიის საგნებისაგან დამოუკიდებელ არსებობას, ფორმას მატერიასთან და საგანთან შედარებით მაინც პირველადად და უკეთესად თვლის. მის ნაწილებს კი ცნების ნაწილებად მიიჩნევს, წინააღმდეგ მატერიის ნაწილებისა, რომლებიც ცნებაში არ შედიან.

2. თუ ის მთელი საგანია, ე. ი. შემდგარი ფორმისა და მატერიისაგან, მაშინ მისი ცნებაც რთული, ანუ შედგენილი იქნება.

3. არისტოტელე, ერთი მხრივ, ამტკიცებს ფორმისა და ცნების პირველადობასა და უპირატესობას, მატერიასთან შედარებით, მეორე მხრივ, საგნის არსების ასეთსავე [illegible] რომელიც ყველგან და ყოველთვის ცდილობდა განთავისუფლებულიყო პლატონის გავლენისაგან, ამ საკითხში ისევ მისი გავლენის ქვეშ დარჩა, აღიარა რა მთელი საგნის და მატერიის დაშლადობა, განსხვავებით ფორმისა და სულისაგან.

თავი მეთერთმეტე

კონკრეტული საგნის ცნება მაშინ იქნება ნათელი, როდესაც მატერიისა და ფორმის ნაწილები გაირკვევა. მატერია კი ხან სცილდება ფორმას, ხან კი არა. მიუხედავად ამისა, მატერია არასოდეს არის საგნის არსება. არისტოტელე აღნიშნავს, რომ მათემატიკური მოვლენების, როგორც საგანთა არსებების, გარეთ გამოტანა არ ამარტივებს საქმეს, რადგან გაუგებარია, თუ საგნებს გარეთ მყოფი არსება როგორღა აერთიანებს კონკრეტული საგნების სიმრავლეს. საგანთა გარეთ მყოფი სუბსტანციის არსებობის საკითხის განხილვას კი არისტოტელე გვპირდება ქვემოთ. პირველად სუბსტანციებში, ე. ი. ისეთ საგნებში, რომელიც არც სხვაზე ითქმის და არც სხვაში არსებობს, არსება იგივეა საგანთან.

1. იგულისხმება მატერიისა და ფორმისაგან შემდგარი საგანი.

2 საგნის არსება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მატერიაში, როგორც წრე სპილენძში, ქვაში ან ხეში, მაგრამ ის მაინც წრედ რჩება. ე. ი. საგნის მატერიალური მხარე საგნის ჩამოცილებადი ნაწილია და მისი ჩამოცილებით საგანი არ წყვეტს არსებობას, ფორმის ჩამოცილებით კი ისპობა საგანი, რადგან ფორმა საგნის არსებაა.

3 არისტოტელე აქ მიზნად ისახავს პითაგორელთა მოძღვრების კრიტიკას.

4. ფორმაზე დაყვანა.

5. ნაგულისხმევია თეეტეტის ამხანაგი და თანატოლი, სოკრატეა წრის წევრი.

6 არისტოტელეს მხედველობაში აქვს პითაგორელების მოძღვრება, რომლის მიხედვით, შეგრძნებადი მოვლენებისაგან დამოუკიდებლად, არსებობენ მათემატიკური მოვლენები და პლატონის მოძღვრება, რომლის მიხედვით, საგნებს გარდა, არსებობენ იდეები. ამ მოძღვრებათა შესახებ არისტოტელე ცოტა ქვემოთ მსჯელობს.

თავი მეთორმეტე

არისტოტელე განიხილავს განსაზღვრების საკითხს. აღნიშნავს რა, რომ ის ეხება არსებას და ცნებით არის გამოხატული. განსაზღვრება მიიღება გვარის სახესხვაობასთან დაკავშირებით. გვარი, ჩვეულებრივად, ერთია, ხოლო მასთან დაკავშირებული სახესხვაობანი კი ბევრი, რადგან გვარს უკავშირდება არა მარტო სახეები, არამედ სახეთა სახეებიც. და ასე მანამ, სანამ არ მივაღწევდეთ დაუყოფელ სახეს, რომელიც არსება და ფორმაა.

თავი მეცამეტე

კვლავ განხილულია ზოგადისა და კონკრეტული ურთიერთობის საკითხი. უარყოფილია ზოგადის კონკრეტულისაგან დამოუკიდებელი არსებობა, აგრეთვე ზოგადის კონკრეტულობა. ამ მიზნით დასახელებულია მათ შორის განმასხვავებელი რიგი ნიშნებისა:

ა. ყოველ საგანს აქვს თავისი არსება, ზოგადი კი საერთოა ბევრისათვის

ბ. სუბსტანცია არ ითქმის სხვაზე, ზოგადი კი ყოველთვის სხვაზე ითქმის.

გ. სუბსტანცია პირველადია, ზოგადი კი დამოკიდებული კონკრეტული საგნისაგან და მის შემდეგ არსებული

ზოგადის სუბსტანციალობის დაშვების შემთხვევაში ვიღებთ შემდეგ შეუსაბამო შედეგებს:

ა ერთ კონკრეტულ საგანში იარსებებს რამოდენიმე კონკრეტული საგანი, რაც შეუძლებელია, რადგან ორი რეალურად არსებული საგანი ვერასოდეს ვერ შექმნის ერთ საგანს.

ბ. ვიღებთ პროცესის დაუსრულებლობას, ანუ „მესამე ადამიანს"

გ. ზოგადი რომ ყველას არსება ყოფილიყო, მისი სუბსტანციალობის შემთხვევაში ყოველივე მასთან გაერთიანდებოდა

დ ზოგადი საგნისაგან დამოუკიდებელ მიზეზად რომ მიგვეღო, მაშინ არასუბსტანცია და თვისება სუბსტანციაზე ადრე იქნებოდა, რაც დაუშვებელია და შეუძლებელი.

ე. მაგრამ, თუ სუბსტანცია არაა ზოგადი და არც საგანი შედგება რეალური სუბსტანციებისაგან, მაშინ ყველა სუბსტანცია მარტივი იქნება და არც ერთ სუბსტანციას არ ექნება ცნება. მაშ კვლავ საკვლევია, თუ რაა ზოგადი და რასა აქვს ცნება და განსაზღვრება.

თავი მეთოთხმეტე

არისტოტელე განაგრძობს იმ შეუსაბამო შედეგების ჩვენებას, რაც გამომდინარეობს ზოგადის დამოუკიდებელი არსებობის დაშვებიდან:

ა თუ იდეა საგანთა არსებაა, ის მათგან დამოუკიდებელი ვერ იქნება და თუ მათგან დამოუკიდებელია, მაშინ დამოუკიდებელი იქნება მისი შემადგენელი ნაწილებიც.

ბ. თუ ის ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებებში მონაწილეობს, მაშინ ერთსა და იმავე საგანს ერთდროულად საწინააღმდეგო თვისებები ექნება, რაც არისტოტელეს, საერთოდ, დაუშვებლად მიაჩნია.

გ. უაზრობაა იდეის მონაწილეობა საწინააღმდეგო თვისებებში შერევით, ან შეხებით.

დ. თუ იდეა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის სხვა, მაშინ იმათი რიცხვი, რომელთაც არსებად აქვთ იდეა, განუსაზღვრელი იქნება. განუსაზღვრელი იქნება ცხოველიც თავისთავად.

ე. კონკრეტული საგნები შემდგარი იქნებოდნენ იდეებისაგან, რაც მას შეუძლებლად მიაჩნია. ყოველივე ამის საფუძველზე დაასკვნის, რომ იდეები არ უნდა არსებობდნენ იმ სახით, როგორც უშვებენ მათ იდეებზე მოძღვრების მომხრენი.

თავი მეთხუთმეტე

ცნება მარადიულია, ისპობა მთელი, ე. ი. საგანი, რომლის შემადგენლობაში შედის მატერია. ამავე მიზეზით არ არსებობს კონკრეტული საგნის განსაზღვრება, არც ცნება, არც ცოდნა და არც მტკიცება, არამედ მხოლოდ შეხედულება. არ შეიძლება არც იდეის განსაზღვრება იმავე მიზეზით, სახელდობრ, იმიტომ, რომ ის, იდეების მომხრეთა აზრით, ისევე კონკრეტულია, როგორც ცალკე აღებული საგანი.

თავი მეთექვსმეტე

სუბსტანციები არ არიან ცხოველთა ნაწილები, ან ელემენტები, რომლებიც არსებობენ მხოლოდ შესაძლებლობაში და არა რეალურად. ზოგადიც, რომელიც ახასიათებს ბევრს და ბევრში იმყოფება, დამოუკიდებლად არ არსებობს. არსება კი ერთისათვის არის დამახასიათებელი. არსება არაა არც იდეა, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა შეგრძნებადი მოვლენები, რომლებსაც დაუმატეს სიტყვა „თავის თავად".

თავი მეჩვიდმეტე

არისტოტელე ასხვავებს კვლევის სწორ მეთოდს არასწორისაგან. სწორი კვლევისას უნდა განისაზღვროს საგნის მიზეზი და არა ის, რომ ეს საგანი არის ეს საგანი და არა სხვა რამ. საგნის მიზეზის ძიება კი საგნის არსების კვლევას ნიშნავს, რომელსაც ვეძიებთ არა საგნის შემადგენელ ელემენტებს, არამედ იმის მიზეზს, თუ რატომ წარმოიშვა ამ ელემენტთაგან ეს საგანი და არა სხვა რამ. რადგან საგანი არაა შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამი, არამედ კიდევ რაღაც სხვა და ეს სხვა არის სწორედ საგნის არსება. სწორი კვლევის შემთხვევაში გაირკვევა აგრეთვე საგნის მიზანი და მამოძრავებელი.

1. μουσικός ნიშნავს, როგორც, საერთოდ, განათლებულს, ისე მუსიკათმცოდნეს. კუბიცკი მას თარგმნის „მუსიკოსად". მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია ამ სიტყვის „განათლებულად" გადმოცემა. არისტოტელე ასე ხშირად იხსენიებდა ხოლმე სოკრატეს და ცხადია, ამ ეპითეტში გულისხმობდა სოკრატეს განათლებას, საერთოდ და არა მის მუსიკალურ განათლებას მხოლოდ.

წიგნი მერვე

თავი პირველი

სუბსტანციებად უნდა მიჩნეულ იქნას გრძნობადი საგნები: მცენარეები, ცხოველები; ბუნებრივი ელემენტები: მიწა, წყალი, ცეცხლი, ცა და მისი ნაწილები. თუმცა ზოგიერთის აზრით, სუბსტანციებია აგრეთვე იდეები და მათემატიკური მოვლენები. თუ არსება სუბსტანციაა, რომლის ცნება არის განსაზღვრება, მაშინ უნდა დადგენილ იქნას ცნებისა და განსაზღვრების ნაწილების მიმართება არსების ნაწილებთან, სახელდობრ, არიან ისინი ერთმანეთთან იგივეობრივი, თუ არა.

გრძნობადი საგნები შედგებიან მატერიისა და ფორმისაგან. მატერია მხოლოდ შესაძლებლობაა ამა თუ იმ კონკრეტული საგნებისა, ასევე ფორმაც, დამოუკიდებელია მხოლოდ კონკრეტული საგანი, რომელიც ექვემდებარება [illegible] და წარმავალობის პროცესს. მაგრამ ყოველ ცვალებად საგანს აქვს თავისი უცვლელი ნაწილი სუბსტრატის და ფორმის სახით

1. ὁ οὐρανός ნიშნავს, როგორც ცას, ისე სამყაროს. კუბიცკის საჭიროდ მიაჩნია ამ სიტყვის თარგმნა „სამყაროდ“ ჩვენი აზრით, აქ უფრო ცა და მისი ნაწილებია ნაგულისხმევი წინააღმდეგ შემთხვევაში კი ტავტოლოგია გვექნებოდა, რადგან ამის წინ ჩამოთვლილი ნაწილები სამყაროს ელემენტები არიან.

2. τῶν εἰδῶν შეიძლება გაგებულ იქნას სახეებადაც და იდეებადაც. ამ კონტექსტში ის სახეებს ნიშნავს და გვართან კავშირშია ნახმარი.

3. ფორმა, როგორც კონკრეტული საგანი, მხოლოდ აზროვნებაშია დამოუკიდებელი, ე. ი. არისტოტელე აქაც ლაპარაკობს ამ ნაწილზე: საგანსა, მის მატერიასა და ფორმაზე.

თავი მეორე

საჭიროა იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს გრძნობადი სუბსტანცია. მისაღებია დემოკრიტეს თვალსაზრისი, რომელიც სხეულის საფუძველში მყოფ სუბსტრატს — მატერიას, ასხვავებდა ნაწილაკების ფორმით, მდებარეობით და წესრიგით. ამას უნდა დაემატოს განსხვავება დროში თანმიმდევრობის მიხედვით (სადილი და საუზმე), შეგრძნებადი თვისებებით განსხვავება (მკვრივი, რბილი და სხვა), ამ თვისებათა ხარისხობრივი განსხვავება (მათი მეტ-ნაკლებობა, სიხშირე-იშვიათობა და სხვ.). ყოველი საგანი შესაძლებლობაში არის მატერია, მაგალითად, სახლი შესაძლებლობაში არის აგურები, ხე და სხვ. საგანი რეალურად კი ფორმისა და მატერიის კავშირია, რომლის განსაზღვრება ორივე მხარის განსაზღვრება იქნება, როგორც ფორმის, ისე მატერიისა. მხოლოდ ნაწილების განსაზღვრება კი მატერიის განსაზღვრებაა.

თავი მესამე

უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, რომ ცნება მხოლოდ ფორმას გამოხატავს თუ მთელ საგანსაც. მაგალითად, სიტყვა „ადამიანი“, „სული“ ან „სახლი“. სული და სულის არსება ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო ადამიანი და ადამიანის არსება კი არა. არისტოტელე ამ საკითხს აქ ღიად ტოვებს.

საგანი არაა მხოლოდ სინთეზი იმ ელემენტებისა, რომელთაგანაც ის შედგება, მაგალითად, „ადამიანი“ არის არა მარტო „ცხოველი“ და „ორფეხი“, არამედ კიდევ სხვა რაღაც და ის სხვა რაღაც არის მისი არსება და ფორმა, რომელიც მარადიულია, თუმცა დამოუკიდებელი არაა, არამედ თვით კონკრეტულ საგანშივე არსებული. საგანი არ განისაზღვრება, განისაზღვრება მისი არსება. არსება მხოლოდ ფორმა კი არაა, არამედ არსებობს მატერიასთან ერთად და მასთან კავშირში. მას არ ახასიათებს მეტ-ნაკლებობა, რადგან მისთვის რაიმეს გამოკლება, ან მიმატება მის სხვად გარდაქმნას ნიშნავს.

1. „სივრცეში არსებულ ორიანში“ არისტოტელეს ნაგულისხმევი აქვს ხაზი, სივრცეში არსებულ ერთიანში — წერტილი. ხაზი იმიტომ გამოხატავს ორიანს, რომ სივრცეში მისი განვრცობა შესაძლებელია ორი მიმართულებით.

2. არისტოტელეს აზრით, საგანი არაა მისი შემადგენელი ელემენტების მექანიკური გროვა, არამედ კიდევ სხვა რაღაც, რაც საგნის არსებაა. არსება მატერიასთან არის დაკავშირებული, მაგრამ არამატერიალურია.

3. არისტოტელე უარყოფდა მარადიულ არსებათა საგნთაგან დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ ასეთ მოვლენებს ის ეძებდა თვით საგნებშივე მათი არსების სახით.

4. არისტოტელე ამტკიცებს ფორმის მარადიულობას, წინააღმდეგ კონკრეტული საგნის წარმავალობისა.

5. კუბიცკის გაგებით, არისტოტელე ეთანხმება ანტისთენეს თვალსაზრისს საგანთა არსების, ანუ ზოგადის განუსაზღვრელობის შესახებ. ჩვენი აზრით, შეუძლებელია არისტოტელეს გაეზიარებია ეს თვალსაზრისი. სინამდვილეში აქ ლაპარაკია საგნებისა, როგორც კონკრეტულთა, განუსაზღვრელობაზე და ანტისთენეს ამ თვალსაზრისს არისტოტელე ეთანხმება.

თავი მეოთხე

ყოველივე წარმოიშვება ელემენტებისაგან, რომელნიც ამ საგნის მატერიას წარმოადგენენ. ერთი და იმავე მატერიიდან შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა საგანი, თუ სხვადასხვაა მამოძრავებელი მიზეზი, ანდა პირიქით, ერთი და იგივე საგანი მივიღოთ სხვადასხვა მატერიიდან ოღონდ ამ შემთხვევაში მამოძრავებელი მიზეზი და ხელოვნება სხვადასხვა უნდა იყოს. საგნის წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს მამოძრავებელი, მატერიალური და ფორმალური. ფორმალური მიზეზი არის საგნის არსება და მიზანიც. თუ ბუნებრივი საგნები სუბსტანციები არ არიან, მატერია არა აქვთ და სუბსტრატის როლს მათში მათივე არსება ასრულებს.

1. არისტოტელე ასხვავებს საგნის სამ მიზეზს: მატერიალურს, ფორმალურს და მამოძრავებელს. ამ უკანასკნელში გულისხმობს ხელოვანს, როგორც შემოქმედს, ფორმასა და ზოგჯერ რაიმე კონკრეტულ მოვლენასაც, მაგალითად, თესლს.

2. დასახელებულ მიზეზთაგან არისტოტელე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფორმალურ მიზეზს, ანუ ფორმას.

თავი მეხუთე

ზოგი მოვლენა არსებობს და არც არსებობს წარმოშობისა და მოსპობის გარეშე. ასეთია ფორმები. წარმოშობა-მოსპობის პროცესს ექვემდებარება მხოლოდ მატერიალური მოვლენები. დაპირისპირებული მოვლენები, რომლებიც ერთიმეორისაგან წარმოიშვებიან და ერთიმეორეში გადადიან, ერთიმეორის შესაძლებლობას წარმოადგენენ და მოსპობის შემდეგ უბრუნდებიან პირველ მატერიას, საიდანაც სხვა მოვლენა იშვება.

1. არსებობის და არარსებობის უნარი წარმოშობა-მოსპობის გარეშე ახასიათებს ფორმალურ მოვლენებს, ფორმებს საერთოდ. ფორმა შეიძლება იყოს, ან არ იყოს საგანში ისე, რომ არ მოისპოს და არ წარმოიშვას. ის მარადიულია, თუმცა ყოველთვის არ არის მოცემული ამა თუ იმ საგანში, თუნდაც ამ საგნის წარმავლობის და მატერიალობის გამო.

2. არისტოტელე აქ ეჭვობს წერტილების, როგორც გეომეტრიული სიდიდეების, რეალურ არსებობაში და არა საერთოდ, წერტილების არსებობაში. „მეტაფიზიკის“ სხვა ადგილას ის გამოთქვამდა ეჭვს სხვა გეომეტრიული სიდიდეების რეალურ არსებობაზე.

3. გოლკეს ინტერპრეტაციით, მატერია არა აქვთ იმ საგნებს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან და ერთმანეთში გადადიან. მაშინ როდესაც ამ ადგილას არისტოტელე ამის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს სწორედ ასეთ საგანთა მატერიის არსებობის შესახებ.

4. არისტოტელესთან ცვალებადობა მატერიის დამახასიათებელი ნიშანია. ამიტომ უარყოფს ის ცვალებადობის არსებობას იქ, სადაც მატერია არაა, რადგან ფორმა, წინააღმდეგ მატერიისა, უცვლელია.

5. არისტოტელე აქ უნდა გადმოგვცემდეს პითაგორელთა და ორფეველთა სულის ლოლვის თეორიას, რომლის მიხედვით, მკვდრები ცოცხლებიდან იშვებიან და პირიქით. ეს თეორია უაღრესად გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში: სპარსეთში, ინდოეთში, ბაბილონსა და სხვაგან. საეჭვოა, რომ თვით არისტოტელე იზიარებდეს ამ თეორიას. მას ეს თეორია მოაქვს მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ წარმოიშვებიან დაპირისპირებული მოვლენები ერთმანეთისაგან.

თავი მეექვსე

ყოველივე, რაც ნაწილებისაგან შედგება, ერთია ან შეხებით, ან წებოვანებით, ან სხვაგვარად. ნაწილებიაგან შემდგარ საგანთა გამაერთიანებელი მიზეზი შეიძლება გაირკვეს ფორმისა და მატერიის, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიების გარკვევის გზით. შესაძლებლობიდან სინამდვილეში გადასვლა ხდება შემოქმედი მიზეზით, თუ მას გაზრებადი, ან შეგრძნებადი მატერია აქვს. იქ კი, სადაც ასეთი მატერია არაა, ერთიანობის მიზეზი არსებაა და არა მისი ზიარება ერთიანობის, ან არსებობის გვართან. მით უმეტეს, რომ ამ თეორიის მომხრენი ვერ ხსნიან, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ზიარება“. საგანთა ერთიანობის მიზეზი აუხსნელი დარჩათ არა მარტო იდეების მომხრეთ, არამედ ლიკოფრონსა და მის მიმდევრებსაც.

წიგნი მეცხრე

თავი პირველი

მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა სუბსტანცია, საჭიროა სხვა კატეგორიების განხილვა და შესაძლებლობისა და სინამდვილის, აგრეთვე უნარის სხვადასხვა მნიშვნელობების დადგენა. უნარი არის ვნებითი ცვალებადობის საწყისი სხვაში, ან რამდენადაც თვითაა სხვა. ისაა აგრეთვე ცუდისკენ ცვალებადობის უგრძნობლობა. ყოველივე ეს კი მოქმედების უნარს ნიშნავს. რომელიმე მოქმედების უნარს ამ უნარის უქონლობა უპირისპირდება. ამ უნარის უქონლობასაც მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1. ესაა ბუნებრივი უნარის არქონება, მთლიანად, ან ნაწილობრივ, 2. იმ უნარის არქონება, რომელიც უნდა ჰქონდეს საგანს, 3. ბუნებრივი უნარია იძულებითი არქონება.

1. τῷ εἶναί πως ἢ μὴ εἶναι კუბიცკისთან ასეა თარგმნილი. носят ли они известную геометрическую форму, или не носят, ჩვენ თარგმანში კი ასეა: „რაიმე გარკვეული სახით არსებობა, ან არარსებობა“.

თავი მეორე

არისტოტელე იზიარებს თავისი მრავალი წინამორბედი მოაზროვნის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ განსჯაც და აზროვნებაც, ისევე როგორც სხვა ფსიქიური უნარი, დაკავშირებულია სულთან და მის თვისებას წარმოადგენს. განსჯასთან დაკავშირებულ უნარს შეუძლია ერთმანეთის საწინააღმდეგო შედეგების გამოწვევა. მაშინ, როდესაც უნარი, რომელიც არ უკავშირდება მას, მხოლოდ ერთგვაროვან შედეგს იწვევს. მაგალითად, მედიცინა იწვევს როგორც ჯანმრთელობას, ისე ავადმყოფობას, ეს ხომ განსჯასთან დაკავშირებული ხელოვნება და უნარია, ხოლო სითბო მხოლოდ გათბობას განაპირობებს. კარგი მოქმედების უნარი არის საერთოდ მოქმედების უნარიც და არა პირიქით.

1. ἡ γὰρ στέρησις ἡ πρώτη τὸ ἐναντίον ეს ადგილი კუბიცკის გადმოცემული აქვს ასე: „в самом деле бытие, противоположное <данному>, это—отсутствие <данного бытья> в основном смысле этого слова“ ჩვენთან კი ეს ადგილი ასე გამოიყურება: „არქონება (ἡ γὰρ στέρησις) არის წინააღმდეგობის პირველი სახე“ (ἡ πρώτη τον ἐναντίον)

2. არისტოტელე აქაც ავითარებს თავის ცნობილ დებულებას წინააღმდეგობათა ერთ მიმართებაში არსებობის შეუძლებლობის შესახებ.

თავი მესამე

არისტოტელე აკრიტიკებს მეგარელთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ ადამიანს უნარი არა აქვს, თუ არ მოქმედებს და აქვს მაშინ, თუ მოქმედებს. არისტოტელე უარყოფს მეგარელთა შეხედულებას მისგან გამომდინარე მრავალი შეუსაბამო შედეგების ჩვენებით. მაგალითად, ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ თუ მშენებელი სახლს არ აშენებს, მას არც აშენების უნარი უნდა ჰქონდეს და პირიქით. ეს შედეგები იგივეა, რაც პროტაგორას თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ საგანს თვისება არა აქვს, თუ მას ვინმე არ შეიგრძნობს. მეგარელთა თვალსაზრისის მიხედვით, ერთი და იგივე ადამიანი ერთი და იმავე დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ უნდა იყოს ბრმა და არც იყოს. ეს შეცდომები მათს თვალსაზრისში არის შედეგი შესაძლებლობისა და სინამდვილის გაიგივებისა.

1. οὐ γὰρ δὴ τοῦ γε πράγματος φθαρέντος, ἀεὶ γὰρ ἔστιν, კუბიცკის მიხედვით: „только не уничтожение <созданного искусством> об'екта, — он ведь существует вечно“. ჩვენ ეს ადგილი ასე ვთარგმნეთ: „საგანი რომ ამრიგად არ მოსპობილიყო, ის მუდმივი იქნებოდა“. და ასე თარგმნა უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან დედანში ცოტა ზემოთ საგანთა მოსპობის სხვადასხვა ფორმებზე ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ შეუძლებელია არისტოტელეს ხელოვნური საგნების მარადიულობა ემტკიცებინა.

2. ἂν μὴ αἰσθάνηται μηδ᾽ ἐνεργῇ კუბიცკი ამ ადგილს ასე თარგმნის „если оно не совершает акт восприятия в реальной действительности". ჩვ[illegible] თარგმანის მიხედვით კი, ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „თუ არ შეიგრძნობდა, არც იმოქმედებდა", რადგან ჩვენი აზრით, დედანში III პირის ორი ზმნაა: αἰσθάνηται და ἐνεργῇ.

3. ἡ ἐνέργεια ნიშნავს, როგორც მოქმედებას, ისე სინამდვილეს.

თავი მეოთხე

შესაძლებელი არ ნიშნავს იმას, რომ ის საერთოდ არ იარსებებს, თუმცა მ[illegible] მართლაც, შეიძლება არ იარსებოს, არ განხორციელდეს. [illegible] შეუძლებელი, რომელსაც არასოდეს არ შეუძლია განხორციელება. ამრიგად, საჭიროა განუხორციელებელი შესაძლებლობის საერთოდ შეუძლებლისაგან განსხვავება. მეგარელთა თვალსაზრისით კი შეუძლებელი არაფერი არაა. [illegible] არაა აგრეთვე სიცრუისა და შეუძლებლის გაიგივება.

თავი მეხუთე

უნართა შემდეგი სახეები არსებობს: თანდაყოლილი უნარი, ვარჯიშის შედეგად მიღებული [illegible] მოქმედების [illegible] და სხვა [illegible] დება ყოველთვის სულთან არის დაკავშირებული, მეორე არა. პირველი უნარი ყოველთვის მოქმედებას ნიშნავს, მეორე როგორც მოქმედებას, ისე განცდას.

1. „უსასრულო ქონების" ცნების დადგენის მიზნით, არისტოტელე საჭიროდ მიიჩნევს დროის, მიმართების, მოქმედებისა და ობიექტის გარდა, სხვა განსაზღვრებების დამატებას.

2. „პირველში" ყველგან ნაგულისხმევია „განსჯით" მოქმედნი, რომელნიც ყოველთვის შემოქმედნი არიან.

3. თუ მოქმედება გონივრულია, შესატყვისება მოქმედის [illegible]

თავი მეექვსე

შესაძლებლობას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს მოძრაობის ან მატერიის შესაძლებლობას და [illegible], საგანთა [illegible] და სხვა. [illegible] განუსაზღვრელ დაყოფადობას, ის შესაძლებლობაში არსებობს, რადგან საერთოდ, დაუსრულებელი არ წარმოადგენს მიზანს ან თვითმიზანს და სხვა [illegible], რომელიც სხვა, გარეშე მიზანს ემსახურებიან, აგრეთვე დაუსრულებელი არიან და მხოლოდ შესაძლებლობას წარმოადგენენ.

1. „მოცილებადში" იგულისხმება გარკვეული ფორმისათვის გარკვეული მატერიის ჩამოცილებადობა და სხვა მატერიაში მისი განხორციელების შესაძლებლობა. მაგალითად, იგივე ჰერმესის გამოსახულება შეიძლება ამოჭრილ იქნას ხეშიც, სპილენძშიც, და სხვა მატერიაშიც. მაშ, ამ შემთხვევაში მატერია ფორმისაგან მოცილებადია.

2. τῇ ἐπαγωγῇ ინდუქციური მეთოდი, კონკრეტულისაგან ზოგადი ცნებებისაკენ მავლელობის მეთოდი.

3. განუსაზღვრელი არსებობს მხოლოდ წარმოდგენაში, გონებაში, ასე რომ, დაყოფის დაუსრულებლობა არისტოტელესათვის შესაძლებელია მხოლოდ წარმოდგენაში.

4. გახდომის პროცესი.

თავი მეშვიდე

კონკრეტული საგნის წარმოშობის შესაძლებლობა ყოველთვის არ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა საამისო პირობებია და არც გარედან უშლის რაიმე ხელს. ასეა, როგორც იმ საგნებში, რომლებსაც წარმოშობის საწყისი თავის თავში აქვთ, ისე იმ საგნებში, რომლებსაც საწყისი აქვთ თავის გარეთ. მაგალითად, იმისათვის, რომ თესლი რეალობად იქცეს, საჭიროა მისი მოხვედრა გარკვეულ ადგილას და სათანადოდ შეცვლა. ამრიგად, არისტოტელეს აზრით, ყოველივე კი არ არის შესაძლებელი, არამედ მხოლოდ ის, რასაც განხორციელებისათვის საჭირო პირობები აქვს. ყოველივე არის წარმოშობილი რაიმესაგან, გარდა პირველი მატერიის და ფორმისა.

1. შესაძლებლობის დაკონკრეტებით არისტოტელე აყალიბებს თავის თვალსაზრისს შეუძლებელის არსებობის შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე შესაძლებელი იქნებოდა.

2. თავის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ არსებობს შესაძლებლობა და აუცილებლობა, არისტოტელე ავრცელებს, როგორც იმ მოვლენებზე, რომლებსაც წარმოშობისა და არსებობის მიზეზი აქვთ თავის თავში, ისე იმ მოვლენებზე, რომლებსაც ასეთი მიზეზი არა აქვთ შიგნით, არამედ რაღაც გარეგანი იძულება უბიძგებს აქეთკენ.

3. არისტოტელე ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა ბერძენი მოაზროვნე, საზღვარს უდებს წარმოშობის პროცესის დაუსრულებლობას და მას პირველი მატერიით და მარადიული, წარმოუქმნელი და წარუვალი ფორმით იწყებს.

4. განსხვავება საგანსა და მატერიას შორის იმაში მდგომარეობს, რომ საგანი ყოველთვის განსაზღვრულია, ე. ი. გარკვეული თვისებების შემცველი, მატერია კი ზოგჯერ.

5. თვისებების მრავალფეროვან ჯაჭვში არის კიდური წევრი, რომელიც არაფრის თვისება არაა და რომლის თვისებაა ყოველივე სხვა. და ეს კიდური წევრი, ამ შემთხვევაში „ადამიანი", არის სუბსტანცია.

თავი მერვე

სინამდვილე წინ უსწრებს შესაძლებლობას, როგორც ლოგიკურად, ისე რეალურად, რადგან შესაძლებლობიდან სინამდვილე წარმოიშვება რეალურად არსებულისავე ზემოქმედებით. ამას გარდა, იმიტომაც უსწრებს რეალობა შესაძლებლობას, რომ წარმოსაშობი მოვლენის რაიმე ნაწილი ან მატერია, ან თესლი, ან სხვა მიზეზი ყოველთვის წინასწარ არსებობს ისევე, როგორც განადგურებული მოვლენის რაღაც ნაწილი რჩება. რეალობა წინ უსწრებს შესაძლებლობას არსებობის თვალსაზრისითაც. მაგალითად, მამაკაცი უსწრებს ბავშვს და ადამიანი თესლს; მიზნის თვალსაზრისითაც, რადგან შესაძლებლობა არსებობს მიზნისათვის, რომელიც უფრო მეტად არსებულია, ვიდრე შესაძლებლობა დროის თვალსაზრისით

კი ერთი რეალობა უსწრებს მეორეს და ასეა მარადიულ მამოძრავებლამდე, რომელიც არასოდეს არაა შესაძლებლობა, არამედ ყოველთვის რეალობაა. მარადიულია მოძრაობაც. მარადიულად მოძრავი მოვლენების მოძრაობა ერთგვაროვანია, გონიერთა კი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა.

1. „მოძრაობის საწყისი თავისსავე გვარში“ ისე უნდა იქნას გაგებული, რომ თუ წარმოშობას ბუნებრივი ხასიათი აქვს, საგანი წარმოშობს თავისსავე გვარის საგანს და არასოდეს სხვა გვარისას.

2. „მოძრაობის საწყისი სხვაში“ საგანში მოძრაობის ისეთი საწყისის არსებობას ნიშნავს, რომელიც მასთან იგივეობრივი არ არის.

„მოძრაობის საწყისი, რამდენადაც თვითონაა სხვა“ უნდა ნიშნავდეს მოძრაობის საწყისის არსებობას მოძრავ საგანში, მაგრამ ისეთ არსებობას, რომ ამ საწყისით გამოწვეული შედეგი არ გავს ამ შედეგის გამომწვევ მამოძრავებელ მიზეზს.

3. შესაძლებლობას წარმოადგენს არა მარტო თავდაპირველი მატერია, არამედ ყოველი კონკრეტული საგანი, რომელიც მისგან წარმოშობილ მოვლენათა შესაძლებლობას წარმოადგენს. ამ აზრით, რეალობა და რეალურად არსებული საგანი წინ უსწრებს მისგან სხვა საგნის წარმოშობია შესაძლებლობას.

4. არისტოტელე უარყოფს არაფრისაგან წარმოშობას 'და აყენებს ახალ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ წარმოშობადის რაიმე ნაწილი უნდა არსებობდეს წინასწარ, სანამ საგანი მთლიანად წარმოიშობოდეა. ხოლო რაც ისპობა, არ უნდა ისპობოდეს მთლიანად, არამედ მისი რაღაც ნაწილი უნდა რჩებოდეს. მაგალითად, თესლი, რომელიც არსებობს მატერიის წარმოშვებამდე, არის ნაწილი მომავალში წარმოსაშობი მცენარისა. თვით ამ თესლის წარმოშობამდეც არსებობს რაღაც მისი ნაწილი და ასე მივადგებით ან პირველ მამოძრავებელს, ან პირველ მატერიას. ამ უკანასკნელის დაშვება კი აუცილებელია მოძრაობისა და წარმოშობის უსასრულობის თავიდან ასაცილებლად.

5. არისტოტელე, მიუხედავად იმისა, რომ ებრძვის პლატონს იდეების საკითხში, მაინც უშვებს მარადიულ პირველ მამოძრავებელს, რომელიც არასოდეს არ არსებობს შესაძლებლობაში, რადგან შესაძლებლობაში მისი არსებობა მისი არამარადიულობის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა, რომ როგორღა შეიძლება მარადიული იყოს პირველი მატერია, რომელიც ყოველთვის მხოლოდ შესაძლებლობის სახით არსებობს? იქნება მისი მარადიულობა მის მარადიულად შესაძლებლობაში ყოფნით გამოიხატება?

6. იგულისხმება მოძრაობაში სიძნელისა და წინააღმდეგობის მიზეზი.

თავი მეცხრე

შეუძლებელია წინააღმდეგობათა ერთდროულად და ერთს მიმართებაში არსებობა. ეს დასაშვებია მხოლოდ შესაძლებლობაში. მაგალითად, ერთი და იგივეა ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის უნარის მქონე. რეალურად არსებული სიკეთე სჯობს მის შესაძლებლობას, ხოლო შესაძლებლობაში არსებული ბოროტება — მის სინამდვილეში არსებობას. ბოროტება ახასიათებს წარმავალ საგნებს და არა მარადიულთ. ადვილია რეალურად არსებულ მოვლენათა შემეცნება, მაგრამ ძნელია შემეცნება შესაძლებლობაში არსებულთა, რადგან აზროვნება რეალურად არსებული უნარია და ამიტომაც შეიცნობენ მხოლოდ ისინი, რომელნიც მოქმედებენ.

თავი მეათე

ჭეშმარიტება და სიცრუე არის საგანთა დაკავშირებისა და დაცილების შედეგი. სახელდობრ, ის, ვინც დაკავშირებულს დაკავშირებულად აცხადებს და დაშორებულს კი დაშორებულად, ჭეშმარიტებას ამბობს და პირიქით, სცდება, ვინც ეწინააღმდეგება სინამდვილეს. იმ მოვლენებში, რომელნიც ყოველთვის დაკავშირებული, ან დაცილებული არიან, ერთი და იგივე აზრი ან ყოველთვის ჭეშმარიტია ან ყოველთვის მცდარი. ხოლო იქ, სადაც საგნები არის როგორც დაკავშირებული, ისე დაცილებული, აზრი შეიძლება იყოს ჭეშმარიტიც და მცდარიც. მარტივ საგნებში ისევე, როგორც არსებებში, შეცდომა შეუძლებელია და თუ შეიძლება, მხოლოდ შემთხვევით. აქ ჭეშმარიტება ნიშნავს ამ მარტივი არსებების მოაზრებას, შეცდომა კი მათს არგაგებას, ანუ არცოდნას.

1. როგორც ამ, ისე წინამორბედი მსჯელობის მიხედვით, ჭეშმარიტების კრიტერიუმად მიჩნეულია ნააზრევის შედარება სინამდვილესთან, რაც არისტოტელეს შემეცნების თეორიაში ძლიერი რეალისტური ნაკადის არსებობაზე მეტყველებს.

2. იგულისხმება რთული, ანუ შედგენილი საგნები

3. ნაგულისხმევია არა რიცხვი ერთი, არამედ მოვლენა, რომელიც რიცხობრივად ერთია.

წიგნი მეათე

თავი პირველი

ერთის პირველი მნიშვნელობაა ბუნებით დაუშლელი და მარტივი. მისი შემდეგი მნიშვნელობაა, უწყვეტი, მთელი და კონკრეტული საგანი. უწყვეტი ისაა, რომელსაც აქვს ან ერთი და უწყვეტი მოძრაობა, ან ერთი ცნება, ან ერთი სახე, ანდა რომელიც უწყვეტია რიცხობრივად. ერთი არის ამავე დროს ზომა, რომლითაც რაოდენობას შევიცნობთ. ის არის როგორც სიგრძის, ისე სიღრმის, სიმძიმისა და სისწრაფის საზომი. ის საზომია იმიტომ, რომ მარტივია, მას ვერც გამოვაკლებთ რაიმეს და ვერც მივუმატებთ. საზომი ყოველთვის იმავე გვარისაა, რომელსაც გასაზომი განეკუთვნება. საზომად კი აღებულია გვარში ყველაზე უმცირესი, დაუყოფელი რაოდენობის ან თვისობრიობის თვალსაზრისით.

1. ἡ ποδιαία ფუტი, სიგრძის ზომაა, უდრის 0,305 მეტრს.

2. τὸ στάδιον, სტადია, სიგრძის საზომი, უდრის 600 ფუტს. II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ის ეტოლებოდა 148 მეტრს, ოლიმპიური სტადია უდრის 184, 97 მეტრს.

3. τὸ τάλαντον ტალანტი, მისი სიდიდე იცვლებოდა, ყველაზე გავრცელებული იყო სოლონის ტალანტი. ის უდრიდა 26,2 კგ-ს.

4. მიმატება ან გამოკლება.

5. დიეზი, მუსიკაში ტონის მეოთხედი

6. საზომია არა რაღაც განყენებული ზოგადი, არამედ კონკრეტული ერთეული, რომელიც ექვემდებარება შეგრძნებებს.

7. ὁ πῆχυς, საზომია ძველ საბერძნეთში, ეტოლება 46 სმ-ს.

თავი მეორე

უნდა დავადგინოთ, თუ რა არის არსება და ბუნება, შეიძლება თუ არა, რომ ის საგნებისაგან დამოუკიდებელი იყოს, ანდა ერთს წარმოადგენდეს? არსებები არ შეიძლება საგნებისაგან დამოუკიდებელი იყვნენ, ან ერთთან იგივეობრივი.

მართალია, საგანთა არსება რიცხვებშია გამოხატული, მაგრამ რიცხვი არასოდეს არაა საგანთა არსება, არამედ საგანთა არსების მხოლოდ რომელიმე მხარე.

2. არსებულის ბუნებაა ნაგულისხმევი. მაშასადამე, არაა საკმარისი, ამტკიცებს არისტოტელე, იმის თქმა, რომ არსებული ერთია, რადგან ამით მისი ბუნება არ დადგინდება.

2. არსებული რომ მელოდია ყოფილიყო, ამბობს არისტოტელე, ის რიცხვიც იქნებოდა, მაგრამ მისი არსება მუსიკალური ხასიათისა იქნებოდა და არა რიცხობრივი.

3. „ერთი" მოვლენების ერთ-ერთი მხარეა და არა მათი არსება.

თავი მესამე

ერთი არის დაუშლელი, იგივეობრივი, მსგავსი, ტოლი. სიმრავლე კი დასაშლელი, ან დაშლადი, არატოლი. და აქვე განხილულია აგრეთვე „იგივეობა — არაიგივეობის", „მსგავსება — განსხვავების", „ტოლობა-უტოლობის" ცნებები. „იგივე" ნიშნავს საგნის თავის თავთან იგივეობას, ან ტოლობას, არსებით ერთს, სახით ერთს, ან იმას, სადაც მსგავსება განსხვავებას ჭარბობს.

თავი მეოთხე

დასრულებული განსხვავება არის დაპირისპირება. დაპირისპირების პირველი სახეა ქონება ნაკლი. ნაკლი ნიშნავს იმას, რომ საგანს ან სრულებით არა აქვს ის, რაც უნდა ჰქონდეს, ან არა აქვს მაშინ, როცა უნდა ჰქონდეს. დაპირისპირებულნი ცვლილების კიდურ წევრებს წარმოადგენენ.

თავი მეხუთე

წინააღმდეგობის არსებობა შეუძლებელია ერთს მიმართებაში. რადგან წინააღმდეგობა არის დასრულებული განსხვავება, ის არაფერი შუა არ იმყოფება, არამედ სხვა იმყოფება მის შუა. ყოველი კითხვა წინააღმდეგობის რომელიმე მხარეს ეხება და პასუხშიც ერთ-ერთი მხარეა ასახული. ე. ი. საგანი ან ტოლია, ან არატოლი, მესამე გამორიცხულია

თავი მეექვსე

საჭიროა გაირკვეს ერთისა და მრავალის დამოკიდებულება. თუ სიმრავლეს სიჭარბის ხასიათი აქვს და ერთით იზომება, ის ერთს ისე უპირისპირდება, როგორც რიცხვებში საზომი და გასაზომი. ამ შემთხვევაშიაც დაპირისპირება არის კონკრეტულ მოვლენება შორის. თუმცა ყოველივე ის, რაც ერთია, რიცხვი არაა.

თავი მეშვიდე

მოპირდაპირე მხარეება შორის არსებული შუალედი საფეხურებიც დაპირისპირებულთაგან წარმოსდგება. დაპირისპირებულ მხარეებს შუა მყოფი მოვლენა თავდაპირველად შუალედ საფეხურად გარდაიქმნება, სანამ წინააღმდეგობის რომელიმე მხარეს მიაღწევდეს. წინააღმდეგობას ადგილი აქვს მხოლოდ ერთ და იმავე გვარის ფარგლებში. სადაც წინააღმდეგობაა, იქ შუალედი საფეხურებიც ამავე წინააღმდეგობათაგან შედგებიან. თვით მოპირდაპირე მხარეები კი არ წარმოსდგებიან ერთმანეთისგან.

თავი მერვე

სხვადასხვა სახის საგნები ერთი და იმავე გვარის ფარგლებში არიან. მაგალითად, ცხოველობა ერთნაირად ახასიათებს, როგორც ადამიანს, ისე ცხენს. წინააღმდეგობა არის ერთი და იმავე გვარის ფარგლებში არსებული სახეობრივი განსხვავება. ერთსა და იმავე გვარის ფარგლებში შემავალი სახეები არიან მიმართებაში ამავე გვარის სახეებთან და არა სხვა გვარის სახეებთან. ერთი და იმავე სახის საგნები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს.

1. დებულება იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობის არსებობა ერთი მიმართებაში შეუძლებელია, არისტოტელემ მიმართა სოფისტებისა და ჰერაკლიტელთა შეხედულების უარსაყოფად.

მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მოძრავი საგანი, სანამ წინააღმდეგობის მეორე მხარეს მიაღწევს, ეს მეორე მხარე არ არსებობს, ხოლო როდესაც მიაღწევს მას, მაშინ აღარ არსებობს პირველი მხარე.

2. ἄτομα ὄντα ნიშნავს დაუშლელს მაგრამ აქ ნაგულისხმევია არა ფიზიკურად, არამედ ლოგიკურად დაუშლელი, კერძოდ, გვარის უკანასკნელი სახეები, რომელნიც მეტად აღარ დაიშლებიან.

3. „ბუნებაში" ნაგულისხმევია ლოგიკური გვარ-სახეობრივი მიმართება, რაც მისთვის სინამდვილეში არსებული გვარ-სახეობრივი მიმართების ანარეკლი იყო.

თავი მეცხრე

სახეობრივი განსხვავება არის განსხვავება ერთი გვარის ფარგლებში. ის დაკავშირებულია ცნებასთან და არა მატერიასთან ამიტომ თეთრი და შავი ადამიანი არ ჰქმნის სახეობრივ სხვაობას, სპილენძის ამკუთხედი და ხის სფერო კი ჰქმნიან, რადგან ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცნებით და არა მატერიით. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საგანთა შორის არსებული სახეობრივი განსხვავება არის არსებითი განსხვავება და არა შემთხვევითი, მატერიალური. რადგან მატერიასთან დაკავშირებული განსხვავება შემთხვევითი განსხვავებაა

თავი მეათე

მოკვდავი და უკვდავი საგნები განეკუთვნებიან სხვადასხვა გვარს და არა სხვადასხვა სახეს. რადგან ეს არსებითი და არა შემთხვევითი თვისებებია იდეები და საგნებიც აგრეთვე გვარით უნდა იყვნენ განსხვავებული და არა სახით. და ამიტომ ცხადია, რომ ისინი ერთმანეთისაგან უფრო მეტად განსხვავდებიან, ვიდრე სახით განსხვავებულნი.

წიგნი მეთერთმეტე

თავი პირველი

სიბრძნე სწავლობს საწყისებს, მაგრამ გასარკვევია, რომ ასეთი მეცნიერება ერთია, თუ ბევრი? გარდა ამისა, სწავლობს ის შეგრძნებად საგნებსაც და მათგან დამოუკიდებლად არსებულ მოვლენებსაც თუ არა? ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა იმის შესახებ, რომ არსებობენ, თუ არა შეგრძნებათაგან დამოუკიდებელი იდეები, ან მათემატიკური მოვლენები, და რომელი მეცნიერება სწავლობს მათ? სიბრძნე არ ეხება, არც იდეებს არც მათემატიკურ მოვლენებს. მისი შესწავლის ობიექტი უფრო მეტად ზოგადია ასეთი კი გვარები არიან.

1. მათემატიკური მოვლენებია დაშვებას, რომელნიც არსებობენ შეგრძნებადისა და იდეალურ მოვლენება შორის, მოსდევს ის შეუსაბამო შედეგი, რომელიც ცნობილია „მესამე ადამიანის“ სახელწოდებით და რაც პროცესის დაუსრულებლობას ნიშნავს.

2. შეგრძნებადი საგნები არ შეიძლება იყვნენ მეცნიერების ობიექტი, რადგან ისინი წარმავალნი არიან. მეცნიერების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მარადიული და აუცილებელი მოვლენები.

3. ლოგიკაა ნაგულისხმევი.

4. იგულისხმება კონკრეტული საგნები, რომლებიც გვარ-სახეობრივი დამოკიდებულების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენენ. ამაში არ უნდა იგულისხმებოდნენ სახეები, როგორც ამას კუბიცკი ფიქრობს, რადგან სახეები არიან მეცნიერების ობიექტი, არისტოტელე კი გულისხმობს ისეთ მოვლენებს, რომელნიც მეცნიერების საგანი ვერ გახდებიან. ასეთნი კი არისტოტელეს აზრით, არიან შეგრძნებადი საგნები.

თავი მეორე

ჩვენი გონიერების ფარგლებს სცილდება ისეთი სუბსტანციების დაშვება, რომელნიც შეგრძნებადნი არ არიან. მაშასადამე, დამოუკიდებელი, მარადიული და თავისთავადი სუბსტანციები არ უნდა არსებობდეს, რადგან, თუ ასეთი სუბსტანციები არსებობს, როგორ არიან მისგან წარმოშობილი მოვლენები ზოგი წარმავალი და ზოგი კი წარუვალი? როგორ შეიძლება მარადიულმა საწყისებმა არამარადიული მოვლენები წარმოშვან? მაგრამ თუ თვით საწყისები არამარადიული არიან, მაშინ მათ სხვა საწყისები დასჭირდებოდათ და პროცესი დაუსრულებელი იქნებოდა. თუ ისინი საგნები არიან, უძრავნი ვერ იქნებოდნენ, და თუ საგნები არ არიან, დამოუკიდებელნი ვერ იქნებოდნენ. ეს საწყისები არ შეიძლება იყვნენ არც რიცხვები, არც გეომეტრიული ფიგურები, რადგან ისინი დამოუკიდებელნი არ არიან. გარდა ამისა, რადგან მეცნიერებია ობიექტი ზოგადია, საწყისები კი კონკრეტულნი, ისინი მეცნიერების შესწავლის საგანი ვერ იქნებიან.

1. არისტოტელე ამ კითხვით იწყებს კვლავ პლატონის იდეებზე მოძღვრების განხილვას.

2. ნაგულისხმევია კონკრეტული წარმავალი საგნები, რომელთა რიცხვი განუსაზღვრელია.

3. მიწიერი საგნები.

4. საყურადღებოა ის, რომ არისტოტელე აქ საგანთა ფორმებს წარმავლად თვლის, მაშინ, როდესაც სხვაგან ის მათ მარადიულად თვლიდა.

5. τῶν χαριεστάτων კუბიცკისთან თარგმნილია „ყველაზე უფრო მიმზიდველ მოაზროვნეებად“. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ეს სიტყვა გადმოგვეცა ტერმინით „ყველაზე უფრო განათლებულნი“.

6. τὸν ἀριθμὸν πρῶτον ჩვენ ვთარგმნეთ „პირველ რიცხვებად“. კუბიცკისთან ეს თარგმნილია ასე „прежде всего число“, რადგან მას სიტყვა πρῶτον ზმნიზედად ესმის, ჩვენ კი — ზედსართავად.

7. „პირველად სიბრტყეებში“ გეომეტრიული სიბრტყეებია ნაგულისხმევი.

8. უკვდავ და წარუვალ მოვლენებად ჩათვლილია აქ ფორმა და სახე.

თავი მესამე

ფილოსოფია სწავლობს საგანთა არსებას, როგორც ასეთს, აგრეთვე მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებსა და თვისებებს. ფიზიკა სწავლობს არსებულს,

როგორც მოძრავს, დიალექტიკა და სოფისტიკა — მის შემთხვევით თვისებებს. მათემატიკა სწავლობს არსებულს რაოდენობია, ანუ უწყვეტობის თვალსაზრისით. ამიტომაც ბუნებისმეტყველება და მათემატიკა სიბრძნის, ანუ ფილოსოფიის ნაწილებად უნდა ჩავთვალოთ.

თავი მეოთხე

გრძელდება იმავე საკითხების განხილვა, რომელთა განხილვა დაწყებული იყო მესამე თავში.

თავი მეხუთე

ყოველგვარი დასაბუთების ამოსავალია დებულება იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობის ერთს მიმართებაში არსებობა შეუძლებელია. ამ დებულებას არ ესაჭიროება დასაბუთება, პირიქით, ამით მტკიცდება ყოველივე სხვა ამავე დებულებიდან გამომდინარეთ, უნდა უარვყოთ შეხედულება ყველა თვალსაზრისია ჭეშმარიტების ან მცდარობის შესახებ. აქედანვე გამომდინარეობს იმის აუცილებლობაც, რომ ყოველ სიტყვას რაიმე ერთი გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს, რათა შეიძლებოდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ურთიერთგაგება.

1 გამოთქმაში πρὸς τόνδε δὲ ἔστιν გოლკეცა და კუბიცკიც გულისხმობენ „ცალკეულ პიროვნებებს“. ჩვენი აზრით კი, რადგან ფრაზის პირველ ნაწილში არისტოტელე ლაპარაკობდა ზოგად დებულებებზე, აქ ის კონკრეტულ დებულებებს უნდა ეხებოდეს. შეუძლებელია, რომ ფრაზის პირველი ნახევარი ზოგად დებულებებს ეხებოდეს, მეორე ნახევარი კი კონკრეტულ პიროვნებებს.

2. აუცილებელია ზოგადი, სარწმუნო დებულებების არსებობა.

3. არისტოტელეს აქ იმის თქმა უნდა, რომ „ეს სინამდვილეშიც აუცილებლად ასე უნდა იყოს“.

4. აქ მსჯელობა ეხება სოფისტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველა დებულება ჭეშმარიტია, ან მცდარი.

თავი მეექვსე

პროტაგორას აზრით, ყველა საგნის ზომა არის ადამიანი, საიდანაც გამომქონდა დასკვნა წინააღმდეგობის ერთს მიმართებაში არსებობისა და ყველა დებულების ჭეშმარიტებია, ან მცდარობის შესახებ. სინამდვილეში კი ერთი მიმართებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მაშინ შეიძლება გამოითქვას, თუ ერთ-ერთმა მხარემ მოვლენათა სწორი ათვისების უნარი დაჰკარგა. უაზრობაა ყოველივეს მოძრაობისა და ყველა დებულებია ჭეშმარიტების, ან მცდარობის მტკიცება. მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს რაღაც მყარის არსებობისა და დებულებათა ნაწილის მცდარობის, ნაწილია ჭეშმარიტების აუცილებლობა.

თავი მეშვიდე

ყოველი მეცნიერება არსებულის რომელიმე მხარეს სწავლობს. მაგალითად, ბუნებისმეტყველება — იმ საგნებს, რომლებსაც მოძრაობის საწყისი თავის თავში აქვთ და რამდენადაც ისინი მოძრაობენ, მათემატიკა — უცვლელ, მაგრამ არადამოუკიდებელ მოვლენებს. უცვლელ და დამოუკიდებელ მოვლენებს, რამდენადაც ისინი არსებობენ, სწავლობს თეოლოგია. რადგან ასეთი მოვლენები ყველაზე მაღლა დგანან, ამიტომ ყველაზე მაღლა უნდა იდგეს მათი შემსწავლელი მეცნიერება.

ამრიგად, არსებობს სამი თეორიული ხასიათის მეცნიერება ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, თეოლოგია. თეორიული მეცნიერებები სხვა მეცნიერებებზე მაღლა დგანან, ამ უკანასკნელთა შორის კი — თეოლოგია.

1 ἡ καθόλου როსსი და კუბიცკი ესმით ისე, თითქოს აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდეს კონკრეტული და ზოგადი მათემატიკა. სინამდვილეში აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მათემატიკის ყოველი დარგი სწავლობს მისთვის განკუთვნილი კონკრეტული მოვლენების სფეროს. მაშინ, როდესაც ზოგადი მეცნიერება (ἡ δὲ καθόλου) ეხება მთელ კოსმოსს, ამიტომ ის ყველა სხვა მეცნიერებაზე მაღლა დგას.

თავი მერვე

შემთხვევითს არ სწავლობს არც ერთი მეცნიერება, გარდა სოფისტიკისა. შემთხვევითია ის, რაც არც მუდამ ხდება, არც აუცილებლად და არც მეტწილად. შემთხვევითის მიზეზები განუსაზღვრელი და არაკანონზომიერი ბუნებისაა არიან, რაც უცნობია ადამიანისათვის.

1. ნაგულისხმევია აქსიომატური ხასიათის დებულებები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. არისტოტელეს ამის ნიმუშად მოაქვს ხოლმე დებულება ერთს მიმართებაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენის არსებობის შეუძლებლობის შესახებ

თავი მეცხრე

მსჯელობა არსებობის ყოველ ფორმაზე უნდა წარმოებდეს რეალობისა და შესაძლებლობის თვალსაზრისით. გადასვლა რეალობიდან შესაძლებლობაში ხდება მოძრაობის საშუალებით. მოძრაობას კი მამოძრავებელი წარმართავს, მაშინ, როდესაც რაიმე ხორციელდება. მოძრაობა რაღაც განუსაზღვრელსა ჰგავს, რადგან ძნელდება მისი მოთავსება რეალობის, ან შესაძლებლობის ფარგლებში. მოძრაობა იმყოფება მოძრავში და ხორციელდება მამოძრავებელის მეშვეობით. მოძრაობის შემძლე კი არის რეალური არსებობის შემძლე

1. ის, რაც შეიძლება აშენებულ იქნას, რეალურად არსებობს მშენებლობის პროცესში.

2. არისტოტელე აქ, როგორც მოძრაობას, ისე არსებობის კატეგორიას განიხილავს შესაძლებლობისა და რეალობის თვალსაზრისით

თავი მეათე

განუსაზღვრელი არ არსებობს რეალურად, რადგან ის არც რიცხვია და არც სიდიდე. განუსაზღვრელი არ დაითვლება, რადგან დაუსრულებელია. თუ ის დაყოფადია, მაშინ ის იქნება ან სიდიდე, ან სიმრავლე და მაშასადამე განსაზღვრული იქნება. თუ დაუყოფელია, მაშინ განუსაზღვრელია. თუ ის შემთხვევითაა განუსაზღვრელი, მაშინ ის საგნების შემადგენელი ელემენტი არ იქნება. განუსაზღვრელი იმიტომაც არ შეიძლება არსებობდეს რეალურად, რომ მისი ყოველი ნაწილი განუსაზღვრელი იქნება. თუ რთული საგნის ერთ-ერთი მხარე არის განუსაზღვრელი, ის მოპირდაპირე მეორე მხარეს, განსაზღვრულ მხარეს არც ცეცხლი, არც მიწა, არც სხვა რომელიმე ასეთი ელემენტი არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს, რადგან განუსაზღვრელის რეალურად არსებობის შემთხვევაში ადგილებიც განუსაზღვრელი იქნებოდნენ.

თავი მეთერთმეტე

მოძრაობა ზოგჯერ შემთხვევითია, ზოგჯერ კი თავისთავადი. მოძრაობის განსახორციელებლად აუცილებელია მამოძრავებელის, დროის და ადგილის არსებობა და ის ხორციელდება მოწინააღმდეგე მხარეთა შორის. მოძრაობა არ არსებობს არარსებულიდან არარსებულისაკენ. არასუბსტრატიდან სუბსტრატისკენ მოძრაობა არის დაბადება, სუბსტრატიდან არასუბსტრატისკენ — სიკვდილი. მაგრამ არც დაბადება და არც სიკვდილი არაა ნამდვილი მოძრაობა, ამრიგად, რჩება მხოლოდ სუბსტრატიდან სუბსტრატისაკენ მოძრაობა.

თავი მეთორმეტე

მოძრაობა არ ახასიათებს არც არსებას, არც მიმართებას, არც მოქმედს, არც მოძრავსა და მამოძრავებელს, რადგან მაშინ პროცესი დაუსრულებელი იქნებოდა. არ იცვლება არც არსება, არც მისი თვისება ან ფორმა. მოძრაობა არ არსებობს დაუსრულებელში, სადაც არაა არც პირველი და არც უკანასკნელი. რჩება მოძრაობა თვისების, რაოდენობისა და ადგილის მიხედვით. მოძრაობის განხორციელებისათვის აუცილებელია იყოს მოძრავი, მამოძრავებელი, მოძრაობის დასაწყისი და დასასრული პუნქტი.

აქვე განხილულია ცნებები: „უძრავი", „ერთ ადგილზე მყოფი", „მოპირდაპირე ადგილზე მყოფი", „ერთმანეთის შემდეგ", „უწყვეტი", „თანმიმდევარი" და ა. შ.

წიგნი მეთორმეტე

თავი პირველი

დამოუკიდებელი არის სუბსტანცია. თვისებები და რაოდენობა კი დაკავშირებული არიან სუბსტანციასთან. წინამორბედი მოაზროვნეები დამოუკიდებლად თვლიდნენ სუბსტანციას. თანამედროვენი კი ზოგადსა და გვარს. სუბსტანცია კი შეიძლება იყოს შეგრძნებადი მოვლენები, როგორც მოკვდავი, ისე უკვდავი და ბოლოს უძრავი მოვლენები, რომელიც ზოგის აზრით, მათემატიკური მოვლენები და იდეებია, ზოგის აზრით კი, მხოლოდ მათემატიკური მოვლენები.

თავი მეორე

ცვალებადობის პროცესი მიმდინარეობს ორ მოპირდაპირე მხარეთა შორის. ცვალებადობის პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია მატერიის არსებობაც. სუბსტანციალური ცვალებადობა არის დაბადება და სიკვდილი, რაოდენობრივი ცვალებადობა არის მიმატება და დაკლება. არსებობს აგრეთვე თვისობრივი ცვალებადობა და ცვალებადობა ადგილის მიხედვით, ანუ გადაადგილება. წარმოშობა წარმოებს შესაძლებლობაში არსებული მოვლენებიდან. მიზეზი მოძრაობისა შეიძლება იყოს ან იდეა, ან ცნება ან მათი არქონება და მატერია

1. τὸ μὲν ὑπομένει, τὸ δ' ἐναντίον οὐχ ὑπομένει კუბიცკისა და გოლკეას აზრით, აქ პირველი ტერმინი (τὸ ὑπομένει) გაურკვეველია, ჩვენი აზრით, ის გულისხმობს წინააღმდეგობის იმ მხარეს, რომელიც რჩება და საითკენაც მიმართულია ცვალებადობისა და მოძრაობის პროცესი. მეორე ტერმინი (τὸ δ' ἐναντίον οὐχ ὑπομένει) წინააღმდეგობის ის პირველი მხარეა, რომელიც იცვლება და საიდანაც საგანი მოძრაობას იწყებს.

თავი მესამე

ცვალებადობა წარმოებს მამოძრავებელის საშუალებით მატერიაში, და მიმართება ამ მატერიის გაფორმებისკენ. მამოძრავებელი მიზეზი წინ უსწრებს მოძრაობას, ლოგიკური კი მასთან ერთად არსებობს მაგრამ ცვალებადობა არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს, რადგან პირველადი ფორმა და მატერია არ წარმოიშვება. წარმომშობი ყოველთვის წარმოშობს თავისივე სახის მოვლენას, მაგალითად, ადამიანი ადამიანს ბადებს. ყოველ მოვლენას აქვს სამი კომპონენტი ფორმა, მატერია და კონკრეტული საგანი. ფორმა, რომელსაც ქმნის და სწავლობს მეცნიერება, მატერიის მარადიული წარმავალია კონკრეტული საგნის ფორმა.

1. არისტოტელე ყოველ კონკრეტულ ფორმასა და მატერიას მიაწერს წარმოშობისა და მოსპობის უნარს, გარდა პირველადი ფორმისა და მატერიისა, რომელიც მარადიულია. ვფიქრობთ, არ უნდა იყვნენ სწორი როსი და კუბიცკი, რომელნიც „ცვალებადობის კიდურ წევრში" კონკრეტულ საგანს გულისხმობენ და არა პირველად ფორმასა და მატერიას.

2. „საწყისი სხვაში" გულისხმობს არა თავისი თავის, არამედ სხვის წარმოშობის მიზეზს. ეს მიზეზი არსებობს იმ „სხვა საგანში", რომლის წარმოშობის მიზეზიც ეს არის.

3. ნაგულისხმევია კონკრეტულ საგანში არსებული მატერია.

4. ნაგულისხმევია კონკრეტული მოვლენის ფორმა.

5. ფორმა ზოგადად, რომელსაც მეცნიერება ქმნის, წარუვალია. ამ ფორმებს არისტოტელე უპირისპირებს კონკრეტული, ანუ ბუნებრივი საგნების ფორმებს, რომელნიც წარმავალნი არიან. ამრიგად, არსებობს ორგვარი ფორმა „ბუნებრივი", მოქცეული კონკრეტულ საგანთან ერთად და „ხელოვნური", არსებული მეცნიერებაში, რომელიც არამატერიალური რაა.

6. გონება დაკავშირებული სულთან, ანუ იგივე სული.

თავი მეოთხე

არ შეიძლება ყველაფერს ერთი და იგივე მიზეზი ჰქონდეს. მართალია, მიზეზად ყველგან ვხვდებით ფორმას, მის ნაკლს და მატერიას, მაგრამ ისინი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი არიან ყოველივე ამათ წინ უსწრებს მამოძრავებელი და შემჩერებელი მიზეზი როგორც გარეგანი მიზეზი. ელემენტები და მიზეზები არ შეიძლება იყოს აზრი, სუბსტანცია და მიმართება. ბუნებრივ საგნებს ბუნებრივი საგნები წარმოშობენ, ხელოვნურ საგნებს კი ფორმა და იდეა

1. არისტოტელე უარყოფს აზრს (νοητῶν), როგორც ელემენტს, რადგან ამ შემთხვევაში ყოველივე აზრად იქცეოდა.

2. არისტოტელე ამავე მოტივით უარყოფს მიმართებასა და სუბსტანციას, როგორც ელემენტს. ელემენტი ვერ იქნება სუბსტანცია იმიტომ, რომ ელემენტი არაა იმისგან დამოკიდებული, რის ელემენტიც ის არის და თუ ელემენტი არის სუბსტანცია და ამავე დროს იმყოფება იმ საგანში, რომლის ელემენტიც ის არის, ამ შემთხვევაში ერთ ადგილას ორი საგანი იქნებოდა მოთავსებული, რაც არისტოტელეს დაუშვებლად მიაჩნია. მიმართების ელემენტად გამოცხადების შემთხვევაში კი ყოველივე მიმართებად იქცეოდა. ამ შემთხვევაში სწორია კუბიცკის შენიშვნა იმის შესახებ, რომ არისტოტელე წინააღმდეგი იყო ელემენტის იმასთან გაიგივებისა, რის ელემენტიც ის იყო.

თავი მეხუთე

სუბსტანციები დამოუკიდებელი არიან და მათი მოსპობა სპობს ყოველივეს. რეალურად არსებობს კონკრეტული საგნის ფორმა. სხვა ფორმა და სხვა მატერია აქვთ მოვლენებს, რომლებიც რეალურად არსებობენ და რომლებიც არსებობენ შესაძლებლობაში. კონკრეტული სახის მოვლენებს კონკრეტული საწყისი აქვთ, ზოგადთ კი ზოგადი, თუმცა ასეთი საწყისები არ არსებობენ. მიზეზი და საწყისი განსხვავდებიან გვარებით ინდივიდუალური საგნები, რომლებიც ერთი სახის ფარგლებში შედიან, მხოლოდ ცნებით არიან იგივე, მატერიით კი განსხვავებული

1. ზოგადის საწყისობის უარყოფით არისტოტელე ეკამათება პლატონს.

თავი მეექვსე

აუცილებელია რაღაც მარადიულის არსებობა, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთია დრო და მოძრაობა მოძრაობას არ ექნება ადგილი, რომ არ იყოს მოძრაობის შემოქმედებითი რაიმე მიზეზი მოძრაობისა და წარმოშობის მიზეზი არ შეიძლება შესაძლებლობაში არსებობდეს, რადგან მაშინ რეალური არაფერი არ იქნებოდა. იმ საგნებს, რომლებიც ყოველთვის ერთნაირად მოძრაობენ, სხვა მიზეზი აქვთ, ვიდრე იმათ, რომლებიც მოძრაობენ სხვადასხვაგვარად. ის საწყისები, რომლებიც ყოველთვის ერთნაირად ამოძრავებენ მოვლენებს, არამატერიალურნი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მარადიული არ იქნებოდნენ.

1. არისტოტელე უარყოფს სუბსტანციას, როგორც საწყისს, რადგან მაშინ ყოველივე წარმავალად იქცეოდა. არისტოტელე კი უარყოფს ყოველივეს წარმავალობას.

თავი მეშვიდე

ზოგი მოვლენა მუდმივ მოძრაობს, ზოგი კი არა. მუდმივ მოძრავნი წრიულად მოძრაობენ. აუცილებელია, როგორც მოძრავი მამოძრავებლის, ისე უძრავის არსებობა. უძრავი მამოძრავებელი არის უნაწილო, მარადიული, ერთიანი არმქონე, უცვლელი. ასეთი არის აგრეთვე მისწრაფებისა და აზროვნების საგანი. ასეთი საწყისი არსებობს ისე, როგორც ჩვენ ვარსებობთ ჩვენი ცხოვრების ყველაზე უფრო ბედნიერ წუთებში. აზროვნება თავის თავს მოიაზრებს, ამიტომ აზროვნება და აზრის ობიექტი ერთი და იგივეა. რადგან აზროვნება ყველაზე პატივსაცემია, ამიტომ მას ასეთივე ობიექტი აქვს. სიცოცხლე აზროვნებით საუკეთესო სიცოცხლეა, რაც ღმერთს ახასიათებს მარადიულობის განმავლობაში.

აუცილებელს კი აქვს სამი მნიშვნელობა: 1. ის, რის გარეშე არაა კეთილდღეობა, 2. იძულება და 3. მარტივად არსებული.

თავი მერვე

არსებათა რიცხვის შესახებ არავის არაფერი არა აქვს გარკვევით ნათქვამი, არც იდეების მომხრეთ, რომლებმაც იდეები რიცხვებად აქციეს და ხან განსაზღვრულად და ხან განუსაზღვრელად ჩათვალეს მათი რაოდენობა. რადგან მოძრაობის საწყისთა რიცხვი არ შეიძლება დაუსრულებელი იყოს, ამიტომ აუცილებელია ყოველივეს საწყისად უძრავი მამოძრავებლის დაშვება. ამას გვიკარნახებს მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვებაც. მნათობთა მოძრაობაზე გარკვეული წარმოდგენის მისაღებად საჭიროა გავითვალისწინოთ სხვათა შეხედულებებიც, როგორიცაა შეხედულება ევდოქსისა, კალიპოსისა და სხვათა. რადგან ერთია ცა,

ამიტომ ერთია მისი მამოძრავებელიც. ღვთაება ისეთივეა, როგორც უძრავი მამოძრავებელი: მარადიული, უძრავი, თავის თავის მამოძრავებელი.

1. τῆς Ἀφροδίτης აფროდიტა, პლანეტა ვენერა. 2. τοῦ Ἑρμοῦ ჰერმესი, პლანეტა მერკური.

3. τοῦ Κρόνου კრონოსი, პლანეტა სატურნი

თავი მეცხრე

მოვლენათა შორის ყველაზე პატივსაცემია გონება, ამიტომ ის უნდა მოიაზრებდეს ყველაზე პატივსაცემსა და ღვთაებრივს. გონება სხვა არ იქნებოდა, მხოლოდ უნარი რომ ყოფილიყო, არც იმ შემთხვევაში ცვალებადი რომ ყოფილიყო, რადგან მისი, როგორც ყველაზე უკეთესის, ცვალებადობა მიმართული იქნებოდა გაუარესებისაკენ. რადგან ყველაზე პატივსაცემი არის აზრი, ამიტომ გონება თავის თავს უნდა აზროვნებდეს და მისი ეს ობიექტი უნდა იყოს მარტივი და იდეალური.

თავი მეათე

საჭიროა გადაწყდეს კითხვა იმის შესახებ, რომ სამყაროს საწყისი და სიკეთე არსებობს სამყაროსაგან დამოუკიდებლად, თუ მასშივე, თუ ორივენაირად ამასთან დაკავშირებით განხილულია სხვადასხვა თეორიები ა სამყაროს საწყისი წინააღმდეგობაა, ბ საწყისი მატერიაა, გ ემპედოკლეს თეორია მეგობრობის საწყისობაზე, ანაქსაგორას თეორია — გონების საწყისობაზე, დ თეორიები იდეები ა და რიცხვების საწყისობის შესახებ. მოცემულია ამ თეორიების კრიტიკა. ამ მოსაზრებათა ნაცვლად არისტოტელე აყენებს თეორიას უძრავი მამოძრავებელის საწყისობის შესახებ.

1. არისტოტელეს აზრით, უკვდავ და მოკვდავ მოვლენებს არ შეიძლება ერთი საწყისი ჰქონდეთ, რადგან მაშინ მათგან გამომდინარე შედეგიც ერთნაირი იქნებოდა, ან მხოლოდ მოკვდავი და ან უკვდავი.

2. წარმავალი და წარუვალი მოვლენებისათვის ერთი და იგივე საწყისი არ უნდა დაეშვათ.

წიგნი მეცამეტე

თავი პირველი

საკითხი შეგრძნებადი სუბსტანციის შესახებ განხილულია ბუნებისმეტყველური ხასიათის წიგნებში. აქ უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, არსებობენ, თუ არა შეგრძნებადი საგნებისაგან დამოუკიდებელი სხვა მოვლენები, როგორც ამტკიცებს ზოგიერთი მათემატიკური მოვლენებისა და იდეების არსებობას. შესახებ თუ არსებობენ, როგორ არსებობენ, თვით შეგრძნებად საგნებში, თუ მათგან დამოუკიდებლად თუ სხვადასხვაგვარად.

თავი მეორე

თუ მათემატიკური სიდიდეები სუბსტანციებია, ისინი ვერ იარსებებდნენ შეგრძნებად სხეულებში, რადგან მაშინ ერთ ადგილას ორი სხეული იქნებოდა მო-

თავსებული. გარდა ამისა, თუ წერტილი დაუყოფელია, მაშინ დაუყოფელი იქნებოდნენ სხვა მათემატიკური სიდიდეებიც და შეგრძნებადი სხეულებიც, რაც დაუშვებელია. გარდა ამისა, შედეგად მივიღებდით წერტილების, ხაზებისა და სიბრტყეების უაზრო დაგროვებას. ამრიგად, საერთოდ, უაზრობაა მათემატიკური და გეომეტრიული მოვლენების დამოუკიდებელი არსებობის დაშვება. გარდა ამისა, შეუძლებელია, რომ ისინი უსწრებდნენ შეგრძნებად სხეულებს, როდესაც სინამდვილეში მათ მოსდევენ. მათემატიკური სიდიდეები შეიძლება შეგრძნებადზე წინ არიან ცნებით, მაგრამ ცნებით ადრე არ ნიშნავს სუბსტანციალურად ადრე ყოფნას. სუბსტანციალურად ადრეა ის, რაც სხვებს უსწრებს არსებობით, ლოგიკურად კი ის არის ადრე, რომლის ცნება სხვა ცნებებისაგან არის მიღებული.

1. მათემატიკური სიდიდეები.

თავი მესამე

მათემატიკის, ისევე როგორც გეომეტრიის და საერთოდ, მეცნიერებათა ობიექტი არ შეიძლება მოვლენათა შემთხვევითი თვისებები იყოს. მეცნიერების ობიექტი ზოგადია და რაც უფრო ზოგადია ის, მით უფრო ზუსტია მეცნიერება. ზოგადი კი დამოუკიდებელი არაა, თუმცა მისი უკეთ განხილვა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას დამოუკიდებლად ჩავთვლიდით.

ცდებიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს მათემატიკური მეცნიერებანი არ სწავლობდნენ მშვენიერებასა და სიკეთეს. მათი შესწავლის ობიექტი, ჰარმონია და წესრიგი, ამავე დროს მშვენიერიცაა.

1. წრეში ტრიალი, არისტოტელეს აზრით, ყველაზე უფრო მარტივი მოძრაობაა.

2. ისეთი ნახაზები, რომლებსაც არა აქვთ ერთი ფუტის სიგრძე, მაგრამ გეომეტრი პირობით იღებს მას ერთი ფუტია სიგრძისად. მიუხედავად ამისა ის არ სცდება, რადგან სწორია ის წინამძღვრები, საიდანაც ამოდის.

თავი მეოთხე

იდეებზე მოძღვრების მომხრენი ამ მოძღვრებამდე მივიდნენ, ამოსულნი ჰერაკლიტეს დებულებიდან ყოველივეს მოძრაობის შესახებ. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ ეძებათ რაღაც ზოგადი, უძრავი და უცვლელი, შეგრძნებადის გვერდით. ასეთი პირველად სოკრატემ აღმოაჩინა, მაგრამ მას ზოგადი საგნებისაგან არ გამოუცალკევებია. იდეების მოძღვრების მომხრეთ კი ის გამოაცალკევეს, რასაც შედეგად მრავალი შეუსაბამობა მოჰყვა. განხილულია ეს შეუსაბამობანი.

1. იგულისხმება სოკრატე.

2. არისტოტელე სოკრატეს უპირისპირებს პლატონს, რომელმაც წინააღმდეგ სოკრატესი, ზოგადი საგნება დააშორა.

3. μετέχοντα — მონაწილეობა, ზიარება, ანუ საგნების დაკავშირება იდეებთან იმ საერთო ნიშნის წყალობით, რაც მათ იდეებთან აქვთ.

4. ნაგულისხმევია მიწიერი და იდეალური სამყარო, პლატონის მოძღვრების მიხედვით.

თავი მეხუთე

გრძელდება იდეებზე მოძღვრების კრიტიკა. აქ წამოყენებული ყველა არგუმენტი ემყარება იმას, რომ იდეები არ შეიძლება საგნებისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ. ამიტომაც იდეები არ არიან საგნების არც მოძრაობის, არც ცვალებადობის, არც არსებობის მიზეზნი, არ გვეხმარებიან არც მათს შემეცნებაში. აქვე ნაჩვენებია ის შეუსაბამობანი, რაც მათ დაშვებას მოსდევს შედეგად.

თავი მეექვსე

განხილულია თეორიები, რომელთა მიხედვით, რიცხვები საგანთა საწყისებია. გადაწყვეტას მოითხოვს კითხვა იმის შესახებ, არიან თუ არა რიცხვები საგნებისაგან დამოუკიდებელნი, აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ ყველა რიცხვი უკავშირდება ერთმანეთს, თუ ზოგი უკავშირდება და ზოგი კი არა, თუ არც ერთი არ უკავშირდება. აქედან დასაშვებია პირველი ორი გზა, მესამე კი არა. ზოგის აზრით, რიცხვები იდეალურნი არიან, ზოგისთვის, მაგალითად, პითაგორასთვის, ისინი სიდიდეებია, მაგრამ ისინი არ პასუხობენ იმაზე, თუ როგორაა ეს შესაძლებელი. განსახილველია საკითხი იმის შესახებაც, რომ რიცხვები საგნებში არიან, თუ მათგან დამოუკიდებელნი, აგრეთვე არსებობენ მხოლოდ მათემატიკური, თუ იდეალური რიცხვებიც?

1. φύσις τι სიტყვა-სიტყვით, „რაღაც ბუნება". აქ ნახმარია დამოუკიდებელი საგნის მნიშვნელობით.

2. მისი არსებაა რიცხვად ყოფნა.

თავი მეშვიდე

უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ერთმანეთს ყველა ერთეანი უკავშირდება, თუ არა? თუ უკავშირდება ყველა, როგორ? ერთმანეთს უკავშირდება მხოლოდ ერთსა და იმავე რიცხვის შემადგენლობაში შემავალი ერთიანები, თუ აგრეთვე სხვადასხვა რიცხვის შემადგენლობაში შემავალნიც? თუ ყველა უკავშირდება ერთმანეთს, მაშინ იარსებებდა მხოლოდ მათემატიკური რიცხვი, მაგრამ თუ ერთმანეთს არ უკავშირდება ყველა, მაშინ არ იარსებებდა მათემატიკური რიცხვი და არც რიცხვები წარმოიშვებოდნენ ერთისა და განუსაზღვრელი ორიანისაგან. არანაკლები სიძნელეებია დაკავშირებული სხვადასხვა რიცხვში შემავალი ერთიანების განსხვავების დაშვებასთან. საერთოდ, უაზრობაა, ერთიანებს შორის რაიმე განსხვავების დაშვება, რადგან სინამდვილეში ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან და არც იდეები რიცხვები არიან.

თავი მერვე

მრავალი შეუსაბამობა მოსდევს შედეგად რიცხვებში თვისობრივი განსხვავების დაშვებას, ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ თვისობრივი სხვაობა არ უნდა ჰქონდეთ. რიცხვები არც საწყისები უნდა იყვნენ. თუ მათემატიკური რიცხვი იგივე იდეალური რიცხვია, მაშინ ისპობა მათემატიკური რიცხვი, რადგან რიცხვები ერთმანეთს ვეღარ დაუკავშირდებოდნენ, იდეების რიცხვი განუსაზღვრელი იქნებოდა, განუსაზღვრელი კი არ არსებობს. მით უმეტეს, რომ ამ თეორიის მომხრენი რიცხვებს ათამდე თვლიან განსაზღვრულად და მაშასადამე, იდეა-რიცხვები საკმარისი არ იქნებოდნენ. ამ მოაზროვნეთა ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი რიცხვებს საგანთან დამოუკიდებლად თვლიან. მართალია, პითაგორელები არ აშორებენ რიცხვებს საგნებს, მაგრამ არ არიან სწორნი, როდესაც რიცხვებს აიგივებენ საგნებთან.

1. კუბიცკის აზრით, არისტოტელე τὰ ὄντα-ში იდეებს გულისხმობს, მაგრამ ჩვენი აზრით, აქ მიწიერი მოვლენებია ნაგულისხმევი, რომელთაც ის ხშირად აღნიშნავდა ამ ტერმინით.

2. აქ ხაზგასმულია გამოთქმა „მათემატიკური რიცხვი" მის განსასხვავებლად იდეალური რიცხვისაგან.

3. არისტოტელეს აქ მხედველობაში აქვს ქსენოფანეს თვალსაზრისი.

4. ნაგულისხმევია ლევკიპე და დემოკრიტე, რომლებმაც სამყარო უმცირესი ატომებისაგან აწარმოვეს.

5. არისტოტელე ასხვავებს ერთმანეთისაგან თავისთავად ერთს, ან საწყის ერთს ჩვეულებრივი ერთისაგან.

თავი მეცხრე

გრძელდება იმ შეუსაბამო შედეგთა განხილვა, რაც რიცხვების, სიდიდეების და იდეების საგანთაგან დაცილებას და მათ საწყისებად ქცევას მოსდევს შედეგად. ამ სიძნელეებიდან მხოლოდ ერთი გამოსავალია, ისინი არ უნდა დასცილდნენ საგნებს და არც საწყისებად იქცნენ.

თავი მეათე

საწყისები არ შეიძლება სუბსტანციები იყვნენ, რადგან მაშინ საგანთა რიცხვი იმდენი იქნებოდა, რამდენიც საწყისია. საგნები კი შეუცნობელნი იქნებოდნენ, რადგან შეცნობა შეიძლება მხოლოდ ზოგადისა. მაგრამ თუ საწყისები ზოგადია, მაშინ ზოგადი იქნებოდა მათგან წარმოებულიც, სუბსტანციაზე ადრე არასუბსტანცია იარსებებდა და აღარც დამოუკიდებელი იქნებოდა რამე.

წიგნი მეთოთხმეტე

თავი პირველი

წინააღმდეგობა არ შეიძლება იყოს ყოველივეს საწყისი, რადგან საწყისს არ შეიძლება წინ რაიმე უსწრებდეს. წინააღმდეგობას კი წინ უსწრებს სუბსტანცია, რომლის თვისებასაც ის წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იყვნენ მოაზროვნენი, რომლებიც ყოველივეს საწყისად წინააღმდეგობას აცხადებდნენ. არც ზომა შეიძლება იყოს საწყისი, რადგან არც ისაა სუბსტრატი, და არც მიმართება შეიძლება იყოს საწყისი, რადგან ის თვისების მდგომარეობაა და არა სუბსტრატი.

1. დაქტილი, სიგრძის საზომი ძველ საბერძნეთში=19,3 მმ.

2. არისტოტელე ყოველგვარ კატეგორიასა და აბსტრაქციაზე [მაღლა აყენებს სუბსტანციას, რაც მის მატერიალისტურ ტენდენციებზე მეტყველებს.

თავი მეორე

საჭიროა გარკვევა საკითხისა იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა მარადიული მოვლენები ელემენტებისაგან შედგებოდნენ. ისინი რომ ელემენტებისაგან შედგებოდნენ, მარადიულნი ვეღარ იქნებოდნენ, რადგან ყოველივე იმისგან წარმოიშვება, რისგანაც არის შედგენილი.

კვლევას მოითხოვს საკითხი არარსებულის შესახებაც, რადგან, როგორც ცნობილია, ზოგიერთი არარსებულისა და არსებულისაგან აწარმოებს საგანთა სიმრავლეს. მრავალი სიძნელეები ახლავს თან აგრეთვე საგანთა სიმრავლის ახსნას იდეებითა და რიცხვებით.

თ ა ვ ი   მ ე ს ა მ ე

საგანთა სიმრავლის მიზეზად პითაგორელები თვლიდნენ რიცხვებს, თუმცა ისინი მათ საგნებისაგან დამოუკიდებლად არ აცხადებდნენ. ზოგი მოაზროვნე რიცხვებს დამოუკიდებლად თვლის. ამიტომ საჭიროა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი არიან რიცხვები, ან გეომეტრიული სიდიდეები და რა დახმარებას უწევენ ისინი შეგრძნებად საგნებს. მით უმეტეს, რომ ამ თეორიის მომხრეებს არა აქვთ გარკვეული საკითხი იდეებისა და რიცხვების სიმრავლის წარმოშობის შესახებ.

თ ა ვ ი   მ ე ო თ ხ ე

მრავალი სიძნელეებია დაკავშირებული რიცხვების წარმოშობის საკითხთან, აგრეთვე იმასთან, როდესაც საწყისად თვლიან სიქეთეს ან მშვენიერებასა და ერთს.

თ ა ვ ი   მ ე ხ უ თ ე

საწყისად არც სიკეთის ჩათვლა შეიძლება, არც რიცხვებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაუწყვეტელი რჩება კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის სიმრავლის მიზეზი და საწყისი.

თ ა ვ ი   მ ე ე ქ ვ ს ე

რიცხვები არ შეიძლება საწყისი იყვნენ, რადგან ისინი დამოუკიდებლად არ არსებობენ და მათი დამოუკიდებელი არსებობის დაშვება მრავალ შეუსაბამო შედეგს იწვევს.

1. პლეადა, თანავარსკვლავედია.
2. თებე, ქალაქია ძველ საბერძნეთში.

სარჩევი

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ფავლენიშვილი
მხატვარი ნ. ლაფაჩი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექრედაქტორი ც. ჭიჭინაძე
კორექტორი ც. ტრიპოლსკაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-64 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ნაბეჭდი
თაბახი 21,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,22.
ტირაჟი 3 000. შეკვ. № 919.
ფასი 1 მან. 58 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

АРИСТОТЕЛЬ

МЕТАФИЗИКА

(На грузинском языке)

Издательство
„Сабчота Сакартвело"
Тбилиси, Марджанишвили, 5
1964

